ლევან სვანაძე

ადოლფ ჰიტლერი
პოლიტიკური ბიოგრაფია

წიგნი II

რაიხსპრეზიდენტი და ფიურერი

ქუთაისი
2010

ISBN 978-9941-9095-0-4

წიგნი II

შინაარსი

თავი X. რაიხსპრეზიდენტი და ფიურერი.....4

თავი XI. ჰიტლერის საგარეო პოლიტიკა თუ ა-ლა (A-La) როზენბერგის კურსის კატასტროფა.....31

თავი XII. ჰესის გაფრენა ინგლისში.....56

თავი XIII. „გეგმა ბარბაროსა“ და კატასტროფა.....125

თავი XIV. „ჰიტლერის სამყარო“.....166

თავი XV. ჰიტლერი და ქალები.....268

დასკვნები.....280

დანართი 1. უინსტონ ჩერჩილი, ჰიტლერი და მისი არჩევანი 302

დანართი 2. გრიგოლ რობაქიძე. ადოლფ ჰიტლერი.....307

დანართი 3. ჰერბერტ ბაკე, ჰიტლერის მინისტრი.....337

თავი X

რაიხსპრეზიდენტი და ფიურერი

იმ ავბედით 1933 წლის 30 იანვარს რაიხსპრეზიდენტმა ჰინდენბურგმა, თითქმის სამთვიანი ყოყმანისა და თავშეკავების შემდეგ, გნსმპ-ის ლიდერი და საპარლამენტო უმრავლესობის ხელმძღვანელი ადოლფ ჰიტლერი გერმანიის რაიხსკანცლერად დანიშნა. სასწაულებრივად წარმოუდგენელი და დაუჯერებელი, მაგრამ ჯიუტი ფაქტი აღსრულდა პრეზიდენტის სასახლის წინ ათეულ ათასობით შეკრებილ ადამიანთა თანდასწრებით. გუშინდელი ჯარისკაცი, ჩინით ეფრეიტორი, ეროვნებით ავსტრიელი, მაგრამ უკვე იმ დროისათვის, გერმანიის მოქალაქე, ამავე ქვეყნის ფაქტობრივად პირველი კაცი შეიქნა!...

ძნელი იყო ამის სიზმარშიც კი წარმოდგენა! მაგრამ ვინ და რას იზამდა? ფაქტი ფაქტად რჩებოდა.

ფელდმარშალ პრეზიდენტს რაიხსკანცლერმა თავისი პირველი კაბინეტი ასეთი შემადგენლობით წარუდგინა:

კანცლერი - ადოლფ ჰიტლერი (გნსმპ).

ვიცე-კანცლერი — ფრანც ფონ პაპენი („ცენტრის" კათოლიკური პარტია).

შინაგან საქმეთა მინისტრი — ვილჰელმ ფრიკი (გნსმპ)

უპორტფელო მინისტრი — (მოგვიანებით ავიაციის მინისტრი) ჰერმან გერინგი (გნსმპ).

ეკონომიკის მინისტრი — ალფრედ ჰუგენბერგი (ნაციონალისტური პარტია).

თავდაცვის მინისტრი — გენერალი (მალე ფელდმარშალი) ვერნერ ფონ ბლომბერგი (უპარტიო).

შრომის მინისტრი — ფრანც ზელდტე (ნაციონალისტური პარტია).

საგარეო საქმეთა მინისტრი — კონსტანტინ ფონ ნოირატი (უპარტიო).

ფინანსთა მინისტრი — ლუტც ფონ კროზიგ გრაფი შვერინი (უპარტიო).

იუსტიციის მინისტრი — ფრანც გიურტნერი (ნაციონალისტური პარტია).

კავშირგაბმულობის მინისტრი — პაულ ფონ ელტც — რიუენახი (უპარტიო).

სულ 11 კაცი, რომელთაგან სამი იყო გნსმპ-დან, სამი ნაციონალისტურიდან, ოთხი უპარტიო და ერთი კათოლიკური „ცენტრიდან". იმის მინიშნებას ხაზგასმით ვთვლი საჭიროდ, რომ

შინაგან საქმეთა და იუსტიციის მინისტრები — ფრიკი და გიურტნერი — ჰიტლერის ძველი მიუნხენელი ნაცნობები და მფარველები იყვნენ.

ვიცე-კანცლერი ფრანც ფონ პაპენი, კათოლიკური „ცენტრის“ პარტიის წარმომადგენელი, გახლდათ გენერალ შლაიხერის წინა კანცლერი (07-11.32), ყოფილი დიპლომატი, შპიონაჟისათვის გამოძევებული აშშ-დან. ადრე (და ნაწილობრივ შემდეგაც) ჰიტლერის მოწინააღმდეგე. პოსტი მიიღო პრეზიდენტის პროტეჟირებით, როგორც მისმა უახლოესმა მეგობარმა.

თავდაცვის მინისტრი — გენერალი ბლომბერგი კადრის ძველი ოფიცერი იყო და მკითხველმა იოლად უნდა წარმოიდგინოს, როგორი შინაგანი განწყობა ექნებოდა წინადღეს ეფრეიტორთან, ისევე როგორც თვით პრეზიდენტს — გერმანიის შეიარაღებული ძალების გენერალ-ფელდმარშალს.

არც საგარეო საქმეთა ყოფილი და იმჟამინდელი მინისტრი კონსტანტინე ფონ ნოირატი იყო მაინცდამაინც სიმპათიურად განწყობილი ჰიტლერის მიმართ. როგორც ბარონი და ძველი არისტოკრატიული ოჯახის შვილი, ადრე ვიურტემბერგის მთავრობის ხელმძღვანელი და შემდეგ პროფესიონალი დიპლომატი, ჰიტლერის წინა 2 თუ 3 მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრი გახლდათ, მაგრამ ახლა მინისტრად კურთხევისთანავე შევიდა გსსმპ-ში და გახდა „სს“-ის ჯარების გრუპენფიურერი. 1938 წელს ნიორატი, თავდაცვის მინისტრთან — ბლომბერგთან და კიდევ რამდენიმე მაღალჩინოსან გენერალთან ერთად (ფრიჩი, ბეკი) გათავისუფლებული იქნა თანამდებობიდან.

ჰიტლერის პირველი მთავრობის გამორჩეულ წევრთა რიცხვს მიეკუთვნება აგრეთვე გერმანიის ნაციონალისტური პარტიის ლიდერი — ალფრედ ჰუგენბერგი — პრეზიდენტ ჰინდენბურგის ოპონენტი 1932 წლის მარტის არჩევნებში. ჰუგენბერგმა კიდევ ორი წევრი გაიყვანა მთავრობის შემადგენლობაში (გიურტნერი და ზელდტე), მაგრამ ამის მიუხედავად ისინი ნაციონალ-სოციალისტებს ვერ დაუპირისპირდნენ.

როგორც ვხედავთ, ჰიტლერმა თავისი პარტიიდან კიდევ მხოლოდ ორი წევრის გაყვანა მოახერხა, - გერინგისა და ფრიკის. გარეგნულად ყოველგვარი ფორმალობა იყო დაცული — ესაოდა დემოკრატიას არავითარი საფრთხე არ ემუქრებოდა. რას გვერჩითო — მსოფლიო სტანდარტების დონეზე ვართო.

კანცლერად ჰიტლერის დანიშვნამ დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია გერმანიასა და მსოფლიოში. ვინ რას არ ამბობდა. აბა ჭორებით გააძღებ განა საზოგადოებას? როდესაც ჰინდენბურგმა კანცლერის — გენერალ შლაიხერის გადაყენება გადაწყვიტა, მან მოლაპარაკებათა რაუნდი ჰიტლერით დაიწყო. თავდაპირველად ფოსტის ანუ კავშირგაბმულობის

მინისტრის პოსტი შესთავაზა, მაგრამ როდესაც სტუმარი უკანმოუხედავად გავარდა მისი კაბინეტიდან, მეორეჯერ უკვე ვიცე-კანცლერობა შეურჩია. ამჯერად ჰიტლერი გაქცევით არ გაქცეულა, მაგრამ არც წინადადება მიუღია. მე კანცლერობის გარდა არაფერს დავთანხმდებიო, ეს კი უპასუხა და დატოვა კაბინეტი. კანცლერობას ჰინდენბურგი ისევ ფონ პაპენისათვის ვარაუდობდა.

როდესაც პრეზიდენტმა ძალზე გააჭიანურა პროცესი, ჰიტლერმა დროულად ჩართო საქმეში მისი შვილი — პოლკოვნიკი ოსკარ ჰინდენბურგი და ბისმარკის შვილიშვილი — ოტტო ფონ ბისმარკი. ამასთანავე, ჰიტლერის მხარეზე დადგა რაიხსვერი, რაც ჩვენთვის უკვე ნაცნობია, ისევე როგორც ჰიტლერის მუქარა ოსკარ ჰინდენბურგისადმი — თუ ბაბუათქვენი არ დასთანხმდება ჩემს კანცლერობას, იძულებული შევიქნები, რომ ვამხილო თქვენი ოჯახი აღმოსავლეთ პრუსიაში, სადაც საოჯახო მამულები გაქვთ, გადასახადების გადახდას თავს რომ არიდებსო. მთელი ეს, ჩვენთვის უკვე ნაცნობი ამბავი იმიტომ გავიმეორეთ, რომ მკითხველისათვის გვეჩვენებინა, თუ როგორ შეხვდა იმ დროს მოქმედი კანცლერი — გენერალი შლაიხერი — მის ზურგს უკან გათამაშებულ ინსცენირებას. თუ არ ვცდებით ლამის წინადღეს — 28 იანვარს — ის მივიდა პრეზიდენტთან — ფელდმარშალ ჰინდენბურგთან და გერმანული მორალის მამხილებელი და იმავდროულად ჭეშმარიტი აღიარება მოასმენინა, რომელიც დიდად არ განსხვავდებოდა ჩვენთვის ნაცნობი გენერალ ლუდენდორფისეული შერისხვიდან.

„ბ-ნო რაიხსპრეზიდენტო, - განუცხადებია რაიხსკანცლერ გენერალ შლაიხერს, მე ვაღიარებ თქვენს უფლებას — უკმაყოფილო იყოთ ჩემს მიერ განხორციელებული პოლიტიკით, თუმც სულ რაღაც ოთხი თვის წინ საწინააღმდეგოს მიმტკიცებდით; მე ვაღიარებო თქვენს უფლებამოსილებას – გადამაყენოთ. მაგრამ, თქვენსავე კანცლერის ზურგს უკან ვიღაც-ვიღაცეებთან მოლაპარაკებას, მე თქვენს უფლებად ვერ ვაღიარებო". დასასრულს უფრო მკვახედაც უთქვამს: „იმის შემდეგ, რაც ვერ გაამართლეთ თქვენთვის ბოძებული ნდობა, ეჭვი მეპარებაო, თქვენო აღმატებულებავ, რომ თქვენ ზეცაში მოხვდეთო"[1]. გენერალ შლაიხერის ამ გულახდილობასთან დაკავშირებით ძნელი წარმოსადგენი არ არის პრეზიდენტის გულისწყრომის მასშტაბები.

კაბინეტის შემადგენლობის წარდგენასთან ერთად, ჰიტლერმა ჰინდენბურგს ასევე გამოსტყუა რაიხსტაგის დაშლის თანხმობა, რასაც კიდევ უფრო მეტი ჭოჭმანის შემდეგ დაყაბულდა. ამასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ თუ ჰიტლერის კანცლერად დანიშვნა ასე თუ ისე გამართლებული იყო საპარლამენტო სინამდვილით, როდესაც ნაციონალ-

[1] Фест, ук. соч., 2, 244

სოციალისტები იქ დიდ უმრავლესობას წარმოადგენდნენ, ჰიტლერისთვის რაიხსტაგის დაშლის უფლების მიცემა კიდევ უფრო მეტ დანაშაულს წარმოადგენდა ფელდმარშლის მხრივ. ამ შემთხვევაში ის ფაქტობრივად ეთანხმებოდა ჰიტლერის სურვილს თითქმის ერთპარტიული გაეხადა რაიხსტაგი და ამით ნაციონალ-სოციალისტებისათვის უკონტროლო და შეუზღუდავი საქმიანობის დიდი შესაძლებლობა მიეცა.

რაიხსკანცლერად დანიშვნიდან მესამე დღეს — 1 თებერვალს ჰიტლერმა სიტყვით მიმართა გერმანიას, რომელსაც „მიმართვა გერმანელი ხალხისადმი" უწოდა. ეს გახლდათ ამ რანგში მისი დებიუტი. ამიტომ იყო, რომ გამოსვლას დიდი ყურადღებით ისმენდა მთელი ქვეყანა: თაყვანისმცემელიც და მოწინააღმდეგეც. უსაზღვრო იყო ეს ინტერესი მისდამი. მიმართვაში ხაზგასმული იყო ამ სიტყვის ძირითადი მიზანი: უმთავრეს საგნად ჰიტლერმა გამოაცხადა „თავისი ხალხის სულისკვეთებისა და ნების ერთიანობის" რეაბილიტაცია. ჩვენ — ნაციონალ-სოციაისტებს და თითქმის თანამოაზრე ნაციონალისტებს, მფარველობისა და ზრუნვის ქვეშ აგვყავსო ქრისტიანობა, როგორც ჩვენი ხალხის მორალის საფუძველი, ხოლო ოჯახი, როგორც ჩვენი სახალხო და სახელმწიფოებრივი ორგანიზმის უმთავრესი უჯრედი. ჩვენი ხელისუფლების ასევე ერთ-ერთი მთავარი ამოცანა გახლავთ ჩვენი საზოგადოების მღრღნელი მარქსისტული კომპონენტის — კლასობრივი ბრძოლის დაძლევა და ეროვნული ტრადიციებისათვის უპირატესობის მიკუთვნება, რათა საზოგადოებაში მისი კუთვნილი საპატიო ადგილი დაიმკვიდროსო.

რაც შეეხებოდა ქვეყნის ეკონომიკას, მისი სიმძლავრისა და დონის რეაბილიტაციას ჰიტლერი ქვეყანას პირდებოდა ორი ფართომასშტაბიანი ოთხწლიანი გეგმით, რომლებიც ი. ფესტის განმარტებით, ხუთწლედების ნაცვლად ოთხწლედების სახით გადმოღებული იყო მათი მოწინააღმდეგეების - მარქსისტებისგანო[1]. (წაიკითხეთ — რუსი ბოლშევიკებისაგან — ლ.ს.).

პირველი ოთხწლიანი გეგმის განმავლობაში, დაპირდა ორატორი ხალხს, ჩვენი მთავრობა ყოველნაირად შეეცდება „წინა 14 წლის დანაშაულის გადაშლას", ამასთანავე ამ ღონისძიების განხორციელებას ჩვენ ვაპირებთო წარსულთან ყოველგვარი კომპრომისის გარეშე, რამეთუ ყოველ წინა ხელისუფლებას ჰქონდა შანსი მისი გამოსწორების, მარამ ვერ გამოიყენეს და ვერ გვიჩვენესო საკუთარი უნარი და ნიჭი. შედეგი თვალნათლივია — ქვეყანა ნანგრევებად არის ქცეული, ხოლო ხალხი მათხოვრებადო.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თავის გამოსვლაში ჰიტლერმა საკმაო

---

[1] Там же., 277

დრო დაუთმო რაიხსტაგის არჩევნებს და შეეცადა დაესაბუთებინა თავისი სურვილის მიზანშეწონილობა. ჩვენთვის უკვე ცნობილია იმ არჩევნების შედეგები, რომელიც მარტში შედგა: მასში მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა 88,9%. ანუ 39,3 მლნ-მა, რაც საკმაოდ მაღალ მაჩვენებელს შეადგენს. მათგან ნაციონალ-სოციალისტებმა მიიღეს — 17,2 მლნ. ხმა, ანუ საერთი რაოდენობის 43,9%-ი. ეს თითქმის 5 მლნ-ით მეტი იყო ვიდრე წინა არჩევნების დროს, მაგრამ სასურველ შედეგს ნაცისტებმა მაინც ვერ მიაღწიეს. იმჯერად მათი წინააღმდეგი იყო ამომრჩეველთა 56,1%, რაც რიცხვობრივად გამოხატული 22 მლნ-ზე მეტს შეადგენდა. აქვე საჭიროდ მიგვაჩნია იმის შეხსენებაც, რომ ის მკვეთრად ჩამორჩება კანონის მისაღებ ქვოტას. ამიტომ, ნაციონალ-სოციალისტები უმრავლესობის მიუხედავად, რაიხსტაგში რაიმე კანონის გასატანად მაინც დამოკიდებულნი იყვნენ სხვა პარტიათა მხარდაჭერაზე, იმჯერად მეტწილ ჰუგენბერგის ნაციონალისტების მხარდაჭერაზე, რაც ყოველთვის არ ხერხდებოდა. ამით იყო გამოწვეული იმავე 1933 წლის 14 ივლისის პრეზიდენტის დეკრეტი, რომელიც ჰინდენბურგს ახალმა კანცლერმა მიაღებინა. მისი მიხედვით ნაცისტური პარტია ერთადერთ კონსტიტუციურ პარტიად გამოცხადდა, ხოლო სხვა დანარჩენი — კანონგარეშედ. ასე დაიდო პირველი აგური ჰიტლერის ტოტალიტარული რეჟიმის საძირკველზე, რომელსაც მხარს მოხუცი პრეზიდენტი „უმშვენებდა". ახლაც მარტო ჰიტლერს დააბრალებდნენ დიქტატორული სისტემის დაფუძნებას? სხვაგვარად, ნაციონალ-სოციალიზმით ანუ ჰიტლერიზმით დაავადება გერმანიის მარტო საშუალო და დაბალი სოციალური ფენების სისუსტე არ ყოფილა. იგი თანაბრად შეეყარა მაღალ საზოგადოებასაც.

ოთხწლიანი გეგმა და გეგმები, რომელთა შემუშავებას საბჭოთა ხუთწლედების მაგალითზე დაპირდა ჰიტლერი ქვეყანას, იოლი საქმე არ აღმოჩნდა გერმანიისთვის, რომელსაც, ერთის მხრივ რეპარაციის უღელი კვლავაც ურთულებდა საქმეს, ხოლო, მეორეს მხრივ ჯერ კიდევ დიდი იყო მსოფლიო ეკონომიკური კრიზისისა და ინფლაციის შედეგების გავლენა. მართალია, ფინანსური ვითარება მნიშვნელოვან წილად გამოსწორდა, მაგრამ ხალხს ჯერ კიდევ კარგად ახსოვდა ის ვითარება, როდესაც ქვეყანაში ხელფასს დღეში 3-ჯერ არიგებდნენ. ამით იყო მეტწილ გამოწვეული ის მდგომარეობა, რომ პირველ ოთხწლიანი გეგმის შედგენა არამარტო 1933 და 1934 წლებში ვერ მოხერხდა, არამედ ვერც 1935 წლისათვის.

გეგმის მთავარი ამოცანა იყო ქვეყნის გადაყვანა სამხედრო ლიანდაგებზე, რომლის ჩარჩოებში ხდებოდა გერმანიაში პირველი ავტობანების გაყვანა. ეს მშენებლობა ჯერ კიდევ 1928 წელს დაწყებულა

გერმანიაში — უკვე ვაიმარის რესპუბლიკის ხანაში. მას უპირველეს ყოვლისა სამხედრო დანიშნულება ჰქონდა. ამით იყო განპირობებული მასზე სახელმწიფო მეურვეობა. ნაცისტური რეჟიმის დროს ამ მშენებლობათა ხელმძღვანელად დაინიშნა ფრიც ტოდტი — ჰესთან და შპეერთად ერთად ჰიტლერის ყველაზე ახლობელი ადამიანი, შემდეგში „ოთხწლიანი გეგმის" ხელმძღვანელი და შეიარაღების მინისტრი. მის შესახებ ქვემოთ უფრო დაწვრილებით მოგითხრობთ. ავტობანზე საუბარს კი იმით დავამთავრებდით, რომ ის მოიცავდა ყოველი მიმართულებით 4 შვიდმეტრიან ბილიკს და მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე, მიუხედავად ფ. ტოდტის უჩვეულო ორგანიზატორული ნიჭისა და შრომისმოყვარეობისა, მაინც ვერ მოხერხდა 10.000 კმ-ის სიგრძის საერთო პროექტიდან 2,5 ათას კილომეტრზე მეტი სიგრძის გზის დაგება. ავტობანის პირველი მონაკვეთი დაიგო კელნსა და ბონს შორის 1932 წ.

პირველი ოთხწლიანი გეგმის შემოღება 1936 წლის 9 სექტემბერს გამოცხადდა ნაცისტური პარტიის მორიგ ყრილობაზე— ნიურნბერგში. ჰიტლერის სახელით და დავალებით გამოვიდა ბავარიის შინაგან საქმეთა მინისტრი ადოლფ ვაგნერი. მან „აუდიტორიას" გააცნო ჰიტლერის მიერ შედგენილი ტექსტი:

„მე (ჰიტლერი) გაცნობებთ თქვენ „ოთხწლიანი გეგმის მიღებას. ამ დროის განმავლობაში გერმანია უნდა შეიქნას ნედლეულისა და მოწყობილობების უცხო ქვეყნებიდან შემოტანისაგან თავისფალი ქვეყანა. მომავალში ყველაფერი ეს უნდა აწარმოოს ჩვენმა ქიმიურმა, მანქანათმშენებელმა და სამთო მადანმომპოვებელმა მრეწველობამ. გერმანიის ნედლეულით მრეწველობის დიადი გარდაქმნა სამუშაო ადგილებით უზრუნველყოფს მოსახლეობას. ამ გეგმის განხორციელება მოხდება ნაციონალურ-სოციალიზმის ენერგიისა და ძალის შემწეობით. მასვე უნდა დაემატოს ის, რომ გერმანიას არ ძალუძს უარი განაცხადოს თავისი კოლონიური მოთხოვნების შესრულებაზეც. გერმანელი ხალხის უფლება ცხოვრებაზე ისეთივე შეურყეველია, როგორც სხვა ხალხების უფლება.

აღნიშნული გეგმის აღსრულება ერთადერთ საკითხს წარმოადგენს ჩვენი გაბედულებისა და ენერგიის გამოვლენისას.ნაციონალ-სოციალისტებს არასოდეს აუღიარებიათ სიტყვა - „შეუძლებელი".[1]

საიმპერიო პასუხისმგებლობა „ოთხწლიანი გეგმის" შესრულებაზე დაეკისრა ჰერმან გერინგს, რომელიც დაინიშნა დაგეგმარების რაიხკომისრად. გეგმის წარმატებული რეალიზაციის მიზნით დაარსდა მონოპოლისტური კონცერნი — "ჰერმან გერინგი". მისი ძირითადი

[1] Энциклопедия третьего рейха. М., 1996, 515.

კაპიტალი 800 მლნ. მარკა იყო. თავდაპირველად „რკინის გერინგი" ენერგიულად შეუდგა საქმეს, მაგრამ მალე გაირკვა, რომ მისი ეკონომიკური და ფინანსური განათლება ვერ სწვდებოდა ოდნავ სიმაღლესაც კი. სამაგიეროდ ის წარმატებული იყო გავლენიან პირებთან დაპირისპირებისას (შახტი, ჰუჰენბერგი, გრაფი შვერინი), რის გამო ჰიტლერმა მას თავი უკრა იმპერიის თავდაცვის საბჭოში, ხოლო მის ნაცვლად „ოთხწლიანი გეგმის" საიმპერიო კომისრად დანიშნა ფრიც ტოდტი, რომელმაც საქმეს წარმატებით გაართვა თავი.

ჰიტლერის შემდეგი აქცია გახლდათ საიდუმლო პაემანი რაიხის ხელმძღვანელობასთან ბალტიის ზღვაზე, თითქოსდა მანევრებზე დასწრების მიზნით. ამის შესახებ ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი. ამ შეხვედრისას გადაწყდა, რომ ქვეყნის უმთავრესი შეიარაღებული ძალა იქნებოდა რაიხსვერი, რომელიც მალე — 16.03.35 — ვერმახტად გადაკეთდა. ეს სამხედრო რეფორმა განხორციელდა გენერლების — ბლომბერგის, ბეკისა და ფრიჩის ხელმძღვანელობით, რომლებიც ომის წინ თითქმის ერთდროულად გაუშვეს არმიიდან — ზოგიერთი შეთითხნილი ბრალდებებით, ზოგიც — იძულებით. მათგან ბლომბერგი 1936 წლიდან უკვე გენერალ-ფელდმარშალი გახლდათ.

საინტერესო უნდა ჩანდეს, თუ როგორი სურათი იქმნებოდა გერმანიაში ნაცისტების ხელისუფლების სათავეში მოსვლის პირველ წლებში. როგორი მემკვიდრეობა მიიღეს მათ ვაიმარის რესპუბლიკისაგან. ჯერ კიდევ მანამდე თავისი პარტიის პოპულარიზაციის მიზნით ჰიტლერმა დააწესა სხვადასხვა დონის პარტიული უჯრედები და ორგანიზაციები — დაწყებული ტერიტორიული პარტიული სტრუქტურებიდან — ე.წ. ბლოკიდან, დამთავრებული გაუ-თი. მათ სათავეში ედგნენ შესაბამისი დონის პარტიული ბოსები ანუ ხელმძღვანელები — ბლოკლაიტერი, ცელენლაიტერი, ორტოგრუპენლაიტერი, კრაისლაიტერი და ბოლოს გაულაიტერი. ამ უკანასკნელს უტოლდებოდა — „საზღვარგარეთელ გერმანელთა" შესატყვისი ორგანიზაციული გაულაიტერი ანუ „აუსლანდსორგანიზაციონ" გაულაიტერი.

თავდაპირველად გაუსტრუქტურები შემოიღეს ბავარიაში, მომდევნო პერიოდში კი გავრცელდა მთელს გერმანიაში. დასაწყისში მათი რიცხვი უმნიშვნელო იყო, 1932 წლისათვის 16, ხოლო ბოლოს — 42. მათი ადმინისტრაციული ცენტრები გახლდათ გერმანიის სხვადასხვა დიდ ქალაქში (კენისბერგში, ვენაში, მიუნხენში, დანციგში, ჰამბურგში და ა.შ.), გარდა ბერლინისა, რომელშიც სამი გაუს ცენტრი იყო — საკუთრივ ბერლინის, „აუსლანდსორგანიზაციონისა" და მარკბრანდერბურგის. მათ გაულაიტერებად ანუ სხვაგვარად რაიონულ პარტლიდერებად ყველგან ცნობილი ნაციონალ-სიციალისტები შეარჩიეს, მაგალითად,

იოზეფ გებელსი ბერლინში, „აუსლანდსორგანიზაციონის" — ერნსტ ვილჰელმ ბოლე, აღმოსავლეთ პრუსიის — ერიხ კოხი, ჰამბურგის — კარლ კაუფმანი, ვენის — ბალდურ ფონ შირაქი და სხვა. სხვათა შორის ვენაშიც ორი გაუს ცენტრი ყოფილა: საკუთრივ ვენისა და ქვემო დუნაის. გაულაიტერები (ისევე როგორც რაიხსლაიტერებიც) ჰიტლერის ერთადერთ მოადგილეს — რუდოლფ ჰესს - ექვემდებარებოდნენ.

ახლა თვით რაიხსლაიტერთა შესახებ. თუ გაულაიტერები ტერიტორიულ პარტიულ ხელმძღვანელებს წარმოადგენდნენ, რაიხსლაიტერები იყვნენ ქვეყნის დარგობრივი პარტიული ხელმძღვანელები. სხვაგვარად, თუ გერმანიას გრაფიკულად წარმოვიდგენთ — ჰორიზონტალურ, დიაგონალურ და ვერტიკალურ შტრიხებად დაყოფილს, ეს უკანასკნელნი (თუმცა საქმით პირველნი) იქნებოდნენ რაიხსლაიტერები, რომლებიც ფორმალურად ერთი საფეხურით უფრო მაღლა იდგნენ, ვიდრე გაულაიტერები. იყო მათი დუბლირების შემთხვევებიც, ასე მაგალითად, ი. გებელსი გაულაიტერიც იყო და რაიხსტაილერიც.

რაიხსლაიტერთა რიცხვი 20-ს შეადგენდა, ე.ი. გაულაიტერთა ნახევარზე ნაკლებს. რაიხსლაიტერები იყვნენ მაგალითად: რუდოლფ ჰესი, - ფიურერის მოადგილე გნსმპ-ის ხაზით, მარტინ ბორმანი — მისი შტაბის უფროსი, ი. გებელსი — რაიხის პროპაგანდის დარგის ხელმძღვანელი, მაქს ამანი — პარტიული გამომცემლობის უფროსი, ჰენრიხ ჰიმლერი - „სს"-ის რაიხსფიურერი, ვალტერ როზენბერგი — გნსმპ-ის საგარეო პოლიტიკის სამმართველოს უფროსი, ბალდურ ფონ შირაქი (იმავდროულად გაულაიტერიც) — ჰიტლერული ახალგაზრდობის უფროსი, ფრაც შვარცი — მთავარი ხაზინდარი და სხვა.

როდესაც ჰესი პარტიის ხაზით ჰიტლერის მოადგილე გახდა, იმის გამო, რომ რაიხსლაიტერები სხვებიც იყვნენ, ფიურერმა მას რაიხსლაიტერობა გაუუქმა — შენ მათი ხელმძღვანელი ხდებიო(!)...

ნაცისტურ გერმანიაში, რომელშიც დანერგილი იყო ფიურერიზმის პრინციპი, არსებობდა აგრეთვე დარგის თუ პროფესიული სამსახურის სფეროს ფიურერის ნომენკლატურაც. თითოეული მათგანი ერთადერთი იყო მთელს ქვეყანაში. სახელდობრ, ჰერმან გერინგი გახლდათ ავიაციის ფიურერი — რაიხსმარშლის წოდებით, ჰაინრიხ ჰიმლერი - „სს"-ის სფეროს ფიურერი - „სს"-ის რაიხსფიურერის ჩინით, ბალდურ ფონ შირაქი - „ჰიტლერიუგენდის" რაიხსფიურერი, რობერტ ლეი -„შრომის ფრონტის" ფიურერი და ა.შ.[1] სხვაგვარად რომ ვთქვათ — ნაცისტურ პარტიულ ფანტაზიას ჭეშმარიტად არ გააჩნდა საზღვრები.

---

[1] როგორც გაირკვა, ასეთივე ჩინი — რაიხსბაუერფიურერის — ჰქონია, სოფლის მეურნეობისა და სასურსათო მომარაგების მინისტრს 1944-1945 წწ. — პერბერტ ბაკესაც — დაბადებულს საქართველოში — ქ. ბათუმში (იხ. დანართი 4).

ადოლფ ჰიტლერს ვერავინ მიმართავდა, გარდა „მაინ ფიურერისა". მასთან „შენობით" ლაპარაკი ყველას ეკრძალებოდა, გარდა, შეიძლება თითებზე ჩამოსათვლელ პირებისა, ვთქვათ — ე. რემის, ჰ. ესერისა და კიდევ ერთი-ორის სახით, თუმც ბოლოს ამ პრივილეგიაზე მათაც უარი ეთქვათ.

ისე, მკითხველს ვთხოვთ, ყურადღება მიაქციოს ნაცგერმანია-სსრკ-ს პარალელებს — პარტიული სტრუქტურებისა თუ პარტიული სუბორდინაციის სფეროებში. ი. სტალინსაც ხომ ვერავინ მიმართავდა, თუ არ „ამხანაგო სტალინ"-ის გარდა. ყოველგვარი მითქმა-მოთქმა თითქოსდა „იოსებ ვისირიონოვიჩის" ანდა „კობას" არსებობის თაობაზე — მოგონილი და მოჩმახულია და მეტი არაფერი. თვით მოლოტოვიც კი იყენებდა - „Товарищ Сталин"-ის ფორმას.

ახლა, რამდენიმე სიტყვა იმ პარტიულ-ორგანიზაციულ სტრუქტურაზე, რომელსაც ზოგადად სს-ის სისტემა ქვია, თუმც პირველი და ყველაზე მრავალრიცხოვანი მათგან — სა (SA) ანუ Sturmabtailung-ი თვით სს-ის პირამიდაში არ შედიოდა. ალბათ, უფრო პირიქით. სწორედაც რომ სს-ის რაზმები გამოეყო სა-ს და მოგვიანებით თავისი ავტორიტარული სისტემა შექმნა, რომელსაც სათავეში სს-ის რაიხსფიურერი ჩაუდგა ჰ. ჰიმლერის სახით.

სა გახლდათ გნსმპ-ის ნახევრად გასამხედროებული შენაერთი. მის სანყის პერიოდად ითვლება 1921 წლის ზაფხული, უფრო ზუსტად აგვისტო, როდესაც ვერსალის ხელშეკრულებით მკაცრად რეგლამენტირებული საარმიო შენაერთების რიცხვობრივი შემადგენლობა მინიმუმამდე უნდა დაყვანილიყო ანუ 100.000 კაცამდე. გერმანიის მრავალმილიონიანი არმიის[1] აღნიშნულ ციფრამდე შეკვეცა იოლი საქმე არ იყო. უმუშევართა რიცხვი ისედაც კატასტროფულად დიდი გახლდათ. სად უნდა წასულიყო დემობილიზებულთა კატეგორია? და აი, გამოსავალი ვერსალის იმპერიტივისადმი თვალის ახვევასა და დეზინფორმაციაში გადაიზარდა. გერმანიაში დაიწყო ნახევრადგასამხედროებული ორგანიზაციების, სხვადასხვა სპორტული კავშირებისა და თავისუფალ თუ მოხალისეთა კორპუსების შექმნა, მაგალითად - „სატანვარჯიშო და სპორტული დივიზიონი", „მოხალისეთა კორპუსი" და სხვ.

მათ ბაზაზე — 1921 წლის 4 ნოემბერს შეიქმნა - პირველი ნახევრადგასამხედროებული რაზმი, რომელსაც ეწოდა „Strong-arm"-ი, ანუ ძალოვანი დანაყოფი. ის და, საერთოდ სს-ის სამსახური ჰიტლერის უდიდესი გამოგონება იყო. იგი შეიქმნა ჩამოყალიბების პროცესში მყოფი ახალგაზრდა პარტიისა და მისი შეკრებების, სხდომებისა და მიტინგების

[1] 1918 წლის ნოემბერში გერმანიას ფრონტზე ჰყავდა 184 დივიზია, ხოლო რეზერვში კიდევ 17

დაცვის მიზნით ომში გამოცდილ ყოფილ მეომართა ხარჯზე. ისინი ახალი დემობილიზებულები იყვნენ და არც კი იცოდნენ სად წასულიყვნენ და რით დასაქმებულიყვნენ. აბა, მუშტი-კრივსა და ხელჩართულ ჩხუბს მათზე უკეთ ვინ ჩაატარებდა? ტყვიებისთვის თვალში უშიშრად მაცქირალი და ჯანმრთელი მეომრებისათვის ბრძოლაში გამოუცდელი კომუნისტი წითელგვარდიელები და სოციალ-დემოკრატთა დამცველი რაზმელები — განა სერიოზული მოწინააღმდეგენი იქნებოდნენ? სა-ს რაზმელები ის გუნდი გახლდათ, რომლებმაც ჰიტლერის თხოვნით იწყეს გნსმპ-ის ინტერესებში — ქუჩის დაპყრობა, ნაციონალ-სოციალისტთა შეკრების ადგილთა აუდიტორული დაცვა და მათი სვლების, მარშებისა და მიტინგების დარაჯობა. მათი მკლავის შეუდრეკელი ძალის გამოყენების საფუძველზე ჰიტლერმა პარტიულ შეკრებებს მოხსნა შიშის ის სინდრომი, რომელიც პარტიის ხელმძღვანელობას (ა. დრექსლერი, კ. ჰარერი) ადრე ჰქონდა — ესაოდა, თავზე დაგვესხმებიან და გვცემენო. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ჰიტლერმა და ნაცისტებმა კომუნისტთა და სოციალ-დემოკრატთა წინააღმდეგ წარმატებით გამოიყენეს მათივე ნაცადი პრაქტიკა, რომელსაც ადრე პრაქტიკულად ვერავინ უწევდა წინააღმდეგობას, მით უმეტეს ნოემბრის რევოლუციისა და ბავარიის, საქსონიის, ტიურინგიისა და სხვა ტერიტორიებზე სხვადასხვა ჯურის საბჭოთა რესპუბლიკების არსებობისას, ზუსტად ისე, როგორც რუსები ამბობენ - „кдин клином выбывается".

სა-ს მოიერიშეებს თავისი უნიფორმა ჰქონდათ — ყავისფერისა — განსხვავებით მუსოლინის შავხალათიანებისაგან, ან თუ გნებავთ ამავე შავი ფერის სს-ის რაზმელებისაგან — გერმანიაში. მათი უპირველესი დანიშნულება იყო ფიზიკური ანგარიშსწორება პოლიტიკურ ოპონენტებთან, უწინარესად კი კომუნისტებთან და სოციალ-დემოკრატებთან.

სა თავდაპირველად მცირეოდენი რაზმი იყო. იგი დააფუძნა ჰიტლერმა მას შემდეგ, როდესაც 1920 წლის 1 აპრილს დატოვა არმია და მთელი ყურადღება პარტიაზე გადაიტანა. მისი პოლიტიკური სლოგანი აკი ისედაც იყო - „გადით ხალხში" („Go to the masses"). ამ პარტიულ მასას დაცვა სჭირდებოდა. დაცვის საუკეთესო საშუალება კი მტერზე და ოპონენტებზე თავდასხმა იყო. აი როგორ მიმართა მან აუდიტორიას კაფე „კინდლ კელერში" 1921 წლის 4 იანვარს: „ნაციონალ-სოციალისტური მოძრაობა მიუნხენში მომავალში დაუნდობლად აღკვეთს — თუ აუცილებელი შეიქნა ძალის გამოყენებითაც — ყველა მიტინგსა თუ ლექციას, რომელიც შეეცდებაო ჩვენი თანამემამულეების გზა-კვალის აბნევას".[1] მორჩა და გათავდა. ყველაფერი ნათელია. ამიტომ

[1] Bullock, op. cit., 47

იყო, რომ სა-ს სულ ადრე შიფრავდნენ, როგორც - „strong-arm squad" ანუ ძალდატანების რაზმს. როგორც უკვე ითქვა, თავდაპირველად მისი მეთაური გახლდათ — ემილ მორისი — ყოფილი პატიმარი და მესაათე, ულრიხ გრაფთან ერთად — სა-ს პირველი „ჯარისკაცები". ისინი ორთავენი იყვნენ „ძველი კამპფერები". მაგალითად, მორისს — გნსმპ-ის №19 პარტბილეთი გააჩნდა. ჰიტლერი ციხეში მას კარნახობდა პირველად „მაინ კამპფს". მალე, იმავე 1921 წლის 3 აგვისტოს მოხდა ე.წ. ტანვარჯიშისა და სპორტის დანაყოფების დაწესება. მას სხვა ფუნქციებთან ერთად ეკისრებოდა ნაცისტური მოძრაობის ინტერესების დაცვის მიზნით ძალის გამოყენება.

როდესაც გამარჯვებული ანტანტის მხარემ კატეგორიულად მოითხოვა ვერსალის სამხედრო სტატიების პრინციპული დაცვა, რომელიც კონკრეტულად უნდა გამოხატულიყო გასამხედროებული ორგანიზაციების ლიკვიდაციაში, ე. რემმა და მისმა თანამოაზრეებმა მოიგონეს ეს კამუფლიაჟი და დემობილიზებული ჯარისკაცების გაერთიანება გარეგნულად სამოქალაქო რაზმეულებში, რომელთაც ამჯერად უკვე პარტიის მოიერიშე რაზმები დაარქვეს - შტურმაბტაილუნგ-ის სახით. მათი რიცხვი სწრაფად იზრდებოდა და ამიტომ ახალი ლიდერი დაუნიშნეს — იოან ულრიხ კლინჩი. მაგრამ არც თუ დიდი დრო დასჭირდა მის რენტგენირებას: გაირკვა, რომ იგი ერჰარდის ბრიგადის ლეიტენანტი იყო და მონაწილეობდა მატიას ერცბერგერის მკვლელობაში, რომელმაც ხელი მოაწერა კომპიენის დაზავებას. ამიტომ, კლინჩი მალე გაათვალისუფლეს და მის ნაცვლად კაპიტანი პფეფერ ფონ სოლომონი დანიშნეს, ვიდრე იგი არ შეცვალა ბოლივიიდან ჰიტლერის მიერ გამოძახებულმა მაიორმა ერნსტ რემმა — 1931 წლის ზაფხულის დამდეგს. ასე რომ სა-ს ნამდვილი ისტორია მის სათავეში რემის დადგომიდან იწყება. მას სრულიად გამორჩეული ორგანიზატორული ნიჭი ჰქონდა. ჯერ იყოდა მათი რიცხვობრივი შემადგენლონა 3 მილიონ კაცამდე გაზარდა, მაგრამ რაც მთავარია, სა-ს მისცა სრულიად ახალი ორგანიზაციული სტრუქტურა. ეს ყველაფერი მაშინ, როდესაც რემის მოსვლამდე - „სა"- სულ 100 ათასამდე მებრძოლს ითვლიდა. ფორმალურად მისი ლიდერი 1930 წლიდან თვით ჰიტლერი იყო, რომლიც ცდილობდა ხელიდან არ გაეშვა მისი სადავეები.

სა-მ ბევრჯერ გამოიჩინა თავი. პირველი დიდი აქცია იყო- „ჰოფბრაუჰაუზის ბრძოლა" 1921 წლის ნოემბერში, ე.წ. „Saalschlact"-ის პროცესი წითლების წინააღმდეგ, რომელიც შემდეგ ლეგენდებით შეამკეს. აპოგეა კი გახლდათ კობურგის დღე 1922 წლის ოქტომბერში, როდესაც ჰიტლერი სა-ს 800 თავზეხელაღებული მებრძოლით სპეცმატარებლით ჩავიდა იქ, რათა დაპირისპირებოდა წითელრაზმელებს და სხვა მემარცხენეებს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სა-მ მომაკვდინებელი დარტყმა განიცადა ე.წ. „გრძელი დანების" ღამეს — 30.06.34, როდესაც ჰიტლერის ბრძანებითა და უშუალო მონაწილეობით მისი ხელმძღვანელობა ე. რემის ჩათვლით გაანადგურეს. ამის შემდეგ სა-ს შტაბის უფროსად დანიშნეს რემის მოადგილე ვიქტორ ლუტცე — სა-ს ობერფიურერი, სს-ის ობერგრუპენფიურერი და რაიხსტაგის წევრი, რომელიც 30 ივნისს ჰიტლერს ახლდა ბად-ვისაზეეში სადამსჯელო ოპერაციისას. ჩვენი ღრმა რწმენით 1943 წელს ვ. ლუტცეს დაღუპვა საავტომობილო ავარიაში ერნსტ რემის გადარჩენილ თანამოაზრეთაგან იყო ინსპირირებული. სხვაგვარად, როგორ უნდა წარმოვიდგინოთ სა-ს მეთაურის მანქანის ავარია, როდესაც მისი მოძრაობისას გზები ფაქტობრივად გადაკეტილი იყო და თან მისივე მანქანების მთელი დაცვა მისდევდა როგორც წინ, ისე უკან?...

1934 წლის იმ ავბედით ღამეს, როდესაც სა-ს ხელმძღვანელობას თავები წააცალეს და ვ. ლუტცე რემის ადგილზე დანიშნეს, ჰიტლერმა მას ახალი ინსტრუქცია დაუტოვა მოიერეშე რაზმელთა ქცევების თაობაზე. ამ ინსტრუქციის განხორციელების შემდეგ სა-ს თავგასულობა რამდენადმე შეწყდა. შემადგენლობაც მკვეთრად შემცირდა (1,2 მლნ-მდე დავიდა) და შეიზღუდა ე. რემის ოცნება — შეირაღებული ძალები შეეცვალა სახალხო არმიით (სა-ს სახით). მისი ეს იდეა სამუდამოდ დავიწყებას მიეცა და დარჩენილი მოიერიშე რაზმელები სინანულით იხსენებდნენ თავიანთ წარსულ დიდებას.

ამის სანაცვლოდ დაიწყო სს-ის არსებობა, რომელიც თავდაპირველად სა-ს შემადგენლობაში შედიოდა. 1929 წლის იანვარში, როდესაც ჰაინრიხ ჰიმლერი მის ხელმძღვანელად დაინიშნა, მასში სულ 280 მებრძოლი იყო. 1938 წლის ბოლოსათვის ეს რაოდენობა მან — 238.159 მებრძოლამდე აიყვანა. (კონრად ჰაიდენის ცნობით სს-ის რაზმები ჯერ კიდევ 1927 წლიდან არსებობდა).[1]

სს-ს ისტორია უშუალოდ დაკავშირებულია ჰიტლერის ციხიდან გამოსვლასთან. პარტიული საქმეების მოწესრიგებისთანავე 1924 წლის აპრილში მან სა-ს ერთ-ერთ აქტიურ წევრს — იულიუს შრეკს დაავალა მოეფიქრებინა პირადი გვარდიის ახალი დანაყოფის შექმნის გეგმა. სს-ი მალე პარტიის დაცვის სამსახურად ჩამოყალიბდა. აქედან მოდის სახელწოდებაც — Shutzstaffel და მისი აბრევიატურა — SS, რომელიც მრისხანების სიმბოლოდ იქცა. ერთის წამით დახუჭეთ თვალები და წარმოიდგინეღ უძლიერესი ელჭექის შტრიხები... ასეთივე შემზარავი იყო SS.

21 სექტემბერს ჰიტლერთან შეთანხმებით შრეკმა გამოსცა

[1] Гейден, 258

ცირკულიარი, რომელიც უბრძანებდა გნსმპ-ის ყველა ადგილობრივ ორგანიზაციას, 10-10 მებრძოლის შემადგენლობით შეექმნა დაცვის სამსახური. გამონაკლისი იყო მიუნხენი და ბერლინი. ეს ჯგუფები ადმინისტრაციულად სა-ს დაქვემდებარებაში ირიცხებოდნენ და ხელფასსაც იქიდან იღებდნენ. ნოემბრამდე ისინი ემორჩილებოდნენ სა-ს შტაბის უფროსს, ხოლო ნოემბრიდან შემოიღეს სს-ის რაიხსფიურერის თანამდებობდა. რაიხსფიურერად დაინიშნა „ადოლფ ჰიტლერის დამკვრელი რაზმის" მეთაური, მაიორი იოზეფ ბერხტოლდი. ჰიტლერი პირადად აკონტროლებდა ახალ შენაერთს და მისი ავტორიტეტის ამაღლების მიზნით პარტიულ ყრილობაზე ნიურნბერგში თვითონ გადასცა მათ ე.წ. „სისხლის დროშა", რაც დაახლოებით ნიშნავდა ბრძანებას - „სწორება სს-ზე".

როგორც ჩანს ი. ბერხტოლდმა თავი ვერ გაართვა მასზე დაკისრებულ მოვალეობას, რის გამო უკვე მომდევნო წელს იგი შეცვალა ერჰარდ ჰაიდენმა, რომელიც ასევე ვერ გამოდგა მაინცდამაინც ფხიანი, რის გამო 1929 წლის 6 იანვარს სს-ის რაიხსფიურერის პოსტს ახალი პატრონი გაუჩნდა. ეს გახლდათ ბავარიის გაულაიტერი და მიუნხენის პოლიცაი — პრეზიდენტი ჰაინრიხ ჰიმლერი — ადრე გრეგორ შტრაისერის მდივანი (მსგავსად ი. გებელსისა). იგი მაშინ მხოლოდ 29 წლისა იყო და გნსმპ-ში მხოლო 1925 წლიდან ირიცხებოდა.

ჰიტლერის პირად გვარდიად ნავარაუდევი ეს სამხედრო დანაყოფი ჰიმლერმა ფაქტობრივად საკუთარ გვარდიად აქცია და თავის ინტელექტუალურ ცნობიერებას დაუქვემდებარა. ჯერ იყო და, მან ჰიტლერი დაითანხმა სს-ის ფორმად შავი ფერი შემოელოთ, რის გამოც მას „შავი ორდენი" უწოდეს, შემდეგ კი ისეთი ჩვევები და ქცევები დაუწესეს, რომლებიც ინკვიზიციისა და შუა საუკუნეების ტრადიციათა არქივებს მიეკუთვნებოდა — ე.ი. სტანდარტული სიმაღლე, არიული წარმოსახვის აღნაგობა და ცისფერი თვალები, თავის ქალის გამოსახულებიანი ვერცხლის ბეჭედი, საპატიო ხმლები, რუნიკური ანუ ძველი სკანდინავიური სიმბოლოები და სხვ.

ყველაზე შთამბეჭდავი მაინც ის მისტიური რიტუალი გახლდათ, რომელიც დაწვსებული იყო სს-ის რიგებში შესვლასთან. ზოგად ნორმებთან ერთად იგი ძველ ნორდიკულ ტრადიციებზე იყო დამყარებული და ცალკეულ შემთხვევებში ინდივიდუალური ხასიათისაც გახლდათ. რიტუალი მეორდებოდა ოფიცრის მორიგი წოდების მიღებისას. თავად წოდება კი განსხვავდებოდა როგორც საერთო სამხედრო ჩინებისა, ისე — პარტიული და საპოლიციო წოდებებისაგან.

სამხედრო წოდებები	სს-ის წოდებები	პარტიული წოდებები	საპოლიციო წოდებები
1. გენერალ-ფელდმარშალი	სს-ის რაიხსფიურერი	რაიხსლაიტერი	გენერალ ობერსტ დერ
2. გენერალ ობერსტი	ობერსტგრუპენფიურერი	–	პოლიცაი
3. გენერალ-პოლკოვნიკი	ობერგრუპენფიურერი	გაულაიტერი	გენერალ დერ პოლიცაი
4. გენერალ-ლეიტენანტი	გრუპენფიურერი	–	გენერალ-ლეიტენანტ დერ ოლიცაი
5. გენერალ-მაიორი	ბრიგადენფიურერი	–	გენერალ-მაიორ დერ პოლიცაი
6. ობერსტი	ობერფიურერი	–	ობერსტ დერ შუტპოლიცაი
7. ობერსტი	შტანდარტენფიურერი	–	რაიხსკრიმინალ დირექტორი
8. ობერსტლეიტენანტი	ობერშტურბანფიურერი	კრაისლაიტერი	ჟანდარმერიის ობერსტლეიტენანტი
9. მაიორი	შტურბანფიურერი	–	ჟანდარმერიის მაიორი
10. გაუპტმანი	გაუპტშტურმფიურერი	ორსტგრუპენლაიტერი	ჟანდარმერიის გაუპტმანი
11. ობერლეიტენანტი	ობერშტურმფიურერი	ცელენტლაიტერი	ჟანდარმერიის ობერლეიტენანტი
12. ლეიტენანტი	უნტერშტურმანფიურერი	ბლოკლაიტერი	ჟანდარმერიის ლეიტენანტი
13. შტაბსფელდფებელი	შტურმშარფიურერი	გაუპტბერაიტშაფტსლაიტერი	მაისტერი
14. გაუპტფელდფებელი	შტაბსშარფიურერი	გაუპტბერაიტშაფტსლაიტერი	გაუპტვახტმაისტერი
15. ფელდფებელი	ობერშარფიურერი	ბრეიტშავტსლაიტერი	კომპანიეგაუპტვახტსმაისტერი
16. უნტერფელდფებელი	შარფიურერი	–	რევიერობერხტმაისტერი
17. უნტეროფიცერი	უნტერშარფიურერი	გაუპტარბაიტსლაიტერი	ობერვახტმაისტერი
18. ეფრეიტორი	როტენფიურერი	ობერარბაიტსლაიტერი	ეახტმაისტერი
19. ობერშუტცე	შტურმანი	არბაიტსლაიტერი	როტვახმაისტერი
20. შუტცე	მანი	პელფერი	უნტერვახმაისტერი ანვერტერი

აი, ასეთი გახლავთ დარგობრივი წოდებების რელატიური სქემები. იმ მიზნით, რომ საბოლოოდ გამოეთავისუფლებინა სს-ი — სა-ს დაქვემდებარებისაგან ჰიტლერმა შემოიღო პირველი მათგანის ახალი საორგანიზაციო სტრუქტურა, რომელიც განმარტავდა, რომ სა-ს ვერცერთი მეთაური ვეღარ გასცემდა ბრძანებას სს-ის მისამართით. თვით სს-ი შემდეგნაირ სქემად იყოფოდა: ყველაზე დაბალ რგოლს შეადგენდა დანაყოფი ანუ შარი, რომელსაც მეთაურობდა — ობერშარფიურერი; ყოველი სამი რაზმი შეადგენდა „შტურმს" — 70-120 მეომრის რაოდენობით და ობერშტურმფიურერის მეთაურობით; ასევე მომდევნო კიდევ სამი ანდა ოთხი შტურმი ჰქმნიდა - „შტურმბანეს" — 250-600 კაცის შემადგენლობით და შტურმბანფიურერის წინამძღოლობით, ხოლო კიდევ სამი შტურმბანე (შეიძლებოდა ოთხიც) ჰქმნიდნენ - „შტანდარტენს" — 1.000-3.000 მეომრის შემადგენლობით, შტანდარტენფიურერის მეთაურობით; რამდენიმე „შტანდარტენი" (იგივე 3-4) — უკვე აყალიბებდა - „აბშნიტს" დაახლოებით ბრიგადის მოცულობით და ბრიგადენფიურერის ხელმძღვანელობით, და ბოლოს — რამდენიმე „აბშნიტი" შეადგენდა „ჯგუფს" (იგივე დივიზიას) — გრუპენფიურერის ანუ სხვა შემთხვევაში გენერალ-ლეიტენანტის უფროსობით.

მოგვიანებით, როდესაც სს-ის ჯარების შემადგენლობა უსაშველოდ გაიზარდა, ზემოხსენებული „ჯგუფის" 2-3 ერთეული შეადგენდა კორპუსს, რომლის კიდევ უფრო ზემოთ იქმნებოდა საარმიო ჯგუფი ან არმია, რომლებსაც ობერგრუპენფიურერები და ობერსტგრუპენფიურერები მეთაურობდნენ.

რაც შეეხება სს-ის საარმიო შემადგენლობის ზრდას, ეს კონტიგენტი ასეთ სურათს იძლეოდა: როგორც ზემოთაც აღინიშნა — 1929 წელს მისი რიცხვი იყო — 280; 1930 წელს — 2.727; 1931 წელს — 14.964; 1932 წელს — 30.000; 1933 — 52 ათასი და ა.შ. ვიდრე 1938 წელს — 234 ათასს არ გადააჭარბა. ეს ყველაფერი ჰიმლერის დამსახურება გახლდათ.

ახლა გვინდა მკითხველის ყურადღება მივაპყროთ იმ გარემოებას, რომ რეგულარული შეიარაღებული ძალების გარდა ნაცისტურ გერმანიას იარაღის ქვეშ — სს-ისა და სა-ს კიდევ 3-3,5 მლნ. ჯარისკაცი და ოფიცერი ჰყავდა!... და ეს ხდებოდა ომის შემდგომ მიწასთან გასწორებულ ქვეყანაში, რომელსაც ამასთან ერთად სხვა უამრავი პრობლემაც ჰქონდა.

შეიარაღებულ ძალთა ესოდენ მრავალი დარგობრივი დანაყოფის არსებობა დადებითიც იყო და უარყოფითიც. ამ უკანასკნელთა კატეგორიაში წარმოიდგინება მათ შორის არსებული დაპირისპირებებიც,

რაც ცალკეულ შემთხვევებში შეიარაღებული კონფლიქტების საშიშროებას წარმოშობდა. ასე მაგალითად, 1930 წლის 30 აგვისტოს სა-სა და სს-ის რაზმები იარაღით ხელში დაუპირისპირდნენ ერთმანეთს და რომ არა ჰიტლერის პირადი ჩარევა — სისხლი დაიღვრებოდა. აღნიშნულის შთაბეჭდილებით ჰიტლერმა ჯერ იყო და კიდევ უფრო პრივატული სამხედრო რაზმი შექმნა - „ლეიბშტანდარტ სს — ადოლფ ჰიტლერი" — იოზეფ (ზეპ) დიტრიხის მეთაურობით, ხოლო მოგვიანებით, კერძოდ 1934 წლის 20 ივლისს, გამოსცა ბრძანება, რომლის მიხედვით სს-ი სრულიად დამოუკიდებელ ორგანიზაციად გამოაცხადა გნსმპ-ს ჩარჩოებში, ხოლო მათი — ე.ი. სს-ისა და სა-ს ხელმძღვანელობა თავად დაიქვემდებარა. ჰიმლერი კი მხოლოდ და მხოლოდ ჰიტლერს ემორჩილებოდა.

არანაკლებ საინტერესო და სიმბოლური გახლდათ სს-ის რიგების შევსების ტრადიცია. ამ მიზნით ჯერ კიდევ 1933 წლიდან დაარსდა სპეციალური სკოლები, რომლებშიც ღებულობდნენ რასობრივი თვალსაზრისით შერჩეულ ახალგაზრდებს - „ჰიტლერიუგენდიდან" — უკვე 10 წლის ასაკიდან. ამასთანავე არსებობდა არამარტო ვაჟების სკოლები, არამედ გოგონებისაც. ორთავე სქესის ახალგაზრდებისათვის მთელს გერმანიაში — 40-ზე მეტი ასეთი სკოლა იყო, მაგრამ როგორც ჩანს, სს-ის რიგების შევსების კიდევ სხვა გზებიც ყოფილა. აღნიშნულ სკოლებში ჩვეულებრივი საგნების გარდა ფიზკულტურის გაძლიერებულ კურსთან ერთად ნაციონალ-სოციალისტური მსოფლმხედველობაც ისწავლებოდა.

18 წლის ასაკის შესრულებისას ე.წ. ლუდხანის პუტჩის მორიგი წლისთავის დღეს, სს-ის წევრობის კანდიდატები დებდნენ ფიცს და ღებულობდნენ მუდმივ მოწმობას, რომლის საფუძველზე ისინი ხდებოდნენ სს-ის წევრები ჰიტლერის დაბადების დღეს — 20 აპრილს. ფიცის დადების ცერემონია ტარდებოდა ნაშუალამევს, ათასობით ჩირაღდნის შუქზე.

მათი რიტუალური აღზრდა-განათლება ამით არ მთავრდებოდა. ამის შემდეგ მოდიოდა ცოლის თხოვისა და ოჯახის შექმნის არანაკლებ სტანდარტული წესები, რომლებიც ზემოდან საზღვრავდნენ ამ ტრადიციის ჩარჩოებს. იყველაზე საგრძნობი „სიახლე" იმაში გამოიხატებოდა, რომ სს-ელი ეკლესიაში კი არ ქორწინდებოდა, არამედ საკუთარ ოჯახში, სავალდებულოდ თავისი პოლკის მეთაურის თანდასწრებით და რაც ყველაზე მეტად აუცილებელი გახლდათ — ჰიტლერის სურათისა და „მაინ კამპფის" გარემოცვაში. იყო საუბარი იმის თაობაზეც, რომ გერმანელი ხალხის უფრო სწრაფად გამრავლების ინტერესებში „ათასწლოვანი რაიხის" შექმნის შემდეგ, შემოღებული ყოფილიყო ორცოლიანობა, რაც

თითქოსდა წინასაქრისტიანო ხანაში მათ უძველეს წინაპრებს ჰქონიათ.

ზემოთ ითქვა, რომ 1933 წელს, ჰიტლერის პირადი დაცვის გაძლიერების მიზნით შეიქმნა სს-ის კიდევ ერთი დანაყოფი — Leibstandarte – SS Adolf Hitler-ი გრუპენფიურერ იოზეფ (ზეპ) დიტრიხის მეთაურობით. თავდაპირველად ეს იყო დაცვის ოცეული — შტაბსვახე, რომელიც შემდეგ გადაკეთდა დაცვის ქვედანაყოფად — შტოსტრუპედ, მიტინგებისა და კრებების დასაცავად და ბოლოს შეიქმნა „ლეიბშტანდარტი" — უკვე თვით ფიურერის პირადი გვარდია.

ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ სახელმწიფო კანცელარიისა და ჰიტლერის ირგვლივ დაწესდა დაცვის სამი კორდონი — თითოეულში 40-50 მებრძოლის მონაწილეობით, რომელიც მექანიკურად გადაადგილდებოდა ჰიტლერის სხვადასხვა რეზიდენციაში — იქნებოდა ეს ბერგჰოფი ობერზალცბურგში, ბავარიის მთიან კურორტ ბერხტსგადენის მიდამოებში, სადაც ადრე მდებარეობდა ჰიტლერის სახლი ვახენფელდი, რომელიც მან შეიძინა „მაინ-კამპფის" ტირაჟირებისა და გაყიდვის გზით, თუ აღმოსავლეთ პრუსიაში ომის დაწყების შემდეგ აგებული რეზიდენცია, ე.წ. „ვოლფშანცე". აღნიშნული სახლი, მოგვიანებით უკვე რეკონსტრუქციის და მშენებლობის დამთავრების შემდეგ — 13 სართულიანი იყო. მათგან მხოლოდ ერთი გახლდათ მიწის ზემოთ. ყველაზე შთამბეჭდავი დიდი მისაღები ოთახი იყო, რომელიც უშველებელი, მთელი კედლის სიგრძის პანორამული სარკმლით გადიოდა ჩრდილო-აღმოსავლეთ მხარეზე, საიდანაც იშლებოდა ფანტასტიკური ხედი ზემო ავსტრიის (საკურორტო ქალაქ ზალცბურგის მიდამოების), რომლის მიყრუებული მთიანი რაიონის ორთავე მხრიდან ჰიტლერის საგვარეულოს სოფლები იყო დასახლებული. „ეს ხედი მე მილიონებად მიღირსო," — თავმომწონედ აცხადებდა სახლის მეპატრონე, რომელიც ბერგჰოფში ყოფნისას გამუდმებით დასეირნობდა ვრცელ ღია ვერანდაზე, რომელიც სახლს იმავე მხრიდან ჰქონდა მიდგმული. ამ სახლის თავზე აღმართული იყო გასაიდუმლოებული ლიფტიანი იმპონზატური კოშკი - „არწივის ბუდე", სადაც თავისი შავბნელი გეგმების გასააზრებლად ხშირად განმარტოვდებოდა ხოლმე ჰიტლერი.

ბერგჰოფს კიდევ უფრო მრავალრიცხოვანი დანაყოფი იცავდა — 2.000-მდე კაცი. ისინი ჰქმნიდნენ საფორტიფიკაციო ნაგებობათა ხუთ(!) წრეს. ამიტომ იყო გავრცელებული იუმორი: არწივები ჩივიან, სხვაგან უნდა გადავსახლდეთ. ჩვენ ძირს დასაშვები მიწა აღარ დაგვიტოვეს, ყველაფერი მიითვისესო.

„ლეიბშანდარტის" გარდა და მის პარალელურად სს-ის სისტემაში არსებობდა აგრეთვე - „მკვდარი თავის", „ალგემაინე-სს-ის", „ვაფენ-სს-ის", „აინზატცაგრუპის" და „ზონდერკომანდოს" დანაყოფები.

პირველი მათგანი — Totenkopf-SS, SSTV — შექმნილი იყო 1934 წელს, საკონცენტრაციო ბანაკების დასაცავად. მას ხელმძღვანელობდა გაუგონარი კაციჭამია, სს-ის ჯარების ობერგრუპენფიურერი — თეოდორ ეიკე, შემდგომში დახაუს საკოცენტრაციო ბანაკის შემქმნელი და მისი პირველი კომენდანტი. მან პირადად მოამზადა „გრძელი დანების ღამის" ოპერაცია და სხვებთან ერთად მოიყვანა იგი სისრულეში. ეს მან — თეოდორ ეიკემ ესროლა ჰიტლერის ბრძანებით ტყვია ერნსტ რემს და შემდეგ ამ ამბით თავს იქებდა - „ეგეც თქვენი რემიო". სხვების მიმართ ძაღლივით მიმართული არაადამიანი ძაღლივითვე დაიღუპა, დაიწვა 1943 წლის 26 თებერვალს ბელორუსიის ციდან ჩამოგდებულ თვითმფრინავში. ჰიტლერმა „მკვდარი თავის" დივიზიის ერთ პოლკს მისი სახელი დაარქვა.

რაც შეეხება ზემოხსენებულ ქვედანაყოფებს - „ალგემაიანე-სს", „ვაფენ-სს", „აინზატცგრუპსა" და „ზონდერკომანდოს" — ისინი ერთი საერთო საქმის სხვადასხვა ფუნქციას ასრულებდნენ — დაწყებული საერთო-საჯარისოდან, ფედერალურ მიწათა ადმინისტრაციების დაცვით დამთავრებული.

სს-ისავე პირამიდას იეკუთვნებოდა მისი საიდუმლო სამსახურის დანაყოფი — სდ (SD, Sicherheitsdienst). ის ასრულებდა დაზვერვით ფუნქციებს, ფორმალურად წარმოადგენდა გნსმპ-ს განყოფილებას და ექვემდებარებოდა ჰიტლერის მოადგილეს — რუდოლფ ჰესსა და მისი შტაბის მეთაურს — მარტინ ბორმანს. სდ-ს პირდაპირი უფროსი იყო ჰიმლერი, ხოლო უშუალო — რეინგარდ ჰეიდრიხი — ნაცისტური გერმანიის ერთ-ერთი ყველაზე ბნელი ფიგურა, რომელიც მეორე მსოფლიო ომის დაწყებისას გადაიყვანეს იმხანად შექმნილ საიმპერიო უშიშროების მთავარი სამმართველოს, ე.ნ. რსჰა-ა (RSHA-s) უფროსად, რომელშიც თვით სდ შედიოდა ერთ-ერთ (მე-6) განყოფილებად. მის უფროსად 1941 წლის 22 ივნისამდე მუშაობდა — ჰანს იოსტი — სს-ის ბრიგადენფიურერი, ხოლო მის შემდეგ, ცნობილი ვალტერ შელენბერგი — სრულიად ახალგაზრდა ოფიცერი (დაბ. 1910წ.) ჰიტლერის ერთ-ერთი ფავორიტი, რომელსაც ის უმნიშვნელოვანეს დავალებებს (მაგალითად, ინგლისის ყოფილი მეფის — ედუარდ VIII-ის გამოტაცებას ესპანეთ-პორტუგალიიდან 1940 წელს) აძლევდა და 1942 წელს პრაღაში რაინგარდ ჰეიდრიხის მკვლელობის შემდეგ, დანიშვნას უპირებდა რსჰა-ს უფროსად, თუმცა ამაში მისმა „ბალღურმა" ასაკმა შეუშალა ხელი. არც ის გახლავთ დასამალი, რომ შელენბერგი ჰიმლერის ფავორიტიც იყო და გვერდიდან არ იშორებდა.

შელენბერგის დროს სდ ფაქტობრივად დამოუკიდებელი სამსახური გახდა. მათი უნიფორმაც კი განსხვავებული იყო სს-ს ფორმისგან: მასში

აქა-იქ მიხაკისფერი და წითელი ერეოდა, მარცხება მკლავზე წითელ არშიაში ჩასმული იყო შავი სვასტიკის გამოსახულება, ჩინი კი საყელოს მხოლოდ მარცხენა ნაწილზე აღინიშნებოდა. სდ-ს განკარგულებაში იყო ფართოდ განტოტებული სააგენტურო ქსელი ქვეყნის შიგნითა და საზღვარგარეთ. რსჰა-ს არცერთ სამმართველოს (მათი რიცხვი კი 7-ს შეადგენდა) არ გააჩნდა ისეთი დიდი დაფინანსება, როგორიც ეს ჰქონდა სდ-ს. მისი სააგენტო ქსელი ხუთ კატეგორიად იყოფოდა: პირველი იყო — საიდუმლო აგენტურა (Vertauensleute), შემდეგ აგენტები (Agenten), ინფორმატორები (Lubringer), ინფორმატორთა თანაშემწეები (Helfershelfer) და არასაიმედონი (Unzuverlassige).

მართალია, ქვეყნის შიგნით მის მიერ გამოვლენილ უცხოურ აგენტურას უმთავრესად გესტაპო აპატიმრებდა, მაგრამ სდ-საც ჰყავდა თავისი დარგობრივი პოლიცია - ზიპო (SIPO-Sicherheispolizei), რომელსაც რსჰა-ში გადასვლამდე სდ-სთან ერთად რ. ჰეიდრიხი ხელმძღვანელობდა.

კიდევ ერთი ანალოგიური ტიპის სამმართველო არსებობდა რსჰა-ში. ის გახლდათ ე.წ. კრიპო (Cripo) — მისი V სამმართველო, რომელიც სისხლის სამართლის საქმეებს იძიებდა და იმავდროულად აკონტროლებდა შინაგან საქმეთა სამინისტროს კრიმინალურ ძიებათა საქმიანობას. დაარსებიდან (1940 წელი) 1944 წლის ზაფხულში 20 ივლისს შეთქმულებაში მონაწილეობის გამო, მის დაპატიმრებამდე კრიპოს ხელმძღვანელი იყო ობერგრუპენფიუერერი არტურ ნებე, რომელიც შემდგომ შეცვალა ფრიდრიხ პატცინგერმა — სს-ის ბრიგადენფიუერერმა და გესტაპოს ერთ-ერთი განყოფილების უფროსმა.

ამჟამად კი, ვიდრე რსჰა-ს შედარებით დაწვრილებით განხილვას შევუდგებოდეთ, გვინდა თვით გესტაპოს ანატომია წარმოვადგინოთ. ის ბევრად ადრე წარმოიქმნა ვიდრე რსჰა დაარსდებოდა. მის ნათლიმამად ჰერმან გერინგი წარმოიდგინება. მან პრუსიის შინაგან საქმეთა მინისტრად დანიშვნისთანავე — 1933 წლის 26 აპრილს გამოსცა დეკრეტი, რომლის საფუძველზე იქმნებოდა საიდუმლო სახელმწიფო პოლიცია ანუ Geheime Staatspoliziei, აბრევიატურით — Gestapo (გესტაპო).

ამ გარემოებას ხელი შეუწყო სახელმწიფოში ნაციონალ-სოციალ-ისტების მიერ 1 და 7 აპრილს განხორციელებულმა კანონმდებლობამ ლანტაგების ანუ მიწების პარლამენტთა გაუქმების შესახებ. ეს განხორციელდა პრუსიის გარდა ყველგან. დასახელებულ ლანტაგთა ნაცვლად შეიქმნა გუბერნატორთა საიმპერიო საბჭო ანუ ე.წ. Reichsstathalter-ატი, რომელიც უშუალოდ რაიხსკანცლერს დაექვემდებარა. ამგვარადო, მიანიშნებს ჟ. დელარიუ თავის წიგნში „გესტაპო", „ერთი ხელის მოსმით გასრულდა ცენტრალიზაცია".

ჩვენის აზრით, გერინგმა გესტაპო მეტწილ ჰიმლერის წინააღმდეგ

შექმნა, რომლის აღზევებას იგი მტკივნეულად განიცდიდა და შურის თვალით უყურებდა. ეს ჩვენი მოსაზრება იმითაც დასტურდება, რომ მან თავის მოადგილედ რუდოლფ დილსი დანიშნა, რამეთუ თვითონ გესტაპოს ხელმძღვანელობისათვის არც კი ეცალა. უთუოდ ამით იყო განპირობებული ის გარემოება, რომ 1936 წლისათვის, როდესაც გერინგი ოთხწლიანი გეგმის შემსრულებელ კომისრად დაინიშნა, ჰიმლერმა იმ დროისათვის მოახერხა გესტაპოს დამორჩილება მთელი გერმანიის მასშტაბით. 1936 წლის ზაფხულისათვის გესტაპომ დაიმკვიდრა სახელმწიფო სტატუსი, რომლის ძალით მან მიიღო საკოცენტრაციო ბანაკებზე კონტროლის უფლება.

გესტაპოს დაარსებიდან მესამე რაიხის დამსხვრევამდე და ლიკვიდაციამდე მისი ხელმძღვანელი იყო – ჰაინრიხ მიულერი — მიუნხენის კრიმინალური პოლიციის ყოფილი წამყვანი თანამშრომელი, რომელიც ისეთივე ერთგულებით ემსახურებოდა ნაციონალ-სოციალისტებს მათ მიერ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, როგორც ებრძოდა მათ მანამდე. სს-ის რაიხსფიურერმა ჰ. ჰიმლერმა შეამჩნია მისი ნიჭი და გესტაპოს უფროსად დანიშნა, თუმცა თვით გნსმპ-ში მიღებაზე უარს ეუბნებოდნენ (ეს გახლდათ სრულიად უპრეცედენტო შემთხვევა ნაცისტურ გერმანიაში). მკითხველს ვთხოვთ დაიმახსოვროს მისი სახელი და გვარი (თუმცა ალბათ ისედაც ახსოვს კინოფილმიდან -„გაზაფხულის 17 გაელვება"), რამეთუ გერმანიის მაღალჩინოსანთაგან იგი თითქმის ერთადერთია, ვინც გაუჩინარდა და რომლის კვალს ვერა და ვერ მიაგნეს ომის შემდეგ.[1]

დასასრულს, გესტაპოსთან დაკავშირებით, გვინდა მკითხველმა ისიც იცოდეს, თუ რას ამბობდა საღად მოაზროვნე გერმანელი ნაცისტურ გერმანიაში: ჩვენს ქვეყანაში სამი ჯოჯოხეთიაო — ჰიტლერი, ჰიმლერი და გესტაპო!... ან კიდევ: „მსოფლიოში არ არსებობს მეტად ბოროტი სამი სიტყვა, ქცეული ერთად - „გესტაპო".

ახლა გვსურს კიდევ ერთ უბედურებაზე ვისაუბროთ. ეს არის RSHA, ანუ საიმპერიო უშიშროების მთავარი სამმართველო, რომელშიც შედიოდა თვით გესტაპოც. იგი მეორე მსოფლიო ომის დაწყებისთანავე 1939 წლის 27 სექტემბერს შეიქმნა და იმთავითვე ხელმძღვანელად მოევლინა ჰიმლერის მარჯვენა ხელი, მესამე რაიხის სუპერჯალათი — რაინგარდ ჰეიდრიხი. იგი 1942 წლის მაისში მოკლეს ჩეხმა პატრიოტებმა პრაღაში. შემდეგში იგი შეცვალა ერნსტ კალტენბრუნერმა, თუმცა როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, საუბარი იყო ვალტერ შელენბერგზეც. კალტენბრუნერი ავსტრიელი იყო და როგორც ჩანს, ჰიტლერმა მისი

[1] თუმც, როგორც ზემოთაც ითქვა ახალი ვერსიით თითქოსდა ჰ. მიულერი აშშ-ში გაპარულა და იქ ორტომიანი მემუარებიც კი გამოუცია, რომელიც ითარგმნა რუსულადაც.

წარმოშობით იხელმძღვანელა. ის 1935 წლიდან ხელმძღვანელობდა ავსტრიის სს-ს და იყო სს-ის გრუპენფიურერი. 1943 წლის იანვარში ერთდროულად დაინიშნა გერმანიის სს-ის სამსახურის - სდ-ს, ზიპოსა და რსჰა-ს უფროსად. სხვებთან შედარებით ახალგაზრდა ასაკის კაცი (დაბ. 1903 წელს), გამოუსწორებელი ალკოჰოლიკი იყო, ამასთან დღეში 100-მდე ღერ სიგარეტს ეწეოდა.

რსჰა შედგებოდა 7 სამმართველოსგან, რომელთაგან ჩვენთვის ყველაზე საინტერესოა — IV და VI. პირველი გესტაპო იყო, მეორე კი უშიშროების სამსახური ანუ სდ. ორივე მათგანი გნსმპ-ს სტრუქტურას წარმოადგენდა და შესაბამისად რუდოლფ ჰესსა და მარტინ ბორმანს ემორჩილებოდნენ. სდ ინფორმაციას კრებდა, გესტაპო კი აპატიმრებდა „დამნაშავეებს", თუმცა მათთვის უცხო არც დამოუკიდებელი ოპერაციები იყო. არნახულად მასშტაბური იყო მათი ინფორმაციები. ასე მაგალითად, ჯერ მარტო პოლონეთის შემთხვევაში შელენბერგის სდ-მ 67 ათას კაცზე შეაგროვა „მამხილებელი მასალები".

სხვა სამმართველოები დაკავებულნი იყვნენ — ადმინისტრაციული და იურიდიული საკითხებით (1-ლი); ფსიქოლოგიური ომის საწარმოებელი მასალების ანალიზით (მე-2); საზოგადოებისა და პარტიის შინაგანი ცხოვრების უმნიშვნელოვანეს სფეროთა კონტროლით (მე-3 ანუ სდ-ინლანდი); რაიხის კრიმინალური პოლიციით (მე-5) და ა.შ.

1940 წლის შემოდგომაზე რსჰა-მ ორგანიზაციული ტრანსფორმაცია განიცადა. ნაწილობრივ შეცვალა სამმართველოთა საქმიანობის პროფილები, თუმცა თვით რსჰა-ს მთავარი ამოცანა არ შეუცვლია, კერძოდ მაქსიმალურად გაეფართოებინა კონტროლი დაპყრობილ ტერიტორიებზე — ზიპოსა და სდ-ს საქმიანობის კოორდინაციით.

საერთოდ, 1933-1939 წწ, ანუ ნაციონალ-სოციალიზმის ხელისუფლებაში მოსვლიდან მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე პერიოდს ერნსტ ნოლტე ახასიათებს როგორც დროს, როდესაც ძველი ინსტიტუტები ახალი პოლიტიკურ-სოციალური ინსტიტუტებით შეიცვალა და დამკვიდრდა. ამ პერიოდში კათოლიკურმა ეკლესიამ, ცალკეული დანაკარგებისა და პრესტიჟის ერთგვარი შეურაცყოფის მიუხედავად, მაინც შეინარჩუნა თავისი პოზიცია, დაახლოებით ისევე, როგორც ეს მოხდაო საგარეო საქმეთა სამინისტროს შემთხვევაში.[1] ყველა სხვასთან დაკავშირებით სა ცდილობდა რაიხსვერის „გადაჯოგრვას", სს-ი პოლიციისას, გაულაიტერებისა, რაიხსლაიტერებისა, სახელმწიფო ადმინისტრაციებისა და ა.შ. მაგრამ, ცალკეულ შემთხვევაში დაპირისპირება ვრცელდებოდა ახალი პოლიტიკური სტრუქტურების ცალკეულ ინსტანციებს შორისაც, სახელდობრ — სდ-სა და გესტაპოს, იმავე სდ-სა და ზი-

[1] Nolte, 472-3.

პოს შორის და სხვა. სხვათა შორისო, იმავე ნოლტეს აზრით, ეს დაპირისპირება გავრცელდა საგარეო ფრონტზეც — ფაშისტურ სახელმწიფოთა შეპირისპირებისას. ასე მაგალითად, იტალიის „კორპორაციულ სახელმწიფოსა" და გერმანიის „შრომის ფრონტს" შორის. თუ მათ ორთავეს დავუპირისპირებთ კომუნისტურ საბჭოთა კავშირში არსებულ შრომის ორგანიზაციის ფორმას, მათ შორის სრული დისკომფორტი იქნება, ისეთი, როგორც ცასა და დედამიწას შორისაა.

ეს დაპირისპირება და ძველის ახალთან შერწყმა-შეგუება კიდევ უფრო აშკარა იყო ქვეყნის შიგნით საზოგადოებრივი ცხოვრების სფეროში. ყველაფერი, რაც ნაციონალ-სიციალისტურის ხასიათს ატარებდა, პირდაპირ ნიაღვარივით მოედინებოდა და წალეკვით ემუქრებოდა ყოველივე ძველს, არსებულს. არაფერი ჩანდა მათი შემაჩერებელი. ეს განსაკუთრებით შეიმჩნეოდა რასობრივი თეორიისა და ანტისემიტიზმის საკითხებში. ისინი სათავეს ჯერ კიდევ 20-იანი წლებიდან იღებენ — პარტიის პროგრამის მიღების პირველივე წუთებიდან.

რაც შეეხება უკვე ხელისუფლებაში ნაცისტების მოსვლას, მას შემდეგ ამ თემას პირველად შინაგან საქმეთა მინისტრი ვილჰელმ ფრიკი შეეხო. 1933 წლის 28 ივნისს იგი ვრცელი მოხსენებით გამოვიდა იმ დღეებში შექმნილი „მოსახლეობისა და რასობრივი ექპერტების საკონსულტაციო საბჭოს" წევრთა წინაშე, სადაც პრინციპულად დააყენა რასობრივად სუფთა გერმანელ მანდილოსანთა ორსულობისა და მშობიარობის საკითხი. მისი აზრით, სრულყოფილობასა და წარმატებულობაზე ბევრად იყო დამოკიდებული ეროვნული გამრავლების საბედისწერო საქმე. მინისტრი საყვედურობდა, რომ იმჯერად გერმანელი ქალები ჩვეულებრივზე 30%-ით ნაკლებ ბავშვებს შობდნენ. ჩვენ მხედველობაში არ უნდა მივიღოთ ებრაელ მანდილოსანთა მშობიარობა. ისინი ჭეშმარიტ ეროვნულ შთამომავლობას არ ჰქმნიანო. ამიტომ მხედველობაში არც უნდა მივიღოთო მათი ნამატი. ჩვენ მივესალმებითო ყოველი ეროვნული გერმანელი ბავშვის დაბადებას. რაც შეეხებაო შერეულ ქორწინებებს, ისინი მხოლოდ და მხოლოდ ნეგატიურ ბალანსს ქმნიანო, შესაბამისად, მომავალში ასეთ შეუღლებებს თავი მაქსიმალურად უნდა ავარიდოთო.

ფრიკის გამოსვლამ კიდევ უფრო გააძლიერა ანტისემიტიზმი და რასობრივი თეორიის ცალკეული სცენების ესკალაცია გერმანიაში. მათი მიზანი გახლდათ გნსმპ-ის პროგრამის მე-4 პარაგრაფის აღსრულება. ამ პარაგრაფის მიხედვით ებრაელები ვერ იქნებოდნენ გერმანიის სრულუფლებიანი მოქალაქეები და რასობრივი ნიშნიდან გამომდინარე, ვერც მოქალაქეობას მიიღებდნენ.

ანტისემიტიზმისა და რასობრივი ამოცანების გადაჭრას ემსახურებოდა ე.წ. ნიურნბერგის კანონების მიღება 1935 წლის 15 სექტემბერს. ეს

კანონები აწესებდნენ რაიხში ებრაელთა სტატუსს, აბსოლუტურად ზღუდავდნენ რა მათ უფლებებს საზოგადოებრივ და პოლიტიკურ სფეროში.

ნიურბერგის პირველი კანონის მიხედვით, ე. ნოლტეს განმარტებით, გერმანიის მაცხოვრებლები იყოფოდნენ ჩვეულებრივ ანუ რიგით მოქალაქეებად (ordinary citizen) და რაიხის ანუ იმპერიის მოქალაქეებად („Reich citizen"). სხვაგვარად რომ ვთქვათ - „სახელმწიფო კუთვნილებად" და „რაიხის მოქალაქეებად". ამ უკანასკნელთ საბუთებით უნდა დაემტკიცებინათ თავიანთი ეროვნული (გერმანული) წარმოშობა.

ნიურბერგში იმავე 15 სექტემბერს მიღებული მეორე კანონი ეხებოდა „გერმანული სისხლისა და გერმანული ღირსების დაცვას" და კატეგორიულად კრძალავდა შერეულ ქორწინებებს ისევე, როგორც თუნდაც გერმანელებსა და ებრაელთა სექსუალურ ურთიერთობებს.

დასახელებული კანონები ხორციელდებოდა კაციჭამია ჰიტლერის იმ იმპერატივის სისრულეში მოყვანის მიზნით, რომლის მიხედვით ებრაელები უნდა გაეწყვიტათ თუნდაც იმიტომ, რომ „ცივილიზაციის დამანგრევლებად" მიაჩნდათ.

ჰიტლერის ასეთივე ცხოველური ბოროტზრახვანი ედო საფუძვლად სხვა ანტისემიტურ დანაშაულებებს, რომელთაგან მაინც გამოვარჩევდით ე.წ. „ბროლის ღამეს", რომელიც ბარბაროსთა მწვერვალად მიგვაჩნია. მისი „საფუძველი" გახდა პარიზში გერმანიის საელჩოს მრჩეველის — ერნსტ ფონ რატის მკვლელობა 17 წლის პოლონელი ებრაელის — გერშელ გრიუნშპანის მიერ — 1938 წლის 7 ნოემბერს, რომელსაც მეორე დღეს მთელ გერმანიაში მოჰყვა (უფრო ზუსტად 9-დან 10-ის ღამეს) ებრაელების არნახული და გაუგონარი მასშტაბის დარბევა-განადგურება.

მკითხველი ნუ იფიქრებს, რომ ჩვენ ვაჭარბებთ. ჰიტლერის ბრძანებით ანტიებრაულ გიგანტურ ღონისძიებას ხელმძღვანელობდა მისი ორი უბნელესი და ცხოველური პალადინი — ჰიმლერი და გებელსი. გერმანიაში იმ ღამეს დაანგრიეს 267 სინაგოგა, ებრაელთა კუთვნილი 815 საწარმო და მაღაზია. საერთო ზარალი შეფასებულ იქნა 25 მლნ. მარკად, რომელთაგან მარტო მაღაზიათა ვიტრინებზე მოდიოდა 5 მლნ. ამიტომ იყოო, ნათქვამია „ნაცისტური რაიხის" ენციკლოპედიაში, რომ ამ დარბევას სხვა სახელსაც უწოდებენო - „დამსხვრეული ვიტრინების ღამეს".[1]

ებრაელთა ხოცვა-წვალება იმდენად ჯოჯოხეთური იყო (მოკლეს 26, ხოლოდააპატიმრეს20ათასიებრაელი),რომმსოფლიოსაზოგადოებრიობის არნახული პროტესტი გამოიწვია და ჰიტლერი იძულებული გახდა თავი ემართლებინა, ყველაფერი თავის დიადოხოსთათვის გადაებრალებინა,

[1] ЭТР. 502

მაგრამ მისი კიდევ ერთი პალადინი — ოტტო დიტრიხი — იმპერიის პრესის უფროსი, თავის წიგნში - „12 წელიწადი ჰიტლერთან", უარყოფს და ასაბუთებს, რომ ყველაფერში ჰიტლერი იყოო დამნაშავე, გებელსი და ჰიმლერი მის გარეშე ამას ვერ გაბედავდნენო.[1]

ჩვენი საკუთარი ინფორმაციით ნაცისტთაგან ერთადერთი ლიდერი რუდოლფ ჰესი გახლდათ, რომელმაც მხარი არ დაუჭირა აქციას და მისი ცოლის — ილზეს თქმით, გვიან ღამით შინ არნახულად აღშფოთებული დაბრუნებულა.[2]

აღნიშნულთან ერთად გვსურს მკითხველს ისიც შევახსენოთ, რომ ებრაელთა მიმართ ბიოლოგიურ სიძულვილთან და აუტანლობასთან ერთად, ჩვენ ზემოთაც აღვნიშნეთ და ახლაც ვიტყვით, რომ საჭიროების შემთხვევაში ნაცისტი ლიდერები თვალსაც ხშირად ხუჭავდნენ ებრაული წარმოშობის ან მათ მონათესავე გერმანელებზე თუ საქმეს სჭირდებოდა.

„ბროლის ღამის" მაგალითები, თუმც შედარებით შეზღუდული მასშტაბის, სხვაც ბევრი ყოფილა, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ანტისემიტური პოლიტიკა შემდეგშიც გრძელდებოდა, რისი დადასტურებაც გახლავთ ე.წ. ვანზეეს თათბირი თუ შეხვედრა. (1942 წლის 20 იანვარს, ბერლინის გარეუბანში — გროსენ ვანზეეში - შედგა ნაცისტთა თათბირი საკმაოდ მაღალ ადმინისტრაციულ დონეზე — სს-ის, გაულაიტერთა, რაიხსლაიტერთა და ა.შ. — 15 მაღალჩინოსანის შემადგენლობით.) მათ შორის იყვნენ რსჰა-ს უფროსი, ობერგრუპენფიურერი — რაინგარდ ჰეიდრიხი, გესტაპოს უფროსი - მიულერი, ობერგრუპენფიურერი — ჰოფმანი, გაულაიტერი - მაიერი, რაიხსლაიტერი - ლეიბრანდტი, სტატს-მდივანი — ბუხლერი, სტატს-მდივანი — ნოიმანი (ოთხწლიანი გეგმის სამმართველოდან) და სხვა.

მთავარმა მომხსენებელმა — ჰეიდრიხმა აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირთან ომის დაწყების გამო, ევროპელ ებრაელთა ინდოეთის ოკეანეში კუნძულ მადაგასკარზე გადასახლების გეგმა შეიცვალა აღმოსავლეთში (ალბათ საბჭოთა კავშირი იგულისხმებოდა) ევროპის ებრაელთა სრული კონტიგენტის (დაახლოებით 11 მლნ. ადამიანი) გადაყვანის პროექტით — გაზის ღუმელებში მათი დაწვა-დახრჩობის მიზნით.

ვანზეეს თათბირზე ისიც ითქვა, რომ უკვე იმ დროისათვის სხვადასხვა საკონცენტრაციო ბანაკში ლიკვიდირებული იყო 6 მლნ-ზე მეტი ებრაელი. ამის თაობაზე სს-ის რაიხსფიურერმა ჰ. ჰიმლერმა საგანგებოდ უპატაკა ჰიტლერს და მისი ქება-დიდება დაიმსახურა.

რამდენიმე სიტყვა გვინდა ვთქვათ გნსმპ-ის ყოველწლიურ პარტიულ

---

[1] Там же.

[2] სვანაძე ლ. ინგლისში ჰესის გაფრენის საიდუმლო. ქუთაისი, 2003, 1,

კონფერენციებზე და განსაკუთრებით ყრილობებზე, რომლებიც საოცარ პომპეზურ გარემოებებში ტარდებოდა. ამ ღონისძიებათა დიზაინერები რუდოლფ ჰესი და გამორჩევით ჰიტლერის კარის არქიტექტორი, შემდგომში შეიარაღების მინისტრი — ალბერტ შპეერი გახლდათ. მიზნები ყოველთვის ჯოჯოხეთური იყო, მაგრამ რაც შეეხება სანახაობრივ მხარეს, ეს გრანდიოზული შეკრებები მართლაცდა სასწაულს წარმოადგენდნენ. ვის არ უნახავს დიდი აღლუმები თუ საზეიმო დემონსტრაციები სხვა ქვეყნებსა და ქალაქებში — ვაშინგტონში, ლონდონში, მოსკოვსა თუ თბილისში, მაგრამ ნიურნბერგის საზეიმო ყრილობების მსგავსი არსად არაფერი ყოფილა. ეს იყო სანახაობა, რომელსაც თვალს ვერ მოწყვეტდი. ისინი იმართებოდა ღამით, თითქმის ნაშუაღამევს, თვალისმომჭრელი ილუმინაციებით, სავარაუდოდ 200-300 ათასი მეომრისა და პარტიული ბოსის მონაწილეობით.

ჰიტლერი პარტიულ კონფერენციებსა და კონგრესებს ადრეც, ხელისუფლებაში მოსვლამდეც იწვევდა, მაგრამ რატომღაც მიჩნეულია, რომ კონგრესებად ანუ პარტიულ ყრილობებად თვლიან 1933 წლიდან ნიურბერგის შეკრებებს, რომელთაც შესაბამისი სახელები აქვთ შერქმეული. აღნიშნულ ყრილობას ეწოდება - „გამარჯვების ყრილობა"(1933), 1934 წლისას - „რაიხის ყრილობა", 1935 წლისას - „თავისუფლების ყრილობა", 1936 წლისას - „ღირსების ყრილობა", 1937 წლისას - „შრომის ყრილობა" და 1938 წლისას „დიადი გერმანიის ყრილობა". ყველაზე კურიოზული გამოდგა 1939 წლისათვის დაგეგმილი ყრილობა, რომელსაც საბედისწეროდ - „მშვიდობის ყრილობად" ვარაუდობდნენ, მაგრამ დაწყებულმა მსოფლიო ომმა მის გამართვას ხელი შეუშალა. არ იყო სამშვიდობო და, ალბათ, იმიტომ.

ზემოთ, როდესაც გსმპ-ის ისტორიაზე ვსაუბრობდით, თუ მკითხველი გაიხსენებს, იგი დავყავით სამ უმთავრეს პერიოდად (შეიძლება დავუშვათ მეოთხეც, თუ მესამეს ორ ნაწილად: ომამდელ და ომის შემდგომად დავყოფთ). მეორედ მივიჩნიეთ ხანა პარტიის ახალი დაარსებიდან (1925), ვიდრე ხელისუფლებაში მოსვლამდე.

ეს გახლდათ დრო, როდესაც ჰიტლერი, მაქსიმალურად პარტიითა და შესაბამისად, ხელისუფლებაში მისვლის ავადმყოფური სურვილით იყო დაკავებული. ის ცხოვრობდა პარტიით, მისით იძინებდა და იღვიძებდა და თქვენ წარმოიდგინეთ, სიზმარშიც კი პარტიას ხედავდა. ამიტომ იყო, რომ იგი გაუთავებლად, დაუმთავრებლად, დღისით თუ ღამით საუბრობდა პარტიაზე, მხოლოდ და მხოლოდ ნაციონალ-სოციალიზმზე, რომელიც მას სიმბოლურადაც სვასტიკის სახით ჰქონდა წარმოდგენილი. გსმპ ეკერა მას პირზე გამუდმებით, დაუსრულებლად.

რაღა თქმა უნდა, ეს ფაქტორი მას სჭირდებოდა თავისი სანუკვარი

ოცნების ასახდენად: ხელისუფლებაში მოსვლა მისი დემონური სწრაფვა იყო. ამის ნათელი დასტურია 1933 წლის იანვარი. როგორც კი კანცლერი გახდა, პარტია უმალ თავის პალადინებს გადააბარა — ჯერ ჰესსა და შემდეგ ბორმანს. ეს იმდენად უცერემონიოდ კეთდებოდა, რომ პირადად თითქმის აღარც კი იხსენებდა პარტიას (ყოველ შემთხვევაში ფორმალურად მაინც). ეს საერთოდ ჩვევად ჰქონდა მას. სულ სხვა მდგომარეობა იყო 1924 წლის შობის წინა დღეებში, როდესაც ჰიტლერი ლანსბერგის ციხიდან გამოვიდა. მას საზრუნავი გაუმრავლდა სხვა საკითხებზეც, თუმცა, კაცმა რომ თქვას, ყველაფერი ისევ და ისევ პარტიას ეხებოდა, კერძოდ, აკრძალვის მოხსნას პარტიასა და გაზეთზე, დემონსტრაციებისა და შეკრებათა უფლებების კვლავაც მიღებას და სხვა. მაგრამ, ამათ გარდა, იყო კიდევ ერთი, უფრო მძიმე და გადაუდებელი საკითხი — პარტიის ერთიანობის აღდგენა, რომელიც სრული კოლაფსით ემუქრებოდა.

შეგახსენებთ მიზეზს: მის დროებით მემკვიდრედ დატოვებულმა ა. როზენბერგმა საქმეს თავი ვერ გაართვა და იატაკქვეშეთში გადასული პარტიის ხელმძღვანელობა ხელში ჩაუვარდა ჰიტლერის ერთ-ერთ მთავარ კონკურენტს გნსმპ-ში, ენერგიულ და ძლიერ ორგანიზატორს — გრეგორ შტრასერს. ის იმ დროს ბერლინში იყო გადასული და იქ ჩრდილოეთში ახალ პარტიულ უჯრედებსა და ორგანიზაციებს ქმნიდა.

იმ დროს პარტიაში გაჩაღებული იყო ფართო „ორფრონტიანი" ბრძოლა სამხრეთელებსა და ჩრდილოელებს ანუ „პიონერებსა" და „რევოლუციონერებს" შორის, როგორც ეს მათ ი. გებელსმა უწოდა.[1] პირველი მათგანი ანუ ორთოდოქსები, თავისი პარტიული საქმიანობის საფუძვლად ებრაელთა წინააღმდეგ ბრძოლას მიიჩნევდნენ, მეორენი კი — საერთაშორისო სოციალისტური თეორიის ტრანსფორმაციას ეროვნული სოციალიზმის დონემდე და თავის ორგანიზაციულ დამოუკიდებლობას სამხრეთელებისა ანუ ბავარია-მიუნხენელებისაგან. ამასთანავე, ეს უკანასკნელნი უარყოფდნენ ხელისუფლებისათვის ბრძოლის ძალისმიერ მეთოდებს. ძალისმიერ ბრძოლას გამორიცხავდა აგრეთვე „პიონერთა" ის ნაწილიც, რომელებიც ა. დრექსლერისა და გ. ესერის სახით, არ მონაწილეობდნენ „ლუდხანის პუტჩში".

ციხიდან გამოსვლისა და პარტიასა და გაზეთებზე აკრძალვების მოხსნის შემდეგ 1925 წელს, ჰიტლერმა ორი ყრილობა მიუძღვნა ერთიანობისა და კონსესუსის აღდგენა-მიღწევის საქმეს. ისინი ორთავე 1926 წელს ჩატარდა. თუ პირველი მათგანი ბავარიაში გაიმართა, კერძოდ მიუნხენსა და ნიურნბერგის შემდეგ ყველაზე „ნაცისტურ ქალაქში" — ბამბერგში (რითაც სამხრეთელებს, როგორც ნაციონალ-სოციალიზმის

[1] Orlow, I, 47

გერმანულ პრიორიტეტს გაესვა ხაზი), მეორე უკვე ქ. ვაიმარში ჩატარდა (მაგრამ მაინც არა ბერლინში).

ფორმალურად ყრილობა თითქოსდა ახალი პროგრამის მიღების მიზნით უნდა ჩატარებულიყო, რომლის პროექტი მომზადებული იყო, მაგრამ მუშაობის პროცესში წარმოქმნილმა უთანხმოებამ, რაც უმთავრესად ჰოჰენცოლერნ-ვიტელსბახთა ქონებასთან დაკავშირებულმა დავამ განაპირობა და საერთოდ საკუთრებასთან პარტიის დამოკიდებულებაში გადაიზარდა, პროგრამის პროექტის მიღება არ გახადა შესაძლებელი. დისკუსია ყრილობაზე ძირითადად მიმდინარეობდა ჩრდილოეთის წარმომადგენლებსა — გ. შტრასერსა და ი. გებელსს (ის მაშინ მათ პოზიციაზე იდგა, როგორც შტრასერის მდივანი), ერთის მხრივ, და გოტფრიდ ფედერსა და ჰიტლერს - მეორეს მხრივ. ამასთან ჰიტლერი მორიგებას ცდილობდა. ეს აქ, ბამბერგში გააკეთა მან საკუთრებასთან დაკავშირებული განცხადება, რომელიც საფუძვლად დაედო გნსმპ-ის მთელს სამომავლო ქონებრივ პოლიტიკას. „ნაციონალ-სოციალიზმს არ სჭირდება საკუთრების ექსპროპრიაცია. იგი ახდენს თვით ადამიანთა სოციალიზაციასო". წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენ წყალს დავასხამთ კომუნისტთა და მარქსისტთა წისქვილზეო. ექსპროპრიაცია ისტორიის სანაგვეზე არ გაიტანს ჰოჰენცოლერნთა და ვიტელსბახთა (ბავარიის სამეფო დინასტიაა) საგვარეულოებსო.

ჩვენ შეგვეძლო სააშკარაოზე გამოგვეტანა პარტიის ეს პროგრამა, მაგრამ ეს მკითხველთა ფართო წრისათვის საინტერესოდ არ ჩავთვალეთ, მით უფრო, რომ ის არც მიუღიათ. თუ ვინმე მაინც დაინტერესდება, შეუძლია მისი გაცნობა კონრად ჰეიდენის წიგნში - „გნსმპ-ის გზა. ფიურერი და მისი პარტია".

როგორც ზემოთაც ითქვა, ბამბერგის ყრილობამ ვერ გამონახა პარტიის გაერთიანების გზები, ამიტომ საჭირო გახდა ახალი ყრილობა. იგი ივლისში გაიმართა ქ. ვაიმარში (ბამბერგის ყრილობიდან ხუთი თვის შემდეგ). იმ დროისათვის ჰიტლერს უკვე აღდგენილი ჰქონდა სრული კონტროლი სამხრეთ ანუ მიუნხენის ჯგუფზე. მან ასევე მოიპოვა გარკვეული წარმატება ჩრდილოეთის ჯგუფშიც. სახელდობრ, თავის მხარეზე გადმოიბირა ი. გებელსი, რითაც საგრძნობლად შეასუსტა გ. შტრასერის პოზიცია. მადლობის ნიშნად ჰიტლერმა გებელსი დანიშნა ბერლინის გაულაიტერად, რამაც მას ფართო გზა გაუხსნა გნსმპ-ის უმაღლესი ელიტარული ეშელონებისაკენ.

პარტიის გაერთიანება ვაიმარის ყრილობაზე მოხდა. ჰიტლერი დაამტკიცეს პარტიის ერთადერთ ხელმძღვანელად და პარტიაში დანერგეს ფიურერიზმის პრინციპი. ამის გარდა, მიიღეს მრავალი (17) რეზოლუცია. პროვინციულ ორგანიზაციებთან დაკავშირებით კონგრესზე

გნსმპ-ის ოფიციალური ორგანოს - „ფოლკსიერ ბეობახტერის" მთავარ რედაქტორად აირჩიეს ალფრედ როზენბერგი. მისი გავლენა იმ დროს ძალზე გაიზარდა ჰიტლერის თვალში. როზენბერგმა კონგრესზე დააყენა ურბანულ ნაცისტურ გაზეთებზე კონტროლისა და საჭიროების შემთხვევაში მათი დახურვის უფლების მიღების საკითხი. ჰიტლერი ზეიმობდა თავის გამარჯვებას.

ყველაფერთან ერთად, რაიხსტაგის მიმართ მისი სუბიექტური დამოკიდებულების მიუხედავად, კონგრესზე, ისევე როგორც ჩრდილოეთის ჯგუფისათვის, დადგინდა საკანონმდებლო ორგანოს არჩევნებში ქვეყნის ყველა სხვა ჯგუფის ფართო მონაწილეობა. ამით იწყება მეორე ეტაპი გნსმპ-ის ისტორიაში, რომლის შესახებ ფართოდ იყო საუბარი წინა თავში. ძალისმიერი მეთოდებით ხელისუფლებაში მისვლის ნაცვლად, ნაცისტური პარტია მტკიცედ დაადგა ძალაუფლების ხელში აღების საპარლამენტო გზას და შედეგმაც არ დააყოვნა.

თავი XI

ჰიტლერის საგარეო პოლიტიკა: „ათასწლიანი რაიხი" თუ ა-ლა (A-La)

როზენბერგის კურსის კატასტროფა

არ გვახსოვს, რომელი ქვეყნის ბრძენს ეკუთვნის ასეთი ხატოვანი ფრაზა - „ვინც არ გაზომავს ნახტომს, ორმოში ამოყოფსო თავს". საგარეო პოლიტიკა, როგორც ცნობილია, საშინაოს პირდაპირი გაგრძელებაა. თუ ამ ფორმულით ვიხელმძღვანელებთ, მსოფლიო საზოგადოებრიობა კარგს არაფერს უნდა დალოდებოდა ნაციონალ-სოციალიზმისაგან და პირადად ჰიტლერისაგან. რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, არც ახალგაზრდობისას — ვენაში თუ მიუნხენში ყოფნისას, არც ლანსბერგის ციხეში ჯდომისას და მით უმეტეს თავის ბიბლიაში - „ჩემი ბრძოლა", ჰიტლერს, არსად და არასდროს წამოცდენია კეთილი სიტყვა რომელიმე სხვა, მეზობელი თუ შორეული ქვეყნის მიმართ, ან თუ წამოსცდენია მხოლოდ იშვიათ შემთხვევაში. კაცთმოძულეობა, ზიზღი და სიძულვილი — მისი არსებობის მთავარი მიზანი იყო. საფრანგეთი, რუსეთი, ინგლისი თუ აშშ — ის ყველა მათგანს გერმანიის მოწინააღმდეგედ მიიჩნევდა და „ათასწლიანი რაიხის" შექმნით თავის საოცნებო გზაზე მათ განადგურებას გულისხმობდა. შეიძლება მხოლოდ და მხოლოდ ინგლისის მიმართ წამოსცდენოდა ნახევრად თბილი სიტყვა, როგორც

ანგლო-საქსური ქვეყნისადმი, ისტორიულად რაღაცნაირად მონათესავე ხალხისადმი მათი საკუთარი საქსონიის გათვალისწინებით, მაგრამ იქვე მეორე წუთში ამასაც უკუაგდებდა, მით უფრო, რომ ვერ იტანდა ინგლისის საზღვაო ჰეგემონიას და მის ლიკვიდაციაზე ოცნებობდა. ის არად აგდებდა იმ გარემოებას (რაც ტიპური და დამახასიათებელია პოლიტიკისათვის), რომ იმ დროინდელი დიდი ბრიტანეთის სამეფო კარი (ისევე როგორც დღევანდელი), ასე ვთქვათ, ნახევრად გერმანული წარმოშობისა გახლავთ.[1]

როგორც კი ჰიტლერი ხელისუფლების სათავეში მოექცა, მან უპირველესი ყურადღება იმ საშინაო საკითხების გადაჭრას დაუთმო, რომელთა მოუგვარებლად აქტიურ საგარეო პოლიტიკაზე ვერ გადავიდოდა. მისი ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემა გახლდათ ერთპარტიულობის სისტემის დაწესება. სხვას ყევლაფერს რომ თავი დავანებოთ, 1933 წლის მარტის არჩევნებში სერიოზული გამარჯვების მიუხედავად, როგორც ჩვენმა მკითხველმა უკვე კარგად იცის, მან და მისმა პარტიამ ვერა და ვერ მიაღწია კანონმდებლობისათვის სავალდებულო ქვოტის (50% + თუნდაც 0,1%) ერთპარტიულ რეგლამენტს. ამიტომ, ჰიტლერმა დაითანხმა ჰინდენბურგი გამოეცა ბრძანებულება გერმანიაში ნაცისტური პარტიის გარდა ყველა პოლიტიკური პარტიის დაშლის თაობაზე. ამის შემდეგ ერთპარტიულ რაიხსტაგში აღარ გაჭირდებოდა არავითარი პროფაშისტური კანონ-პროექტის გატანა.

ამ ღონისძიებამ იქვე გამოიღო ნაყოფი. ახალდანიშნულმა რაიხსკანცლერმა რაიხსტაგს მიაღებინა და პრეზიდენტს ხელი მოაწერინა კანონზე, რომელიც ძალაში 24 მარტიდან შედიოდა და რომელსაც ეწოდებოდა - „ხალხისა და რაიხის დაცვის კანონი". ის ჰიტლერს ანიჭებდა განსაკუთრებულ უფლებამოსილებას და სრული დიქტატურის დასამყარებლად უქმნიდა კონსტიტუციურ საფუძველს. ეს ფაქტობრივად მოასწავებდა ვაიმარის კონსტიტუციის გაუქმებას (თუმც ფორმალურად ის გაუქმდა 1934 წლის აგვისტოში, პრეზიდენტ ჰინდენბურგის გარდაცვალების შემდეგ).

მან სული განუტევა თავის მამულში — ნაიდეკში - 2 აგვისტოს, მაგრამ დაკრძალეს პოტსდამში, გამოჩენილ მხედარმთავართა მემორიალში, რომელსაც მთელი გერმანიის პოლიტიკური და სამხედრო ელიტა ესწრებოდა გნსმპ-ის ლიდერთა სახით (ჰიტლერი, გერინგი, ჰესი და სხვა). 12 აგვისტოს გამოქვეყნდა მისი ანდერძი, რომელიც აშკარად ფალსიფიცირებული იყო. ამ ანდერძის თანახმად, ის ქვეყანას უტოვებდა

[1] დღევანდელი დიდი ბრიტანეთის სამეფო დინასტია უინძორელებისა 1901 წლამდე ინოდებოდა ჰანოვერთა დინასტიად (1714 წლიდან), 1901-დან 1917 წლამდე — საქსენ-კობურგ-გოთურად, ხოლო მას შემდეგ უინძორელებად, რადგან I მსოფლიო ომში ისინი ანუ ინგლისი და გერმანია ერთმანეთს დაუპირისპირდნენ.

პარტიას, რომელმაც „მოსპო კლასობრივი ბრძოლა და დიდწილად გააწონასწორა ქვეყნის მოსახლეობის სოციალური ვითარება". „ჩემმა კანცლერმა — ადოლფ ჰიტლერმა და მისმა მოძრაობამ, - ნათქვამი იყო „ანდერძში" — შესაძლებლობა მისცა გერმანელ ხალხს გადაედგა ისტორიულად გადამწყვეტი ნაბიჯიო... მე ვტოვებ ჩემს გერმანელ ხალხს მტკიცე იმედით, რომ ჩემი მისწრაფებანი...ბოლომდე განვითარდებიან ჩვენი ხალხის ისტორიული მისიის აღსრულებამდე".[1]

ანდერძის გამოქვეყნებისთანავე ჰიტლერმა გააუქმა რაიხსპრეზიდენტის პოსტი, გააერთიანა იგი რაიხსკანცლერობასთან და თავისი თავი გერმანელი ხალხის ფიურერად გამოაცხადა. ამ ფორმალური აქტით მან გააუქმა ვაიმარის კონსტიტუცია და ფაქტობრივად თვითმპყრობელი შეიქნა.

ეს მისი — ჰიტლერის ბრძანებით გადაწვეს რაიხსტაგის შენობა და ამის დაბრალება სცადეს კომპარტიაზე (გაიხსენეთ ლაიპციგის პროცესი), მოამზადეს და გაატარეს ნიურბერგის კანონები, ქვეყანა აავსეს საკონცენტრაციო ბანაკებით და მიიღეს „საბოლოო გადაწყვეტილება" ("Endlösung") ევროპაში მთელი ებრაელობის გაწყვეტის თაობაზე, რაც შემდგომში განახორციელეს კიდეც და საკონცენტრაციო ბანაკებში გაწყვიტეს 6 მილიონი ებრაელი. როგორც უკვე ითქვა, გადაწყვეტილება ამ შემზარავი აქციის შესახებ საბოლოოდ მიიღეს 1942 წლის 20 იანვარს ბერლინის გარეუბანში — გროსენ-ვანზეეში.

რაც შეეხება საგარეო პოლიტიკას ადოლფ ჰიტლერმა ის არანაკლები მძვინვარებითა და ელმენტარული საერთაშორისო ნორმების დარღვევით დაიწყო, რომელიც შემდეგ გადაიზარდა მასობრივ აგრესიებში და გენოციდში, რამაც შეიწირა ათეულ მილიონობით უდანაშაულო ადამიანი. კაცობრიობის ისტორიას არ ახსოვს მასობრივი ტანჯვა-წამების და ენით უთქმელი უბედურების მსგავსი მასშტაბები.

1933 წელს ჯერ კიდევ ახალგამომცხვარმა რაიხსკანცლერმა მსოფ-ლიოს თავისი ეშვები აჩვენა. ნახევარი წლის განმავლობაში გერმანიამ დატოვა ლონდონში წარმოებული საერთაშორისო კონფერენცია განია-რაღების საკითხებში (გინდა თუ არა გამათანაბრეთო კონტინენტური ევროპის ქვეყნებთანო) და რაც კიდევ უფრო ნიშანდობლივი გახლდათ — გერმანიამ 1933 წლის 14 ოქტომბერს დატოვა ერთა ლიგა, რომლის წევრობას მან — გუსტავ შტრეზემანის უდიდესი მონდომებით მიაღწია ლოკარნოს კონფერენციაზე.

სხვათა შორის, ერთა ლიგა იმავე 1933 წელს დატოვა მილიტარიზმის გზაზე შემდგარმა იაპონიამაც, რამაც ეს ორი აგრესორი ქვეყანა ცნობილი სამკუთხედის — ბერლინი-რომი-ტოკიო — ანუ სხვაგვარად

---

[1] ЭГР, 161

„ღერძის სახელმწიფოთა" კავშირამდე მიიყვანა და მეორე მსოფლიო ომის გამჩაღებელ ბანაკად აქცია.

დადგა მორიგი 1934 წელი: ადოლფ ჰიტლერისა და ნაციონალ-სოციალიზმის დიდ ოცნებათა ახდენის საწყისი წელი. დასახელებულ წელს მთავრდებოდა ზაარის ოლქზე ერთა ლიგის მანდატის ხანგრძლივობა. მას უნდა მოჰყოლოდა პლებისციტი, რომლის მიხედვით ამ მინის მოსახლეობას თვითონ უნდა გადაეწყვიტა საკითხი — ვის მხარეზე დარჩენილიყო — საფრანგეთისა თუ გერმანიის. თუ ეს დავა ამ უკანასკნელის სასარგებლოდ გადაიჭრებოდა, ბუნებრივია უნდა დასმულიყო ამ რეგიონის ქვანახშირის საბადოთა საკითხიც, რამეთუ ვერსალის ხელშეკრულების დადგენილებით, ისინი ფრანგებს გადაეცათ.

ჩვენი შეხედულებით, ჰიტლერის საგარეო პოლიტიკის წარმატებულება 1943 წლის ზაფხულამდე (კურსკ-ორიოლის რკალზე ბრძოლამდე, მცირეოდენი გამონაკლისი — მოსკოვთან მარცხი) იმით უნდა აიხსნას, რომ მას უჩვეულო კონცენტრაციულობა ახასიათებდა ამა თუ იმ კონკრეტული, პრინციპული, ფუძემდებლური პრობლემების გადაჭრისას: იგი ორი-სამი კვირით განმარტოვდებოდა თავის „არწივის ბუდეში" (იგულისხმება ბერგჰოფი) ბერხტენსჰადენში და ყველა წვრილმანს აწონ-დაწონიდა.

ჰიტლერს კარგად ესმოდა ზაარის მოსალოდნელი პლებისციტის პოლიტიკური მნიშვნელობა. კერძოდ, რომ ეს არ იყო მხოლოდ და მხოლოდ ტერიტორიის უკან დაბრუნება, არც მარტო მორალური კონპენსაცია. არა, და კიდევ ერთხელ არა! პლებისციტის საკითხში გამარჯვებით, რაც მთავარია, დაიწყებოდა მისთვის და მთელი გერმანიისთვის საძულველი ვერსალის პირამიდის ნგრევა და გერმანიის გათავისუფლება ანტანტის არტახებისგან, რაც უპირველესად გერმანიის სამხედრო მანქანას რეგენერაციის საშუალებას მისცემდა.

აქედან გამომდინარე, გერმანიაში შემუშავდა უაღრესად საფუძვლიანი და მიზანსწრაფული საიდუმლო გეგმა, რომელიც ამოცანად ისახავდა უკიდურესად ტოტალურ საკითხებს. მისი სისრულეში მოყვანა დაევალა ე.წ. „რიბენტროპის ბიუროს", რომელიც იმჯერად, ისევე როგორც ცოტათი ადრე, გრაფ დე პოლინიაკის შამპანური ღვინოების ფირმაში საქმიანობდა და მისი წარმომადგენელი იყო გერმანიაში. ადოლფ ჰიტლერმა „რიბენტროპის ბიუროს" დასახმარებლად გამოჰყო თავისი აგენტური ფართო ქსელი. მისი წევრები სხვადასხვა მეთოდებით — შანტაჟი, დატერორება, ბავშვთა გატაცების მუქარა და ა.შ. სიკვდილამდე აშინებდნენ მოსახლეობას, ხოლო სადაც ეს ხერხი არ გადიოდა იქ მოსყიდვასაც მიმართავდნენ.

სრულიად საწინააღმდეგოდ მოქმედებდა ფრანგული მხარე. ღრმად დარწმუნებული თავის იოლ გამარჯვებაში, ისინი აინუნშიც არ აგდებდნენ რაიმენაირ პროფილაქტიკურ ღონისძიებებს. რუსებს კარგი ტერმინი აქვთ ასეთი დიდკაცური განწყობის გამოსახატავად: „почивать на лаврах". როგორც ომში გამარჯვებულები, ისინი გვირგვინებით ინებივრებენ თავს.

ფრანგების ასეთ განწყობას, მათ უდარდელობას, ძალზე მსუყედ უწყობდა ხელს იმდროინდელ ხელისუფლებაში სახელმწიფო მოღალატის — პიერ ლავალის მისვლა. 1934 წლის ოქტომბერში ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრის — ლუი ბარტუს მარსელში ხორვატი იუსტაშების მიერ მოკვლის შემდეგ, თავდაპირელად მის ადგილზე დაინიშნა, ხოლო სულ მოკლე ხნის შემდეგ — პრემიერიც კი გახდა. ეს მან — პიერ ლავალმა განაცხადა პლებიცისტის წინ ორი დღით ადრე, რომ „საფრანგეთი დაინტერესებული არ არისო მისი შედეგით"![1] ამაზე მეტი ღალატი ქვეყნისა განა შეიძლებოდა მაშინ ვისმეს ჩაედინა? ხომ მართალი ყოფილა გენერალი შარლ დე გოლი, რომელმაც მოგვიანებით, მაგრამ პრემიერ-მინისტრად მისი ყოფნისას 1946 წელს თვალის დაუხამხამებლად მოაწერა ხელი მისი დახვრეტის ორდონანსზე. იმ დროისათვის მას ქვეყნის წინაშე გაცილებით უფრო მძიმე დანაშაულებები ჰქონდა ჩადენილი.

ასე იყო თუ ისე, 1935 წლის 13 იანვარს პლებისციტი მაინც შედგა. კენჭის ყრაში მონაწილეობდა ნახევარ მილიონზე მეტი ამომრჩეველი. უფრო ზუსტად 539 ათასი კაცი. მათგან გერმანიაში დაბრუნებას ხმა მისცა — 477 ათასმა კაცმა, ანუ დაახლოებით 87%-მა. კიდევ 46 ათასმა მხარი დაუჭირა ერთა ლიგის მანდატის გაგრძელებას და მხოლოდ 2 ათასმა ადამიანმა ისურვა საფრანგეთთან შეერთება ანუ მხოლოდ 0,4 მეათედმა პროცენტმა. ეს გახლდათ ჰიტლერის სრული ტრიუმფი.

„ეს იყოო პირველი სილა, რომელიც გერმანელმა ამომრჩეველმა გაანნა ვერსალის ავტორებს, - განაცხადა მან მეორე დრესვე დიდი აუდიტორიის წინაშე ბერლინის სპორტის სასახლეში. — მწამს, რომ ეს არ იქნება უკნასკნელი, რომელსაც გერმანელები სახეში უთავაზებენ ანტანტის თერძებსო."

ჰიტლერს აჰყვა მთელი გერმანიის პრესა. „მიუნხენერ ცაიტუნგი" ასე წერდა ამასთან დაკავშირებით: „ამჯერად ჩვენ მათ ჩამოვართვით ზაარის ოლქი; ჩვენ ასევე დავიბრუნებთ ელზას-ლოტარინგიასაც, დანციგის დერეფანსაც, მემელის ოლქსაც და გერმანულ ჩეხიასაც", ანუ სუდეტის ოლქს.

ჩრდილოეთ შლეზვიგში, რომელიც ჯერ კიდევ რჩებოდა დანიის ხელში, თავი წამოჰყო პროფაშისტურმა „ნორდ-შლეზვინგშე

[1] История Дипломатии. Т. 3. под редакцией академика В.П. Потемкина. М.- Л., 1945. 518

ცაიტუნგმა": „ზაარის კენჭისყრის შემდეგ იწყება ბრძოლა ჩრდილო შლეზვინგისათვისო". ხოლო გერმანელ ნაცისტთა წამყვანი ორგანო - „ფოლკშერ ბეობაიხტერი" კატეგორიულად აცხადებდა პლებისციტის ჩატარება აუცილებელია „აღმოსავლეთ ზაარში" ანუ მემელის ოლქშიო.

ზაარის პლებისციტმა წარმოშვა ვერსალის საზავო ხელშეკრულების დარღვევის პრეცედენტი და მისი სრული ლიკვიდაციის წინაპირობა. მან პირველი აგური გამოაცალა დასავლეთის ქვეყნების დიპლომატთა და ვერსალის ხელშეკრულების ავტორთა ღრმა რწმენას, რომ ვერსალში დადებული იყო სამართლიანი ზავი. საპირწონედ კი ნაციონალ-სიციალისტებს მათი პროტესტის მართებულობის რწმენა განუმტკიცა. მთელმა გერმანიამ იწამა ჰიტლერის ლეგენდა ათასწლოვანი იმპერიის მშენებლობის დაწყების თაობაზე, ისევე როგორც ვერსალის სისტემის დარღვევის სრული მოსალოდნელობისა და სამხედრო ინსტიტუტების აღდგენის შესაძლებლობა. გერმანიის მილიტარისტული მექანიზმები სრულად ამოქმედდა. ამის შემდეგ ქვეყნის სრული შეიარაღება მხოლოდ დროის საკითხი გახლდათ.

ჰიტლერი ეიფორიასთან ერთად დიპლომატიასაც მიმართავდა. ყოფილი საბჭოთა ლიდერის ნ. ხრუშჩოვისა არ იყოს (თუმცა სინამდვილეში კი პირიქით იყო, ეს ხრუშჩოვმა გადმოიღო ჰიტლერისაგან), მასაც იქვე განუცხადებია, რომ „ზაარი იყოო ბოლო ტერიტორია, რომლის ირგვლივ მიმდინარეობდაო დავა საფრანგეთთან". სინამდვილეში კი უფრო პირიქით ხდებოდა: სწორედ ზაარის პლებისციტში მოპოვებულმა გამარჯვებამ გაუხსნა დაუოკებელი მადა „ათასწლოვანი რაიხის" ფიურერს.

ჰიტლერის გულისამაჩუყებელი სამშვიდობო განცხადებები სრულიად ეწინააღმდეგებოდა სინამდვილეს. ჯერ იყო და იმავე 1935 წლის 16 მარტს გერმანიამ ცალმხრივად გააუქმა ვერსალის სამხედრო სტატიები და გამალებულ შეიარაღებას შეუდგა. ქვეყნის გემთმშენებლურ ვერფებში ერთდროულად დაიწყო დიდი სამხედრო ხომალდების მშენებლობა, ისევე როგორც სამხედრო ავიაციის. იმავე წლის 31 მარტს გერმანიას უკვე ჰყავდა ბომბდამშენ თვითმფრინავთა პირველი ესკადრელია. უფრო მეტიც, ამ თარიღიდან სულ მალე, ბერლინში ჩასულ ინგლისელ პოლიტიკოსებს — ჯ. საიმონსა და ა. იდენს ჰიტლერმა მოურიდებლად უთხრა, რომ მის ქვეყანას ერთად აღებულ ინგლისსა და საფრანგეთზე უფრო მრავალრიცხოვანი ავიაცია ჰყავდა. იმავე ა. იდენს კრემლში სტალინმა იმავე წელს გაანდო, რომ თუ ინებებთ ახალ ბომბდამშენებს გიჩვენებთ გერმანული სტრატეგიული ნედლეულისგან დამზადებულსო, ინგლისელი მინისტრი ძნელად ჩაწვდა ამ რეალობას.[11]

---

[1] Eden. Memoirs ,I, 257

გერმანიის ხელისუფლებამ თავისი ეს სამხედრო-საავიაციო წამოწყებები მათივე პროპაგანდის მინისტრის — ი. გებელსის — განკარგულებით გავრცელებული ინფორმაციებით გაამართლა — ესაოდა თითქოს და ბერლინისა და სხვა გერმანული ქალაქების თავზე გამოუცნობი სამხედრო ობიექტები დაფრინავენო, მაგრამ საინტერესო იყო, ტანკებიც ხომ არ დაფრინავდნენ დედაქალაქის თავზე? ის ტანკები, რომელთაც სამხედრო ავიაციასთან ერთად გერმანია საიდუმლოდ აგებდა უცხო ქვეყნებში (საბჭოთა კავშირი, შვეცია), რაც ამჟამად უკვე საიდუმლოებას აღარ წარმოადგენს. იმ დროს უკვე მთელს ნაცისტურ გერმანიას პირზე ეკერა ავიაციის რაიხსმარშლის ჰერმან გერინგის ფრთოსანი ფრაზა — ლოზუნგი: „ქვემეხები — კარაქის ნაცვლადო".

სამწუხაროდ ანტანტის ყოფილი ქვეყნები ყველაფერ ამაზე თვალს ხუჭავდნენ და ფაქტობრივად გერმანიის ხელმძღვანელობის თავაშვებულებაზე პასუხს არ ითხოვდნენ. უფრო პირიქით. ასე მაგალითად, იმავე 1935 წლის იანვარში ინგლისიდან ბერლინში გაიგზავნა ინგლისელ ომის მონაწილეთა კავშირის — ბრიტანული ლეგიონის — დელეგაცია, რომესაც სათავეში ედგა ლორდი ალენ ჰარტვუდი. ჰიტლერმა იგი გამორჩეული თავაზიანობით მიიღო, როგორც პირველი მერცხალი დიდი ბრიტანეთიდან. მან ის დაარწმუნა გერმანიისა და პირადად მის აბსოლუტურად კეთილზრახვებში ინგლისისა და დიდი ბრიტანეთის მთელი იმპერიის მიმართ. სხვათაშორის, იგი შემდგომშიც გაიძახოდა, რომ ამ ვეებერთელა იმპერიას ინგლისელთა გარდა სხვა ვერავინ უპატრონებსო. ჩვენ მხოლოდ გერმანიის საზღვართა დაცვის ინტერესებით ვართო დაკავებულნი. გერმანიის პრეტენზიები სრულიად კანონზომიერია და სავსებით მოკრძალებული. ჩვენი ქვეყანა მხოლოდ და მხოლოდ სხვასთან თანასწორობისაკენ მიისწრაფვის და თუ დღეს ჩვენ ვერსალის სამხედრო სტატიათა გაუქმებას მოვითხოვთ, ეს იმიტომ, რომ ისინი ჩვენს ღირსებებს ბღალავენო.

ლორდი ალენ ჰარტვუდი იმდენად აღფრთოვანებული იყო, რომ თავის თანამემამულე სხვა ინგლისელ ვიზიტორთა დარად ჰიტლერომანია შეეყარა და თავის ქვეყანასთან ურთიერთგაგებაში მას სრული მხარდაჭერა აღუთქვა. ხსენებული ვიზიტები ჰიტლერთან ლორდმა ასტორმა დაიწყო ინგლისიდან და მას დაახლოებით 15-20 მაღალჩინოსანი თუ ეროვნული ავტორიტეტის მქონე მოხელე მიჰყვა — ექსპრემიერი დევიდ ლოიდ-ჯორჯი, საგარეო საქმეთა სამი მინისტრი — ჯონ საიმონი, ა. იდენი და ლორდი ჰალიფაქსი, მსოფლიოში სახელგანთქმული ისტორიკოსი არნოლდ ტოინბი, ინგლისის ყოფილი მეფე, იმ დროს უინძორელი ჰერცოგი მეუღლითურთ და სხვა და სხვა. ვიმეორებთ, იმ ეპოქის თითქმის ყველა ინგლისელი ავტორიტეტი,

გარდა უინსტონ სპენსერ ჩერჩილისა, რომელიც ვერა და ვერ შეიტყუეს ბერლინსა და მიუნხენში, ბერხტესგადენსა და ნიურბერგში. იგივე ითქმის სტენლი ბოლდუინზეც.

ამ სტუმარ-მასპინძლობებს მოჰყვა საფრანგეთის სამთავრობო დელეგაციის ვიზიტი ლონდონში იმავე 1935 წლის თებერვლის დამდეგს. მისი შედეგი გახლდათ ორი მთავრობის კომუნიკე ევროპის საკითხებთან დაკავშირებით, რომელსაც ლონდონის პროკლამაცია ეწოდება. ეს დოკუმენტი აცხადებდა სურვილს — მიღწეულიყო საჰაერო დეკლარაცია, ავსტრიის უშიშროების ინტერესებიდან გამომდინარე დადებულიყო დუნაისპირა პაქტი, გაფორმებულიყო ურთიერთდახმარების ხელშეკრულება აღმოსავლეთ ევროპაში და რაც ძალზე საყურადღებო იყო — ერთა ლიგაში დაბრუნებულიყო გერმანია.

საბჭოთა კავშირის საფრთხის მომიზეზებით ჰიტლერმა აღნიშნულის ნაცვლად ინგლისს შეთავაზა ორმხრივი მოლაპარაკება საზღვაო სფეროში და სურვილს მიაღწია. იმავე წლის მარტში ბერლინში ჩავიდნენ ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრი ჯ. საიმონი და ბეჭდის მცველი ლორდი, რომელის სულ მალე საგარეო საქმეთა მინისტრი გახდა — ენტონი იდენი. ამ მოლაპარაკებათა პროცესში ჰიტლერს თავი საკმაოდ უტიფრად და უცერემონიოდ ეჭირა.

სახელდობრ, იგი კვლავაც აფრიალებდა საბჭოთა საფრთხობელას. საზღვაო საკითხში მან მოითხოვა, რომ ნება მიეცათ გერმანიისათვის, ყოლოდა ინგლისის ფლოტის 35%, ხოლო ავიაციის სფეროში — ინგლის-საფრანგეთთან გათანაბრებული რაოდენობა, ისიც იმ პირობით, თუ რუსეთიდან ახალი საფრთხე არ წარმოიქმნებოდა. რაც შეეხებოდა გერმანიის ერთა ლიგაში დაბრუნებას, ეს ვერ განხორციელდება მანამდე, ვიდრე გერმანიას მის კოლონიებს უკან არ დაუბრუნებდნენ.

მოლაპარაკებათა პროცესიდან საფრანგეთის გამოთიშვამ გერმანიისათვის საზიანო შედეგი გამოიღო: 2 მაისს საფრანგეთმა ურთიერთდახმარების პაქტი დადო საბჭოთა კავშირთან, რისთვისაც პ. ლავალი (თითქოსდა ჰიტლერთან შეთანხმებით) - „ვალსის ტურით იყო მოსკოვში". ეს თუ მართლაც და ასე იყო, ალბათ მხოლოდ და მხოლოდ იმ მოსაზრებით, რომ საფრანგეთი პროვოკაციაზე წამოეგო და ეს მიზეზი შემდეგში მის წინააღმდეგ გამოეყენებინა, რითაც ჰიტლერმა წარმატებით ისარგებლა მომდევნო 1936 წლის მარტში, როდესაც რაინის დემილიტირიზებული ზონა დაიკავა.

აღნიშნულ პაქტს ორიოდე კვირაში — 16 მაისს - მოჰყვა ანალოგიური ხელშეკრულება სსრკ-ჩეხოსლოვაკიას შორის, რომელიც საფრანგეთ-რუსეთის პაქტთან ერთად საბჭოთა დიპლომატიის უდიდესი წარმატება გახლდათ. ი. სტალინმა ამით არამარტო დასავლეთ ევროპის ქვეყნების

ბლოკადის გარღვევას მიაღწია, არამედ მათ შორის განხეთქილების ვაშლიც ჩააგდო. ამას ჩვენ მეორე მსოფლიო ომის დაწყების ერთ-ერთ მთავარ მიზეზად მივიჩნევთ.

ამ მოვლენამ ჰიტლერი აიძულა დაეჩქარებინა საზღვაო მოლაპარაკება ინგლისთან, რასაც 1935 წლის 18 ივნისს მოჰყვა ხელშეკრულების საბოლოო გაფორმება. გერმანიის მხრიდან მოლაპარაკებას აწარმოებდა მომავალი ელჩი" დიდ ბრიტანეთში, იმჯერად უკვე „საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის რანგში აყვანილი, ფრანგული შამპანური ღვინოების დილერი — იოაქიმ ფონ რიბენტროპი.

იმ დროისათვის ინგლისის სამხედრო ფლოტის წყალწყვა იყო ერთი მილიონ 201,7 ათასი ტონა, მაშინ, როდესაც გერმანიისა მხოლოდ 78,6 ტონას აღწევდა (ისე კაცმა რომ თქვას მართლაც და კურიოზული შემთხვევაა-!). მოლაპარაკების პროცესში გერმანიის მხარემ მიაღწია ინგლისის თანხმობას, 342 ათასი ტონით გაეზარდა წყალწყვა, რაც საერთო ჯამში — 418,6 ტონას, ანუ თითქმის საფრანგეთის სამხედრო ფლოტთან გათანაბრებას მოასწავებდა. მაგრამ, ის არ უნდა დავივიწყოთ, რომ გერმანიის ახალი ფლოტი ახალივე სამხედრო ტექნიკით აღიჭურვებოდა. ამიტომ იყო, რომ ფრანგულმა მხარემ სასტიკი პროტესტი განაცხადა და ინგლისი, გერმანიასთან ერთად, ვერსალის ხელშეკრულების ორმხრივ დარღვევაში დაადანაშაულა, რაც სრულ სიმართლეს წარმოადგენდა.

ჰიტლერი გამარჯვებას ზეიმობდა. მან, დიპლომატიის ერთ-ერთი მთავარი მშობლიური ქვეყანა, ქურდების ჟარგონით რომ ითქვას - „საქმეში გაიყვანა".

დადგა 1936 წელი. საბჭოთა კავშირის უმაღლესმა საბჭომ ჯერ კიდევ მანამდე მოასწრო საფრანგეთთან დადებული პაქტის რატიფიკაცია. ახლა ჯერი მიდგა საფრანგეთის საკანონმდებლო კრების მხრივ რატიფიკაციაზე. მის თარიღად განისაზღვრა თებერვლის ბოლო რიცხვები. და აი, აქ თავი წამოჰყო ჰიტლერმა. მან საფრანგეთი გააფრთხილა, თავი შეეკავებინა ასეთი ნაბიჯის გადადგმისაგან. რისთვის არის რუსეთთან ურთიერთდახმარების პაქტი საჭირო? განა არ არსებობს ლოკარნოს სისტემა და რაც მთავარია - „რაინის საგარანტიო პაქტი"? მაშ ვის წინააღმდეგ იდება ეს ურთიერთდახმარების პაქტი? თანაც ჩეხოსლოვაკიაც მიიმატესო. ვისი და რაღა თქმა უნდა — გერმანიის წინააღმდეგო. ხოლო თუ ეს ასეა, გერმანია ყოველგვარ პასუხისმებლობას იხსნისო.

28 თებერვალს საფრანგეთის საკანონმდებლო კრებამ, მემარჯვენე პოლიტიკურ პარტიათა წარმომადგენლების უმაგალითო წინააღმდეგობის მიუხედავად, მაინც მოახდინა პაქტის რატიფიკაცია!.. „ქურდს რა

უნდაო და ბნელი ღამე", - ამბობს ქართული ანდაზა. მასე არ უნდაო და ჰიტლერმა ბრძანა რაინის დემილიტარიზებული ზონის დაკავება, რითაც ლოკარნოს ვალდებულებები გააუქმა.

დასახელებული რეგიონი პარიზის კონფერენციაზე დაწესდა ვერსალის ხელშეკრულებით. თავდაპირველად ფრანგებს უნდოდათ ბუფერული რაინისპირა სახელმწიფოს შექმნა გერმანიასთან საზღვარზე, მაგრამ როდესაც ამ იდეამ განხორციელება ვერ ჰპოვა, მაშინ დემილიტარიზებული ზონის შექმნას დასთანხმდნენ. იგი დაწესდა მდინარე რაინის გაყოლებით საფრანგეთ- გერმანიის საზღვრის მთელს სიგრძეზე, 50-50 კმ-ის გაყოლებით მდინარის შუა კალაპოტიდან — ორთავე მხარეზე.

გერმანიის ჯარები 7 მარტს სროლისა და ტყვია-წამლის გამოუყენებლად შევიდნენ თავიანთ ყოფილ ტერიტორიაზე, მდინარის მარჯვენა ნაპირზე. ოფიცრებს საველე ჩანთებში ორ-ორი დალაქული კონვერტი ედოთ. მათგან ერთ-ერთი — უნდა გაეხსნათ ფრანგული რეაქციის შესაბამისად. როდესაც ფრანგულმა მხარემ წინააღმდეგობის არავითარი სურვილი არ გამოავლინა, გერმანელებმა ის კონვერტები გახსნენ, რომლებიც რაინის მარჯვენა საზღვრისპირა სანაპიროს დაკავებას მოითხოვდნენ.

როგორც თვითმხილველები ჰყვებიან სავარაუდო რეაქციის მოლოდინში ნაცისტური გერმანიის ხელმძღვანელთა გულისცემა მათი კაბინეტების გარეთ დერეფნებში ისმოდა... და უცებ, ისევე როგორც „გრძელი დანების ღამის" ოპერაციიდან მობრუნებისას, გამაყრუებელი შეძახილებით გაისმა: „ვაშა ფიურერს!", „ბრავო ადოლფ ჰიტლერ!" თითქოსდა მას ერთს, მარტოდ-მარტო მას გაეთავისუფლებინოს და გერმანიისათვის დაებრუნებინოს კუთვნილი საოცნებო მიწა. ეგეც ენგრეო, იტყოდა კახელი კაცი ასეთ შემთხვევაში.

ჰიტლერის საგარეო პოლიტიკის შემდგომი წარმატება იმავე 1936 წლის შემოდგომაზე იტალიასთან მიღწეული ურთიერთგაგებაა, მაგრამ მანამდე მკითხველის ყურადღებას გავამახვილებთ ამ ორი ქვეყნის ინტერვენციაზე ესპანეთის სამოქალაქო ომში.

ეს ომი 1936 წლის ზაფხულში დაიწყო. ქვეყნის „სახალხო ფრონტის" რესპუბლიკურ მთავრობას, რომლის შემადგენლობაში კომუნისტებიც იყვნენ, აუმხედრდა მეამბოხეთა არმია, რომელთაც ხელმძღვანელობდა ტრიუმვირატი გენერლების — ფრანკოს, მოლასა და სან-ხურხოს მეთაურობით. მთავრობის მხარე დაიჭირა კომუნისტურმა რუსეთმა, ხოლო ამბოხებულების — ფაშისტურმა იტალიამ და გერმანიამ. აქ, მათი ახალი სამხედრო ტექნიკის „პოლიგონზე", ძალაუნებურად მოხდა მათი სამხედრო-პოლიტიკური დაახლოება, რომელიც მსგავსი იდეოლოგიის

მიუხედავად ეჭვის ქვეშ დადგა 1934 წელს, როდესაც გერმანიამ ავსტრიის დაპყრობა მოინდომა, მაგრამ მაშინ მას წინ აღუდგა მუსოლინი.

ახლა, ამჯერად, 1936 წელს მოხდა მათი დანაშაულებრივი ინტერესების დაახლოება, რომელიც მალე გაღრმავდა, როცა ამავე წლის ოქტომბერში გერმანიაში ვიზიტით იმყოფებოდა იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრი — გალეაცო ჩიანო. იგი მუსოლინის სიძე იყო და გერმანიაში ცოლთან ერთად იმყოფებოდა.

ეს ის პერიოდია, როცა ფაშისტური ქვეყნების სამხედრო ქვეითი და საჰაერო შენაერთები არაადამიანურ საშინელებებს ჩადიოდნენ ესპანეთის მიწაზე. ასე მაგალითად, ნაცისტურმა გერმანიამ თავისი ერთ-ერთი პირველი საავიაციო ლეგიონი გაგზავნა სერვანტესის სამშობლოში. მას „კონდორი" ეწოდებოდა და სრულიად ახალაგებულ სამხედრო თვითმფრინავებს მოიცავდა — ბომბდამშენ „იუნკერს-52" და ავიაგამანადგურებლებს - „ჰეინკელ-51" ტიპისას. „კონკორდის" ავიალეგიონის პირველი მეთაური იყო იმჯერად გენერალი, შემდეგში ავიაციის მარშალი ჰუგო შპერლე, ხოლო ბოლო სარდალი — იმჯერად ასევე გენერალი, ხოლო მოგვიანებით ასევე ავიაციის მარშალი — ვოლფრამ ფონ რიხტჰოფენი. „კონდორში" 96 თვითმფრინავი და 32 ტანკი იყო. აღნიშნულმა ლეგიონმა 1937 წლის 27 აპრილს მანამდე გაუგონარი ბარბაროსული თავდასხმა მოაწყო ესპანურ ქალაქ ჰერნიკაზე, რამაც ათასობით უდანაშაულო სამოქალაქო მოსახლეობის მასობრივი მკვლელობის გამო მთელი კაცობრიობა აღშფოთდა. ეს ის ჰერნიკეა, რომელსაც უდიდესმა ფრანგმა მხატვარმა პაბლო პიკასომ ბასკთა ამ პატარა ქალაქის მიწასთან გასწორებას დაუვიწყარი ტილო მიუძღვნა.

დავუბრუნდეთ ე.წ. „ღერძის სახელმწიფოთა კავშირის" პირელ დამფუძნებელ რგოლს, რომელიც დიპლომატიის ისტორიაში შესულია „ოქტომბრის პროტოკოლის" სახელწოდებით. საერთაშორისო ხელშეკრულებები საერთოდ სხვადასხვა სახელწოდებებით ფორმდება თუ იდება — მათი ნიშნული ლამის 20-მდე გახლავთ, მაგრამ ამჯერად, ძვირად გვახსენდება ასეთი ხელშეკრულების სხვა ანალოგი დიპლომატიურ პრაქტიკაში, როგორიცაა „პროტოკოლი". იგი უფრო რაღაც კრების ასოციაციას იწვევს, ვიდრე საერთაშორისო ხელშეკრულებისას.

„ოქტომბრის პროტოკოლი" სულ ხუთი პუნქტისაგან შედგებოდა. მათ საფუძველზე ყალიბდებოდა დასახელებული ორი ქვეყნის ფუძემდებლური პოზიციები საერთაშორისო ურთიერთობათა იმდროინდელ მაგისტრალურ საკითხებში, კერძოდ, აბისინიისა (გერმანია სცნობდა იტალიის მხრივ მისი დაპყრობის კანონიერებას), ესპანეთის (მათ უნდა ეცნოთ ფრანკოს მომავალი მთავრობა) და საკითხებში წესდებოდა ამ ორი ქვეყნის შეთანხმებული მოქმედება, ე.წ.

ჩაურევლობის საერთაშორისო კომიტეტში — ესპანეთის საკითხთან დაკავშირებით და განისაზღვრებოდა ამ ორი ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკა დუნაისპირეთსა და ბალკანეთის ნახევარკუნძულზე.

ერთი თვის თავზე — 1936 წლის ნოემბერში ჰიტლერმა გააფორმა ე.წ. ანტიკომინტერნული პაქტი იაპონიასთან, რომელსაც ერთი წლის შემდეგ შეუერთდა იტალია. აღნიშნულ სახელმწიფოთა კავშირები და ხელშეკრულებები ჰქმნიდნენ ე.წ. „ღერძის სახელმწიფოთა" კავშირს ანუ სამკუთხედს - „ბერლინი-რომი-ტოკიო".

ზემოხსენებული „ჩაურევლობის კომიტეტი ესპანეთის საკითხში" სუფთად ფორმალურად არსებობდა და, თითქოსდა ჩაურევლობის იმ საგარეო პოლიტიკური კურსის ექოს წარმოადგენდა, რომელსაც ევროპის დიდი სახელმწიფოები ავლენდნენ ახალი აგრესიული და ისეთი მილიტარისტული ქვეყნების მიმართ, როგორებიც იყვნენ ფაშისტური ქვეყნები ევროპაში და მილიტარისტული იაპონია — აღმოსავლეთში. ეს მათ შესახებ თქვა ი. სტალინმა, რომ ისინი წარმოადგენენ ომის ახალ კერებს დასავლეთსა და შორეულ აღმოსავლეთში, ანუ წყნარი ოკეანის აუზში. მაშინ ამ გაფრთხილებას ყური არავინ ათხოვა.

1937 წელი მაინცდამაინც არ ყოფიულა დახუნძლული საგარეო პოლიტიკური მომენტებით. იგი შედარებით მშვიდად დაიწყო, მაგრამ 30 იანვარს ჰიტლერი უეცრად გამოვიდა გერმანიის კოლონიების დაბრუნების მკაცრი მოთხოვნით. გერმანიის ისეთივე საარსებო სივრცე (Lebensraum) სჭირდებოდა, როგორც სხვა ქვეყნებს აქვთო. კოლონიები, რომელთა საერთო ფართობი 3 მილიონი კვადრატული კილომეტრი იყო, ვერსალის ხელშეკრულებით ჩამოერთვა. როდესაც მისი ეს მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა, ჰიტლერმა 7 სექტემბერს ოფიციალურად გააუქმა ვერსალის ხელშეკრულება.

წლის მოვლენებიდან გამოვყოფდით ინგლისის მომავალი საგარეო საქმეთა მინისტრის ლორდ ჰალიფაქსის ვიზიტს გერმანიაში და მის შეხვედრას ჰიტლერთან — 19 ნოემბერს. ეს მოლაპარაკებები ბევრ მნიშვნელოვან პრობლემას შეეხო, კერძოდ ავსტრიასთან, ჩეხოსლოვაკიასთან, ინგლისთან გერმანიის ურთიერთობებს და ა.შ., რომლებიც დღის წესრიგში მომავალ 1938 წელს დაისვა.[1]

და ბოლოს 1937 წლის საერთაშორისო მოვლენების კიდევ ერთი საინტერესო დეტალი. ჰიტლერის შთაგონებით „ღერძის სახელმწიფოთა" მესამე კომპონენტი — მუსოლინის იტალია გავიდა ერთა ლიგიდან — 11 დეკემბერს. ჟენევის „ერთა სასახლის" მილმა ისურვეს ყოფნა საერთაშორისო ავანტიურისტებმა და მილიტარისტმა კაციჭამიებმა,

[1] ახლო მომავალში ჰიტლერთან ლორდ ჰალიფაქსის მისიის შესახებ გამოქვეყნდება ჩვენი გამოკვლევა ამ თემაზე, რომელიც ზოგიერთ ახალ მომენტს შეიცავს.

რომლებმაც მალე წამოიწყეს ახალი მსოფლიო ომი.

1938 წელი დიდი ორგანიზაციულ-ადმინისტრაციული ცვლილებებისა და წარმატებული საგარეო პოლიტიკური აქციების წელი შეიქნა ნაციონალ-სოციალისტური გერმანიისათვის. უკვე ყველაფერი იმაზე მეტყველებდა, რომ ჰიტლერი ომისათვის ემზადებოდა. უსაშველოდ გაიზარდა ქვეყნის სამხედრო ბიუჯეტი, გაფართოვდა და გამრავლდა სამხედრო საავიაციო პარკი. ოფიციალური მონაცემებით ჯერ მარტო 1934 წლის 1 იანვრისათვის გერმანიის ლუფტვაფე 4 ათას ერთეულზე მეტ თვითმფრინავს ითვლიდა. ამას მან მიაღწია საბჭოთა კავშირის ფარული დახმარებით. ქ. ლიპეცკის რაიონში არსებობდა გერმანული სამხედრო-საავიაციო ქარხნები და დიდი ავიაბაზა.[1] რაც შეეხება ასევე ფარულ გერმანულ სატანკო მრეწველობას საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე, მის შესახებ ჩვენ ვისაუბრეთ.

აქტიურ საგარეო პოლიტიკაზე გადასვლისას ჰიტლერს თითქმის ყოველგვარი საშინაო პოლიტიკური საქმე ჰქონდა მოგვარებული. სახელდობრ, 1933 წლის 5 მარტის რაიხსტაგის არჩევნებით უკმაყოფილომ, იმავე წლის 12 ნოემბერს ახალი არჩევნები გამართა, რომლის შედეგად მიიღო ამომრჩეველთა 93%-ის მხარდაჭერა (პირდაპირ საშური თვით რუსი კომუნისტებისათვისაც კი). მომდევნო 1934 წლის 19 აგვისტოს მან ჩაატარა საერთო გერმანული პლებისციტი მის მიერ რაიხსპრეზიდენტისა და რაიხსკანცლერის პოსტების ერთდროულად დაკავების შესახებ. მხარდაჭერა ამჯერად 89,93% იყო. ხოლო 1935 წლის 13 იანვარს ჩატარდა პლებისციტი ზაარის ოლქის რაიხში მიღების შესახებ, რომელსაც მხარი დაუჭირა მოსახლეობის 91%-მა. მოკლედ, სულ „ცხრიანებში" ურტყა ტყვიები შიდაპოლიტიკურ სასროლეთში.

ყველაფერი აღნიშნულით იმის თქმა გვსურს, რომ საბჭოთა კავშირისა არ იყოს და შეიძლება მის მაგალითზეც, გერმანიის ნაციონალ-სოციალიზმის სასარგებლოდ მოსახლეობის გონებრივი ტრანსფორმაცია კოსმიური სიჩქარით მიმდინარეობდა. საქმე იქამდე მივიდა, რომ ბონის უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტის (!) ლექტორ-მასწავლებლებმა „მოითხოვეს" ლექტორის წოდება ჩამოერთმეოდა ერთ-ერთ უდიდეს მწერალს, ნობელის პრემიის ლაურეატს — თომას მანს!.. იგი ნაციონალ-სოციალიზმის შეურიგებელი ოპონენტი იყო.

ახალი წელი ჰიტლერმა შეიარაღებული ძალების დიდი რეორგანიზაციით დაიწყო. მან ვერმახტის მთელი ხელმძღვანელობა შეცვალა, მათ შორის სამხედრო მინისტრიც — გენერალ-ფელდმარშალი ვერნერ ფონ ბლომბერგი. გაათავისუფლეს აგრეთვე სახმელეთო ჯარების მთავარსარდალი, გენერალ-პოლკოვნიკი — ვერნერ ფონ

[1] ЭТР, 566

ფრიჩი. მისი ადგილი დაიკავა ასევე გენერალ-პოლკოვნიკმა ვალტერ ფონ ბრაუხიჩმა. რაც შეეხება თავდაცვის მინისტრის პოსტს, ის თვით ჰიტლერმა შეითავსა. სამაგიეროდ მან შექმნა ახალი სამხედრო უწყება — ვერმახტის შეიარაღებული ძალები (OKW), რომლის შტაბის უფროსად გენერალი, მოგვიანებით გენერალ-ფელდმარშალი — ვილჰელმ კაიტელი დანიშნა. ოპერატიული განყოფილების უფროსად, სინამდვილეში კი მის მოადგილედ დანიშნა ვერმახტის ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული და ღრმა პროფესიული გენერალი ალფრედ იოდლი.

ცოტა მოგვიანებით, კერძოდ 18 აგვისტოს, სამსახურიდან გაუშვეს გენერალური შტაბის უფროსი — გენერალ-პოლკოვნიკი ლუდვიგ ბეკი. სხვათა შორის 1944 წლის ივლისის შეთქმულთა წერეებში მისი კანდიდატურა წარმოიდგინებოდა გერმანიის სახელმწიფოს ხელმძღვანელის პოსტზე.

ცვლილებები შეეხო აგრეთვე საგარეო საქმეთა სამინისტროს. მისი ხანდაზმული" ხელმძღვანელი, ბარონი კონსტანტინ ფონ ნიორატი (ის მაშინ 65 წლისა იყო), რომელსაც ეს თანამდებობა წინა ორი მთავრობის დროსაც ეკავა, იმავე 1938 წლის თებერვალში თანამდებობიდან გაათავისუფლეს. მისი ადგილი დაიკავა — იოაქიმ ფონ რიბენტროპმა, რომელიც მანამდე ელჩად მუშაობდა ლონდონში.

1938 წლის საგარეო პოლიტიკურ მოვლენათა შორის ორი უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა. პირველი გახლავთ ავსტრია, მეორე — ჩეხოსლოვაკია.

ავსტრიის ანშლუსად წოდებული გერმანიასთან მიერთების ცდა ჰიტლერმა თავდაპირველად 1934 წელს განახორციელა, მაგრამ წარუმატებლად, თუმცა პირველი შათაბეჭდილებით იგი თითქოსდა უნდა აღსრულებულიყო. საქმეში იტალია ჩაერია, რომელმაც მრავალრიცხოვანი კორპუსი გადაისროლა ალპებში. ჰიტლერს მოუხდა თავისი სურვილის გადადება მომავლისათვის, თუმც ამ სამხედრო აყალ-მაყალმა მაინც შეინირა ავსტრიის კანცლერი — ენგელბერტ დოლფუსი, რომელიც მისსავე კაბინეტში მოკლეს იქ შევარდნილმა ნაცისტებმა.

გამოხდა ხანი. სხვადასხვა საგარეო პოლიტიკურმა ფაქტორმა ძირფესვიანად შეცვალა იტალიასთან გერმანიის ურთიერთობა. ასეთ ვითარებაში ჰიტლერს თავისი სურვილის აღსრულების გზა გაეხსნა. მან საოცარ დროში განაახლა ავსტრიის ანშლუსის სამზადისი და არამარტო ეს. იგი უფრო ფართო მასშტაბიან დაპყრობებზე ფიქრობდა.

გენერალიტეტისათვის ამ გადაწყვეტილების გაცნობის მიზნით მან 1937 წლის 5 ნოემბერს რაიხსკანცელარიაში გამართა საიდუმლო თათბირი, რომელშიც ქვეყნის ხელმძღვანელობის მხოლოდ უმაღლესი და ისიც უკიდურესად შეზღუდული რაოდენობა მონაწილეობდა.

თათბირს ესწრებოდა მხოლოდ და მხოლოდ რვა კაცი: თვით ჰიტლერი, თავდაცვის მინისტრი, ფელდმარშალი ფონ ბლომბერგი, სახმელეთო ჯარების მთავარსარდალი, გენერალ-პოლკოვნიკი ფონ ფრიჩი, სამხედრო-საზღვაო მინისტრი — ადმირალი რედერი, ლუფტვაფეს მთავარსარდალი, გენერალ-პოლკოვნიკი გერინგი, საგარეო საქმეთა მინისტრი — ბარონი ფონ ნიორატი და პოლკოვნიკი ჰოსბახი — ჰიტლერის მოადგილე და ადიუტანტი.

ყველა ზემოთჩამოთვლილ პიროვნებას იცნობს ჩვენი მკითხველი, გარდა უკანასკნელისა. პოლკოვნიკი ჰოსბახი ჰიტლერის ანტურაჟის წევრებს შორის ერთ-ერთი გამორჩეული ადამიანთაგანი გახლდათ მასთან სიახლოვის თვალსაზრისით, მაგრამ სხვათაგან გამორჩევით თავისი დამოუკიდებელი აზროვნება გააჩნდა და გააჩნდა იგი თავისი საკუთარი პოზიციის შენარჩუნების მიზნით. ამის გამო, ჰიტლერმა ორჯერ დაატოვებინა მას თანამდებობა მაგრამ, ორჯერვე იძულებული შეიქნა უკან დაებრუნებინა.

ზემოთხსენებულ თათბირზე ჰოსბახი აწარმოებდა სხდომის შინაარსის ჩაწერა-გაფორმებას. ამის გამო მას **„ჰოსბახის თათბირი"** ეწოდება, რამეთუ შთამომავლობას მისი წყალობით შემორჩა, ხოლო თვით ოქმს კი - **„ჰოსბახის ოქმი"**

აღნიშნულ თათბირამდე ჰიტლერს არასოდეს გაუმჟღავნებია თავისი გეგმები ესოდენ ფართოდ. აქ, მან პირველად გამოიტანა მზის სინათლეზე თავისი მოსაზრებები ფართომასშტაბიანი ომის საწარმოებლად, რომელთა მიზანი იყო ევროპის ცალკეული ქვეყნების დაპყრობის გზით გერმანიისათვის აუცილებელი „სასიცოცხლო სივრცის" (Lebensraum) მოპოვება. აღნიშნული გეგმის სისრულეში მოსაყვანად მან დაასახელა კონკრეტული ღონისძიებები, რომელთა თავში იყო — ავსტრიის ანშლუსის თემა.

თათბირის მონაწილენი უსასტიკესად იქნენ გაფრთხილებული საიდუმლოების დაცვასთან დაკავშირებით. ჰიტლერის განცხადებით, მისი სიკვდილის შემთხვევაში მან მოითხოვა თავისი ეს განცხადება თათბირზე — განეხილათ, როგორც მისი პოლიტიკური ანდერძი, რომელსაც ფარდა ოდნავ აეხადა ნიურბერგის პროცესზე. ამიტომ ენიჭება „ჰოსბახის თათბირს" უდიდესი მნიშვნელობა ისტორიოგრაფიაში.

თვით ჰოსბახის ოქმის შინაარსი ფართოდ არ არის ცნობილი, მაგრამ ერთი რამ უდავო უნდა იყოს სავარაუდო: ბლომბერგმა და ფრიჩმა სათანადო წინააღმდეგობა გაუწიეს ჰიტლერს, რასთანაც უნდა იყოს დაკავშირებული ორივე მათგანის გადაყენება თანამდებობიდან მომდევნო წლის დასაწყისში და რაც მთავარია, საგულდაგულოდ შეთითხნილი ბრალდებებით, რომლის მსხვერპლი შეიქნა ეს უკანასკნელი.

რაც შეეხება თვით **„ავსტრიის ანშლუსად"** წოდებულ ტრაგედიას ქვეყნისას, იგი იმავე სცენარით გათამაშდა, როგორც დანიისა და ნორვეგიის ოკუპაცია მომდევნო 1940 წელს: მოულოდნელად, დღისით-მზისით ავსტრიის ცა დაიფარა ლუფტვაფეს თვითმფრინავებით, ხოლო ხმელეთზე, რამდენიმე მიმართულებით შეიჭრნენ გერმანიის სახმელეთო შეიარაღებული ძალების — ვერმახტის სამხედრო შენაერთები — 200 ათასი მეომრის შემადგენლობით.

ანშლუსს წინ უსწრებდა ავსტრიის კანცლერის — კურტ ფონ შუშნიგის — გამოძახება ბერხტესგადენში ჰიტლერთან. მან ავსტრიის კანცლერისაგან მოითხოვა „თანხმობა" გერმანიასთან ავსტრიის მიერთების სასარგებლოდ. ხოლო როდესაც შუშნიგმა უარის თქმა დააპირა, ცოფმორეულმა ჰიტლერმა დორბლი გადმოანთხია: „თქვენ არ უნდა განიხილოთ ეს მოთხოვნები, განაცხადა მან. ის თქვენ უნდა მიიღოთ, როგორც მე მიგითითებთ ისე. თუ თქვენ წინააღმდეგობას შეეცდებით, ამით მაიძულებთ მთელი თქვენი სისტემა გავანადგუროო..." როდესაც შუშნიგის სახეზე ირონია დაინახა ჰიტლერი მთლად აიშალა: „თქვენ რა არ გჯერათ ჩემი?" დაიწყო ყვირილი მან. „მე თქვენ გაგსრესთო. მე ვარ უდიდესი ბელადი, იმათგან, რაც კი გერმანელებს ოდესმე ჰყოლიათ და რომ წილად მხვდა უდიადესი გერმანიის იმპერიის შექმნა — 80 მლნ. მოსახლეობით. მე უკვე დავძლიე ყველაზე წარმოუდგენელი სიძნელეები, თქვენ კი ფიქრობთ ჩემს შეჩერებას. იცით თუ არა თქვენ, რომ ჩემი არმია, ჩემი თვითმფრინავები და ჩემი ტანკები მხოლოდ ჩემს ბრძანებას ელოდებაო..."[1] ვენაში დაბრუნებულმა შუშნიგმა საკითხის გადაჭრის მიზნით პლებისციტი დანიშნა 13 მარტისთვის, რის გამოც განრისხებულმა ჰიტლერმა უბრძანა თავის არმიებს ავსტრიის დაკავება, ხოლო შუშნიგის დაპატიმრება.

ის ერთხანს გესტაპოში ამყოფეს მორცინპლაცზე (ვენაში), ხოლო შემდეგ საკონცენტრაციო ბანაკში უკრეს თავი სადაც დაჰყო კიდეც ომის დამთავრებამდე. შუშნიგი იქიდან ამერიკელებმა გათავისუფლეს და მალე ამერიკის მოქალაქეობა უბოძეს მას. ის შემდეგ ამერიკაში გაემგზავრა საცხოვრებლად და სენტ-ლუისის უნივერსიტეტის პროფესორი შეიქნა. ავსტრიაში დაბრუნებული 1967 წ, გარდაიცვალა 1977 წელს — 80 წლის ასაკში.

1938 წლის 10 აპრილს ჰიტლერმა ავსტრიაში „ჩაატარა" პლებისციტი ანშლუსთან დაკავშირებით, რომელსაც დამფრთხალმა მოსახლეობამ სრული მორჩილებით უპასუხა — გერმანიასთან შეეერთების ხმა მისცა... 99 (!) პროცენტმა ამომრჩევლებისა. ვაშა! „ეგრე ვიცის ჯაყომა!" — შეეძლო განეცხადებინა ფიურერს. რას ვერჩით მას — მან

[1] Tibor K. Satan In Top Hat. The Biography of Franz Von Papen. N.-Y., 1941,281

თავისი მშობლიური მხარე შემოიერთა მეტი ხომ არაფერი? იგივე თქვეს ინგლისელმა კონსერვატორებმაც. მათ გაიმეორეს გერინგის სიტყვები: „ჩვენ — ჩვენსავე ბოსტანში შევედითო!"

ავსტრიის ახალმა კანცლერმა — არტურ ზაის-ინკვარტმა ქვეყანა გერმანულ სახელმწიფოდ გამოაცხადა ჯერ კიდევ პლებისციტამდე, რასაც არც თუ დადებითი გამოხმაურება მოჰყვა დასავლეთში, იქამდე რომ თვით მუსოლინსაც კი მოუხდა თავის მართლება: „მე არასოდეს მიმიცია დაპირება ავსტრიისათვის არც სიტყვიერად და არც წერილობითო, არც პირდაპირ და არც გადაკვრითო", რასაც ჰიტლერმა მისთვის უჩვეულო მადლობით უპასუხა - „არასოდეს დამავიწყდებაო ის, რაც თქვენ 13 მარტს გააკეთეთო". თავის მხრივ „მუსომაც"[1] არ დაიშურა მადლიერება: „ჩემი პოზიცია დაფუძნებულიაო ჩვენი ორი ქვეყნის მეგობრობაზეო — განივთებული „ღერძის კავშირში".

ჩაურევლობის პოლიტიკის მომხრეებს წარმოედგინათ, რომ ჰიტლერი ამით დაკმაყოფილდებოდა. მათ ეგონათ, რომ გერმანიის საარსებო სივრცის საკითხი ასე თუ ისე გადაჭრილი იყო და, ამიტომ, თვითდამშვიდებას მიეცნენ, ვიდრე ორიოდე კვირის შემდეგ პრესაში არ გაეცვნენ ინფორმაციას იმის თაობაზე, რომ სუდეტელ გერმანელთა ლიდერმა კონრად ჰენლაინმა ავტონომია მოითხოვაო ჩეხოსლოვაკიის ფარგლებში.

გერმანელ ნაცისტთა წაქეზებით ამ მოთხოვნას, მსგავსად საქართველოში მათი „მოსწავლეების" — აფხაზებისა და ე.წ. „სამხრეთ ოსეთის" წაქეზებისა რუსთა მხრივ, უკვე რამდენიმე ხანი აყენებდნენ გერმანელი ნაციონალისტები ჩეხოსლოვაკიაში, თუმც ყველა ევროპელმა კარგად იცოდა, თუ საიდან უბერავდა ქარი ამ კონკრეტულ შემთხვევაში. ჰენლაინმა ეს განცხადება 24 აპრილს გააკეთა.

კვლავ აფუსფუსდა ევროპა. ყოველდღიურად იგრძნობოდა პოლიტიკური აჟიოტაჟის ზრდა და ტემპერატურის მატება. ხალხი ელჭექის მოახლოებას გრძნობდა.

მკითხველის უკეთ გარკვევის მიზნით შევახსენებთ, რომ სუდეტის ოლქი, რომელიც მეტწილ გერმანელებით იყო დასახლებული, ჩეხოსლოვაკიას ერგო I-ლი მსოფლიო ომის დამთავრებისას ავსტრია-უნგრეთის იმპერიის დაშლის შემდეგ. ის მდებარეობდა ამ ორი ქვეყნის (იგულისხმება ავსტრია და გერმანია) საზღვარზე ამ უკანასკნელის სამხრეთ აღმოსავლეთით. და აი, ახლა, 1938 წლის გაზაფხულზე, გერმანელთა ზეწოლით იქ სუდეტში არსებული აგრარული პარტიის ლიდერმა - კ. ჰენლაინმა - „დააყენა" საკითხი მისი ავტონომიის თაობაზე, რომელიც პირველი ნაბიჯი უნდა ყოფილიყო შემდეგში

[1] კნინობითი მუსოლინიდან.

„დამოუკიდებლობის" მოპოვებისა და გერმანიასთან მისი მიერთების გზაზე.

დასაწყისში ჩეხოსლოვაკიის მთავრობამ იყუჩა და არად ჩააგდო სუდეტელ ნაციონალისტთა ლიდერის მოთხოვნა, მაგრამ თანდათან მის გაძლიერებასა და გამრავლებასთან დაკავშირებით ქვეყნის პრეზიდენტი ედუარდ ბენეში იძულებული შეიქნა მას გამოხმაურებოდა. იგი, რაღა თქმა უნდა საკითხის ამგვარი მოგვარების წინააღმდეგი იქნებოდა, მაგრამ გაუარესებასთან დაკავშირებით, რაც „თამაშში" გერმანიის ჩაბმით გამოიხატა, ბენეში იძულებული შეიქნა დათანხმებოდა საერთაშორისო კომისიის პრაღაში ჩასვლას. კომისიას ხელმძღვანელობდა ინგლისელი ლორდი რენსიმენი. მან ბენეშს კომპრომისზე წასვლა ურჩია, რასაც ქვეყნის პრეზიდენტი არ დაეთანხმა. წარმოიშვა კონფუზი. მაშინ ჰიტლერმა არც აცია და არც აცხელა და 12 სექტემბერს დიდ შეკრებაზე ნიურნბერგში შემდეგი განაცხადა: „თუ აღნიშნული საკითხი უახლოეს ხანში არ გადაწყდება, მე, როგორც პირველი ჯარისკაცი წავალ პრაღაზე!"... არც მეტი და არც ნაკლები! „ყოვლისშემძლე უზენაესს, - განაგრძო მან, - იმისთვის არ შეუქმნიაო 7 მილიონი ჩეხი, რომ მან სამნახევარი მილიონი გერმანელი დაჩაგროსო!"

ვითარება კიდევ უფრო დაიძაბა. შესამჩნევად გაფართოვდა საკითხით დაინტერესებულ პოლიტიკოსთა წრე. სწორედ იმ დღეებში „თაიმსში" დაიბეჭდა დიდი ბრიტანეთის მომავალი პრემიერ-მინისტრის იმჯერად შიდაპარტიული ოპოზიციის ლიდერისა და ბეკბენჩერის[1] — უინსტონ ჩერჩილის სტატია - „ევროპის კრიზისი". მასში აღნიშნული იყო, რომ გერმანიამ ძალზე გააფართოვა მობილიზაცია... ჩეხოსლოვაკიის საზღვრებისაკენ იზრდება ძალები, როგორც საკუთრივ გერმანიიდან, ასევე ახლახან დამორჩილებული ავსტრიის ტერიტორიიდანო.

შეიძლება თუ არა ასეთ სიტუაციაში კატასტროფის თავიდან აცილება? ჩერჩილის აზრით ეს შესაძლებელი იქნებოდა, თუ ინგლისი, საფრნგეთი და რუსეთი (!) ერთად მიმართავდნენ ჰიტლერს და მათ მორალურ მხარდაჭერას აღმოუჩენდა აშშ.

ამასობაში ინგლისელმა „პარლამენტარმა" რენსიმენმა გატეხა პრეზიდენტ ბენეშის წინააღმდეგობა და დაითანხმა ის „სუდეტის ავტონომიაზე". მაგრამ სწორედ იმ ხანებში გაირკვა, რომ ჰიტლერის ზეწოლით კონრად ჰენლაინმა (სუდეტელთა ლიდერმა) უკვე შეცვალა თავისი მოთხოვნა და ავტონომიის სურვილიდან იგი გადავიდა ახალ პრეტენზიაზე: მას არა მარტო ავტონომია აღარ აინტერესებდა და არც მხოლოდ სუდეტის ოლქის დამოუკიდებლობა, არამედ ჩეხოსლოვაკიის მთელი ის სასაზღვრო ტერიტორიები, სადაც გერმანელები 50%-ზე მეტს

[1] ნიშნავს უკანა რიგელს, ანუ ოპოზიციონერს პარტიის შიგნით

შეადგენდნენ. ხომ გახსოვს, ჩემო ძვირფასო მკითხველო, არაკი თქმული თავგასული ბავშვის მისამართით „რატომ ტირისო?" - „გაუდის და იმიტომო". იგივე უნდა თქმულიყო სუდეტელ გერმანელთა ლიდერზეც, რომლის ზურგს უკან ჰიტლერი იდგა. და ერთიც: მკითხველს ვთხოვ, შეადაროს ეს მდგომარეობა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობას აფხაზეთთან და სამაჩაბლოსთან დაკავშირებით და ვფიქრობთ დარწმუნდება, მხოლოდ აჩრდილი კი არა, ფაშიზმი დააბიჯებს დღევანდელ რუსეთში.

ჰენლაინის ახალმა მოთხოვნამ ჩიხში მოაქცია მოლაპარაკება. რენსიმენი დაბრუნდა ლონდონში და მოსთხოვა ნ. ჩემბერლენს, იმ დროინდელ პრემიერ-მინისტრს, აეძულებინა ბენეში დასთანხმებოდა ჰიტლერის (ბოდიში — ჰენლაინის!) მოთხოვნას. ასეთ რთულ გარემოებაში ინგლისის პარლამენტმა და მთავრობამ გადაწყვიტეს თავისი პრემიერ-მინისტრი გაეგზავნათ ჰიტლერთან ბერხტესჰადენში — მოლაპარაკების მიზნით. ჩვენი პირადი შეხედულებებით, ჰიტლერი დააფასებდა ინგლისის ლიდერის ასეთ ჟესტს. ჩემბერლენსაც სწამდა, რომ მისი ავტორიტეტი გადაჰფარავდა ჰიტლერისას.

1938 წლის 15 სექტემბერს, უკვე საკმაოდ ხანდაზმული დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი, რომელიც მანამდე არასოდეს არ მჯდარა თვითმფრინავში, ჰიტროუს აეროპორტზე გავიდა მიუნხენში გასაფრენად თავის განუყრელ მრჩეველთან — ჰორაციოს ვილსონთან ერთად, რომელსაც რატომღაც ეს თანამდებობა ეკავა... ეკონომიკის სფეროში. მათ ახლდათ აგრეთვე - „ფორინ ოფისის" ანუ საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროპის განყოფილების გამგე სტრენგი.[1]

ეს არ გახლდათ ნ. ჩემბერლენის ერთადერთი ვიზიტი გერმანიში. მას იმავე სექტემბერში კიდევ ორჯერ მოუხდა ჩაფრენა ჰიტლერთან, ვიდრე მის ულტიმატუმს არ დააკმაყოფილებდა (22 და 28 სექტემბერს), თუკი მას შეიძლება ეწოდოს ეს სახელი. ჩემბერლენის ყოველი ჩასვლისას ჰიტლერი თითო-თითო გრადუსს უმატებდა ტემპერატურას. ბოლოს კი ზღვრულ ჭერამდე ავიდა. ეს მოხდა ბავარიის დედაქალაქში 28-30 სექტემბერს.

მის აღსანიშნავად ერთი სიტყვა იხმარება — მიუნხენი. ამ შემთხვევაში იგი წარმოიდგინება, როგორც პოლიტიკური სენტენცია, რომლის გაიგივება მხოლო და მხოლოდ ჯოჯოხეთთან შეიძლება. მიუნხენში შეკრებილმა დასავლეთის ლიდერებმა — ჩემბერლენმა, დალადიემ (საფრანგეთის პრემიერი) და მუსოლინიმ — მასპინძელი ქვეყნის მეთაურთან ერთად, ტყვიის ერთი გასროლით დაასაჭურისეს

[1] მისი სახელი უცნობია, თვით ჩერჩილსაც კი არა აქვს ნახსენები მეორე მსოფლიო ომის შესახებ შექმნილ თავის ცნობილ მემუარებში

ჩეხოსლოვაკია და იმპოტენტი გახადეს ისე, რომ თვით ჩეხებისათვის არაფერი უკითხავთ. უბრალოდ დაუგდეს მაგიდაზე გადაწყვეტილების ტექსტი და უბრძანეს ხელი მოაწერეთო. ჩეხოსლოვაკიას გერმანიისათვის ათი დღის ვადაში (1-10 ოქტომბერს) სიტყვის შეუბრუნებლად უნდა გადაეცა ის ტერიტორიები, სადაც ეთნიკური გერმანელები 50%-ზე თუნდაც ოდნავ მეტს შეადგენდნენ.

ჯერ კიდევ მიუნხენის კონფერენციის გადაწყვეტილების მიღებამდე ჰიტლერმა საქვეყნოდ განაცხადა (26 სექტემბერს), რომ სუდეტის ოლქის მოთხოვნა მისი საბოლოო რეტენზია იქნებოდა ევროპაში. ასეთ განცხადებას ის უკვე მეორედ თუ მესამედ აკეთებდა.

1938 წლის დასასრული — დეკემბრის თვე — ორი საინტერესო მოვლენით აღინიშნა. ჯერ იყო და, 6 რიცხვში ჰიტლერმა და დალადიემ ხელი მოაწერეს ურთიერთთავდაუსხმელობის შესახებ დეკლარაციას, (ისევე, როგორც ეს ინგლისმა მიუნხენის კონფერენციაზე), მეორე კი ის გარემოება გახლდათ, რომ 11 დეკემბერს არჩევნებში, რომელიც მემელში ჩატარდა, ნაციონალ-სოციალისტებმა 90 პროცენტიანი მხარდაჭერა მიიღეს.

მაგრამ ჰიტლერი და მისი დამქაშები არც ამ ვითარებამ დააკმაყოფილა. 19 დეკემბერს ფიურერის მოთხოვნით დანციგის ხელისუფლებამ კატეგორიული მოთხოვნები წაუყენა იქაურ ებრაელობას — მომდევნო წლის 1 აპრილამდე ქალაქი დაეტოვებინათ. ეს მას შემდეგ, რაც წინა წლის ნოემბერში გერმანიის ებრაელობას გადასახდელად შეაწერეს 1 მლნ. მარკა. უფრო მეტიც. არც ეს იკმარეს და რსჰა-ს მეთაურს რ. ჰეიდრიხს დაავალეს გერმანიიდან ებრაელთა სრული დეპორტაციის გეგმის შედგენა.

ხომ გახსოვს, ძვირფასო მკითხველო, რომ მიუნხენის კონფერენციის წინა დღეს ჰიტლერმა განაცხადა: სუდეტის ოლქი ჩემი ბოლო მოთხოვნაა ევროპაში. და აი, ახალი, 1939 წლის საახალწლო ზეიმი ჯერ კიდევ არ დამთავრებულიყო, რომ მან დანციგის დაბრუნება მოითხოვა გერმანიისათვის(!).[1] მალე პოლონეთში ჩავიდა გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი ი. რიბენტროპი, რომლის ამოცანა იყო პოლონეთის მიერთება ე.წ. ანტიკომინტერნული პაქტისადმი. ამასთანავე, ჰიტლერის ეს ერთ-ერთი მთავარი სატრაპი, რაღა თქმა უნდა, პოლონეთის მთავრობასთან დანციგის საკითხსაც განიხილავდა.

ჰიტლერს არც კათოლიკური ეკლესიის მიმართ დაუმალავს თავისი ნეგატიური დამოკიდებულება, რასაც 14 მარტს მოჰყვა რომის პაპის პიი XII-ის ენციკლიკა - „გერმანიის რაიხში კათოლიკური ეკლესიის

[1] თუ მკითხველი გაიხსენებს ეს ქალაქი (ამჟამად გდანსკი) ვერსალის საზავო ხელშეკრულებით გადაეცა იმჟამად აღდგენილ პოლონეთს, როგორც ზღვაზე გამავალი დერეფნის საპორტო ქალაქი.

მდგომარეობის შესახებ". მასში ნაციონალ-სოციალისტური რეჟიმი საკმაოდ იყო გაკრიტიკებული და იგი ფაქტობრივად იმეორებდა მისი წინაპრის — პიი XI-ს ენციკლიკას, რომლითაც ამ უკანასკნელმა ჰიტლერს მიმართა. ის ფიურერს შეახსენებდა, რომ ადამიანი თავისუფალი არსებაა და, შესაბამისად შეუზღუდავი უფლებებით სარგებლობსო. თავის ენციკლიკაში პაპმა გაამტყუნა ნაცისტური გერმანია 1933 წლის კონკორდატის დარღვევაშიც. ორთავე რომის პაპი დიდ სინანულს გამოთქვამდნენ კათოლიკ-მორწმუნეთა უკანონო და არაადამიანურ რეპრესიებთან დაკავშირებით გერმანიაში.

მაგრამ ჰიტლერი რა ჰიტლერი იქნებოდა, რომ პაპებისათვის შეესმინა. მისი დამოკიდებულება ეკლესიისადმი ყოველთვის იყო აფეთქების ზღვარზე...

15 მარტს შავი დღე გაუთენდა დარჩენილ ჩეხოსლოვაკიას. „რუდიმენტს", როგორც ეს ჰიტლერმა ერთხელ ამ ქვეყანას უწოდა ევროპის რუქაზე მიშტერებულმა, აღარც იმ სახით ეწერა დამოუკიდებელი ცხოვრება, რაც სუდეტის ოკუპაციას გადაურჩა რამდენიმე თვით ადრე. და არცერთი წიაღსვლა: ისტორიის სპირალი ძველ ფაშისტურ ნიშნულს ემთხვევა. გავიხსენოთ, მკითხველო, სულ ახლახან რა თქვა ვლადიმერ პუტინმა საქართველოს, როგორც ვითომდა არშემდგარი სახელმწიფოს შესახებ! უკმაყოფილების მასშტაბის შემცირების იმედით, ჰიტლერმა სლოვაკია უნგრეთს გადაუგდო - „საქმეში" მისი გაყვანის მიზნით, როგორც ეს ქურდებმა იციან, თუმცა მანამდე, სახელდობრ 21 მარტს, იგი პოლონეთს შესთავაზა დანციგში გაცვლის წინადადებით. პოლონელებმა „დანაელთა საჩუქარს" უარით უპასუხეს.

მასე არ უნდაო და მეორე დღეს — 23 მარტს ნაცისტებმა დაიკავეს მემელის მხარე: გერმანიის ჯარები შეიჭრნენ კლაიპედაში, რომელიც ჰიტლერმა დაათვალიერა კიდეც. ეს ტერიტორია ბალტიის ზღვის სანაპიროზე მდ. ნემენის შესართავთანაა. ესაზღვრებოდა ლიტვას და მაშინ ანტანტის ადმინისტრაციის განმგებლობაში იმყოფებოდა.

ევროპა მომხდარისაგან ჯერ კიდევ გონს ვერ მოსულიყო, როცა ჰიტლერმა ახალი ნაბიჯი გადადგა მორიგი აგრესიისაკენ. პირველად განაცხადა საყოველთაოდ, რომ თურმე პოლონეთის საკითხი, სამხედრო გზის გარდა, სხვაგვარად ვერ გადაიჭრებოდა. ამასთან დაკავშირებბით მან გენშტაბს უბრძანა, შეემუშავებინა პოლონეთის ოკუპაციის გეგმა, რომელსაც „თეთრი გეგმა" დაერქვა.

ომის სამზადისს მარტო გერმანია არ ეწეოდა. მისი მოკავშირე — ფაშისტური იტალიაც არ ყოფილა გულზე ხელებდაკრეფილი. 7 აპრილს მუსოლინის ჯარები შეიჭრნენ ალბანეთში და დაიწყეს ქვეყნის ოკუპაცია. ეს იყო დასაწყისი ფაშისტი დიქტატორის იმ გეგმისა, რომელიც

ბალკანეთის ნახევარკუნძულის დაპყრობას ითვალისწინებდა. მაგრამ, განსხვავებით გერმანელებისაგან, იტალიელებს მალევე წაუვიდათ საქმე ცუდად.

27 აპრილს გათავხედებულმა ჰიტლერმა ცალმხრივად გააუქმა საზღვაო ხელშეკრულება ინგლისთან, რომლისკენაც ადრე დაჟინებით ისწრაფვოდა. ახლა უკვე მას აღარ აკმაყოფილებდა ის ნორმა. რომელიც დაუდგინდა იმ ხელშეკრულებით — ინგლისის ფლოტის 35%. ამჟამად იგი სხვა რეალიებს მოითხოვდა.

იმის მიუხედავად, რომ ფაშისტურ ქვეყნებს შორის ერთის მხრივ არსებობდა ე.წ. „ღერძის სახელმწიფოთა" კავშირი, ხოლო მეორეს მხრივ ე.წ. „ანტიკომინტერნული პაქტი", ჰიტლერმა დამატებით სცნო საჭიროდ ე.წ. „ფოლადის პაქტის" დადება იტალიასთან, რომელიც სამხედრო ხელშეკრულების თავისებურ ახალ ტიპს წარმოადგენდა.

როგორც წესი, ჰიტლერი აგრესიულ აქციებს გაზაფხულის ბოლოს ან ზაფხულის დამდეგს იწყებდა. ამჯერადაც ასე ხდება. 23 მაისს მან დიდი თათბირი მოიწვია წამყვანი პოლიტიკური წრეებისა და გენერალიტეტის შემადგენლობით. ინტუიციით ყველა გრძნობდა, რომ მას რაღაც განსაკუთრებული განცხადება უნდა გაეკეთებინა. მისი მრევლი არც შემცდარა. ჰიტლერის ინსინუაციათა და შეურაცყოფის ობიექტი ამჯერად პოლონეთი შეიქნა — მისი მეზობელი ქვეყანა აღმოსავლეთით. ჰიტლერს ვერა და ვერ მოეშუშებინა, რომ ვერსალის ხელშეკრულებით პოლონეთმა პრუსიის, აღმოსავლეთ პრუსიისა განსაკუთრებით და პოზნანშჩინის ტერიტორიები მიიღო დანციგის დერეფნისა და თვით დანციგითურთ, რითაც გერმანია ფაქტობრივად ორად გაიყო.

- მე პოლონეთის გული ვერაფრით მოვიგე. რა არ შევთავაზე დანციგის სანაცვლოდ — აქეთ სლოვაკეთი, იქით „ანტიკომინტერნული პაქტი", ასევე მზად ვიყავი საკომპენსაციოდ სამხრეთ სილეზიის რაღაც ნაწილიც კი მიმეცა, მაგრამ არა და ვერ მივაღწიეო მასთან ურთიერთგაგებას. ბოლოს არაოფიციალურად (მო)ვითხოვეო პრუსიიდან აღმოსავლეთ პრუსიისაკენ დანციგის დერეფანზე გამავალი რკინიგზა და ავტოსტრადა მაინც დაეთმოთო ჩვენთვის, მაგრამ პოლონეთის მთავრობა სახედარივით ჯიუტობსო. ამიტომ, ჩვენ სხვა გამოსავალი არ გვრჩება, გარდა საკითხის სამხედრო გზით გადაჭრისაო. იცოდეს უფალმა, ჩვენ დაინტერესებული არა ვართ სისხლის ღვრაში. — განაცხადა ჰიტლერმა.

თათბირის შემდეგ, მეორე დღეს, მას მიღება სთხოვეს ვერმახტის სხვადასხვა სახეობითი ჯარის მთავარსარდლებმა და გენშტაბის ხელმძღვანელებმა. მათ სცადეს ფიურერის დარწმუნება, რომ გასათვალისწინებელი იყო საკითხის პოლიტიკური მხარე. ისინი თანხმდებოდნენ მის გეგმას, მაგრამ ითხოვდნენ შესაძლო გართულების

გათვალისწინებას. კერძოდ, გამოთქვამდნენ კონფლიქტის გაფართოების ვარაუდს და ამის გამო, მოითხოვდნენ ზურგის უშიშროების უზრუნველყოფას. მათ ეჭვი არ ეპარებოდათ, რომ ინგლისი და საფრანგეთი ომის შემთხვევაში ნეიტრალურები არ დარჩებოდნენ.

მათი ვარაუდი ემყარებოდა ხსენებული ქვეყნების მთავრობათა განცხადებას ჩეხოსლოვაკიის მედიატიზაციაზე ანუ დამოუკიდებლობის დაკარგვასთან დაკავშირებით; ჩემბერლენის მიერ გაკეთებულ განცხადებას თემთა პალატაში 30 მარტს იმის შესახებ, რომ თუ გერმანიის მთავრობა ანალოგიურ აქციას განახორციელებდა პოლონეთის მიმართაც, ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობები ასეთ შემთხვევაში გულგრილნი არ დარჩებოდნენ. მით უმეტეს, რომ პოლონეთის მხარდაჭერას ითვალისწინებდა იმ პერიოდში ინგლისის მთავრობის მიერ მიცემული გარანტიაც.

იქმნებოდა ჰიტლერისათვის გამოუვალი მდგომარეობა. მას კარგად ესმოდა, რომ მას საერთოდ არჩევანი უნდა გაეკეთებინა აღნიშნულ ქვეყნებსა და საბჭოთა კავშირს შორის, რომლის სახელის ხსენებაც კი მასში ზიზღს იწვევდა. პირველი ვარიანტი იმჯერად უკვე გამოირიცხა, რამეთუ თვითონ გააუქმა ხელშეკრულება ინგლისთან. რჩებოდა კომუნისტური რუსეთი. კარგა ხანს ებრძოდა იგი საკუთარ თავს. ეს ხომ „მაინ კამპფის" ფაქტობრივ უარყოფას ნიშნავდა. მაგრამ, მან, ალბათ, გაიხსენა ერთი თურქი ვეზირის განცხადება, რომელიც რუსეთთან არის დაკავშირებული. საქმე ეხებოდა თურქთა ჯარის კონიოსთან ბრძოლის შემდგომ შექმნილ სიტუაციას, რომელიც უმძიმესი იყო ეგვიპტის ფაშის — მუჰამედ ალის უფროსი ვაჟის მიერ მიყენებული მარცხის გამო, რითაც ეგვიპტის არმიას გზა კონსტანტინოპოლისაკენ გაეხსნა. „მეუფეო, - მიუმართავს ვეზირს სულთანისათვის, - როდესაც იხრჩობი, გველსაც კი წაეპოტინებიო". საქმე ეხებოდა რუსეთისათვის თხოვნით მიმართვას დახმარების თაობაზე იმის გათვალისწინებით, რომ მაშინ თურქეთის საზღვართან ახლოს იდგა მანევრებზე მყოფი რუსეთის ფლოტი.

ჩვენ ამჯერად მხედველობაში გვაქვს ჰიტლერისათვის დარჩენილი ერთადერთი ვარიანტი — საბჭოთა კავშირთან საერთო ენის გამონახვა. მკითხველისათვის ხომ ძნელი წარმოსადგენი უნდა იყოს ჰიტლერის იმდროინდელი მდგომარეობა. ჰიტლერს სხვა გზა არ რჩებოდა, და ის სწრაფად შეეცადა გამოსავლის მოძებნას, მით უფრო, რომ პრინციპები დიდად არასოდეს აწუხებდა. ერთადერთი უპირობო დამოკიდებულება მას ებრაელთა მიმართ ჰქონდა და სიკვდილამდე არასოდეს შეუცვლია.

მკითხველი ალბათ შეამჩნევდა: ხშირად გიმეორებთ ჩვენს მოსაზრებას, რომ ცხოვრებას თავისი საკუთარი სიუჟეტები აქვს. მხედველობაში გვაქვს ხელის შეწყობის თუ შეშლის ვარიანტები რაღაც ახალი საქმის

წამოწყებისას. ასე დაემართა ჰიტლერსაც. სწორედ იმ დროს ვადა ენურებოდა რუსეთ-გერმანიის სავაჭრო ხელშეკრულებას და ან უნდა შეწყვეტილიყო, ანდა განახლებულიყო. **ასეთ ვითარებაში ჰიტლერმა დავალება მისცა თავის დიპლომატებს, მოეძებნათ პოლიტიკური ვარიანტების შესაძლო გზებიც.** ხსენებულ დანიშნულებას მალე „დადებითი" გაგრძელება გამოუჩნდა 23 აგვისტოს „თავდაუსხმელობის პაქტში", რომელიც სამყაროსათვის სრულიად მოულოდნელად გაფორმდა მოსკოვში რიბენტროპისა და მოლოტოვის ხელმოწერებით. აქვე საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ ჩვენ გვაქვს უტყუარი ცნობები, რომ ჯერ კიდევ მაისში იყო ასეთი ხელშეკრულების მიღწევის გზების ძიება. თუმცა ასეც რომ არ იყოს, ინგლისელი ავტორის, პარლამენტარისა და საზოგადო მოღვაწის ჰაროლდ ნიკოლსონის მემუარებიც კმარა ამის სამტკიცებლად.

დასახელებულ ხელშეკრულებას ისტორიოგრაფიაში - **„მეორე"**, თანაც **„საბჭოურ მიუნხენს"** ეძახიან. მიიჩნევა, რომ მან გერმანიასა და რუსეთს გზა გაუხსნა პოლონეთის მეოთხედ განაწილებისა[1] და საერთოდ, მეორე მსოფლიო ომისაკენ. თავად განსაჯე, ძვირფასო მკითხველო. პაქტი 23 აგვისტოს დაიდო, ხოლო მეორე მსოფლიო ომი ერთ კვირაში — 1 სექტემბერს დაიწყო გერმანიის პოლონეთზე თავდასხმით, რომელსაც იმავე პოლონეთზე — 17 სექტემბერს საბჭოთა რუსეთის თავდასხმაც მოჰყვა, რაც თურმე გათვალისწინებული იყო წინარე პაქტის საიდუმლო პუნქტებით და რომლის თაობაზე საბჭოთა მოქალაქეებმა დიდხანს არაფერი იცოდნენ.

ასე დაიწყო მეორე მსოფილო ომი. მასში უკვე 3 სექტემბერს ჩაებნენ ინგლისი და საფრანგეთი, რადგან გერმანიამ არ მიიღო ის ულტიმატუმი, რომლებიც ხსენებულმა ქვეყნებმა ომის შეწყვეტის თაობაზე მას გაუგზავნეს.

მართალია, არსებობდა გენშტაბის მიერ შედგენილი გეგმა პოლონეთზე თავდასხმისა, მაგრამ თვითონ ოპერაციებს უშუალოდ ხელმძღვანელობდა ჰიტლერი, რომელიც ამ მიზნით საგანგებოდ გაემგზავრა ფრონტის ხაზზე. გერმანიის შეიარაღებული ძალები — ვერმახტის სახით — ორი მიმართულებით უტევდნენ პოლონეთის არმიებს. პირველი — პოზნანშჩინიდან და მეორე აღმოსავლეთ პრუსიიდან. პოლონეთი თითქმის პირველსავე კვირაში შემუსრეს. უკვე 14 სექტემბერს მისმა მთავრობამ დატოვა ვარშავა და რუმინეთისაკენ იწყო სვლა, რათა ამ ქვეყანაში გადასულიყო. 17 სექტემბერს აღმოსავლეთ პოლონეთში შეიჭრა საბჭოთა ჯარი და მალე პოლონეთის კაპიტულაციას მიაღწია.

---

[1] წინა სამი განაწილება მოხდა მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში რუსეთს, ავსტრიასა და პრუსიას შორის. ამის შედეგად პოლონეთმა შეწყვიტა არსებობა.

მართალია, ინგლისმა და საფრანგეთმა გერმანიას ომი პოლონეთზე მისი თავდასხმის გამო გამოუცხადეს, მაგრამ სინამდვილეში მის დასახმარებლად თითიც არ გაუნძრევიათ. უფრო მეტი. მათ რაიმე აქტიური ოპერაციები გერმანიის საზღვარზე არც დასავლეთით ჩაუტარებით. ამიტომ, ომის ამ მონაკვეთს ბევრნაირ დასაცინ სახელს ეძახიან — დაწყებულს **„უცნაურიდან"** და დამთავრებულს **„ომობანას"** თამაშით - „ბუფ! ბუფ!", მოგკალიო, ბავშვები რომ ეძახიან ხოლმე ერთმანეთს.

რიბენტროპ-მოლოტოვის პაქტთან დაკავშირებით დღესაც მიმდინარეობს დავა — რომელმა რომელი შეაცდინა — ჰიტლერმა სტალინი თუ პირიქითო. მოგეხსენებათ - „წინილებს შემოდგომაზე ითვლიან". ჩვენ პირადად ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ სწორედ ამ ორი წლის „ამოსუნთქვამ" მოაგებინა რუსეთის დიქტატორს ომი, რამეთუ ის ტექნიკა, რომელმაც ეს საკითხი გადაჭრა, სწორედ მაშინ შეიქმნა - 1939-41 წწ. განმავლობაში. ამიტომ ეძახიან მას **„გამარჯვების იარაღს"**. იმ იარაღად იგულისხმება გვარდიული ნაღმტყორცნები — ე.წ. „კატიუშები" , ტანკები - „ტ-34", „კლიმენტ ვოროშილოვი" და „ი. სტალინი", თვითმფრინავები - „იაკ-ები", „ილები", „მიგ-ები" და ბევრი კიდევ სხვა სახის ტექნიკა, თუნდაც, მაგალითისთვის კალაშნიკოვის ავტომატები. მკითხველთა უფროს თაობას ემახსოვრება, რომ ფინეთთან ომის დროს საბჭოთა ჯარისკაცები ყოველჯერადი გადასატენი შაშხანებით სარგებლობდნენ. ეს კი ხდებოდა ერთი წლით ადრე საბჭოთა კავშირზე გერმანიის თავდასხმამდე.

როდესაც პოლონეთთან ომს მორჩა, ჰიტლერი დასავლეთის ქვეყნებს მიუბრუნდა და 6 ოქტომბერს მათ ზავი შესთავაზა. ინგლისმა და საფრანგეთმა უარი სტკიცეს. უფრო სწორად, ეს საფრანგეთმა გაახმოვანა: „ვინც ქარქაშიდან მახვილს უსაფუძვლოდ ამოიღებს, იმავე მახვილით დაისჯებაო იგი." — უპასუხა ფრანგმა პრემიერმა - ედუარდ დალადიემ - ჰიტლერს. ინგლისის ხელმძღვანელობამ კი პასუხის ღირსიც არ გახადეს ფიურერი. არადა, ვფიქრობთ, მათ უდიდესი შეცდომა ჩაიდინეს: მათი ძველი ოცნება საბჭოთა კავშირის განადგურებისა თითქმის თავის ფეხით იყო მიმდგარი მათ კარზე. მათგან დადებითი პასუხის შემთხვევაში ჰიტლერს უკვე მაშინ ჰქონდა გადაწყვეტილი საბჭოთა რუსეთზე დარტყმა, რომელსაც იმჯერად, შეიძლებოდა წარმატებაც მოეტანა. დასავლეთის ლიდერებს ეს ვარიანტიც გამოთვლილი ჰქონდათ, მაგრამ მაშინ მათ ამჯობინეს თავდაპირველად ნაცისტური გერმანიის განადგურება. ამ გადაწყვეტილებას გარკვეულ წილად ხელი შეუწყო იმ გარემოებამაც, რომ პირადად ჰიტლერის მიმართ ზღვრამდე იყო მისული სიძულვილი.

ასეთ ვითარებაში გაცბუნებულმა ჰიტლერმა უკვე საბჭოთა კავშირის საზღვრებთან განლაგებული მრავალმილიონიანი არმია დასავლეთის საზღვარზე გადაისროლა და 1940 წლის ზაფხულის დამდეგს ერთი ხელის მოსმით გაანადგურა ინგლის-საფრანგეთის არმიები. უფრო ზუსტად, ფრანგები, ხოლო ინგლისელები ზღვაში სულ პანღურის კვრით გადაყარა დიუნკერკთან. საფრანგეთის არმია ქართული ზღაპრის დასაწყისს მოგაგონებდათ - „იყო და არა იყო რა". 10 მაისს გერმანელთა მიერ დაწყებული შეტევა 22 ივნისს საფრანგეთის სამარცხვინო კაპიტულაციით დამთავრდა.

ჰიტლერი და ნაცისტური გერმანია უდიდეს გამარჯვებას ზეიმობდა. საფრანგეთს ვერ უშველა ვერც **„მაჟინოს თავდაცვითმა ხაზმა"** და ვერც ინგლისის თითქმის ნახევარმილიონიანმა საექსპედიციო კორპუსმა.

ჰიტლერის ეიფორია საკმარისად არის გამოსახული ფოტოზე (იხ. წიგნის ბოლოში), რომელსაც შეიძლება ეწოდოს „ჰიტლერის ვიზიტი ინვალიდთა სასახლეში", რომელიც ჩვენ დავამონტაჟეთ და რომელზეც ფიურერი თავისი ამალით ზემოდან დასცქერის ნაპოლეონის სასახლეს თუ საფლავს.

ახლა ჯერი ინგლისზე მიდგა. ჰიტლერი მის დაპყრობასაც ფიქრობდა. მაგრამ ამ მიზნით დაწყებული საჰაერო ბრძოლა წააგო ინგლისელებთან და თავისი წარუმატებლობის დაფარვის მიზნით გადაწყვიტა შეებრუნებინა თავისი ჯარები და საბჭოთა კავშირისათვის დაერტყა უახლოეს დროში. ამასთანავე შეეცადა ინგლისთან დიპლომატიური გზით პოლიტიკური ურთიერთგაგების მიღწევას. ამ მიზნით იქ გაიგზავნა ჰიტლერის მოადგილე რუდოლფ ჰესი.

თავი XII

ჰესის გაფრენა ინგლისში

ინგლისში ჰესის გაფრენა, მისი პირველივე წარმატებული ცდა არ ყოფილა. ეს ჩანაფიქრი მუსირებდა ჯერ კიდევ 1940 წლის ზაფხულიდან, მაგრამ განსაკუთრებით ინტენსიურად მომდევნო წლის დამდეგიდან. იმ პირველ შემთხვევაში ჰესმა ლამის გადააჭარბა „ოთხ საათიან კარანტინს" და მის ადიუტანტს პინჩს მოუხდა „თავისი წერილის" გახსნა და იმის გარკვევა, რომ თუ ჰესი ინგლისში გაფრინდებოდა, მეორე წერილი მას ჰიტლერისათვის უნდა წაეღო. ეს მოხდა 1941 წლის იანვარში, მაგრამ ჰესისავე განცხადებით, იანვრის შემდეგ მას აღარ უცდია გაფრენა.

როგორც უკვე ცნობილია, ომის დაწყებასთან დაკავშირებით ჰიტლერმა, თავისი საგანგებო ნებართვის გარეშე, აკრძალა თვითმფრინავების

პილოტირება ქვეყნის ხელმძღვანელთათვის. ეს ბრძანება ყველაზე ვრცელდებოდა, მათ შორის რუდოლფ ჰესზეც. ამიტომ იყო, რომ ამ უკანასკნელმა საერთო ენა ვერ გამონახა გენერალ ერნსტ უდეტთან, „ლუფტვაფეს" ტექნიკური სამმართველოს უფროსთან, ჰიუტონის ცნობით გენერალ-კვარტერმაისტერთან.[1] მას შემდეგაც კი, როდესაც ერთი წელი გავიდა და ჰიტლერმა მოხსნა ბრძანება ჰესის მიმართ, უდეტი არც შემდეგ რთავდა ჰესს თვითმფრინავის პილოტირების ნებას ჰიტლერის ხელნაწერი ბრძანების გარეშე. მაშინ ჰესმა აუარა გვერდი უდეტს და უშუალოდ ვილი მესერშმიტზე გავიდა.

ვიდრე გაფრენის ეპიზოდს განვიხილავდეთ, გვინდა მკითხველს გავაცნოთ ერთი საინტერესო ფრაგმენტი, რომელიც გარდა ბერნანდ ჰიუტონისა, არავის დაინტერესების საგანი არ გამხდარა. მაგრამ, საქმე იმაში გახლავთ, რომ ავტორს წიგნისთვის დართული არ აქვს სამეცნიერო-ტექნიკური აპარატი, ე.წ. სქოლიო, თვითონ კი წყაროს არ ასახელებს. ასე რომ, ძნელია დადგენა, თუ რას ეყრდნობა.

მისი გადმოცემით, სადღაც 1940 წლის ოქტომბრის გვიან რიცხვებში, ჰიტლერისათვის, რომელიც იმჯერად „ბერგჰოფში" იმყოფებოდა, მოუხსენებიათ — რუდოლფ ჰესი გესტუმრათო. ფიურერი გულთბილად შეხვედრია „რუდის" და კაბინეტში მიუპატიჟებია. მიმოკითხვის შემდეგ მაპინძელს უკითხავს შეწუხების მიზეზი: „რატომ გინდოდაო ჩემი ნახვა, რუდოლფ?"

„შენ ძველებურად ხარ თანახმა — უთქვამს სტუმარს — რომ ჩვენ ბრიტანეთთან მივაღწიოთ შეთანხმებას დაზავებაზეო?"

„მე ეს მსურს, - უპასუხნია ჰიტლერს — მაგრამ ჩვენმა მშვიდობის მაძიებლებმა ვერსად გვიპოვნეს ჩვენი ადგილიო."

„ეს იმიტომ, რომ ინგლისელები ბოლომდე არ არიან დარწმუნებულნი, რომ მათ უკან დგას მაღალჩინოსანი გერმანელიო", უთქვამს ჰესს.

„დოქტორ ალბრეხტ ჰაუსჰოფერი ინგლისში კარგად არის ცნობილიო" შეუნიშნავს ფიურერს, - მაგრამ „საფუძველი არ გაგვაჩნია, ვიფიქროთ, რომ ჰერცოგმა ჰამილტონმა საერთოდ მიიღო ალბრეხტის შეტყობინება" — შეუნიშნავს ჰესს.

„იმავდროულად, არც იმის თქმა შეიძლება, რომ არ მიიღო" უთქვამს ფიურერს. სტუმარს ერთგვარი პაუზა დაუჭერია და შემდეგ დრამატიულად გაუგრძელებია: „ბარბაროსას საქმის"[2] წარმატება დამოკიდებულია კონცენტრირებულ დარტყმაზე აღმოსავლეთის წინააღმდეგ. ჰაუსჰოფერი[3] დაჟინებით იმეორებს ორ ფრონტზე ომი ყველაფრის ფასად უნდა იქნეს თავიდან აცილებული".

---

[1] Hutton. Op. cit., 28

[2] იგულისხმება საბჭოთა კავშირზე თავდასხმის ოპერატიული გეგმა.

[3] ალბათ კარლ ჰაუსჰოფერზეა საუბარი

ჰიტლერი ერთგვარად ჩაფიქრებულა, შემდეგ თითები ნერვულად აუთამაშებია სავარძლის სახელურებზე და უკითხავს: „რუდოლფ, ჩვენ მეტი რა შეგვიძლია? მივმართეთ ყველა საშუალებას, რათა ინგლისელები გონივრულობის გზაზე დაგვეყენებიაო".

„ინგლისი მოეგება გონს", მტკიცედ უთქვამს ჰესს. მისი ხმა ერთგვარად ამაღლებული ჩანდა და ამასთან შთამბეჭდავიც. „ბრიტანელებს სურთ საიდუმლო კონფერენცია მაღალჩინოსან გერმანელთან. თუ ერთხელ მაინც გამოჩნდებოდა პიროვნება, რომელიც ჭეშმარიტად წარმოადგენს გერმანულ სახელმწიფოს და ზავის ძიებაში უმაღლეს დონეზე გერმანიის ფიურერის სურვილს, ასეთ წინადადებებს დაეთმობა სერიოზული ყურადღება".

„არსებობს კი ასეთი კაცი?" — უკითხავს ჰიტლერს.

„დიახაც", უპასუხებია ჰესს და წამით შეყოვნებულა...

„ვინ?" აღმოხდომია ფიურერს.

„მე", ამოუთქვამს ჰესს და ჩაშტერებია ჰიტლერს. ფიურერი გაკვირვებისაგან გაქვავებულა და სიტყვა ვეღარ დაუძრავს.

„ინგლისელები მე მიცნობენ. ჩემს სიტყვას დაუჯერებენ, მათ იციან რომ მე შენი სახელით ვილაპარაკებ".

ჰიტლერს ეს აღარ გაუხდია მსჯელობის საგნად, მაგრამ მთავარი პრობლემა გამხდარა პასუხისმგებელ ინგლისელ წარმომადგენლებთან აუდენციის მოწყობა. გამოსავალი ისევ და ისევ ჰესის უპოვნია. მე გავფრინდები შოტლანდიაში და მოვძებნი ჰერცოგ ჰამილტონსო.

ფიურერი შეგნებულად გაინაზაო. გეგმა უზადო გახლდათ, მაგრამ რისკთან დაკავშირებული. ჰესი შეეძლოთ ჩამოეგდოთ ინგლისელ გამანადგურებლებს. ჰიტლერი ასევე სწუხდა გერმანიის პრესტიჟზე. თუ ინგლისელები სამშვიდობო წინადადებას უარყოფდნენ, ისინი მთელს მსოფლიოს მოსდებდნენ, რომ ჰიტლერის სამშვიდობო გზების ძიება უკუგდებულიაო.

ჰესი ეტყობა საკითხის ასეთი დასმისათვის მზად იყო. „ასეთ ნაკლებად სავარაუდო შემთხვევაში, - მიუგო ჰესმა, - თქვენ საჯაროდ განაცხადებთ, რომ არ იყავით ჩემი წამოწყების კურსში და შეგიძლიათ გამომაცხადოთ ნაციონალ- სოციალიზმის საქმის მოღალატედ. თუ მე წარუმატებელი ვიქნები მისიის შესრულებისას, მე მოვისიმულიანტებ გონებრივ მოშლილობას და ჩემს დამტყვევებელს დავარწმუნებ, რომ ზავის მიღწევა ჩემი ცდა იყო, ჩემივე ჰალუცინაციების პროდუქტი.[1]

აქ საუბარი დროებით შეწყვეტილა, ვინაიდან თანაშემწეს ჰიტლერისათვის მოუხსენებია, რომ ახალი სტუმრები გეახლნენ — გერინგი და როზენბერგიო. მასპინძელს ძველ და ახლახან მოსულ

[1] Hutton. Op. cit., 30-31.

სტუმრებთან ერთად, რომელთაც ჰიტლერის „მეგობარ-ქალბატონი" — ევა ბრაუნიც შეერთებია, ლანჩი მიურთვიათ. ის დიდხანს არ გაგრძელებულა. მალე მამაკაცებმა განაგრძეს საუბარი, რომელზეც ადრე ჰიტლერი და ჰესი ლაპარაკობდნენ.

როგორც ირკვევა, გერინგისა და როზენბერგისათვის ჰესის ინგლისში გაფრენის იდეა უცხო ხილი არ ყოფილა. გერინგი სადღაც დისკომფორტსაც კი გრძნობდა, რომ ინგლისელებთან მოლაპარაკების პრიორიტეტი მას არ ხვდებოდა წილად. მაგრამ იმჯერად ეს პრინციპულად იყო გამორიცხული. სხვას რომ ყველაფერს თავი დავანებოთ, მისი ფიზიკური კონდიციის გამო. ხომ ცხადია, ჰესის ნაცვლად გერინგს რომ მოსვლოდა იგივე შემთხვევა: თვითმფრინავის თავდაყირა ფრენა, კაბინიდან გამოძრომა (თუკი შეძლებდა) და პარაშუტით დაშვება (რაც წარმოუდგენელი იყო), იგი ხომ ნიყვივით გასკდებოდა. ასე რომ, ეს მისთვის შეუძლებელი იყო. ამიტომ, წერს ჰიუტონი, მან ჰესს დაუჭირაო მხარი. ასევე მოიქცაო როზენბერგიც, რაც ჰიტლერისათვის მოულოდნელი აღმოჩენილა (თუნც გაუგებარია რატომ? — ლ.ს.)

საქმე იმაშია, - განაგრძობს ავტორი, - რომ „ბარბაროსას" მოახლოება თანაბრად ნერვულს ხდიდაო ნაცისტური გერმანიის ხელმძღვანელობას და მათ შორის გერინგს და როზენბერგს. მათ აწუხებდათ ორ ფრონტზე ბრძოლის არასასიამოვნო პერსექტივა, რასაც შეიძლებოდა დღის წესრიგში დაეყენებინა თვით მესამე რაიხის არსებობის საკითხი. ასე რომ, საბოლოოდ გადაწყდა, რომ ჰესს უნდა განეგრძო თავისი გეგმის მიხედვით სამზადისი და მისი მიმდინარეობის შესახებ საქმის კურსში ჰყოლოდა ჰიტლერი.

ამასთანავე, კატეგორიულად აიკრძალა მისი აფიშირება და რაც მთავარია, ფორმალურად თითქოსდა ფიურერმა არაფერი იცოდა. მაგრამ, ავიწყდებოდათ ერთი უმნიშვნელო დეტალი: ირწმუნებდა კი ვინმე ამას სინამდვილეში? ხომ მთელმა გერმანიამ და არამარტო მან, იცოდა, რომ ჰესი ჰიტლერის უერთგულესი თანამებრძოლი და პიროვნება იყო, რომელიც ფიურერის გარეშე არასდროს გადადგამდა ასეთ ნაბიჯს, გულშიც კი არ გაივლებდა მსგავს ქმედებას, რადგან მთელს მე-20 საუკუნეში, თუ საერთოდ არა, კაცობრიობის ისტორიაში სახელმწიფო მეთაურისადმი ერთგულების ასეთი ანალოგი არსად ყოფილა.[1]

ასეთი გახლავთ ჰიუტონისეული ვერსია. თუ მას ვენდობით, Finita la commedia. მაშინ რაღაა საძიებელი. ყველაფერი იმთავითვე ნათელი ყოფილა. მაგრამ ერთი კითხვა მაინც რჩება: საიდან აიღო ავტორმა ეს სიუჟეტი? ფიგურანტები ისე დაიხოცნენ, რომ მათ მემუარებიც არ დარჩენიათ. რუდოლფ ჰესს ასეთი რამ არავისთვის უამბნია, მით უმეტეს,

[1] Ib., 32

ილზესა თუ ალბერტ შპეერისათვის, რომელსაც იგი დროგამოშვებით გულს უხსნიდა. არც ემა გერინგისათვის — რომელმაც საინტერესო მოგონებანი დატოვა თავის მეუღლის შესახებ წიგნში – „ჩემი ცხოვრება გერინგთან".[1]

ზემოთ, ჩვენ იქ შევჩერდით, როცა ჰესის თვითმფინავი ჰაერში აიჭრა. მან კურსი ჩრდილოეთისაკენ აიღო. იგი თავდაპირველად მდ. რაინის ხეობას გაჰყვა და ქართველთათვის კარგად ცნობილ კ. ტექსელისაკენ წავიდა. ჰოლანდიის თავზე გადაფრენის შემდეგ, ჰამბურგისაკენ უხვევს და ისევ ჩრდილოეთით იღებს კურსს იუტლანდიისაკენ იმ რადიოსიგნალების მიმართულებით, რომლებიც კლასიკური მუსიკის პაუზებში გადმოიცემოდა, გერმანელთა მიერ ოკუპირებული დანიის, უკიდურეს ჩრდილოეთ წერტილში — კალუნდბორგის რადიოსადგურიდან. ხსენებული რადიოსაგურის სიგნალებს ასევე წარმატებით იყენებდნენ „ლუფტვაფეს" მფრინავები დიდი ბრიტანეთის კუნძულებზე თავდასხმების დროს.

კალუნდბორგიდან, რომელიც დაახლოებით სამხრეთ შოტლანდიის განედზე მდებარეობს, ჰესს მარცხნივ უნდა გადაეხვია და კურსი აერო ნორტუმბერლენდის სანაპიროსაკენ. ყოფილი მფრინავი-გამომცდელი — ჰელმუტ კადენი, - რომელიც კურირებდა ჰესის გაფრენის ტექნიკურ მხარეს, თვლიდა, რომ ასეთი ნახევრად რკალი ჰესმა გააკეთა ბრიტანეთის საჰაერო სამსახურების დეზინფორმაციის მიზნით, რათა მათთვის ცნობილი არ გამხდარიყო გერმანიის რადიონავიგაციის მიღწევებიო.

ქართველმა მკითხველმა უნდა იცოდეს კიდევ ერთი ვერსიაც, რომელიც დაკავშირებულია ჩრდილოეთის ზღვის სივრცეში ჰესის თვითმფრინავის შესვლასთან. მეცნიერულ ლიტერატურაში იგი პიტერ პედფილდმა შემოიტანა, რაც კიდევ ერთ ფორას აძლევს მის მონოგრაფიას. სადღაც კალუნდბორგიდან შოტლანდიისაკენ კურსის შეცვლის მომენტში ჰესის „მესერშმიტ-110D-ს" ლუფტვაფეს რამდენიმე ავიაგამანადგურებელი შემოერთებია, რომელთაც „მშვიდობის დესპანი" თვით სანაპირომდე მიუცილებია. ეს ვერსია მოტივაციას იძენს ინგლისის საჰაერო სივრცის დაცვის სამსახურის ინფორმაციით იმის თაობაზე, რომ მათმა რადიოლოკაციის მონიტორმა რამდენიმე მფრინავი ობიექტი დააფიქსირა შოტლანდიის სანაპიროსთან მათი მიახლოების მომენტში. პედფილდის განცხადებით, გერმანულ თვითმფრინავთა ამ ჯგუფს იმპერიის უშიშროების სამსახურის შეფი რაინჰარდ ჰაიდრიხი ხელმძღვანელობდა.[2] ეს კიდევ ერთი ფანტასტიკური, თითქმის ლეგენდის რანგის ცნობა, მართლაც და ძნელი დასაჯერებელია.

ეს „ჩამოწოდება", ალბათ, ასეთად დარჩებოდა, რომ არა ერთი

---

[1] Georing E. My Life with Georing. London. 1972.

[2] Пэдфилд. Там же, 311

გარემოება. პედფილდმა დიდი სამსახური გაუწია შთამომავლობას ხსენებული ვერსიისათვის მტკიცებითი მასალების მოძებნით. მან პირველმა შემოიტანა სამეცნიერო სივრცეში რ. ჰაიდრიხის მეუღლის ლინა ჰაიდრიხისაგან ამ ფაქტის დადასტურება. ომის შემდეგ გამოქვეყნებულმ მოგონებებში მან კვერი დაუკრა ამ ცნობას და აღნიშნა, რომ მისმა მეუღლემ ამ მისიის შესახებ მაშინ შეიტყო, როცა ლა-მანშის თავზე იმყოფებოდა თვითმფრინავით „მე-109" და ინგლისისაკენ მიემართებოდაო.

განა გასაკვირი არ უნდა იყოს, თუ რა ესაქმებოდა ჰაიდრიხს ჩრდილოეთის ზღვაში 1941 წლის 10 მაისს, როცა ვერმახტი სტარტზე იდგა რუსეთშე შესაჭრელად, სადაც მის ზონდერკომანდებს არანაკლები როლი უნდა შეესრულებინათ? ამით ხომ კიდევ ერთხელ დასტურდება, რომ ჰესის მისია სახელმწიფო დონეზე იყო დაგეგმილი.

პედფილდი ასახელებს აგრეთვე მეორე წყაროს. ის ყოფილი გერმანიის წინააღმდეგობის მოძრაობის მონაწილე ჰანს-ბერნდტ გიზევიუსია. იგი ახლო ურთიერთობაში იყო იმავე წინააღმდეგობის მოძრაობის წევრთან, ჰაიდრიხის კრიმინალური პოლიციის („კრიპოს") მეთაურთან არტურ ნებესთან. ეს მას შეუტყობინებია გიზევიუსისათვის, რომ რ. ჰაიდრიხი 10 მაისს მართლაც იმყოფებოდა ჩრდილოეთის ზღვაში. უფრო მეტიც, ნებეს ვითომდა ხუმრობით უკითხავს თავისი შეფისათვის — ხომ შეგეძლო შემთხვევით ფიურერის მოადგილე ჩამოგეგდოო. გონს მოსულს წაულულღლუღებია მხოლოდ: - ეს რომ მომხდარიყო ისტორიული დამთხვევა იქნებოდაო. ეს ეპიზოდი აღწერილი აქვს ედუარდ კალიკს თავის წიგნში ჰაიდრიხის შესახებ.[1] ავტორისათვის იგი უამბნია გიზევიუსს.

მანძილი აუგსბურგიდან გლაზგომდე, იმ მარშრუტით, რომელიც ჰესმა განვლო, დაახლოებით 1.900 კმ-ია. ჰერცოგ ჰამილტონის ციხე-კოშკს იგი დაახლოებით 22^{30} საათზე მიუახლოვდა. თუ გავიხსენებთ, რომ იგი 18^{15} საათზე აფრინდა „მესერშმიტის" აეროდრომიდან, გამიდის ჰესმა ოთხ საათზე ოდნავ მეტი დაჰყო ჰაერში, რაც ეკონომიკურ რეჟიმში ფრენის ინტერესებიდან გამომდინარეობდა. ამის გარდა, ჰესმა დამატებით იფრინა 30-40 წუთი მზის ჩასვლის მოლოდინში, რამეთუ სურდა დაბინდებისას დაფრენილიყო. წინააღმდეგ შემთხვევაში მას შეამჩნევდნენ, დააკავებდნენ, „ზემოთ შეატყობინებდნენ და როგორც შემდეგ სწერდა თავის მეუღლეს, ყველაფერი დაილუპებოდა.

ჰიუტონი და პედფილდი ერთნაირად აღნიშნავენ, რომ ჰესის თვითმფრინავი შოტლანდიის ნაპირს დაახლოებით 22 საათისათვის მიუახლოვდაო. უკვე ტერიტორიაზე შესულს უეცრად შეუმჩნევია, რომ

[1] Calic, E. Reinhard Heydrich: Schlüssel figur des Dritten Reiches. Düsseldorf, 1982

მას კუდში „უჯდებოდა" ინგლისური „სპიტფაიერი". ჰესს ბოლომდე დაუჭერია გაზის სატერფულზე ფეხი, ღრუბლებში შეჭრილა და გაუჩინარებულა. ეს მით უფრო სარწმუნოა, რომ მისი რაში გაცილებით სწრაფმავალი გახლდათ.

ჰესის თვითმფრინავი ყველაზე ადრე აღნუსხა მდ. ტაინზე მდებარე ნიუკასლის მახლობლად განთავისუფლებულმა ჩეინ-ჰოუმის რადიოსალოკაციო სადგურმა ოტერკოპ-მოსის მაღალი სიხშირის გამომასხივებლის საშუალებით. მაშინ ჰესის „მესერშმიტი" ნაპირიდან დაახლოებით 140 კმ-ზე იმყოფებოდა. ოტერკოპის სადგური, რომელიც თურმე მაინცდამაინც კარგი რეპუტაციით ვერ სარგებლობდა კლიმატური პირობების ხშირად მკვეთრი ცვალებადობის გამო, თავის სასიგნალო ცნობაში იტყობინებოდა, „სამი და მეტი მფრინავი აპარატის გამოჩენას დაახლოებით 15.000 ფუტზე, ანუ სხვაგვარად, ხუთი კილომეტრიც სიმაღლეზე „რეიდი X-42", მიმართული იყო დასავლეთისაკენ, გადაადგილების საშუალო სიჩქარე - „300 მილი საათში".

ცოტა ხნის შემდეგ, როცა „რეიდი X-42" ნაპირს მეტად დაუახლოვდა, იგი იმავე რაიონიდან შეამჩნია კიდევ ორმა სადგურმა. - „დუგლას ვუდმა" და „დენბაი ბიკონმა" და ასევე ორმა დაბალსიხშირიანმა ჩეინ-ჰოემ-ლოუმ — კრესულესა და ბამბურგში. მაგრამ ახლა უკვე ოთხივე სადგური მიუთითებდა ერთი თვითმფრინავის მოახლოებას, უკვე აღარავითარი ეჭვი აღარ იყო, რომ ნაპირს დიდი სიჩქარით უახლოვდებოდა გაურკვეველი თვითმფრინავი. საგანგაშო სიგნალიზაციის ქსელში მომენტალურად გაიგზავნა ავის მაუწყებელი ნიშანი: „ყურადღება, ყურადღება:! ჰაერში უცნობი თვითმფრინავია".

თითქმის იმავე წუთში ჰაერში აიჭრა უსტონში (ესეც იქვეა, ნიუკასლთან) დისლოცირებული სამეფო საჰაერო ძალების მე-13 ჯგუფის 72-ე ესკადრელიის ორი „სპიტფაიერი", რომლებიც დაედევნენ „მე-110-ს".

თუ ოტერკოპ-მოსის სადგურის პირველი ცნობა სიმართლეს შეეფერებოდა, გამოდის რომ „სამზე მეტი მფრინავი სხეულის ჯგუფი შეადგენდა რაინჰარდ ჰაიდრიხის „მესერშმიტ-109"-ის რაზმს, რომელიც ალბათ შოტლანდიის ნაპირის გამოჩენასთან დაკავშირებით დასცილდა ჰესის თვითმფრინავს და უკან, გერმანიისაკენ გაემართა. „რსჰა"-ს მეთაურმა თავისი დავალება შეასრულა და იგი უნდა გაუჩინარებულიყო, რაც აღსრულდა კიდეც.

„ობლად" დარჩენილი ფიურერის მოადგილე ენერგიულად განაგრძობდა გზას მაყრებივით გვერდში ამომდგარი ორი „სპიტფაიერითურთ". მათ ნაბრძანები ჰქონდათ, არ გაეხსნათ ცეცხლი „სტუმრისათვის" და მას მხოლოდ მხლებლებივით გაჰყოლოდნენ. ისინი აკურატულად

ასრულებდნენ დავალებას და მათ ქვეყანაში შემოჭრილ უცხოურ თვითმფრინავს ისევე მიაცილებდნენ, როგორც დაახლოებით ნახევარი წლის შემდეგ ჰავაის კუნძულებთან, პიორლ-ჰარბორის ბაზისაკენ მიაცილებდა დასაშვებად მიმავალი ორი ამერიკელი მფრინავი იაპონელთა თვითმფრინავს, რომელიც ასევე პორტისაკენ, მაგრამ განსხვავებული მიზნით მიფრინავდა...

მეორე მსოფლიო ომის დროს დიდი ბრიტანეთის საჰაერო თავდაცვა ერთმანეთისაგან განსხვავებული ორი სისტემისაგან შედგებოდა. პირველი გახლდათ სანაპირო დაცვის რადიო-ლოკაციის ქსელი, რომელიც აკონტროლებდა ზღვის მხრიდან მომავალ საჰაერო სივრცეს, ხმელთაზე კი ამავე ფუნქციას ასრულებდა სამეფო-სამეთვალყურეო კორპუსი. რადართა სადგურების მსგავსად ისიც დაყოფილი იყო პუნქტებად, რომლებიც ყოველგვარ საეჭვო ინფორმაციას ცენტრს გადასცემდნენ.

10 საათსა და 23 წუთზე სათვალთვალო პუნქტმა კოდური სახელით A-2 ემბლტონის სანაპიროსთან, რომელიც ფარნის კუნძულების სამხრეთითაა, დააფიქსირა „მე-110" ტიპის თვითმფრინავის ხმა. იგივე გაიმეორა რამდენიმე წუთში A-3-მ ჩეტონში, რომელიც იტყობინებოდა მსგავსი თვითმფრინავის გაელვებას საოცრად დაბალ სიმაღლეზე (დაახლოებით 50 ფუნტის სიმაღლეზე), რომელსაც კურსი ეჭირა შევიოტის მთის მასივისაკენ. 22 საათსა და 30 წუთზე ჰესის „მესერშმიტი" აღინიშნა ჯედბურგთან მდებარე პოსტოს „F-2"-ის მიერ, ხოლო მცირედი მოგიანებით — აშკერკში განლაგებულ პუნქტში - „G-1".

ერთი სიტყვით 22 საათსა და 10 წუთზე ნორტუმბერლენდში ნიუკასლთან შეფრენილმა ჰესის თვითმფრინავმა გადაკვეთა შივიოტის მთაგრეხილი ამავე სახელის მწვერვალის სამხრეთით, შემდეგ გადაუფრინა მდ. ტევიოტის ხეობასა და, საერთოდ ტევიტდეილს, გაიარა აშკირკი (სულ ახლოს უ. ჩერჩილის მიერ იზოლირებულ ლორდ-სტიუარდის, იგივე ამირეჯიბის, ჰერცოგ ბუკლოს მამულთან) გადაკვეთა უსტონი, გადაჭრა სელკირკისა და პილეს საგრაფოები და შეიჭრა ლანარკშირში. წინ გლაზგო იყო. მიზნამდე ერთი ხელის განვდენაღა დარჩენილიყო. მალე ჰერცოგ ჰამილტონის ციხე-კოშკის დანგველ-ჰაუზის კონტურებიც გამოჩნდა.

მაგრამ აქ ჰესს გაახსენდა, რომ ჯერ კიდევ არ დაბნელებულიყო. ამიტომ მან თავისი „რაში" ცოტა გააჭენ-გამოაჭენა, შოტლანდიის მეორე, დასავლეთ მხარეს გავიდა ზღვაზე ანდროსის მახლობლად, იქ რაღაც წრეები თუ სამკუთხედები აკეთა და ისევ უკან, ჰერცოგ ჰამილტონის მამულისაკენ გაეშურა. ამასობაში ბინდიც ჩამოწვა, ამის მიუხედავად მან მაინც გაარჩია ჰერცოგის მამული: ციხე-კოშკი, ტბა, გორაკიც კი, რომლის ფერდობზე იყო გაშენებული მწვანე, ბალახით დაფარული

მისი კერძო აეროდრომი. სიბნელეში იქ დაჯდომა სახიფათოდ ჩანდა და კატასტროფის რისკთან იყო დაკავშირებული. მას ისეთი გრძნობა მოსჭარბებოდა, რომ თითქოსდა იგი მარტოდ-მარტო კაცი იყო ამ პლანეტაზე, „მე არასოდეს დამავიწყდება ის მომენტი, ისევე როგორც ის შეგრძნებაო", იტყვის ჰესი შემდეგ.[1]

რა გზას უნდა დასდგომოდა ფიურერის მოადგილე? დრო არ ითმენდა, სულ ცოტა და მწუხრი იმდენად გაძლიერდებოდა, რომ მიუხედავად მთვარის უკვე ამოსვლისა, აღარაფერი გამოჩნდებოდა.

პარაშუტი. პარაშუტით უნდა დაშვებულიყო. სხვა გზა აღარ იყო. მას ეს ერთადერთი გამოსავალი რჩებოდა, მაგრამ გაახსენდა უნებლიედ, რომ ცხოვრებაში არასოდეს მიუმართავს ამ გზისთვის. მით უმეტეს, რომ როგორც მალე გაირკვა, თვითმფრინავის გადაუბრუნებლად გადახტომა შეუძლებელი იყო. როდესაც მან კაბინის ფიუზელაჟი გადასნია, შემხვედრი ქარის ძალამ იგი სავარძლის საზურგეს ისე მიაკრა, რომ სულის მოთქმა გაუჭირდა. მაშინ ჰესმა კვლავ აკრიბა სიმაღლე, გამორთო ორთავე მოტორი და თვითმფრინავი აღმა ბორბლებით წარმართა, როგორც ერთხელ მას გენერალმა რიტერ ფონ გრემმა ურჩია. მალე მან როგორც იქნა დააღწია თავი პილოტის კაბინას, თუმცა ფეხი გამოჰკრა თვითმფრინავის კუდს და ღამის სიბნელეში გადაეშვა (ეს რომ გერინგს დასჭირვებოდა, საინტერესოა რა ხასიათზე დადგებოდა!). მალე პარაშუტიც გაიშალა და უკვე სულმოთქმულმა ჰესმა სწრაფად იწყო დაახლოება მიწასთან, აი ისიც: დედამიწა!...

იქნება კი დედამიწის ზურგზე ადამიანი, რომელიც ბოლომდე გაუგებდა სიხარულს რუდოლფ ჰესს? უკვე საპყრობილეში იგი აღფრთოვანებით იგონებდა ამ სასწაულს: ზეიმის აღუწერელ უძვირფასეს შეგრძნებას იმ სიტუაციაში.[2]

მან წამოდგომა დააპირა, მაგრამ ფეხში ისეთი ტკივილი იგრძნო, რომ ერთხანს გონებაც კი დაკარგა. ის-ის იყო ძლივს გონს მოეგო, თვალები გაახილა და თვალს არ უჯერებდა: თავზე ვიღაც უცნობი მამაკაცი დასდგომოდა.

ვიდრე ჰესი ძირს დაეშვებამდე თვითმფრინავით რაღაც კაურებს აკეთებდა, მისი მხლებელი „სპიტფაიერების" პილოტები გაოგნებულნი იყვნენ. მათ ვერ გაეგოთ „მესერშმიტის" მფრინავის ოინბაზობა. მხოლოდ როდესაც პარაშუტი და მასზე ჩამოკიდებული მამაკაცი დაინახეს, მიხვდნენ რომ მათ „მაყრობას" დასასრული დაუდგა და მიწაზე გაგზავნეს შესაბამისი შეტყობინება. ცენტრმა თავის მხრივ ადგილობრივ საპოლიციო უბანს გადასცა ბრძანება „უცხო მოყმე ვინმეს" დაკავების თაობაზე.

---

[1] Hutton. Op. cit. 43.

[2] Пэдфилд. Там же, 320.

იქნებოდა დაახლოებით 23 საათი. პოლიციის შერიფი შინ მანქანით ბრუნდებოდა წვეულებიდან, საიდანაც თავისი ქალიშვილი წამოიყვანა. იქ მისი გოგონას მეგობრის დაბადების დღე აღუნიშნავთ. შერიფმა უმალ ჩართო სირენა და პოლიციის სხვა მანქანები გამოიძახა. იგი თვითონ მაშინ ავტობანზე მოძრაობდა, საიდანაც სოფელი იგლშემი, სადაც ჰესი დაეშვა, სულ რამდენიმე კილომეტრზეა. გამოძახებულ პოლიციელთა ავტომანქანები თანდათან უახლოვდებოდნენ სოფელს და მის გარშემო წრეს კრავდნენ.

რუდოლფ ჰესი გაკვირვებული მისჩერებოდა თავზე დამდგარ შოტლანდიელს, რომელსაც ხელთ თივის საგროვებელი იარაღი — ფინალი ეჭირა. იგი გამოდგა ფერმერი მაკლინი, სხვაგვარად კიდევ მ'ლინი, როგორც შემდეგ მას პრესა უწოდებდა. მისი კოტეჯი ყველაზე ახლოს იყო საძოვრიდან, რომელზეც ჰესი დაეშვა.

– თქვენ ვინ ხართ? — უკითხავს მაკლინს.

– მე გერმანელი ვარ, ჰაუპტმანი[1] ალფრედ ჰორნი, ყოველგვარი შიშის გარეშე უთქვამს ფიურერის მოადგილეს საკმაოდ გამართული ინგლისურით. „მას უცხოელების არაფერი ეტყობოდაო" — იტყვის შემდეგ შოტლანდიელი, რომელთა ინგლისური თვითონ არის ძნელი გასაგები. „მე მეტად მნიშვნელოვანი სიტყვა მაქვს გადასაცემი ჰერცოგ ჰამილტონისათვისო", - დაბეჯითებით უთქვამს გერმანელს.[2]

მაკლინის დახმარებით ჰესი გათავისუფლებულა პარაშუტისაგან და მასპინძლისავე გვერდში ამოდგომით კოჭლობით მისულა მის კოტეჯამდე. სახლის პატრონს სტუმარი ბუხართან დაუსვამს და ქალებისათვის (დედისა და დისთვის) უთხოვია გამასპინძლებოდნენ, თვითონ კი გარეთ გასულა პოლიციასთან დასაკავშირებლად, რაც იოლად შეიძლებოდა სოფლის სატელეფონო ჯიხურიდან. სახლში დარჩენილი მანდილოსნები სტუმარს, როგორც ეს ტრადიციულად არის მიღებული დასავლეთ შოტლანდიაში, გულისხმიერად გამასპინძლებიან. - წერს ჯეიმს დუგლას-ჰამილტონი.[3]

ქუჩაში გასულ მაკლინს მალე შემოგებებიან მისი სახლის მიმართულებით მომავალი პოლიციელები და ადგილობრივი თავდაცვის რაზმელები. საქმე იმაში გახლავთ, რომ „სპიტფაიერთა" ცნობის გარდა ანალოგიური შეტყობინება გაუვრცელებია იქვე, იგლშემ მურთან არსებულ სამეთვალყურეო პუნქტს „H-2"-ს, რომლის მუშაკებს თვალნათლივ უხილავთ ჰესის პარაშუტირების სცენა: როგორ გადაიყვანა პილოტმა თვითმფრინავი თავუკულმართ მდგომარეობაში, რის ვაი-ვაგლახით როგორ დააღწია თავი მას, როგორ გაიხსნა პარაშუტი და

---

[1] იგივე კაპიტანი.

[2] Пэдфилд. Там же, 321.

[3] Dauglas-Hamilton J. Motive for a Mission. London, 1974, 157.

ბოლოს, კიდევ ერთი როგორ — როგორ დაეშვა ქვასავით ძირს ვილი მესერშმიტის ახალი პირმშო - „მე-110D". მალე გაისმა თვითმფრინავის აფეთქების გამაყრუებელი ხმა და მათ დაინახეს ცაში ავარდნილი ალი. ამასობაში პარაშუტისტის სილუეტიც გაუჩინარდა.

მაკლინმა ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები თავისი კოტეჯისაკენ წაასხა. მათგან ყველაზე მეტად აქტიურობდა ვინმე ლეიტენანტი კლარკი, თავდაცვის რაზმის აპარატიდან. იგი კარგა გვარიანად შეზარხოშებული ჩანდა და ხელში „უემბლის" სისტემის მოძველებულ პისტოლეტს ატრიალებდა. როგორც კი ისინი სახლში შევიდნენ, იქაურ მანდილოსნებს, ისევე როგორც მათ სახლში შებუდრულ გერმანელ „ოფიცერს", როგორადაც ჯერჯერობით ამ სცენის ფიგურანტები ჰესს იცნობდნენ, იმავე წამს ეცათ ცხვირში ალკოჰოლის სუნი. უმშვენიერეს შოტლანდიურ ვისკს, რომელიც არცთუ უსაფუძვლოდ მათი ეროვნული სიამაყის საგანია, ისე მოექცია კლარკი, რომ ჰესის მოგვიანებული ჩვენებებით, იგი ძლივს იდგა ფეხზე. პედფილდი წერს, რომ სწორედ ამას გულისხმობდაო ქალბატონი მაკლინი-დედა, რომელმაც შემდეგ რეპორტიორებს უამბო, რომ სამზარეულოში, როდესაც მის წასაყვანად სამხედროები შემოვიდნენ, ერთგვარი ხმაური ატყდაო, მაგრამ იგი (ჰესი) სხვებისაგან განსხვავებით დამშვიდებული ჩანდაო.[1]

პარაშუტისტს კლარკისათვის დაუდასტურებია, რომ იგი ჰაუპტმანი ალფრედ ჰორნია, არის უიარაღოდ და ჩამოფრინდა მშვიდობიანი მიზნებით. ამის შემდეგ კლარკს გერმანელისათვის მიუთითებია წაჰყოლოდა მას. ჰესს მადლობა გადაუხდია მასპინძლებისთვის, გამომშვიდობებია მათ და კოჭლობით წასულა მანქანისაკენ. უკან გაჰყოლია გამობრუნცული კლარკი, რომელიც თურმე თავის უზარმაზარ რევოლვერს თვითკმაყოფილი გრძნობით ზურგზე „უჯლაგუნებდა", აბოყინებდა და მიბანდალებდა. ჰესი ახლა კი ნამდვილად შეიშინებული ჩანდა: ამ გამობოთავებულ კაცს თითი არ წასცდესო ჩახმახზე. „ჭეშმარიტად უფალმა ჩაჩარა თითი ჩემსა და კლარკის სიმთვრალისაგან დასუსტებულ თითს შორის — წერდა ილზეს საპატიმროდან მეუღლე. — სხვაგვარად ნამდვილად ბედნიერმა შემთხვევამ გადამარჩინაო.

ისინი გაემართნენ მეზობელ სოფელ ბასბიში, სადაც იყო განლაგებული ადგილობრივი თავდაცვის რაიონული შტაბი. ჰესი იქ ერთ-ერთ გვერდით ოთახში მოათავსეს, სადაც საწოლიც კი აღმოჩნდა თავისუფალი. ამდენ ტანჯვა-წვალებას თავგადახდილი სარგებლობს მისთვის იმ ვითარებაში წარმოქმნილი ნამდვილად ბედნიერი შემთხვევით და წამოგორდება საწოლზე. დაქანცული, მაგრამ გადარჩენით გახარებული უმალ

[1] Пэдфилд. Там же, 322.

ფიქრებში წავიდა. რას უქადდა მას ხვალინდელი დღე: წარმატებას თუ პატიმრობის უფრო მაღალ, სახელმწიფო რანგში აყვანას?

კუჭმაც შეაწუხა. გვარიანად მოშიებოდა. თითქოს ღმერთმა ისმინაო, სწორედ იმ დროს გაიღო კარი, შემოვიდა ტანმორჩილი „ტომი"[1] და შემოიტანა რძიანი ბოთლი (შოტლანდიელები მაინც შოტლანდიელები არიან). იმის მიუხედავად, რომ ეგრერიგ გვიან ტრადიციულად არც ჭამდა და არც სვამდა, ტყვედქმნილმა ფიურერის მოადგილემ სიხარულით მიიღო შეთავაზებული, რომელიც როგორც ირკვევა, შოტლანდიელი პოლიციის ღამის ულუფა იყო.

დაახლოებით ღამის 12 საათი იქნებოდა, როდესაც პეისლში განლაგებულ სუტერლენდისა და არჯილის პოლკთა შტაბში ტელეფონი აწკრიალდა. მორიგე მეკავშირე ტყვე გერმანელის ბასბიდან გადაყვანის მიზნით ესკორტს ითხოვდა. ამასობაში გადაიყვანეს სკაუტ-ჰოლში, ჯიფნოკში. იმავდროულად კლაიდიდან მორიგეს დაურეკავს გლაზგოს ზონის სარდლისათვის, რომლის ადიუტანტს უბრძანებია ჰესის სკაუტ-ჰოლში დატოვება იმის მიუხედავად, რომ ყოველ ზარს ახლდა განმარტება: გერმანელი ოფიცერი სასწრაფოდ ითხოვს ჰერცოგ ჰამილტონთან შეხვედრასო.

ფიურერის მოადგილე კიდე კარგა ხანს ალოდინეს, ვიდრე ჰერცოგს რაიმეს შეატყობინებდნენ. თარგმანის გაადვილების მიზნით ადგილზე გამოცხადდა პოლონეთის კონსული. იქვე მისულა აგრეთვე სამეფო საჰაერო ძალების ოფიცერი, მაიორი გრემ დონალდი, რომელიც გლაზგოში დისლოცირებული შტაბის რადიო-მოწყობილობით თვალს ადევნებდა უცხო თვითმფრინავის მაღალი პილოტაჟის დემონსტრაციას და თვითმფრინავის კატასტროფისთანავე შემთხვევის სავარაუდო ადგილისაკენ წასულა.

მაიორი შეუერთდა პოლონელ კონსულს და მათ ერთად დაიწყეს გერმანელის დაკითხვა, რომელმაც უარი განაცხადა ინგლისურად საუბარზე. კონსული განსაკუთრებით დაინტერესებულა დანარჩენი სამი პარაშუტისტის ბედით, რაზეც ჰესს პასუხი გაუცია: მე მარტო ვიყავიო, სრულიად მარტო. მას ვეღარ აუტანია ოთახში მყოფთა ცნობისმოყვარეობა და დაბეჯითებით უთხოვია ჰერცოგ ჰამილტონთან შეხვედრა გადაუდებელი საქმის გამო, რასაც დამსწრეთა ღიმილი გამოუწვევია: ესაოდა, ჩვენ რომ ვიტყვით ქართველები, კიდევ ხომ არაფერი გინდაო მეტი, ბარემ თქვი და დაამთავრეო. ყველა მხიარულად შექმნილა, ჰესის გარდა. იგი ცნობისმოყვარეობას ვერ მალავდა, რა ვთქვი ასეთიო. მოულოდნელად, დონალდი, რომელიც ადრე მიუნხენში ცხოვრობდა, დაჟინებული ცქერით ჩააშტერდა ჰესს და ხუმრობით თუ სერიოზულად უთხრა:

[1] ინგლისელი ჯარისკაცის ზედმეტი სახელი

–მოიცა, მოიცა, თქვენ საოცრად ჰგავხართ რუდოლფ ჰესსო!... კვლავ სიცილი ამტყდარა.

ფიურერის მოადგილე მომზადებული შეხვედრია მინიშნებას:
– ჩემთვის ეს სიახლე არ არის — დაუფიქრებლად გაუცია პასუხი, - ამ მსგავსების გამო ხშირად აღმოვჩენილვარ უხერხულობაშიო.[1]

გრემ დონალდმა, რომელიც ჩანს ახლოს იყო დაზვერვასთან, ცადა გერმანელის ტყუილში „გამოჭერა". მას ჰესისათვის შეუთავაზებია „მე-110-ს" იდენტიფიცირებული ფოტოსურათი და უთხოვია ავტოგრაფი. როდესაც ადამიანი სხვის ნაცვლად აწერს ხელს, იგი ერთ წამს აუცილებლად შეყოვნდება, რადგან ფსიქოლოგიური ბარიერი უნდა გადალახოს. ამიტომ, დონალდი გულმოდგინედ აკვიდრებოდა ტყვეს, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. ეტყობა ჰესი ნავარჯიშებიც იყო და ფსიქოლოგიურადაც მომზადებული. მან თითქოსდა არაფერი მომხდარაო, ჩვეულებრივი სიმშვიდით მოაწერა ხელი: ალფრედ ჰორნი.

ვიდრე ჰესი ფოტოგრაფიას ხელს აწერდა, დონალდი ცნობისმოყვარეობით ათვალიერებდა მაგიდაზე დაწყობილ მის ნივთებს: წამლებს, საფულეს, ოჯახურ ფოტოგრაფიებს, ასაცრელ ნემსებს ინექციისათვის და, რაც მთავარია, შტამპიან კონვერტს, საიდანღაც გამოგზავნილს ალფრედ ჰორნის სახელსა და მისამართზე. ეს ჰესს წინასწარ გაემზადებინა, როგორც მისი პიროვნების დამადასტურებელი ალიბი. იქვე იყო მაგიდაზე ჰაუსჰოფერთა საავიზიტო ბარათები და ალბერხტის, ჰაუსჰოფერ-შვილის წერილი ჰერცოგ ჰამილტონისადმი. დონალდი დარწმუნდა ჰესის ჰერცოგისადმი დაკავშირების სერიოზულობაში და აღუთქვა მას თხოვნის შესრულება, თან ხუმრობაშერეული ნახევრად სერიოზულობით დაამატა: „ამასთან ერთად, იმასაც ვეტყვი მას, რომ თქვენ რუდოლფ ჰესს გეძახიანო". ამას სიცილის ახალი აზვირთება გამოუწვევია, რასაც ჰესიც შეერთებია, თუმცა ძალზე თეატრალურად,[2] შემდეგ იგი ამ ეპიზოდს არ დაბრუნებია. გრემ დონალდს კი დაბეჯითებით უთქვამს იქ დამსწრე ოფიცერთათვის, რომ ის სრულიად დარწმუნებული იყო თავის აღმოჩენაში. იგი ხომ ბავარიაში გახლდათ ნაცხოვრები, კერძოდ მიუნხენში და ალბათ, სადღაც მართლაც უნახავს ჰესი.

პედფილდის ინფორმაციით, მაიორ გრემ დონალდს, ერთი კვირის შემდეგ, როდესაც ჰესის ვინაობა უკვე იდენტიფიცირებული იყო, თავის მეგობრისთვის ლონდონში მიუწერია, რომ მან ფიურერის მოადგილე პირველმა ამოიცნო. ამას ადასტურებს თუნდაც ჩემი სატელეფონო ზარი, სადღაც შუაღამის 2 საათზე, რომლითაც მე ჰერცოგ ჰამილტონს შევატყობინე მომხდარი ამბავიო. ჩვენ შევეცადეთ ამ ფაქტის დადასტურება ჰერცოგის ვაჟის წიგნში, მაგრამ უშედეგოდ. ჯეიმს

---

[1] Пэдфилд. Там же, 326

[2] Там же.

დუგლას ჰამილტონი მას საერთოდ არც კი იხსენებს.

ჰერცოგი ჰამილტონი, რომელიც იმ საღამოს მორიგედ ყოფილა (!) ტერნჰაუსის აეროდრომზე, სადღაც შუაღამეზე (ალბათ 24 საათზე) მოხსნილა მორიგეობიდან და წასულა სახლში, რომელიც მას ცალკე ჰქონდა იმავე ტერიტორიაზე. ყოფილა საკმაოდ დაღლილი, რამეთუ მას სავარჯიშო საჰაერო ბრძოლა ჰქონია თავის მოადგილესთან. შინ დაბრუნებული მალე დაწოლილა. სავარაუდოდ 2^{00} საათისათვის მის ბინაში ტელეფონს დაურეკავს. ეს ყოფილა პირველი, იმ სამი სატელეფონო ზარიდან, რომელიც მისი მისამართის იმ ღამეს დაირეკაო — აღნიშნავს პედფილდი.[1]

ავტორის ვარაუდით ეს უნდა ყოფილიყო ავიაციის მაიორი ჰექტორ მაკლინი, რომელიც ე.წ. ოპერატიული ოთახიდან („Ops Room")[2] აკონტროლებდა ეირისა და პრესტიკის სანაპიროს - დასავლეთ შოტლანდიაში. მას უკვე იმ დროისათვის ჰქონდა ცნობა იმის თაობაზე, რომ სოფელ იგლშემთან დაიმსხვრა გერმანული „მესერშმიტი", ხოლო მისი პილოტი ტყვედ იყო აყვანილი. ეს შეტყობინება მას მიაწოდა პოლიციის იმ შერიფმა თუ სერჟანტმა (სხვდასხვა ავტორი მას განსხვავებულად მოიხსენიებს). პოლიციელს ისიც უთქვამს, რომ დატყვევებული გერმანელი კაპიტანი ითხოვდაო შეხვედრას ჰერცოგ ჰამილტონთან. ჰექტორ მაკლინს[3] იმავე წამს დაურეკავს ტერნჰაუსის საავიაციო ბაზაზე. ოპერატორს უპასუხნია, რომ ჰერცოგი შინ არისო წასული. მაშინ მაკლინს უთხოვია მასთან იქ დაკავშირება. მსახურს უთქვამს, რომ იგი უკვე საწოლშია და სძინავსო. მაკლინმა უკან არ დაიხია და კატეგორიულად მოითხოვა გაეღვიძებინათ. მალე მაიორს მოესმა ტელეფონის ყურმილთან თანდათან მოახლოებულის ბურდღუნი. „რა მოხდაო", - უკითხავს ჰამილტონს საკმაოდ გაღიზიანებული ხმით.

– „სერ, შეგიძლიათ დაუყონებლივ მოხვიდეთ ოპერატიულ ოთახში?" — ერთგვარად უჩვეულო ხმით უკითხავს კონტროლიორს.

– „რა, საჰაერო შეტევაა?" – ისევ უკითხავს ჰერცოგს.

– „არა სერ".

– „ფრიცები ხომ არ შემოგვსევიან?"[4] – ნახევრად ირონიულად, ნახევრად კი დაცინვით, ესაო და აბა რატომ მაღვიძებთო, წარმოუთქვამს უკვე სერიოზულად გაღიზიანებულ ჰამილტონს.

– „არა სერ" — მიუგო მაკლინმა.

– „მაშ, ვინ ეშმაკს დავჭირდი: ეს-ეს არის დასაძინებლად დავწექიო",

---

[1] Там же, 327

[2] Hutton. Op. cit., 49.

[3] არ ავრიოთ ფერმერ დევიდ მაკლინში. ისინი უბრალოდ მოგვარეები არიან.

[4] ტექსტშია: „Herry" რაც სლენგია. სამხედროთა ჟარგონზე იგი ნიშნავს გერმანელს: ჯარისკაცს თუ თვითმფრინავს.

– თქვა ჰერცოგმა.

– „ჩვენ მიღებული გვაქვს ძალზე მნიშვნელოვანი ინფორმაცია, რომელსაც თქვენ დაუყონებლივ უნდა გაეცნოთ“, კიდევ უფრო დააინტერესა ჰამილტონი მაკლინმა.

– „კარგით, კარგით, ახლავე მოვალ“, – ყოფილა ჰერცოგის ბოლო ფრაზა.

დაქანცულმა ახალგაზრდა ჰერცოგმა, აღნიშნავს ჰიუტონი, ტანთ ჩაიცვა და ოპერატიული ოთახისაკენ გაემართა. მას იქ მოახსენეს, რომ ჩამოვარდნილი თვითმფრინავის პილოტი პარაშუტით დაეშვა, იგი დაკავებულია და აღმოჩნდა ვინმე ჰაუპტმანი – ალფერდ ჰორნი. მან ითხოვაო თქვენთან დაუყონებლივ დაკავშირება.

ჰამილტონს გაოცება დატყობია სახეზე. მან ვერ გაიხსენა ამ გვარისა და სახელის რომელიმე მისი ნაცნობი გერმანელი, მით უმეტეს გაურკვევლობას იწვევდა გარემოება, თუ რა საქმე უნდა ჰქონოდა მასთან გერმანელს. მაშინ მან გადაწყვიტა დაერეკა საინფორმაციო ცენტრში.

„მე ჰამილტონი ვარ. თქვენ გყავთ ტყვე გერმანელი, რომელსაც ჩემთან საუბარი სურს?“ — უკითხავს მას.

„დიახ სერ. იგი ძალზე დაჟინებით ითხოვს ამას. მისი განცხადებით ეს ძალზე სასწრაფოა“.

„როდის ხდება ოფიციალური დაკითხვა?“ — სცადა დაზუსტება ჰერცოგმა.

„ხვალ დილით სერ“, იყო პასუხი.

„კეთილი. მეც ხვალ გეახლებითო“,[1] — დაუმთავრებია საუბარი ჰამილტონს.

ის შინ დაბრუნდა და პირველი რაც გააკეთა, იყო ჰორნის გვარის დადგენა თავის ნაცნობ გერმანელთა სიაში, რომლებიც მან ოლიმპიური თამაშების დროს გაიცნო ბერლინში. ასეთი გვარი სიაში არ აღმოჩნდა. მას გულმა უკარნახა, რომ ეს გერმანელი იყო ვილაცის რეკომენდაციით ჩამოსული, ან ნაცნობი, მაგრამ ჯერჯერობით გაუხსნელი გვარით.

ამ მომენტის აღწერა ჰიუტონთან და პედფილთან იდენტურია, უფრო სწორად, პარალელური, მაგრამ ამის შემდეგ რაღაც გაუგებრობა ხდება: არც ერთი და არც მეორე აღარ უღრმავდება 10 მაისის ღამის, ან უფრო ზუსტად 11 მაისის დილის მოვლენებს. არც ერთი მათგანი არ ახსენებს ჰერცოგის საუბარს ტელეფონით უინსტონ ჩერჩილთან, დიდი ბრიტანეთის იმდროინდელ პრემიერ-მინისტრთან, რომელიც უიკენდზე იყო დასასვენებლად. მთვარიანი ღამის გამო, როცა მონინააღმდეგეს იოლად შეძლო მისი საზაფხულო რეზიდენცია დაებომბა ჩეკერსში, იგი

[1] Hutton. Op. cit., 50.

სტუმრად იმყოფებოდა დიჩლიში, ცნობილი პარლამენტარის, რონალდ ტრის აგარაკზე.[1] სხვათა შორის ეს ამბავი ძალზე „ირიბად" და მოკლედ აქვს აღწერილი ჰერცოგის შვილსაც. ირიბობაში იმას ვგულისხმობთ, რომ ჯეიმს დუგლას ჰამილტონმა ამ ფრაგმენტის გადმოსაცემად გამოიყენა არა მამამისის არქივი — ე.წ. Hamilton Papers — არამედ ჩერჩილისეული ვერსია. რატომ? რა მოსაზრებით? ამ ვერსიას ხომ საზოგადოება უკვე კარგა ხანია იცნობდა. მას აინტერესებდა ჰამილტონისეული ვარიანტი, მაგრამ არა, მას აძალებენ უკვე ნაცნობ სტრიქონებს. მაშინ რა აზრი ჰქონდა ამ წიგნის გამოცემას? ტყუილი შეიძლება აღიწეროს ერთ გვერდზეც და ერთ წიგნშიც. ის რაც ჰესის ისტორიასთან დაკავშირებით ხდება დიდ ბრიტანეთში, უკუპროპორციულია მისი დემოკრატიული ტრადიციებისა. მე მინდა, რომ ინგლისელებმა ეს გაიგონ ჩემგან, მათი უდიდესი თაყვანისმცემლისა და ფანისგან.

მართალია, ერთგვარად ცოტა დიდი გამოვა ჩერჩილისეული პასაჟი, მაგრამ ეს, ვფიქრობთ, აუცილებელია, რამეთუ ქართველ მკითხველს იგი მშობლიურ ენაზე არსად უნახავს. მოვუსმინოთ ინგლისის პრემიერ-მინისტრს:

„შაბათს, 10 მაისს (1941) მე კვირის ბოლოს ვატარებდი დიჩლიში. სადილის შემდეგ მაცნობეს ლონდონზე ძლიერი თავდასხმის შესახებ. მე უძლური ვიყავი რაიმე მეღონა. ამიტომ, განვაგრძობდი ძმების მარქსების მონაწილეობით კომიკური ფილმის ყურებას, რომელსაც მასპინძლები გვიჩვენებდნენ. მეორეჯერ გამოვედი თავდასხმის შედეგების გასარკვევად. ორთავე შემთხვევაში მომახსენეს, რომ იგი უმძიმეს ხასიათს ატარებდა. მხიარული ფილმი გრძელდებოდა და მე მოხარული ვიყავი, რომ იგი ჩემს ყურადღებას სხვა საგნით იკავებდა. უეცრად ჩემმა მდივანმა მომახსენა, რომ შოტლანდიიდან ტელეფონზე მირეკავდა ჰერცოგი ჰამილტონი. იგი ჩემი პირადი მეგობარი იყო, მაგრამ ვერაფრით წარმომედგინა, თუ რა საქმე უნდა ჰქონოდა ისეთი, რომელიც დილამდე გადადებას ვერ აიტანდა. მაგრამ იგი იჯინებდა, საქმე ეხება სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმესო. მე ვთხოვე ბრეკენს (მისი პირადი მდივანი — ლ.ს.), გაეგო თუ რისი გადმოცემა უნდოდა მას ჩემთვის. რამდენიმე წუთის შემდეგ ის მობრუნდა შემდეგი სიტყვებით: „შოტლანდიაში ჰესი ჩამოფრინდაო". ეს მე ჩავთვალე ფანტასტიკად, მაგრამ შეტყობინება სწორი აღმოჩნდა. ღამით მოგვწვდა დამატებითი ამბები, რომლებიც ამას ადასტურებდნენ. ეჭვს აღარ იწვევდა, რომ ჰესი, ფიურერის მოადგილე, უპორტფელო რაიხსმინისტრი, გერმანიის იმპერიის თავდაცვის მინისტრთა საბჭოს წევრი, გერმანიის მინისტრთა

[1] Churchille. Op. cit.3,. 48. რონალდ (რონი) ტრი — კონსერვატორი დეპუტატი პარბორისაგან 1933-45 წწ. „იდენის ჯგუფის" წევრი, ანტიმიუნხენელი. 1940 წელს ინფორმაციის მინისტრის დაფ კუპერის პირადი საპარლამენტო მდივანი.

კაბინეტის საიდუმლო საბჭოს წევრი და ნაცისტური პარტიის ლიდერი, პარაშუტით დაეშვა შოტლანდიის მიწაზე, ჰერცოგ ჰამილტონის მამულის მახლობლად, ქვეყნის დასავლეთ ნაწილში".

„იგი მართავდა თავის თვითმფრინავს გერმანიის „ლუფტვაფეს" ოფიცრის ფორმით, გამოფრინდა აუგსბურგიდან და გადმოხტა პარაშუტით. თავდაპირველად იგი ამბობდა, რომ გვარად ჰორნია, და მხოლოდ სამხედრო ჰოსპიტალში (გლაზგოს მახლობლად), სადაც იგი მოათავსეს დაშვების დროს მიღებული მსუბუქი ჭრილობების სამკურნალოდ, დადგინდა მისი ვინაობა. მალე იგი ჯერ ტაუერში გადაიყვანეს, შემდეგ კი ინგლისის სასჯელმოხდის სხვა ადგილებში. იქ ის 1945 წლის 6 ოქტომბრამდე იყო, მანამდე, ვიდრე ნიურნბერგის ციხეში შეუერთდა თავის გადარჩენილ კოლეგებს, რომლებიც გამარჯვებულთა სასამართლოს წინაშე უნდა წარმდგარიყვნენ."

„მე, არასოდეს მიმიკუთვნებია ჰესის ამ ოინბაზობისთვის თუნდაც რაიმე სერიოზული მნიშვნელობა. მე დარწმუნებული ვიყავი იმაში, რომ მოვლენების მსვლელობასთან არავითარი დამოკიდებულება არ ჰქონდა. ამის მიუხედავად, მან დიდი სენსაცია გამოიწვია ინგლისში, აშშ, რუსეთში და უმთავრესად გერმანიაში. მის შესახებ წიგნებიც კი დაიწერა. მე შევეცდები მთელი ამ ამბის გადმოცემას მისი ნამდვილი სახით, როგორც ის მე წარმომედგინებაო."

„რუდოლფ ჰესი იყო ლამაზი, მოახალგაზრდო მამაკაცი, რომელიც ჰიტლერს შეუყვარდა და გახდა მისი ერთ-ერთი უახლოესი თანამშრომელი. იგი თაყვანს სცემდა ფიურერს. ჰესი ხშირად სადილობდა ჰიტლერთან მისსავე მაგიდასთან — მარტოდმარტო მასთან ან კიდევ ორი-სამი კაცის მონაწილეობით. მან იცოდა ჰიტლერის შინაგანი სამყარო — მისი სიძულვილი საბჭოთა კავშირისადმი, ბოლშევიზმის ლიკვიდაციის მისი დაუცხრომელი სურვილი, ინგლისით მისი აღტაცება და ბრიტანეთის იმპერიასთან ერთად მეგობრული ცხოვრების გულწრფელი სურვილი, სხვა ქვეყნების უმრავლესობისადმი მისი სიძულვილი. მასზე უკეთ ჰიტლერს არავინ იცნობდა და არ უნახავს იგი ყველაზე მეტი გულახდილობის გარემოებაში. მაგრამ როდესაც ნამდვილი ომი დაიწყო, ყველაფერი შეიცვალა. აუცილებლობის გამო საზოგადოება ჰიტლერის მაგიდასთან შესამჩნევად გაიზარდა. ამ თვითნება მმართველთა გამორჩეულ წრეებში დროგამოშვებით იშვებოდნენ გენერლები, ადმირლები, დიპლომატები, მაღალჩინოსანი მოხელეები. ფიურერის მოადგილე მეორე პლანზე აღმოჩნდა. რაღას წარმოადგენდა ახლა პარტიული დემონსტრაციები? დადგა მოქმედების დრო და არა ოინბაზობისა."

„მისი საქციელის გმირობა გარკვეული თვალსაზრისით მცირდება ეჭვიანობის გამო, რომელსაც იგი განიცდიდა ომის პირობებში მისი

როლის დაქვეითებით, როდესაც უკვე ველარ ასრულებდა მის მიერ შეყვარებული ფიურერის მეგობრისა და ნდობით აღჭურვილი პირის ფუნქციას. აი, - ფიქრობდაო იგი, - ყველა ის გენერალი და დანარჩენნი, რომლებიც უნდა დაშვებულ იქნენ ფიურერთან და შეავსონ მისი მაგიდა მათ, ცხადია, თავიანთი როლი უნდა შეასრულონ. მაგრამ მე, რუდოლფი, ყველას ვაჯობებ უსაზღვრო ერთგულებით და ჩემს ფიურერს მოვუტან უფრო ღირებულ საჩუქარს და მეტ შემსუბუქებას, ვიდრე ისინი ერთად აღებულნიო. მე ინგლისში გავემგზავრები და ზავს დავდებ მათთან. ჩემი ცხოვრება არად ღირს უამისოდ. რაოდენ მიხარია, რომ შემიძლია იგი მსხვერპლად მივიტანო ამ იმედის განხორციელების საქმეში!" ასეთი განწყობილება, მისი გულუბრყვილობის მიუხედავად, რა თქმა უნდა არც ბოროტგანზრახული იყო და არც უღირსი".

„ჰესის წარმოდგენა ევროპაში შექმნილ სიტუაციაზე იქამდე დაიყვანებოდა, რომ ომის გამჩაღებლებმა, რომელთა განწყობილების გამომხატველად ჩერჩილი გვევლინება, ინგლისი აიძულეს უარი ეთქვა თავის ჭეშმარიტ ინტერესებზე, კერძოდ გერმანიასთან მეგობრობის პოლიტიკაზე, უპირველეს ყოვლისა, ბოლშევიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში მასთან კავშირზე. აი, მას, რუდოლფს რომ შესძლებოდა ინგლისის შუაგულში შეღწევა და მეფის დარწმუნება იმაში, თუ როგორ ეპყრობა მის ქვეყანას ჰიტლერი, მაშინ ბოროტი ძალები, რომლებიც ამჯერად ბედკრულ კუნძულს მართავდენ და ამდენი უბედურება მოუტანეს მას, აღგვილ იქნებოდნენ. როგორ შეიძლება გადარჩეს ინგლისი? საფრანგეთი უკვე მოხსნილია ანგარიშიდან. მალე წყალქვეშა ნავები ყველა კომუნიკაციას მოსპობენ, გერმანიის ავიაციის საჰაერო თავდასხმები გაანადგურებენ ინგლისის მრეწველობას, ხოლო ქალაქებს მტვრად აქცევენო."

„მაგრამ, ვის უნდა მიმართოს მან? მისი პოლიტიკური მრჩევლის — კარლ ჰაუსჰოფერის შვილი იცნობდა ჰერცოგ ჰამილტონს. ჰესისათვის ცნობილი იყო, რომ ჰერცოგი ჰამილტონი წარმოადგენდა სამეფო კარის ერთ-ერთ მაღალი თანამდებობის პირს! მისი ვარაუდით, ასეთი პირი, ალბათ, ყოველ საღამოს ვახშმობდა მეფესთან და პირადად ესაუბრებოდა მას. მისი მეშვეობით იგი შეძლებდა მეფესთან პირდაპირი კავშირის პოვნას."[1]

ასეთი გახლავთ უინსტონ ჩერჩილისეული ვარიანტი, რომელსაც, ან უფრო სწორად მის გაგრძელებას, რომლებიც ოდნავ მოგვიანო პროცესებს შეეხება, ჩვენ კიდევ მოვიტანთ. მასში ბევრი რამ არის უდაოდ საინტერესო, რაც ბრიტანეთის ოფიციალურ მხარესთან არის დაკავშირებული, თუნდაც იმ თვალსაზრისით, როგორ და რა ვითარებაში

[1] Churchille. Op. cit., 3, 48-50.

მიიღო ეს შეტყობინება პრემიერ-მინისტრმა, მისეული ინტერპრეტაცია თვით მოვლენისა, ანალიზი და შეფასება, მაგრამ ამასთან ერთად, ვფიქრობ გაპარულია ზოგიერთი უზუსტობა და გვერდი აქვს ავლილი მთელ რიგ დეტალებს, რომლებიც თვით საქმის მსვლელობისათვის გარდაუვლად გვეჩვენება.

დავიწყოთ გერმანიის ისტორიის წინანაცისტური პერიოდიდან და, საერთოდ, ჰესის როლის შეფასების განხილვიდან. ჩერჩილის ვარაუდით ჰესის ეს თავგანწირვა გამოწვეული იყო ომის მოახლოებასთან დაკავშირებით მისი როლის დაქვეითებით. ესაოდა, ადრე იგი ან მარტო, ან კიდევ 2-3 კაცის თანდასწრებით სადილობდაო ჰიტლერთან, შემდეგ კი ხშირად მისთვის თითქმის არ იყოო ადგილი მაგიდასთან.

ის პერიოდია, როცა ჰესი მარტო ან ვიწრო წრეში იყო ჰიტლერთან. იგი ეხება ხანას ხელისუფლების სათავეში მოსვლამდე. მათ არც სახსრები უხვრეტდა ჯიბეებს და არც იყო ამის საჭიროება. მთავრობაში მათი გასვლის შემდეგ მდგომარეობა რადიკალურად შეიცვალა. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ალბერტ შპეერმა რაიხსკანცელარიას ახალი ფლიგელი მიაშენა. ბევრის, ძალზე ბევრის მცოდნე პრემიერ-მინისტრი ამ შემთხვევაში უბრალოდ საქმის კურსში არ არის. იქიდან მიყოლებული ჰიტლერთან, ჯერ კიდევ ომის დაწყებამდე, ბევრად ადრე, ყოველდღე 40-50 კაცი იკრიბებოდა ყველა ჯურის მაღალჩინოსანთა რიგებიდან. ეს პრაქტიკა ტრადიციად იქცა. ასე რომ, ჰესისათვის ყოველთვის იყო გამორჩეული ადგილი ჰიტლერის გვერდით. ისე კი ისეთი შემთხვევაც ყოფილა, როცა მაგალითად დაგვიანებული გრეგორ შტრასერისთვის გებელსის ადგილიც დაუთმიათ. ეს უკანასკნელი კი სხვაგან გადაუსვამთ, რის შემდეგ პროპაგანდის მინისტრს გულში ჩაუდევს ეს დამცირება და 1934 წლის 30 ივნისს გადაუხადა მას, როდესაც ცნობილი „გრძელი დანების ღამეს" მოიერიშე რაზმელებს შტრასერიც მიაყოლეს.

რაც შეეხება ჰერცოგ ჰამილტონის სატელეფონო ზარს შოტლანდიიდან, ჩერჩილი სინამდვილეში თვითონაც მისულა ყურმილთან. უფრო მეტიც. მას დაუვალებია ჰერცოგისათვის პატიმართან მისვლა მისი იდენტიფიცირების მიზნით, რამეთუ პრემიერის კითხვაზე, იცნობ თუ არა მასო, ჰამილტონს უთქვამს, რომ ცნობით არ ვიცნობ, მაგრამ რამდენჯერმე მინახავს გერმანიაში ოლიმპიური თამაშების დროსო.

მაგრამ, რაც მთავარია, უინსტონ ჩერჩილს არაფერი უთქვამს ინგლისის დაზვერვის მონაწილეობაზე ამ საქმეში, რაც დღეს ყოველგვარ ეჭვგარეშეა.[1] ამის საილუსტრაციოდ გერმანიის საგარეო დაზვერვის ხელმძღვანელის ვალტერ შელენბერგის ინფორმაციაც

[1] ინტერნეტის ინფორმაციით

საკმარისად შეიძლება ჩაითვალოს. ამ ასპექტს ჩვენ კიდევ ერთხელ დავუბრუნდებით.

ზემოთ უკვე ითქვა, რომ ჰერცოგი ჰამილტონი 11 მაისს დილით უნდა მისულიყო ჰესთან მერიჰილის ყაზარმებში, სადაც გაახსენდა, რომ შაბათს, 10 მაისს, მან თხოვნით მიმართა საჰაერო დაზვერვის ოფიცერს, პოლკოვნიკ ბლეკფორდს, ალბრეხტ ჰაუსჰოფერთან შეხვედრის მიზნით ლისაბონში წასვლა.[1] ახლა კი რაღა უნდა ექნა? ეს ვიზიტი თავისთავად იშლებოდა. ხსენებულ რანდევუს, ალბათ, ჰესთან შეხვედრის დეტალები უნდა დაეზუსტებინა. ფიურერის მოადგილემ კი დაასწრო და მას მშობლიურ მიწაზე „სტუმრად" თვითონ ეახლა. რა იყო ეს? კიდევ ერთი სავარაუდო ალიბი?

ამ ეჭვს უნდა აძლიერებდეს კიდევ ერთი მოარული ვერსია, რომელიც ისევ და ისევ ჰესის ჩაფრენასთანაა დაკავშირებული. საქმე იმაშია, რომ როგორც ზემოთ ითქვა, იმ შაბათ დღეს ჰერცოგი ჰამილტონი, მორიგეც იყო ტერნჰაუსის სამეთვალყურეო პუნქტში და აკონტროლებდა იმ საჰაერო სივრცეს, რომლის სამხრეთ სექტორში შეიჭრა ჰესის თვითმფრინავი, რომელიც პირველსავე წუთებში დაფიქსირდა, როგორც „რეიდი-X 42". მთელი საქმე იმაშია, რომ როგორც ეს მოარული ხმა ამტკიცებს, ჰამილტონი იმ დღეს შემთხვევით სრულებითაც არ ყოფილა მორიგედ. იგი ელოდაო ჰესს. ამასთანავე, მარტო კი არა, არამედ ჩერჩილთან, კადოგანთან, სტიუარტ მენზისთან, ტარ რობერტსონთან და ბოილთან ერთად. ეს უკანასკნელნი დაზვერვის ორგანოებიდან იყვნენ. ეს ინფორმაცია თითქოსდა დასტურდება მეორე დღის მოვლენებით, რომლებსაც ფარდა თითქმის 30 წლის შემდეგ აეხადა.

1969 წელს მაისში გაზეთ „იორკშირ პოსტში" დაიბეჭდა ალბერტ ჯეიმს ჰეილის სტატია, რომელიც ამ ამბავს შეეხება. ჰეილი 1941 წლის გაზაფხულზე ყოფილა იორკშირის ზონის ტრანსპორტისა და არაკვალიფიცირებულ მუშათა პროფკავშირების მდივანი. 9 მაისს მისთვის დაურეკავს იმ დროის მთავრობის შრომის მინისტრს ერნსტ ბევინს და უთხოვია საღამოს 18[30] საათზე მისულიყო შედფილდის მუნიციპალიტეტის შენობაში, სადაც იგი სიტყვით უნდა გამოსულიყო რეგიონული კონფედერაციის სხდომაზე. აქ ჩასული ჰეილი ბევინს გვერდით გაუხმია და უჩვენებია კოდირებული შეტყობინება. იგი მას თითქოსდა მიღებული ჰქონდა გერმანიის სამრეწველო წრეებიდან თავისი ერთ-ერთი ინფორმატორისაგან.

როგორც ირკვევა ეს კოდი თვით ჰეილის ჰქონია გამოგონებული რამდენიმე ხნით ადრე, როდესაც იგი სამხრეთ უელსში ყოფილა მოძრაობის - „ომს-უარი!" მდივანი. ეს შიფრი მან ასწავლა თავის

[1] Пэдфилд. Там же, 329.

ახალგაზრდა თანამშრომელს, რომელმაც კოდის მიღება იცოდა, მაგრამ წაკითხვა — არა. ჩანს ამიტომ სთხოვა ბევინმა შეხვედრა ჰეილის, რათა ამ უკანასკნელს ამოეკითხა იგი. ჰეილიმ თვალის ერთი გადავლებით წაიკითხა შიფრი: თუ ინცორმაცია სწორი იყო, ჰამილტონთან შესახვედრად ინგლისში ჩამოდიოდა რუდოლფ ჰესი. ეს ცოტა არ იყოს ძნელი დასაჯერებელი იყო. ამიტომ ჰეილის ინფორმაციის გადასამოწმებლად დრო უთხოვია. ვიდრე ბევინი თავის სიტყვას დაამთავრებდა, ჰეილის დაუზუსტებია შეტყობინება. მან ბევინს დაუდასტურა ვერსია. მაშინ ბევინს იქიდანვე დაურეკავს ჩერჩილისათვის და შეუტყობინებია ეს ამბავი. ტელეფონის ხაზის სმენადობა ძალზე მაღალი ყოფილა და ჰეილს საკუთარი ყურით თვითონ გაუგონია, რომ პრემიერ-მინისტრს ეს ყველაფერი ხუმრობაში ჩაუთვლია.[1]

მეორე დღეს დილის 9^{30} საათზე ჰეილი და ბევინი კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს. ახლა ამ უკანასკნელს უთქვამს, რომ ჰესი მართლაც ჩამოფრინდაო შოტლანდიაში. ამასთანავე, ბევინმა მოითხოვა ჯერჯერობით საიდუმლოების უმკაცრესი შენახვა. აქ მართალია ერთი გაუგებრობაც ყოფილა: ყველაფერი სინამდვილეში ერთი დღით გვიან ხდებოდა, თუმც ამ შემთხვევაში პედფილდის აზრით, გასაოცარი არ უნდა იყოსო. „იორკშირ პოსტში" ხომ 30 წლის წინანდელი ამბავი გადმოიცემოდა.[2] ეს ყველაფერი პედფილდს გადაუმოწმებია პრესის მეშვეობით და დაუდგენია, რომ ბევინი ლიდსში 10 მაისს იყო სიტყვით გამოსული და იმავე დღეს ყოფილა შეფილდშიც.

თუ ეს ვარაუდი სწორია, გამოდის, რომ ჰესის ჩაფრენის საქმის კურსში მთელი ზემოთხსენებული ჯგუფი ყოფილა, ისევე, როგორც თვით ჰერცოგი ჰამილტონი, მაგრამ ვიღაც იკითხავს, მაშ რატომ იყოო იგი მორიგე? სწორედ იმიტომ, რომ მას თვითონ ეთვალთვალნა, შემოფრინდებოდა თუ არა ჰესის თვითმფრინავი დანიშნულ დროსა და დანიშნული კურსით მისი არეალის სფეროში. ეს ერთი. მეორე კი იმაში გამოიხატებოდა, რომ ის ქმნიდა ალიბს, ისევე როგორც წინა დღის თხოვნით: 10 დღით გამიშვითო პორტუგალიაში. სხვას რომ ყველაფერს თავი დავანებოთ, რა უნდა ესაქმებოდეს საერთაშორისო შპიონაჟის მრავალწახნაგოვან ცენტრში ომის დროს სამხედრო შენაერთის მეთაურს?...

მაგრამ მთავარი და, როგორც პედფილდი აღნიშნავს, ნამდვილად გასაოცარი ის არის, როგორ გაიგო უბრალო ლონდონელმა გოგონამ, ბევინის ინფორმატორმა ეს და „ბარბაროსას საქმის" ამბები? ესენი ხომ ნაცისტური გერმანიის ორი უდიდესი საიდუმლოება იყო, - კითხულობს ავტორი. მაგრამ იგი ამის კვლევა-ძიებით თავს არ იწუხებს

---

[1] Пэдфилд. Там же, 331-332.

[2] Там же

და იქვე ასკვნის: ეს ინფორმაცია მოდიოდა ან აუგსბურგის ქარხნის რომელიმე თანამშრომლიდან ან შეიძლება თვით მესერშმიტიდანო. რა გამორიცხულიაო? უფრო შორსაც მიდის: არ არისო საფუძველს მოკლებული, რომ თვით გერინგიც იყოსო... მოკლედ ერთი ჰიტლერი რჩება, თორემ დანარჩენი ყველა ინგლისელთა ინფორმატორები ყოფილან, იმდენად ყვარებიათ დიდი ბრიტანეთი. ყოველ შემთხვევაში პედფილდს უდავოდ მიაჩნია, რომ მესერშმიტი და გერინგი უნდა იყვნენ ინფორმატორები ჰესის გაფრენისა და „ბარბაროსას გეგმის" (სხვაგვარად რუსეთზე თავდასხმის გეგმის) საიდუმლოების ბრიტანელთათვის გაცემის საქმეში.

მოკლედ, საკმარისად მოუსვენარი ღამის შემდეგ, 11 მაისს, დილით ჰამილტონი მერიჰილის ყაზარმებში მივიდა ჰესის სანახავად. მან თან გაიყოლა ერთი ოფიცერი საინფორმაციო ცენტრიდან, მეორე კი პირადი დაცვიდან. ფიურერის მოადგილის ოთახში შესვლამდე მას აჩვენეს მისი ნივთები. საინტერესო იქნებოდა კაცს თვალებში შეეხედა ჰამილტონისათვის, როცა ის ჰაუსჰოფერთა სავიზიტო ბარათებს დახედავდა...

და ბოლოს ჰერცოგი, რომელსაც კარი გაუღეს, თანმხლებ ორ ოფიცერთან ერთად შევიდა ოთახში ჰესთან. იგი საწოლზე იყო წამოწოლილი. ვიდრე ჰესი რეაგირებას მოაწრებდა, ჰერცოგმა (მით უმეტეს ყიფილმა მოკრივემ) უმალ თვალი შეავლო ფერმკთალ, არაფრის მთქმელ სახეს. მან იმწამს მიაგება შემოსულს:

– „თქვენ ჰერცოგი ჰამილტონი ხართ. მე მარტო უნდა გესაუბროთ თქვენ. ეს ძალზე მნიშვნელოვანია".[1]

ჰამილტონი მოუბრუნდა თავის მხლებელ ოფიცრებს და სთხოვა მათ, მასთან მარტო დაეტოვებინათ. მათ გასვლა ვერ მოასწრეს რომ ჰამილტონს შემოესმა სიტყვები: „მე, რაიხსმინისტრი რუდოლფ ჰესი ვარ!"[2] თუ ჰერცოგი ჰამილტონისი ჰესის ჩამოფრენის საქმის კურსში მართლაც არ იყო, შეიძლება კაცმა წარმოიდგინოს ჰესის ამ სიტყვებთან დაკავშირებით მისი გაოცება?

რუდოლფ ჰესისა და ჰერცოგ ჰამილტონის დიალოგის აღწერა რამდენიმე ავტორის ვარიანტით შეიძლება: ჰიუტონის, პედფილდის, ლიზორისა და სხვ. ჩვენ უპირატესობას მაინც თვით ჰერცოგისეულს ვანიჭებთ, რომელსაც მისი შვილის ჯეიმს დუგლას ჰამილტონი იძლევა მამამისის არქივის — ე.წ. ჰამილტონ პაპერს — მიხედვით. მით უმეტეს, რომ ის გადმოცემულია პრემიერ-მინისტრისადმი ჰერცოგის ოფიციალური მოხსენების გამოყენებით.

„გერმანელმა, - სწერდა თვით ჰერცოგი ჩერჩილს, საუბარი დაიწყო

---

[1] Hutton. Op. cit., 50.

[2] Ibidem.

იმით, რომ მნახა ბერლინში ოლიმპიურ თამაშებზე 1936 წელს და რომ მე მისადილებია მის საკუთარ სახლში. მან თქვა, „არ ვიცი, მიცანით თუ არა, მაგრამ მე რუდოლფ ჰესი ვარო". მან განაგრძო საუბარი იმის თაობაზე, რომ იგი ჰუმანური მისიით არის და რომ ფიურერს არ სურს ინგლისის დამარცხება და სურვილი აქვს შეწყვიტოს ბრძოლა. მისმა მეგობარმა ალბრეხტ ჰაუსჰოფერმა უთხრა მას, რომ მე ვარ ის ინგლისელი ადამიანი, რომელიც მისი შეხედულებით გაიგებს მის (ჰესის) თვალთახედვას. აქედან გამომდინარე, მას უცდია ჩემთან შეხვედრის მოწყობა ლისაბონში (იხილეთ ჰაუსჰოფერის წერილი, დათარიღებული 1940 წლის 23 სექტემბრით). შემდეგ მან თქვა, რომ მას უცდია დანგველში (ჰამილტონის ციხე-კოშკია — ლ.ს.) ჩაფრენა. ეს უკვე მეოთხე ცდა არისო და რომ პირველი ცდა იყო დეკემბერში. წინა სამ შემთხვევაში იგი უამინდობის გამო დაბრუნებულა უკან. მას არ უცდია ასეთი ცდის მოწყობა ლიბიაში ინგლისელთა მიერ მიღწეულ გამარჯვებათა დროს, რამეთუ შეიძლებოდა გაგებული ყოფილიყო როგორც სისუსტე, მაგრამ ამჟამად, როცა წარმატებებს გერმანიამ მიაღწია ჩრდილო აფრიკასა და ბალკანეთში, იგი მოხარული იყო, რომ ინგლისში ჩავიდა.

ის ფაქტი, - განაგრძობს ჰამილტონი ანგარიშგებას, - რომ ამ ქვეყანაში თვით რაიხსმინისტრი ჰესი ჩამოვიდა პერსონალურად, გვიჩვენებს მის გულწრფელობას და გერმანიის მხრივ ზავის დადების სურვილს, - განუცხადებია ჰესს. — შემდეგ მან თქვა, ჰიტლერი დარწუნებულია, რომ გერმანია ომს მოიგებს, თანაც შესაძლებელია მალე, ყოველ შემთხვევაში ერთი, ორი ან სამი წლის განმავლობაშიო. აქედან გამომდინარე, მას სურვილი აქვს, შეაჩეროს არცთუ აუცილებელი სისხლისღვრა. მან მე მკითხა, თუ შემეძლო შემეკრიბა ჩემი პარტიის ხელმძღვანელი პირები, რათა გვესაუბრა ხსენებულ საკითხებზე — მშვიდობის მიღწევის შესაძლებლობებზე. მე ვუპასუხე, რომ **ამჟამად ამ ქვეყანაში მხოლოდ ერთი პარტიაა**. მან შემდეგ თქვა, რომ შეუძლია მითხრას, თუ როგორი არის ჰიტლერის სამშვიდობო პირობები.

პირველი იქნება ის, რომ დაჟინებით მოითხოვს ისეთ რეგულირებას, რომელიც ჩვენ ორ ქვეყანას შორის ომის შესაძლებლობას გამორიცხავს მომავალში. მე ვკითხე მას, თუ როგორ შეიძლებოდა ხსენებული რეგულირების მიღწევა. მან მიპასუხა, რომ ერთ-ერთი გარდაუვალი პირობა იქნება ბრიტანეთის მხრივ მის ტრადიციულ პოლიტიკაზე უარის თქმა, რომელიც გულისხმობს ევროპაში უძლიერესი ძალისადმი მუდმივ წინააღმდეგობას. მე ამის საპასუხოდ ვუთხარი, რომ ჩვენ კიდეც რომ მივაღწიოთ მშვიდობას ახლა, ჩვენ აუცილებლად ვიქნებით ომში კვლავ ორი წლის განმავლობაში. მის კითხვაზე რატომო, მე ვუპასუხე, რომ თუ სამშვიდობო ხელშეკრულება შესაძლებელი იყო, მისი რეგულირება

ომის დაწყებამდე უნდა მომხდარიყო, მაგრამ რამდენადაც გერმანიამ მშვიდობას ომი ამჯობინა მაშინ, როდესაც ჩვენ ყველაზე მეტად მივისწრაფვოდით მშვიდობის შენარჩუნებისაკენ, ამჟამად მე იმედს ვერ ვიქონიებ მშვიდობის მიღწევის თაობაზეო.

მან შემდეგ მთხოვა, მეფისათვის მეთქვა, მიეცა მისთვის „თავისუფლება" ("parole") რამდენადა იგი შეუიარაღებელი ჩამოვიდა, მისი საკუთარი თავისუფალი სურვილით.

და ბოლოს მან მითხრა, თუ შემეძლო შემეტყობინებინა მისი ოჯახისათვის (!), რომ ის უვნებელი იყო და გამეგზავნა დეპეშა ციურიხში, ჰერცოგის ქუჩა №17, როტაკერისათვის[1] იმის შეტყობინებით, რომ ალფრედ ჰორნი ჯანმრთელია. მან აგრეთვე ითხოვა, რომ მისი იდენტურობა პრესისათვის არ გაეხსნათ".[2]

ჰამილტონის რაპორტი პრემიერ-მინისტრისადმი მთავრდებოდა შემდეგი დასკვნით: „პრესაში გამოქვეყნებული ფოტოგრაფიებიდან და ალბრეხტ ჰაუსჰოფერის მიერ ჰესის აღწერილობით, მე დავრწმუნდი, რომ ეს პატიმარი ჭეშმარიტად ჰესია. ხსენებულ ინტერვიუმდე მე ოდნავი წარმოდგენაც არ მქონდა, რომ ჰაუსჰოფერის წერილს ლისაბონში შეხვედრის თაობაზე, თუ ჰქონდა რაიმე საერთო ჰესთანო".

დასახელებული რაპორტიდან ბევრი რამ საინტერესო ჩანს, მაგრამ ყველაზე მეტად ის გარემოება, რომ სულ მცირე ორი საინტერესო დასკვნა კეთდება: პირველი ის რომ ჰესი მართლაც და დაბეჯითებით შეუყვანია შეცდომაში ინგლისის დაზვერვას („... შეკრიბეო შენი პარტიის ხელმძღვანელი პირები" — ხომ უთხრა ჰესმა ჰამილტონს) და მეორე: ჰესის ინგლისში გაფრენის იდეა არამარტო მისმა მეუღლემ („შეატყობინეო ოჯახს"), არამედ დეიდამაც იცოდა შვეიცარიაში. სხვაგვარად, როგორ უნდა გავიგოთ ჰესის თხოვნა — დეპეშის ციურიხში გაგზავნაზე, - „ალფრედ ჰორნი კარაგდ არისო". საიდან უნდა სცოდნოდა ჰესის დეიდას — ქალბატონ როტაკერს, ვინ იყო ალფრედ ჰორნი? და მერე, მას ხომ ასევე „კოდირებული" დეპეშა უნდა გაეგზავნა გერმანიაში ან ჰესის ცოლისათვის, ანდა ვილაც მესამე პირისათვის, რომელიც შემდეგ შეატყობინებდა ჰესის მეუღლეს, რომ რუდოლფი ჯანმრთელი ყოფილაო.

პედფილდი თავის ვარიანტს ერთ საინტერესო ეპიზოდს ამატებს. საუბრის პროცესში, როდესაც ჰერცოგი ჰამილტონი მართლაცდა დარწმუნებულა, რომ პატიმარი ფიურერის მოადგილე იყო, მას უთქვამს, რომ „თქვენ სინამდვილეში ჰესი ხართო".[3]

---

[1] იგი ჰესის დეიდა ყოფილა.

[2] Hamilton Papers: Wing Commander Duke of Hamilton's Report to Prime-Minister on his interview with Hess, Sunday, 11 may, 1942. See: Douglas-Hamilton J. Op.cit, 158-160

[3] Пэдфилд. Там же, 334.

ავტორი იმასაც ადასტურებს, რომ საუბრის ბოლოს ჰესს თითქოსდა უთხოვია, გლაზგოდან გამიყვანეთ, რათა თავიდან ავიცდინოო გერმანიის ავიაციის თავდასხმა, რომელიც შეიძლებაო განახორციელონ ჩემი ლიკვიდაციის მიზნითო. იგი, ამ შემთხვევაში ახალ ალიბს იქმნიდა, ესაოდა ჰიტლერმა თითქოსდა მართლაც არაფერი იცოდა ჩემი გამოფრენის თაობაზეო. საინტერესოა, თუ ეს ასე იყო, გერმანიის ავიაციას რაღა მაინცდამაინც გლაზგო უნდა დაებომბა. საიდან უნდა სცოდნოდა ჰიტლერს ჰესი გლაზგოში ჩაფრინდა თუ ლონდონში?... როგორც იტყვიან, ტყუილს მოკლე ფეხები აქვსო. ანკი რატომ ხელმძღვანელობდა დედაქალაქზე წინადღის საჰაერო თავდასხმას ავიაციის მარშალი შპერლე?!

ჰერცოგმა ჰამილტონმა, რომელსაც უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა ლონდონში გაფრენა, თარჯიმნის მოყვანის აუცილებლობის მომიზეზებით, დაამთავრდა მასთან საუბარი და მეორე ოთახში მყოფი დაცვა გააფრთხილა იმის თაობაზე, რომ პატიმარი მართლაცდა მაღალი თანამდებობის პირია და მისი უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე უფრო საიმედო ადგილზე უნდა გადაიყვანოთო. საღამოს ჰესი სასწრაფო დახმარების მანქანით, მართლაცდა გაძლიერებული დაცვით, გადაიყვანეს დრაიმენის სამხედრო ჰოსპიტალში, რომელიც მდებარეობდა ბიუკენენის სასახლეში, ლოხ-ლემონთან. მას იქ ძლიერი დაცვა მიუჩინეს.

ჰერცოგმა ჰამილტონმა ამასობაში გადაწყვიტა იგლშემში წასვლა და ჰესის დამსხვრეული თვითმფრინავის დათვალიერება. შემდეგ ის დაბრუნებულა ტერნჰაუსის ბაზაზე, საიდანაც დაურეკა საჰაერო ძალების სარდალს და უთხრა, რომ მას საგარეო საქმეთა სამინისტროსათვის საყურადღებო ინფორმაცია აქვს. ეს დასტურდება „ჰესის ინციდენტთან დაკავშირებული დამატებითი შენიშვნებით", რომელიც ჰამილტონს ომის შემდეგ უნდა ჰქონდესო გაკეთებული, - აღნიშნავს პედფილდი.[1]

ამის შემდეგ ჰამილტონს უცდია საგარეო საქმეთა სამინისტროში სერ ალექსანდრ კადოგანთან დაკავშირება. როგორც უკვე ჩვენთვის ცნობილია, იგი მინისტრის მუდმივი მოადგილე იყო. ყურმილი აუღია მის მდივანს. როგორც ჯეიმს დუგლას-ჰამილტონი აღნიშნავს, ინგლისელთათვის დამახასიათებელი ბიუროკრატიზმის ფორმით გამოუხატავს კადოგანის დაკავებულობა[2] და აი, შეიძლებაო ერთი კვირის განმავლობაში სადმე ვიპოვოთ თავისუფალი ფანჯარა და ა.შ. ჰამილტონს ცოტა უხეშად შეუწყვეტინებია და მკვეთრი ტონით მოუთხოვია კადოგანთან დაკავშირება. მოულოდნელად, სად იყო და სად არა, საუბარში ჩართულა პრეიმერ-მინისტრის პირადი მდივანი ჯოკ კოლვილი:

---

[1] Там же, 336.

[2] Douglas-Hamilton. Op. cit., 161.

გესაუბრებათ პრემიერ-მინისტრის მდივანი. მან საგარეო საქმეთა სამინისტროში გამომგზავნა, რამდენადაც შეიტყო, რომ თქვენ რაღაც საინტერესო ინფორმაცია გაქვთ. მე ეს-ეს არის მოვედი სამინისტროში და შევესწარი თქვენს საუბარს. მინდოდა გამერკვია, რას გვთავაზობთ. მაინც რა მოხდა? ვინმე ხომ არ ჩამოსულა?

– დიახ, უპასუხა ჰამილტონმა. სწორედ ეგრეა. შოტლანდიაში ჩამოფრინდა მაღალი თანამდებობის გერმანელი მოხელე, რომლის შესახებ მინდოდა გავსაუბრებოდი მინისტრის მოადგილეს.

პრემიერ-მინისტრის მდივანმა სთხოვა ჰამილტონს, ერთი წუთი დალოდებოდა ყურმილთან. თვითონ მეორე ტელეფონით დაურეკა ჩერჩილს და პასუხად მიიღო მისი მითითება ჰამილტონის ლონდონში დაუყონებლივ ჩამოსვლის თაობაზე.

პედფილდის შეხედულებით, ეს ყველაფერი იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ ჩერჩილი ჰესის ჩამოსვლის საქმის კურსში ადრეც იყო. საერთოდ, იგი კრიტიკულად აღნიშნავს, რომ „განმარტება, რომელიც ჯოკ კოლვილმა მოგვიანებით მოიგონა, ფორინ ოფისში თავის ყოფნასთან დაკავშირებით, იმის მტკიცებად უნდა ჩაითვალოს, რომ ჭეშმარიტი ფაქტები, დაკავშირებული ჰესის ჩაფრენასთან, განსხვავდება ოფიციალური ვერსიებისაგან. ისიც უნდა ითქვასო, რომ მოვლენების ყველა მონაწილე ცდილობდა სიმართლის ნაწილის დამალვას, რამაც საბოლოო ჯამში მიგვიყვანა მათი ჩვენებების წინააღმდეგობრიობამდეო".[1]

ჯოკ კოლვილთან საუბრის შემდეგ ჰამილტონი მალე გაფრინდა ტერნჰაუსის ბაზიდან „ჰარუკანის" ტიპის თვითმფრინავით და გაემართა ნორტჰოლტში. იქ მას აცნობეს, რომ კიდლინგტონში უნდა ჩაფრენილიყო სადაც მას ელოდებოდა პრემიერ-მინისტრის მანქანა, რომელმაც იგი დიჩლი-ჰოლში მიიყვანა რონალდ ტრის შუასაუკუნოვან სასახლეში. დიჩლი ჩერჩილისათვის საკმაოდ ფამილიარული უნდა ყოფილიყო, რამეთუ მკლავის გაშლამდე იყო ბლენეიმის სასახლამდე, სადაც იგი დედამისის ორსულობის 7 თვის თავზე — 1874 წლის 29 ნოემბერს დაიბადა ნაადრევად.

კიდლინგტონი, სადაც ჰამილტონი ჩაფრინდა, სულ ახლოსაა ცნობილ ოქსფორდთან. ფრენის დროს, შოტლანდიიდან დანიშნულების ადგილამდე საკმაო მანძილია, მაგრამ ჰერცოგმა ისე გაიარა იგი, რომ არც კი გაუგია. იგი დაჟინებით ფიქრობდა მის ამაფორიაქებელ შემთხვევაზე. როგორც ჯეიმს დუგლას-ჰამილტონი მოგვიანებით იტყვის, მამამისმა „ფრენის დროს თავი მოუყარა აზრებსო".[2]

ჰამილტონს ვერ წარმოედგინა, რომ მის პირად მეგობარს, რომელიც

---

[1] Пэдфилд. Там же, 336

[2] Douglas-Hamilton. Op. cit., 162. ("...he assembled his thoughts as he flew")

რამდენჯერმე იყო მასთან სტუმრად ინგლისსა და შოტლანდიაში, შეიძლებოდა ასეთი როლი ეთამაშა ჰესის მისიასთან დაკავშირებით, თუნდაც იმიტომ, რომ მანამდე მას პირადად არასოდეს ჰქონია რაიმე კავშირი თვით ფიურერის მოადგილესთან. ადრე მას უბრალოდ ვერ დაეჯერებინა, რომ ალბრეხტს შეეძლო, გამოეგზავნა ჰესი მასთან შესახვედრად. მან გაიხსენა, რომ სადღაც ერთი წლის წინათ, გერმანელმა ახსენა შემთხვევით ჰესი და დაამატა, რომ მას იმედი აქვს ერთ მშვენიერ დღეს მათ ერთმანეთს გააცნობდა. მაგრამ ჰამილტონი ვერასოდეს დაიჯერებდა და წარმოიდგენდა, რომ ფიურერის მოადგილესთან შეხვედრა ასეთ გარემოებაში მოხდებოდა. თუმცა, კაცმა რომ თქვასო, ჰესის ჩაფრენის ამბავი შეიძლებოდა არც ალბრეხტ ჰაუსჰოფერს სცოდნოდა, ისევე როგორც არ იცოდა მან. მაგრამ, წერს ჰამილტონი უმცროსი, როგორ შეიძლებოდა ამ სიტუაციის შედარება იმასთან, რაც იმ მომენტში თვით გერმანიაში ხდებოდა: სწორედ დაახლოებით იმ დროს, როცა ჰამილტონი პრემიერ-მინისტრთან შესახვედრად მიფრინავდა, გერმანიაში ალბრეხტ ჰაუსჰოფერი ჰიტლერთან მიჰყავდათ დასაკითხად.[1] მკითხველმა იოლად შეიძლება წარმოიდგინოს, თუ როგორ ორომ-ტრიალს აუტეხდა ფიურერი იმის მიუხედავად, რომ მანამდე უდიდეს პატივს მიაგებდა ორთავე მამა-შვილს. მისი „მაინ კამპფი" ხომ გადატვირთულია კარლ ჰაუსჰოფერის გეოპოლიტიკური კონცეფციებით. მაგრამ ჰიტლერმა მოულოდნელად დაინდო ალბრეხტი, რაც ასევე ეჭვებს უნდა იწვევდეს.

დიჩლი პარკში მისულ ჰამილტონს, იქ საკმაოდ დიდი წრე დახვდა სტუმრებისა. რონალდ ტრის შვილი — მაიკლი იმ დღეს — 11 მაისს - 30-მდე მინვეულ პირს მასპინძლობდა. მათ შორის იყვნენ პრემიერ-მინისტრი უინსტონ ჩერჩილი, ავიაციის მინისტრი სერ არჩიბალდ სინკლერი, პრემიერის პირადი საპარლამენტო მდივანი და პარლამენტარი ბრენდენ ბრაკენი და სხვ.

დიჩლი პარკი, როგორც ერქვა სახელად რ. ტრის „კანტრი ჰაუზს", შემთხვევით არ არის მოხვედრილი ჰესის გაფრენის ისტორიაში. როგორც უკვე ზემოთ ითქვა შერჩეულია იმის გათვალისწინებით, რომ ფართოდ ცნობილი ჩეკერსი გერმანიის ავიაციას შეეძლო დაებომბა.

ჩვენ ვისარგებლებთ ჰაროლდ ნიკოლსონის ჩანაწერით, რომელიც აგვიწერს ამ გადაწყვეტილების რეალიზაციის სცენას. ის ხდებოდა 1940 წლის ნოემბრის ბოლოს, როდესაც გერმანიის ავიაციამ მძიმედ დაბომბა ლესტერი. ავტორი, როგორც ამ ადგილიდან არჩეული დეპუტატი, თავის მეგობართან — რონი ტრისთან ერთად ჩასულა იქ შედეგების გაცნობისა და თავის ტანჯვაგამოვლილ ამომრჩეველთა დამშვიდების

[1] Ibidem.

მიზნით. ლესტერიდან სტუმრები დიჩლი პარკში წასულან მასპინძლის თხოვნით, რამეთუ იგი უკვე მზადდებოდა პრემიერ-მინისტრის მეორე რეზიდენციად.

— „დიჩლი, - წერს ნიკოლსონი, - იქნებოდა ერთ-ერთი ალტერნატიული ადგილი, სადაც ჩერჩილი უნდა წასულიყო უიკენდზე. ეს იყო სერიოზული საქმე. თავდაპირველად მივიდა ორი დეტექტივი, რომლებმაც სახლი სხვენიდან სარდაფამდე „გაწმინდეს". შემდეგ გამოჩნდა კარისკაცი, უზარმაზარი ბარგით. მას ოფიცრებითურთ მოჰყვა 35 ჯარისკაცი მაღალი ჩინის დაცვის მიზნით. მერე მივიდა ორი სტენოგრაფისტი და უამრავი საწერი ქაღალდი მიიტანეს. შემდეგ პროფესორი ლინდემანი[1], ბრენდან ბრაკენი და მორიგე პირადი მდივანი: და ბოლოს თვით უინსტონი და კლემი (ჩერჩილი)".[2]

როდესაც ჰერცოგმა ჰამილტონმა დიჩლი პარკს მიაღწია სტუმრებმა ის-ის იყო სადილი დაამთავრეს და აიშალნენ. ჩერჩილმა დიდი სიხარულით და ხმაურით მიიღო ჰერცოგი. არც სხვები ჩამორჩნენ მას შოტლანდიელ არისტოკრატთან მიგებებაში. „რა სიახლე ჩამოგვიტანეო", უმალ ჰკითხა პრემიერმა სტუმარს, „აბა გვიამბე შენი უცნაური თავგადასავლიო". რამდენადაც ოთახი სავსე იყო ხალხით, ჰერცოგმა პრემიერ-მინისტრთან პირისპირ საუბრის სურვილი გამოთქვა. იმავ ნამს ოთახიდან გასულან სტუმრები, გარდა ა. სინკლერისა. ამის შემდეგ ჰამილტონმა პრემიერს მოახსენა ვინმე გერმანელი მფრინავის შოტლანდიაში დაშვება. იგი ჯერ კაპიტან ალფრედ ჰირნად წარსდგა, ხოლო მოგვიანებით მას პერსონალურად უთხრა, რომ რუდოლფ ჰესი იყო.[3]

ჩერჩილი უსაზღვროდ განცვიფრებული იყოო. — წერს ჰერცოგის შვილი, ჯეიმს დუგლას-ჰამილტონი: „თქვენ რა, გინდათ მითხრათ, რომ გერმანიის ფიურერის მოადგილე ჩვენს ხელთ იმყოფება?" რაზეც ჰერცოგს უპასუხნია: „ამ პიროვნებამ გარკვევით განაცხადა, რომ იგი არის რუდოლფ ჰესი". ამის თქმისთანავე ჰამილტონმა პრემიერს წარუდგინა ჰესის საქაღალდედან ამოღებული ფოტოები. ჩერჩილი და სინკლერი ჯიქურ ეცნენ სურათებს, კარგა ხანს უცქერდნენ მათ და ბოლო დაადასტურეს ვარაუდი, რომ იგი მართლაც ძალზე ჩამოჰგავდა ჰესს.[4]

„მოკლედ, როგორიც არ უნდა იყოს შედეგი: ჰესია ის თუ არა, მე მივდივარ ძმები მარქსების სანახავადო" (იგულისხმება კინოფილმი, რომელშიც კომიკი ძმები მონაწილეობდნენ.) ჰერცოგი ჰამილტონიც მათ შეუერთდა (სხვა რა გზა ჰქონდა?!).

---

[1] პრემიერ-მინისტრის მრჩეველი მეცნიერების სფეროში, შემდეგში ლორდი ჩერვილი.

[2] კლემენტინა ჩერჩილი, პრემიერის მეუღლე. იხ. Nicolson H.Diaries and letters 3 v., bungay, 1971, 2, 126.

[3] Douglas-Hamilton. Op. cit , 163.

[4] Ibidem.

ვფიქრობთ, ქართველი მკითხველისათვის, საინტერესო უნდა ჩანდეს სხვა ფიგურანტთა ვერსიები. მათი რიგებიდან ადგილი უყოყმანოდ უნდა დაეთმოს ენტონი იდენს — დიდი ბრიტანეთის იმდროინდელ საგარეო საქმეთა მინისტრს, რომელმაც, ჩერჩილისა არ იყოს, ფრიად საინტერესო მემუარები დაუტოვა შთამომავლობას.

„მალე, საგარეო საქმეთა სამინისტროში ჩემი დაბრუნებიდან ერთმა უჩვეულო მოვლენამ მიიპყრო ქვეყნის ყურადღება. — წერს იდენი. — 12 მაისს, ორშაბათ დღეს, დილით ადრე ჩემთან დარეკა პრემიერ-მინისტრმა. იმ უიკენდზე მე ძალზე გადავიღალე და ამის გამო ჩემმა მეუღლემ უარი უთხრა რომ გავეღვიძებინე. (!!)[1]. პრემიერი დაეთანხმა მას, მაგრამ სთხოვა, ლონდონში ჩამოსვლისთანავე დავკავშირებოდი. ამას შედეგად მოჰყვა დაუჯერებელი რამ (რომლის ქვეშ ავტორი გულისხმობს ჰესის ჩაფრენას). ჩერჩილმა, ჰერცოგ ჰამილტონის ვარიანტით, ჩამაყენაო საქმის კურსში.

„12 მაისს, ჰამილტონის ვერსიით გერმანელი მფრინავი „მე-110"-ით დაშვებულა მის ყოფილ სარჩევნო უბანში, თავისი თავი წარუდგენია ჰორნის გვარით და უთხოვია მასთან (ჰამილტონთან) შეხვედრა. როდესაც ჰერცოგი დაუკავშირდა მას, იგი აღმოჩნდა (რუდოლფ) ჰესი (ფიუერერის მოადგილე). ჰამილტონმა წარმოადგინა რამდენიმე ფოტო (რომლებიც ჰესს თან ჩამოეტანა) და უჩვენა ჩერჩილს. მას (ჩერჩილს) უთქვამს, რომ ისინი ადასტურებდნენ, რომ იგი ჰესი იყო. პრემიერ-მინისტრზე ამას ძალზე ძლიერ უმოქმედია, მაგრამ სარწმუნოდ ეს ამბავი მაინც არ მიუჩნევიაო.

მე, ვუთხარი პრემიერ-მინისტრს — განაგრძობს იდენი — სურვილი მქონდა, მეხმო ჰამილტონი ფორინ ოფისში და შემემოწმებინა ფოტოები. იქ მე და კადოგონმა მთელი ეს ამბავი თავიდან მოვისმინეთ და გადავწყვიტეთ, დაუყონებლივ გაგვეგზავნა აივონ კირკპატრიკი, რომელიც იცნობდა ჰესს. კირკპატრიკმა დაადასტურა ჰესის პიროვნება ფოტოებით. ამიტომ, ჩვენ გადავწყვიტეთ, იგი შოტლანდიაში ჰამილტონთან ერთად ვიზიტორის სანახავად გაფრენილიყო. პრემიერ-მინისტრი ამ აზრს დაეთანხმა.

ამასობაში სადილობის დროც მოვიდა და გერმანიის რადიომ გადმოსცა კომუნიკე ჰესის თაობაზე. იქვე გაისმა ჩერჩილის ხმა ტელეფონში. ის ძალზე აღელვებული ჩანდა და მოგვთხოვა დაუყონებლივ მოგვეხდინა რეაქცია.

იდენი იმავ წამს წასულა პრემიერთან. როგორც ჩანს, მათ შორის დავა დიდხანს გაგრძელებულა, რამეთუ მემუარებიდან ვგებულობთ,

---

[1] მკითხველი მაინცდამაინც ნუ გაიკვირვებს ქ-ნ ბეატრისა იდენის გამბედაობას. იგი, ენტონი იდენის პირველი ცოლი, მსხვილი ბანკირის — ბეკეტის ქალიშვილი იყო.

რომ „საბოლოოდ, განცხადების ტექსტი (სხვაგვარად კომუნიკე — ლ.ს.) მომზადდა მხოლოდ დაახლოებით შუაღამისას“ (უფრო ზუსტად 23^{20} საათზე) და გამოქვეყნების მიზნით გადაეცა პრესასა და რადიოს. ჩვენი აზრით, სწორედ აქ იწყება გაურკვევლობა: რა საჭირო იყო განცხადების ტექსტის შესადგენად სავარაუდოდ 7-8 საათის დისკუსია, თუ არა აზრის გაბუნდოვნების სურვილი, რომელიც ასე ჭარბად იგრძნობა ამ ბნელ ამბავში. ობიექტური, მართალი, ის რაც იყო სინამდვილეში, განა საჭიროებს კომუნიკესათვის ამდენი დროის ხარჯვას? იგი ხომ ტყუილის მართლად გასაღების ცდას სჭირება. რა თქმა უნდა, მართლაც და ძნელია წრუწუნას სპილოდ წარმოდგენის ცდა.

ინგლისელებს ეს ძალზე მშრალი განცხადება უნდა გაეკეთებინათ გერმანიის რადიოს ნაშუადღევის კომუნიკეს შემდეგ, რომელიც იუწყებოდა რომ:

„გერმანიის პარტიული ხელმძღვანელობა აცხადებს: პარტიის წევრმა ჰესმა, რომელსაც წლების განმავლობაში მზარდი ავადმყოფობის გამო ფიურერმა კატეგორიულად აუკრძალა საფრენი აპარატებით სარგებლობა, ამ დღეებში დაარღვია მისი ბრძანება და დაეუფლა თვითმფრინავს. შაბათს, 10 მაისს, დაახლოებით 18^{00} საათზე, ჰესი აუგსბურგიდან თვითმფრინავით გაუდგა გზას და ჯერ არ დაბრუნებულა. მის მიერ დატოვებული ბარათი, სამწუხაროდ, ცხადყოფს მის ფსიქიკურ აშლილობას და საშუალებას იძლევა დავასკვნათ, რომ ჰესი ჰალუცინაციის მსხვერპლი შეიქნა.

ფიურერმა დაუყონებლივ გასცა ბრძანება მისი ადიუტანტების დაპატიმრების თაობაზე. მათ იცოდნენ გაფრენის შესახებ, ისევე როგორც ჰიტლერის აკრძალვის თაობაზე. ამის მიუხედავად მათ ხელი არ შეუშალეს გაფრენას და არც დაუყონებლივ უცნობებიათ მომხდარის თაობაზე. აღნიშნულ სამწუხარო გარემოებათა გამო, ნაციონალ-სოციალისტური მოძრაობა იძულებული ხდება, აღნიშნოს, რომ პარტიის წევრი ჰესის თვითმფრინავი დაიმსხვრა, ან კიდევ მსგავს ავარიაში მოჰყვა“.[1]

ხსენებული კომუნიკეს ავტორი გახლდათ გერმანიის პროპაგანდის სამინისტრო და პირადად მისი ხელმძღვანელი იოზეფ გებელსი. არც მათთვის იყო იოლი ამ ტექსტის შედგენა. მინისტრი, რომელიც მისტიფიკაციის დიდოსტატი გახლდათ, როგორღაც აღნიშნავდა, რომ კომუნიკეს შედგენა წარმოუდგენლად თავსატეხი პრობლემა გახდა და ფიურერის ჩარევაც გახდა აუცილებელიო.

ასე იყო თუ ისე, განცხადება, ორთავე მთავრობამ გააკეთა, მაგრამ სინათლე საქმეში ვერც ერთმა ვერ შეიტანა. როგორი იყო რეაქცია ინგლისში, იდენი ამის შესახებ სიტყვას არ ძრავს. უფრო მეტიც, მას

[1] Пэдфилд. Там же. с. 350.

13 მაისის სიტუაცია საერთოდ გამოტოვებული აქვს. თავის მემუარებში იდენი ჰესის მისიის ამბავს 14 მაისი ჩანაწერით განაგრძობს.

ნაშუაღამევს დამირეკაო ჩერჩილმა. მან გამაცნო განცხადების ტექსტი, რომელიც მეორე დღეს უნდა გაეკეთებინა პარლამენტში — ჰესის თაობაზე. გზადაგზა თავისი განცხადების ციტირებას ახდენდაო. მე პროტესტი განვაცხადე და მოვითხოვე, რომ გერმანელებმა არაფერი არ უნდა იცოდნენ მეთქი. მაშინ უინსტონმა მოითხოვა საპირისპირო ნარკვევი. მე რის ვაი-ვაგლახით წამოვდექი საწოლიდან, შევადგინე ის და ტელეფონით მოვახსენე. ხუთიოდე წითის შემდეგ, უინსტონმა კვლავ დამირეკა და მითხრა რომ არ მოსწონდა. დაფ კუპერმა (ინფორმაციის მინისტრი) იგი ძირითადად დაიწუნა, მაქს ბივერბრუკმა კი მხარი დაუჭირაო. რომელი უნდა გასულიყო: მისი თავდაპირველი განცხადება თუ სულ არაფერი. მე ვუპასუხე: „განცხადება არ იქნება". „კეთილი: არ იქნება" (გაჯავრებული!) და დაახეთქა ყურმილი აპარატს. დრო: 1.30".

ხედავთ, პატივცემულო მკითხველო, როგორი ჯახა-ჯუხია მთავრობაში. განა ეს ყველაფერი იმაზე არ მიუთითებს, რომ მოგონილი ვარიანტის შედგენა არ იქნა და არ მოხერხდა? ამბის აღწერას ნორმალურ ვითარებაში განა ამდენი დაპირისპირება სჭირდება...

რამდენიმე დღის შემდეგ პრემიერ-მინისტრი კვლავ დაუბრუნდა განცხადების მისეულ პირველ ვარიანტს, ოღონდ იმჯერად კაბინეტის სდომაზე. იგი არავინ მოიწონა. ასე რომ, მისგან არაფერი გამოვიდა. მოგვიანებით ლორდმა ბივერბრუკმა მითხრა, რომ ჩვენ მესამედ შეიძლება გვეყოლოს „უცნაური ბალღი", მაგრამ, ღვთის წყალობით, იგი არ დაიბადა.

ჰესის ჩაფრენის ინციდენტი, - წერს შემდეგ იდენი, - იყო ომის ერთ-ერთი ყველაზე უცნაური პერსონალური დრამა. თვით გაფრენა თავისთავად გახლდათ გაბედული წამოწყება, რომელიც უნაკლოდ განხორციელდა. რა ძევს ადამიანის გონების მიღმა, ჯერ კიდევ გაურკვეველია. უნდა ვივარაუდოთ, რომ იგი შეწუხებული იყო გერმანიის რუსეთზე თავდასხმის პერსპექტივით და მისი სავარაუდო შედეგებით. ამიტომ, ვიდრე ეს მოხდებოდა, სცადა ომის შეწყვეტის მიზნით გადაედგა ნაბიჯი, თუმცა იმის დამადასტურებელი საბუთი, რომ იგი ჰიტლერის გეგმის საქმის კურსში იყო, არ არსებობსო.[1]

კიდევ უფრო სავარაუდოა, განაგრძობს იდენი, რომ ჰესის ეს უეცარი სარისკო გადაწყვეტილება განპირობებული იყო გეოპოლიტიკის პროფესორ კარლ ჰაუსჰოფერისა და მისი შვილის ალბრეხტის გავლენით, რომლებიც ანგლოფილები იყვნენ. თავისი ფსევდო-მეცნიერებით

[1] ნამდვილად გასაკვირია, რომ ასეთ განცხადებას აკეთებს ენტონი იდენი, დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრყ, რომელიც ძალზე ინფორმირებული პიროვნება გახლდათ.

ჰაუსჰოფერმა ადრე წარმოადგინა გერმანიის ექსპანსიის ისტორიული და გეოგრაფიული არგუმენტები, რომლებიც ნაცისტებს ძალზე აძლევდათ ხელს. ჰესმა აღაგზნო ჰიტლერი, რამაც თავისი განხორციელება ჰპოვა „მაინ კამპფში". გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ერთ-ერთი მემორანდუმიდან[1] დასტურდება, რომ ჰაუსჰოფერი 1940 წლის სექტემბრიდან თავის შვილთან და ჰესთან განიხილავდა ინგლისთან ურთიერთობის მოგვარების სამშვიდობო წინადადებებს, თუმცა წარმატების დიდი იმედი არ ჰქონდათ. ჰერცოგ ჰამილტონისადმი გაგზავნილ წერილს პასუხი არ მოჰყოლია. როგორც ჩანს, ამიტომ გადაწყვიტა ჰესმა თვითონ გაფრენილიყო შოტლანდიაში. დროის შერჩევა შემთხვევით ხასიათს ატარებდა. ჰესს ბრიტანეთში ჰერცოგის დიდ გავლენაზე ოპტიმისტური რწმენა ჰქონდა. ეს იმავდროულად ცხადყოფს ჰიტლერის ყველაზე ინტიმურ წრეში უცხო ქვეყნების წეს-ჩვეულებათა გაუგონარ იგნორირებას თუ უვიცობას.

ჰესის გაქცევის დრამას, - წერს დასასრულს იდენი, - არასოდეს შეუწყვეტია რუსების დაინტერესება. მათ ძნელად დასაჯერებლად მიაჩნდათ, რომ ამ საქმის უკან არ იმალებოდა შეფარული ბოროტება, რომელშიც რაღაც გზებით გახვეულია დიდი ბრიტანეთის მთავრობა. მომდევნო წლების განმავლობაში კვლავ და კვლავ, თანაც არაერთგზის, განვიცდიდი ამის შესახებ მოლოტოვის და შვერნიკის (პოლიტბიუროს წევრი, გვიან საბჭოთა კავშირის პრეზიდენტი) ჯვარედინ დაკითხვას, ხოლო სტალინმა ერთხელ ბუზღუნიც კი დაიწყო. იმის მიუხედავად, რომ მე მათ ყველა დეტალი ვუამბე და შევთავაზე ჰესის განცხადების დოსიეს ჩვენება, ეჭვი მეპარება, რომ ისინი ნამდვილად დაკმაყოფილდნენ. ეს ინცინდენტი ისევე მოულოდნელი და გაუგებარი იყო ჩვენთვის, როგორც მათთვის.[2]

ასეთი გახლავთ იდენისეული ვერსია. როგორც ვხედავთ, მასში ბევრი წინააღმდეგობრივი მომენტი, გაუგებრობა და უზუსტობაა. ეს ყველაფერი იმით არის გამოწვეული, რომ იგი შეთხზულ-შელამაზებულია და, რადგან, როგორც იტყვიან, ტყუილს მოკლე ფეხები აქვს, მსჯელობაში ხშირად თავს ამოყოფს შეუთანხმებლობა.

დავიწყოთ თუნდაც სამთავრობო განცხადების საკითხით. 12 მაისის ჩანაწერით იდენი გვარწმუნებს, რომ შუაღამის დადგომისას შეთანხმება მიღწეული იქნა, ხოლო 14 მაისის ჩანაწერით ირკვევა, რომ მთავრობაში კვლავ განხეთქილება იყო ამ საკითხთან დაკავშირებით. ეს მაშინ, როდესაც გერმანიის მთავრობამ ჰესის „გაქრობასთან" დაკავშირებით ორშაბათს, 12 მაისს გამოაქვეყნა კომუნიკე, რომელიც 21 საათზე უკვე გადმოსცა „ბი-ბი-სიმ" ინგლისურ ენაზე. უფრო მეტიც. პედფილდის

[1] Documents on German Foreign Policy. Series D, XII, 500.
[2] Eden. Memoirs. The Reckoning, 255-257.

ცნობით 23 საათსა და 20 წუთზე ინგლისის მთავრობის შეთანხმებული ტექსტი ყოფილა გადაცემული მისი გამოქვეყნების მიზნით. ამის შემდეგ რა მოხდა, სრულიად გაუგებარია. იგივე პედფილდი აქვეყნებს გერმანიის მთავრობის განცხადების ტექსტს, ინგლისის მთავრობისას კი არა. როგორ გავიგოთ ეს ყველაფერი?...

შემდეგ, ენტონი იდენი ჰესის შოტლანდიაში ჩაფრენის თარიღს შემთხვევითად მიიჩნევს, რასაც ვერა და ვერ დავეთანხმებით, რამეთუ „ბარბაროსას გეგმის" მიხედვით, საომარი მოქმედება საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ სადღაც მაისის მეორე ნახევრის დამდეგისათვის უნდა დაწყებულიყო. ჰიტლერის დირექტივა №21-ში პირდაპირ იყო მითითებული, რომ მოსამზადებელი ოპერაციები უნდა დამთავრებულიყო 1941 წლის 15 მაისს.[1] ჰესი კი ინგლისში 10 მაისს გაფრინდა. არის თუ არა კავშირი ამ თარიღებს შორის? ვფიქრობთ, ეს სრულიად უდავოა. რა, დავიჯეროთ, იდენმა ეს არ იცოდა?

უფრო მეტი. იდენი საქმეს ისე წარმოგვიდგენს, თითქოსდა ჰესმა არაფერი იცოდა რუსეთზე გერმანიის მოსალოდნელი თავდასხმის თაობაზე. განა შეიძლება ამის დაჯერება? ამასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ უზნეობად შეიძლება ჩაითვალოს პოლიტიკოსთა მიერ ხალხისა და, მით უმეტეს, მეცნიერთა ბრიყვად მიჩნევის არასერიოზული ცდები — იქნება ეს ბისმარკი, ჩერჩილი თუ ენტონი იდენი.

ახლა წარმოგიდგენთ დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მუდმივი მოადგილის ალექსანდრ კადოგანის ვერსიას, რომელიც გადმოცემულია მის დღიურებში.

1941 წლის 11 მაისს მირეკავსო ედისი (J. M.)[2] და მომახსენებს: გლაზგოს მახლობლად დაეშვა გერმანელი მფრინავი და იკითხაო ჰერცოგი ჰამილტონი. ეს უკანასკნელი იმდენად გაოცდა, რომ მოფრინავსო ლონდონში და უნდა თქვენი ნახვა ამ საღამოს №10-ში.[3] მე ვუპასუხე, რომ დღეს ლონდონში არ ვიქნებიო. (მეორე დღის) დილის 08 საათამდეო. შევთანხმდით 9 საათსა და 15 წუთზე. ნახევარი საათის შემდეგ შემატყობინეს, რომ პრემიერ-მინისტრმა მანქანა გაგზავნა მის ბრნყინვალებასთან შესახვედრად. მას ჩეკერსში[42] წაიყვანენო. ამდენად, მე თავისუფალი ვარ.

ორშაბათი, 12 მაისი.

მთელი დღე ჰესმა წაიღო. ვესაუბრე A. (ენტონი იდენს — ლ. ს.) და ჰერცოგ ჰამილტონს, რომელმაც თქვა, რომ ჰესიაო. შემდეგ გავგზავნე კაცი აივონ კირკპატრიკის მოსაყვანად. 3[15] მივიღე იგი და ვესაუბრე.

---

[1] Hitlers's War Directives. Ed. By H. R. Trevor-Roper. L. 1966, 94.

[2] ის ყოფილა საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომელი მე-3 მდივნის რანგით.

[3] იგულისხმება პრემიერ-მინისტრის რეზიდენცია №10, დაუნინგ სტრიტზე.

[4] კადოგანმა არ იცოდა, რომ ჩერჩილი იმჯერად დიჩლი-პარკში იმყოფებოდა.

მივეცი ინსტრუქციები. იგი უნდა წასულიყო და ენახა გერმანელი მფრინავი. შემდეგ ორთავე შევხვდით ენტონის. ჰერცოგი მოვიდა 16^{100} საათზე. მე ისინი შოტლანდიაში გასაფრენად დავაწყვილე.

21^{00} საათზე რადიომ გვაუწყა ჰესის შესახებ. დამირეკა ენტონიმ. შევხვდი მას ფორინ ოფისში 10^{45}. მან გადმომცა გერმანელთა განცხადების ტექსტი. ერთად წავედით პრემიერ-მინისტრის კაბინეტში. პრემიერს თავისი ტექსტი ჰქონდა, რომლის გამოქვეყნებას აპირებდა. იგი შეიცავდა მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ თითქოსდა ჰესი ჩამოფრინდა კაცობრიობის სახელით. ეს არ უნდა მოხდეს, რამეთუ სამშვიდობო წინადადებას ემსგავსება. ჩვენ შეგვიძლია გავავრცელოთ აზრი, რომ იგი წაეჩხუბა ჰიტლერს.

სამშაბათი, 13 მაისი.

საშინელი დღე. უმთავრესად ჰესის შესახებ. განუწყვეტელი ჩარევები. 10^{50} — ვესაუბრე I. K. (იგულისხმება აივონ კირკპატრიკი — ლ. ს.) და ვუკარნახე მისი ანგარიში ჰესთან ინტერვიუს შესახებ. ნამდვილად ჰესიაო, მაგრამ ვერ წარმომიდგენია, რისთვის ჩამოფრინდა, თუკი ჭკუაზე არისო. ექიმები ამბობენ — არისო. 12^{00} ანგარიში წავუღე პრემიერ-მინისტრს. მან მთხოვა, დამეზუსტებინა, თუ როგორ ინახავენ ჰესს. მას უნდა, რომ იგი სახელმწიფო პატიმარი იყოს... ჰესის საქმეში ყველა ერევა — ჯონ ანდერსონი[1], „G. J.", `C", ჯოფრი შექსპირი (ჯანმრთელობის მინისტრის ყოფილი მოადგილე, რომელიც ჰესს იცნობდა 1933 წლიდან, მას შემდეგ რაც შვილს მკურნალობდა ბავარიაში, ჰესის ნაცნობ ექიმთან — დოქტორ გერლთან, რომელსაც ჩვენ ვიცნობთ, როგორც ჰესის მოკავშირე აგენტს „კლაივდენელებთან". იმხანად დომინიონთა ოფისის საპარლამენტო მდივანი — ლ. ს.) და M. J. Hell-s.

ოთხშაბათი, 14 მაისი.

ჰესი არის მთელი ჩემი ცხოვრების საწამლავი (?) და მთელი ჩემი დრო დაკარგულია. 18 საათზე წავედი №10-ში. იქ იყვნენ პრემიერ-მინისტრი, „A" (ა. იდენი), „C"[2] და დაფი (კუპერი). პრემიერ-მინისტრმა გადაწყვიტა მეორე დღეს განცხადება გაეკეთებინა პარლამენტში — ჰესის თაობაზე. „A" (ა. იდენი) წავიდა (ეტყობა პროტესტის ნიშნად — ლ.ს.). ჩვენ დაველოდეთ „ვიდრე პრემიერ-მინისტრი გვიკარნახებდა (ალბათ, განცხადების ტექსტს — ლ.ს.). რამდენად ნელია იგი! რაც გვიკარნახა ყველაფერი მცდარი იყო, კერძოდ, ჰესის ნათქვამის ახსნა-განმარტება (ზავის წინადადებისა), რომელსაც პრემიერი ახდენდა

---

[1] ცნობილი კონსერვატორი, ჩერჩილის მთავრობის ლორდ-პრეზიდენტი და ფინანსთა მინისტი

[2] სავარაუდოდ კრანბორნი

გერმანიის კომუნიკეს შესაბამისად. მე განვაცხადე, რომ ამ ვარიანტით ჰიტლერს ამოსუნთქვის საშუალება მიეცემოდა, ხოლო გერმანელი ხალხი იტყოდა, რომ მართალი ის არის, რაც ჩვენმა ფიურერმა ბრძანაო. ისინი მას (ჰესს — ლ.ს.) უფრო ადრე სულელად ჩათვლიდნენ, ვიდრე მიაწერდნენ მოღალატეობას, რაც მე მინდოდა მათ განეცადათ. მაგრამ პრემიერ-მინისტრმა და მისმა ასმა დაფმა ("that ass Duff") (კუპერი — ლ.ს.) მე გვერდზე მომისროლეს.

ხუთშაბათი, 15 მაისი.

12^{00} — კაბინეტის სხდომა. პრემიერ-მინისტრი საუცხოო ფორმაშია. ამ გარემოებამ შეაძლებინა დაეძლია თავისი აბდა-უბდა და ელიარებინა ჩვენი მოსაზრების სისწორე. ეს დადასტურდა გერმანელ ტყვეთა შესახებ საუბრით, რომლებიც უბრალოდ სასოწარკვეთილებაში იმყოფებიან. ჩანს, ასეთივე მდგომარეობაშია გერმანიის საზოგადოებრიობაც.

შაბათი, 17 მაისი.

დღეს ჰესი ლონდონში მშვიდობით ჩამოიყვანეს. ამის შესახებ თითქმის მთელი პრესა იყო საქმის კურსში, ყველგან ფაცა-ფუცია და ჩურჩული, რადგან დაფმა (კუპერი, ინფორმაციის მინისტრი — ლ.ს.) აკრძალა იმის ხსენება, რაზეც ჰესმა ისაუბრა. დაახლოებით 19^{45} დამირეკა „A" (ა. იდენი). ის ესაუბრა პრემიერ-მინისტრს და სთხოვა ამ ტაბუს მოხსნა, რამეთუ მთელი ეს სპეკულაცია უსაფუძვლო იყო. მე ვუპასუხე, რომ ყველაფერი რიგზე იქნება მეთქი.

ორშაბათი, 19 მაისი.

პრემიერ-მინისტრი კვლავ ატყდა ჰესთან დაკავშირებით. დაიჟინა თავისი სულელური განცხადების წაკითხვა კაბინეტის სხდომაზე. საბედნიეროდ, ა. სინკლერის გარდა, ყველა ერთსულოვნად წინააღმდეგი წავიდა. ვფიქრობ, მან გადაიფიქრა.

კვირა, 25 მაისი.

აივონ კირკპატრიკმა მაცნობა საიმონის მიერ ჰესის დაკითხვის თაობაზე. არაფერია ახალი. ჰესს სულელურად მიაჩნდა, რომ ძველებურად შეეძლო ჩვენთან საუბარი.

ჰესთან საუბრის შემდეგ ლორდი საიმონი დარწმუნებული იყო, რომ ის გონებააშლილია. რაღაც უამრავი ჩანაწერის მოშველიებით მან ახსნაო თავისი ჩამოსვლის მიზეზი: ძალზე უმართებულოდ ექცევიანო გერმანიას... თუ ინგლისელები დაგვეთანხმდებოდნენ, ევროპა გახდებოდა გერმანიის სამფლობელო, ხოლო ინგლისი შეინარჩუნებდა თავის იმპერიას. ჰესმა ნახევრად გადაკვრით მოიხსენია გერმანიის რუსეთზე სავარაუდო თავდასხმა(!!). საიმონის აზრით, ინგლისში გამოფრენა ჰესის საკუთარი სქემაა. „C" (კრანბორნი? — ლ.ს.) მატყობინებს, რომ ჰესი მთლად ჰკარგავს გონებას. მე დიდად არ მაწუხებს, თუ რა მოუვა

მას. ჩვენ შეგვიძლია მისი გამოყენება. ხვალ უნდა შედგეს შეხვედრა ჩერჩილსა და საიმონს შორის, რომელსაც ვფიქრობ მეც დავესწრები. მიღებულ იქნება გადაწყვეტილება: როგორ მოვექცეთ ჰესსა და როგორ გამოვიყენოთ ის — როგორც ცოცხალი, სულელი, თუ მკვდარი.

16.06.41. 8^{30} საათზე მაღვიძებს „C"-ს შეტყობინება, რომ ჰესი გადმოხტა მოაჯირიდან და დაიზიანა ბარძაყი.

15^{00} საათზე მე და მაისკიმ (საბჭოთა კავშირის ელჩი ლონდონში — ლ.ს.) ენტონი იდენს გადავეცით გარკვეული ინფორმაცია, რუსეთის საზღვარზე გერმანელთა კონცენტრაციის თაობაზე.[1]

მოგვიანებით ჟ.ს.-მა (საიმონი) ანგარიში წარუდგინა კაბინეტს ჰესთან ინტერვიუს თაობაზე. დიდის ვაი-ვაგლახით პრემიერს გადავაფიქრებინეთ იმის განმეორება, რომ ჰესს ბარძაყი აქვს გატეხილი. ეს უბრალოდ, არასერიოზული იქნებოდა. იგი დაგვეთანხმა იმაში, რომ ჰესთან დაკავშირებით კრინტი არ დაგვეძრა. ეს არის სწორედ ის, რაც მე მინდოდა და ამის პროპაგანდას ახლავე შევუდგები.

17.06.41. შუადღის 11^{30} საათზე შეკრება იმის თაობაზე თუ როგორი პროპაგანდა გაგვეწია გერმანია-საბჭოების კონფლიქტის შემთხვევაში.

22.06.41. დილის საათზე დამირეკეს „ფორინ ოფისიდან": გერმანია დაესხაო თავს საბჭოთა კავშირს.

6.12.41.[2] ვიპოვნე დაზვერვის შეტყობინება იაპონიის არმადის მოძრაობის თაობაზე დასავლეთით, სამხრეთ კამბოჯის რაიონში. დავურეკე ა. ბროუკს, და მოვინვიე შტაბის უფროსები, რომლებმაც სრულიად არაფერი იცოდნენ, თუ რა ხდებოდა. ვაცნობე უაინანტს (აშშ ელჩი — ლ.ს.). 7.12.41. სადილის დროს გვაცნობეს — იაპონიამ დაარტაო აშშ-ს...[3]

ასეთია ჰესის გაფრენის საქმეში ყველაზე მეტად ჩახედული კაცის ვერსია. დააკვირდი მკითხველო! ყელსაბამის მარცვლების დარად არის ჩამოცმული ჩანაწერები. ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ალექსანდრ კადოგანი თავისი საქმის უზადო და უბადლო პროფესიონალი იყო. ერთი შეხედვით იქმნება შთაბეჭდილება, რომ ჩანაწერს ხარვეზი არა აქვს და ისტორია ობიექტურად არის წარმოდგენილი. მაგრამ შევეცდებით, დავამტკიცოთ, რომ ეს ასე არ არის.

მიაქციეთ ყურადღება, როგორ ბოჭავს აივონ კირკპატრიკს ავტორი, როგორ კარნახობს, რა უნდა თქვას მან ჰესთან ინტერვიუს თაობაზე,

---

[1] ეს ცნობა ჩვენ შეგნებულად მოგვაქვს აქ.

[2] ეს ცნობაც. ლ.ს. საქმე იმაშია, რომ ეს ხდებოდა პიორლ-ჰარბორის წინადღეს

[3] Cadogan, A. The Diaries (Of Sir Alexander Cadogan). 1938-1845. L., 1972. 376-416. უკანასკნელი პასაჟები შეგნებულად მოვიტანეთ, თუმც ისინი თემას არ ეხებიან. კადოგანი ამერიკელებს ქირდავს, თვითონ ინგლისელებმა კი, მესამე დღეს მიიღეს მსგავსი დარტყმა იმავე იაპონელებისაგან

როგორი ანგარიში წარმოადგინოს და სხვ. კი მაგრამ, კირკპატრიკი საბავშვო ბაღის მოსწავლეა თუ პიონერი? რა და როგორ უნდა ეთქვა კირკპატრიკს, ვფიქრობთ დამრიგებელს არ საჭიროებდა. ეს ყველაფერი ხომ ხელოვნური ვარიანტის შექმნასთან უნდა იყოს დაკავშირებული?... მით უმეტეს, როდესაც კადოგანი კითხულობს, როგორ ჯობიაო ჰესის გამოყენება, ვითარცა ცოცხალის, სულელისა თუ მკვდრისაო? რატომ კრძალავდა ინფორმაციის მინისტრი დაფ კუპერი ჰესიდან წამოსული ინფორმაციის გავრცელებას? რატომ ამჯობინებდნენ იდენი და კადოგანი დუმილს? და ბოლოს, ამდენი რატომის შემდეგ მთავარი რატომ: რატომ წერს კადოგანი, ჰესი მთელი ჩემი ცხოვრების საწამლავი თუ წყევლა-კრულვა არისო, რატომ?...

ახლა ჰესთან კონტაქტში ჰამილტონთან ერთად ყველაზე ადრე შესულ დიპლომატსა და პოლიტიკოსს – აივონ კირკპატრიკს მოვუსმინოთ. თავის მოგონებებში, სახელწოდებით - „შიდა წრე",[1] ის მთელ თავს უძღვნის ჰესს:

ჰესის ეპიზოდი კომედია იყო თავიდან ბოლომდეო, - წერს ავტორი. — ჰესი გახლდათ უბრალოდ ტვინგრილი ადამიანი, ფანატიზმის ძლიერი ხასიათითა და ექსცენტრულობის გარკვეული წილით. თავის მაღალ პოზიციას ის უნდა უმადლოდეს განუსაზღვრელ ლოიალობასა და იმ გარემოებას, რომ იგი ჰიტლერთან იყო ნაცისტური მოძრაობის უპირველესი დღეებიდან. ჰიტლერი თავის გარემოში უპირატესობას სწორედ ასეთ უგუნურ ადამიანებს ანიჭებდა. მშვიდობიან ჟამს ამიტომაც მიეცა მას გამორჩეული როლი. ის იყო საკმარისად ინტელიგენტი, რათა შეექმნა ნაცისტური კატეხიზმი, წარმოეთქვა უამრავი სიტყვა ქვეყნის სხვადასხვა მხარეში და წარმდგარიყო პარტიულ ყრილობათა ტრიბუნებზე. მაგრამ, როდესაც დაიწყო ომი რაღაც მეტი გახდა საჭირო. ამიტომ, ჰესი უკანა პლანზე გადავიდა. ამ გარემოებამ იმოქმედა მის პატივმოყვარეობაზე და გადაწყვიტა თავისი ფიურერის თვალში რეაბილიტაცია.

ამ რთულ ვითარებაში მან განიზრახა, ინგლის-გერმანიის ურთიერთგაგების იდეის შემუშავება. მისი განხორციელების მიზნით გადაწყვიტა ზოგიერთ გავლენიან ინგლისელთან დაკავშირება. ამისათვის უპირველესად მიმართა პროფესორ ჰაუსჰოფერს. იგი პოპულარული იყო, თუმცა მცდარი აზრები ჰქონდა — ინგლისმცოდნეობაში დარწმუნებულს. „ვინ არისო, - იკითხა მან (ჰესმა ლ.ს.), - ნამდვილად მნიშვნელოვანი ხალხი ინგლისში?" „ეჭვს გარეშე, ჰერცოგებიო, - უპასუხაო პროფესორმა. მათ ეკუთვნით ბოლო სიტყვაო". „იცნობთ ვინმე გავლენიან ჰერცოგს?" — კვლავ დასვა კითხვა ჰესმა. „რა თქმა უნდა, - უპასუხა ჰაუსჰოფერმა.

[1] Kirkpatrick, I. The Inner Circle. The Memoirs of Ivon Kirkpatrick. L., 1959

— მე შევხვედრივარ ჰერცოგ ჰამილტონს. იგი ჩანს სასიამოვნო და გონივრული, სწორედ ისეთი, თქვენ რომ გჭირდებათ". „სად ცხოვრობს, იგი? დედაქალაქში?

ამ კითხვაზე პასუხისათვის მოიძიეს შოტლანდიის რუკა და ლექსიკონი - „ვინ ვინ არის". მალე რუკაზე აღინიშნა ჰერცოგის საცხოვრებელი ადგილი. სამწუხაროდ, ორ კონსპირატორს გამორჩათ ლექსიკონის შესავლის გულდასმით შესწავლა. სხვა შემთხვევაში ისინი ადვილად დაადგენდნენ, რომ ჰერცოგი მსახურობდა დამხმარე საჰაერო ძალებში. ამდენად, როგორც მინიმუმ ერთი საქმე გაირკვეოდა, რომ ომის დროს იგი შინ არ იქნებოდა. მაგრამ გულმოდგინეობის ნაკლებობამ, რაც გერმანელთათვის საერთოდ არ არის დამახასიათებელი, ამ შემთხვევაში ზედაპირულობა წარმოშვა. ამის შედეგად, პროფესორ ჰაუსჰოფერისაგან წაქეზებული ჰესი გადაწყვეტილებას იღებს: ყველაფერი ის, რისი მიღწევაც მას სურს მისი მიზნის განსახორციელებლად, გამოიხატება ჰერცოგთან პირისპირ შეხვედრაში. იგი გაფრინდება დანგველში და პარაშუტით გადახტება ჰერცოგის პარკში.

ბავშვებისა და ჭკუაარფრაკ მოხუცთათვის გათვალისწინებული ამ ბანალური შესავლის შემდეგ, კირკპატრიკი იწყებს თვით გაფრენის ამბის აღდგენას. ზემოთხსენებული გადაწყვეტილების მიღების შემდეგ რუდოლფ ჰესმა მითითება მისცაო თავის მეგობარს — ვილი მესერშმიტს დამატებითი საწვავი ავზით მოემზადებინა ორადგილიანი გამანადგურებელი. მან საიდუმლო არ გაუმხილა კონსტრუქტორს, მხოლოდ მიანიშნა, რომ ეს საგანგებო მიზნისათვის კეთდებოდა და ამიტომ გასაიდუმლოებული უნდა ყოფილიყო. მესერშმიტს შეთავაზება ფიურერის მოადგილესთან მსჯელობის საგნად არ გაუხდია და ინსტრუქცია შეკამათების გარეშე აღასრულა. მას შემდეგ, რაც თვითმფრინავი მომზადდა, გადასაწყვეტი შეიქნა თარიღი. ვიდრე გერმანია თავის გახმაურებულ გამარჯვებას აღწევდა, ზავის წინადადება ვერ მოიპოვებდა ჰიტლერის მხარდაჭერას. მეორეს მხრივ, არაგონივრული იქნებოდა ინგლისელებისათვის მიემართა იმ დროს, როდესაც ისინი ჩრდილოეთ აფრიკაში მათი წარმატებების შთაბეჭდილების ქვეშ იმყოფებოდნენ. არანაკლებ ანგარიშგასაწევი გახლდათ ამინდის საკითხი. თვეობით ლოდინის შემდეგ, როგორც ჩანს, ჰესმა გადაწყვიტა, რომ 1941 წლის მაისის დასაწყისში ხელსაყრელი პირობები შეიქნა. აქედან გამომდინარე, უბრძანა მესერშმიტს, გაემზადებინა თვითმფრინავი 10 მაისისათვის. იმ დღეს ის აუგსბურგში მხოლოდ თავისი პირადი დაცვის თანხლებით ჩავიდა. იქ, თავისი მხლებლებისა და მესერშმიტისათვის სიტყვის უთქმელად, ჩაჯდა თვითმფრინავში, ცაში აიჭრა და ასფალტზე მდგარი თანმხლები პირები პირდაღებული დატოვა.

ამის შემდეგ ავტორს მოჰყავს ჩვენთვის უკვე კარგად ცნობილი შოტლანდიაში ჩაფრენის ვერსია, რომელიც არ არის საინტერესო. აქვე ავტორი ამბობს, ცუდად მომზადებული და არაგონივრული წამონყებები უმეტესწილ მარცხით მთავრდება, მაგრამ, ამ შემთხვევაში, ჰესს გაუმართლა: მას პრობლემა არ წამოჭრია თვითმფრინავთან მიმართებაში, თავის დანიშნულების წერტილს ნავიგატორის გარეშე მიაგნო. იგი არ ჩამოუგდიათ. სიბნელეში მოახერხა დიდი ზიანის გარეშე პარაშუტით დაშვება და ბოლოს, როგორც ვნახავთ მისი საძიებელი „მსხვერპლი" — ჰერცოგი ჰამილტონი, რომელიც ყველგან შეიძლება აღმოჩენილიყო მსოფლიოში, ტარნჰაუსში აღმოჩნდა, სულ რაღაც 50 მილზე მისი დაშვების ადგილიდან. იმავდროულად, ეს შეიქნა მისთვის გამართლების ბოლო შემთხვევა.

იმ დროს, როდესაც ეს ყველაფერი ხდებოდა, ლონდონი ომის ხანის არნახული დაბომბვის ობიექტად იქცა. ჰერცოგი ჰამილტონი კი თავის საკონტროლო ოთახში იმყოფებოდა ტარნჰაუსის აეროდრომზე. უეცრად მიმოხილვის კორპუსიდან მოახსენეს, რომ მის სექტორში გამოჩნდა „მესერშმიტი", რომელმაც ნაპირი დასავლეთის მიმართულებით გადაკვეთა. თავდაპირველად მან ეჭვი შეიტანა შეტყობინების სისწორეში, რადგან კარაგდ იცოდა, რომ გერმანული გამანადგურებელი აქედან ავზის შეუვსებლად შინ ვეღარ დაბრუნდებოდა. მაგრამ გერმანელის დადევნებისა და შოტლანდიის ტერიტორიაზე თვალთვალის მიზნით შეტყობინება ზედა ინსტანციას გადაეცა. შუაღამის მიჯნაზე მოთვალთვალე თვითმფრინავმა ცნობა გადმოსცა, რომ გერმანული თვითმფრინავი დაიმსხვრა გლაზგოს მახლობლად. ასე რომ სექტორში სიწყნარე დამკვიდრდა და ჰერცოგი დასაძინებლად გაემართა.

მომდევნო დილით, კვირა დღეს, ტარნჰაუსში ცნობა მოვიდა, რომ იმ გერმანული თვითმფრინავის პილოტი პოლიციის ხელთ იმყოფება და დაბეჯითებით ითხოვს ჰერცოგ ჰამილტონის ნახვას. თავდაპირევლად ამ შეტყობინებას ჰერცოგმა სერიოზული მნიშვნელობა არ მიანიჭა, მაგრამ შემდეგ დაინტერესდა და გლაზგოში პატიმრის მოსანახულებლად გაემართა. როდესაც ისინი მარტონი დარჩნენ, ფსევდო-კაპიტანმა ჰორნმა დრამატულად განაცხადა: „მე ვარ რაიხსმინისტრი ჰესი". ჰერცოგმა გამჭოლად უპასუხა, რომ იგი არასოდეს შეხვედრია რაიხსმინისტრ ჰესს და შესაბამისად ვერც დაადასტურებდა პატიმრის ვინაობას. ამის საპასუხოდ ჰესმა მოსრნებულად თქვა: „ მე შემიძლია მოგცეთ ჩემი პიროვნების იდენტიფიკაციის დამადასტურებელი საბუთიო". გახსნა უბის წიგნაკი და წარმოადგინა ბავშვთან ერთად გადაღებული ფოტო. „ხომ ხედავთ, - უთქვამს გამარჯვებული სახით ჰესს, - თქვენ შეგიძლიათ ირწმუნოთ, რომ ეს გახლავთ ჩემი სურათი.

ჰამილტონმა უპასუხა რომ იგი ხედავს, რომ ფოტოგრაფია ნამდვილად მისია, მაგრამ მას არ აქვს მტკიცებულება, რომ ეს არის ჰესის სურათი".

„მე ამას ვერასოდეს წარმოვიდგენდიო", – უთქვამს გულდაწყვეტით ჰესს!

ამ მომენტში ჰამილტონმა ჩათვალა, რომ გლაზგოში აღარაფერი ესაქმებოდა. მომხდარის თაობაზე მას ხელისუფლებისათვის უნდა მოეხსენებინა. ის დაბრუნდა ტარნჰაუსში და ერთ-ერთი თავისი თვითმფრინავით გაფრინდა ლონდონს. იქ იგი დაუკავშირდა პრემიერ-მინისტრს, რომელიც უიკენდს ატარებდა დიჩლში. ჩერჩილი, ბუნებრივია აღაშფოთა ამ ამაღელვებელმა მოვლენამ, რომელსაც მან უწოდა დაუჯერებელი ამბავი. მას თითქოსდა ცუდი წინათგრძნობა უნდა ჰქონოდა. მან გვიან ღამით გააღვიძა საგარეო საქმეთა მინისტრი (?) და სთხოვა, მიეხედა ამ საქმისათვის. იმ მომენტში მეტს ვეღარავინ გააკეთებდა. ყველა წავიდა დასაძინებლად. რაიხსმინისტრი ჰესი უკვე 24 საათი იმყოფებოდა ჩვენთან.

მეორე დილას, კაბინეტის სხდომაზე წასვლამდე, საგარეო საქმეთა მინისტრმა (ე.ი. იდენმა — ლ.ს.) სთხოვა თავის მუდმივ მოადგილეს (ა. კადოგანს — ლ.ს.) თუ ჰყავდა ისეთი ვინმე, ვინც ადრე იცნობდა ჰესს და გარკვევით შეეძლო მისი იდენტიფიცირება. ყოველთვის იყო შესაძლებელი, რომ კაპიტანი ჰორნი ყოფილიყო ჰესის დუბლიორი და მთელი ისტორია ყალთაბანდობა შეიქნებოდა. მე იმ დღეს „ბი-ბი-სი-ში" ვიყავი, როდესაც კადოგანმა დამირეკა და ვითომ და შემთხვევით მკითხა თუ ვიცნობდი ჰესს. და მით უმეტეს, თუ შემეძლო მისი იდენტიფიცირება. მე ვუპასუხე, რომ კარგად ვიცნობდი და თუ ვნახავდი მას, ნამდვილად გარკვევით შევიცნობდიო. კადოგანმა მთხოვა, რაც შეიძლებოდა მალე მივსულიყავი სამინისტროში.

მისვლისთანავე კადოგანმა მთხოვა, მენახა ჰერცოგი ჰამილტონის ანგარიშის მთავარი პუნქტი. როგორც ჩანს, საკითხი შესნავლას მოითხოვდა. ამიტომ მინისტრმა მთხოვა, ჰესის იდენტიფიცირების მიზნით დაუყონებლივ გავფრენილიყავი შოტლანდიაში. ეს იმდენად საჭირბოროტო საკითხად გამოიყურებოდა, რომ კადოგანმა განმეორებით მკითხა, დარწმუნებული ვიყავი თუ არა იმაში, რომ შემეძლო უშეცდომოდ შემეცნო იგი. მე მივეცი შესაბამისი პასუხი. ამასობაში, ჰენდონის აეროდრომზე მზადდებოდა თვითმფრინავი და ჰერცოგი ჰამილტონი მომყვებოდა კომპანიონად.

თვითმფრინავის მომზადება ერთგვარად შეყოვნდა და მე და ჰამილტონმა 17 საათამდე ვერ დავტოვეთ ლონდონი. მანამდე შეგვავსებინეს დაზღვევის ფურცელი. ჩვენი თვითმფრინავი „ფლამენგო"

შემხვედრი ქარის გამო ნელა მიფრინავდა, ამასთან საწვავის შესავსებად კატერიკშიც შეჩერდა. იქ, ჩვენ, ცოტა არ იყოს ეჭვით მიგვიღეს და გზა გაგვაგრძელებინეს მხოლოდ საბუთების შემოწმების შემდეგ. ყოველივე ამის გამო ტარნჰაუსს მივაღწიეთ სადღაც 22 საათისათვის. ჩვენ იქ დაგვხვდა ჰამილტონის მოადგილე, რომელმაც ფრიად საიდუმლოდ და თანაც ჩურჩულით გაგვანდო, რომ კაპიტანი ჰორნი სინამდვილეში მნიშვნელოვანი ჩიტი იყო და ამაში, რაღაც საიდუმლოება უნდა იმალებოდეს. იმ დროისათვის რუდოლფ ჰესი ჩვენს ქვეყანაში 48 საათი იმყოფებოდა.

რამდენადაც ჩვენ არ გვეჭამა, გადავწყვიტეთ რაღაცით დანაყრება. ის-ის იყო დავსხედით ამ მიზნით, რომ ტელეფონზე მიხმო საგარეო საქმეთა მინისტრმა და მითხრა, რომ გერმანიის რადიომ ეს-ეს არის გაავრცელა ჰესის გაქრობის ცნობა. მან დამაძალა, რომ ახლა მთავარი იყო დაუყონებლივ გვენახა პატიმარი და მომეხსენებინა ლონდონისათვის შედეგი. მან უფლებაც კი არ მოგვცა, გვევახშმა და ჩვენც გზას უჭმელ-უსმელი და დაღლილები დაუყონებლივ გავუდექით — მანქანით გავემგზავრეთ ბიუკენენის სასახლეში, სადაც განთავსებული იყო სამხედრო ჰოსპიტალი. იქ გლაზგოდან გადაეყვანათ ჰესი. ჩვენ შეგვხვდა კომენდანტი, რომელმაც გაგვატარა დაცვის რიგები. ბოლოს მივადექით ჰესის ოთახს. როგორც კი გააღეს კარი, მე დავინახე რკინის საწოლზე მძინარე ჰესი. მას რუხი ფლანელის პიჟამო ეცვა, ისეთი როგორსაც აცმევდნენ დაჭრილებს ჰოსპიტალში. ზემოდან გადახურული ჰქონდა თავისი ყავისფერი სამხედრო ფორმა.

მიჩვეული იმას, თუ როგორ ცხოვრობდნენ და ნებივრობდნენ ნაცისტი ბელადები, მე სიჩუმეში ვხედავდი სულ სხვა სცენას. შემდეგ ჩვენ შევაღვიძეთ პატიმარი და ერთგვარი გაურკვევლობის შემდეგ, მან შემიცნო მე და თბილად შემხვდა: მთხოვა გაზეთი შემომეცალა ნათურისათვის, ხელი შეავლო ხელნაწერთა დიდ შეკვრას და წამოიწყო ხანგრძლივი და კარგად მომზადებული დისკუსია — ინგლისის წინააღმდეგ გერმანიის პრეტენზიების თაობაზე. ინგლის-გერმანიის ურთიერთობებს იგი გაჰყვა საუკუნის დამდეგიდან და ცდილობდა დაესაბუთებინა, რომ გერმანიის კანონის მისწრაფებებს ყოველთვის წინ ეღობებოდა ბრიტანეთის პოლიტიკის გამცემლური უხეშობა. ამ დეკლამაციას ჯერ კიდევ არ მიეღწია პიკისათვის, როდესაც ტელეფონზე მიმიხმო საგარეო საქმეთა მინისტრმა. მას სურდა, გაეგო, როგორ მიდიოდა საქმე. მე დავტოვე ოთახი და შევძელი დამერწმუნებინა იდენი, რომ ჰესი ყოველივე ეჭვსგარეშე იდენტიფიცირებულია.

ოთახში მობრუნებისას მე ჰამილტონი თითქმის კომაში ჩავარდნილი დამხვდა, ჰესი კი თავის სიტყვას გულმოდგინედ განაგრძობდა.

დაახლოებით დილის 3 საათისათვის მან თითქმის დაამთავრა ხელნაწერთა შეკვრის ჩვენება და როგორც ჩანს, მიაღწია დასკვნით ნაწილს. ამასობაში ჩემი მოთმინებაც ამოიწურა. მე მას შევაწყვეტინე საუბარი და მოვითხოვე აეხსნა თავისი ჩამოსვლის მიზეზი. მან გვიპასუხა, რომ ეს იყო ცდა, დაერწმუნებინა ინგლისის მთავრობა გერმანიის გამარჯვების გარდაუვალობაში და მოლაპარაკების გზით ზავის მიღწევის სურვილში. იგი ამტკიცებდა, რომ ბრიტანეთის ახლანდელი პოზიცია სრულიად უიმედოა. ინგლისი გაძევებულია კონტინენტიდან და იქ მომავალში ველარასოდეს დადგამს ფეხს. ბრიტანეთი მარტო დარჩა და მისი ძალა შესაბამისად შესუსტდება, მაშინ როდესაც გერმანიისა გაფართოვდება ევროპული რესურსების, მათ შორის რუსეთის დახმარებით. შესაბამისად, ინგლისისათვის არჩევანი ორი რჩებოდა. პირველი, ეს იყო უაზრო წინააღმდეობის გაგრძელება, რომელიც, მან ხაზგასმით გამაფრთხილა, გამოიწვევდა ჰიტლერის უსაზღვრო გაგულისებას, რაც, თავის მხრივ, ინგლისელი ხალხისათვის უმძიმესი შედეგით დასრულდებოდა. და აი, აქ, ის გადავიდა გერმანიის ძლიერების ისეთი სურათის ხატვაზე, რომელსაც ვერ დაუპირისპირდებოდა ვერანაირი ომი. ისაუბრა ავიაციისა და წყალქვეშა ფლოტის გრანდიოზულ სამრეწველო პროგრამაზე, რომლის პროდუქცია გამოყენებული იქნებოდა ბრიტანეთის კუნძულების დაბომბვისა და ბლოკირების მიზნით, რაც მილიონობით ადამიანთა მსხვერპლს გამოიწვევდა. გადარჩენილი მოსახლეობა კი უმძიმეს ტანჯვა-წვალებაში ჩავარდებაო.

მე ვკითხე ჰესს, ჰიტლერი კვლავინდებურად თუ აპირებდა ბრიტანეთის დაპყრობას. მან გულუბრყვილო სახე მიიღო და თქვა, რომ ნამდვილად არ ვიციო. ფიურერი გულკეთილი ადამიანია და არ გასწირავსო თავის ჯარისკაცებს. მისი შეხედულებით ყველაზე სავარაუდო გეგმა ჩვენი იზოლაცია უნდა ყოფილიყო, ჩვენი ქალაქების განადგურება და გადარჩენილთა ტანჯვა, ვიდრე მთავრობა ზავს არ ითხოვდა. იმ შემთხვევაშიც კი, თუ კაპიტულაციის შედეგად გადავრჩებოდით მაინც გაურკვეველი დარჩებოდა საკითხი, ხელმისაწვდომი შეიქნებოდა თუ არა მოსახლეობისათვის საკვები. მან მთხოვა, არ გავყოლოდით თვითმკვლელობის გზას, რამეთუ იყო საშუალება, რომელიც გვპირდებოდა პატივს, უშიშროებასა და სახელოვან მომავალს. მას შეეძლო მოეთხოვა, რომ არის ფიურერის რწმუნებით აღჭურვილი პირი. ეს ის გარემოებაა, რომელიც მე კარგად უნდა მცოდნოდა. აქედან გამომდინარე, იგი აღჭურვილი იყო უფლებით, ესაუბრა სრული ავტორიტეტით. ამიტომ მას შეეძლო დავერწმუნებინე, რომ ფიურერი, რომელიც ბრიტანეთის, ისევე როგორც მისი იმპერიის მიმართ, მუდამ მზად იქნებოდა დაედო სულგრძელი ზავი შემდეგი პირობებით:

1. გერმანიის ჰეგემონია ევროპის კონტინენტზე და გერმანიის კოლონიების დაბრუნება.

2. ბრიტანეთის ჰეგემონია ზღვისიქითა იმპერიაზე, რომელიც ხელუხლებელი დარჩება და გერმანიის მხრივ იქნება გარანტირებული.

3. ამგვარად, გერმანიის არმია და ინგლისის ფლოტი მართავენ მსოფლიოს.

4. ინგლის-გერმანიის ეს კომბინაცია იმდენად ძლიერი იქნება, რომ მოგვცემს შესაძლებლობას, ყოველგვარი რისკისა და თავის ტკივილის გარეშე ჩამოცილდეს ამერიკა განვითარების პროცესს.

5. იმავდროულად ეს გარემოება იქნება მთელი მსოფლიოს პრივილეგირებული საქმე. მაგრამ ამ წინადადებათა გვერდით არსებობდა ერთი უცილობელი პირობა. ფიურერი, - და ეს სავსებით გასაგები უნდა იყოს, - სამშვიდობო პირობებზე არ ისაუბრებს ბ-ნ ჩერჩილთან. ასე რომ, იგი ვარაუდობს, რომ მის წინადადებათა შუქზე, ინგლისის სამხედრო პოზიციის გათვალისწინებით, ეს ძნელი გასაგები არ უნდა იყოს თვით ჩერჩილისათვისაც კი. ამდენად, რჩება მასთან მოლაპარაკების ერთადერთი გზა. ამ მომენტში მან წარმოადგინა რაღაც ჭუჭყიანი ქაღალდების ნაგლეჯები, რომლებზეც აღნუსხული ჰქონდა ომის გერმანელ ტყვეთა სახელები და გვარები. მათ უნდა გაეწიათ მდივნობა და ასისტენტობა მომავალ მოლაპარაკებებში.

უმნიშვნელო გამონაკლისის გარდა, მე არ ჩავრეულვარ მის საუბარშიო. ჰერცოგი ჰამილტონი, თითქმის ჩაძინებული, ამასთან ერთად მოშიებულიც იყო. ამიტომ, სახელდახელოდ მივირთვით სამედიცინო დების მიერ მომზადებული კერძი. სანახევროდაც არ ვიყავით დანაყრებულები, რომ სად იყო და სად არა გამოცხადდა „ბი-ბი-სის" გადამღები ჯგუფი და მოითხოვა ჰესის ან ჩემი გადაღება, მაგრამ უკან კუდამოძუებულნი გაბრუნდნენ.

ვიდრე ჩვენ ტარნჰაუსს მივაღწევდით და დავიძინებდით, 6 საათიც მოვიდა, რვის ნახევარზე კი მე უკვე ტელეფონით გადავეცი „ფორინ ოფისს" მოკლე ანგარიში. მე მითხრეს, რომ ამ საქმესთან დაკავშირებით მთავრობა გაურკვეველ მდგომარეობაში იმყოფებოდა და არ იცოდა, როგორ გამომძვრალიყო გაჭირვებიდან (?). მანამდე კი ერთგვარი დახმარება იქნებოდა პატიმრის ზოგიერთი კადრი: როგორ ჭამდა საჭმელს, როგორი ჩაცმული იყო, როგორ ცხოვრობდა, როგორ გამოიყურებოდა და ა.შ. მე ყველაფერ ამას ვუპასუხე და ისიც აღვნიშნე, რომ საზოგადოებაში ერთგვარი გაუგებრობა იყო იმასთან დაკავშირებით, რომ თითქოსდა ჰესს წიწილებითაც კი ჰკვებავდნენ. მე გადმომცეს, რომ შეძლებისდაგვარად მომაწვდიან საგარეო საქმეთა სამინისტროს შემდგომ ინსტრუქციებს. დილის დანარჩენი დრო გავლიე

დაწვრილებით ანგარიშის შედგენაში, რომელსაც ვკარნახობდი საჰაერო ძალების მეტად მომხიბვლელ და საქმეში ჩახედულ სტენოგრაფისტს, რომელიც მალულად იყო გარსშემოხვეული დაინტერესებულ ადამიანთა პატარა ჯგუფით. ნაშუადღევს ანგარიში ლონდონში გაიგზავნა.

მომდევნო დღეს, 14 მაისს, ოთხშაბათს, მე არავითარი ინსტრუქცია არ მიმიღია ფორინ ოფისიდან. ამიტომ, გადავწყვიტე გავყოლოდი ჰამილტონს ახალი სახაზო გემის - „გამარჯვებულის" დასათვალიერებლად. იგი ის-ის იყო კომისიონირებული. გზაზე ჩვენ „ფორინ ოფისიდან" მივიღეთ დავალება გაგვეგრძელებინა ჰესის დაკითხვა. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, რომ გამოსავლის მოუძებნელობის გამო, მთავრობა თავის უმოქმედობას ჰესის დაკითხვის თითქოსდა დაუმთავრებლობით ამართლებდა. ჩემს შეკითხვაზე, თუ რის შესახებ ვესაუბროთ ჰესს, მოკლედ მომიჭრეს, რომ ეს ჩემზე იყო დამოკიდებული...

ჩვენ შევწყვიტეთ ვიზიტი და მეორედ გავემართეთ ჰესის დასაკითხად. გარემოება ერთგვარად შეცვლილი დაგვხვდა. ჰესი აშკარად გულგატეხილი ჩანდა მისი იმ გონივრული თხოვნისადმი უყურადღებობის გამო, რომელიც ინგლის-გერმანიის მოლაპარაკებას შეეხებოდა, თუმცა ჩვენდამი ამჯერადაც მეგობრულად იყო განწყობილი და ისევ ვარაუდობდა, რომ ჰერცოგს შეეძლო საქმეთა მოგვარება. მან თქვა, რომ წინა შეხვედრისას ერთი დეტალი გამორჩა: ჰიტლერის გარკვეული ინტერესი ერაყისადმი, სადაც ის მხარს უჭერდა რაშიდ ალის,[1] მაგრამ თვლიდა, რომ ეს წვრილმანი იყო, რომელიც დიდ პრობლემებს არ წარმოშობდა. ამის შემდეგ მას ვკითხე, თუ როგორ ჩამოაღწია შოტლანდიაში. მან მოგვითხრო ამბავი, რომელიც მე დასაწყისში გადმოვეცი. ჩემს შეკითხვაზე მოქმედებდა თუ არა იგი საკუთარი ინიციატივით, მან გაღიზიანებით მიპასუხა, რომ პროექტი მის მიერაა მიღებული და ერთადერთი გერმანელი რომელსაც ამ თემაზე ესაუბრა, პროფესორი კარლ ჰაუსჰოფერია.[2] აქედან მოყოლებული ჩვენ ერთმანეთის მიმართ უხალისო საყვედურებზე გადავედით. უპირველეს ყოვლისა, ეს იყო სამშვიდობო მოლაპარაკების საკითხზე მისთვის სრულიად გაუგებარი დაგვიანება.

ეს გახლდათ ძალზე სერიოზული საკითხი იმის გათვალისწინებით., რომ ვცდილობდით არ ჩამოვრჩენოდით ავტობუსს (სხვაგვარად დრო არ დაგვეკარგაო — ლ.ს.) გერმანიისაგან არ უნდა ველოდეთ ასეთ კეთილგანწყობილ წინადადებათა მიმართ განუსაზღვრელ ლოდინს. ჰიტლერი არ იყო ადამიანი, ვისთანაც დასაშვები იყო ასეთი თამაში.

მეორე, ეს გახლდათ მისდამი, თავად ჰესისადმი დამოკიდებულება.

---

[1] ერაყის იმდროინდელი ფაშისტური ხელისუფლების მეთაური

[2] Kirkpatrick. Op. cit.,. 179.

მისი საცხოვრებელი სრულიად შეუფერებელია რაიხსმინისტრის თანამდებობასთან. კერძოდ, მას უნდა ჰქონდეს ნაკლებ დამაბრმავებელი შუქი. იგი იმყოფება მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ, რაც სრულებით არ არის აუცილებელი და ამასთან დამამცირებელია. საჭიროა გაცილებით მეტი სამედიცინო ყურადღება. მაგალითისათვის, ექიმმა რომელმაც იგი გასინჯა, გამოიყენა ტახტი, რომელზეც სუფთა ზეწარი არ ეფარა. მას უბრალოდ შეეძლო რაღაც კანის ავადმყოფობა „დაეჭირა". და ბოლოს, საერთოდ აუტანელი ხმაურიაო. იგი დარწმუნებულია, რომ მეთვალყურენი მძიმე ფეხსაცმელს მის გასაღიზიანებლად იცვამენ და სწორედ მის ოთახთან გასვლისას აბაკუნებენ ფეხებს.

მე ადრე შევნიშნე, რომ ჰესს თან ჰქონდა ჩამოტანილი უამრავი წამლიანი ბოთლი, რომლებიც მაგიდაზე მის გვერდით ეწყო. მათი ნახვისას და ჰესის საყვედურის ფონზე მე ვკითხე ექიმს, იყო თუ არა ჰესი ჯანმრთელი. მან დამარწმუნა, რომ მისი აშკარა უცნაურობის მიუხედავად იგი ჯანსაღია და არ შეიძლება მასზე ფსიქიკური აშლილობის საბუთის გაცემა. ასე იყო თუ ისე, ჯანმრთელი თუ ავადმყოფი, მე ბოლომდე მოვისმინე მისი საყვედურები და დავტოვე ჰოსპიტალიო.

15 მაისს მე მივიღე დავალება გამეგრძელებინა საუბარი ჰესთან. ამასთანავე მითხრეს, გადავსულიყავი სასტუმროში. რა თქმა უნდა ძალზე დავიღალე, მაგრამ კრინტი არ დამიძრავს. იმ დღეს საუბარი დავიწყე რაშიდ ალითა და ერაყით, რომლებიც ჰესმა წინა დღეს ახსენა. მაგრამ მე უფრო მეტად მაინტერესებდა ირლანდიის საკითხი და მის შესახებ პატიმარს ვკითხე. მან მიპასუხა, რომ ირლანდია ჰიტლერს სრულებით არ აწუხებს და ინგლისს რაც უნდა, ის შეუძლია იქ გააკეთოსო. შემდეგ მე რუსეთზე გადავედი. 1941 წლის მაისში, ჩვენ გაგვიჩნდა სრულიად დადასტურებული ინფორმაცია რუსეთზე ჰიტლერის გარდაუვალი თავდასხმის თაობაზე. მე გულუბრყვილოდ ვკითხე, რომ რუსეთ-გერმანიის ურთიერთობანი გამოიყურებიან თითქოსდა შებღალულად და ხომ არ არსებობს რაიმე შანსი, რომ ჰიტლერმა მოთმინება დაკარგოს და სამხედრო საშუალებებს მიმართოს-მეთქი. ჰესმა მიპასუხა, რომ ამის თაობაზე საუბარიც კი არ შეიძლებაო. მე კვლავ და კვლავ ვუბრუნდებოდი ამ საკითხს, მაგრამ იგი მარწმუნებდა, რომ ჰიტლერი თავისი ვალდებულებების მიმართ ძალზე კეთილსინდისიერია. მე ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, რომ ჰესი თითქოსდა საქმის კურსში არ იყო.

როცა დავასრულეთ საუბარი პოლიტიკურ თემაზე, ჰესი კვლავ დაუბრუნდა საყვედურებს. ის კიდევ უფრო მეტ პრეტენზიას გამოთქვამდა, ვიდრე წინადღეს... ძველებს დაუმატა ახლები: არ მომწონსო დაცვის უფროსი ოფიცერი, არ მაქვსო წიგნები გერმანულ ენაზე, მიპირებენო მოწამვლას და სხვ. მე ნათქვამის უსაფუძვლობაში

დავარწმუნე, მაგრამ ის იჯინებდა: დაცვის ოფიცერმა გასინჯოსო საჭმელი. ამასობაში ხელისუფლება დაფრთხა, ჰიტლერმა შეიძლება სცადოსო მისი გათავისუფლება, როგორც ეს მოგვიანებით მუსოლინთან დაკავშირებით მოხდა. ამიტომ, მან გადაკეტა ჰოსპიტალისაკენ მიმავალი ყველა გზა და პარკში განალაგა ქვეითთა ათასეული.

მომდევნო დღეს მე თავი ავარიდე მასთან ინტერვიუს. სამაგიეროდ ჰოსპიტლის უფროსთან მოვუგვარე გოლფის თამაშის ნებართვა, მაგრამ როდესაც სათამაშოდ გამგზავრებას ვაპირებდით, დარეკეს ლონდონიდან და გვიბრძანეს ტაუერის ციხეში (რომელიც დედაქალაქშია–ლ.ს.) გადასაყვანად მისი მომზადება. საღამოს 6 საათზე ის ჩასვეს მატარებელში და ძლიერი დაცვის ქვეშ საიდუმლოდ გაამგზავრეს ლონდონში.

ლონდონში დაბრუნების შემდეგ მე სრული ანგარიში გავუგზავნე პრემიერ-მინისტრსა და საგარეო საქმეთა მინისტრს. მას შემდეგ ჰესის საქმე დღესაც საიდუმლოებით არის მოცული, მხოლოდ მინისტრთა და ოფიციალურ პირთა ვიწრო წრე იცნობს ფაქტებს. ინფორმაციის მინისტრიც ისეთსავე გაურკვევლობაში იმყოფებოდა, როგორც სხვები. მე მახსენდება ლანჩი, რომელზეც მთავრობის ორი წევრი ხუმრობით ითხოვდა შენდობას „გაუხსნელი" შეკითხვებისათვის.

ლონდონში ჩემი დაბრუნებიდან მალე პრემიერ-მინისტრმა ვიწრო წრე შეკრიბა შემდგომი ნაბიჯების გადადგმის მიზნით. იგი აშკარად ცუდ გუნებაზე იყო, შიშობდა მთავრობას არ ეფიქრა სამშვიდობო მოლაპარაკებას აწარმოებდნენო. მან დაწვრილებით გამომკითხა და მე მას აღვუწერე ჰესთან საუბრის სრული სურათი. როდესაც დავამთავრე, მან წაიბუზღუნა: „კეთილი, ჰესი რომ ერთი წლის წინ ჩამოსულიყო და ეთქვა თუ რას გვიპირებდნენ ჩვენ გერმანელები, ძალზე უნდა ვყოფილიყავით დაშინებულნი და მართებულადაც. მაგრამ რატომ უნდა დავშინდეთ ახლა?"

იმის გამო, რომ კითხვები აღარ იყო, მე ვთქვი, რომ რამდენადაც ჰესი არავის არ წარმოადგენდა და არ ფლობს სამხედრო საიდუმლოებებს, შესაძლებელი იყო ჰიტლერთან და სხვებთან მისი საუბრის შესახებ ზოგიერთი სასარგებლო ინფორმაცია მიგვეღო. ეს შეიძლება ვრცელ სფეროს შეეხებოდა, მაგალითად, ავიაციისა და წყალქვეშა ნავების კონსტრუქციას, ტექნიკურ განვითარებებსა და სხვ.

საუბრის დასასრულს მე ვუთხარი, პრემიერს, რომ ჰესთან ჩემს შემდეგ საუბრებს აზრი აღარ ჰქონდა. მან კი გამოთქვა მოსაზრება, ჰესთან რომელიმე საკაბინეტო მინისტრი გაეგზავნა და არჩევანი შეჩერდა ბ-ნ ჯონ საიმონზე.[1]

მე ჩავთავლე, რომ ჰესთან მიმართებაში ყველაფერი დავამთავრე და

---

[1] თუმც იმჯერად საიმონი არ იყო საკაბინეტო მინისტრი. იგი იყო ლორდ-კანცლერი

რამდენიმე დღის შემდეგ გადავწყვიტე ირლანდიაში გამგზავრება, რადგან ჩემს საკუთრებასთან დაკავშირებით გადაუდებელი საქმე მქონდა (?!). ის ის იყო ჩავედი, რომ ფეხდაფეხ მომყვა დეპეშა საგარეო საქმეთა სამინისტროდან, დაუყონებლივ დავბრუნებულიყავი. ლონდონში გავიგე, რომ ჰესი ტაუერიდან ოლდერშოტში გადაეყვანათ. ამასთანავე, მე უნდა გავყოლოდი საიმონს. ამჯერად აბსოლუტურად მნიშვნელოვანი ის იყო, რომ ვერავის გაეგო ჰესი მინისტრმა ინახულაო(!) ამის შესაბამისად ჩვენ მოგვცეს გამოგონებული გვარები დ-რ გუტრისა და დ-რ მაკენზისა. ჩვენ დაცვას უნდა წარვდგენოდით, როგორც ცნობილი ფსიქიატრები.

როდესაც დადგა შესაბამისი დღე, მე დავურეკე საიმონს და ჩვენ გავემგზავრეთ ოლდერშოტში. ვილა, რომელშიც ჰესი განათავსეს, გარსშემოვლებული იყო ეკალ-ბარდებიანი მესერით. ჩვენ ფსიქიატრთა საბუთები წარვუდგინეთ დაცვას, რომელიც გველოდებოდა. შევაღეთ კარი და შემოგვხვდა ორი ოფიცერი, რომელთაც მე უკვე ვიცნობდი. მათ ასეთი გეგმა შემოგვთავაზეს; ჯერ ლანჩი და შემდეგ შეხვედრა ჰესთან, თუკი ეს შეხვედრა ნამდვილად შედგებოდა. როგორც ჩანს, ჰესი უცნაურ განწყობაზე იყო. გარკვეული თვალსაზრისით ის ელოდებოდა ისეთ შეხვედრას, რომელიც ბოლოს და ბოლოს მის იმ მოლოდინს გაამართლებდა, რომლითაც გერმანიიდან წამოვიდა. იმისათვის, რომ შეხვედრისათვის მეტი წონა მიეცა, მას გადაეწყვიტა გერმანიის „ლუფტვაფეს" კაპიტნის ფორმაში შეგვხვედროდა. მაგრამ იმ დილით, უეცრად მან დაჰკარგა საკუთარ შესაძლებლობაში რწმენა, მიეღო საიმონის რანგის ადამიანი. ამის გამო მან ბავშვურად განაცხადა, რომ თავს ვერ გრძნობდა კარგად და ადგომას არ ვარაუდობდა. იმ მომენტში იგი საწოლში იყო, მაგრამ დაცვამ მოგვახსენა, ყოველგვარი ზომები იქნებოდა მიღებული ლანჩის შემდეგ მის ასაყენებლად.

შოტლანდიაში ჩვენი შეხვედრის შემდეგ მისი გონის მდგომარეობა ერთგვარად შერყეული ჩანდა. თუმცა ოფიცრები, ამას მათი მოთხოვნების სიმკაცრით ხსნიდნენ, მაგრამ არც იმას გამორიცხავდნენ, რომ მას შეეძლო გუნება შეეცვალა. ჩვენ სწრაფად ვისაუზმეთ და დავიწყეთ ცდა მოვლენების განვითარების მოლოდინში. რამდენიმე ხნის შემდეგ ჩამოვიდა ერთ-ერთი ოფიცერი და მოგვახსენა, რომ ჰესმა დაიწყო ადგომა. კიდევ უფრო გვიან ჩვენ მოგვწვდა ხმა, რომ იგი მზადაა და ჩვენ ავედით ზევით ოთახში, რომელშიც პატარა მაგიდა მოემზადებინათ. რამდენიმე ხნის შემდეგ იგი სწორედ ამ ოთახიდან გადახტა თითქოსდა თავის მოკვლის მიზნით, მაგრამ შედეგად მოტეხილი ფეხი შერჩა.

ჩვენ შევედით ე.წ. სათათბირო ოთახში. ჰესი გველოდებოდა თავის ახალ უნიფორმაში და ბოტფორტებში. გაკეთდა ფორმალური წარდგინებები. იგი ჩემთან განმეორებითი შეხვედრით უცნაურად

ნასიამოვნები ჩანდა. ჩვენ შემოვუსხედით მაგიდას: ჰესი ერთი მხარეს, ჩვენ — საპირისპიროს. თავში იჯდა თარჯიმანი. სრული ანგარიში ამ "Mad Hatter's tea party"[1] მოყვანილი იქნა ნიურნბერგის სასამართლოზე. საკმარისია ითქვას, რომ საიმონმა თავისი უნარი გამოავლინა, რამაც შესაძლებელი გახადა, საუბარი აყვანილიყო გონივრულ დონემდე. მან მისცა ყველა საჭირო კითხვა, მაგრამ უშედეგოდ. ამის გამო ჩვენ შევწყვიტეთ უთანასწორო ბრძოლა და უკან ისევე საიდუმლოდ დავბრუნდით, როგორც მოვედით.

ეს გახლდათ ჰესთან ჩემი უკანასკნელი შეხვედრა. ამის შემდეგ იგი გადაიყვანეს უელსში, სადაც ომის დასასრულამდე იმყოფებოდა. ომის მსვლელობაში მე დროგამოშვებით მის შესახებ ვიღებდი ინფორმაციას, რომელიც მიუთითებდა, რომ მისი მდგომარეობა შესამჩნევად გაუარესდა. 1944 წლისათვის შინ გაგზავნილი მისი წერილები იმდენად დაბნეული გახდა, რომ ჟენევის კონფერენციის დადგენილების მოშველიებით, გერმანიის მთავრობამ დააყენა მისი რეპატრიაციის საკითხი. მე მასთან შეხვედრის შესაძლებლობა მომეცა ნიურნბერგში, მაგრამ იქ ჩასვლაზე უარი განვაცხადე.

ჰესის ეპიზოდი ერთ-ერთი უჩვეულოთაგანი გახლდათ ისტორიაში. ყველაზე უცნაურთაგანი მაინც მისი არატიპურიბაა. როდესაც ეს ცნობა გავრცელდა პირველად, ომის ტყვე-პატიმართა ბანაკის კომენდანტმა ინგლისში შეკრიბა უფროს გერმანელ ოფიცერთა ჯგუფი და უთხრა მათ: „ინგლისში ჩამოფრინდა ნაცისტი მინისტრი, ფიურერის თანხმობისა და ამის შესახებ ინფორმაციის მიუწოდებლად. თქვენი ვარაუდით ვინ შეიძლება იგი იყოსო?" მათ უპასუხეს, რომ არ სჯერათ ეს ამბავი, მაგრამ თუ ეს მართალია, ერთადერთი მინისტრი მთელს გერმანიაში, რომლის ლოიალობა ჰიტლერის მიმართ არ გახდიდა მას უფლებამოსილს ეს ჩაედინა, გახლავთ რუდოლფ ჰესიო."[2]

საიდუმლოების ვითარების გათვალისწინებით, რომელშიც მთელი ეს ისტორიაა გახვეული, გასაკვირი არ უნდა იყოსო სპეკულაცია, რომელიც პრესაში გავრცელდა. ერთმა ამერიკულმა გაზეთმა ვრცელი სტატია დაბეჭდა, რომელშიც ამტკიცებდა კირკპატრიკი საერთოდ არ ყოფილა შოტლანდიაშიო. ჰესის ვიზიტორი გახლდათ ძალზე მაღალი თანამდებობის პირი, რომელიც თავს ასაღებდაო კირკპატრიკად. კანადური გაზეთი კი ირწმუნებოდა, რომ ფსიქიატრი ვიყავი, თანაც ძალზე ცნობილი. მისი ჩასვლა ირლანდიაში დაკავშირებული იყოო სამშვიდობო მოლაპარაკებასთან, მაგრამ ყველაზე საინტერესო ინფორმაცია მოგვცა დასავლეთ აფრიკის გაზეთმა:

„კირკპატრიკი დაინიშნა რუდოლფ ჰესის მემკვიდრედო". არც მეტი

[1] ქართულად უნდა ნიშნავდეს – „შექანებულთა თავმოყრას", საზოგადოებას

[2] Kirkpatrick. Op. cit., 184-185.

არც ნაკლები. აი. ეს ცნობაც:

„ლონდონი, 13 მაისი. ჰიტლერმა კირკპატრიკი დანიშნა ჰერ ჰესის შტაბის უფროსად, როგორც ჰესის მემკვიდრე და გააუქმა ფიურერის მოადგილის თანამდებობა. ახალი თანამდებობა, რომელიც ჰესის მემკვიდრემ დაიკავა, არის ნაცისტური პარტიის დირექტორატის უფროსი."[1]

როგორც ვხედავთ, ანგარიში თითქოსდა ვრცელი, მაგრამ არაფრის მთქმელია. ერთადერთი საინტერესო მომენტი ის არის, რომ თვით კირკპატრიკიც ადასტურებს გაკვირვებას იმასთან დაკავშირებით, რომ დღესაც კი ჰესის საქმე ასეთი საიდუმლოებით არის მოცული, მაგრამ თუ ყველა ისე წარმოგვიდგენს საქმეს, როგორც ამას თვითონ აკეთებდა, მაშინ გასაკვირი აღარაფერი უნდა იყოს. ჯერ მარტო ირლანდიის საკითხი ავიღოთ, რომელზეც ქვემოთაც გვექნება საუბარი. ალბათ, კირკპატრიკი ისე გარდაიცვალა, რომ ფიქრობდა, მისი ვერსია საზოგადოებამ „აკენკა".

ახლა კი ვიკონტ საიმონს მოვუსმინოთ, თავის დროს ძალზე მიღებულ და პოპულარულ პიროვნებას. ჰესის დაკითხვის დროისათვის იგი საკაბინეტო მინისტრი არ ყოფილა, მაგრამ მანამდე რამდენჯერმე იყო ხან საგარეო საქმეთა, ხან ფინანსთა, და ხანაც შინაგან საქმეთა მინისტრი. საიმონი სხვადასხვა დროს 8-ჯერ იყო მინისტრი, მათგან 6-ჯერ საკაბინეტო. იგი ჰესს მანამდეც იცნობდა, კერძოდ, 1935 წლიდან, როდესაც იდენთან ერთად ჰიტლერთან ვიზიტად იყო ბერლინში. ამ უკანასკნელმა მაშინ ვახშამი გამართა, რომელსაც ჰესიც ესწრებოდა. საიმონმა ჰესის დაკითხვა აღწერა მემუარებში, რომელსაც უწოდა „რეტროსპექტი".[2]

საიმონი და კირკპატრიკი ჰესს ესტუმრნენ მთავრობის დავალებით 1941 წლის 10 ივნისს — მოტჩელ-პლეისში, ოლდერშოტის მახლობლად. ამ ვიზიტის თაობაზე საზოგადოებამ არაფერი იცოდა. შესაბამისად არც ჭორები გავრცელებულა სამშვიდობო მოლაპარაკებაზე, რაც სხვა დროს ჭარბად იგრძნობოდა.

შეხვედრა კარგა ხანს გაგრძელდა, დაახლოებით ორ საათზე მეტს. იყო მისი ჩავარდნის შესაძლებლობაც. აშკარად გამოიკვეთა სამი მიმართულება. პირველი, დაახლოებით ისევე როგორც კირკპატრიკთან შეხვედრისას, ჰესმა ჩამოაყალიბა ინგლისში მისი ჩასვლის მიზანი. მეორე, ჰესი იცავდა აზრს, რომ გერმანია უარყოფდა ვერსალის დიქტატს და ყველა შემთხვევაში მოიგებდა ომს. მესამე ის, რომ მიუხედავად ჰიტლერის საქმის კურსში არ ყოფნისა, მან კარგად იცოდა მისი პირობები ზავის დასადებად, რომელთაც აღსრულება აუცილებელი

---

[1] Ib., 169-185.

[2] Simon,. Viscount. Retrospect. L. 1952.,261-263.

იყო ინგლის-გერმანიის ურთიერთგაგების მისაღწევად. მათი უმეტესი წილი თითქმის იგივე იყო, რაც კირკპატრიკთან საუბრისას, მაგრამ იყო ზოგიერთი დამატებითი:

1. ღერძის სახელმწიფოთა და ინგლისის შორის მომავალში ომების თავიდან ასაცილებლად, ინტერესთა სფეროს ლიმიტი განსაზღვრული უნდა იყოსო. ღერძის სახელმწიფოთა ინტერესის სფერო არის ევროპა, ხოლო ინგლისისა — იმპერია.

2. გერმანიის კოლონიების დაბრუნება.

3. გერმანიის იმ მოქალაქეთა იდენტიფიკაცია, რომელთაც ომის წინ ან პროცესში საცხოვრებელი ბრიტანეთის იმპერიაში ჰქონდათ და რომლებმაც სიცოცხლისა თუ საკუთრების დანაკლისი განიცადეს იმპერიის მთავრობის ღონისძიებათა გამო, ან როგორც შედეგი ძარცვის, უწესრიგობათა და სხვა მიზეზით. ბრიტანეთის მოქალაქეთა-იდენტიფიკაცია გერმანიის მხრივ მოხდეს იგივე საფუძვლით.

4. დაზავება და ზავი იტალიის მთავრობასთან იგივე საფუძველზე მოხდეს.[1]

ჰესის დამატებით მოსაზრებათაგან ერთ-ერთი, რომელიც მან გააკეთა საიმონთან შეხვედრისას, ის გახლდათ, რომ ინგლისთან ურთიერთგაგების საკითხის დაყენების წინადადება მას აზრად მოუვიდა 1940 წლის ზაფხულში, საფრანგეთის წინააღმდეგ საომარი მოქმედების დროს, როდესაც ის სტუმრად ჩასულა ჰიტლერთან. იმაში დარწმუნებულმა, რომ საფრანგეთის კაპიტულაციის შემდეგ გერმანია ინგლისის დაპყრობას შეუდგებოდა, მან ჰიტლერთან გამოთქვა მოსაზრება, გერმანიას ინგლისისაგან მოეთხოვა ზარალის ანაზღაურება პირველ მსოფლიო ომში მისი სავაჭრო ფლოტის კონფისკაციასთან დაკავშირებით, რომელიც განხორციელდა ვერსალის ხელშეკრულებით. ამას ჰიტლერი წინ აღდგომია. როგორ შეიძლება ასეთი ულტიმატუმის წაყენება ქვეყნისათვის, რომელთანაც გვსურს საერთო ენის გამოძებნაო.

ჰიტლერის ამ განწყობას იმპულსი მიუცია ჰესისათვის. მას დაბადებია იდეა, რომ თუ ინგლისელები გაიგებდნენ ჰიტლერის ამ შეხედულებას, მათი ორი ქვეყანა ურთიერთგაგებას მაღწევდა. ჰესი დარწმუნებული იყო, რომ საფრანგეთის დამარცხების შემდეგ ბრიტანეთის მთავრობის უარი გერმანიის სამშვიდობო მოლაპარაკებაზე განპირობებული იყო ინგლისის პრესტიჟის დაცემის შიშით. აქედან გამომდინარე, ჰესი აცხადებდა, რომ მას სისრულეში უნდა მოეყვანა თავისი გეგმა. ის რომ ინგლისის სათავეში ყოფილიყო, მოახერხებდა მოლაპარაკების წარმოებას ისე, რომ არავითარი ავტორიტეტი არ დაეკარგა.

---

[1] Ib. 261.

ჰესი შემდეგ მიუბრუნდა ვერსალის ხელშეკრულებას. მან აღნიშნა, რომ იგი უბედურება იყო არამარტო გერმანიის, არამედ მთელი მსოფლიოსათვის. ის გადავიდა იმის ილუსტრირებაზე, რომ თუ ომი, რომლის გაჩაღებაში ინგლისს მოუძღვისო ბრალი, გაგრძელდება, ფიურერი იძულებული გახდება იმოქმედოს ინგლისელი ადმირალის, ლორდ ფიშერის სახელმძღვანელო პრინციპით: „ზომიერება ომში სისულელეა. თუ ურტყამ, ძლიერად დაარტყი, ისე როგორც შეგიძლია". ჰიტლერს სხვა ალტერნატივა არ რჩება. თუმცა ეს „ღრმად სტანჯავს მას". თუ დიდი ბრიტანეთი კვლავაც გააგრძელებდა სიჯიუტეს, ჰესის აზრით ინგლისს დაატყდებოდა უმძიმესი განსაცდელი. იგი გაინირებოდა ტოტალური დანგრევისათვის „ლუფტვაფეს" მხრივ, ხოლო გადარჩენილი მოსახლეობა წყალქვეშა ნავებისაგან ალყაშემორტყმულ კუნძულზე შიმშილისაგან დაიხოცებაო.

აქ კი საიმონმა ვეღარ მოითმინა და საპასუხოდ მკაცრად მიახალა: „ამ ქვეყანაში გამბედაობის საკმარისად დიდი წილია და მაინცდამაინც დიდად განწყობილი არა ვართ მუქარის მოსასმენადო".[1] მისი შანტაჟით მობეზრებული საიმონი ამიტომაც წერს თავის მოგონებებში: „ოლდერშოტში არავის შესწევდა უნარი, ჩემსავით ყოველგვარი თანაგრძნობის გარეშე ეცქირა კაცისათვის, რომელმაც ამდენი მრისხანე, მცდარი გაანგარიშება გააკეთა. ბრიტანული ხასიათის იგნორირება ჰესის მხრივ კოლოსალური იყო."[2]

როგორც ზემოთ კირკპატრიკი აღნიშნავდა, ამით საიმონის დიალოგი ჰესთან ფაქტობრივად ჩაიშალა. ეს, როგორც ჩანს თვით ჰესმაც იგრძნო. მან დაასკვნა, რომ ეს იყო არამარტო საიმონთან, არამედ ჩავარდნა მთელი მისი მისიისაც. მან ხომ იცოდა, ვინ იყო საიმონი და ვის წარმოადგენდა იგი. ის ხომ არც კირკპატრიკი იყო და, თუ გნებავთ, არც ჰერცოგი ჰამილტონი. სავარაუდოდ ამით უნდა აიხსნას მისი გადაწყვეტილება თვითმკვლელობისა, როდესაც იგი სასოწარკვეთილებაში მყოფი ამ შეხვედრიდან ხუთი დღის შემდეგ გადახტა მესამე სართულიდან. ამის შედეგად მოიტეხა ფეხი და დაიზიანა მენჯი!...

Finita la commedia, იტყოდა კაცი, რომ არა კიდევ ერთი საინტერესო გაურკვევლობა. 10 ივნისს ჰესთან საიმონ-კირკპატრიკის ვიზიტს, რომელიც უშედეგოდ დამთავრდა, უფრო სწორად რომ ვთქვათ, ჩავარდა, თითქოსდა ამ ისტორიის დამამთავრებელი აკორდი უნდა წარმოექმნა. მით უმეტეს, რომ კირკპატრიკის, ჩერჩილთან ნათქვამი ფრაზის არ იყოს — ჰესთან შეხვედრას აზრი აღარ ჰქონდა. ამის მიუხედავად, პრემიერმა მაინც გაგზავნა ის საიმონთან ერთად ჰესის დასაკითხად. ახლა ხომ მაინც უნდა გაევლო ხაზი და გადაეწურა ყოველგვარი წყალი

[1] Simon. Ib., 263.
[2] Ibidem.

მასთან მომავალი შეხვედრების საზრისობისათვის. და აი, 9 სექტემბერს, საიმონის ვიზიტიდან ზუსტი სამი თვის შემდეგ, ჰესს ესტუმრა ლორდი ბივერბრუკი, საგაზეთო მაგნატი, მულტიმილიონერი, ჩერჩილის მთავრობის საავიაციო მრეწველობის მინისტრი, ჩერჩილის პირადი მეგობარი, მისი მარჯვენა ხელი, თუმც როგორც ზემოთაც ვთქვით, „მეგობარი ცუდ ამინდში".

რა მოხდა? რაში იყო საქმე? რატომ გაიხსენა პრემიერმა თავის „დაუპატიჟებელი სტუმარი" ასე მოგვიანებით? იგი ხომ სამხედრო დამნაშავედ იყო გამოცხადებული? რაღა საჭირო უნდა ყოფილიყო სახელმწიფო მინისტრისაგან მისი მონახულება. ჯეიმს დუგლას-ჰამილტონის თქმის არ იყოს, რუსეთზე გერმანიის თავდასხმის შემდეგ, ინგლისის მთავრობას ხომ ისედაც ბევრი საზრუნავი გაუჩნდა, გადარჩენის ნაღდ იმედებთან ერთად?

ჩვენი აზრით, სწორედ აქ არის დამარხული ძაღლის თავი. ყველა წინარე შეხვედრა ჰესთან გერმანიის რუსეთზე თავდასხმამდე შედგა: ჰერცოგ ჰამილტონისა — ჰესის ჩამოფრენისთანავე, კირკპატრიკის – მესამე დღეს, საიმონის 10 ივნისს. ლორდი ბივერბრუკი კი მას სექტემბერში შეხვდა, რუსეთზე გერმანიის თავდასხმიდან ლამის ორთვენახევრის შემდეგ.

რა აუცილებლობამ გამოიწვია ეს ვიზიტი? რამდენადაც ეს პარადოქსული არ უნდა ჩანდეს, ვფიქრობთ საბჭოთა მთავრობისა და, კერძოდ, ი. სტალინის დაინტერესებამ ხსენებული თემით. ამით უნდა დამთავრდეს რუდოლფ ჰესთან ინგლისელ პოლიტიკოსთა „ვიზიტომანია". მით უმეტეს, რომ ბრიტანეთის მხარემ პირველად ახსენა, თუმც ბოლომდე არ გახსნა და არ გამოაქვეყნა, მათ შორის თავის სახელმწიფო არქივში დაცული დოკუმენტი, შედგენილი პირადად ჰესის მიერ, რომელსაც ძალზე ზედაპირულად შეეხო ლორდი ბივერბრუკი სტალინთან შეხვედრის პროცესში, კრემლში 1941 წლის შემოდგომაზე. სწორედ ეს დოკუმენტი გადაიქცა განხეთქილების ვაშლად ბრიტანეთის მთავრობასა და საზოგადოებას შორის 1974 წელს, როდესაც მეორედ „დახურეს" ჩერჩილის არქივი ჰესის გაფრენის თაობაზე, ამჯერად 2017 წლამდე. მაშ ასე, როცა ამზადებდა ბივერბრუკს სტალინთან შესახვედრად, ჩერჩილმა, მეტი დამაჯერებლობის მიზნით, იგი აღჭურვა „პირველწყაროთი". მან კარგად იცოდა (რაც ჩანს ჩვენს ხელთ არსებული კგბ-ს არქივიდან–ლ.ს.), რომ მოსკოვში ინგლისელ ემისარს „ფინურ აბანოს" მოუწყობდნენ. ამიტომ იგი ჰესის უშუალო თვითმხილველი უნდა ყოფილიყო.

„დიახ, წერს ჯეიმს დუგლას ჰამილტონი, - ჰესს ბრიტანეთში კიდევ

ერთი საინტერესო ინტერვიუ ჰქონდა 1941 წლის 9 სექტემბერს,[1] როდესაც ლორდი ბივერბრუკი ერთი საათი საუბრობდა მასთან. ჰესთან მისი საუბარი ფოკუსირებული იყო უმნიშვნელოვანეს საკითხზე: რუსეთზე გერმანიის თავდასხმაზე, რომელიც ესოდენ ძვირფასი იყო ჰესისათვისო".[2]

ავტორის შეხედულებით, ჰესმა რადიკალურად შეცვალა ის ისტორია, რაც მან უამბო ჰამილტონს, კირკპატრიკსა და საიმონს. ჰესმა ბივერბრუკს უთხრა, რომ მისი ჩამოსვლის მთავარი მიზანი იყო ზავის დადება ინგლისსა და გერმანიას შორის ყველაფრის საფასურად, იმ პირობით, რომ ინგლისი შეუერთდებოდა გერმანიას რუსეთის წინააღმდეგ ომში. ჰესის მოსაზრებით, ბრიტანეთი ძალზე ცდებოდა, თუ ვარაუდობდა, რომ რუსეთზე გერმანიის თავდასხმა იმდენად დაასუსტებდა ორთავეს, რომ აღდგენილ იქნებოდა ინგლისის წინარე საუკუნის პოზიცია ევროპაში. ინგლისის გამარჯვება, როგორც რუსეთის მოკავშირისა, - განუცხადა ჰესმა ბივერბრუკს, - ეს იქნება ბოლშევიკთა გამარჯვება ყველა შემთხვევაში, ხოლო ბოლშევიკთა გამარჯვება ადრე თუ გვიან მოასწავებს გერმანიისა და დანარჩენი ევროპის ოკუპაციას რუსეთის მიერ. ინგლისი, ისევე როგორც ყველა სხვა ერი, უძლური იქნება ეს თავიდან აიცილოს. თუ საბჭოთა ძალა სწორედ ახლა არ იქნება ხერხემალში გადატეხილი, მსოფლიოს საბჭოთა კავშირის ბატონობა ელოდებაო.[3]

აი, რაში ყოფილა საქმე. ამ სურათის შემქმნელი პიროვნება განა შეიძლებოდა შერაცხულ ყოფილიყო გიჟად ან ფსიქიკურად აშლილად? ეს ხომ ბივერბრუკმაც დაადასტურა „ჰესი უგონო არ არისო", უთხრა მან ჩერჩილს.[4] ჯეიმს დუგლას-ჰამილტონს მხოლოდ ერთი რამ ვერ გაურკვევია: რატომ მოხდა, რომ ლორდ ბივერბრუკს ჰესმა სრულიად განსხვავებული ვარიანტი უამბო, ვიდრე წინა ვიზიტორებს - ჰამილტონ-კირკპატრიკ-საიმონის ჩათვლით? საქმე იმაში გახლავთ, რომ ჰამილტონი-შვილი არ ითვალისწინებს დროის ფაქტორს. ამ უკანასკნელთა შეხვედრა ჰესთან გერმანიის საბჭოთა კავშირზე თავდასხმამდე მოხდა, ბივერბრუკისა კი — თავდასხმის შემდეგ, როცა ჰესს დასამალი აღარაფერი ჰქონდა. ინგლისში თავისი ჩასვლის მიზანზე ის უკვე გახსნილად საუბრობდა. მას უკვე აღარ ეშინოდა საიდუმლოების გამხელისა, იმისა, რისთვისაც იგი შოტლანდიაში ჩავიდა. ხომ არსებობენ რომის პაპზე უფრო მორწმუნე

---

[1] თვით ლორდმა ბივერბრუკმა სტალინთან საუბარში 1941 წლის 30 სექტემბერს - 8 სექტემბერი - დაასახელა. იხ. МИД СССР. Советско-Английские отношения во время Великой Отечественной войны 1941-1945. Документы и материалы в двух томах. Т.1, 1983, 137 (შემდეგში . Советско-Английские отношения – ლ.ს.)

[2] Douglas-Hamilton. Op. cit , p. 185.

[3] Demler S. Black Boomerang. L., 1962, 59-60

[4] Leasor, J. Op. cit., 161.

კათოლიკეები? ასევე იყო ჰესიც. ბოლშევიკები მას ჰიტლერზე მეტად ეზიზღებოდა. დიახ, დიახ, ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ ფაქტია. იყვნენ ასეთი ადამიანები. გავიხსენოთ თუნდაც ფრიც ტისენი. ანტისემიტიზმის გარდა, ჰიტლერთან მისი უთანხმოების პიკი მოლოტოვ-რიბენტროპის 1939 წლის 23 აგვისტოს ხელშეკრულება გახლდათ, ისევე როგორც, ჩანს რუდოლფ ჰესისაც.

აღნიშნულ თემაზე თითქმის არავის უსაუბრია. შეიძლება ვცდებოდეთ კიდეც, მაგრამ არა, ალბათ არ ვცდებით. და აი, რატომ. არსებობს ერთი ფოტო, რომელზეც აღბეჭდილია მოლოტოვ-ჰესის შეხვედრის სცენა ბერლინში, 1940 წლის ნოემბერში საბჭოთა ერთ-ერთი ხელმძღვანელის გერმანიაში ვიზიტის დროს. მოლოტოვი, საყოველთაოდ ცნობილი გაულიმარი კაცი, იმ მომენტში არღვევს თავის ტრადიციას და თვალებში შესცქერის რაიხსმინისტრსა და ფიურერის მოადგილეს. ის, ჰესი კი, გველნაკბენივით გაშეშებულია და ოგიუსტ როდენის ქანდაკებას უფრო მოგვაგონებს, ვიდრე ცოცხალ ადამიანს. ეს მარტო ფოტოანალიზი არ გახლავთ, იგი ფსიქოანალიზიც არის და შინაგანად შეუცდომლად გვწამს, რომ ჰესი ბიოლოგიურად ვერ იტანდა ბოლშევიკებს. მისი შვილი ვოლფ-რუდიგერ ჰესი ამტკიცებს, - „მამაჩემი ცდილობდა 1941 წლის 22 ივნისის თავიდან აცილებასო".[1] პირიქით, სინამდვილეში დიამეტრალურად საწინააღმდეგოდ, იგი ინგლისში სწორედ ბოლშევიკებზე გერმანიის თავდასხმისას ინგლისელთა მხრივ თუ არა მონაწილეობის, ყოველ შემთხვევაში ნეიტრალიტეტის დაცვის მიზნით გაფრინდა. ამიტომ წერს იგივე ჯეიმს დუგლას-ჰამილტონი, რომ „ეს გახლდათ ზავის ყველა დროის ყველაზე მეტად ცინიკური შემოთავაზება და სინამდვილეში, სწორედ ამიტომაც იქნა რუსების მიერ შეფასებული, როგორც „ომის მისია".[2]

ამრიგად, ჰესის მისიის ფიგურანტ-მონაწილეთა ვერსია-ანგარიშებს ჩვენ უკვე გავეცანით. ის სხვა საქმეა, თუ რამდენად ობიექტურად წარსდგნენ ისინი საზოგადოებრიობისა და შთამომავლობის წინაშე. ეს მათ სინდისზე იყოს. ახლა თვით რუდოლფ ჰესს მოვუსმინოთ დიდი ბრიტანეთის სახელმწიფო არქივში — „პაბლიკ რიკორდ ოფისში" დაცული და ერთხანს დროებით გამომზეურებული (1974 ნ.) მასალების მიხედვით.

ჩერჩილის არქივის მიხედვით, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, ჰესმა ინგლისში მისი ჩაფრენისა და ომის დამნაშავედ მისი გამოცხადების შემდეგ, ორი დოკუმენტი შეადგინა, რომელთაგან არქივში ფაქტობრივად არც ერთი არ მოხვედრილა. გასაგებია, რომ იგი თავის ხელნაწერებს გერმანულ ენაზე ქმნიდა, მაგრამ განა არ შეიძლებოდა მისი პირველ

---

[1] "Известия". №110. 17.06.00.

[2] Douglas-Hamilton Op. cit., 185

პირში თარგმნა და მისთვის ნაღდი დოკუმენტური სახის მიცემა? მაგრამ თუ ერთი (და პირველი), ასე თუ ისე, იქ მაინც მოხვდა, მეორე საერთოდ არ გამოუჩენიათ. არქივში მოხვდა მხოლოდ მისი სახელწოდება (ჩანს სრულიად შემთხვევით). ლაპარაკია დოკუმენტზე, რომლის სახელწოდება ჩვენ ჩაგვივარდა ხელში და ჩვენი კატეგორიული მოთხოვნის მიუხედავად არადა არ გამოგვიჩინეს. უფრო მეტიც. ამტკიცებდნენ, რომ ასეთი დოკუმენტი არ არსებობსო, მანდ რაღაც გაუგებრობა არისო. ეს ხდებოდა 1974 წელს, მაშინ როდესაც ლორდ ბივერბრუკს ჯერ კიდევ 1941 წლის 30 სექტემბერს უთქვამს ი. სტალინისათვის მოსკოვში, რომ ჰესმა გადმომცაო დოკუმენტი, ძირითადად რუსეთის წინააღმდეგ — 40-50 გვერდის მოცულობითო. მაგრამ, ამის თაობაზე, სამწუხაროდ, მხოლოდ 1983 წელს გახდა ცნობილი, როდესაც საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გამოაქვეყნა წინა გვერდზე ხსენებული კრებული ომის პერიოდის დოკუმენტურ მასალათა შესახებ. სხვაგვარად, ლამის ნახევარი საუკუნის შემდეგ, როდესაც მისი პოლიტიკური მნიშვნელობა პრაქტიკულად დაკარგულია. რაც მთავარია, ჰესთან დაკავშირებული ამ დოკუმენტების ასლი არ აღმოჩნდა არც საბჭოთა კავშირის უშიშროების კომიტეტისა (კგბ-ს) და არც თვით საგარეო სამქეთა სამინისტროს არქივებში. ხომ ხედავთ, პატივცემულო მკითხველო: დიდ ბრიტანეთსა და საბჭოთა კავშირში საზოგადოების იგნორირების ერთნაირი ნორმები ყოფილა. მაგრამ თუ ამ უკანასკნელის მხრივ ეს გასაგებია (თუმცა მიუღებელი), ეს არავითარ ეთიკურ და მორალურ ჩარჩოებში არ ჯდება ინგლისის მხრივ. აკი ინგლისელები, და, არცთუ უსაფუძვლოდ, იწონებენ თავს დემოკრატიის სამშობლო ჩვენი ქვეყანა გახლავთო. გამოდის, რომ მთავარი ყოფილა პოლიტიკური ინტერესები და, გინდა კაპიტალისტი იყავი და გინდა კომუნისტი — ერთნაირად უზნეოდ ატყუებ ხალხს, საზოგადოებას, ადამიანებს, მეცნიერებს. პასუხს მაინც არავინ გაგებინებს. როგორც ჩანს საერთაშორისო ორგანიზაციები და სასამართლოები ასეთ საკითხებს არ ხდიან დაინტერესების საგნად.

ამასთან დაკავშირებით, კიდევ ერთი უცნაური და მსგავსი ანომალია გვახსენდება. რუსი კომუნისტები თითქმის ამდენივე ხნის განმავლობაში ატყუებდნენ საზოგადოებას, არა გვაქვსო „მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტის" საიდუმლო ნაწილის დედანი, ვიდრე მათმა პირველმა და ამავდროულად უკანასკნელმა პრეზიდენტმა არ „აღმოაჩინა" ის სკკპ გენერალური მდივნის პირად არქივში!... ხომ კარგად ყოფილა საქმე ანყობილი ზედა ეშელონებში, პატივცემულო მკითხველო?!..

რადგან სხვა გამოსავალი მაინც არ გვაქვს, დავუბრუნდეთ „პაბლიკ რეკორდ ოფისის" ჩვენთვის მთავარ წყაროს — premier-3-ს ანუ

სხვაგვარად ჩერჩილის არქივს — ჰესის გაფრენის თაობაზე,[1] რომელიც მეცნიერულ (და, საერთოდ) მიმოქცევაში, ვფიქრობთ, პირველად შემოდის მსოფლიო ისტორიოგრაფიაში.

საერთოდ, უნდა შესავლის სახით მოგახსენოთ, რომ ამ არქივში თითქმის იმ სახით, რომელიც მისი პირველი „გახსნის" დროისათვის იქ, „პაბლიკ რეკორდ ოფისში" ანუ სხვაგვარად ბრიტანეთის სახელმწიფო არქივში იყო წარმოდგენილი, რაღაც ახალი, სენსაციური, თითქმის არაფერი ყოფილა „გამომზეურებული", ყოველ შემთხვევაში, ის რაც მეცნიერებისათვის უცნობი ყოფილიყო, გარდა ერთი-ორი დეტალისა და, რაც უდავოდ ყველაზე მეტად საყურადღებოა — მასალები ინგლის-საბჭოთა კავშირის უთანხმოებათა შესახებ, რომლებიც აქამდე მართლაც და არავისათვის ყოფილა ნაცნობი.

არქივი 7 საქაღალდეს მოიცავდა, რომელთაგან მეოთხეში, (219/4) საუბარია ჰესის ინგლისში ჩაფრენის რეალურ მოტივებზე. მასში ნათქვამია, რომ ნამდვილი საფუძველი, რომელიც მან საკუთრივ აღწერა, ეს გახლდათ ჰერცოგ ჰამილტონთან, ლანკაშირში მოხვედრის ცდა.

ჰესი, ნათქვამია არქივის ამ დოკუმენტში, რომელიც მან 10 ივლისს შეადგინა, ჰერცოგ ჰამილტონს გაეცნო 1936 წლის ბერლინის ოლიმპიური თამაშების დროს. მისი ღრმა რწმენით ჰერცოგი მიეკუთვნებოდა ჩერჩილის, როგორც ომის გამჩაღებელთა ბანდის წარმომადგენლის მიმართ ოპოზიციურად განწყობილ ინგლისელთა ჯგუფს ("to the British Group in opposition to Churchill as representative of the clique of warmongers"). ჰესს ისიც სწამდა, რომ ჰერცოგს საკმარისი გავლენა ჰქონდა, რათა წარმატებით ებრძოლა ჩერჩილის ხროვის წინააღმდეგ (აკი უთხრა კიდეც მას შოტლანდიაში დაშვებისას, შემახვედრეო შენი პარტიის წარმომადგენლებთანო).

ჰესის მიერ დაწერილი წერილებიდან, ისევე როგორც სხვა დოკუმენტებიდან ცნობილი ხდება, რომ იგი, თავის პირადი ჩარევით ვარაუდობდა სინამდვილის გამოტანას სააშკარაოზე, როგორც ის მისი რწმენით არსებობდა. მისი ინგლისში გაფრენის მიზანს შეადგენდა ზემოხსენებული წრისათვის გონივრული არგუმენტების წარდგენით მათი დარწმუნება დიდი ბრიტანეთისა და გერმანიის რეალურ პოზიციებში.

რუდოლფ ჰესი, ნათქვამია შემდეგ დოკუმენტში, ინგლის-გერმანიის ბრძოლაში ხედავდა ორი დიდი ჩრდილოელი ხალხის დაპირისირებას, რომლის გაგრძელების შემთხვევაში მხოლოდ ერთი გამოსავალი ჩანდა — დიდი ბრიტანეთის სრული განადგურება. აქედან გამომდინარე, ის იმიტომ ჩამოფრინდა ინგლისში, რომ აეხსნა იმ წრისათვის, რომელთანაც

[1] Public Record Office. Premier-3. 219/1-219/7. Hess, 1941. Closed Until 1972 შემდეგში – Premier-3. შემდეგ, - მეორედ, - დაკეტილი 2017 წლამდე. მაგრამ 2007 წელს ის ნანილობრივ მაინც გახსნეს. ჩვენს ეს არქივი 1974 წელს ჩამოვიტანეთ.

თანამშრომლობას აპირებდა ხანგრძლივი დროის განმავლობაში, დიდი ბრიტანეთის სრულიად უიმედო მდგომარეობა და დაერწმუნებინა იმავდროულად გერმანიის სრულ შეუვალობაში. ჰესი დაწმუნებული იყო, რომ მისი პირადი ჩარევით ინგლისის მშვიდობისმოყვარე წრეები თვალს აუხელდნენ თავისი ქვეყნის საზოგადოებრიობას და მოამზადებდნენ ნიადაგს ინგლის-გერმანიის ურთიერთგაგებისათვის.

რაც ყველაზე მეტად მნიშვნელოვანია, დოკუმენტიც ადასტურებს ჰესის პოზიციას — არავითარ ვითარებაში არ შესულიყო კონტაქტში უინსტონ ჩერჩილთან. პირიქით, მას სურდა მიემართა შინაგანი პოლიტიკური ოპოზიციისათვის, რომელიც მისი აზრით ჩერჩილის მონინააღმდეგედ ითვლებოდა, რაც დასტურდება იმ ჩანაწერებით, რომლებიც მის საბუთებშია ნაპოვნი.

კიდევ უფრო დაუჯერებელია მისი მცდარი აზრი, იმის თაობაზე, რომ თითქოს ხანმოკლე დროის შემდეგ იგი დაუბრკოლებლად შეძლებდა გერმანიაში დაბრუნებას, თანაც მაშინვე, როდესაც ამოწურავდა ინგლის-გერმანიის ურთიერთგაგების თვალსაზრისით თავისი მისიის ამოცანებს. გერმანიიდან გამოფრენის იდეა მას მომენტალურად არასოდეს მოსვლია თავში. ასეთ შემთხვევაში, იგი, ბუნებრივია, უფრო მეტად სხვა ქვეყანაში გაფრინდებოდა, ვთქვათ შვეიცარიაში ან კიდევ შვეციაში თავის ოჯახთან ერთად. რუდოლფ ჰესი თავის იდეა ფიქსით 100 პროცენტით იყო დარწმუნებული უდავოდ გაბედული საკუთარი წამოწყების გარდაუვალ წარმატებაში, რაც ასევე დასტურდება მისი ჩანაწერებით. ამავე დოკუმენტის მომდევნო გვერდზე კიდევ ორი საინტერესო ინფორემაცია არის „გამოქვეყნებული". ერთი ის, რომ ჰესი და ჰამილტონი, ბერლინის ოლიმპიური თამაშების გარდა ერთმანეთს კიდევ სხვაგან, კერძოდ საჰაერო სალონ-გამოფენებსა თუ საერთაშორისო შეჯიბრებაზე ხვდებოდნენ. ამის შემდეგ როგორლა ვირწმუნოთ ჰერცოგ მამა-შვილის მტკიცებანი, რომ არასოდეს შეხვედრია რუდოლფ ჰესსო?...

მეორე ინფორმაცია კი ნამდვილად სენსაციურია. ხომ გახსოვთ, ჩერჩილი და ძმანი მისნი ერთხმად ამტკიცებდნენ, რომ ჰესის ინგლისში შემოტყუებაში ბრიტანეთის დაზვერვა არაფერ შუაშიაო, თუმც ჩვენის აზრით, ამ უარყოფის უარყოფასაც მივაგენით ი. სტალინისა და ვ. შელენბერგის განცხადებათა სახით, ამასთანავე არა ფილოსოფიურს, არამედ ისტორიულს — სინამდვილის სახით. სახელდობრ, დოკუმენტში შავით თეთრზე აღნიშნულია, რომ ჰესი ინგლისში ჩაფრინდა პრაქტიკულად ბრიტანეთის დაზვერვის წერილით, რომელიც ჰერცოგ ჰამილტონისადმი იყო გაგზავნილი[1] და რომლის არსებობის შესახებ თვით ჰერცოგმა

[1] Premier-3, 219/4, 13

ნახევარ წელზე მეტი დაგვიანებით გაიგო. საინტერესოა, რას იტყოდა ამ კონკრეტულ შემთხვევაში ბ-ნი უინსტონ ჩერჩილი, ცოცხალი რომ იყოს? იგი ხომ დაბეჯითებით უმტკიცებდა კრემლში, 1944 წლის ოქტომბერში ი. სტალინს, რომ ასეთი რამ კატეგორიულად გამორიცხულიაო, სწორედ ასეთ შემთხვევაზე ითქმის — ნეტარ არიან მორწმუნენიო.

კიდევ ერთი საინტერესო გარემოება. თემთა პალატაში თავის გამოსვლაში (როგორც ჩანს დახურულ სესიაზე — ლ.ს.) პრემიერ-მინისტრს განუცხადებია: არსებობდაო წინადადება, რომ მე ან მთავრობის რომელიმე სხვა წევრი შევხვედროდით ჰესს, მაგრამ ეს იგივე იქნებოდა, რომ შევხვედროდი თვითონ ბ-ნ ჰიტლერს ან კიდევ რომელიმე სხვა სამხედრო დამნაშავეს. რაც მთავარია, თვით ჰესს არ გამოუხატავს ჩემთან შეხვედრის არავითარი სურვილი.[1]

არანაკლებ საინტერესიოა ჰესის საკითხის განხილვა თემთა პალატაში, რომელიც, როგორც ივარაუდება, იმ დღეებში შედგა. დისკუსია, როგორც ეს იმავე ჩერჩილის არქივიდან ჩანს,[2] გაიმართა 1941 წლის 19 ივნისს, თუმც ჯერ კიდევ 10 ივნისს — ჰესის ჩაფრენიდან ერთი თვის თავზე, პარლამენტარს ნელსონისა და კოულნის საარჩევნო ოლქიდან — სილვემანს - პრემიერ-მინისტრისათვის შეკითხვა მიუცია: გვითხარით რა ხდებაო. ჩერჩილს ფაქტობრივად პასუხი არ გაუცია, და მხოლოდ ის აღუნიშნავს, რომ ყველაფერი ვაცნობეთო რუზველტს — ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს. „კი მაგრამ, - შეპასუხებია დეპუტატი, - ამ ქვეყნის ხალხმა რა დააშავაო?..." „მე დასამატებელი არაფერი მაქვსო". — განუცხადებია პრემიერს.

დისკუსია თემთა პალატაში იმ დღეს — 19 ივნისს - რატომღაც რიჩარდ ბატლერს მიჰყავდა. იგი შეეცადა პრემიერ-მინისტრს გამოსარჩლებოდა და აღნიშნა, რომ მთავრობის განცხადება ნათელიაო. აქ წამომდგარა ცნობილი ლეიბორისტი ენიურინ ბივენი, უ. ჩერჩილის მუდმივი ოპონენტი. ბატლერის განცხადებას არ ვეთანხმებიო, არაფერიც არ არისო ნათელი.

აფორიაქებული სიტუაციისათვის ნავთი შეუსხამს დეპუტატს იპსვიჩიდან — ვინმე სტოუკს. მას დაბეჯითებით განუცხადებია, რომ რუდოლფ ჰესი ჩეკერსში ჰყავდათო.[3] (საინტერესოა, როცა ჩერჩილმა პალატაში განაცხადა, ნახვა შეიძლება მეც მინდოდა, მაგრამ თვითონ პატიმარმა არ ისურვაო, ამით ალიბი ხომ არ შეიქმნა?...)

თემთა პალატა საკმარისად დაძაბული იყო გლაზგოს ლორდ-პროვოსტის ანუ მერის – დოლანის განცხადებით, რომელმაც მთავრობის საწინააღმდეგო პოზიცია დაიკავა. პარლამენტში მას პასუხი გასცა

---

[1] Ibidem.

[2] Ib. 219/7, 80-98.

[3] Premier-3, 29/7, 87.

ბატლერმა, რომელიც განიწმატებული ჩანდა. მისი დიდი დამსახურების მიუხედავადო, უთქვამს ბატლერს, მერმა თავისი პირადი მოსაზრება წამოაყენაო. მას უპასუხეს, რომ მერობის მიღმა, მას ისედაც მაღალი პოზიცია უკავია, იგი ლორდი-ლეიტენანტიაო[1] და შესაბამისად საქმე აქვს ქვეყნის მაღალი წრეების წარმომადგენლებთანო.

ძალზე საყურადღებო განცხადება გაუკეთებია გლაზგოელ დეპუტატს — ჯ.ჯ. დევიდსონს. მას მრავალაზროვნად უთქვამს, რომ ჰესი ინგლისში საკუთარი ინიციატივით არ ჩამოფრენილაო(!). ამასთანავე, მე ვესაუბრე ბევრ გამოცდილ მფრინავს, „რომელთა პროფესიული შეხედულებით, გამორიცხული უნდა ყოფილიყო ესოდენ გრძელ და რთულ ტრასაზე მისი მარტო ფრენა. ჯ. დევიდსონი შესაბამისად სვამდა კითხვას, ვინ დგასო ჰესის ზურგს უკან? ხალხი ამიტომაა დაეჭვებული და მას აინტერესებს სინამდვილეო. რა? განა გამორიცხულიაო შოტლანდიელი ხალხის აზრი, რომ ჰესის თვითმფრინავი არ დამსხვრეულიყო, მას საწვავს ჩაუსხამდნენ და იგი უკან გაბრუნდებოდაო გერმანიაში. ვინ არის გარანტი, რომ ასე არ მოხდებოდაო". დევიდსონი ფაქტობრივად კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებდა ჰერცოგ ჰამილტონის პოზიციას[2]

აი, რამ განაპირობა გლაზგოს მერის — დოლანის ასეთი გამოსვლა, - ხმები ძალზე ძლიერ ცირკულირებენო შოტლანდიაში, რამაც აიძულა მერი ერთგვარად ანტისამთავრობო განცხადება გაეკეთებინა და მოეთხოვა საქმეში ხალხის გარკვევა. აქ ლონდონში ყველგან გავლენიანი ხალხი ხართ — მთავრობაშიც, პარლამენტშიც. იქ, შოტლანდიაში კი საქმე სხვაგვარადაა. ამიტომ, ეროვნული ერთიანობისათვის აუცილებლად მიმაჩნია, რომ უნდა იქნეს გაკეთებული სახელმწიფო განცხადება, რომელიც შეიძენსო უდიდეს მნიშვნელობას ("...it is of greatest importance that a statement should be made...").[3]

სიტუაცია კიდევ უფრო გაამწვავა დეპუტატმა სლოუნმა. მისი შეხედულებით, შოტლანდიაში ხალხი ღრმად იყო დარწმუნებული, რომ მოკლე, სტატიური განცხადების მიუხედავად, მას შემდეგ, რაც ჰესის თვითმფრინავი ჩვენს საჰაერო სივრცეში შემოვიდა, მას კუდში „სპიტფაიერი" იმიტომ დაუჯდა, რომ მას შესძლებოდა მშვიდობით დაშვებულიყო, არ დაეზიანებინა მისი უდანაშაულო კოჭი, შეესრულებინა თავისი მისია და გაფრენილიყო უკან, გერმანიაში ისე, რომ ყველაფერი ამის თაობაზე შოტლანდიელ ხალხს ვერაფერი შეეტყოო.

მას სიტყვა შეაწყვეტინა დეპუტატმა სერ პერსი ჰარდმა: ის ამას ვერ განახორციელებდა საწვავის ჩახსმის გარეშეო. სლოუნმა მიუგო: იგი

---

[1] ფაქტობრივად ლორდი-ნაცვალი, საგრაფოს სასამართლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ნომინალური მეთაური.

[2] Ib., 89.

[3] Ib., p. 92.

ბენზინს იოლად მიიღებდაო. ავიაციის მინისტრმა ისიც კი თქვა, რომ ჰერცოგი ჰამილტონი ჰესს საერთოდ არ იცნობდა და არც კი უნახავს იგი არასოდეს. მაგრამ, ამჟამად ხომ ყველამ იცის, რომ ჰერცოგი ბერლინში იყო ოლიმპიურ თამაშებზე. საერთოდ, ისინი ორთავე პრივილეგირებულ ფენებს ეკუთვნიან და ჩვენ, რიგით ადამიანებს არ გვანანო.

ჰამილტონი ბერლინში ესწრებოდა ყველა იმ ღონისძიებას, რომლებზეც თავის მხრივ იმყოფებოდა რუდოლფ ჰესიც. იქ მთელი ხალხი ოვაციითა და ფაშისტური სალუტით ესალმებოდა ფიურერის მოადგილეს. ამასვე, სავარაუდოდ აკეთებდა ჰერცოგიც, ინგლისის დელეგაციის სხვა წევრებთან ერთად (ისე როგორც დ. ლოიდ-ჯორჯი თავის დროზე გერმანიაში ვიზიტის დროს ლ.ს.). აქ კი ჩვენ გვიმტკიცებენ, რომ მას ჰესი არც კი უნახავს. ამის შემდეგ რაღა დავიჯეროთ? ჰერცოგმა ჰამილტონმა უნდა გვითხრას: უნახავს თუ არა ჰესი და ულაპარაკია თუ არა მასთან. საკითხი საჭიროებს გამოკვლევასო.

აქ თემთა პალატის სპიკერმა სცადა ყურადღება სხვა საგანზე გადაეტანა და განაცხადა, რომ იმედია ბატონი დეპუტატი (ე.ი. სლოუნი), არ ვარაუდობს ჩრდილის მიყენებას ლორდთა პალატის წევრისათვის. — არა სერ, მე უბრალოდ გაკვირვებული ვარ და მაინტერესებს, ხომ არ უღალატა მას გონებამ. მასთან მიმართებაში სულ ამას ვამბობ. მაგრამ სხვა საკითხია თვითონ ჰესი აქ ჩამოვიდა რაიმე სამშვიდობო წინადადებით თუ არაო, - უპასუხა სლოუნმა.

მე კარგად მესმის ხალხის გაჭირვება, შიმშილი, შეზღუდვები, დაბომბვები, რაც იგივეა გერმანიაშიც. მე ასევე კარგად მესმის, რომ გერმანიის პოლიტიკურ ლიდერებს, ისევე როგორც ჩვენი ქვეყნისას, უნდა ესმოდეთ, რომ სამხედრო საშუალებებით ამ ომს ვერ მიიყვან რაიმე გარკვეულ გადაწყვეტილებამდე. მაგრამ, რატომ არ ვართ ჩვენ, ხალხი, ინფორმირებული, თუკი არსებობს რაიმე გონივრული შესაძლებლობა ამ კონფლიქტის რაიმეგვარი მშვიდობიანი გადაჭრისა, - ადამიანების, ქალაქების, ხომალდებისა და ქონების ამ საქმისათვის შეწირვის ნაცვლად. გაგვაგებინეთ, იქნებ ჰესი ჩამოფრინდა ამის მსგავსი წინადადებებით, რატომ არ ვიცით ჩვენ არაფერი ამის თაობაზე. დაუჯერებელია, რომ ასეთი სახიფათო მოგზაურობა განხორციელებული ყოფილიყო რაიმე სერიოზული მოტივის გარეშე. ჩვენ კი გვეუბნებიან, რომ იგი თავის მტრებს გამოექცა საკუთრივ გერმანიიდან, რაც შეიძლება მართალიც იყოს. ამას ჩვენ ვერ განვსაზღვრავთ, მაგრამ ეს ხომ იციან იმ ადამიანებმა, რომლებმაც იგი დაკითხეს. სწორედ ასეთმა გასაიდუმლოებამ გამოიწვია ათასი მითქმა-მოთქმა ხალხში. ამიტომ, ვიდრე ეს სამარისებური იდუმალება დაირღვეოდეს, ქვეყნის მთავრობის მოვალეობა იმაში გამოიხატება, რომ შესაძლებლად უმოკლეს დროში

გვამცნოს, თუ ამ ქვეყანაში ჰესის ჩამოსვლით რა იმალებაო.

დაახლოებით ასეთია ის ინფორმაცია, რომელსაც გვაწვდის დიდი ბრიტანეთის იმდროინდელი პრემიერ-მინისტრის, უინსტონ ჩერჩილის არქივი - პრემიერ-3 ჰესის მისიის თაობაზე. ვფიქრობთ, რომ მიუხედავად იმ ირგვლივ ამტყდარი გრანდიოზული აჟიოტაჟისა, რომლის მეორე ნანილის გაცნობა წინ გველის, მკითხველი ალბათ დაგვეთანხმება, რომ თვით არსის გაცნობის თვალსაზრისით, ნაკლებად მნიშვნელოვნად წავინიეთ წინ. ეს იმიტომ, რომ მთავრობანი, დამოუკიდებლად დემოკრატიისადმი მათი განწყობა-დამოკიდებულებისა, ზედმეტად ზეპოლიტიკურნი არიან. როგორც იტყვიან — მუნჯის ენა დედამ იცისო. ინგლისელმა ხალხმა კარგად იცის საკუთარი ქვეყნის მთავრობის ტრადიცია. სხვაგვარად, როგორ შეიძლებოდა მასთან შერიგება, რომ ჰესის არქივი ლამის საუკუნე(!...) იყოს დახურული. ჩვენ რომ რაიმე გვეკითხებოდეს, ბრიტანეთის მთავრობის ამ კაპრიზს დემოკრატიულად ვერ ჩავთვლიდით. მაგრამ, ეს ხომ პირველი არ არის, და ალბათ, არც უკანასკნელი იქნება. მაგრამ, ახლა ხომ ახალი საუკუნეა. იმედად ისღა გვრჩება, რომ ევროგაერთიანებათა სტრუქტურებმა იქნებ რაიმე შეცვალოს და ფარ-ხმალი დააყრევინოს ამ ქვეყნის მთავრობას. ჩვენი ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ 21-ე საუკუნის პირველი ბრიტანელი ლიდერი, ლეიბორისტი ტონი ბლერი, საქმის კურსში არ არის.

ყოველივე ზემოთქმულის მიუხედავად, ალბათ დაგვეთანხმებით, რომ ჩერჩილისეული არქივის მასალები, საკმარისად საინტერესოა. თუ ყველაფერ ამას იმ ზოგიერთ დეტალსაც დავუმატებთ, რომლებსაც მომავალში უნდა გავეცნოთ, ინტერესი მის მიმართ კიდევ უფრო გაიზრდება. სახელდობრ, თუნდაც ის, რომ თვით ინგლისში გაფრენის იდეა, საფრანგეთის კაპიტულაციის დღეებში გაჩენილა, ისევე, როგორც საბჭოთა კავშირზე თავდასხმისა; და რომ ჰიტლერს 1941 წლის 3 მაისს გაუმხელია, რომ მას დიდ ბრიტანეთთან დაპირისპირება და, მით უმეტეს, საკონფრონტაციო, არაფერი აქვს და სხვ.

აქვე უნდა აღინიშნოს აგრეთვე ის დიდმნიშვნელოვანი მოვლენები და სენტენციები, რომლებიც ჰესის ინგლისში გაფრენამ გამოიწვია. ამ თვალსაზრისით იგი, ზოგიერთ სხვა მოვლენასთან ერთად, მე-20 საუკუნის ერთ-ერთი ტექტონიკური ძვრის მსგავსი მოვლენა გახლავთ. თუნდაც რად ღირს ის უმნიშვნელოვანესი გადაადგილებები ევროპასა და მსოფლიოში, რომლებიც შუა საუკუნეების ხალხთა დიდ გადასახლებებს მოგვაგონებენ. ჩვენი პლანეტის ცა ვეღარ იტევდა თვითმფრინავებს, რომელთაც ამ გაფრენის შიკრიკები თუ ინფორმაცია გადაჰყავდათ და გადაჰქონდათ. ჯერ მარტო ჰიტლერთან მრისხანე ნაცისტური გერმანიის ჯუჯა ლიდერთა წინ და უკან სირბილი ეყოფოდა საქმეს.

მაგრამ რა ხდებოდა მეორე მხარეს? ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი დიდ ბრიტანეთში — ჯონ უაინანტი, რომელიც სულ რამდენიმე თვის ჩასული იყო ლონდონში, ვაშინგტონში გაემგზავრა[1] პრეზიდენტ რუზველტის მოსანახულებლად. თურმე ძალზე „მოენატრა" თავისი ქვეყნის ხელმძღვანელი. აკი ჩერჩილმაც თქვა პარლამენტში, რომ რუზველტს შევატყობინეთო, თითქოსდა დიდი ბრიტანეთი ამერიკის შეერთებული შტატების 49-ე შტატი გახლდათ.[2] მაგრამ მთავარი ეს არ არის. როგორც ეს ისტორიული ლიტერატურიდან ირკვევა, რუზველტი ჩერჩილს ისევე აგდებულად ჰყავდა ინფორმირებული, როგორც ამას სტალინს უპირებდა, მაგრამ აქედან რაც გამოუვიდა, ამას ქვემოთ ვნახავთ. რუზველტი, თავისი მაღალი კულტურისა და ინტელიგენტობის გამო განაწყენებას გარეგნულად არ გამოხატავდა, მაგრამ იგი რომ ასეთ პოზიციაში იყო, იქიდან ჩანს, რომ ჰესის ჩაფრენიდან რამდენიმე დღის შემდეგ, მას უკითხავს ვიცე-პრეზიდენტის სამნერ უელესისთვის, რომელიც, როგორც ჩვენთვის უკვე ცნობილია, ომის წინ გერმანიაში შეხვდა ჰესს!

„სამნერ, თქვენ უნდა შეხვედრილი იყოთ ჰესთან, როცა გასულ წელს იყავით ევროპაში". უელსს დაუდასტურებია ეს. „როგორი კაცია?" — უკითხავს პრეზიდენტს: „ფანატიკური, მისტიკური ერთგულებით ფიურერისადმი, ჩანს გონებაჩლუნგი და ა.შ. რუზველტი წამით დადუმებულა და მერე უთქვამს: „მინდოდა გამეგო, რა იმალება სინამდვილეში ამ ამბის მილმაო". უელესსაც დაუდასტურებია, რომ ეს არც მან იცის.[3]

წიგნის ავტორი, რობერტ შერვუდი, რომლის ამონარიდით ჩვენ ვისარგებლეთ, სავსებით კანონიერ კითხვას აყენებს: „...პრეზიდენტი იგივე შეკითხვას სვამს, რომელსაც ათასობით, თუ არ მილიონობით სხვა ამერიკელიო... რამდენიმე თვის შემდეგ, როდესაც ლორდი ბივერბრუკი მოსკოვში იყო, - განაგრძობს შერვუდი, - სტალინმა ჰკითხა მას: როგორიაო სიმართლე ჰესის თაობაზე? „ყველა იყო დაინტრიგებულიო", - ყოფილა პასუხი.[4] ასეთია სიმართლე. უინსტონ ჩერჩილი პარლამენტს ატყუებდა — პრეზიდენტმა იცის ყველაფერიო, რუზველტი კი გაკვირვებული კითხულობდა, რა იმალებაო ამის უკან? ასე ჩვენო მკითხველო, „ხან ისე და ხან ასეო, ასე ჩემო მანასეო".

ჩვენთვის უკვე ნაწილობრივ ნაცნობი ჩერჩილის არქივებიდან ვგებულობთ, რომ აივონ კირკპატრიკი დუბლინში (ირლანდია)

---

[1] Premier-3. 219/1. p. 4.

[2] მაშინ აშშ-ში ჯერ კიდევ 48 შტატი იყო.

[3] Шервуд, Р. Рузвельт и Гопкинс. М., 1958. 483-484.

[4] Там же.

გამგზავრებულა.[1] მის მოგონებებში მოტანილი ვერსია იმის თაობაზე, რომ ეს გამოწვეული იყოო საოჯახო ბიზნესით, საკმაოდ არასერიოზული ხასიათისაა. ასეთი მოტივაცია მას უბრალოდ არ ეკადრება. რაღა მაინცდამაინც გახურებულ „ჰესომანიის" დღეებში გაახსენდა კირკპატრიკს ირლანდიური ბიზნესი. ნაკლებად რომ ეს ვინმემ დაიჯეროს. მით უმეტეს, რომ ირლანდიის საკითხი თვით კირკპატრიკმა აღძრა ჰესთან საუბრის დროს.

მკითხველს უნდა შევახსენო, რომ ჰესის ინგლისში ჩაფრენისას, საომარი მდგომარეობა მხოლოდ ამ ორ ქვეყანას შორის მიმდინარეობდა. ამის მიუხედავად მათი დიპლომატები სხვა ქვეყნების დედაქალაქებში მაინც ხვდებოდნენ ერთმანეთს. მოსკოვში ჰესის გაფრენასა და ინგლისში ჩაფრენის თაობაზე განცხადება ორთავე ქვეყნის ელჩმა გააკეთა. ინგლისიდან ეს გახლდათ სერ სტაფორდ კრიპსი, ხოლო გერმანიიდან — გრაფი შულენბურგი. ი. სტალინმა არც ერთის განცხადება ირწმუნა და არც მეორესი. თუმცა შულენბურგმა სრულიად უჩვეულო გულახდილობა გამოავლინა სტალინთან, როცა უთხრა „ჰესი სულელიაო".[2] ასევე არ ირწმუნეს იაპონიაში იქ აკრედიტებული ელჩის განცხადება, ესაოდა, იტალიაში, საგარეო საქმეთა მინისტრი გაგზავნეთ, ჩვენ რითი ვართ მათზე ნაკლებიო.

იოაჰიმ რიბენტროპის სწორედ ამ ვიზიტზე მინდა მკითხველის ყურადღება შევაჩერო. იგი ჩვენ ნაწილობრივ უკვე წარმოგიდგინეთ იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრის, ბენიტო მუსოლინის სიძის — გალეაცო ჩიანოს მემუარების მიხედვით, რომელსაც ჩვენთვის უკვე ნაცნობი აშშ ვიცე-პრეზიდენტი — სამნერ უელესი — თვლის თავის დროის ერთ-ერთ ყველაზე ღირებულ ისტორიულ დოკუმენტად,[3] ხოლო მთელს მსოფლიოში აღიარებული ჟურნალისტი და პუბლიცისტი მალკოლმ მაგერიჯი ყველაზე ღირებულად ისტორიკოსთათვის,[4] რაშიც მალე დავრწმუნდებით.

ჩიანოს დღიურებში პირველი ცნობა ჰესის გაფრენის თაობაზე 1941 წლის 13 მაისის ჩანაწერებში ჩნდება. „ჰესის საქმეს, - წერს იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრი, - სენსაციურობის ელფერი დაჰკრავს. ჰიტლერის მოადგილე, მისი მომდევნო ხელმძღვანელობაში, პიროვნება, რომელსაც თითქმის ათი წლის განმავლობაში ეპყრო საჭე ყველაზე მძლავრი გერმანული ორგანიზაციის, შოტლანდიაში დაჯდა თვითმფრინავით. იგი გაფრინდა და დაუტოვა წერილი ჰიტლერს. ჩემი შეხედულებით, – წერს ჩიანო, – ეს ძალზე სერიოზული საკითხია: **ინგლისის პირველი სერიოზული გამარჯვებაა.**

---

[1] Premier-3. Ib., 4.

[2] Шервуд, Р. Там же. 610

[3] Chiano's Diary. 1939-1943. London, 1947, IX

[4] Ib. XIII

დასაწყისში, დუჩე (ე.ი. მუსოლინი — ლ.ს.) დარწმუნებული იყო, რომ ჰესი იძულებული გახადეს დამჯდარიყო, როდესაც ის მიემართებოდა თავისი დანიშნულებით ირლანდიაში, რათა წამოეწყო იქ აჯანყება. მაგრამ მალე მან გადათქვა ეს აზრი და ამჟამად ჩემს აზრს იზიარებს ამ მოვლენის განსაკუთრებული მნიშვნელობის თაობაზე.[1]

მოულოდნელადო, – განაგრძობს ავტორი, – რომში გვეახლა რიბენტროპი. იგი ზნეწამხდარია და ანერვიულებული. მას სურვილი აქვს დუჩესა და მე მოგვეთათბიროს ზოგიერთ საკითხზე, თუმცა რეალურად ერთადერთი მიზანი აქვს: მას უნდა საქმის კურსში ჩაგვაყენოს ჰესის საქმესთან დაკავშირებით, რომელიც ახლა მთელი მსოფლიოს პრესის განხილვის საგანია. ოფიციალური ვერსიით ჰესი დასუსტებულია ფიზიკურადაც და გონივრულად. იგი თავისი მშვიდობისმოყვარე ჰალუცინაციების მსხვერპლი შეიქნა და ინგლისს გაემგზავრა იმ იმედით, რომ ხელს შეუწყობდა სამშვიდობო მოლაპარაკებათა დაწყებას, მაგრამ რამდენადაც იგი მოღალატე არ არის, ამდენად, არც არაფერზე ისაუბრებდა. აქედან გამომდინარე, მასზე რაც არ უნდა ითქვას, თუ დაიწეროს, ყველაფერი ყალბი იქნება.

რიბენტროპის საუბარი, - განაგრძობს ჩიანო, - საკითხის მოგვარების სანიმუშო მაგალითია. გერმანელთა სურვილია მოვლენების დასწრება, ვიდრე ჰესი ალაპარაკდებოდეს და იმ საკითხების ახსნა, რომლებმაც დიდი შთაბეჭდილება შეიძლება მოახდინოს იტალიაზე. **მუსოლინიმ დაამშვიდა რიბენტროპი, მაგრამ მოგვიანებით მითხრა, რომ ჰესის გაფრენას იგი წარმოიდგენს ნაცისტური რეჟიმისადმი შემაძრწუნებელ დარტყმად. თან დაუმატა, რომ ის თვითონ ამით ძალზე გახარებულია, რამეთუ მას ექნება ეფექტი რათა დაძლიოს გერმანელთა მედიდურობა, მათ შორის თვით იტალიელებთან მიმართებაშიც კი** ("even with the Italians").[2]

ხომ ხედავთ, პატივცემულო მკითხველო, როგორ ჰყვარებიათ ერთმანეთი იტალიელ ფაშისტებსა და გერმანელ ნაცისტებს. გერმანელებისადმი ასეთი დამოკიდებულება ყოველთვის შეინიშნება გრაფ ჩიანოს ნააზრევში.

ოფიციალური საუბრის შემდეგ, ჩიანოს რიბენტროპი და მისი თანმხლები პირნი, შინ მიუწვევია სადილზე. გერმანელები, დეპრესირებულნი ჩანდნენო, – აღნიშნავს ავტორი. — რიბენტროპი ინგლისის მიმართ ისეთ გამოთქმებს ხმარობს მონოტონურად, რომლებიც უფლებას აძლევს გერინგს, იგი მონათლოს როგორც „გერმანიის №1 ყვავი".

---

[1] Ib. 342

[2] Ibidem.

ეს ყველაფერი ისე გამოიყურება, როგორც ბისმარკი,[1] რომელსაც ეზიზღება თავისი მინისტრი, ყოველ ფრაზას რიბენტროპის მიმართ გამოხატავს მკაცრი პროტესტით მაგიდის ქვეშ (ე.ი. ფეხის გაკვრით — ლ.ს.) ანფუზოსთან,[2] რომელსაც ბოლოს ეტყვის: „ის იმდენად ჭკუათხელია, რომ ქარაფშუტად გამოიყურებაო".[3]

მეორე დღეს, 14 მაისს, რიბენტროპი უკან გაფრინდა „პალაცო-ვენეციაში" გამართული ხანმოკლე თათბირის შემდეგ. ჰესის საქმე აღარ გამხდარა მსჯელობის საგანი. ინგლისის რადიომ გამოაცხადა მხოლოდ, რომ „იგი დაჯდა წერად, რამაც გერმანელი მინისტრი საკმაოდ გააღიზიანაო". როდესაც რიბენტროპის ოთხმოტორიანი თვითმფრინავი აფრენილა, ბისმარკს[4] უთქვამს ანფუზოსთვის: „ნეტავი, თქვენი კარგად ყოფნით, ეს თვითმფრინავი ჩამოვარდებოდეს და ისინი ყველანი, კისერს მოიტეხდნენო. მაგრამ აქ არა (ვითომდა იტალიაში — ლ.ს.) თორემ ამდენი ნაგავის გადასატანად დიდი შრომა დაგვჭირდებაო".[5]

„ასეთი გახლავთ გერმანელთა ეროვნული სოლიდარობა!", არანაკლები შანის მოგებით აღნიშნავს გალეაცო ჩიანო.

15 მაისის ჩანაწერში იგი მიუთითებს, რომ მოლოდინის საწინააღმდეგოდ ინგლის-ამერიკის პროპაგანდა ჰესის საქმესთან დაკავშირებით, საკმაოდ ზომიერია. ერთადერთი ნამდვილად საზიანო დოკუმენტი გახლავთ თვით გერმანული ოფიციალური განცხადება, ანენილ-დანენილი და გაუგებარი. ალფიერი[6] წერს, რომ დაბნეულობამ ბერლინში, აბსოლუტურად ყველა წრეში პიკს მიაღწია. იგი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ გერმანელები, დამოუკიდებლად მათი სრულყოფილებისა და გაბედულებისა, უბრალოდ სახედაკარგულნი არიან.

უკვე 16 მაისს ჰესის საქმესთან დაკავშირებით, ყველაფერი ჩაწყნარებული ჩანსო, თუმც ინგლისური პრესა ხაზს უსვამს საიდუმლო მისიის სამშვიდობო ხასიათზე, რაც იმდენად შორს მიდის, რომ ეჭვებს წარმოშობს ჰიტლერისა და ჰესის წინასწარ შეთანხმებაზე (a prearranged agreement). ეს კი ეწინააღმდეგება რიბენტროპის განცხადებასო.[7]

---

[1] გერმანიის საელჩოს თანამშრომელი რომში.

[2] ჩიანოს პირადი მდივანი.

[3] Ibidem

[4] პრინცი ოტტო ფონ ბისმარკი - „რკინის კანცლერის" შვილიშვილი, რომში გერმანიის საელჩოს მრჩეველი გახლდათ. გამოირჩეოდა ნაცისტებისადმი სიძულვილით და მახვილ-გონიერებით. მას სხარტი გამონათქვამები აქვს. მაგალითად, რუსების ნდობა არ შეიძლება ორი მიზეზის გამო. პირველი, იმიტომ რომ ბოლშევიკები არიან, მეორე კი — რომ რუსები არიანო, და უფრო მეორე მიზეზის გამო, ვიდრე პირველისაო.

[5] Chiano's Diary, 342-343.

[6] ჩიანოს ახლო მეგობარი, პოლიტიკოსი, დიპლომატი, იმჯერად იტალიის ელჩი ბერლინში.

[7] Ib., 344.

საინტერესო სცენა გათამაშდა 29 მაისს. ჩიანო თან გაჰყვა დინო ალფიერის, რომელიც ის-ის იყო ბერლინიდან დაბრუნებულიყო. იგი ერთ-ერთი პირველთაგანი იყო იტალიელთაგან, რომელმაც ლამის სამძიმარი გამოთქვა, როდესაც ჰიტლერს უდეპეშა „მისი ფავორიტი კოლეგის დაკარგვა". მუსოლინმა ჰკითხა მას, რა იციო ახალი ჰესის საქმესთან დაკავშირებით. თითქმის არაფერიო, უთქვამს ალფიერის. დუჩეს ერთგვარი შეცბუნებით მიუპყრია მზერა, ესაოდა, ლამის შავების ჩაცმას აპირებდიო, ახლა კი აღარაფერი იციო?..

ყველაზე დრამატული და, ალბათ, სენსაციურიც, ჰესის საქმესთან დაკავშირებით, ჩიანოს დღიურებით მაინც წინ არის. დაბეჯითებით გვწამს, რომ გრაფი გალეაცო, ამ თვალსაზრისით, ნამდვილად სწორუპოვარი დოკუმენტალისტია. მოვუსმინოთ მას:

1941 წლის 31 მაისს, გერმანიის ფიურერს სიტყვა შემოუთვლია იტალიელთათვის — ბენიტო მუსოლინის ნახვა მინდა შესაძლებლად მოკლე დროშიო. დუჩე დიდი სიხარულით არ შეხვედრია ამ ცნობას — დავიღალე ამდენი წინ და უკან ხეტიალითო, მაგრამ ბოლოს მაინც კვერი დაუკრია. გადაწყდა: 2 ივნისს, ბრენერის უღელტეხილზე შეხვდებოდნენ. მთელი მსოფლიო საგონებელში ჩავარდა; კიდევ რა საშინელება უნდა მოემზადებინათ, მათ იქ? — წერს რ. შერვუდი.[1] შეხვედრაზე დამსწრეთაგან ჩიანო ერთადერთია, ვინც მეტ-ნაკლებად ხელშესახები ინფორმაცია დაგვიტოვა.

ჩიანო 1 ივნისს მატარებლით გამგზავრებულა რომიდან. თანმხლებ პირთა შორის ყოფილა ჩვენთვის უკვე ნაცნობი პრინცი ოტო ბისმარკი, რომელთანაც მას გარკვეული სიახლოვე აკავშირებდა. ამის შესახებ თუნდაც ის მეტყველებს, რომ თავის 550 გვერდიან მემუარებში იგი მას დაახლოებით 40-ჯერ ახსენებს. ბისმარკს ბევრი რამ საინტერესო უამბნია ახალგაზრდა იტალიელი მინისტრისათვის (იგი მაშინ 38 წლისა იყო). მათ შორის ისიც, რომ გერინგმა თავისი გავლენა ჰიტლერზე შესამჩნევად დაკარგა. ჩვენი ეჭვები ამის თაობაზე, დასტურდება თითქმის პირველწყაროთიო.

საუბარი ორ დიქტატორს შორის შეხვედრისას კარსმილმა წარმართულა. დღის წესრიგში, როგრც ჩანს, უმთავრესად ომის საკითხი ყოფილა. ძნელი დასაჯერებელია, რომ ჰიტლერი ზავს ეძებდა, როცა საბჭოთა კავშირის საზღვარზე 200-მდე დივიზია ჰყავდა განლაგებული. „ისინი ახლა, უთქვამს მუსოლინის ჩიანოსათვის შემდეგ, დაქანცულნი არიან ამდენი გამარჯვებით. ამჟამად კი, მათ მთავარი გამარჯვება უნდათ — გამარჯვება, რომელიც ზავს უზრუნველყოფს".

მაგრამ ამჯერად ჩვენ ეს არ გვაინტერესებს. მთავარი ჩვენთვის ამ

[1] Шервуд. Р. Там же. 491.

საუბრის პროცესიდან ის გახლავთ, რომ მუსოლინის თქმით, ჰიტლერთან მისი კერძო საუბრისას ფიურერი ალაპარაკებულა ჰესის თაობაზე და ჰოი, საკვირველებავ — ატირებულა!...

ჰიტლერი? ხომ არ გვეშლება? არა, ნამდვილად ადოლფ ჰიტლერი. ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ ფაქტია, ფაქტი კი ჯიუტია. ხოლო თუ ეს ასეა, ამის შემდეგ რაიმე არის საკამათო, რომ ჰესის ინგლისში გაფრენა ჰიტლერთან იყო შეთანხმებული და მისი სურვილით განხორციელებული?

მარტო ამ ერთი მტკიცებისათვისაც არის ფასდაუდებელი ჩიანოს მემუარები ისტორიკოსისათვის. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ არანაკლებ საინტერესოა 10 ივნისის ჩანაწერი, როდესაც იტალიის ომში ჩაბმიდან წლისთავი შესრულდა.

იტალიელები მათ შორის მუსოლინი, საშინლად უკმაყოფილონი იყვნენ გერმანელებით. კერძოდ, მათი ჩარევით ბალკანეთისა (იუგოსლავია-საბერძნეთის ოკუპაციის შემდეგ) და კიდევ უფრო კონკრეტულად — ხორვატიის საქმეებში. ჩიანოს თქმით, იმ დღეს დუჩემ გაუგონარი მაგარი სიტყვები იხმარა გერმანელთა მისამართით, ისეთი, რომლის მსგავსი მისგან არასოდეს გამიგონიაო. ეს გახლდათ აგრესიული მუსოლინი, სხვაგვარად ნამდვილი მუსოლინი თავის „საუკეთესო ფორმაშიო". „იმას არა აქვს მნიშვნელობა, უთქვამს დუჩეს, რომ გერმანელები ქაღალდზე ჩვენს უფლებებს სცნობენ ხორვატიაში, მაშინ როდესაც პრაქტიკულად მათ ყველაფერი მიაქვთ, ჩვენ მხოლოდ ძვლების მცირედ გროვას გვიტოვებენ. ისინი ჭუჭყიანი ღორები არიან და მე გარწმუნებთ, რომ ეს დიდხანს არ გაგრძელდება... მე პირადად კისერში ამომივიდა ჰიტლერი და მოქმედების მისი გზა... ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, რა სახის კონფერენციები არის ეს? ხუთი საათის განმავლობაში მე იძულებული ვხდები, ვისმინო სრულიად უვარგისი და მომაბეზრებელი მონოლოგები. ის (იგულისხმება ჰიტლერი — ლ.ს.) საათობითა და საათობით საუბრობს ჰესზე, „ბისმარკზე"[1] და ომის ამა თუ იმ საკითხზე, თუმცა გადაწყვეტილებებს არ ღებულობს...[2]

ბუნებრივია იბადება კითხვა: როდესაც ქვეყნის ხელმძღვანელი ვითომდა მისგან გაქცეული მოადგილისა და თანამებრძოლის სახელის ხსენებისას ტირის და საათობით საუბრობს მის შესახებ, ყველაფერი ამის შემდეგ განა, რაიმე ეჭვი შეიძლება არსებობდეს ინგლისში ჰესის გაფრენის საკითხში მასა და ჰესს შორის სრულ თანამოაზრეობასა და თანამშრომლობის თაობაზე? განა ვინმე დაიჯერებს ვერსიას, რომ იგი გაგიჟდა, ნერვებზე აიშალა და ჰიტლერის დაუკითხავად გაფრინდა?

---

[1] მსოფლიოში ყველაზე დიდი სახაზო გემი, რომელიც უთანასწორო ბრძოლაში ჩაძირეს ინგლისელებმა 1941 წლის 26 მაისს.

[2] Chiano's Diary. Ib., 356.

მართალია, გერმანიის ელჩმა მოსკოვში, გრაფმა შულენბურგმა სტალინს უთხრა „ჰესი სულელიაო", მაგრამ ლორდმა ბივერბრუკმა, იმავე სტალინთან საუბარში კატეგორიულად არ დაადასტურა ეს სენტენცია. ამიტომ ვუწოდეთ ჩვენ ამ თავს - „გაფრენა თუ აფრენა" ჩვენს მონოგრაფიაში ჰესის შესახებ, რამეთუ ჩვენი მშობლიური ენა ასე ლამაზად იძლევა ამ შეპირისპირებული სენტენციების გადმოცემის საშუალებას. საერთო განწყობა დიდ ბრიტანეთში ყველაზე მოსწრებულად და ამასთანავე პოეტური სახით გამოხატა პარლამენტის წევრმა, სერ ალან ჰერბერტმა ლექსში, რომელიც ჰესს მიუძღვნა:

გიჟი იყო, მიაჩნდათ მშვიდობის მტრედად,
ეგონათ მესია და გვიტირა დედა.
ქურქი ცხვრისა ჰქონდა, თვითონ იყო მგელი,
ვინც გვერდით დაუდგება, სიკვდილი ელის.
ბახუსთან გამწყრალია ბნელი ღამის მაყარი.
პატარა ბიჭივით მოსწონს აყალ-მაყალი.
სიცოცხლეზე მეტად შეუყვარდა პარტია,
ვიცე-ფიურერის ჩინი და მანტია.
ძლიერ უყვარს ფრენა და დროდადრო გაფრენა,
გებელსის სიგიჟის აშვება აფრებად.
ინგლისში ილტვოდა სანუკვარ ოცნებით,
ჩავალ და ჰამილტონს იქ გავაოცებ.
როცა მესეშმიდტთა შტურვალი მიანდეს,
ხელის გაწვდომაღა დარჩა ჰერცოგამდე...
მაგრამ ეს რა ხდება, დაგიდგა რა დღე?
რუდოლფ, შენი გული გაუძლებს ამდენს?
გინდოდა ინგლისთან გაგეყო ხმელეთი
და რომ ერთად დაგემხოთ რუსეთის ბნელეთი.
თუმც ვეღარც ოცნებას,
ვერც შტურვალს იურვებ,
ვერასდროს ვერ ნახავ საყვარელ ფიურერს.[1]

და კიდევ ერთ საკითხზე გვინდა ყურადღება შევაჩეროთ. საუბარია იმ გაურკვეველ გარემოებაზე, რომელიც გამოწვეული იყო, ინგლისისა და გერმანიის საჰაერო დაბომბვების შეწყვეტით.[2] ეს გახდა საუბრის საგანი არა მარტო ევროპაში, არამედ ამერიკაშიც. აი, როგორ აფასებს სიტუაციებს რობერტ შერვუდი, ავტორი წიგნისა - „რუზველტი და ჰოპკინსი". ეს უკანასკნელი 1941 წლის ივლისის დასასრულს ლონდონში

[1] Douglas Hamilton J. Op. cit., 172. (თარგმანი ჩვენია — ლ.ს.)
[2] Premier-3. 219/1, 4

ჩასულა პრეზიდენტის დავალებით. ბრიტანეთის კუნძულებზეც კი ცხელი დღეები ყოფილა. ჰოპკინსმა ინგლისში ბევრი ცვლილება შეამჩნია. უკვე ორი თვე გასულიყო, რაც სერიოზული საჰაერო დაბომბვები აღარ განმეორებულა და ინგლისი მარტო აღარ იყო ბრძოლაში. უდიდეს სიმსუბუქეს გამოხატავდნენ ქუჩაში ადამიანთა სახეებიო, მაგრამ მდგომარეობის შემსუბუქებას გადამალავდა ხოლმე ახალი, გაურკვეველი განგაშის გრძნობა. ისე ჩანდა, რომ ინგლისელები იმ დროისათვის იმდენად შეეჩვივნენ დაბომბვებს, რომ მათ უკავშირებდნენ სიმხნევის შენარჩუნების გარკვეულ იმედებს. ახლა კი, დაბომბვათა გარეშე ისინი საგონებელში ჩავარდნენ: რაღას ელოდნენ ახლა მათგან ომის წარმოებასთან დაკავშირებით? ისინი სიხარულით ეგებებოდნენ ყოველ ცნობას რუსეთიდან გერმანელებისადმი მათი წინააღმდეგობის თაობაზე, მაგრამ თავიდან ვერ მოეცილებინათ შიში: ვაი თუ ეს ყველაფერი დროებითი მოვლენაა და როგორც კი ჰიტლერი აღმოსავლეთში რუსებს გაუსწორდება, მათი მდგომარეობა უარესი შეიქნებოდა, ვიდრე ოდესმე. მათ ეჭვები ეუფლებოდათ იმის თაობაზე, რომ ამერიკელთაგან დიდი ხნის ნანატრი შეიარაღებული დახმარება უიმედოდ გზააბნეული ჩანდა.[1]

ასეთი ჩანს არასრულყოფილი სურათი ჰესის მისიაზე რეაგირებისა მსოფლიოში. ვფიქრობთ, საინტერესო ტილო შეიქმნა. მაგრამ მეტი დამაჯერებლობისათვის მტკიცებაში ჩავრთავთ კიდევ ერთ ფიგურანტს, მოვლენის მისეული შეფასება უფრო სრულყოფილს გახდის აზრს, რომ ჰესის გაფრენა არამარტო შეთანხმებული იყო ჰიტლერთან, არამედ მისგან იყო ინსპირირებული. ეს პიროვნება გახლავთ ოტო სკორცენი, მსოფლიოში ცნობილი ნაცისტი ავანტიურისტი. ავსტრიის კანცლერის დოლფუსის მკვლელობის ორგანიზატორი, ჰიტლერის დავალებით ბენიტო მუსოლინის გამტაცებელი და ა.შ., თუმც მანამდე იქნებ სჯობდეს სტალინ-ჩერჩილის დავა-კამათის გაცნობა ჰესის საკითხის ირგვლივ, რაც შესაძლებელი გახდა ჩერჩილის აქამდე უცნობი არქივის მასალებით.

[1] Шервуд Р. Там же. 502-503.

თავი XIII

„გეგმა ბარბაროსა"

ასე ეწოდებოდა საბჭოთა კავშირზე თავდასხმის გეგმას ანუ ჰიტლერის დირექტივას №21 — "Case Barbarossa". ის გამოიცა 1940 წლის 18 დეკემბერს და საიდუმლოების დაცვის მიზნით მხოლოდ 9 ეგზემპლარად დაიბეჭდა.

ერთხელ, საქართველოს ერთ-ერთ უმაღლეს სასწავლებელში სტუდენტებს უკითხავთ ლექტორისათვის- „რატომ უწოდესო ეს სახელი ამ გეგმას?" დაბნეულს, კათედრასთან მდგომ მარქსისტ მასწავლებელს სხვა ვერაფერი მოუშველიებია და უპასუხნია- „განა ვერ ხვდებითო, ბარბაროსული იყო იგი და ამიტომო".

სინამდვილეში კი ჰიტლერმა, რომელსაც თავში ყოველთვის რაღაც ასოციაციები უტრიალებდა, ეს სახელი უწოდა პრუსიის მეფისა და რომის საღვთო იმპერიის იმპერატორის — ფრიდრიხ I-ის საპატივცემულოდ, რომელსაც ზედმეტსახელად ეძახდნენ „ბარბაროსას" — მისი წითურობის გამო. ეს მას — ფრიდრიხ ბარბაროსას ჰქონდა პრუსიის მიწების გაფართოების იდეა აღმოსავლეთის ტერიტორიათა ხარჯზე. ამ იდეამ თავისი გამოხატულება ჰპოვა ჰიტლერის მარადიულ სწრაფვაში - „სასიცოცხლო სივრცის" ანუ Lebensraum-ის თაობაზე, რომელიც ბარბაორსასთან იღებდა სათავეს. აქედან „ბარბაროსას გეგმა".

პოლონეთთან ერთად, რუსეთიც ხომ აღმოსავლეთით მდებარეობდა გერმანიისაგან. გეგმის მიხედვით, გერმანიის ჯარები უნდა გასულიყვნენ ე.წ. „A-A-ს" ხაზზე, რაც ნიშნავდა არხანგელსკ-ასტრახანს.

ჰიტლერის დირექტივაში სიტყვა-სიტყვით იყო მინიშნებული, რომ ჯარების დისლოკაცია რუსეთის საზღვრებთან უნდა დამთავრებულიყო 15 მაისისათვის.[1] ეს იმაზე მეტყველებს, რომ სადღაც იმავე თვის მეორე ნახევარში უნდა დაწყებულიყო თავდასხმა.

მთელი მეორე მსოფლიო ომის განმავლობაში პირველად მოხდა, რომ დაირღვა ჰიტლერის ბრძანების თარიღი. საბჭოთა კავშირზე თავდასხმა სინამდვილეში ერთი თვით (თუ მეტი არა) გადავადდა. განა საინტერესო არ არის რა მოხდა სინამდვილეში? რამ გამოიწვია ეს დაყოვნება?

ჩვენი მტკიცე რწმენით ის გამოწვეული იყო სტალინის დიდი სამხედრო-სტრატეგიული ჩანაფიქრით, რომელმაც ძირფესვიანად შეცვალა ჰიტლერის „ელვისებური ომის" (და არა მარტო მისი) იდეა. როგორ მოხდა თავდასხმის გადავადება? ამის შესახებ დღეს უკვე საკმაოდ უტყუარი ინფორმაცია გვაქვს: სტალინის დავალებით კგბ-მ

[1] Hitler's War Directives. 1949-1945. Ed. by H.R. Trevor-Roper. L., 1964. 94.

სახელმწიფო გადატრიალება მოაწყო იუგოსლავიაში 1941 წლის მარტის ბოლოს და ხელისუფლებაში მოიყვანა პროსაბჭოური მთავრობა გენერალ დუშან სიმოვიჩის ხელმძღვანელობით, რომელმაც მეორე-მესამე დღეს, სახელდობრ 5 აპრილს, გამოაქვეყნა საბჭოთა რუსეთთან დადებული ხელშეკრულება.

ცოფმორეული ჰიტლერი მეორე დღესვე — 6 აპრილს მომენტალურად ინყებს ოპერაცია „მარიტას" — იმავე იუგოსლავიასა და საბერძნეთის წინააღმდეგ, რაც მუსოლინის დახმარების მიზნით განხორციელდა იუგოსლავიის პარალელურად. აღნიშნულ სამხედრო კამპანიას თვეზე მეტი დასჭირდა, რამაც იძულებული გახადა ადოლფ ჰიტლერი - „ბარბაროსას გეგმა" მაისის მეორე ნახევრის ნაცვლად — ივნისის მეორე ნახევარში აღესრულებინა, რამაც დასცა „ელვისებური ომის" ტემპი და გერმანიის ჯარები მოსკოვის კარიბჭესთან აგვისტოში კი არ მიიყვანა, არამედ ოქტომბრის ბოლოს, როდესაც იმ წელს რუსეთის მუდმივ მფარავი „სუსხიანი ზამთარი", გერმანელთა მიერ „გენერალ ზამთრად" წოდებული, - უჩვეულოდ ადრე და გამორჩეულად მკაცრი იყო „მასპინძელი" ქვეყნის საბედნიეროდ.

სწორედ მაშინ — 1941 წლის ზამთარში განიცადა ჰიტლერის უძლეველმა არმიამ სასტიკი მარცხი მოსკოვის მისადგომებთან. წითელმა არმიამ 300-400 კმ-ით დაახევინა უკან — გერმანიისაკენ. ეს იყო პირველი დიდი მოულოდნელობა და კონფუზი, რომელმაც გაოცებაში მოიყვანა არამარტო რიგითი ამერიკელები და ინგლისელები, არამედ მათი აღიარებული სპეციალისტებიც, რამეთუ მათი ვარაუდით (მეტწილ ინგლისელებისა) წითელი არმია ვერმახტს სამ-ოთხ კვირაზე მეტს (ამერიკელთა აზრით — ორ-სამ თვეს) ვერა და ვერ გაუძლებდა. პირადად მე მაშინ 13-14 წლისა გახლდით და როგორც გუშინდელი დღე, ისე კარგად მახსოვს მთელი ეს ისტორია.

შთაბეჭდილებათა უფრო რელიეფურად წარმოდგენის მიზნით, ნათქვამს ერთ საინტერესო ფრაგმენტს დავუმატებდით. იმ ზაფხულის შუა რიცხვებში, შეერთებული შტატების პრეზიდენტმა — ფრანკლინ დელანო რუზველტმა თავისი მრჩეველი და უახლოესი ადამიანი გაგზავნა რუსეთში, რათა მდგომარეობაში გარკვეულიყო. იგი გახლდათ ჰარი ჰოპკინსი, რუზველტის „ალტერ-ეგო".

ი. სტალინმა, რომელიც უკვე ინფორმირებული იყო ამის თაობაზე, ხაზგასმული გულითადობით მიიღო სტუმარი და დააკმაყოფილა მისი თხოვნაც, დაეთვალიერებინა ფრონტის ხაზი. უკან, ამერიკაში მიბრუნებულმა ჰოპკინსმა — პირველმა დასავლელთაგან გააოცა პრეზიდენტი: „რუსები ჯერ-ჯერობით უკან იხევენო, მაგრამ იცოდეთ, ისინი არასოდეს წაუწვებიანო" (!). ჰარი ჰოპკინსის ეს განცხადება

ამერიკელმა ექსპერტებმაც კი ძნელად ირწმუნეს.

მართალია, ჰიტლერის ვერმახტს ამის შემდეგაც ჰქონდა საკმაო წარმატება, მისი სათავო შენაერთები — მე-6 არმიის სახით ვოლგაზეც კი გავიდნენ სტალინგრადთან, მაგრამ სწორედ იქიდან მოყოლებული გერმანელებს თითქმის კაპიტულაციამდე უპირატესობა აღარ შერჩენიათ.

1943 წელი „დიადი გარდატეხის" წელი შეიქნა მეორე მსოფლიო ომში. ცნობილ ბრაზილიელ ფეხბურთელთა გამუდმებულ შეტევებს მოგვაგონებდა საბჭოთა არმიის შეტევები და წარმატებები — სტალინგრადთან, კურსკ-ორიოლთან, ლენინგრადთან, ცნობილი „ათი დარტყმა" — საბჭოთა ძლევამოსილი არმიებისა, მათი მოკავშირე ანტიჰიტლერული ძალების არანაკლებ მიღწევებთან ერთად — ჩრდილო აფრიკაში, გამორჩევით ელ-ალამაინთან, იტალიაში (მუსოლინის რეჟიმის დამხობა), წყნარ ოკეანეში და ა.შ., რომელთაგან გამოწვლილვით გამოვყოფდით გრანდიოზულ საზღვაო ოპერაციას - „ოვერლორდის" ანუ მეორე ფრონტის სახელწოდებით, რომელიც თავისი მასშტაბებით ერთი შეხედვით უახლოესი ხანის ისტორიაში ჰანიბალის სასწაულებრივ ოპერაციებს მოგვაგონებს.

ჰიტლერის „უძლეველი არმიის" ერთ მარცხს მეორე მოსდევდა, რამაც უკიდურესად შეარყია მისი რენომე, მისი ავტორიტეტი. „ათასწლოვანი რაიხის" დაპირება უკვე პირქვე იყო დამხობილი. მესამე რაიხში არსებული უმკაცრესი რეჟიმის მიუხედავად, რომელიც ემყარებოდა დემონური სისასტიკის ორგანოებს — რსჰა-ს, სა-ს, სს-ის, სდ-ს, გესტაპოსა და კიდევ, ვინ იცის, რამდენ ურჩხულს, ჰიტლერისა და მისი რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლა არასოდეს შეწყვეტილა თუნდაც ერთი საათით — ინდივიდიალური ხასიათის თავდასხმების ცდისა თუ ჯგუფური შეთქმულების სახით, რომლებმაც გაუგონარ რიცხვს თუ რაოდენობას მიაღწიეს. ევროპასა თუ მსოფლიოში ძნელად მოიძებნება მათი ანალოგი. შეთქმულებათა რაოდენობისათვის რომ გადმობრუნებული პირამიდის ფორმა მიგვეცა, თავისი სიმაღლით იგი ფეხზე დამდგარ ხეოფსის პირამიდას მიაღწევდა. პირამიდის გადმობრუნების სურვილი იმიტომ გაგვიჩნდა, რომ სიმაღლესთან ერთად პირამიდის ფუძისებრი ფართის სახეც წარმოგვედგინა. დასაწყისი როგორც ყოველთვის ხდება ხოლმე შედარებით ფერმკრთალი და რიცხვობრივადაც მცირედი იყო. და ეს ყველაფერი ხდებოდა იმის წინაარმდეგ, ვინც ტრაბახობდა - „ასე გერმანიაში სხვას არავის ღებულობენო ლუთერის შემდეგ!" ჯერ მარტო შეთქმულთა ჩამონათვალი სადამდე წაგვიყვანს — მცირეწლოვანი ებრაელი გოგონა — ანა ფრანკიდან დაწყებული, „წითელი კაპელითა" და 1944 წლის 20 ივლისის შეთქმულებით დამთავრებული. ეს მან —

ანა ფრანკმა შექმნა დღიურები, რომლებმაც მსოფლიო გააოცა პატარა ლენინგრადელი გოგონას — ტანია სავიჩევას დღიურების მსგავსად. ერთიც და მეორეც მრავალ ენაზე ითარგმნა ომის შემდეგ, კერძოდ, ანა ფრანკისა — 32 ენაზე.

და მაინც, ჰიტლერის მოწინააღმდეგეთა ჩამონათვალს დავიწყებდით ე.წ. პოტსდამის პუტჩიდან იმის მიუხედავად, რომ ის წარმატებული არ ყოფილა. იგი ხელისუფლებაში ნაციონალ-სოციალისტთა მოსვლის წინადღეებში უნდა შემდგარიყო, მაგრამ გარკვეულ მიზეზთა გამო ვერ განხორციელდა. მის შეთქმულთა წრეს მაღალი რანგის ოფიცრობა წარმოადგენდა. ისინი უკმაყოფილონი იყვნენ როგორც ხელისუფლების მაშინდელი ხშირი ცვლით, ისე უპირატესად, თვითონ ჰიტლერისა. შეთქმულებს ხალხთა მასების მიმხრობის მიზნით ერთ ხანს თვით ჰიტლერის გამოყენება უნდოდათ, შემდეგ კი თავიდან მოიცილებდნენ. მაშინდელ შეთქმულთა დიდმა ნაწილმა ჰიტლერის წინააღმდეგ ბრძოლა შემდეგშიც განაგრძო და ე.წ. 1944 წლის შეთქმულთა რიგებში აღმოჩნდნენ.

მრავალრიცხოვან შეთქმულთა შორის არიან: მორის ბოვო, ეროვნებით შვეიცარიელი, მეისე მაკფერლაინი, გენერალი ოსტერი, გენერალი ჰენინგ ფონ ტრესკოვი, „ცენტრის" არმიის შტაბის უფროსი, ფელდმარშალ კლიუგე, შვეიცარიელი დურგალი გიორგ ელზერი, რომელმაც თვითნაკეთი ბომბი დაამონტაჟა კაფე - „ბიურგერბრაუკელერში", სადაც ჰიტლერი ტრადიციულად ყოველწლიურად დადიოდა ე.წ. „ლუდხანის პუტჩის" დროს დაღუპულ თანაპარტიელთა ხსოვნის აღსანიშნავად (ბომბი აფეთქდა, მაგრამ ჰიტლერი 10-ოდე წუთით ადრე იყო დარბაზიდან გასული); რუდოლფ გერსდორფი, პოლკოვნიკი ფილიპ ფონ ბოიზალგერი; გენერალი ფრან ჰალდერი — სახმელეთო ჯარების (OKH) გენშტაბის უფროსი; გერმანიის ეროვნული ლეგენდა, პოლკოვნიკი ფონ შტაუფენბერგი; ორგანიზაციები „თეთრი ვარდი", „წითელი კაპელა", „ფრაიბურგის ჯგუფი", „კრაისაუს ჯგუფი", „შეთქმულთა გენერლები", რომლებმაც მოახდინეს თავდასხმა ჰიტლერზე — 1944 წლის 20 ივლისს და კიდევ და კიდევ ბევრი სხვა, მაგრამ ყველა მათგანზე საუბარი ძალიან შორს წაგვიყვანს. ჩვენ შევეცდებით, რომ მკითხველს შედარებით ახლოს გავაცნოთ ზოგიერთი მათგანი.

დავიწყებდით სრულიად რიგითი მოქალაქიდან, დიასახლისის **ლილო გლეიდენიდან**, რომლის ოჯახმა 1944 წლის 20 ივლისს შეთქმულების რამდენიმე წევრი შეიფარა (ერთ-ერთი ხელმძღვანელი, დ-რი კარლ გიორდელერი და გენერალი ფრიც ლინდემანი, რომლებიც გესტაპოს მიერ შეფასებული იყვნენ ნახევარმილიონ მარკად თითოეული). ამ ქალბატონს ქმართან და დედასთან ერთად ერთ დღეს — 30 ნოემბერს დააყრევინეს თავები.

არა შეთქმული, მაგრამ ჰიტლერის შეურიგებელი ოპონენტი იყო რაიხსვერის რანგით მე-7 გენერალი ვილჰელმ ადამი, რომელსაც იგი რატომღაც კარგა ხანს იტანდა. ადამს სხვადასხვა მაღალი თანამდებობა ეკავა, ქვეითი ჯარების აკადემიის მეთაურობა, სხვადასხვა საარმიო ჯგუფების სარდლობა და ე.წ. „დასავლეთის მიწაყრილის თუ ზვინულის" მშენებლობის უფროსობა. ამის მიუხედავად იგი მუდმივად საყვედურობდა ჰიტლერს, ეს მშენებლობა უვარგისია — ვერ შეაჩერებსო მოწინააღმდეგის ჯარებს... როდესაც ჰიტლერმა უკვე მერამდენჯერმე მოისმინა ეს მკვახე შეფასება, თურმე გაცხარებულმა უპასუხა: „ჯარისკაცი, რომელიც ასეთ გამაგრებულ ხაზს ვერ შეინარჩუნებს, ქუჩის მანანწალა ძაღლია და სხვა არაფერიო". ბოლოს ადამიც გადააყენეს 1938 წელს.

არსებობდა ასეთი პიროვნება — გენერალ-პოლკოვნიკი **ფრანც ჰალდერი.** იგი ბოლოს OKH-ის, ანუ სახმელეთო ჯარების გენშტაბის მეთაური იყო. ის ჰიტლერმა 1934 წელს დააწინაურა, მაგრამ მაინც ბიოლოგიურად ვერ იტანდა ჰიტლერსა და მის მოძღვრებას, თუმცა მუდამ ეწინააღმდეგებოდა მის ფიზიკურ ლიკვიდაციას.

1938 წლის შემოდგომაზე, როდესაც ჰალდერმა ის-ის იყო შეცვალა გენერალ-პოლკოვნიკი ლუდვიგ ბეკი გენშტაბის მეთაურის პოსტზე, იგი სათავეში ჩაუდგა შეთქმულებას ჰიტლერის წინააღმდეგ, მაგრამ იგი ვერ შედგა. ამ შეთქმულებაში მონაწილეობდა აბვერის უფროსის — კანარისის - მოადგილე, გენერალ-მაიორი, შემდეგში გენერალ-ფელდმარშალი, ერვინ ფონ ვიცლებენი.

შეთქმულების მიზანი იყო ხელისუფლების ჩამოგდება სახელმწიფო გადატრიალების გზით და გერმანიაში საპარლამენტო რეჟიმის საბოლოო დამკვიდრება — კონსერვატორთა და მონარქისტთა წინააღმდეგ. მათ ხელი იმ გარემოებამაც შეუშალათ, რომ ვერა და ვერ დაითანხმეს მთავარსარდალი, გენერალ-პოლკოვნიკი ფონ ბრაუხიჩი.

ფ. ჰალდერი თავის ანტიჰიტლერულ პოზიციას მაინც ბოლომდე ინარჩუნებდა და ძალზე ახლოს იყო თავისი მიზნის აღსრულებასთან. ასე მაგალითად, მან 1942 წლის ზამთარში ფიურერი ფრონტის ხაზის ინსპექტირების მიზნით შეიტყუა თავის მთავარ ბანაკში ბელორუსიაში და როდესაც უკან ბრუნდებოდა, თვითმფრინავში საათის მექანიზმიანი ბომბი ჩაუდეს. სამწუხაროდ აფეთქების მომენტში დიდი ყინვის გამო ზონარი ჩაქრა და ბომბი არ აფეთქდა. ჰიტლერი იმჯერადაც გადარჩა ცოცხალი.

იმავე 1942 წლის გვიან შემოდგომაზე ჰალდერი გადააყენეს სტალინგრადთან წარუმატებლობის გამო, ხოლო 1944 წლის ივლისის შეთქმულების შემდეგ დააპატიმრეს, თუმცა ბრალდება ვერ დაუმტკიცეს. ამის მიუხედავად ომის დამთავრებამდე გამომწყვდეული

ჰყავდათ დახაუს საკონცენტრაციო ბანაკში, საიდანაც ის ამერიკელებმა გაათავისუფლეს. ჰალდერი მოწმის სახით მონაწილეობდა ნიურნბერგის პროცესში და თავგამოდებული ამტკიცებდა, რომ თუ არა ჰიტლერი, გერმანია ასე სამარცხვინოდ არ დამარცხდებოდა. ჰალდერს ეკუთვნის რამდენიმე გამოკვლევა ომის საკითხებში და წიგნი - „ჰიტლერი, როგორც მხედარმთავარი", რომელიც გენერალ ჯონ სტრაუსონის თითქმის იგივე სახელწოდების წიგნთან ერთად,[1] გარკვეულ შთაბეჭდილებას ჰქმნის ფიურერის სამხედრო შესაძლებლობებზე. ყოველ შემთხვევაში, ავტორები პასუხობენ კრიტიკოსთა შეკითხვას, თუ პოლონეთსა და საფრანგეთში განხორციელებული წარმატებული ოპერაციების შემდეგ, რამ განაპირობა სტალინგრადის, ელ-ალამაინისა და ნორმანდიის წარუმატებლობანი. (იგულისხმებოდა რა „მეორე ფრონტის" გახსნა საფრანგეთში).

სხვათა შორის ჯ. სტრაუსონის წიგნში ერთი საინტერესო ფრაგმენტია, რომელიც გვსურს გავაცნოთ მკითხველს. ფ. ჰალდერის გადაყენების შემდეგ, ცოტა მოგვიანებით (1944წ), ჰიტლერმა OKH-ის ანუ სახმელეთო ჯარების გენშტაბის მეთაურად გენერალ ცაიტცლერის შემდეგ დანიშნა გენერალ-პოლკოვნიკი ჰაინც გუდერიანი. როგორც ჩანს, ამ უკანასკნელს რაღაც რჩევა მიუცია ჰიტლერისათვის ომის მსვლელობასთან დაკავშირებით, და ამით განრისხებულ ფიურერს უპასუხნია: „თქვენ არ გესაჭიროებათ ჩემთვის რჩევა-დარიგებების მოცემა, რამეთუ მე, აგერ უკვე ხუთი წელია ვმეთაურობ გერმანიის არმიას ბრძოლის ველზე და ამ პროცესში ისეთი გამოცდილება შევიძინე, რომლის თაობაზე ვერც კი იოცნებებდა გენშტაბის თუნდაც რომელიმე „ჯენტლმენიო".

წარმოდგენილი გვაქვს, როგორი აპლომბით მიიღებდა ჰიტლერის საპასუხო წერილს ჰაინც გუდერიანი თავის დროზე, მაგრამ, ალბათ, ვერასოდეს წარმოიდგენდა იმ სილას, რომელიც მას ჰიტლერმა გააწნა: შენ მანდ დაეგდეო, არაფერი გეკითხებაო...

დაახლოებით ნახევარ საუკუნეზე მეტია, რაც ვასწავლი „კაპიტალისტური ქვეყნების" ანუ დასავლეთის უახლეს ისტორიას, მაგრამ გულახდილად უნდა ვაღიარო, რომ აქამდე არ ვიცოდი, თუ ჰიტლერის მკვლელობისა და ჩამოგდების ამდენი თავდასხმა და ცდა იყო – 41 – არც მეტი და არც ნაკლები. და ყველა ისინი — 12, უფრო ზუსტად 11 წლის განმავლობაში, რამეთუ 1945-ში რაღა აზრი ჰქონდა ასეთი აქტის განხორციელებას, როცა ჰიტლერის მოცილება მხოლოდ დროის საკითხი გახლდათ.

მაგრამ, მთავარი ეს არ იყო. თავდასხმები ანდა ასეთის ცდები

---

[1] Strawson J. Hitler as a Military Commander. L., 1973

გენერალ შარლ დე გოლზეც იყო და არა ერთი, მაგრამ, მიუხედავად ზოგიერთი საერთო შტრიხისა — სამხედროები, მათ შორის გენერლებიც, - ჰიტლერზე თავდასხმებს სულ სხვა მასშტაბები და, რაც მთავარია, იმიჯი ჰქონდა: შეთქმულებები გაცილებით მრავალრიცხოვანი იყო და მაღალჩინოსანთა მონაწილეობით გამოირჩეოდა. სხვას რომ თავი დავანებოთ, სამი გენერალ-ფელდმარშალი შეიწირა ამ საქმემ.

არანაკლებ საინტერესო და დამახასიათებელია ის გარემოება, რომ ჰიტლერზე თავდასხმა განახორციელა ერთმა პირმაც, ინდივიდუალურად, რაც ნაპოლეონ ბონაპარტზე მსგავსი თავდასხმის შემთხვევას მოგვაგონებს. ეს კაცი გახლდათ **იოჰან გეორგ ზელდერი**. იგი პროფესიით მუშა იყო, კერძოდ დურგალი. 1939 წლის ნოემბერში მის მიერვე დამზადებული ბომბი სწორედ მან დაამონტაჟა ნაციზმის ისტორიაში ცნობილ კაფე - „ბიურგერბაუკელერში" (მიუნხენში).

ელზერმა სამ კვირაზე მეტი მოანდომა ბომბის მონტაჟს. ღამღამობით, სარდაფიდან შეძვრებოდა ხოლმე დარბაზში და თავის ამ წამოწყებას ასხამდა ხორცს. მან წინასწარ იცოდა სად დაიდგმებოდა კათედრა ჰიტლერისათვის.

9 ნოემბერს ჰიტლერი ტრადიციისამებრ მივიდა კაფეში და წარმოთქვა სიტყვა, რომელიც სხვა ანალოგებისაგან განსხვავებით იმ დღეს ჩვეულებრივზე 20-30 წუთით ადრე დამთავრდა. ჰიტლერმა დარბაზი სიტყვის დამთავრებისთანავე დატოვა, თუმც თვით ღონისძიება გრძელდებოდა.

ამ დროს გაისმა გამაყრუებელი ხმა. აფეთქდა ბომბი, რომელმაც შეიწირა 7 დამსწრე, ხოლო 63 დაიჭრა, მათგან რამდენიმე მძიმედ. თვით ელეზერი 10 ნოემბერს — შვეიცარიის საზღვრის გადაკვეთის ცდისას დააპატიმრეს. მას ჯიბეში უპოვნეს „ბიურგერბრაუკელერის" დარბაზის ფოტო, რომელზეც შავი არშია ჰქონდა შემოვლებული სვეტს რომელშიც მან ბომბი ჩაამონტაჟა.

„ელზერის საქმეს აწარმოებდნენ რსჰას ხელმმძღვანელები — ჰეიდრიხი, მიულერი (გესტაპო) და ვ. შელენბერგი (სდ), მაგრამ მას ვერა და ვერ დასტყუეს რაიმე ინფორმაცია შესაძლებელ მოკავშირეთა შესახებ, არადა, როგორც ივარაუდება, მოკავშირეები ნამდვილად უნდა ჰყოლოდა.

ზემოაღნიშნულის გამო ელზერი მალე ვერ დახვრიტეს. სიცოცხლეს მხოლოდ ომის დამთავრების წინ — 1945 წლის აპრილში გამოასალმეს, მანამდე კი ზაკსენჰაუზენისა და დახაუს საკონცენტრაციო ბანაკებში იმყოფებოდა.

41 თავდასხმიდან, ხუთი სამხედროების მიერ მომზადდა. ჩვენ კარგად გვახსოვს, თუ როგორ უარყოფდა ასეთ შეთქმულებებში სამხედროთა

მონაწილეობას საბჭოთა ისტორიოგრაფია. ანტინაცისტური ბრძოლის ფარგლებში კომუნისტების გარდა იგი არავის მონაწილეობას არ აღიარებდა. მართალია, იყო ასეთიც: გერმანელი თუ საბჭოთა ტყვედყოფილი ოფიცრები, მძიმე და უთანასწორო ბრძოლას ეწეოდნენ გერმანიის იატაკქვეშეთში, მაგრამ გერმანელ სამხედროთა მსგავსი ბრძოლა მაინც ძალზე დასაფასებელია და დასანანია, რომ მათ ამდენ ცდას წარმატებული შედეგი არ მოჰყოლია. მით უფრო, რომ მას მრავალი მაღალჩინოსანი ოფიცერი შეეწირა.

ზემოაღნიშნული 41 შეთქმულებიდან, როგორც უკვე აღვნიშნეთ, სამხედროების მონაწილეობით იყო: პოსტდამის პუტჩი — 1933 წლის იანვარში, ბერლინის პუტჩი — 1938 წლის სექტემბერში, ცოსენის პუტჩი — 1939 წლის ნოემბერში, სტალინგრადის პუტჩი — 1943 წლის იანვარში და 1944 წლის 20 ივლისის ბოლოს და ბოლოს განხორციელებული შეთქმულება, რომელიც შედგა, მაგრამ წარუმატებელი შეიქნა.

როგორც ჩვენთვის უკვე ცნობილია, ჰიტლერი ხელისუფლების სათავეში 1933 წლის 30 იანვარს მოვიდა. ამ ფაქტმა სამხედროთა მნიშვნელოვანი ნაწილის აღშფოთება და უკმაყოფილება გამოიწვია. ესენი იყვნენ კადრის ძველი ოფიცრები - რაიხსვერის[1] მაღალჩინოსნები, - რომლებმაც სცადეს შეთქმულების ორგანიზაცია ჰიტლერის გადაყენების მიზნით და ქვეყანაში სამხედრო მდგომარეობის გამოცხადება — თვით დიქტატურის დამყარებამდეც კი. შეთქმულები იმის პირობაზეც კი თანახმანი იყვნენ, რომ თავდაპირველად ჰიტლერის ადმინისტრაციის სახელიც კი გამოეყენებინათ — ხალხის ფართო მასების მიმხრობის მიზნით, მაგრამ შემდეგ ვარაუდობდნენ მის თავიდან ჩამოშორებას.

პუტჩი არ შედგა სხვადასხვა ორგანიზაციული საკითხის მოუგვარებლობის გამო, მაგრამ მას უნაყოფოდ არ ჩაუვლია: წარმოიშვა და ჩამოყალიბდა ოპიზიცია, რომლის არსებობა აღარ შეწყვეტილა თვით მესამე რაიხის[2] ლიკვიდაციამდე.

სამხედროთა რიგებში ოპოზიციის წარმოშობას ხელი შეუწყო ნაციონალისტური ადმინისტრაციის მცდელობამ, დაცემულიყო მათი პროფესიული პრესტიჟი. ეს მჟღავნდებოდა სხვადასხვა მოქმედებებში, გამორჩევით კი არმიის რაიხსვერიდან ვერმახტად გარდაქმნის პროცესში (1935 წელი) და მის მომდევნო პერიოდში. სახელდობრ, მხედველობაში

---

[1] ტერმინი მიკუთვნებული პირობითად მესამე რაიხის არმიისათვის 1919-35 წწ., რომელიც შემდეგ იგი გადაკეთდა ვერმახტად ანუ ნაცისტური გერმანიის არმიად – Wehr, იარაღი ანუ თავდაცვა და Macht – ძალა-დან.

[2] მესამე რაიხი (Das Dritte Reich) – ოფიციალური სახელია ქვეყნისა — 1933 წლის იანვრიდან — 1945 წლის მაისამდე. პირველ რაიხად მიჩნეული იყო — რომის საღვთო იმპერია 962 წლიდან — 1806 წლამდე ანუ მის დაპყრობამდე ნაპოლეონის მიერ. მეორე რაიხად კი ინოდებოდა ბისმარკის მიერ შექმნილი იმპერია — 1871 წლიდან ვიდრე I მსოფლიო ომის დამთავრებამდე ანუ 1918 წლამდე.

გვაქვს ბლომბერგ-ფრიჩის საქმე. ეს ორი თითქმის ყველაზე მაღალჩინოსანი გენერალი (ერთი ფელდმარშალი, მეორე გენერალ-ობერსტი ანუ გენერალ-პოლკოვნიკი, პირველი თავდაცვის მინისტრი, მეორე კი — ქვეითი შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი) მათ წინააღმდეგ შეთითხნილი ბრალდებებით უცერემონიოდ გაათავისუფლეს თანამდებობიდან და გაყარეს არმიიდან 1938 წელს.

შეურაცყოფილმა არმიამ და კადრის ძველმა ოფიცრებმა სახელდახელოდ უპასუხეს შეთქმულების ორგანიზაციით. ამ მიზნით მათ რამდენიმე ცნობილი სამოქალაქო პირიც დაიმატეს და შეიქმნა ჯგუფი, რომელმაც ცადა საქმეში ჩაება გენერალ-პოლკოვნიკი ლუდვიგ ბეკი (იმ დროს გენშტაბის მეთაური) და გენერალ-პოლკოვნიკი კურტ ფონ ჰამერშტაინი (შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი). ეს მას ეკუთვნოდა ფრაზა, რომ „რაიხსვერი არ დაუშვებსო ხელისუფლებაში ჰიტლერის მოსვლას".

შეთქმულებმა თავისი განზრახვა გაანდვეს ქვეყნის ცნობილ ადამიანებს: იალმარ შახტს — აღიარებულ ფინანსისტსა და ეკონომისტს; კარლ ფრიდრიხ გიორდელერს — კენიგსბერგისა და ლაიპციგის ყოფილ მერს, ქვეყნის რაიხსკომისარს ფასების საკითხში (რომელიც ნავარაუდები იყო რაიხსკანცლერად); იოჰანეს პოპიცს — პრუსიის ფინანსთა მინისტრს, ისე როგორც აბვერის ანუ სამხედრო დაზვერვის მეთაურს ადმირალ კანარისა და მისი შტაბის უფროსს — პოლკოვნიკ ოსტერს.

ბერლინის პუტჩის წევრებს შორის იყვნენ აგრეთვე ახალგაზრდობისა და პოლიტიკოსების წარმომადგენლები: დიტრიხ ბონფერი — ფართოდ მიღებული თეოლოგი; ჰანს ფონ დონანი — იურისტი და დ. ბონჰოფერის დისშვილი, ოტტო იონა, ფაბიან ფონ შლაბრენდორფი და სხვა.

შეთქმულებს მალე შეუერთდნენ - „კრაისაუსა" და ფრაიბურგის ჯგუფთა წევრები, რომელთა შესახებ ქვემოთ ვისაუბრებთ. ასე რომ, მეამბოხეთა წრე საკმაოდ სოლიდურ შთაბეჭდილებას ჰქმნიდა.

ჯგუფი გამოსვლას ე.წ. „სუდეტის ოლქის" საქმესთან დაკავშირებული ოპერატიული გეგმის - „გრიუნ"-ის დაწყების წინ, იმ დროს ვარაუდობდა, როდესაც ფიურერი ოპერაციის ბრძანებას გასცემდა. ისინი ფიქრობდნენ ჰიტლერის ცოცხლად ხელში ჩაგდებას, სახალხო ტრინბუნალით მის გასამართლებას, ხოლო შემდეგ — მის სულიერად დაავადებულად გამოცხადებას და ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მოთავსებას, მაგრამ, მიუნხენის კონფერენციაზე ჰიტლერის მიერ მოპოვებულმა წარმატებამ ეს საქმე ჩაშალა.

დაახლოებით იმავე სცენარისა იყო ცოსენისა და სტალინგრადის პუტჩები, თუმც ისიც უნდა მივანიშნოთ, რომ თვით ოპოზიცია და

შეთქმულთა წრე კიდევ უფრო გაფართოვდა და გამრავლდა. მათ რიგებში გამოჩნდნენ ცნობილი მხედარმთავრები, რომელმაც ადრე საყოველთაოდ აღიარებული წარმატებები მოუტანეს გერმანიის არმიას — ვერმახტს — და დიდებისა და დაუმარცხებლობის ლეგენდა შეუქმნეს გერმანულ იარაღსა და ნაციონალ-სოციალიზმს. მსოფლიოს წამყვანი პოლიტიკური წრეები დაბეჯითებით იხრებოდნენ გერმანიის დაუმარცხებლობის აზრისაკენ. მხოლოდ სამყაროს რამდენიმე ლიდერი არ იზიარებდა ამ შეხედულებას: ერთი მოსკოვში, კრემლში; მეორე ინგლისში- დაუნინგ-სტრიტზე; მესამე ვაშინგტონში — თეთრ სახლში, ხოლო მეოთხე და ბოლო — იმჯერად არაფიქსირებული მისამართით ალჟირსა და ინგლისში — გენერალ დე გოლის სახით. მართალია, ადოლფ ჰიტლერს სასაცილოდაც კი არ ჰყოფნიდა ისინი, გარდა პირველისა და რას არ ეძახდა მათ — აფრიკელ დონ-კიხოტს (დე გოლს), ლოთს (ჩერჩილს) და დამბლიანს და ებრაული წარმოშობისას — მესამეს ანუ ფრანკლინ დელანო რუზველტს, მაგრამ მას ავიწყდებოდა, რომ უკვე სტალინგრადის პუტჩის მომდევნო პერიოდიდან — 1943 წლის იანვარში, ღერძის სახელმწიფოთა მზემ ჩასვენება შესამჩნევად სწრაფად დაიწყო და საომარ მოქმედებათა სასწორი მეორე მსოფლიო ომის ყველა უბანზე — ატლანტის ოკეანედან წყნარი ოკეანის ჩათვლით ანტიჰიტლერული კოალიციის სასარგებლოდ გადაიხარა.

შესაბამისად უფრო ძლიერი და ორგანიზებული შეიქნა ოპოზიციაც. მისმა რიგებმა შეაღწიეს უმაღლეს სამხედრო ეშელონებში. ამას ხელი შეუწყო იტალიის გამოთიშვამ სამკუთხედიდან ბერლინი-რომი-ტოკიო და, კიდევ უფრო დამაჯერებლად, მეორე ფრონტის გახსნამ ჩრდილო-დასავლეთ საფრანგეთში. და მაინც გავბედავდით და ვიტყოდით, რომ ყველაფრის გვირგვინი იყო აღმოსავლეთის ფრონტზე საბჭოთა არმიის უბადლო გამარჯვებანი სტალინგრადთან და კურსკ-ორიოლის რკალზე, **რომელთაგან პირველი ი. სტალინმა შეაფასა, როგორც გერმანიის არმიის ხერხემალში გადატეხა, ხოლო მეორე, როგორც მისი მზის ჩასვენება.** კურსკ-ორიოლი ადოლფ ჰიტლერის ვატერლოო გახლდათ: საბჭოთა არმიამ მეორე მსოფლიო ომის ერთ-ერთი ყველაზე დიდი, ყველაზე მასშტაბური და ვიტყოდით, ყველაზე სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა მოიგო, თანაც, რაც არანაკლებ ნიშანდობლივია — პირველად ზაფხულის პერიოდში. მას შემდეგ გერმანიის ვერმახტს წარმატება ისევე აღარ უნახავს, როგორც საკუთარი ყურები. ერთადერთი გამონაკლისი ამ სენტენციიდან გახლდათ ფელდმარშალ რუნშტეტის მიერ 1944 წლის დეკემბერში წამოწყებული შეტევა არდენის მიმართულებით, რომელმაც ძალზე დროებითი ხასიათი მიიღო ი. სტალინის მხრივს მოკავშირეთა დახმარების მიზნით აღმოსავლეთ ფრონტზე სახელდახელოდ

წამოწყებული ფართომასშტაბიანი ოპერაციის წყალობით. საბჭოთა არმია 14 იანვარს აღმოსავლეთ პრუსიაში შეიჭრა და მალე აიღო ემანუილ კანტის მშობლიური ქალაქი კენისბერგი, ხოლო ცენტრალურ ფრონტზე დაიკავა ვარშავა (17 იანვარს).

მაგრამ ვიდრე ეს ამბები მოხდებოდა, წინა წლის (1944) 20 ივლისს, სწორედ ზემოხსენებულ აღმოსავლეთ პრუსიაში, ჰიტლერის მთავარბანაკში — ვოლფშანცეში, რომელიც ქ. რასტენბურგის მიდამოებში მდებარეობდა, მოხდა ერთადერთი მეტ-ნაკლებად წარმატებული თავდასხმა ჰიტლერზე, რომელიც განახორციელა პოლკოვნიკმა — კლაუს შენკ ფონ შტაუფენბერგმა — სახელგანთქმულმა ოფიცერმა და ეროვნულ გმირად ქცეულმა ლეგენდამ. მეტში ვგულისხმობთ ბომბის ჰიტლერის თანდასწრებით აფეთქებას, ხოლო ნაკლებში მის გადარჩენას.

დასახელებული აქტი, მართალია, შტაუფენბერგმა განახორციელა, მაგრამ იგი მომზადებული იყო მაღალჩინოსან სამხედროთა, ვიტყოდით - გენერალიტეტის მიერ. აქციაში მონაწილეობდნენ რამდენიმე ფელდმარშალი, ათობით გენერალ-ობერსტი, ანუ გენერალ-პოლკოვნიკი, ძალზე ცნობილი პოლიტიკოსები და, თქვენ წარმოიდგინეთ, სასულიერო პირებიც კი მაღალეპისკოპატიდან.

აღნიშნული შეთქმულების შესახებ საკმაოდ მრავალრიცხოვანი ლიტერატურა არსებობს, რომელთაგან გამოვყოფდით აშშ-ის დაზვერვის იმდროინდელი მეთაურის — ალენ დალესის წიგნს „გერმანიის მიწისქვეშეთს",[1] იან კოლვინის „ორმაგ თამაშს",[2] ჰანს ბრენდ გიზევიუსის „მწარე დასასრულისაკენ",[3] რუსი ისტორიკოსის მ. ა. მილშტეინის - „შეთქმულება ჰიტლერის წინააღმდეგ",[4] ჰ. კირსტის - „20 ივლისს"[5] და კიდევ ზოგიერთ სხვას.

ისტორიულ მეცნიერებაში დღესაც დიდი კამათია ე.წ. შეთქმულთა ჯგუფის წარმოშობის თაობაზე, თუმც დღეს უკვე უმეტესნილ იმარჯვა შეხედულებამ მისი 1938-39 წწ და კიდევ უფრო კონკრეტულად ბლომბერგ-ფრიჩის საქმესთან დაკავშირებით წარმოშობის შეხედულებამ, რასაც იმავე 1938 წელს დაემატა გენერალ-პოლკოვნიკ ლუდვიგ ბეკის გადადგომა ჩეხოსლოვაკიაზე თავდასხმის გეგმის - „გრიუნ"-თან დაკავშირებით. რაღა თქმა უნდა, უკმაყოფილო და შეთქმული ოფიცრები აქა-იქ ადრეც მოიძებნებოდა (გავიხსენოთ თუნდაც პოსტდამის განუხორციელებელი პუტჩი — 1933 წლის იანვარში), მაგრამ ამჯერად

---

[1] Dulles A. "Germany's Underground". N-Y., 1947.

[2] Колвин И. Двойная игра. М., 1960

[3] Gisevius H. To the Bitter End. Boston, 1947.

[4] Мильштейн М.А. Заговор против Гитлера М., 1962.

[5] Kirst H. The 20th of July. London, 1973.

საუბარია უფრო დიდი მასშტაბის შეთქმულებაზე, რომელმაც ქვეყნის არამარტო შეიარაღებული ძალები მოიცვა. ჩვენი პირადი შეხედულებით მისი ცენტრალური და მთავარი მაორგანიზებელი ფიგურა გახლდათ ჩვენს მიერ უკვე დასახელებული გენერალი — **ლუდვიგ ბეკი**, რომელმაც მიიზიდა შეთქმულთა უმთავრესი ძალები და მათი სული და გული შეიქნა.

ამ მოსაზრების სასარგებლოდ მეტყველებს თუნდაც ის გარემოება, რომ წარმატების შემთხვევაში ლუდვიგ ბეკი წარმოიდგინებოდა ან სახელმწიფოს მეთაურად, ან კიდევ მთავრობის ხელმძღვანელად. რაც შეეხება ბლომბერგ-ფრიჩის, უფრო სწორად წარმოუდგენელი შეურაცყოფის ფორმით მათი გადაყენების საკითხს, მთელი ეს ამბავი ნამდვილად გასაკვირია. და ეს იმიტომ, რომ ორთავე მაღალჩინოსანი ფორმალურადაც და არაფორმალურადაც ჰიტლერისა და ნაციონალ-სოციალიზმის მომხრე იყო და ამას არც მალავდნენ. ჯერ კიდევ 1937 წლის 5 ნოემბერს ფრიჩმა მთავარსარდალთა შეკრებაზე ცოსენში, მხურვალედ დაუჭირა მხარი ჰიტლერის აგრესიულ გეგმებს. კიდევ უფრო აშკარად მან თავისი სახე წარმოაჩინა მომდევნო წელს, როდესაც განაცხადა, რომ პირველი მსოფლიო ომის შემდეგ მე მალე მივედიო დასკვნამდე, რომ გერმანიის ძლიერების კვლავინდებურად დაბრუნების მიზნით, ჩვენ სამ დიდ ბრძოლაში უნდა გავიმარჯვოთო. პირველი ეს არის ბრძოლა მუშათა კლასის წინააღმდეგ, რომელიც ჰიტლერმა უკვე მოიგო; მეორე მსოფლიო ბრძოლა კათოლიკური ეკლესიის ან უფრო სწორად „ულტრა-მონტანიზმის წინააღმდეგ; ხოლო მესამე — ებრაელთა წინააღმდეგო!" კაცმა რომ არ იცოდეს ავტორის გვარი, იტყვის ჰიტლერის სიტყვებიაო. თითქმის დადასტურებულია, რომ ამ გენერალთა დისკრედიტაციაში არასახარბიელო როლი უმთავრესად გერინგმა ითამაშა, რომელიც თვითონ ილტვოდა მთავარსარდლობისაკენ, მაგრამ ჰიტლერმა თავდაცვის სამინისტრო გააუქმა, ხოლო მთავარსარდლად საკუთარი თავი გამოაცხადა. მან შექმნა ვერმახტის უმაღლესი მთავარსარდლობა — OKW, - რომელიც თვითონ დაიქვემდებარა, ხოლო მისი შტაბის მეთაურად განაწესა გენერალი (მალე ფელდმარშალი) — ვილჰელმ კაიტელი.

შეთქმულთა მასა არაერთგვაროვანი იყო არამარტო პროფესიული წარმოსახვით, არამედ საქმეში დგომითა და მიზნის განსაზღვრითაც. მათ მხოლოდ ერთი ამოცანა აერთიანებდათ — ჰიტლერის გადაყენება და გერმანიის მომავლის გადარჩენა. ერთნი ამის მიღწევას მისი დაპატიმრებით ვარაუდობდნენ, მეორენი — ფიზიკური განადგურებით. ამ უკანასკნელთა რიცხვს მიეკუთვნებოდა პოლკოვნიკი ფონ შტაუფენბერგი, ხოლო პირველთა რიცხვს — ფელდმარშალი ერვინ

რომელი, ისევე როგორც OKH-ის გენშტაბის მეთაური გენერალ-პოლკოვნიკი — ფრანც ჰალდერი -, თუმც იგი ბოლოს მკვლელობისაკენ გადაიხარა. იგი საყვედურობდაო, - წერს ა. დალესი,[1] - რომ არავის იმათგან, ვინც კი მას მოქმედებისაკენ მოუწოდებდა — გიორდელერი, გენერალი ბეკი, ადმირალი კანარისი, გენერალი ოსტერი თუ იალმარ შახტი — არავის არ გააჩნდა ერთი მკაფიო გეგმა, რომლის ირგვლივ „სრული თანხმობა" იქნებოდა.

ერთი საერთო გეგმა მაინც არსებობდა: ივარაუდებოდა სამხედრო დიქტატურის დამყარება, რომელსაც დაექვემდებარებოდა მთელი სახელმწიფო აპარატი. თვით შეთქმულების რეალიზაციას კი მაინცდამაინც არავინ ჩქარობდა. გიზევიუსის თქმით ფრანც ჰალდერი ამბობდაო: „რატომ ვიჩქარო ბოლოს და ბოლოს ყველაფერი შეიძლება კარგად დამთავრდეს: დასავლეთის ქვეყნებმა შეიძლება აჩუქონო ჰიტლერს მოსაწვევი ბილეთი... აღმოსავლეთისაკენ",[2] ანუ სხვაგვარად საბჭოთა კავშირისაკენ.

სხვები სხვაგვარად ფიქრობდნენ. სამხედრო დაზვერვის — აბვერის უფროსი — ადმიარლი კანარისი ვარაუდობდაო, რომ „გადარჩენისათვის ჩვენ ინგლისმა უნდა გვიბოძოსო ღუზა, რათა შევძლოთო ამ ქარიშხლიდან თავის დაღწევა".[3]

ჯგუფი თანდათან იზრდებოდა, ახალი და ახალი წევრები ემატებოდა. გადამდგარმა გენერალ-პოლკოვნიკმა ლუდვიგ ბეკმა თავის გარშემო შემოიკრიბა საკმაოდ ავტორიტეტული მხედრიონი. მისმა წევრებმა განვლეს გზა უკმაყოფილებიდან და ოპოზიციიდან – წინააღმდეგობამდე და შეთქმულებამდე. მათ რიგებში აღმოჩნდნენ გენერალი ჰენინგ ფონ ტრესკოვი — საარმიო ჯგუფის „ცენტრის" შტაბის მეთაური რუსეთის ფრონტზე, გენერალი ერიხ ჰიოპნერი, სახმელეთო ჯარების მთავარსარდალი, გაძევებული თანამდებობიდან ჰიტლერის მიერ 1941 წლის დეკემბერში; გენერალი ფრიდრიხ ოლბრიხტი — რეზერვის არმიის მომარაგების სამმართველოს უფროსი; გენერალი — კარლ ჰენრიხ ფონ შტიულპნაგელი — საოკუპაციო ჯარების მთავარსარდალი საფრანგეთში, გენერალი ჰანს ოსტერი — აბვერის შტაბის მეთაური; ადმირალი კანარისი — აბვერის მეთაური, ფელდმარშალი ერვინ ვიცლებენი და მრავალი სხვა გამოჩენილი ოფიცერი: ფელდმარშალი კლიუგე, ფელდმარშალი ერვინ რომელი, გენერალი ადოლფ ჰოიზინგერი, ბერლინის პოლიციის შეფი — გენერალი ვოლფ ჰენრიხ გრაფ ფონ ჰელდროფი... საქმის კურსში იყო ფელდმარშალი ჰერდ ფონ რუნშტედტიც, თუმც მან არ გაიზიარა შეთქმულთა განზრახვები. „თქვენ ახალგაზრდა ხართ და პოპულარული

---

[1] Dulles, op. cit., 43.
[2] Gisewius, op. cit., 298.
[3] Колвин, ук. соч., 106.

ხალხში. ეს საქმე თქვენ უნდა მოიყვანოთო სისრულეში", - უთხრა მან ფელდმარშალ ე. რომმელს, ვინც სცადა მისთვის ეჟვნის შებმა. უფრო მეტიც. შეთქმულების ჩავარდნისთანავე მან პირველმა დაგმო განწირული კოლეგები და ოფიცერთა სასამართლოს თავმჯდომარეობაც კი იკისრა.

სახელმწიფო სისტემას წარმოადგენდნენ — კარლ ფრიდრიხ გიზევიუსი, ლაიპციგისა და კენიგსბერგის ბურგომისტრი; იულიუს ლებერი — რაიხსტაგის ყოფილი წევრი სოციალ-დემოკრატიული პარტიიდან და იოჰანეს პოპიცი — პრუსიის ყოფილი ფინანსთა მინისტრი.

შეთქმულთა რიგებში იყვნენ აგრეთვე ცნობილი დიპლომატები და პოლიტიკოსები — ქრისტიან ჰასელი — ყოფილი ელჩი იტალიაში, ჰანს გიზევიუსი — აბვერის თანამშრომელი, ადამ ფონ ტროტ ცუ ზოლცი — საგარეო სამინისტროს თანამშრომელი; პასტორი — დიტრიხ ბონჰოფერი, იეზუიტი მამა ალფრედ დელპი; სოციალ-დემოკრატი იულიუს ლებერი და სხვ.

ქართველი მკითხველი (მაგრამ არა სპეციალისტები) შედარებუთ ნაკლებად (თუკი საერთოდ) იცნობს ამ შეთქმულების მონაწილეებს, რომლებმაც თავი დასდეს თავისი სამშობლოს საკურთხეველზე და შეგნებულად მიდიოდნენ ასეთ რისკზე. მათი სახელები ოქროს ასოებით არის ამოტვიფრული მათი მშობლიური ქვეყნის (და არამარტო იქ) მატეანეში.

და მაინც, ამ სახელოვანი გალერეის შემადგენლობიდან დიდებით შემკობილ სამ სახელს გამოვარჩევდით, რომ შედარებით დაწვრილებითი გაცნობით მათი გვარები უფრო გაგვენივთებინა ქართველი მკითხველის მეხსიერებაში. ისინი გახლავან — გენერალ-ობერსტი ლუდვიგ ფონ ბეკი, კარლ ფრიდრიხ გიორდელერი და კლაუს შენკ ფონ შტაუფენბერგი.

გენერალ-პოლკოვნიკი **ლუდვიგ ფონ ბეკი**, რომელიც გენერალთა შეთქმულების ყველა დაჯგუფების აღირებული ლიდერი იყო, ბიბრხში, მსხვილ მრეწველთა ოჯახში დაიბადა 1880 წელს. სამხედრო სამსახურში 18 წლის ასაკში შევიდა. პირველი მსოფლიო ომის პერიოდში გენშტაბის ოფიცერი გახლდათ. 30-იანი წლების დამდეგს საარმიო სამმართველოს უფროსი, ხოლო 1935-1938წწ. — OKH-ის ანუ სახმელეთო ჯარების გენშტაბის მეთაურია 1938 წლის სექტემბრამდე, როდესაც თვითონ გადადგა ჩეხოსლოვაკიის საკითხში ჰიტლერთან შეუთანხმებლობის გამო. იგი გახლდათ ვერმახტის ერთადერთი მაღალჩინოსანი, რომელიც დაუპირისპირდა ჰიტლერის აგრესიულ საგარეო პოლიტიკას ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე. ოფიციალურ მიზეზად მან მოიშველია მსხვილმასშტაბიანი ოპერაციებისათვის გერმანიის ვერმახტის

მოუმზადებლობა. ამის შემდეგ ის სათავეში ჩაუდგა ოფიცერთა ოპოზიციას, მაგრამ შეთქმულების ჩავარდნასთან დაკავშირებით გესტაპომ დააპატიმრა და თავი მოიკლა ბანდლერშტრასეზე, თავდაცვის სამინისტროს ყოფილ შენობაში.

კარლ ფრიდრიხ გიორდელერი (შეიძლება უფრო სწორი იყოს გოერდელერი, რადგან იწერება როგორც Goerdeler-ი), დაბადებული იყო 1984 წელს — შნეიდემიულეში (დღევანდელი პილა-პოლონეტში, არისტოკრატულ ოჯახში). იგი ადრე ჩაება პოლიტიკაში და უკვე 1920 წელს კენიგსბერგის ვიცე-ბურგომისტრი და მალე ობერ-ბურგომისტრი იყო. ამის შემდეგ ის გახდა ლაიპციგის ობერ-ბურგომისტრი (1930-1937წწ.) პარტიული მიკუთვნებულობით გიორდელერი გერმანიის ეროვნული პარტიის წევრი იყო. 1931-35 წწ., მცირედი შუალედით იგი იყო აგრეთვე რაიხსკომისარი ფასების საკითხში. აღნიშნულ პერიოდში ჰიტლერი მას საკმაოდ აფასებდა და გვერდითაც იყენებდა, რასაც უნდა ადასტურებდეს რამოდენიმე ფოტოსურათი, რომლებზეც ის აღბეჭდილია ჰიტლერის გვერდით ან ახლოს. ისტორიისათვის ცნობილია ფიურერის ორი თუ სამი ვიზიტი ლაიპციგში და ერთი, უფრო ადრე, კენიგსბერგში, როდესაც მას გიორდელერი მასპინძლობდა. მაგრამ დასახელებული შემთხვევები ხდებოდა მანამ, ვიდრე გიორდელერი ოპოზიციაში გადავიდოდა, იმ პერიოდში, როდესაც იგი ჯერ ბრიუნინგის მთავრობაში იყო ფასების რაიხსკომისარი, და მაშინაც, როცა ეს პოსტი მან შეინარჩუნა ჰიტლერის ადმინისტრაციაშიც. იმავდროულად ლაიპციგის ობერ-ბურგომისტრიც იყო.

შემდეგში, დასავლეთის ქვეყნებისადმი გიორდელერის სიმპათიების გამო, ჰიტლერთან მისი ურთიერთობა გაფუჭდა, რაც მალე აისახა ჰიტ-ლერის უარში — ნება დაერთო კრუპ ფონ ბოლენისათვის გიორდელერი თავისი ფირმის დირექტორატში შეეყვანა. ამის შემდეგ გიორდელერი ყველა თანამდებობიდან გადადგა და საზრვარგარეთ გაემგზავრა იმავე კრუპის დახმარებით. უკან მობრუნებული ის შეუერთდა ოპოზიციას და ოფიცერთა შეთქმულების ერთ-ერთი თავკაცი გახდა. აჯანყების ცდის წარუმატებლობის შემდეგ გიორდელერი ერთ-ერთი პირველთა-განი დააპატიმრეს და პლიოტცენზეეს ციხეში, ბერლინში, 1945 წლის 2 თებერვალს სიკვდილით დასაჯეს.

1955 წელს შტუტგარდში გერჰარდ რიტერმა სქელტანიანი წიგნი გამოსცა სახელწოდებით - „კარლ გიორდელერი და გერმანული წინააღმდეგობის მოძრაობა",[1] რომელიც შეიძლება მივიჩნიოთ გარკვეულ ჯილდოდ ამ ღირსეული მოქალაქის ხსოვნის უკვდავყოფის საქმეში.

ვიდრე შეთქმულთა ჯგუფის გვირგვინსა და თვალმარგალიტზე —

[1] Ritter G. Carl Goerdeler und die Deutsche Widerstandsvewegung. Stuttgard, 1955.

პოლკოვნიკ შტაუფენბერგზე გადავიდოდეთ, მოკლედ ვისაუბრებთ კიდევ ერთ გამოჩენილ შეთქმულ ოფიცერზე, რომლის პიროვნება, როგორც ჩვენ მიგვაჩნია, აქამდე სრულიად დაუმსახურებლად არის მიჩქმალული მსოფლიო ისტორიოგრაფიაში. მისი სახელი და გვარი გახლავთ **ერიხ ფელგიბელი**. ჩინით გენერალ-ობერსტი ანუ გენერალ-პოლკოვნიკი იყო, სამსახურებრივი პოზიცია — შეიარაღებული ძალების კავშირგაბმულობის უფროსი 1939-44 წწ. და ვერმახტსა და OKW-ს შორის კავშირზე პასუხისმგებელი პირი —, რომელსაც იმხანად განახორციელებდა ჰიტლერის ადმინისტრაცია.

საქმე იმაში გახლავთ, რომ ნაცისტური გერმანიის საბჭოთა კავშირზე თავდასხმის შემდეგ, საბჭოთა დაზვერვის რეზიდენტმა შვეიცარიაში, ცნობილმა მზვერავმა და უკიდეგანოდ აღიარებულმა საბჭოთა აგენტმა დაიწყო მიღება უსაიდუმლოესი ინფორმაციისა ჰიტლერის უშუალო მთავარბანაკიდან, რომელმაც დროთა განმავლობაში მომაკვდინებლად სახიფათო ხასიათი მიიღო გერმანული მხარისათვის, რასაც შეეძლო (და აკი შეძლო კიდეც) კატასტროფამდე მიეყვანა იგი. ყველაზე მეტად საგანგაშო ის იყო, რომ ჰიტლერის ათასნაირი და ყოვლის ამომწურავი ცდების მიუხედავად, რომლებიც არაერთგზის დასტურდება ი. გებელსის მოგონებებიდან, ვერა და ვერ მოხერხდა ამ ინფორმაციის გაჟონვის სისტემატური ხასიათის წყაროს დადგენა. ჰიტლერი პირდაპირ ცოფებს ჰყრიდა დღენიადაგ.

არამარტო ომის პერიოდში, არამედ მას შემდეგაც კარგა ხანს, ბოლომდე ვფიქრობთ, არც დღეს, ვერა და ვერ დადგინდა ამ „ღალატის" პირველწყარო, რომელმაც უდიდესი როლი შეასრულა გერმანიის დამარცხების საქმეში. ამიტომაც არის, რომ დასავლეთში ორი თუ სამი წიგნია გამოცემული იმის ირონიული მინიშნებით, რომ ომი შვეიცარიაშიაო მოგებული. ამით იგულისხმება საბჭოთა რეზიდენტურა ამ ქვეყანაში, რომელსაც ახორციელებდა უნგრელი კომუნისტი — **შანდორ რადო** –, იგივე **ალექსანდერ რადოლფი**, ცნობილი დორას ფსევდონიმით. მისი ჯერ კიდევ ბოლომდე შეუფასებელი ინფორმაციის წყალობით, მოსკოვში, კრემლში ყოველ ცისმარე დღეს ი. სტალინი იღებდა აბსოლუტურად ზუსტ ინფორმაციას პირველი წყაროდან იმის თაობაზე, თუ რის განხორციელებას აპირებდნენ გერმანელები აღმოსავლეთის (ანუ რუსეთის) ფრონტზე. მეორე მსოფლიო ომმა ბევრი ცნობილი მზვერავი თუ რეზიდენტი იცის სხვადასხვა ქვეყანაში, მაგრამ ვფიქრობთ **„დორა"** და **რუდოლფ რიოსლერი** — მისი მთავარი ინფორმატორი — უბრალოდ შეუდარებელნი და უპრეცენდენტონი იყვნენ — პირველი თანასწორთა შორის ან როგორც ამას ძველი რომაელები იტყოდნენ — "Primus inter pares". აქვე გვინდა ქართველმა მკითხველმა იცოდეს, რომ ეს მესია კაცი,

ძვლითა და ხორცით ჰიტლერის მოძულე, ომის დამთავრების შემდეგ, საბჭოთა მთავრობამ 10 თუ 9 წლით „ჩააყუდა" თავის რომელიღაც გულაგში. ხომ გახსოვთ ერთი ძალზე უწმაწური, მაგრამ ამ საქმეზე უცნაურად მორგებული მოარული თქმა - „ვირო, მადლი..."

ვინ არის **რუდოლფ როისლერი**, საიდან გაჩნდა ის და რატომ აქამდე არაფერი იყო მის შესახებ ცნობილი?.. ამის გარკვევის მიზნით ოდნავ უნდა დავბრუნდეთ წარსულში.

წინარე წიგნის ავტორი, თქვენი მონა-მორჩილი, გასული საუკუნის განმავლობაში რამდენჯერმე გახლდათ დიდ ბრიტანეთში თითო წლიან სამეცნიერო მივლინებაში. ერთ-ერთი მათგანის პროცესში ჩვენი ყურადღება მიიქცია ჟურნალის ფორმის პუბლიკაციამ. როგორც გაირკვა საქმე ეხებოდა მეორე მსოფლიო ომის ისტორიას, რომელსაც გამოსცემდა ავტორთა საკმაოდ მოზრდილი კოლექტივი, სხვათაშორის რუს (საბჭოთა) ავტორთა მონაწილეობით.[1] აღნიშნული გამოცემის მთავარი რედაქტორი გახლდათ მსოფლიოში სახელგანთქმული ავტორი და ექსპერტი (ოღონდ ბევრად განსხვავებული ქართველი „ექსპერტთაგან") — სერ ბასილ ლიდლ-ჰარტი.

აღნიშნულმა გამოცემებმა თითქმის ორი წელიწადი გასტანა: ყოველ კვირაში ხუთშაბათობით გამოდიოდა მორიგი ნომერი. ასე ხდებოდა 96 კვირის განმავლობაში. იმ კვირის ნომერი, რომელმაც ჩემი ყურადღება მიიქცია, გახლდათ 16 და ეხებოდა მარშალ გ.კ. ჟუკოვს. პუბლიკაციის სახელწოდება გახლდათ - „გენერალი, რომელსაც ბრძოლა არ წაუგიაო".

ჩვენ სხვა ნომრებიც მოვიკითხეთ. ერთი მათგანი ეხებოდა კურსკის ბრძოლას და იწოდებოდა - „უდიდეს სატანკო ბრძოლად ისტორიაში". მაგრამ ჩვენი ყურადღება მიიქცია შესავალმა სტატიამ, რომელსაც ერქვა „ლუსის ჯაშუშური წრე" ("The Lucy Spy Ring"). დავინტერესდით. გაირკვა, რომ საქმე ეხებოდა სწორედ რუდოლფ როისლერის ჯგუფს, რომლის კოდური სახელი ყოფილა ეს Lucy.

როისლერი მანამდე არც თუ ცნობილი პიროვნება ყოფილა — ჩვეულებრივი გერმანელი ლიბერალი ადამიანი, პროფესიით წიგნების გამომცემელი, მაგრამ ლუსის აგენტურის ჯგუფის შექმნამ იგი ზეცაში ასტყორცნა.

მის გარდა ჯგუფში შედიოდნენ ქსავია შნაიდერი, რახილ დიუბენფორფერი და ალექსანდრ ფუტი. თქვენ წარმოიდგინეთ, მათ მორალურ მხარდაჭერას უწევდა შვეიცარიის დაზვერვის ხელმძღვანელი — ბრიგადირი მასონი და არმიის მთავარსარდალი, გენერალი გუინანი. მაგრამ ისიც უნდა ვიცოდეთ, რომ ეს სიმფათია საბჭოთა კავშირის

[1] History of the Secon World War. Published by Purnell. Editor-in-Chief: Sir Basil Liddel-Hart

მიმართ მისი სიყვარულით კი არ იყო გამოწვეული, არამედ გერმანიის მიმართ შიშით, რომლის ინტერვენციას ისინი ყოველ წუთს ელოდნენ შვეიცარიაში.

ეს ყველაფერი კარგი და შესანიშნავი, მაგრამ, ბუნებრივია, მთავარი საკითხის გარკვევა: ვინ აწვდიდა მათ ამ ინფორმაციას? ასეთ შეკითხვას ჟურნალი არც სვამს და ვერც პასუხობს? დახლოებით 30-40 წელია მას შემდეგ, რაც იგი გულს გვიღრღნის. სადღეისოდ, ამ შეკითხვაზე ჩვენ ასეთი პასუხი გვაქვს: ეს უნდა იყოს გენერალ-პოლკოვნიკი ანუ გენერალ-ობერსტი ერიხ ფელგიბელი — გერმანიის შეიარაღებული ძალების კავშირგაბმულობის უფროსი და OKW- ფიურერის აპარატის კავშირის მთავარი პასუხისმგებელი პირი, რომელიც შეთქმულთა რიგებში იყო და თანაც ესწრებოდა თათბირს ჰიტლერის მთავარბანაკში — ვოლფშანცეში, როდესაც იქ 1944 წლის 20 ივლისს აფეთქდა პოლკოვნიკ შტაუფენბერგის მიერ ჩანთით შეტანილი ბომბი.

ბუნებრივია, ჩვენს მკითხველს გაუჩნდეს ეჭვი — რაზე დაყრდნობით აკეთებთო ასეთ განცხადებას?

ვპასუხობთ: პირველი — ფელგიბელი იყო შეთქმული და არამარტო შეთქმული, არამედ ჯგუფის ერთ-ერთი დამაარსებელი გენერალ ბეკთან ერთად; მეორე — გესტაპოსა და სდ-ს უჩვეულო მარწუხებრივი კონტროლის პირობებში, მხოლოდ მას — ქვეყნისა და არმიის კავშირგაბმულობის პირველ პირს შეეძლო ეწარმოებინა ასეთი კომუნიკაცია უცხოეთის დაზვერვებთან; მესამე — ერიხ ფელგიბელი იყო ერთი იმათგანი, ვინც ჰიტლერზე თავდასხმიდან სულ რამდენიმე დღეში დახვრიტეს მისი განკარგულებით, ფაქტობრივად ყოველგვარი გასამართლების გარეშე, მაშინ როდესაც, სხვებს, ფორმალურად მაინც ასამართლებდა სამხედრო ტრიბუნალი. ჰიტლერმა, რომელიც წლების განმავლობაში იტანჯებოდა უსაიდუმლოესი ინფორმაციის გაჟონვის გამო, მომენტალურად დაუკავშირა ერთმანეთს ფელგიბელის მონაცემები და ირწმუნა, რომ ყველაფერი ხსენებულის წყარო შეიძლებოდა ყოფილიყო მხოლოდ და მხოლოდ „შუბლჩაჩყლეტილი გენერალი", როგორც ის მას უწოდებდა.

ასე რომ, იმის მიუხედავად, რომ „ლუსის თუ რუდოლფ როისლერს ფელგიბელის მიღმა ინფორმირების სხვა საშუალებებიც ჰქონდა, ეს უკანასკნელი მაინც გახლდათ მისი უმთავრესი წყარო.

და ბოლოს, ჩვენს ასეთ სენტენციას უნდა იზიარებდეს 1970 წელს ჰანოვერში გამოცემული წიგნი - „ერიხ ფელგიბელი — ოპერატიული კავშირგაბმულობის ოსტატი" — კარლ ჰაინც ვაილდჰაგერისა.[1] ასე რომ, ვიმეორებთ — ფელგიბელის გარდა ოპოზიციასა თუ

[1] Wildhager H. Erich Fellgiebel. Meister operation Nachrichtenverbindungen. Hannover, 1970.

უცხოურ დაზვერვასთან ასე მოხერხებულად კავშირს სხვა ვერავინ მოახერხებდა.

დასასრულ, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ისიც გვინდა მივანიშნოთ, რომ ომის დამთავრების შემდეგ საბჭოთა მხარე შეეცადა ზეწოლა განეხორციელებინა „ლუსის", ანუ იგივე რუდოლფ როისლერის მიმართ — მისი და მათი მთავარი წყაროს გამხელისა და დასახელების მიზნით. გამოცდილმა მზვერავმა როდესაც ასეთი ზეწოლისაგან ვერა და ვერ დაიხსნა თავი, განუცხადა მათ, რომ თუ თავს არ დაანებებდნენ, არც მეტი და არც ნაკლები — თავს მოიკლავდა.

მორჩა და გათავდა!

ახლა დავუბრუნდეთ შეთქმულთა ჯგუფის ყველაზე მთავარ და აღიარებულ ლიდერს **პოლკოვნიკ შტაუფენბერგს**. იგი დაიბადა 1907 წელს, ზემო ფრანკონიაში. აფეთქების ცნობილ დღეებში მხოლოდ 37 წლისა იყო. ოჯახის უფროსები ვიურტემბურგისა და ბავარიის სამეფო სახლთა აღმზრდელები იყვნენ. ამასთან ერთად, დედამისი პრუსიის ჯარების მთავარსარდლისა და ფელდმარშლის — ავგუსტ გნეიზენაუს - შვილიშვილი გახლდათ.

თავდაპირველად მან დიდი ენთუზიაზმით მიიღო ჰიტლერის მოსვლა ხელისუფლების სათავეში და აქტიურად მონაწილეობდა მეორე მსოფლიო ომის დაწყებით ოპერაციებში — პოლონეთსა, საფრანგეთში და განსაკუთრებით ჩრდილოეთ აფრიკაში, სადაც მან ერთ-ერთ ბრძოლაში უამრავი და უმძიმესი ჭრილობები მიიღო (რიცხვით 33), დაჰკარგა მარჯვენა თვალი, მარჯვენა ხელი და დაიშავა ფეხიც, მაგრამ სასწაულებრივად გადარჩა და გადაიქცა აფრიკის გერმანული კორპუსის ლეგენდად. გმირობით მას ამ კორპუსის მეთაურზე — ერვინ რომმელზე წინ აყენებდნენ. საერთოდ, მეორე მსოფლიო ომის პროცესში, გერმანიის მრავალმილიონიან არმიაში, შტაუფენბერგი და გენერალ-პოლკოვნიკი ჰანს ვალენტინე ჰუბე, რომელსაც არცერთი ხელი არ გააჩნდა, რამოდენიმე საჰაერო ასთან ერთად, ყველაზე აღიარებული გმირები იყვნენ.

სამხედრო ჰოსპიტალში ხანგრძლივი მკურნალობისას, როდესაც მის სხეულს ნაჭერ-ნაჭერ და ნაწილ-ნაწილ სასწაულებრივ აღადგენდნენ ექიმები მეტწილ ცნობილი ქირურგის — ფერდინანდ აუერბრუხის სახით -, შტაუფენბერგმა ახლებურად გაიაზრა ჰიტლერისა და რეჟიმისადმი თავისი დამოკიდებულება, რეჟიმისა, რომელსაც კატასტროფამდე მიჰყავდა ქვეყანა.

ამის შედეგი გახლდათ მისი გაწევრიანება ოფიცერთა ოპოზიციაში, რომლის საფუძველზე გაძლიერდა ჯგუფის რადიკალთა პოზიცია. ისინი ჰიტლერის მკვლელობას ისახავდნენ მიზნად.

არსებობს არაოფიციალური ვერსია იმის თაობაზე, რომ შეთქმულების შესახებ საქმის კურსში იყო სს-ის რაიხსფიურერი და იმ დროს უკვე შინაგან საქმეთა მინისტრი — ჰაინრიხ ჰიმლერი და, შესაძლებელია, ჰერმან გერინგიც. მათ ორთავეს სურდა ჰიტლერის ადგილის დაკავება. ამიტომ იყო, რომ როდესაც ჰიმლერი ანდა გერინგი შეტყობინებას მიიღებდნენ ჰიტლერთან თათბირის შესახებ, ისინი, უპირველეს ყოვლისა, დღის წესრიგს ეცნობოდნენ: თუ მასში ნავარაუდევი იყო რეზერვის არმიის შტაბის უფროსის — პოლკოვნიკ შტაუფენბერგის მოხსენება, ისინი თათბირზე არ მიდიოდნენ. თავის მხრივ პოლკოვნიკიც ცდილობდა ჰიტლერთან ერთად მათ ამოხოცვასაც. ამიტომ იყო, რომ ორჯერ თუ სამჯერ შეიტანა ბომბი მსგავს თათბირებზე და უკანვე წაიღო, რადგან იქ ზემოხსენებული პირები არ იმყოფებოდნენ. – ბარემ ერთად გავისტუმრებო იმ ქვეყნად.

მსგავსად შეთქმულთა სხვა ჯგუფებისა, არც გენერალ-შეთქმულები იყვნენ ერთფეროვანნი. მათ წრეში აშკარად შეიმჩნეოდა 4-5 ჯგუფი, რომლებსაც ერთი ინტერესი ან სიახლოვე აერთიანებდათ. ისინი იყვნენ „როიშის ჯგუფი", „კრაისაუს ჯგუფი", „მიტვოხგეზელშაფტი",[1] „გენერალთა" ანუ „სამხედროთა ჯგუფი" და ჩვენ დავამატებდით - „შტაუფენბერგის ჯგუფს". ის კი შევიდა წინა ჯგუფში, მაგრამ იქ თავის გარშემო შემოიკრიბა ახალგაზრდა ოფიცერთა წრე და უკიდურესად მემარცხენე პოზიცია დაიკავა. საზოგადოებრიობამ უნდა იცოდეს, რომ არა შტაუფენბერგი, ჰიტლერზე არავითარი პირდაპირი თავდასხმა არ განხორციელდებოდა. ასეთ მოსაზრებას ა. დალესი და ჰ. გიზევიუსიც იზიარებდნენ. ეს მან — შტაუფენბერგმა მოსწმინდა ნამუსი შეთქმულებს, თორემ მათი აბსოლუტური უმრავლესობა ლაქლაქის გარდა არაფერს აკეთებდა.

როიშის წრის შესახებ რუსი საბჭოთა მკვლევარი მ. მილშტეინი წერს: „ეს წრე თამაშობდა მნიშვნელოვან, თითქმის მთავარ როლს — ოპოზიციის პოლიტიკური ხაზის განსაზღვრაში. ამ ჯგუფის მეშვეობით ხორციელდებოდა ძირითადი კავშირები მსხვილ მონოპოლისტებთან და იუნკრებთან".[2]

ჯგუფის ხელმძღვანელი გახლდათ გერმანიის რამდენიმე მსხვილსაწარმოთა დირექტორი ფრიდრიხ როიში. შედიოდნენ: ალბერტ ფიოგლერი, იალმარ შახტი, ბიუხერი, კარლ ბოში, კარლ სიმენსი, გრაფი ჰარდენგერგი და სხვ. როიშთან ერთად ჯგუფის ხელმძღვანელად ითვლებოდა იალმარ შახტიც.

კრაისაუს თუ კრაიზაუს ჯგუფი ერთ-ერთი ყველაზე მეტად საყურადღებო გახლდათ. ისინი უფრო ინტელექტუალები იყვნენ.

---

[1] ქართულად ნიშნავს - „ოთხშაბათის კლუბს".

[2] Мильштейн М.А. ук. соч., 58.

მათ ხელმძღვანელად გვევლინება გრაფი ჰელმუტ მოლტკე — დიდი მოლტკეს — გერმანიის არმიის ცნობილი ლეგენდის, ფელდმარშალ მოლტკეს შვილიშვილი, რომლის მამულში — კრაისაუ-ში (ზემო-სილეზია) იკრიბებოდნენ ჯგუფის წევრები. ა. დალესი ამტკიცებს თავის წიგნში, რომ „სწორედ კრაისაუს წრემ უზრუნველყო შეთქმულთა იდეური და პოლიტიკური პლატფორმა" და „რომ დღესაც კი, ამ ადამიანთა მიერ შემუშავებულმა ძიებებმა უნდა მიიპყრონო გერმანიის ბედ-იღბლით დაინტერესებულ ამ პირთა ყურადღება".[1] უფრო მეტიც. ე.წ. სახალხო ტრიბუნალის თავმჯდომარემ — როლანდ ფრაისლერმა, ზედმეტსახელად - „მსაჯულმა-ჩამომრხჩობმა", პროცესზე განაცხადა, რომ „მოლტკეს ჯგუფმა გახადაო შესაძლებელი 20 ივლისი".

კრაისაუს ჯგუფი დაკავშირებული იყო დასავლეთთან, კერძოდ ინგლისელებთან და ამერიკელებთან. დიდი ზიანი მიაყენა წრის საქმიანობას მოლტკეს დაპატიმრებამ გესტაპოს მიერ 1944 წლის იანვარში. მისი ადგილი დაიკავა გრაფმა ფონ ვარტენბურგმა. ომის შემდეგ ჯგუფის ერთადერთმა გადარჩენილმა წევრმა თეოდორ შტელცერმა, გამოაქვეყნა მათი უმთავრესი დოკუმენტები, რომელთაგან ყველაზე მეტ ყურადღებას იმსახურებს ჯგუფის პროგრამა, რომლის შესახებ იგივე ა. დალესს უთქვამს, რომ „მას დღეს აკადემიურზე მეტი ინტერესი აქვსო".

კრაისაუს ჯგუფის წევრები მიიჩნევდნენ, რომ უმთავრესი იყო ქრისტიანულ ფასეულობათა რეაბილიტაცია. 1943 წლის 9 აგვისტოს ჯგუფმა გაავრცელა დოკუმენტი - „ახალი წესრიგის უმთავრესი პრინციპები", რომელიც ივარაუდებოდა მომავალი სახელმწიფო მოწყობის ნიმუშად.

საინტერესოა ის გარემოებაც, რომ კრაისაუს წრეს მიეკუთვნებოდა გრაფი შულენბურგიც — გერმანიის ელჩი საბჭოთა კავშირში, ადრე საქართველოში გერმანიის კონსულად ნამყოფი. იგი პრინციპულად ეწინააღმდეგებოდა „ბარბაროსას გეგმას" და გერმანიის რუსეთზე თავდასხმამდე ერთი კვირით ადრე ომის დაწყების შესაძლებლობაზე ფაქტობრივად გააფრთხილა საბჭოთა მხარე — თვით თარიღის დასახელებითაც კი!...

კრაისაუს ჯგუფში 20-მდე კაცი იყო, რომელთაგან, როგორც უკვე ითქვა მხოლოდ ერთი გადარჩა. ჰიტლერის პირადი დავალებით გამოძიებას აწარმოებდა თვით გესტაპოს შეფი, სუპერკაციჭამია ჰაინრიხ მიულერი. გამოძიების პროცესში მას უთქვამს გრაფ მოლტკესათვის – „ძალზე გასაკვირია, ასეთი ლეგენდარული ოჯახის შთამომავალი ასეთ საქმეში როგორ ჩაებითო?" მას ასე უპასუხნია: „გენერალო, თქვენ

[1] Dulles A. Op. cit., 467.

მორალს ნუ მიკითხავთ. თუ თქვენ გერმანელი ხართ და ოდნავ მაინც გიყვართ თქვენი სამშობლო, ნაციონალ-სოციალიზმის სამსახურში რა სინდისით დგახართო ჰიტლერის გვერდით. ნუთუ არ გიფიქრიათ იმის თაობაზე, რომ ომი მოუბრუნებლად წაგებული გაქვთ და თუ დროზე, რომელიც ჯერ კიდევ გაგაჩნიათ, არ გადადგებით და არ წახვალთ, ჩვენს საერთო სამშობლოს კატასტროფა ემუქრებაო. დამერწმუნეთ, ის გირჩევნიათ ამაზე ვიფიქროთ ახლა".

ჩამოვარდნილა პაუზა. გესტაპოს სისხლისმსმელი უფროსი ასეთ პასუხებს მიჩვეული არ იყო. მას არასდროს გაუგონია მსგავსი სიტყვები. ის გაკვირვებული, თვალებში ჩასჩერებოდა დიდი მოლტკეს არც თუ პატარა შვილიშვილს. და, თან თუკი გრამი ნამუსი მაინც შერჩენოდა გერმანელისა, ალბათ ფიქრობდა, რომ ბედნიერებაა ქვეყნისათვის ასეთი შთამომავლების არსებობა. ასეთი გერმანია ნამდვილად არ მოკვდებაო. ყველაზე მეტად კი იგი უნდა ჩაეფიქრებინა მოლტკეს ბოლო სიტყვებს: „ჩვენ აქ განსხვავებულმა ვითარებამ შეგვყარა: თქვენ კარიერამ, მე კი ჩემი სამშობლოს სიყვარულმა!.."[1]

ძვირფასო მკითხველო დააკვირდი კარგად ამ ფრაზას: „განა მემორიალზე — ამოსატვიფრი სიტყვები არ არის?"

„მეტვოხგეზელშაფტის" ანუ „ოთხშაბათის კლუბის" წრე კიდევ ერთი განშტოებაა ჯგუფისა. სახელწოდება მოდის ოთხშაბათობით მათი შეკრების ტრადიციისაგან. მასში ბევრი ცნობილი პიროვნება იყო — პოპიცი, ჰასელი, იესენი და ა.შ. მაგრამ, ჩვენ გვინდა ჯგუფის ორ მეტად საინტერესო პიროვნებაზე შევაჩერო მკითხველის ყურადღება. პირველი მათგანი გახლავთ გენერალ-პოლკოვნიკი ლუდვიგ ფონ ბეკი, ერთადერთი სამხედრო პირი მათ შორის, მეორე კი — ალბრეხტ ჰაუსხოფერი. პირველი ჩვენთვის უკვე ცნობილია. ისიც ითქვა, რომ ის იგულისხმებოდა სახელმწიფოს მეთაურის პოსტზე, თუმც მოგვიანებით გაჩნდა ჰიმლერის კანდიდატურაც, რასაც უმალავდნენ ბეკს. „ამიტომ იყოო — უთქვამს ჰიმლერის პირად პილოტს — რიოპერტს ომის შემდეგ, - რომ ჰიმლერი გაცოფებული გახლდათო. როგორც კი გაიგო ბომბის აფეთქების ამბავი რასტენბურგში, უმალ გაფრინდაო ბერლინში, მაგრამ არა თავდასხმის, არამედ მისი წარუმატებლობის გამო, რამეთუ ჰიტლერის დამხობის

[1] დაუჯერებელია და გამაოგნებელი, მაგრამ ფაქტია. ომის დასასრულ მიმალული და არსებული ეჭვებით რუსებს ჩაბარებული გესტაპოს შეფი, რომელიც თითქოსდა იქ გარდაიცვალა, სინამდვილეში თურმე ცოცხალი ყოფილა და აშშ დასახლებულა, რომლის უშიშროების ფედერალურ ბიუროში (ფბრ-ში) მიუღიათ — სპეციალისტად რუსეთის საკითხებში. ამ სამსახურის თანამშრომელს, ვინმე გრიგორი დუგლასს, - გასული საუკუნის ბოლოს ამერიკაში გამოუცია არც მეტი არც ნაკლები — მიულერის დღიურები და საუბრები, რომლებიც ორ ტომად გამოსცა მოსკოვის ერთ-ერთმა გამომცემლობამ — 2000 წელს სახელწოდებით - „Шеф Гестапо. Генрых Мюллер." I том; და – „Вербовочные беседы", II т. – „Дневники", საიდანაც ამოღებულია კიდეც ეს დიალოგი.

შემდეგ უნდოდაო ძალაუფლების ხელში ჩაგდება.[1]

რაც შეეხება ალბრეხტ ჰაუსჰოფერს, გერმანიასა და მსოფლიოში ცნობილი გეოპოლიტიკოსის — გენერალ კარლ ჰაუსჰოფერის შვილს, მისი ამ წრეში მონაწილეობა ძალზე საინტერესო ფაქტია. ის გახლდათ ჰიტლერის მოადგილის — რუდოლფ ჰესის მრჩეველი და პირადი მეგობარი. იყო ფართოდ ცნობილი არამარტო თავის სამშობლოში, არამედ თანაბრად დიდ ბრიტანეთშიც. თავის ქვეყანაში ესოდენ აღიარებული, იგი ერთხელ ასე წარუდგინეს ლონდონის მაღალ საზოგადოებას - „ახლა თქვენ მოუსმენთ ერთი ჩვენი მეზობელი ქვეყნის ცოცხალ გენიოსსო!"[2] არც მეტი და არც ნაკლები.

ყველაზე მრავალრიცხოვანი და გავლენიანი მაინც გენერალთა ანუ სამხედროთა ჯგუფი იყო, რომელთა რიგებში ირიცხებოდნენ უმაღლესი ჩინოსნები — გენერლები, გენერალ-ობერსტები და ფელდმარშლებიც კი, ისევე როგორც მთელი რიგი დაპყრობილი ქვეყნების — საფრანგეთის, ბელგიის, დანიისა და ნორვეგიის საოკუპაციო ჯარების მთავარსარდლები, ბერლინის პოლიციის უფროსი და სხვებიო.

ახლა თვით აფეთქების თაობაზე.

1944 წლის 20 ივლისისათვის ჰიტლერმა მისთვის ავადსახსენებელი თათბირი რამდენიმე დღით ადრე დანიშნა. მსგავსი ღონისძიებები იმჯერად ტარდებოდა ფიურერის მთავარბანაკში ქ. რასტენბურგის მახლობლად, ე.წ. „ვოლფშანცეში", ანუ „მგლის ბუნაგში". იქ მისთვის საგანგებოდ გააშენეს ბუნკერი მიწის ქვეშ — 12 მეტრის სიღრმეზე, რომლის აფეთქება გამორიცხული იყო იმდროინდელი ყველაზე ძლიერი ბომბის პირდაპირ მოხვედრის შემთხვევაშიც კი, რამეთუ მისი ჭერი და კედლები 3-3 მეტრიანი რკინა-ბეტონის მასისაგან შედგებოდა.

მიწის ზემოთ მთავარბანაკს შემოვლებული ჰქონდა მავთულხლართებიანი სამი სარტყელი, რომლებსაც იცავდა ჰიტლერის პირადი დაცვა და სს-ის დანაყოფი, მათი უფროსის, სს-ის გრუპენფიურერის[3] ჰანს იოჰანს რატენჰუბერის მეთაურობით.

დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია: არნახული ცხელი ამინდების გამო სხდომა გადატანილ იქნა ეზოში და, რაც მთავარია, იქ მდგომ ზაფხულის შენობაში, სადაც, ყველაფერთან ერთად ყველა ფანჯარა გააღეს. ჰიტლერს არც ამჯერად უმტყუნა ბედ-იღბალმა: ბომბის უსაშინლესმა

---

[1] Nacht-Express. 02.09.1947. იხ. Коваль В. – Правда о заговоре против Гитлера 20 июля 1944, Киев, 1960, 54.

[2] დაინტერესების შემთხვევაში მკითხველს შეუძლია გაეცნოს ჩვენს ნაშრომს: „ინგლისში ჰესის გაფრენის საიდუმლო". ტომი მე-2.

[3] უდრის არმიის გენერალ-ლეიტენანტს. სხვათა შორის ომის დამთავრებისას ის ტყვედ ჩაუვარდა საბჭოთა არმიას და იჯდა ბუტირსკისა და ვლადიმერის ციხეებში. იგი გასამართლა სამხედრო ტრიბუნალმა და მიუსაჯა 25 წელი, მაგრამ 1955 წელს გფრ მთავრობის თხოვნით ის გადაეცა გერმანულ მხარეს და მალე გაათავისუფლეს.

აფეთქების ძალამ თავისი ეფექტი დაკარგა კედლების წინააღმდეგობის შესუსტების გამო და სავარაუდო მობრუნებული ტალღა აღარ შედგა პირველადი დარტმის გამო კედლებისა და ჭერის იოლად გაცამტვერების მიზეზით.

პოლკოვნიკი შტაუფენბერგი თავისი ადიუტანტებით თვითმფრინავით ჩაფრინდა რასტენბურგში და იქ დახვედრილი მანქანით მიაღწია ვოლფშანცემდე. სხდომის დღის წესრიგით მისი საკითხი ბოლოს წინა იყო — რიგით მეოთხე. როდესაც მისი რიგი მოახლოვდა მან აიღო ჩანთა, რომელშიც ედო ბომბი და შევიდა დარბაზში, სადაც მიუჯდა მაგიდას მარჯვენა კუთხეში (ჩვენ წარმოგიდგენთ ორ სქემას: პირველზე ჩანს შტაუფენბერგის მანქანის მოძრაობის მიმართულება მთავარბანაკის ტერიტორიაზე, ხოლო მეორეზე ასახულია სხდომის დარბაზი, სადაც შევიდა შტაუფენბერგი ბომბიანი ჩანთით, რომელიც დაიდო ფეხებთან).

სქემა №1



„ვოლფშანცეს" განლაგებისა და პოლკოვნიკ შტაუფენბერგის მოძრაობის სქემა (შავი პუნქტირით და ისრებით).

სქემა №2



თათბირის მონაწილეთა განლაგების სქემა კონფერენც-დარბაზში.
1 არის ჰიტლერი. შტაუფენბერგმა ჩანთა ბომბით დადო მაგიდის მარჯვენა კუთხეში.

თათბირის დღეს, დილით გაირკვა, რომ ჰიტლერთან სტუმრად ჩამოდიოდა მუსოლინი, რის გამო სხდომა ორი საათით ადრე დაიწყეს - 12^{30} საათზე, რის გამო შტაუფენბერგს ლამის დააგვიანდა, მაგრამ მაინც მიუსწრო თათბირს.

მაგიდაზე, რომლის გარშემო ისხდნენ დამსწრენი, შტაუფენბერგი ჰიტლერისაგან მარჯვნივ მეოთხე სკამზე მოხვდა. მან ცოტა უსმინა მომხსენებელს, რომელიც გახლდათ გენერალი ჰოიზინგერი — გენშტაბის ოპერატიული განყოფილების უფროსი — და შემდეგ, ბერლინთან სატელეფონო საუბრის მომიზეზებით გარეთ გავიდა მისაღებში, მანამდე კი შეუმჩნევლად აამუშავა საათის მექანიზმი დატოვებულ ჩანთაში ჩადებული ბომბის ასაფეთქებლად.



შენობა ბომბის აფეთქების შემდეგ



ჰ. გერინგი ათვალიერებს შენობას ბომბის აფეთქების შემდეგ

თათბირის მონაწილენი ბაიბურშიც არ იყვნენ, რომ უეცრად გაისმა აფეთქების გამაყრუებელი ხმა. ეზოში მყოფი ადამიანები საოცარი სცენის მოწმენი გახდნენ. საზაფხულო შენობის კედლები, რომელშიც თათბირი მიმდინარეობდა, ჭერთან ერთად ჰაერში ავარდა ადამიანებთან, სამხედრო ქუდებთან და ჩექმების გვერდით... გერნიკის ტრაგედია[1] მოგონილი ჩანდა. უფალმა ღმერთმა უკან დაუბრუნა გერმანელ ნაცისტებს იქ — ბასკთა ქვეყანაში (ესპანეთში) ჩადენილი ცოდვის საზღაური...

შუა დღის 12[42] საათი იყო. შტაუფენბერგი იმ მომენტში მესამე სარტყლის გამშვებ პუნქტს იყო მიმდგარი. სს-ელმა დააპირა მისი შეჩერება, მაგრამ იქვე მოსულმა ოფიცერმა გაატარა პოლკოვნიკი და სარეგისტრაციო ჟურნალში აღნიშნა – „12[44] პოლკოვნიკი შტაუფენბერგი გავიდა“.

გავიდა თუ არა ზონიდან, შტაუფენბერგი ადიუტანტებითურთ აეროდრომისაკენ გაემართა და ჰაერში აფრენილი თვითმფრინავიდან შეატყობინა ბერლინში, რომ დაეწყოთ ოპერაცია „ვალკირია“. ასე ეწოდებოდა სახელმწიფო გადატრიალების გეგმას, რომელიც უნდა დაწყებულიყო მთელს გერმანიაში და, უპირველეს ყოვლისა, ბერლინში.

დედაქალაქში ჩაფრენილს ვითარება სრულიად საპირისპირო დახვდა. ბერლინში სრული სიწყნარე ჩანდა. მაშინ შტაუფენბერგი ბენდლერშტრასეზე მიიჭრა თავდაცვის სამინისტროში, სადაც რეზერვის არმიის (ანუ მისივე არმიის) მეთაური გენერალი ფრომი იმყოფებოდა. შტრაუფენბერგის შეკითხვაზე, თუ რატომ არ დაიწყეთო „ვალკირია“, ფრომმა უპასუხა, რომ აფეთქება უშედეგ გამოდგა, ჰიტლერი ცოცხალია და რომ თქვენ აღარაფერი დაგრჩენიათ, გარდა თვითმკვლელობისაო.“

შტაუფენბერგი არ დაეთანხმა ფრომს, მაგრამ ამ უკანასკნელმა იგი დააპატიმრა და სხვა სამ კიდევ მასავით შეთქმულთან ერთად, სამინისტროს ეზოში დაახვრეტინა. ასე ტრაგიკულად გასრულდა შტაუფენბერგის თავგანწირული მცდელობა. ფრომმა სცადა ამით თავისი კვალი მიემალა, მაგრამ ამაოდ. მალე მასაც დააგდებინეს თავი.

თვითვოლფშანცეში მოვლენები შემდეგ ნაირად წარიმართა. დანგრეულ შენობაში გონს პირველი ფელდმარშალი კაიტელი მოვიდა: „სად არისო ფიურერი! სად არისო ფიურერი! — მოძებნეს იატაკის ფიცრებს შორის გაჩხერილი ჰიტლერი, რომელიც აფეთქების ტალღას დარბაზის კუთხეში გადაეგდო და მისდა საბედნიეროდ ამით გადაერჩინა. მას ჰქონდა სხვადასხვა სახის დაზიანება, მაგრამ არსებითი კატეგორიიდან

[1] ალეგორიას ვახდენთ ფრანგი მხატვრის — პაბლო პიკასოს — იმავე სახელწოდების ტილოსთან.

არავითარი. ეს სასნაული იყო, აბსოლუტურად დაუჯერებელი. განა შეიძლება იმის წარმოდგენა, რომ ადამიანი გადაურჩეს თითქმის მის ფეხებთან (3-4 სკამის დაშორებით) აფეთქებულ ჯოჯოხეთური ძალის ბომბს, რომელიც მიზნად მის მკვლელობას ისახავდა? პირადად ჩვენ, ამას მივაწერთ ჰიტლერის ფატალურ ბედისწერას. იქნებ გვიპასუხოს ვინმემ, როგორ შეიძლება ამდენი (41) შემთხვევისაგან გადარჩენა?

რაც შეეხება აფეთქების შედეგებს, იგი ურთიერთგამომრიცხავია სხვადასხვა ინფორმაციით: მ. მილშტეინს მიაჩნია, რომ სულ ერთი მონაწილე დაიღუპა, მაშინ როდესაც „მესამე რაიხის ენციკლოპედიაში" ნათქვამია — 24 კაცი იმსხვერპლაო აქციამ. მოდი და არკვიე!

სამაგიეროდ უფრო ცალსახაა დასჯილ შეთქმულთა რაოდენობა — 180-დან — 200 კაცამდე. მთელი მომდევნო თვეების განმავლობაში ე.წ. სახალხო ტრიბუნალის თავმჯდომარე როლანდ ფრაისლერი — სახრჩობელაზე თუ გილიოტინებზე გზავნიდა შეთქმულების მონაწილეებს. მაგრამ იყო განსაკუთრებული გამონაკლისებიც. სახელდობრ, როდესაც ფელდმარშალ ერვინ რომმელს ვერც ჩამოხრჩობა და ვერც დახვრეტა ვერ არგუნეს, 1944 წლის 14 ოქტომბერს მიუგზავნეს გენერალი ვ. ბუგდორფი და მისი მოადგილე გენერალი ე. მაიზელი და არჩევანი შესთავაზეს თვითმკვლელობა თუ ღირსების სასამართლოო? „აფრიკის მელამ" პირველი ამჯობინა. მან მიიღო ბურგდორფის მიერ მიტანილი საწამლავი და „ვაგნერშულეს" სამხედრო ჰოსპიტალში გარდაიცვალა.

ე. რომმელი დაკრძალეს ეფექტურ ვითარებაში. ჰიტლერის ბრძანებით ის სრული სამხედრო ღირსების წესების დაცვით მიაბარეს მიწას სახელმწიფოს ხარჯზე. სიტყვა წარმოათქმევინეს ოფიცერთა ღირსების სასამართლოს თავმჯდომარეს — ფელდმარშალ ფონ რუნშტედტს, რომელმაც განაცხადა: „ულმობელმა ბედისწერამ გამოგვლიჯაო იგი ხელიდან. მისი გული ფიურერს ეკუთვნოდაო". იმ დროს ალბათ, ზეცაში ანგელოზები ირონიას ვერ მალავდნენ: ეს ის კაცი არ არისო, რომელიც მას ეუბნებოდა: „შენ ახალგაზრდა და ავტორიტეტიანი პიროვნება ხარ. ჰიტლერის წინააღმდეგ ბრძოლას სათავეში შენ უნდა ჩაუდგეო?..

ესეც არ იყოს, ნურავინ იფიქრებს, რომ ჰიტლერში თუნდაც ერთი წუთით ადამიანმა გაიღვიძა. იგი ისევ და ისევ თავისი რენომეს შენარჩუნებაზე ოცნებობდა და არ უნდოდა ქვეყანას გაეგო, რომ მას გერმანიის კიდევ ერთი დიდი მხედარი გადაუდგა.

ოოჰ, როგორ მოუნელებია ზეკაცობის შენარჩუნების დაუცხრომელი სურვილი!

ასე გასრულდა „20 ივლისის" შეთქმულების სრული ამბავი.

ყოველ ზემოთქმულთან ერთად ჩვენს მკითხველს ისიც გვინდა გავანდოთ, რომ ჰიტლერის „ათასწლოვან რაიხში" სხვაც ბევრი იყო

ჯგუფები, წრეები თუ ინდივიდუალური ოპონენტები. ჯერ მარტო „წითელი კაპელაც" კი საკმარისი იქნებოდა დასასახელებლად. ბერლინსა და სხვა ქალაქებში ფართოდ იყო გავრცელებული პატრიოტთა ჯგუფი, რომელსაც ორი დიდი გერმანელის — ადმირალ ფონ ტირპიცისა და საქვეყნოდ ცნობილი ღვთისმსახურის — ადოლფ ფონ ჰარნაკის შთამომავალი — **ჰარო შულცე-ბოიზენი** და **არვიდ ჰარნაკი** ხელმძღვანელობდნენ. ჯგუფში წარმატებით მოღვაწეობდა აგრეთვე რამდენიმე ყოფილი ტყვე საბჭოთა ოფიცერი. გერმანული იატაკქვეშეთისა და წინააღმდეგობის მოძრაობის ეს ანტიფაშისტური ორგანიზაცია დაახლოებით 100-ზე მეტ მებრძოლს მოიცავდა, თუმცა მათი მომხრეების რიცხვი ბევრად მეტი იყო არამარტო გერმანიაში, არამედ მეზობელ ქვეყნებშიც, კერძოდ საფრანგეთში, ბელგიასა, დანიასა და ჰოლანდიაში.

არანაკლებ საინტერესოა ის გარემოებაც, რომ თვით ჰარო შულცე-ბოიზენის „წითელ კაპელაში" იყვნენ ადამიანები, რომელთაც თავისი ანტიფაშისტური ორგანიზაციები ჰყავდათ იატაკქვეშეთში. ასე მაგალითად არსებობდა ჟურნალისტისა და კომუნისტი ქალის — ილზე შტებეს (ფსევდონიმი „ალტა") ჯგუფი, რომელიც ისევე როგორც თვით „წითელი კაპელა" — შეუფასებელ ინფორმაციებს აწვდიდა „ცენტრს" მოსკოვში. ისინი საოცარ გმირობასაც ჩადიოდნენ. ასე მაგალითად, ძველმა კომუნისტმა ქალმა (1919 წლიდან) კლარა შაბელმა თავის ბინაში ბერლინში, შეიფარა გერმანიის ტერიტორიაზე პარაშუტით დაშვებული ორი საბჭოთა მზვერავი. ფასდაუდებელ ინფორმაციას მისი მეშვეობით აწვდიდა მოსკოვს გრაფი ფონ შელია(!), სილეზიელი მსხვილი მიწათმფლობელის შვილი, პროფესიით დიპლომატი, რომელიც ძალზე მიღებული ყოფილა გერმანიის მაღალ არისტოკრატიულ წრეებში.

იყო სხვა ჯგუფებიც, რომელთაც არანაკლებ ცნობილი ადამიანები ხელმძღვანელობდნენ, კერძოდ, ვთქვათ, პროფესორ რაიხვაინის ჯგუფი, რომლის არსებობა ჩვენთვის ცნობილი შეიქნა საბჭოთა ავტორის — ა. ბლანკის მონოგრაფიის - „მესამე რაიხის გულში" — მეშვეობით, ან თუ გნებავთ — ვ. ტომინისა და ს. გრაბოვსკის წიგნით - „ბერლინის იატაკქვეშეთის ნაკვალევი."

წინააღმდეგობის მოძრაობის დასახელებული ჯგუფის არსებობა იმითაც არის საყურადღებო, რომ სხვადასხვა დროსა და ვითარებაში მათ დაუკავშირდნენ სამხედროები, თუნდაც იმავე „20 ივლისის" შეთქმულთა ჯგუფიდან — ჩვენთვის უკვე კარგად ცნობილი პოლკოვნიკ შტაუფენბერგისა და სხვა მონაწილეთა (შულენბურგი, ტროტი და ა.შ.) სახით, რომლებიც ცდილობდნენ საბჭოთა კავშირთან კონტაქტის დამყარებას.

ყველა დასახელებული პირის, ჯგუფის, წრისა თუ ორგანიზაციის

პარალელურად კიდევ და კიდევ არსებობდნენ ადამიანები, კავშირები და გაერთიანებები, რომლებიც არ ურიგდებოდნენ ნაცისტურ რეჟიმს, ეზიზღებოდათ ჰიტლერი და მისი გარემოცვა და თავიანთი წვლილი შეჰქონდათ ანტიფაშისტურ ბრძოლაში დემოკრატიისა და უკეთესი მომავლის გერმანიისათვის. ჩვენ კიდევ და კიდევ შეგვიძლია დავასახელოთ ისინი: „თეთრი ვარდი", „სტეფან გეორგეს წრე", „იუნგდოიჩერ ორდენი", „ფრაიბურგის ჯგუფი", „ვიდერშტანდი", „კნოკლიოგენი" (ჰოლანდიაში) და სხვა, ისევე როგორც ინდლივიდუალური პირები და მათგან გამომდინარე ცდები ჰიტლერზე თავდასხმებისა. ასეთი იყო, მაგალითად - „ანთება" ანუ ფიურერზე თავდასხმის ცდა 1943 წლის 13 მარტს და სხვა მრავალი.

მათგან ზოგიერთი უჩვეულოდ საინტერესო მოვლენა გახლდათ. მაგალითისათვის მოვიტანდით „ფრაიბურგის ჯგუფს", რომელიც ამავე დასახელების ქალაქის უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთაგან შედგებოდა. მას ცნობილი ისტორიკოსი გერჰარდ რიტერი ხელმძღვანელობდა. ისინი აკრიტიკებდნენ ჰიტლერის პოლიტიკას, მაგრამ იმავდროულად არც ანტიფაშისტები არ ყოფილან. სახელდობრ, ისინი გაურბოდნენ „წითელ კაპელას" იმის გამო, რომ ინფორმაციას აწვდიანო საბჭოთა კავშირს. ფრაიბურგის ჯგუფი უფრო ნაციონალისტური იყო, ვიდრე ანტიფაშისტური.

სამაგიეროდ, ანტიფაშისტურ პოზიციაზე იდგნენ - „თეთრი ვარდის" წევრები. ისინიც უნივერსიტეტელები იყვნენ, მაგრამ სტუდენტთა წრიდან. გამოირჩეოდნენ არაჩვეულებრივად გაბედულებით და უკან არ იხევდნენ არავითარი აქციისას. კერძოდ, მათ გააკრეს კედლებზე პლაკატები წარწერით: **„ძირს ჰიტლერი"**. უფრო მეტიც. 1943 წლის 18 თებერვალს გაავრცელეს პროკლამაციები აჯანყების სახელწოდებით, ხოლო სტალინგრადთან გერმანელთა დიდი მარცხით აღფრთოვანებულებმა 1943 წლის 19 თებერვალს მიუნხენში განახორციელეს გაუგონარი ღონისძიება — **ანტიფაშისტური მანიფესტაცია** (!!). შეგიძლიათ ვისმეს ამის წარმოდგენა ნაცისტური რეჟიმის პირობებში? ამიტომაც იყო, რომ გამხეცებულმა გესტაპოელებმა დააპატიმრეს და მეორე დღესვე დახვრიტეს რამდენიმე სტუდენტი და მასწავლებელი: ქრისტოფ პრობსტი, სოფიო შოლი, მისი ძმა — ჰანს შოლი, პროფესორი კურტ ჰუბერი, ალექსანდრ შმორელი და ვილი გრაფი.

და ბოლოს: ძვირფასო მკითხველო! მთელი ეს ვრცელი მონათხრობი იმ მიზანს იმსახურებს, რომ თქვენ ბოლომდე ობიექტურად წარმოიდგინოთ სურათი ნაცისტური ხანის გერმანიისა. ქვეყნის მოსახლეობის უდიდესი ნაწილის მხარდაჭერისა და აღიარების მიუხედავად, არსებობდა მედლის მეორე მხარე — ზიზღი, სიძულვილი და პრინციპული შეურიგებლობა

რეჟიმთან და პირადად ჰიტლერთან.

სხვას რომ ყველაფერს თავი დავანებოთ, საუბარს წინარე საკითხზე დავამთავრებდით ებრაელი პაწია გოგონას — ანა ფრანკის — „დღიურებით", რომელშიც მან, ასევე პაწია გოგონას — ლელინგრადელი ზოია სავიჩევას — მსგავსად — აღუწერა შთამომავლობას თავისი უსაშინლესი განცდები ნაცისტურ რეჟიმთან დაკავშირებით.

ზემოთ, მეორე მსოფლიო ომთან დაკავშირებით, ჩვენ საუბარი შევწყვიტეთ მეორე ფრონტის გახსნის მომენტში. დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენი მკითხველის დიდმა ნაწილმა ბევრი რამ იცის მასთან დაკავშირებით, თუმცა შეიძლება ზოგიერთ ჩრდილოვან საკითხში ბოლომდე არ იყოს გარკვეული. სახელდობრ, მხედველობაში გვაქვს მისი გახსნის ისტორიასთან დაკავშირებული მომენტები.

მეორე ფრონტის ანუ იგივე „ოვერლორდის" გახსნის თაობაზე უჩვეულოდ ფართომასშტაბიანი დისკუსია სწარმოებდა ანტიჰიტლერული კოალიციის ცალკეულ ქვეყნებს შორის — ერთის მხრივ საბჭოთა კავშირისა და მეორეს მხრივ მის პარტნიორ ინგლის-ამერიკელებს შორის. მათ იმთავითვე აერთიანებდათ მთავარი საკითხი — იგი უნდა გახსნილიყო, - მაგრამ სად და როდის, ამაზე დავა არ წყდებოდა თვით მის გახსნამდე. უფრო აშკარად რომ ითქვას, მთავარი მოდავე ქვეყნები იყვნენ სსრკ და ინგლისი, ხოლო მათი სახით — ი. სტალინი და უ. ჩერჩილი. როდესაც ბრიტანეთის პრემიერმა ფეხები ძალზე გააფიჩინა ფრონტის გახსნასთან დაკავშირებით, მას შემდეგ ლამის ნახევარი სამყაროს შემოვლა მოუხდა და მოსკოვში სტალინთან ბოდიშის მოსახდელად საგანგებოდ ჩავიდა. მე თუ ამას პირადად არ გავაკეთებდი, თქვენ შეიძლება ვერ გაგეგოთ გადავადების ნამდვილი მიზეზებიო. ეს ამბავი 1942 წლის ზაფხულში მოხდა. ამჯერად სტალინს გაანდო ჩრდილო-დასავლეთ აფრიკაში (მაროკო-ალჟირი) მოკავშირეთა მომავალი სადესანტო ოპერაციის („ტორჩი") საიდუმლო.

მაინც რა იყო დავის საგანი? ჩერჩილი, ალბათ, მართალი იყო იმაში, რომ 1942-ში და მით უმეტეს 1941 წელს, მოკავშირეებს მეორე ფრონტის გახსნა არ შეეძლოთ. სხვას რომ ყველაფერს თავი დავანებოთ მათ მეხსიერებაში ჯერ კიდევ ახალი და „ცოცხალი" იყო დიუნკერკის სამარცხვინო ისტორია. მაგრამ უკვე 1943 წლიდან — სიმართლემ სტალინის მხარეს იწყო გადახრა. ჩერჩილი მაინც იკავებდა თავს და ვფიქრობთ, შეგნებულად. მორატორია ანუ პროლონგირება იმჯერად უკვე გააზრებულად ხდებოდა საბჭოთა კავშირის დასუსტების მიზნით. ჩვენ გვესმის ჩერჩილის: მის მიზანს შეადგენდა რუსეთის დაუძლურება მათი საერთო გამარჯვების პირობებში. ესაოდა, სტალინს წელი ვერ წამოედგა. მაგრამ მას ავიწყდებოდა თუ ვისთან ჰქონდა საქმე -

„სტალი" ხომ ფოლადია. მორჩა და გათავდა. ი. სტალინმა ომიც მოიგო და „ზავიც".

უ. ჩერჩილი მის მიმართ წაყენებულ ბრალდებებს კატეგორიულად უარყოფს თავის მეორე მსოფლიო ომის ისტორიაში, მაგრამ საკმარისია გავეცნოთ „ოვერლორდის" მთავარსარდლისა და აშშ-ის პრეზიდენტის — დუაიტ ეიზენჰაუერის ნაშრომებს - „ჯვაროსნული ლაშქრობა ევროპაში" და მოგონებები, რომ სრულიად საპირისპირო ვირწმუნოთ.

ასე იყო თუ ისე, საბოლოოდ, 1944 წლის 6 ივნისს - „ოვერლორდის მზე" ამოვიდა და ახლა უკვე ორთავე მხრიდან იწყეს (თუ არ სამიდან — იტალია გვაქვს მხედველობაში და სამხრეთ საფრანგეთი) მოკავშირეებმა ნაცისტური სამხედრო მანქანის მსხვრევა თუ ჭყლეტა. ჰიტლერი იძულებული შეიქნა თავისი მთავარბანაკი რასტენბურგიდან ბერლინში თუ ბერხსტენგარდენში გადაეტანა ბავარიულ ალპებისპირეთში. მან ძილი დაკარგა, ისედაც პარანოიკს ახლა უკვე ყველაფერი აღიზიანებდა. გარეგნულადაც შესამჩნევად შეიცვალა. ჩამოხმა, ბეჭებში მოიხარა, გაძლიერებული პარკინსონის ავადმყოფობისაგან ხელები უკანკალებდა. თვალებში შესამჩნევად მოაკლდა ხედვა და უსათვალოდ ველარაფერს კითხულობდა. ერთი მეორეს მიყოლებით ცვლიდა ერთ დროს თავის სახელოვან ფელდმარშლებსა და მთავარსარდლებს. ნაწილს რეზერვში უშვებდა, ხოლო მეორეს — არმიიდან — პენსიაზე. ხომ მოგეხსენებაღ ქართული ანდაზა - „ბატონი ცხენზე ვერ შეჯდაო და უნაგირს დაუწყოო რტყმევა". დიდის ვაი-ვაგლახით წამოაწყებინა ფელდმარშალ რუნშტედტს შემდეგი ოპერაცია 1944 წლის 16 დეკემბერს — შობის წინადღეებში — და შესამჩნევი წარმატებაც მოიპოვა არდენის მიმართულებით, მაგრამ სიხარული სწრაფად შეუცვალა მას ი. სტალინმა 12 იანვარს — წამოწყებული ნაადრევი შეტევით, რომელიც მას ჩერჩილმა და რუზველტმა მოკავშირეობის უფლებებით გამოსთხოვეს.

არდენის 1944-45 წლების ოპერაცია, როგორც ზემოთ უკვე ვახსენეთ — "Wacht am Rheim" („ვახტა რაინზე") — მე-2 მსოფლიო ომის ბოლო ნახევრადწარმატებული ოპერაცია იყო ჰიტლერისათვის. მისი მიზანი გახლდათ — არდენისა და ანტვერპენის მიმართულებით განხორციელებული შეტევის საფუძველზე გაენადგურებინათ ინგლის-ამერიკის ჯარები ბელგიასა და ნიდერლანდებში და ამით ომის მსვლელობა გერმანიის სასარგებლოდ შეეცვალათ.

ოპერაცია დაიწყო სს-ის მე-6 სატანკო, საერთო ჯარების მე-5 სატანკო დივიზიებისა და მე-7 სახმელეთო არმიის ძალებით, რომლებიც შევსებული იყვნენ ყველა სარეზერვო შესაძლებლობით. ყველა ამ ძალამ შეადგინა ახალი საარმიო ჯგუფი „ბ", რომელმაც თავდაპირველად ფელდმარშალ რუნშტდეტის, შემდეგ კი ასევე ფელდმარშალ მოდელის

მეთაურობით საკმაოდ წარმატებული შეტევა წამოიწყეს ამერიკელი გენერალის — ომარ ბრედლის ჯარების წინააღმდეგ — 100 კმ-ზე მეტი სიგანის ფრონტის ხაზზე. სახელოვანი ამერიკელი გენერლის ჯარები უკანმოუხედავად გარბოდნენ. 10 დღის განმავლობაში გერმანელებმა 100 კმ-მდე წაიწიეს წინ.

1945-ის ნაახალწლებს ამერიკელებმა ინგლისელი ფელდმარშალის მონტგომერის არმიების დახმარებით, ძლივს შეაჩერეს წინგაჭრილი გერმანელები, რომლებიც სულის ამოთქმასაც საჭიროებდნენ და საწვავისა და რეზერვების შევსებასაც.

ასეთ ვითარებაში — 6 იანვარს „შეწუხებულმა და შეცბუნებულმა" ჩერჩილმა ი. სტალინს სთხოვა - „გვიშველეო". საბჭოთა მთავარსარდალი აღმოსავლეთ პრუსიასა და პოლონეთში შეტევას ისედაც აპირებდა, მაგრამ ეს 20 იანვარს იყო დაგეგმილი. მოკავშირეთა თხოვნის გათვალისწინებით, რუსები რვა დღით ადრე მთელს ფრონტზე გადავიდნენ შეტევაზე და სწრაფად შეიჭრნენ დასახელებულ ტერიტორიებზე.

როგორც კი ნაშუადღევს ახალგაღვიძებულ ჰიტლერს მოახსენეს საბჭოთა არმიის მიერ წამოწყებული შეტევის ამბავი, საუზმისათვის მაგიდასთან მიმჯდარს ჩანგალი ხელიდან გავარდნია და გაშეშებულა. „ჩვენ ამას მოველოდით, მაგრამ გაცილებით მოგვიანებითო. ეს სულ სტალინის ოინებიაო". იქვე მიუტოვებია მაგიდა და სახემოქცეულს კაიტელი გამოუძახებია, რომელსაც დაუდასტურებია ინფორმაცია. მაშინო, უთქვამს ჰიტლერს მისთვის: - არდენიდან ორთავე სატანკო არმია გამოიყვანეთო და ჟუკოვის წინააღმდეგ გადაისროლეთო სასწრაფოდ. ეს ბრძანება კი გაუცია, თუმცა უკვე ეჭვი ეპარებოდა მის შედეგში.

ეს ის დრო გახლავთ, როდესაც ქართულ კინოფილმში - „ჯარისკაცის მამა" — საბჭოთა მეომრებმა თოვლში ჩამალული სასაზღვრო ბოძი წამოაყენეს წარწერით: СССР, ხოლო მისი შვილის ტანკი — ბერლინის მიმართულებით მიემართებოდა... დიახ, უკვე მირახრახებდა გოდერძი მახარაშვილის ტანკი მხეცების ბუნაგისაკენ...

ჰიტლერს აღარ ჰქონდა ბედნიერება ეს ფილმი ენახა, მაგრამ მისი საქმე რომ უკვე „ვერ ლავეს"[1] იყო, ამას მას საკუთარი გული ეუბნებოდა. წყალწაღებულივით, რაღას არ ებღაუჭებოდა — ხან ე.წ. „შურისძიების იარაღს", ხან გებელსისაგან წახალისებული — მოკავშირეები დაიშლებიანო (რაც კინაღამ არ აღუსრულდათ 12 აპრილს — რუზველტის მოულოდნელი გარდაცვალების სახით!), ხანაც წამიერ გულში გავლებული ცდუნება — ხომ არ მოვუბრუნდეო სტალინს (ხომ არსებობს ისტორიოგრაფიაში ვერსია მოლოტოვ-რიბენტროპის მეორე შეხვედრისა ქ. კიროვიგრადში, რომელიც თითქოსდა ი. სტალინის

[1] სომხური გამოთქმაა, ნიშნავს - „არც თუ კარგადო".

ინიციატივით შედგა 1943 წლის ზაფხულში — უკრაინაში...!?). მან აღარ იცოდა რა გზას დადგომოდა, ხოლო ყოვლისმძლე მიქელ ანგელოზი კარზე მიდგომოდა...

ამასობაში მოახლოვდა 1945 წლის 20 აპრილი — ჰიტლერის დაბადების 56-ე წლისთავი. როგორ უნდა აღენიშნა იგი? ბერლინის კედლებს მიმდგარი საბჭოთა არტილერიის ყუმბარების მუსიკაში?...

და აი აქ, ჩვენ მივადექით მე-2 მსოფლიო ომის დასკვნით საბრძოლო ოპერაციას, რომელიც საბჭოთა არმიის მოქმედების გვირგვინი იყო. სამყაროსა და ცივილიზაციას არ ახსოვს მსგავსი მასშტაბებისა და მოცულობების სხვა მაგალითი. იგი ომში დაუმარცხებელი საბჭოთა მხედარმთავრის (როგორც მას ინგლისელები უწოდებდნენ) — გეორგი ჟუკოვის შემოქმედების თვალმიუნვდენელი ოლიმპი გახლდათ.

ბერლინის ოპერაცია — სამხედრო ხელოვნების შედევრი, მისი ულამაზესი ქრესტომატიული ფურცელია. მანამდე არასოდეს ასულა ასეთ სიმაღლეზე მხედრული სტრატეგიის განზომილება. ვერც ვერდენის ბრძოლა პირველი მსოფლიო ომის დროს, ვერც სტალინგრადი, თუ გნებავთ კურსკ-ორიოლის, იაპონელთა ოპერაცია სინგაპურის აღებისა, თუნდაც „ოვერლორდიც" მათთან ერთად და ელ-ალამაინიც. ყველა მათგანი ლიფსიტებია მასთან მიმართებაში. სასწორის პინა შეიძლება მაშინ გათანაბრდეს, თუ შევკრიბავთ ყველას და ისე დავუპირისპირებთ გერმანიის დედაქალაქისათვის ჩატარებულ ბრძოლას — ჯერ არ ნახულსა და ჯერ არ გამოცდილს.

ტიტანური სამხედრო ძალების ეს გიგანტური შეჯახება ომის დამამთავრებელი წლის 16 აპრილს დაიწყო დედაქალაქის შორეულ მისადგომებთან და 17 დღეღამეს გრძელდებოდა თუ მარტო ბერლინის კაიტულაციას 2 მაისს მივიღებთ მხედველობაში, ხოლო 23 დღე — თუ მთლიანად გერმანიის კაპიტულაციას. ეს იყო არნახული სიმძაფრის ბრძოლები. გერმანელთა მხრიდან ძველი გამოცდილი ფელდმარშლების ნაცვლად შედარებით ახალგაზრდა მთავარსარდლები: გენერლები ჰაინრიცი, შტუდენტი და ვენკი ხელმძღვანელობდნენ, თუმცა 28 მარტამდე გენშტაბის მეთაურად ისევ ძველი მხედარმთავარი და თეორეტიკოსი გენერალი ჰაინც გუდერიანი რჩებოდა.

საბჭოთა მხარემ ბერლინის ოპერაციისას თავი მოუყარა სამი ფრონტის ჯარებს: ბელორუსიის მე-2 ფრონტის (მარშალ როკოსოვსკის), ბელორუსიის 1-ლი ფრონტის (მარშალ ჟუკოვის) და უკრაინის 1-ლი ფრონტისას (მარშალ კონევის), რომლებიც შეადგენდნენ 19 საერთო საარმიო (მათ შორის ორ პოლონურ), 4 სატანკო და ამდენივე საჰაერო არმიებს, სულ 2,5 მლნ. კაცის, 41.600 ქვემეხის, 6.250 ტანკისა და 7.500 თვითმფრინავის რაოდენობით.

ჩვენ ვცადეთ იმ გერმანული არმიებისა და შეიარაღების მონაცემების დადგენა, რომლებიც მონაწილეობდნენ ამ ბრძოლებში. ვფიქრობთ გერმანელთა მხრიდან ყველაზე კომპეტენტურს გენერალ-პოლკოვნიკ კურტ ტიპელსკირკხსაც[1] კი არა აქვს ეს ინფორმაცია, ისევე, როგორც ყველაზე აღიარებულ ინგლისელ ავტორს — ბასილ ლიდლ-ჰარტს.[2]

ნათქვამის მიუხედავად, ჩვენ მაინც შეგვიძლია დავასახელოთ გერმანელთა მიახლოებითი ციფრი — სავარაუდოდ 1-დან — 1,5 მლნ-მდე. ასე რომ, ორთავე მხრიდან ბერლინის ოპერაციაში დაახლოებით 3,5-4 მლნ. კაცი მონაწილეობდა. ამას დაუმატეთ დასავლეთ ევროპაში მოქმედი და ბერლინისაკენ მიმავალი — ინგლის-ამერიკული ჯარები. და ყველაფერი 5 მლნ-მდე ავა. ამდენი მოსახლეობა არა ჰყავს ზოგიერთ ქვეყანას.

ახლა ერთი იუმორესკა — მკითხველის დაღლის გასაქარვებლად. როგორც ითქვა, ბერლინის ოპერაცია 16 აპრილს დაიწყო. რამდენიმე დღეში ჰიტლერის მორიგი დაბადების დღე სრულდებოდა (შეგახსენებთ ეს დღე 20 აპრილს იყო). ზემოდან მიღებული დავალებით არტილერისტებმა რამდენიმე ათეულ ყუმბარას დენთის კაფსულა ამოაცალეს და ჭურვებს წარწერა გაუკეთეს: „ფიურერს დაბადების დღისათვის", „ადოლფ ჰიტლერს დაბადების დღის აღსანიშნავად", „გვაპატიეთ საჩუქრისათვის" და სხვა. ყუმბარები არ უნდა აფეთქებულიყო და ხალხი მათ უნდა გაცნობოდა.

ჰიტლერს ეს რომ გაუგია, უბრძანებია: რომელიმე საშუალო ზომის ჭურვიდან დენთი ამოეღოთ და ისე მიეტანათ მის ბუნკერში. იმ ყუმბარას ასეთი წარწერა ჰქონია: „ბოდიშს გიხდით, ფრონტზე სხვა საჩუქარი ვერ ვიშოვეთო!" წარწერა რომ ნაუკითხავს, მწარედ გაღიმებია. როგორც ჩანს მოსწონებია „უტვინო რუსების" იუმორი და გესლიანად ჩაულაპარაკებია: „ხომ ხედავთ, რას მოვესწარითო, ეს მარტო ჩემი საჩუქარი არ გახლავთ, არამედ მთელი „გერმანიისა", რომელმაც ბოლომდე არ დააფასა თავისი ფიურერის ძალისხმევაო".

20 აპრილს ჰიტლერთან ბუნკერში მყოფი ხალხიდან იუბილართან მხოლოდ და მხოლოდ უახლოესნი შეიკრიბნენ. მკითხველი იოლად წარმოიდგენს თუ რა დღეში იქნებოდა „ათასწლოვანი რაიხის" ტახტგამოცლილი მპყრობელი. სახე სულ ერთიანად გაწითლებოდა და გასიებოდა, ხელები საოცრად უკანკალებდა, ხმა ჩახრინწოდა და თვალები უძილობის გამო ჩაწითლებოდა. არ იმჩნევდა უგუნებობას, თუმცა არც ილიმებოდა. რამდენიმე დღით ადრე მისი ბედის გასაზიარებლად ბერლინში გაჭირვებით ჩაფრინდა ევა ბრაუნი, რომელთანაც მას

---

[1] Типпельскирх К. История Второй Мировой Войны. М., 1956.

[2] Liddell Hart B.H. History of the Second World War. London, 1970.

ახლო ურთიერთობა ჰქონდა — გელი რაუბალის თვითმკვლელობის შემდეგ. სულ მალე — 29 აპრილს — თვითმკვლელობის წინ — ისინი დაქორწინდნენ.

დამსწრეთაგან მხოლოდ ი. გებელსს ეყო თავხედობა კვლავინდებურად ესაუბრა გერმანიის სავარაუდო გამარჯვებასა და „ათასწლოვანი რაიხის" შექმნის შესაძლებლობაზე. „გერმანელი ხალხი თქვენს გარშემოაო დარაზმული" (!?) — ლიქვნით ამშვიდებდა ფიურერს. გებელსი ჰიტლერის სადღეგრძელოს თქმისას ფეხზე იდგა, თუმც მის ჯდომასა თუ ფეხზე დგომას შორის დიდი განსხვავება არ იყო. ის ორთავე შემთხვევაში ძლივს ჩანდა მაგიდის ზემოთ. ჰიტლერი იმ მომენტში იჯდა და ქვემოდან ახედა გებელსს: რას ბჟუტურობსო ეს ჩემი პროპაგანდის მინისტრი...

აღნიშნული დაბადების დღე რიგით 56-ე და ბოლო იყო მის ცხოვრებაში. უკვე მეორე მესამე დღეს რუსთა ტანკები ბერლინის გარეუბნებს მიუახლოვდნენ. ჰიტლერი გაუგონარი სიჯიუტით — ბავშვებმა რომ ფეხების გაფიჩინება იციან, გინდა თუ არა ეს სათამაშო მიყიდეთო, - ასე იჟინებდა , ბერლინი უნდა დავიცვათო და რომელილაც შემორჩენილი (უმთავრესად ნომინალურად) არმიების (ბუსეს, ვენკის, ჰაინრიცის, შტაინერის, შერნერის) იმედად იყო. — ისინი ბერლინის დებლოკირებას მოახდენდნენ და საბჭოთა არმიას დაამარცხებენო. ამით დაიწყებაო გერმანიის გათავისუფლება. კიდევ რამდენიმე დღეში რუსთა ჯარი, უმთავრესად სატანკო ნაწილები, უკვე თვით ბერლინშიც გამოჩნდნენ. ჰიტლერმა სს-ისა და ჯერ კიდევ ფორმალურად შემორჩენილი სხვა საგანგებო ლეიბგვარდიული ნაწილები მიუსია მათ, მაგრამ საქმეს ველარც ისინი შველოდნენ. „ეს რა უბედურება არისო, - ხმაჩახლეჩილი და გაბოროტებული გაიძახდა ფიურერი, - გერმანელები ბრძოლას გადაეჩვივნენ თუ რა ხდებაო". ჩანდა მას უკვე ყოველგვარი ანალიზის უნარი დაკარგვოდა. სს-ისა თუ სხვა სპეცრაზმების ფორმები კი ეცვათ გერმანელ ჯარისკაცებს, მაგრამ ისინი უკვე ის გამოცდილი და მაღალპროფესიონალი მეომრები აღარ იყვნენ, რომელთა წყალობით ის ესოდენ ცნობილ გამარჯვებებს აღწევდა. გამოცდილები უკვე კარგა ხანია კონტინენტის სხვადასხვა ქვეყნის, უმთავრესად კი რუსთა მიწაში განისვენებდნენ. და აბა პირტიტველა ბიჭებს ფორმა კიდეც რომ ჩააცვა, განა ისინი გამოცდილ-გამობრძმედილთა როლს იკისრებდნენ?

საერთოდ, არც არაფერი წაგვიკითხავს და არც არაფერი გაგვიგონია ისეთი კაცზე, როგორიც იყო ჰიტლერი. მას არც მეგობარი ჰყავდა და მით უმეტეს ისეთი ავტორიტეტი არ ჰყავდა, რომლის აზრს გაიზიარებდა. ყოველთვის თვითონ იყო თავისი თავის ავტორიტეტი. ასე მაგალითად, ვინ არ თხოვა, ვინ არ ურჩია, იქამდე რომ, ლამის კატეგორიულად მოსთხოვეს, მაგარამ არა და არ დატოვა ბერლინი და არავის დაეთანხმა

ასეთი აზრის სისწორეში. მისთვის შედარებით უახლოესი ადამიანები საგანგებოდაც კი ჩაფრინდნენ დედაქალაქში და თხოვეს ბერლინიდან წასვლა. ასე მოიქცა ადმირალი დენიცი. ასე მოიქცნენ გებელსები. ასე მოიქცა ალბერტ შპეერი, რომელიც ურთულეს ვითარებაში ჩაფრინდა მასთან ბერლინში და სცადა მისი აყოლიება. იმავე შპეერმა თვითმკვლელობის წინა დღესაც კი დაურეკა რაღაცნაირად (იმიტომ რაღაცნაირად, რომ სატელეფონო კონტაქტი ბერლინთან რუსებმა წინა დღეებში გათიშეს) და კიდევ ერთხელ სცადა მისი გადარჩენა, მაგრამ უარი მიიღო. ჰიტლერმა რაღაც ავადმყოფურად აიჩემა დედაქალაქიდან ფეხს არ გავადგამო და ბოლომდე შეინარჩუნა თავისი ახირება, თუმც მომდევნო თავში, ჩვენ შევეცდებით ზოგიერთი სუბიექტური მოსაზრებით სხვა შეხედულებაც ჩამოვაყალიბოთ, რომელიც ეჭვს შეიტანს მის ამგვარ სიჯიუტეში, ისევე როგორც თვითმკვლელობის საყოველთაოდ გავრცელებულ ვარიანტში. ეს მოსაზრება სულ ახლახან მოპოვებულ ინფორმაციას, რომელიც დიამეტრალურად ცვლის ვითარებას.

მაგრამ, ჯერ-ჯერობით ძველ ვარიანტს გავყვეთ. ბერლინში გამოჩენილი თითო-ოროლა რუსული ტანკი მალე გამრავლდა და მათ უკვე დაიწყეს მოძრაობა ცენტრისა და სამთავრობო დაწესებულებებისაკენ. იქამდე რომ, ერთ დღეს დილით გამოღვიძებულ ჰიტლერს უკითხავს თავის მხლებლებისათვის — რა არის, ეს ხმაური რომ ისმისო ასეთი. პასუხი რომ მიუღია რუსთა არტილერია და ტანკებიო, ამის გამგონეს უკითხავს: რა ეგრე ახლოს არიანო რუსები?

„ფიურერ-ბუნკერთან" და რაიხსკანცელარიასთან მიახლოებულმა "თ-34" და „ი. სტალინებმა" დააჩქარეს მოვლენები და შესაბამისი არეულ-დარეულობა წარმოშვეს თავშესაფარებში. დაიწყო არქივ-დოკუმენტების დაწვა-განადგურება და ცალკეულ შემთხვევებში ჯერ კიდევ გაგზავნა ობერზალცბერგში. ჰიტლერი იძულებული შეიქნა გარღვევის გეგმა შეემუშავებინა თავისი თანამშრომლებისათვის, რომლებიც მისი დაჟინებული რჩევების მიუხედავად მაინც ფიქრობდნენ რუსებისაგან თავის დაღწევას. მათი აბსოლიტური უმრავლესობა ბავარიას ირჩევდა მხარედ, თუნდაც იმიტომ, რომ ამერიკელები უტევდნენ და მათთვის ჩაბარება სიცოცხლის შენარჩუნების გაცილებით საიმედო პერსპექტივას ჰქმნიდა. მაგრამ, ბერლინის აეროდრომთაგან მხოლოდ გატოვო იძლეოდა ასეთ შანსს, რამეთუ სხვები ან უკვე დაკავებული იყო საბჭოელთა მიერ, ან კიდევ მწყობრიდან გამოყვანილი, მათ შორის სამხედრო აეროდრომებიც კი. და აი, ერთი ცნობით 21 აპრილიდან, ხოლო სხვა ინფორმაციით — 23-დან, გატოვოდან მიუნხენისა და ობერზალცბერგის მიმართულებით დაიწყო ფრენა მძიმე (იგულისხმება ოთხ მოტორიანი) თვითმფრინავებმა, რომლებიც სახელდახელოდ იქნა

მორგებული სამოქალაქო მომსახურებას. ჩვენ მათ შესახებ მომდევნო თავში კიდევ გვექნება საუბარი.

„ფიურერ-ბუნკერი" და რაიხსკანცელარია უკანასკნელ ხანს არაპირდაპირი გაგებით თავისებურ ქორწინების სახლად იქცა. ჩვენ მხედველობაში გვაქვს როგორც თვით ქორწინების აქტები, ასევე ნებართვები დაქორწინებისა, რომელთა გაცემას რატომღაც ჰიტლერი რასტენბურგიდან ბერლინში გადმობარგებასთან დაკავშირებით ეწეოდა. საქმე ეხება გერმანელ ჯარისკაცთა (მეტწილ მეზღვაურთა) ჯვარწერებს საზღვარგარეთის ქვეყნების მოქალაქეებზე, რაც განსაკუთრებით მომრავლდა ომის დასასრულისათვის. ჰიტლერი, ჩვენთვის ბოლომდე გაუგებარი მოსაზრებით, თვითონ პირადად და, რაც მთავარია პედანტური ხასიათით, სწავლობდა ამ საქმეებს (დოკუმენტებს), რამაც ცალკეულ შემთხვევებში სრულიად ცინიკური ხასიათი მიიღო.

მაგრამ ამჯერად ჩვენ სრულიად განსხვავებული ვითარება გვაინტერესებს. საქმე იმაშია, რომ ჯერ იყო და „ფიურერ-ბუნკერში" დაქორწილდნენ ევა ბრაუნის და — გრეტელ ბრაუნი და სს-ის გრუპენფიურერი და გენერალ-ლეიტენანტი — ჰერმან ფეგელაინი, ხოლო ჰიტლერის თვითმკვლელობის წინადღეს — 29 აპრილს — ის და ევა ბრაუნი. როგორც იქნა ევა ბრაუნმა აიხდინა თავისი ოცნება და ფრაუ ჰიტლერი შეიქნა, თუმცა ერთი დღით — ერთადერთით, რამეთუ მეორე დღეს ახალდაქორწილებულნი - „საქორწილო მოგზაურობაში" გაემართნენ — საიქიოსაკენ. ჩვენ შევეცდებით მომდევნო თავში ამ ტრაგიკული ისტორიის შესახებაც გიამბოთ.

მაშ ასე. ჰიტლერის შავბნელი ისტორიის ფინალი მოახლოვდა. წინადღით დაქორწილებულმა ფიურერმა მეორე დღეს — 30 აპრილს თავი მოიკლა თავის დედოფალთან ერთად. ისინი ორთავე ერთ დივანზე იპოვეს დახოცილები — მარტინ ბორმანმა და ოტტო გიუნშმა — მისმა პირადმა ადიუტანტმა და რაიხის დასასრულის უახლოესმა მსახურმა — ჰაინც ლინგესთან ერთად.

ასე აღსრულდა ამ უავგულესი დიქტატორისა და ურჩხულის სიცოცხლე. ხომ ნათქვამია - „მიცვალებულზე ან კარგი და ან არაფერიო", მაგრამ ეს კეთილგონივრული სენტენცია არ უნდა გავრცელდეს პირუტყვსა და ზნედაკარგულზე, რომელიც უფრო ცხოველია, ვიდრე ადამიანი. მას (ისევე როგორც მის მეუღლეს) ბენზინი გადაასხეს და დაწვეს, რათა მისი სინსილა არ დარჩენილიყო ადამიანთათვის უფლის მიერ შექმნილ დედამიწაზე.

აქ დავსვათ წერტილი? იქნებ აჯობოს მოკლედ მაინც ცხოვრებისეული სცენარის ფინალური აქტით აღვწეროთ „ათასწლეული რაიხის" დასასრული? მონასტერი აირიაო, რომ ნათქვამია, ის ხდებოდა

„ფიურერ-ბუნკერში". ვინ თვითმკვლელობაზე ფიქრობდა (გებელსი და გებელსები), ვინ გაქცევაზე (მარტინ ბორმანი და კ⁰), ვიღაცამ კი, უბრალოდ, არ იცოდა — რა ექნა? იქვე დაჭრილები ადამიანურ შველას ითხოვდნენ, მით უმეტეს, რომ ეზოში მოქმედი ლაზარეთი იყო, რომლის მთავარ ქირურგს ჯერ კიდევ არ დაეტოვებინა თავისი პოსტი.

დერეფნებში ვეღარ გაივლიდით. ვინ საით გარბოდა, არავინ უწყოდა. მკვდართა სუნი ყველაფერს ფარავდა, თვით ტუალეტებისას, რომლებიც ისეთ მდგომარეობაში მოქცეულიყო, რომ შიგ შესვლა აღარ შეიძლებოდა. შარდვას ვინღა დაეძებდა, უფრო მთავარისათვის ეზოში უნდა ერბინათ ცოდვილთ. ნამდვილი ჯოჯოხეთი იყო. აბა, ერთი წუთით წარმოიდგინეთ ჩახდილი შარვლით ეზოში ჯდომა — საარტილერიო ჭურვების გამუდმებული ზუზუნისა და მით უმეტეს აფეთქებათა აკომპანიმენტის ქვეშ. მერედა, რაც მთავარი იყო შენობებში ხომ მანდილოსნებიც იყვნენ, და ბავშვებიც. ჯერ მარტო გებელსებს ხუთი ბავშვი ახლდათ.

დაბინდებისას გარღვევისათვის გამზადებული ჯგუფები სს-ის გენერალ ვილჰელმ მონკის სქემით დაიძრნენ მიზნისაკენ. ისინი ცალ-ცალკე გადიოდნენ მცირედი შუალედებით. სულ ექვსი ჯგუფი იყო. „კოლონას" თავში თვით ავტორი ედგა. დიდის ვაი-ვაგლახით მიაღწიეს მეტროს უახლოეს სადგურს, თუ არ ვცდებით - „კაიზერჰოპს" და იქიდან უკვე გვირაბებით და შესახვევ-შემოსახვევებით, ასევე მეტროს სადგურ - „ფრიდრიხშტრასემდე". შემდეგ ზემოთ ასულები, ერთ-ერთი ქუჩის გზაჯვარედინზე საბჭოთა ტანკებს გადაეყარნენ — ტ-34-ებს, რომლებიც იქ მორიგეობდნენ და ამიტომ იძულებული შეიქნენ გათენებამდე მიმდებარე შენობების სარდაფებში მიმალულიყვნენ, ხოლო მეორე დღეს ბერლინის კომენდატმა გენერალმა ჰ. ვაიდლინგმა კაპიტულაცია გამოაცხადა, ახალი და ისიც ერთდღიანი რაიხსკანცლერის — იოზეფ გებელსის თვითმკვლელობის შემდეგ. ასეთ შემთხვევებში რუსებს კარგი გამოთქმა აქვთ - „Скатертью дорога".

ასე დამთავრდა ევროპაში წინარე საუკუნის უდიდესი ტრაგედია, თუმც წყნარ ოკეანეში ომი გრძლედებოდა მილიტარისტულ იაპონიასთან. განა შეიძლება დღეს ადამიანებმა ბოლომდე საღად გაიაზრონ ის უსაზღვრო, ვიტყოდით უკიდეგანო სიხარული, რაც ომის დამთავრების აქტმა მაშინ მოუტანა გამარჯვებულებს, თუმცა იყვნენ ისეთებიც, რომლებისთვისაც იგივე მომენტი კატასტროფის ტოლფასი შეიქნა. ამიტომ იყო, რომ ისინი ტყვიებს არ იშურებდნენ თავიანთი მაღალფასოვანი სიცოცხლის დასამოკლებლად. ბერლინსა თუ სხვა ქალაქებში იმ დღეებში არც თუ იშვიათად წაანყდებოდით ასეთ პირთა გვამებს — ქუჩებსა, სახლებსა თუ მეტროს სადგურებში, ისევე როგორც მათ საკუთარ ოფისებში.

ჰქონდათ კი მათ სიცოცხლის მორალური უფლება?.. ამ ე.წ. ადამიანთა გალერეას — პანოპტიკუმს, რომელშიც მოხვედრის ესოდენ ეშინოდა მათ ფიურერს, სათავეში სწორედ ის უდგას — კაციჭამია, ბარბაროსი, ურჩხული, პირუტყვი და სახელთა მათთა ანალოგთა მრავალთა მფლობელი არაადამიანური ქმნილება, რომელმაც დანაშაულებრივად გამოიყენა იმდროინდელი გერმანიისა და გერმანელი ხალხის ეროვნული შეჭირვება და მთელი ერი დააყენა სისხლის სამართლის დამნაშავეთა გზაზე. განა მანამდე ან თუნდაც ამჟამად შეიძლება ვინმემ წარმოიდგინოს, რომ მსოფლიო ცივილიზაციის ეს ერთ-ერთი მთავარი მამოძრავებელი ერი არაადამიანობისა და ჯოჯოხეთისაკენ მიმავალი ხომალდის საჭესთან მოექცია ერთ პარანოიკ ხელმძღვანელს იმ ქვეყნისა, რომლის კულტურასა და უშრეტ ენერგიაზე ესოდენ ბევრადაა დამოკიდებული კაცობრიობის შემდგომი განვითარება და წინსვლა.

თავი XIV

„ჰიტლერის სამყარო“

ყოველ ცოცხალ არსებას დედამიწაზე, ისევე როგორც ზღვებსა და ოკეანეებში, - ერთუჯრედიანი ორგანიზმებიდან მოყოლებული, ადამიანებამდე და ფრინველებამდე — არწივთა ჩათვლით, აქვს თავისი საკუთარი ხელთუხლებელი სამყარო. იმით სუნთქავენ, ცხოვრობენ და არსებობენ. ეს ის ამპლიტუდაა, გარემო თუ სამყარო, რომელიც შემთხვევით და თავისთავად არ არის შექმნილი და აგებული. იგი იმთავითვე ნავარაუდებია უფალი ღმერთის მიერ, როგორც „X“ ორგანიზმის საარსებო სივრცე, მისი გეოპოლიტიკური სამყარო, რომლის გადალახვა ისევე დასჯადია, როგორც ამ სივრცეში შეჭრა. ის გახლავთ ამ ორგანიზმთა საწუთისოფლო, - ყოველი მათგანის შესაძლებლობათა და საჭიროებათა გათვალისწინებით და მისი შემოქმედი თუ დემიურგე უფალია.

წუთისოფელიო, ზემოთ ვიხმარეთ ეს საოცრად ტევადი სიტყვა, რომელიც, ვგონებ, უიშვიათესი მოვლენაა მსოფლიო ხალხთა ლექსიკურ მარაგში, ისევე როგორც ზოგი კიდევ სხვა სიტყვა ქართული, სახელდობრ — დედამიწა, გარდაცვალება, შენი ჭირიმე, თუმც ამ უკანასკნელის სანაცვლოდ ჩვენს მეზობელ სომხებს ძალზე მიახლოებული ცნება აქვთ - „ცავატანემ“ (შენი ჭირი წამიღიაო“). ჰოდა, სწორედ რომ ეს წუთისოფელი განსაზღვრავს კიდეც ცოცხალ ქმნილებათა პოტენციურ სფეროსა და

შესაძლებელი არსებობის დროს — ჭიანჭველიდან არწივებამდე, ზღვის უმცირესი მოლუსკიდან — ზვიგენებამდე და ვეშაპებამდე, ან თუნდაც ტბებადქმნილ მდინარეთა უზარმაზარ ურჩხულებამდე და გიგანტ ნიანგებამდე.

მიწიერი ყოფის ამ ცოცხალ არსებათა შორის გამორჩეული და ყოველმხრივ პრივილეგირებული ადგილი უჭირავს ადამიანს, რომლის როლსა და საქმიანობაზე დიდად არის დამოკიდებული არამარტო მისი და მისი ოჯახის, არამედ წრის და თვით საზოგადოების პროფილი, ხასიათი და ბუნება. ცალკეული ადამიანები, განსაკუთრებით კი ისტორიულ გმირებად შერაცხულნი, დიდად უნყობენ, ან პირიქით, ხელს უშლიან საზოგადოების წინსვლასა თუ უკუსვლას, პროგრესს თუ რეგრესს და, აქედან გამომდინარე იმკვიდრებენ კიდეც შესატყვის ნიშას მსოფლიოს ისტორიასა და ენციკლოპედიებში. ალბათ, ისევე, როგორც ჩვეულებრივ ცხოვრებაშია აღმართისა და დაღმართის თანაფარდობა და ერთ ზნეკეთილ პიროვნებაზე იმდენივე უზნეო მოდის, ისტორიაშიც დაახლოებით რიცხვტოლია დადებითი და უარყოფითი გმირების რაოდენობა. მთავარია მხოლოდ თვით საზოგადოებამ მართებულად აღიქვას და განასხვავოს ისინი, რათა მიღწეული სიმაღლით არ განსაზღვროს მათი როლი და მოღვაწეობა, თუმცა თვითონ ადამიანებისა და საზოგადოებისათვის მეტწილად თვით ფაქტის სენტენციაა ჩვეული. როდესაც ჩვენ აღფრთოვანებას არ ვმალავთ მსოფლიოს საოცრებათა თუ საკვირველებათა მიმართ — არის ეს არტემიდას ტაძარი თუ ხეოფსის პირამიდა, სუეცის არხი თუ სემირამიდას დაკიდებული ბაღები, განა ვუწევთ ანგარიშს, როგორი მსხვერპლის ფასად შეიქმნა ისინი? ადამიანთა ცნობიერებისათვის მთავარია თვით ფაქტი და არა ამ საოცრებათა ჭრილი — სად და როგორ ვითარებაში შეიქმნა ეს სასწაული და რამდენი კაცის სიცოცხლე იმსხვერპლა.

ასეთსავე სასწაულთა თუ კოლოსთა კატეგორიას მიეკუთვნება ადოლფ ჰიტლერიც, ვეებერთელა უარყოფითი გმირი, ვიტყოდით ჯოჯოხეთური ქმნილება, თუმცა ძნელია, ძალზე ძნელი მისი პროფილის, მისი რაკურსის განსაზღვრა, იმდენად ბევრი, ძალზე ბევრი ნეგატიურია მის ქმედებებში. მან, ერთის მხრივ, ცად ატყორცნა თავისი თანამოაზრე ხელქვეითნი, ხოლო, მეორეს მხრივ, ჩექმის ქვეშ მოაქცია ყოველი „ურჩი" და გასრესით ემუქრებოდა დიდსა თუ პატარას. მან გაანადგურა მილიონობით ებრაელი გერმანიასა და ევროპაში და ამავე აქციით ემუქრებოდა სლავებს მის აღმოსავლეთ რეგიონებსა და რუსთა მიწა-წყალზე. მან ცხოვრება გოლგოთად უქცია მილიონობით ადამიანს და კიდევ უფრო მეტი სატანჯველით ემუქრებოდა დანარჩენებს. მან შექმნა უამრავი (დაახლოებით ალბათ 20-30-ზე მეტი) საკონცენტრაციო

ბანაკი, რომლებშიც ათობით მილიონობით ადამიანს მოუსპო სიცოცხლე ამისთვის საგანგებოდ შექმნილ გაზის კამერებსა და ღუმელებში. და ამ ქმედებებს უკანმოუხედავად და შეგნებულად ჩადიოდნენ მისი იდეებით მხეცად ქცეული პირუტყვები და ნაძირლები, რომლებიც ამ „გმირობათა" ჩადენის შემდეგ თავ-თავიანთ ოჯახებში ბრუნდებოდნენ, რათა საკუთარ შვილებს მოფერებოდნენ და მოალერსებოდნენ, ისე როგორც ამას რსჰა-ს სისხლისმსმელი თავკაცი ჰიტლერისა და ჰიმლერის შემდეგ მესამე რაიხის პირველი მეფისტოფელი, ბოჰემიისა და მორავიის ფაქტობრივი პროტექტორი[1] — რაინჰარდ ჰეიდრიხი, რომელიც პრაღაში, სამსახურში წასვლის წინ იატაკზე ოთხ ფეხზე დადგებოდა, შეისვამდა ზურგზე თავის სამ შვილს, სამსახურში დაბრუნების შემდეგ კი ჩავიდოდა სარდაფში მოწყობილ სასროლეთში ჩეხ ბავშვებს აისროდა ჰაერში და ამ „მოძრავ სანიშნეებს" ტყვიით ანადგურებდა... არც მეტი და არც ნაკლები. — ასე იყო, დიახ, ასე!

რით შეიძლება ავხსნათ ჰიტლერისა და მისი ტოლფასი გარემოს ეს ბარბაროსული ბუნება და საქმიანობა? ერთი შეხედვით მათ სოციალურ პოზიციასა და მათ ოჯახისშვილობას ასეთი განგაშის საფუძველი არ უნდა შეექმნა: ჰიტლერის დედ-მამა საკმარისად სანდომიანი ოჯახის მფლობელები იყვნენ. დედა მორწმუნე იყო, თუმც მამას ზედმეტი სიყვარული ჰქონდა სასმელებისა, მაგრამ არასოდეს არავის ერჩოდა; ჰიმლერის მამა მიუნხენის ცნობილი გიმნაზიის დირექტორი გახლდათ და საკმაოდ აღიარებული იყო ქალაქში; ჰეიდრიხის მამა — მიუნხენის კონსერვატორიის პროფესორი გახლდათ ვიოლინოს კლასით (თვით რაინჰარდიც საკმაოდ კარგად უკავდა ვიოლინოზე); ი. გებელსის მამა ბუღალტერი იყო და მორწმუნე; გერინგის მამა — ბისმარკის მეგობარი და გერმანიის სამხრეთ-დასავლეთ აფრიკის (დღევანდელი ნამიბიის) გენერალ-გუბერნატორი გახლდათ; რ. ჰესის მამა — ბიზნესმენი და ასევე მორწმუნე ადამიანი იყო და ა.შ. აბა, ამდენი ურწმუნო, ცივსისხლიანი და კაცისმკვლელი საიდან შეიყარა ნაცისტურ პოლიტიკურ ელიტაში?

ერთი ხალხური ანდაზა ამბობს: ცუდი მაგალითი იოლად გადამდებიაო. ვეთანხმებით, მაგრამ გვსურს გავარკვიოთ ვინ იყო ეს ცუდი მაგალითი? პასუხი ერთია — ნაციონალ-სოციალიზმი — კაცობრიობისათვის ყველაზე უმძიმესი ავთვისებიანი სიმსივნე, რომლის საწყისი უჯრედი ადოლფ ჰიტლერია — ცუდად აღზრდილი, გულჩათხრობილი, არაკომუნიკაბელური, ახირებული და მეგალომანი, ანუ საკუთარ თავზე შეყვარებული, თუმც საოცრად ხელმოცარული არაკაცი, რომელმაც თავის დროზე ვერც სკოლაში ისახელა თავი და ვერც სამხატვრო

[1] ნომინალურად ასეთი იყო ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი — ბარონი ფონ ნოირატი.

აკადემიაში შეყო თავი: არც სიმწიფის ატესტატი გააჩნდა, ხოლო მისაღები გამოცდისას სპეციალობაში (ხატვაში) ჩაიჭრა. ასე რომ ის გახლდათ მინუს 7-იანი ახალგაზრდა.

ზოგიერთი მისი ბიოგრაფი ამ მინუსების „გამოსყიდვას" ლამობს მტკიცებით — სამაგიეროდ მას ლიდერის ანუ უფრო სწორად ლიდერად დაბადებულის პრეტენზია ჰქონდაო. „Born to lead" — ასეთი ტერმინი ანუ ლიდერად დაბადებულის სახელი შეიძლება მიეწეროს ვთქვათ, მარგარეტ თეთჩერს, მაგრამ არამც და არამც ჰიტლერს. ბიჭი ლიდერი სკოლაში ან ყოჩობაში უნდა იყოს პირველი ან სნავლაში ან სპორტში. სკოლის ასაკის ბიჭს რომ ფეხი არ ექნება ბურთზე დაკარებული ან კიდევ წამყვანი პირი არ იქნა სხვა სპორტულ თამაშობებში — ლიდერი ვერა და ვერ იქნება. ისიც უნდა დავამატოთ, რომ ომში ყოფნისას მან უმცროსი ჩინის ოფიცრობაც ვერ მიიღო და მხოლოდ ეფრეიტორი შეიქნა. პასუხი ასეთი იყო: არა აქვსო მეთაურობის ნიჭი და არც სურვილიო.

არიან სხვა ტიპის ბავშვები, რომლებსაც სამაგიეროდ სხვა ნიჭი აქვთ, ვთქვათ, თავიანთი გუნდის ან ნრის შექმნის. ჰიტლერისათვის ეს საერთოდ უცხო ხილი იყო. მან ლინცში ერთი მეგობარი ძლივს გაიჩინა — ავგუსტ კუბიცეკი (ჩვენ უფრო სწორად მიგვაჩნია, კუბიჩეკი), რომელსაც მთელი ორი წელი იღლიაში ამოდებული ატარებდა (გაიხსენეთ მისი მუსიკის მასწავლებლის გასვენებაში ჰიტლერის მისვლა და ავგუსტის გაოცება — შენ ხომ მას საერთოდ არ იცნობდიო, „მართალიაო, მაგრამ არ მინდაო ვინმე სხვასთან შენი დაახლოება"...) და მომდევნო წლის განმავლობაში მასთან ერთი წლის განუყრელი მეგობრობისა და ერთად ცხოვრების შემდეგ იმგვარად გაუჩინარდა მისგან, რომ კუბიცეკმა მისი ასავალ-დასავალი ვერ დაადგინა ვერაფრით.

აი აქ, ჩვენი წიგნის წერის პროცესში, გაჩნდა ერთი ახალი და მანამდე სრულიად უცნობი ინფორმაცია: ის მკითხველს ერნსტ ჰაფშტანგლმა მიაწოდა[1], ჰიტლერის პრეს-სამსახურის უფროსმა უცხოური მედიის სფეროში და მისმა უახლოესმა პირმა, ვიტყოდით, საშინაო ნრის ნევრმა მთელი 10-12 წლის განმავლობაში და ბოლოს კაცმა, რომლის სახლს თავი შეაფარა ლუდხანის პუტჩიდან გაქცევის დროს და რომელშიც პოლიციამ დააპატიმრა კიდეც. აი, ეს ჰანფშტანგლი, ზედმეტსახელად „პუცი" გვარწმუნებს, რომ ჰიტლერს ვენაში სიფილისი შეეყარაო 1908 წელს. დაახლოებით იმავე პერიოდში, რომელშიც კომუნისტ „ფიურერს" — ლენინს. თუ ეს ასეა, უნდა ვიფიქროთ, რომ სწორედ ამ გარემოებამ გადააწყვეტინა, გაყროდა თავის ერთადერთ მეგობარს მთელი თავისი ცხოვრების განმავლობაში და გაუჩინარებულიყო ვენაში ისე, რომ

[1] Ханфштангль Эрнст. Мой друг Адолф, мой враг Гитлер. Воспоминания личного пресс-секретаря. Екатеринбург, 2007,150.

ავგუსტ კუბიცეკს მისი კვალისათვის ვეღარ მიეგნო. დავიჯეროთ განა, რომ მისი ეს გონებრივი აშლილობა და ფსიქიკური მანიაკობა თავის დროზე სიფილისით დაავადების შედეგი იყო ან კი გავლენა? სიფილისით უინსტონ ჩერჩილის მამაც კი იყო დაავადებული, მაგრამ არც მას და არც მის შვილს ეს არასოდეს დამჩნევია რაიმეში. დაგვეთანხმებით, რომ უფრო პირიქით მოხდა.

ახლა ჩვენ გვინდა მკითხველთან ერთად გავიაზროთ ჰიტლერის ინტელექტუალური და სულიერი განვითარების გზა ბავშვობიდან მოყოლებული ვიდრე გარდაცვალებამდე თუ თვითმკვლელობამდე, რაც ჩვენ არადა არ გვწამს. როგორ გახდა. შესაძლებელი მისი ასეთი „ტრიუმფალური" ასვლა არარაობიდან (თუ მისსავე თანამედროვე ერთ დიდ დიქტატორს არ ჩავთვლით) სამყაროს ერთ-ერთ უმაღლეს საფეხურამდე პოლიტიკაში. შეეძლო კი ვისმეს დედამინის ზურგზე ეს ევარაუდა ან გაეთვალისწინებინა? ან კიდევ სხვაგვარად, მსოფლიოში ცნობილი ავსტრიელი ეკონომისტის — ფრიდრის ჰაიეკის — შეკითხვა რომ გავიმეოროთ, რატომ ხდება ხოლმე, რომ ტოტალიტარულ საზოგადოებაში ხელისუფლებაში უარესნი მოდიან?[1]

არადა, თვით ჰიტლერის პოლიტიკურ ოლიმპზე ასვლას რომ მივადევნოთ თვალი, ამას სრულიად წარმოუდგენლად და დაუჯერებლად მიიჩნევდა ნებისმიერი ნორმალური ადამიანი. „თავის ცხოვრებაში, - წერს ძალზე ცნობილი გერმანელი ფსიქოლოგი ერიხ ფრომი (1900-1980), - ჰიტლერი თითქოსდა წარუმატებლობის საფეხურებით ადიოდა: უსულგულო (თუ უმუყაითო) მოსწავლე, საშუალო სკოლიდან გარიცხული, გამოცდებზე ჩაჭრილი აბიტურიენტი, „იზგოი"[2], თავისი ჯგუფიდან განკვეთილი, არშემდგარი მხატვარი, - რომლის ყოველი მარცხი სულ უფრო ჰკოდდა მის ნარცისიზმს, სულ უფრო ამცირებდა მას და ყოველი მარცხის შემდეგ ის უფრო შორს მიდიოდა ფანტაზიის სამყაროში. მასში მატულობდა სიძულვილი, შურისძიების ძლიერი სურვილი, იზრდებოდა და ვითარდებოდა ნეკროფილია, ფესვებგადგმული, როგორც ჩანს ჯერ კიდევ ბავშვურ ავთვისებიან ინცესტუალურ მიდრეკილებებში.

ომმა, - განაგრძობს ფრომი, - თითქოსდა ბოლო მოუღო მისი წარუმატებლობების ზოლს, მაგრამ იგი დასრულდა ახალი დამამცირებელი მოვლენებით: გერმანული არმიის დამარცხებით და რევოლუციის გამარჯვებით. მაგრამ ამჯერად ჰიტლერს შესაძლებლობა მიეცა თავისი წარუმატებლობა გადაექცია ერის დამცირებად. ეს მას საშუალებას აძლევდა დაევიწყებინა საკუთარი წარუმატებლობა. კერძოდ ის, რომ თვით კი არ მოხვედრილა ტალახში, არამედ გერმანია.

---

[1] Фром Эрих. Адольф Гитлер. Клинический случай некрофилии. М , 1992,3

[2] ასე ენოდება ყველასაგან გარიყულ თუ გაძევებულ კაცს.

შურისძიება გერმანიისათვის მისთვის პირადი შურისძიება გახდა, ხოლო გერმანიის ხსნა — პირადი გადარჩენა...

ახლა უკვე მან იცოდა თავისი მიზანი: უნდა გამხდარიყო დიდი დემაგოგი. მაგრამ არა მხატვარიო, რა თქმა უნდა. მან იპოვა სხვა სფერო, სადაც აღმოაჩნდა ჭეშმარიტი უნარი და სადაც შესწევდა ძალა, ნამდვილად ევარაუდა წარმატება.[1]

მაგრამ, თუნდაც ამ წარმატების გათვალისწინებით, საიდან მოდიოდა მის პარალელურად სისასტიკე, კაცთმოძულეობა, მიზანტროპია, გათანაბრებული ნეკროფილიასთან და კიდევ მრავალი და მრავალი სისასიზღრე? განა მსოფლიოში ვინმეს გაუგია თუნდაც ერთი თბილი და მით უმეტეს საპატივცემულო ან საქებარი სიტყვა ჰიტლერისა, წარმოთქმული მის მიერ მისი რომელიმე თანამედროვე გამოჩენილი პოლიტიკური თუ საზოგადოებრი მოღვაწის მისამართით: ჩერჩილი — სიფილიტკი და ლოთი იყოო, რუზველტი — პარალიტიკი და ებრაული წარმოშობის, ფრანკო — ნამდვილი ფელდფებელი და ა.შ. ერთადერთი გამონაკლისს ის უშვებდა მისებრ დიქტატორთა და მბრძანებელთა მიმართ, კერძოდ, მუსოლინისა და, გამორჩევით, ი. სტალინისადმი.

როგორც ერიხ ფრომი გვაუწყებს, ევროპაში არსებობდა ჰიტლერის ბუნების დანაშაულებრიობის ახსნის ორი ფსიქოანალიტიკური ცდა, რომელთაგან პირველი ეკუთვნოდა ინგლისელ უილიამ ლანგერს, მეორე კი ფრანგ — ჟაკ ბროსეს. პირველის ნაშრომს ეწოდება - „ჰიტლერის გონი", ხოლო მეორისას - „ჰიტლერი ჰიტლერის საპირისპიროდ" (ან შეიძლება - „წინააღმდეგ")

ლანგერის მოსაზრება ზედმეტად გადატვირთულიაო აპრიორული თეორიული მტკიცებულებებით, რომელთა მიხედვით დედასთან ადოლფის მიჯაჭვულობამ იგი მიიყვანაო ოიდიპოსის განსაკუთრებით ინტენსიურ კომპლექსთან, რომლის ქვეშ იგულისხმება მამისაგან განთავისუფლების სურვილი. ავტორის შეხედულებით პატარა ყმაწვილმა თვალ-ყური ადევნა მშობლების სქესობრივ აქტს და სიძულვილის გრძნობით განიმსჭვალა მამამისის მიმართ, რაც შეიძლება მისი მხრივ (იგულისხმება ჰიტლერი) გაგებულ იქნა, როგორც დედის წვალება ან შეიძლება ცემის ცდაც კი, რამეთუ თვით სექსუალურ აქტს მანდილოსნები გაცილებით მეტი აღგზნებულობით აღიქვამენ... შემდეგ ბავშვის ამ შეგრძნებას დაემატა მამა-შვილის განუწყვეტელი დავა ადოლფის მომავალ პროფესიასთან დაკავშირებით, რომელსაც არც თუ იშვიათად პატარა ბიჭის ცემა-ტყეპა მოსდევდა. ასე ჩამოყალიბდა კაცთმოძულე, უფრო ზუსტად მამაკაცთ მოძულე ტიპი, რომელსაც დაერთო ურთულესი ცხოვრებისეული პრობლემები (თუ არ შიმშილობა,

[1] Фром, там же, 131.

ყოველ შემთხვევაში ნახევრად შიმშილობა). გავიხსენოთ თუნდაც მისი ბიბლიის - „მაინ კამპფის" ერთი თავის სახელწოდება - „ვენის ნლები — სნავლისა და ტანჯვა-წვალებისა". მასში ნათქვამია, რომ ნატრულობდა ერთხელ მაინც დაეძინა გამაძღარსა და მუცელავსებულს.

ფრანგი ავტორის — ჟაკ ბროსეს გამოკვლევა, ერიხ ფრომის აზრით უფრო გამჭრიახი და მახვილგონივრულია და ბევრ ნერტილში ემთხვევა მისეულ (ე.ი. ფრომისეულ) მოსაზრებებს. ბროსე უზადოდ შეიცნობსო ჰიტლერისათვის დამახასიათებელ ცხოვრებისადმი სიძულვილს. ავტორი შესამჩნევად სცდება ოიდიპოსის კომპლექსის ტრადიციული გაგების საზღვრებს, ისევე როგორც მშობელთა სქესობრივი კავშირის „პირველშობილ სცენას". „ჰიტლერის ყველაზე ღრმა, მაგრამ შეუგნებელი განზრახვა იყოო - „გამნაყოფიერებელი (ფალიური) დედის მკვლელობა" ანუ არამარტო მამის, არამედ ასევე მასთან შეჯვარებული (თუ მიერთებული) დედის ლიკვიდაციაც... მას მხურვალედ სურს არამარტო თავისი დაბადების მოსპობა, არამედ თავისი ჩასახვისაც კი, „პირველშობილი სცენა" მშობლების პირველნოლისა. ამასთან არა იმისი, რომელსაც შეესწრო, არამედ იმისი, რომელიც მის ამქვეყნიურ გაჩენამდე ხდებოდა. სცენა, რომელსაც ის თავის გაჩენამდე წარმოსახვით ესწრებოდა, რეტროსპექტრულად, გარკვეული მოსაზრებით — პოტენციურად, რამეთუ ის დაკავშირებული გახლდათ მის ჩასახვასთან. აი, სწორედ რომ ეს არის ცხოვრებისადმი ჭეშმარიტი ზიზღი: სიძულვილი თვით აქტისადმი, რომელშიც მისმა მშობლებმა მას ცხოვრების საშუალება მისცეს, ან უფრო სწორად — ცხოვრების საწყისისა.

ცხოვრებისადმი ზიზღისა თუ სიძულვილის აღწერას, – ერიხ ფრომის აზრით, უთუოდ აქვს თავისი ღირსებები, მაგრამ იმ ვარაუდით, რომლითაც ის უნდა ემსახურებოდეს ცხოვრებისადმი ჰიტლერის სიძულვილის კონკრეტულ მიზეზთა ანალიზს, ის არ გამოდგებაო. ის ამ შემთხვევაში თვით ამ ანომალიური მოვლენის სიურეალისტური გააზრება თუ აღწერილობა გახლავთ, რომელიც რეალურად ამქვეყნიურ ცხოვრებაში გამოირიცხებაო.

ქვეყნად არსებობს კიდევ ერთი ცდა ჰიტლერის ხასიათის გაანალიზებისაო, - წერს ე. ფრომი. ეს მე მეკუთვნისო. იგი გადმოცემულიაო ჩემს წიგნში - „თავის დაღწევა თავისუფლებისაგან".[1] „მე მასში ვეყრდნობიო ავტორიტარულ სადო-მაზოხისტური ხასიათის წარმოდგენას და არ ვეხებიო მისი ბავშვობის ამბებს. ეს ანალიზი მე ამჟამადაც მართებული მიმაჩნია, თუმცა, როგორც ახლა ვფიქრობ — ჰიტლერის სადიზმი მისი ნეკროფილიის მიმართ მეორადიაო..."[2]

[1] Fromm. E. Escape from freedom. New-York, 1941.

[2] Ibidem, 94.

ჩემო ძვირფასო მკითხველო! ჩვენ ზევით ვცადეთ თქვენთვის გაგვეცნო ჰიტლერის შესახებ მეცნიერებაში არსებული ფსიქო-ანალიტიკური შეხედულებანი. მათი გაგება შეიძლება ჩემსავით თქვენც გაგიჭირდეთ. ეს ფილოსოფიური სენტენცია თუ შეფასება რომ გვერდზე გადავდოთ და უბრალო, ადამიანურ ენაზე ვისაუბროთ, ღრმად დარწმუნებულებმა შეგვიძლია ვთქვათ, რომ იგი იყო უიშვიათესი პათოლოგიური ტიპი, სადისტი, რომლისთვისაც თვით ცხოვრება, გარდა ცალკეული და იშვიათი მომენტებისა, აღვსილი იყო ადამიანთა მიმართ სიძულვილით და იმ ნეკროფილიით, რომლის თაობაზე ზემოთ აღიარებული გერმანელი ფსიქოლოგი საუბრობდა.

თუ ქართველი მკითხველი ნებას დაგვრთავს, ერთ ქართულ სატელევიზიო სიუჟეტს თუ რგოლს დავესესხოთ, სადაც რომელიღაც რეკლამისტი (ბოდიშს ვიხდი მისი გვარის უცოდინარობისათვის) ხელში რაღაც მწნილის ქილას იღებს და ამბობს — „რად უნდაო, ბიჭო ამას ამდენი ბაზარი — იყიდე!" ჩვენც უბრალო, ჩვეულებრივ, ადამიანურ ენაზე ვიტყოდით, რომ ჰიტლერისეული პათოლოგია უაღრესად ჩვეულებრივი ასახსნელია: ყოველი ცხოვრებისეული კომპონენტისადმი უარყოფითი, ვიტყოდით, არაადამიანური დამოკიდებულება ჯამში ვერა და ვერ მოგვცემს დადებით ეფექტს. ეს მათემატიკაში ხდება ორი უარყოფითის თუ მინუსის გადამრავლებით დადებითის თუ პლუსის მიღება, მაგრამ ცხოვრებაში — არა. თავად განსაჯეთ: უკარებლობა და არაკომუნიკაბელურობა, ხორცისა და, საერთოდ, არადიაბეტური საკვების მიუღებლობა, მამაკაცთათვის ჩვეული ხასიათისა და მიდრეკილებათა უქონლობა — არც მაგარი სასმელების, არც ლუდის და არც თამბაქოს მიმართ რაიმე ნორმალური სიმპათია, უფრო ყველაფერი პირიქით — ტკბილეულისადმი და, განსაკუთრებით, შოკოლადისადმი მისწრაფება, ზურგის შექცევა სპორტისა და, გამორჩევით ფეხბურთისადმი (საერთოდ, სრული აპათია ბურთისადმი), სრული და გამუდმებული უგუნებობა, (გაიხსენეთ მისი ფოტოგრაფიები), უჩვეულო ახირებულობა (მუდამ საწინააღმდეგოს თქმის სურვილი) და რაც მთავარია, იმპოტენტობა, რომელსაც ბევრი ადასტურებს, გამონწვლილვით კი ერნსტ ჰანფშტანგლი, რომელიც ასეთ შეფასებას გამოთქვამდა თავის საკუთარი ცოლის მონათხრობის საფუძველზე. იშვიათი გარეგნობის ეს ქალბატონი იმდენად მოსწონდა ჰიტლერს და იმდენად გატაცებული იყო მისით, რომ მიუნხენში ერთხელ ქუჩაში დაუჩოქა მას მისი ქმრის თანდასწრებით.

ანდა თუ გნებავთ გავიხსენოთ მისი დამოკიდებულება თავისი დისშვილისადმი — გელი რაუბელისადმი, რომელიც როგორც ამტკიცებენ სექსუალური ანომალიების გამო მან ბოლოს და ბოლოს თვითმკვლელობამდე მიიყვანა. მოდით, ყველაფერს თავი დავანებოთ

და გავიხსენოთ მისი და მისი ოჯახის უმთავრესი პათოლოგია: ჰიტლერის მშობლები ხომ ფაქტობრივად ნახევრად და-ძმანი იყვნენ ან უფრო სწორად — ბიძია-დისწული. დედამისი ხომ შეუღლებამდე „ბიძიას" ეძახდა მამამისს — ალოიზს. და ბოლოს, განა ცოტაა ავტორი, რომელიც სწორედ ამ გარემოებას აბრალებს მისი სამი თუ ოთხი და-ძმის გარდაცვალებას ბავშვობაშივე და მიაჩნიათ, რომ ეს იყო გამოწვეული მათი მშობლების სისხლშეუთავსებლობით.

ახლა გვითხარით — ამდენი მინუსისა და უარყოფითის შემდეგ, დადებითი როგორ უნდა გამოსულიყო? ანდა, რა ფსიქო-ანალიზები და ექსპერიმენტები სჭირდებოდა ამის დადგენას? ერთადერთი, რაც ადამიანური ჰქონდა მას — ეს გახლდათ ქალებისადმი პატივისცემა, მათ წრეში ყოფნა და ბავშვებისადმი უჩვეულო სიყვარული, ისევე როგორც ძაღლებისადმი სიყვარული, თუმცა ეს უკანასკნელი სავსებით გასაგები უნდა იყოს: თვითონაც ძაღლი იყო და ალბათ იმიტომ.

როგორც ცნობილია, მას საკუთარი შვილი არ გააჩნდა,[1] მაგრამ შეეძლო საათობით ეთამაშა გებელსის ბავშვებთან (მადლობა ღმერთს, მათი სანაკლულე არ იგრძნობოდა), ისევე, როგორც ერნსტ ჰანფშტანგლის პატარა ბიჭთან — ეგონთან, რომელთანაც გართობის დროს იატაკზეც კი დამჯდარა და ისე ეთამაშებოდაო საათობით. ამიტომ იყო, რომ თვით პატარა ეგონი ბიძია „ადის" ეძახდა (ადოლფიდან) და უყვარდა კიდეც.

და ბოლოს, ყველაფერზე მეტად გასაკვირია ჰიტლერის დამოკიდებულება თავის საკუთარ დედმამიშვილებისა და უახლოესი ნათესავებისადმი. გელი რაუბალის თაობაზე ხომ უკვე ითქვა. მას, ავსტრიიდან წასვლის შემდეგ თითქმის აღარ მოუნახულებია თავისი სოფელი შპიტალი და ლინცი, გარდა ერთი-ორი გამონაკლისისა პირველი მსოფლიო ომის პროცესში, როცა მას მორიგი შვებულებები ერგო. მშობლების საფლავზე მის მისვლასაც კი არ მოიხსენიენებენ მემატიანეები, გამონაკლისისა ავსტრიის ანშლუსის დღეებში, როცა მარტოდმარტო წასულა მათ საფლავზე.

როგორც ცნობილია, ჰიტლერს ბავშვობიდან ნახევარ და-ძმა შემორჩა (მამამისის — ალოიზის მეორე ცოლისაგან) – ძმა ალოიზი და და ანგელა.

---

[1] ამ რამდენიმე წლის წინათ ერთმა ქართულმა გაზეთმა დაბეჭდა ცნობა, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ ამერიკაში, ვილაც მამაკაცმა გამოაქვეყნაო წერილი, რომელშიც ამტკიცებდაო გინდა თუ არა ჰიტლერის უკანონო შვილი ვარო, თუმც არ ამხელდა დედის ვინაობას. ესაოდა, მომბეზრდაო ამდენი ხნის დუმილი. გაზეთში მისი სურათიც იყო დაბეჭდილი, მაგრამ ამ ფოტოს მიხედვით ნამდვილად ვერ იტყოდით მასზე, რომ ჰიტლერის შვილიაო. შეიძლება დედას ჰგავდა, რაც უფრო მოსალოდნელია. ასევე გამოჩნდა მტკიცება ჰიტლერის ერთი მდივან მემანქანისა — კრისტა შრიოდერის, რომ თითქისდა პირველი მსოფლიო ომის პროცესში მას ფრონტზე შეეძინა ვაჟი — ჟან-მარი ლორე — შარლოტა ლორესაგან, რომელიც ომის შემდეგ კ. შრიოდერს თხოვდა ამ ფაქტის დადასტურებას. (იხ. Шрёдер К. Я была секретарем Гитлера. М. 2007.152).

ძმა 14 წლის ასაკში საერთოდ წავიდა ოჯახიდან და აღარ ეხმაურებოდა თავის ძმას — ადოლფს, - რომელიც სრულიად გარიყული იყო მისგან, ხოლო ნახევარდა ანგელა თავდაპირველად მუდმივ კონფლიქტში იყო მასთან და ხან რას ედავებოდა და ხანაც რას (მკითხველს ეს კარგად ეხსომება) მოგვიანებით, ობერზალცბერგში ჯერ პატარა სახლისა და შემდეგ „სასახლის" აგების შემდეგ, როდესაც რაიხსკანცლერი და ფიურერი შეიქნა, მან ანგელა წაიყვანა თავისთან და ეკონომიკად იყო, მანამდე, ვიდრე იქ არ დასახლდა ევა ბრაუნი, რომელსაც ანგელა ორგანულად ვერ იტანდა. ამის შემდეგ ანგელა ნელინადში ერთხელ მიდიოდა ძმის მოსანახულებლად — მისი დაბადების დღეს — 20 აპრილს. ორთავე და-ძმა მოესწრნენ ჰიტლერის აღზევებასაც და დაცემასაც. ორთავე ომის შემდეგ გარდაიცვალნენ. რაც შეეცება დას - პაულას, მან მასთან კავშირი ბავშვობის შემდეგ გაწყვიტა, კანცლერობის შემდეგ გვარი გამოაცვლევინა და ის მარტოობაში გარდაიცვალა 1960 წელს.

ახლა ომის შემდეგ ცხოვრებისეულ სხვა „გამოსხივებებზე" ვისაუბროთ შედარებით მოკლედ, რამეთუ ვრცელი ინფორმაცია მათზე არც არის ცნობილი. ერთი მათგანი ჩვენი შემჩნეულია. ბავშვობასა და ახალგაზრდობაში ჰიტლერის მეგობარი თითქმის არ ჰყოლია, გარდა ავგუსტ კუბიცეკისა, რის თაობაზე არაერთხელ ითქვა, ისევე როგორც ისიც, რომ ერთ მშვენიერ დღეს მას „დაეკარგა" და გაუჩინარდა, მაგრამ, როგორც ჩანს, გულიდან მთლიანად არ ამოუგდია, ისევ ახსოვდა. და როდესაც, ავსტრიის ანშლუსი განახორციელა, მან ის მოაძებნინა ზემოა ავსტრიაში, შეხვდა და ძველი ამბების გახსენებისას მოეფერა კიდეც. უფრო მეტიც: მან ამდენი ხნის შუალედის შემდეგ ამანათი გაუგზავნა კუბიცეკის დედას ავსტრიაში — მისი დაბადების 80 წლის აღსანიშნავ იუბილესთან დაკავშირებით:!.. ასევე ღირსია მოხსენებისა მისი გადაწყვეტილება ვენაში შეხვედროდა თავის ისტორიის მასწავლებელს, რომელიც ერთადერთი იყო, რომელიც თავისი სკოლის პედაგოგებიდან უყვარდა.

როდესაც ვენიდან ბერლინში ანშლუსის შემდეგ დაბრუნებულა, მასთან ერთად ერთ-ერთი პირველი „ძველი მებრძოლი" მეგობართაგანი გამოცხადებულა — ჰერმან ესერი (რომელზეც ქვევით გვექნება საუბარი), ერთი იმათგანი, ვინც ჯერ კიდევ „შენობით" იყო მასთან. ჰიტლერს მისთვის უკითხავს შთაბეჭდილებები ანშლუსის თაობაზე. ჰიტლერი იმდენად კარგ გუნებაზე ყოფილა (რაც იშვიათი შემთხვევა იყო), რომ ჩვენს მიერ აღნიშნული დეტალებიც უამბნია მისთვის. ისიც კი უთქვამს — ჩემი ვენელი დიასახლისის ნახვაც მინდოდა, მაგრამ სამწუხაროდ აღარ დამხვდაო ცოცხალი.

– სამხატვრო აკადემიაში თუ იყავი, არ გქონიაო სურვილი მისი

მონახულების?

– რა ოხრობა მინდოდაო იქ? — უპასუხნია ჰიტლერს გაოცებით.

– ჩემო ადოლფ — ხუმრობით მიუმართავს მისთვის ესერს, - მადლობა ხომ უნდა გადაგეხადა მათთვის რომ არ მიგიღეს, თორემ ახლა, ალბათ, რიგითი მხატვარი ან არქიტექტორი იქნებოდი და ვინ გაღირსებდაო რაიხსკანცლერობასა და ფიურერობასო.

ჰიტლერს მაინცდამაინც არც თუ დიდად მოსწონებია ესერის ეს შეხუმრება, მაგრამ რას იზამდა, ცხოვრებაში ხომ ყველაფერია მოსალოდნელი? სამაგიეროდ, მან თავის ძველ თანაპარტიელს სულ მოკლე დროში აუკრძალა მასთან „შენობით" საუბარი.

დასასრულს, კიდევ ერთი ყოფითი ეპიზოდი თუ შტრიხი და ამით ჰიტლერის დამახასიათებელ მომენტებზე საუბარს დავამთავრებთ. ჩვენს მკითხველს, საკმაოდ კარგად უნდა ახსოვდეს ანტონ დრექსლერი — გერმანიის მუშათა პარტიის დამაარსებელი, რომელიც მოგვიანებით ჰიტლერმა ნაციონალ-სოციალისტურ პარტიად აქცია. არც ის იქნება დავიწყებული, თუ როგორი როლი შეასრულა მან ჰიტლერის პირველკაცობაში, როგორ დაუთმო მას ლიდერის პოსტი და, საერთოდ, - როგორ თანამშრომლობდა მასთან. როდესაც ჰიტლერი რაიხსკანცლერი შეიქნა, იმ დროისათვის დრექსლერი უკვე დასნეულებული იყო. მას ფიზიკურადაც უჭირდა და მატერიალურადაც. ქვედა კიდურების ფუნქცია ჰქონდა დაკარგული, დაკარგვოდა თუ შეზღვუდვოდა და ინვალიდის ეტლს ხმარობდა. ძველი გაფუჭებოდა და გადაადგილება უჭირდა. მისმა ცოლმა ეს გარემოება რაღაცნაირად შეატყობინა ჰიტლერს და ახლის შეძენაში დახმარება სთხოვა, მაგრამ დრექსლერებს არანაირი პასუხი არ მიუღიათ მისგან!.. ესეც თქვენი ჰიტლერი, თუმცა, ალბათ, ერნსტ რემისაგან განსხვავებით ღმერთისათვის მადლობა უნდა ეხადა, რომ ისიც არ მიახვრიტა.

ახლა კი გვინდა მკითხველს **„ალტე-კამპფერები"** ანუ **„ძველი მებრძოლები"** გავაცნო, რომლებმაც უდიდესი თუ არა, გადამწყვეტი როლი შეასრულეს არამარტო პირადად ჰიტლერთან დაკავშირებით, არამედ თვით ნაციონალ-სოციალისტური მოძრაობის და სახელმწიფოს ისტორიაში. ისინი თავდაპირველად თავიანთი კერძო ინტერესებიდან ამოვიდნენ, მაგრამ შემდეგ მოძრაობის გმირები შეიქნენ და პარტიული წარმატებისათვის მტრის ამბრაზურებს გადაეფარნენ. შეუძლია მკითხველს წარმოიდგინოს იმ ძალზე რთული პერიოდის პარტიულ-კლასობრივი ბრძოლის პროფილური პერიპეტიები, როდესაც ნაცისტთა, წითლების ანუ კომუნისტების (რომელთაც ვ. ლენინის მთავრობა აფინანსებდა მოსკოვიდან) და სოციალ-დემოკრატთა ქუჩური, სამიტინგო და სააუდიტორიო ხელჩართული ბრძოლები ტარდებოდა აყალ-

მაყალითა და შეხლა-შემოხლით. ეს ჩხუბი ძალზე ხშირად კლინიკური ჩარევებით მთავრდებოდა. ჩვენი პირადი შეხედულებით სწორედ ამ „ალტე-კამპფერებმა" და სა-ს რაზმელებმა მოუპოვეს ქუჩაში ბატონობა ნაციონალ-სოციალისტებს, რომლებსაც მანამდე ძალზე უფრთხოდნენ პარტიის პირველი დამაარსებლები — ანტონ დრექსლერი და კარლ ჰარერი. მათ მიერ წამოწყებული მუშათა პარტიის შექმნის საქმე, რომელიც მასონური ორდენის - „ტულეს საზოგადოებისა" („Thule Gesellschaft") და მიუნხენში დისლოცირებული საარმიო კორპუსის ხელმძღვანელობის დავალებით განხორციელდა, არ ითვალისწინებდა მშვიდობიანი ხალხის „საომარ მოქმედებებს" მიუნხენში. სწორედ რომ პირიქით. მისი უმთავრესი დანიშნულება სწორედ ამ სამოქალაქო დაპირისპირებათა ლიკვიდაცია უნდა ყოფილიყო, რამეთუ ეს შეხლა-შემოხლები, რამდენადაც ეს პარადოქსულად არ უნდა ჩანდეს, ხშირად გადაიზრდებოდა ხოლმე მათთვის (და ალბათ ყველასათვის) საძულველ რევოლუციებში (ბავარია, საქსონია, ტიურინგია და სხვ.). ამიტომ მიგვაჩნია ჩვენ სრულიად უდავოდ, რომ „ქუჩის დაპყრობამ" მოუტანა ის წარმატება და უპირატესობა ნაციონალ-სოციალისტურ მოძრაობას, რომელმაც განსაზღვრა მათი სენსაციური აღმასვლა საპარლამენტო ბატალიებში და ბოლოს და ბოლოს ხელისუფლებაში მოსვლაც.

მაშ ასე, ვინ იყვნენ ნაციონალ-სოციალისტური მოძრაობის პირველი ლეგიონერები? ამასთან ერთად ისიც გვსურს მივანიშნოთ, რომ ჩვენთვის მისაწვდომ ლიტერატურაში მათი ერთიანი სია არ არსებობს. თვით ძალზე „ერუდირებულ" „მესამე რაიხის ენციკლოპედიაშიც" კი არ არის მოცემული მათი ერთიანი წრე, როგორც ეს არის განხორციელებული - „ლუდხანის პუტჩის" მონაწილეთა მიმართ. ჩვენ მოგვიხდა მარგალიტის მაძიებელთა დარად ღრმა და ხანგრძლივი ყურყუმალი ლიტერატურაში, განსაკუთრებით მოგონებათა და მემუართა კატეგორიიდან.

მათზე საუბარს ისევ და ისევ ანტონ დრექსლერიდან დავიწყებთ, იმის მიუხედავად, რომ ჩვენი მკითხველი ასეა თუ ისე მას გვარიანად იცნობს. სულ ახლახანაც ვახსენეთ იგი. მაგრამ, ჩვენ ამჟამად გვსურს ჩვენს მკითხველს ვაუწყოთ სულ სხვა რამ, რომელიც მიგვაჩნია სრულიად ახალ სიტყვად (ტრაბახში თუ არ ჩამომართმევთ) ქართულ ისტორიოგრაფიაში (და შეიძლება არამარტო აქ). ყოველ შემთხვევაში სამეცნიერო ლიტერატურაში ამ თემის შემოტანის თვალსაზრისით.

როგორც მკითხველს უნდა ახსოვდეს, **ანტონ დრექსლერს** ეკუთვის, ასე ვთქვათ პირველი პუბლიკაცია ნაციონალ-სოციალისტური ხასიათის ლიტერატურაში. მისი სახელწოდებაც გახსოვთ, ალბათ, – „ჩემი პოლიტიკური გამოღვიძება", რომლის შინაარსი და სერიოზული მიმოხილვა მეცნიერულ ლიტერატურაში და, საერთოდ, არ მომხდარა.

ჩვენ ვცადეთ მისი შემოტანა ქართულ ისტორიოგრაფიაში, რაც ძალზე რთული საქმე შეიქნა. არამარტო გერმანიის მთელი რიგი ქალაქების ბუკინისტურ მაღაზიებში, რომლებშიც ჩვენ იქ მოვიძიეთ ამჟამად გერმანიაში მცხოვრებ მეგობართა და ნაცნობთა მეშვეობით, არამედ თვით ბერლინის ცენტრალურ ბიბლიოთეკაშიც კი მხოლოდ და მხოლოდ ერთადერთი ეგზემპლარი აღმოჩნდა, რომლის ქსეროქსირება არ მოხერხდა მისი დაცრეცილობის გამო. მხოლოდ ფოტოგრაფირების გზით მოახერხა გერმანიაში მცხოვრებმა ახალგაზრდა მეცნიერმა[1] მისი კოპირება, რომელიც შემდეგ გამოგზავნა ქუთაისში.

აღნიშნულ პუბლიკაციას, რომელიც შედარებით პატარა ფორმატის 40-მდე გვერდს შეადგენს. ესოდენ ყურადღებას ჩვენ იმიტომაც ვუთმობთ, რომ მიგვაჩნია, სწორედ მან მისცა იმპულსი ჰიტლერს თავისი ბიბლია შეექმნა. არც ის გარემოება გახლავთ უყურადღებოდ დასატოვებელი, რომ ძალზე მონათესავედ გვეჩვენება მათი სათაურებიც: **„ჩემი პოლიტიკური გამოღვიძება“** და **„ჩემი ბრძოლა“**. რა, განა ანტიპოდებია ერთმანეთის - „პოლიტიკური გამოღვიძება“ და „ბრძოლა“? რაც შეეხება პირველ კომპონენტს, ის ხომ ერთია და ისაა.

ჩვენ რომ საშუალება გვქონოდა და ხელი მიგვწვდომოდა ან ედგარ ფონ შმიდტ-პაულის წიგნზე - „ადამიანები ჰიტლერის გარშემო“, ან კიდევ მარიან პოდნოვინსკის ანალოგზე, სახელწოდებით - „ჰიტლერის გარემოცვაში“[2], მაშინ, გვერწმუნეთ, უფრო სრულყოფილ სურათს წარმოგიდგენდით, თუმც სავსებით ხელმოცარული არც ამ შემთხვევაში გახლავართ. საქმე იმაშია, რომ სადღეისოდ დაინტერესებული ავტორის კვლევის სივრცეში შემოსულია ჰიტლერის უშუალო გარემოცვისა და ე.წ. „შიდა წრის“ წევრთა მოგონებები, როგორიცაა ფელდმარშალ კაიტელის, შეიარაღებისა და საჭურვლის წარმოების მინისტრის — ალბერტ შპეერის, გენერალ ვერლიმონტის, ჰიტლერის პრეს-მდივნის — ერნსტ ჰანფშტანგლის, ჰიტლერის ფლიგელ-ადიუტანტის გიუნშეს, პირადი კამერდინერის ლინგესა და სხვათა წიგნები.

„ალტე-კამპფერთა“ წრეში, რაღა თქმა უნდა, პირველი იქნებოდა ჩვენი ძველი ნაცნობი **ანტონ დრექსლერი**. იგი ჰიტლერზე ოთხი თუ ხუთი წლით უფროსი გახლდათ, მიუნხენში დაბადებული და გაზრდილი, პროფესიით ზეინკალი იყო. სუსტი ჯანმრთელობის გამო ჯარში არ გაუწვევიათ და, შესაბამისად არც ომში მიუღია მონაწილეობა.

---

[1] ეს გახლავთ თამაზ გიორგაძე. მან თბილისში დაამთავრა უმაღლესი სასწავლებელი — საერთაშორისო ეკონომიკის სპეციალობით, სადაც დაიცვა კიდეც საკანდიდატო დისერტაცია. ამის შემდეგ გერმანიაში მიიღო იურიდიული განათლება და იქვე დაიცვა სადოქტორო დისერტაცია. ამჟამად მოღვაწეობს გერმანიაში. მოვიხადოთ ქუდი მის წინაშე.

[2] გვინდა მკითხველს ვაცნობოთ, რომ ეს წიგნი ჩაგვივარდა ხელთ ბოლოს და ბოლოს, მაგრამ განსაკუთრებული მასში ვერაფერი ვიპოვეთ.

სამაგიეროდ, ის უსაქმოდ არ ყოფილა და მსოფლიო ომის პროცესში შევიდა სამამულო პარტიაში. მისი წევრები უმთავრესად მსხვილი მრეწველები და მხედარმთავრები იყვნენ. მალე მას იდეა გაუჩნდა, უფრო ზუსტად „ტულეს საზოგადოების" დავალებით, თვითონ დააარსა ნაციონალისტურად განწყობილი პატრიოტი მუშების პარტია, რომელსაც შეეძლებოდა ხალხთა ფართო მასები გაეყოლებინა.

მიუნხენში განლაგებული საარმიო კორპუსის ხელმძღვანელობის დავალებითა და დახმარებით 1918 წლის 7 მარტს შექმნა ე.წ. დამოუკიდებელი მუშათა კომიტეტი, რომლის ჩამოყალიბება დავალებული ჰქონდა აგრეთვე ბრემენის რადიკალურ მუშათა პარტიის გამგეობიდანაც, რომლის წევრიც იგი იმ დროს გამხდარა.

მომდევნო 1919 წლის იანვარში დრექსლერმა თავისი პირმში გააერთიანა პოლიტიკურ მუშათა კავშირში, რომელსაც ჟურნალისტი კარლ ჰარერი ხელმძღვანელობდა. გაერთიანებულ პარტიას ეწოდა გერმანიის მუშათა პარტია. მას იგივე კარლ ჰარერი ჩაუდგა სათავეში, დრექსლერი კი მისი მოადგილე გახდა. პარტიის იდეოლოგიური პოსტულატები ნვრილბურჟუაზიული მოთხოვნებით შემოიფარგლებოდა. როგორც უკვე აღინიშნა, ამ პარტიის ერთ-ერთი მორიგი სხდომისას — 1919 წლის სექტემბერში კაფე „შტორნეკერბრაუში" მივიდა ადოლფ ჰიტლერი, თავისი კორპუსის ოფიცერთა კომიტეტის დავალებით. გავიხსენოთ, როგორ აღწერს იგი თავის - „ჩემს ბრძოლაში" ანტონ დრექსლერს:

„ბატონი დრექსლერი, რომელიც იმჯერად მიუნხენის ორტჯგუფის ხელმძღვანელი იყო, ჩვეულებრივი მუშა გახლდათ, არც თუ დიდი ნიჭით დაჯილდოვებული, როგორც ორატორი და მით უმეტეს, როგორც ჯარისკაცი. იგი არმიაში არ ყოფილა და არც ფრონტზე იმყოფებოდა. რამდენადაც მთელი მისი არსი სისუსტე და გაუბედაობა იყო, ის ჩვენს ნამდვილ ლიდერად არ ითვლებოდა. იგი და ბ-ნი ჰარერი არ იყვნენ იმდენად ფანატიკურნი, რომ მოძრაობა გულით ეტარებინათ. მას არ გააჩნდა შესაძლებლობა, გამოეყენებინა საკმაოდ მტკიცე მეთოდები, რათა გაეტეხა წინააღმდეგობა პარტიის შიგნით დაბადებული ახალი იდეისა. მას არ ჰყოფნიდა მწევარა ძაღლის სისწრაფე, ტყავის მოქნილობა და კრუპის ფოლადის სიმტკიცე".

ჰიტლერმა ჰარერი და დრექსლერი მალე მოისროლა ხელმძღვანელობიდან. პირველი საერთოდ გავიდა პარტიიდან, მეორეს — საპატიო თავმჯდომარის ფორმალური სავარძელი არგუნა. „ლუდხანის პუტჩის" დღეებში ის სადღაც კიდევ გამოჩნდა, რის გამო ჰიტლერთან ერთად საპატიმროშიც აღმოჩნდა, მაგრამ მალე გაათავისუფლეს და შინ დაბრუნდა. ჰიტლერის გათავისუფლების დროისათვის დრექსლერი

საერთოდ პარტიიდან გავიდა და შემდეგ მხოლოდ ბავარიის ადგილობრივი ლანდტაგის წევრი გახდა. 1931 წელს იგი ფორმალურად შეურიგდა ჰიტლერს, მაგრამ პარტიულ საქმიანობას აღარ დაბრუნებია. შემდეგში ის საერთოდ გაუჩინარდა პოლიტიკური სარბიელიდან და როგორც ერნსტ ჰანფშტაგლი იტყობინება თავის მოგონებებში,[1] დაინვალიდებულა და ქუჩაში იშვიათად გამოდიოდა. 1942 წლის 24 თებერვალს ყველასაგან დავიწყებული დრექსლერი გარდაცვლილა 58 წლის ასაკში.

ჩვენ ბევრი ვეცადეთ დაგვედგინა, დაკრძალვაზე მაინც მივიდა თუ არა ჰიტლერი, მაგრამ ვერაფრით მივაღწიეთ მიზანს. ისე კაცმა რომ გულახდილად თქვას, ამ სიტუაციაში ვერც გაამტყუნებდი: მისი ჯარები უმძიმეს ბრძოლას ეწეოდნენ რუსეთის თვალუწვდენელ ტრამალებში. შერკინება მოსკოვისათვის ახალი წაგებული იყო და მისი შედეგები ჯერ კიდევ იგრძნობოდა. ევროპაში მოპოვებული ტრიუმფალური გამარჯვებათა შემდეგ ეს პირველი შემთხვევა იყო, რომ იგი და მისი უძლეველი არმია მძიმე ნოკდაუნში ჩააგდეს და სახეალეწილი ფიურერი ადგილს ვერ პოულობდა — ბრაზმორეული საგონებელში იყო ჩავარდნილი. ის რასტენბურგში იმყოფებოდა გამუდმებით და ზაფხულისათვის ვოლგაზე ახალ შეტევას გეგმავდა. ეს ყველაფერი სნორია, მაგრამ, ერთ მოკლე დეპეშას და თუნდაც ისე მისამძიმრებას რა უნდა დადგომოდა წინ?

ახლა მივუბრუნდეთ დრექსლერის ბროშურას - **„ჩემი პოლიტიკური გამოღვიძება"**, რომელიც მიუნხენში გამოსულა 1919 წელს. დაბეჭდილია გოთური შრიფტით, რის გამოც როგორც ჩანს, უცხოელ ავტორებს მისით სარგებლობა უჭირთ.[2]

როგორც უკვე ვთქვით, ბროშურაში 40 გვერდამდეა, მაგრამ მასში საუბარი ბევრ საკითხზეა და შესაბამისად ბევრია პარაგრაფებისა თუ თავების რაოდენობა, დაახლოებით 20-მდე. ხანდახან ისე გამოდის, რომ ზოგიერთ მათგანს ერთი გვერდი აქვს დათმობილი. საერთო შეხედულებით ნაშრომი ძალზე ნაციონალისტური და მკაცრად ანტისემიტურია, რამაც განაპირობა ჰიტლერის დაინტერესება და სიმპათია მით უფრო, რომ თვითონაც ანალოგიური შეხედულებები ჰქონდა. დრექსლერი ყოველნაირად ცდილობს გერმანელთათვის ომის გამჩაღებლის ბრალდების მოხსნას და აქცენტის გადატანას რუსეთზე. ის იმოწმებს ისტორიკოსთათვის სრულიად უცნობი შვეიცარიელი პროფესორის, ვინმე რუხტეს (Ruchte) მიერ შედგენილ და გამოქვეყნებულ დოკუმენტების კრებულს, რომლის არც სათაურს ასახელებს და არც

---

[1] Ханфштагль, ук. сочинение, 333.

[2] იგივე მდგომარეობაში აღმოვჩნდით ჩვენც, რისგან თავის დაღწევის საქმეში დიდი წვლილი მიუძღვის ქუთაისის უნივერსიტეტის პრ[illegible]ორს, ბ-ნ ნოდარ მუშკუდიანს, რისთვისაც ულრმეს მადლობას ვუხდით მას.

სხვა სავალდებულო რეკვიზიტს (გამოცემის ადგილი, წელი).

ნაშრომში ძალზე უსუსურად არის წარმოდგენილი ომის მიმდინარეობის პირველი ორი წლის სურათი. სხვას რომ თავი დავანებოთ, გაუგებარია, თუ რატომ სწორედ პირველ ორ წელს განიხილავს. ბროშურა ხომ 1919 წელს არის გამოცემული. ასევე გაუმართლებელია და ფალსიფიცირებული ბელგიაში გერმანიის ჯარების შეჭრის გამართლება და მისი ისე წარმოდგენის ცდა, თითქოსდა ეს გამოწვეული იყო ეროვნული და ქვეყნის ინტერესებით. საერთოდ, დრექსლერი პირველ მსოფლიო ომს მიიჩნევს თავდაცვით და სამართლიან ომად გერმანიისათვის და ყოველნაირად იცავს კაიზერის პოზიციას, რომელსაც თითქოსდა ყველა გერმანელი დაუდგა გვერდში და იმდენად იყო გაჟღენთილი თავისი ხალხის სიყვარულით, რომ განუცხადებია: ამიერიდან მე აღარ ვიცი არც ერთი პოლიტიკური პარტია, ვიცი მხოლოდ გერმანელებიო.

ახლა გვინდა მკითხველს გავაცნოთ ზოგიერთი თავის სახელწოდება, რათა შეიქმნას ამ ბროშურის ზოგადი სურათი.: „პოლიტიკისადმი ინტერესი", „მსოფლიო ომამდე", „ომის პირველი წლები", „სამშვიდობო წინადადებები", „რაიხსტაგის სამშვიდობო რეზოლუცია", „მსოფლიო მასონობა და მისი სიყალბის ნაყოფი (ანუ — ბოროტების თესლი)", „ებრაელი", „მსოფლიო მასონობა, მუშათა კლასი და ებრაელები", „მჩაგვრელები და ჩაგრულები", „ებრაელი და მუშა", „ინტერნაციონალი" და ა.შ.

ა. დრექსლერი აქებს და ადიდებს გერმანულ არმიასა („ჩვენ გმირული არმიის") და მის დიდ მხედარმთავარობას, „რომლებსაც თურმე ისეთი საქმეები აქვთ ჩადენილი, რომ ერთადერთია მსოფლიოს ისტორიაში", „მაგრამ სამწუხაროდ, და კვლავ სამწუხაროდ ყველაფერი ამაოდ!"

დრექსლერი საუბრობს იაპონიის შესახებ და მიაჩნია, რომ ინგლისის ბანაკში მისი აღმოჩენა გერმანიის დიპლომატიის უგერგილობის ბრალი იყო. ავტორს მიაჩნია, რომ გერმანიის მხარეზე იაპონიის ყოფნა გერმანიის მთავრობას იოლად შეეძლო უზრუნველეყო. საკითხი აღძრულია, პორტ კიაო-ჩიაოსა და, საერთოდ შანდუნის ნახევარკუნძულის (ჩინეთი), რომლებიც გერმანიის კოლონია გახლდათ, ვერსალის ხელშეკრულებით იაპონიისათვის გადაცემის გამო. „მოკლედ, – წერს ავტორი, – ჩვენმა ახლომხედველმა მთავრობამ ძალით გადაიყვანაო იაპონია ინგლისის მხარეზე." მაგრამ ა. დრექსლერმა არ იცოდა, რომ ეს ორი ქვეყანა მოკავშირეები იყვნენ 1902 წლის საზღვაო ხელშეკრულებით, და სწორედ ინგლისელთა მხარდაჭერითა და ხელშეკრულებაზე დაყრდნობით წამოიწყო იაპონიამ ომი რუსეთთან 1904 წელს.

ა. დრექლსერი ასევე გამოთქვამს საყვედურს იმასთან დაკავშირებით, რომ ანტანტის ქვეყნებს 1916 წელს უარი უთქვამთ კაიზერის

წინადადებაზე, დაედოთ ზავი. ეს წინადადება კაიზერმა მათ რომის პაპის მეშვეობით გაუგზავნა 12 დეკემბერსო. უნდა ითქვას, რომ ეს საკითხი საკმაოდ ახალი იყო ისტორიოგრაფიაში იმჯერად, და არც ამჟამად არ კარგავდ თავის მნიშვნელობას.

ავტორის აზრით, იმპერატორ ვილჰელმ II-ს ეს სამშვიდობო ინიციატივა, არამარტო არ გაუთვალისწინებიათ, დაცინვით იქნაო მიღებული. ავტორისეულ შეკითხვაზე: რის გამო? — ასეთი პასუხია გაცემული: როგორც ჩანს, ჯერ კიდევ ბოლომდე არ იყო გათამაშებული „აშშ-ის კარტი", რომელიც ანტანტის ქვეყნებს და ე.ი. საერთაშორისო კაპიტალიზმს, ადრეც ჰქონდათ ჩაფიქრებული. განა ყველაფერ ამას არ სჯობდაო გერმანიის მთავრობას მიეღო ის 35 მლრ., რომელიც ადრე შემოგვთავაზესო გერმანიის მხრიდან წყალქვეშა ომზე უარის თქმის შემთხვევაში? სხვათა შორისო, აცხადებს დრექსლერი, ერთი დიპლომატის (?!) აღიარებით აშშ-მა ჯერ კიდევ 1915 წელს იკისრაო ვალდებულება ელზას-ლოტარინგიის მადნეული (ქვანახშირი + რკინა) ევროპაში გამოყენებულიყო საერთო სარგებლობის მიზნით. თუ ეს ყველაფერი, რასაც დრექსლერი წერს, სიმართლეა, მაშინ კაცობრიობას ძალზე ცოტა სცოდნია იმდროინდელი საერთაშორისო ურთიერთობათა სფეროდან.

დრექსლერი მკაცრი კრიტიკის ქარცეცხლში ატარებს ანტანტის ქვეყნებსა და საერთაშორისო კაპიტალიზმს, არ უნდათო გაიგონ გერმანიის მთავრობის გულწრფელი განზრახვა — მიიღოს საარსებო სივრცე, რათა გამოკვებოს თავისი 70 მლნ. მოსახლეობა. თუ მათ სურვილი არა აქვთ, ეს მოთხოვნა კაიზერისაგან მოისმინონ, რატომ არ უსმენენ შაიდმანს? (გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ერთ-ერთი ლიდერი). ჩვენ მაშინ წარმატებას მივაღწევდით და „მსოფლიო გაჯანსაღდებოდა გერმანული სოციალიზმის მაგალითზე". მაგრამ, სამწუხაროდ ეს არ მოხდა და „საერთაშორისო იმპერიალიზმი შეიარაღებას ამზადებს გერმანულ საზარბაზნე ხორცის ხარჯზეო".

ავტორი ასევე აკრიტიკებს გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ლიდერებს. უმრავლესობა ებრაელი იყო და ანტანტის ებრაელთა წინაშე მლიქვნელობდნენო. 1917 წლის 19 ივლისს მათ გამოაქვეყნესო ავადცნობილი და სახელგატეხილი რეზოლუცია-მოლაპარაკება ანექსიისა და რეპარაციების გარეშე — დასაწყისი დასასრულისა. „ეს ჩემთვის ის დარტყმა იყო, რომელმაც გამომაფხიზლა, იმავდროულად. ეს რეზოლუცია შეიქნაო თავისებული გამომაფხიზლებელი ფაქტორი ნაციონალური პარტიისათვის, რომელმაც ირწმუნა გერმანიის ეროვნული ინტერესების გამცემლობაო სოციალ-დემოკრატთა მხრივ.

გერმანიის ნაციონალურმა წრეებმა საკმაოდ ადრე განჭვრიტესო

ივლისის რეზოლუციის ხასიათი, რომელიც ანტანტას ომის გაჭიანურების საშუალებას უქმნიდა და ამით გერმანიის გამანადგურებელი პოლიტიკის განგრძობის შესაძლებლობას აძლევდაო. თუ რამდენად მართლები იყვნენ თავიანთი უნდობლობით ანტანტის მიმართ ნაციონალები, ამას ადასტურებსო ვერსალის საზავო ხელშეკრულება და ვილსონის 14 პუნქტი, რომლის არც ერთი მუხლი არ შეუსრულებულაო (?).

განვლილი გამოცდილებიდან გამომდინარე, – წერს შემდეგ დრექსლერი, - ჩვენ უნდა დავაყენოთ კითხვა: 1917 წლის სამშვიდობო წინადადება სერიოზული ჩანაფიქრი იყო, თუ ემსახურებოდა გერმანელი ხალხის ნერვების გამოცდას და მასში დაბნეულობის შეტანას? მისით დასტურდება, რომ ერცბერგერის მამხილებელი გამოცდა მხოლოდ თვალში ნაცრის შეყრა იყო, რომელიც ისტორიაში თავისსავე მსგავსს ეძებსო. ჩემი პირადი შეხედულებით, – აცხადებს დრექსლერი, – იგი იმ ტოტს ჭრის, რომელზეც ზის და მალე უფსკრულში შთაინთქმება. მაგრამ მთელი უბედურება ისაა, რომ მსოფლიო ომის დროინდელი უმნიშვნელოვანესი პოლიტიკოსები და ერების ბელადები შეგნებულად თუ შეუგნებლად ერთ მიზანს ემსახურებოდნენ, კერძოდ, აღედგინათ ძველი კაპიტალისტური რეჟიმი – „ოქროს დიქტატურა შრომაზე.“

ყოველ შემთხვევაში, 1917 წლის ივლისში თვით გერმანულმა პარლამენტმა რეალობად აქცია ინგლისელი კიტჩენერის სიტყვა, რომელიც მან ჯერ კიდევ 1915 წელს უთხრა გაზეთ „ტრიბუნის“ წარმომადგენელს: „თუ ჩვენ შევძლებთ ომის გაჭინაურებას, მაშინ ამ ომს მოვიგებთ, რადგან გერმანელ ხალხს ბრძოლა ხანგრძლივობის გამო მობეზრდება და მთავრობას აიძულებს, ზავი დადოსო.“ მე ცუდად მენიშნაო კიტჩენერის სიტყვები, რამეთუ იგი მიმაჩნდა „ინგლისელ ბისმარკად“, რომლის სიტყვები სინამდვილეში ახდა. ჯერ კიდევ მანამდე ვგრძნობდი ინსტიქტურად, რომ ჩვენ – გერმანელები – დავიღუპებოდით თუ ჩვენი უბედურების მომტან საერთაშორისო კაპიტალიზმის მიერ შემოგდებულ რეზოლუციას დავიცავდით.

ჩემთვისო, - წერს დრექსლერი, - ამ მეტად ამაღელვებელ დღეებში, რომელთაც უძილო ღამეები მოყვა, მე ჩემი პოლიტიკური დაბადება განვიცადეო. იმაზე ვფიქრობდი, თუ როგორ განმემარტა მუშათა კლასისათვის ამ რეზოლუციის საშიშროება. ბოლოს დრექსლერს გადაუწყვეტია მისი შემცვლელი ანალოგი მოეფიქრებინა, რომელსაც ასეთი ჟღერადობა ჰქონია: - ინგლისსა და სხვა ჩვენთან ომის მდგომარეობაში მყოფ სახელმწიფოებს ერთთვიანი ვადა მისცემოდათ განცხადების გასაკეთებლად, კერძოდ, არიან თუ არა დასავლეთის ქვეყნები მზად, დაიწყონ მოლაპარაკება რათა ბოლო მოუღონ საშინელ სისხლისღვრას ანექსიისა და რეპარაციების გარეშე — თანაბარი

ეკონომიკური ვაჭრობის გარანტიით, რომელიც გერმანიას ომამდე ჰქონდა. თუ ამ ან მსგავსი შინაარსის განცხადებას ისინი არ გააკეთებდნენ, მაშინ გამჟღავნდებოდა, რომ მათ გადაწვეტილი ჰქონდათ ცენტრალური ქვეყნების (ე.ი. გერმანიისა და ავსტრია-უნგრეთის) განადგურება.

ანექსიისა და რეპარაციების უარყოფის გარდა, დრექსლერის მოსაზრებით ანტანტის ქვეყნებს უნდა მიეღოთ გერმანელთა კიდევ ასეთი მოთხოვნები:

1. ბელგიის ტერიტორია ფრანგული ქალაქების — კალესა და ბულონის ჩათვლით უნდა დაეკავებინათ გერმანელებს, თუმც ისინი პირობას დასდებდნენ, რომ ბელგია იქნებოდა გერმანული სამეფო პროტექტორატის ქვეშ, სამხედრო ძალების გამოყენების გარეშე.

2. გერმანიას 20 წლის ვადით უნდა მისცემოდა ჩრდილოეთ საფრანგეთის მაღაროების ექსპლოატაციის უფლება.

3. ყოველგვარი ფინანსური ხარჯები, რომლებიც გერმანიასა და მის მოკავშირეებს თავზე მოხვეული ომის გამო მოუვიდათ, ისევე როგორც ომის ინვალიდთა და ომში დაღუპულთა ოჯახების პენსიები — ანტანტას უნდა გაეწია.

ვფიქრობთ, მკითხველი დაგვეთანხმება, რომ ა. დრექსლერი ძალზე შორს ყოფილა იმდროინელი საერთაშორისო ურთიერთობათა გაგების რეალური დონიდან, რაც ერთხელ კიდევ ადასტურებს ნაციონალისტური ტენდენციების უკიდურეს გამძაფრებას იმდროინდელ გერმანიაში და რაც ყველაზე მეტად მისანიშნებელია — თვით მუშათა დონეზე და მათ პოლიტიკურ წრეებში. ამიტომ მიგვაჩნია მართებულად იმის გაცხადება, რომ „პური მეპურემ უნდა გამოაცხოს“ და, საერთოდ, საზოგადოებაში ყველამ თავისი საქმე უნდა აკეთოს. რადგან სწორედ ამის გამო მოხდა,რომ პირველ მსოფლიო ომს 20 წელიწადში მეორე მოჰყვა ფეხდაფეხ იმის მიუხედავად, რომ ვერსალის ზავის ავტორებს მიაჩნდათ, თითქოსდა მათ მშვიდობა დიდი ხნით უზრუნველყვეს მსოფლიოში და საერთაშორისო ორგანიზაციაც კი შექმნეს ამ „გარანტიის“ უზრუნველყოფისათვის — ერთა ლიგა. მაგრამ სწორედ იმის გამო, რომ ევროპის სამ დიდ ქვეყანაში — რუსეთში, გერმანიასა და იტალიაში ხელისუფლებაში მოექცნენ არაპროფესიონალი პოლიტიკოსები ე.წ. რევოლუციონერები (ლენინი, სტალინი), რიგითი ჯარისკაცების ჰიტლერისა და მუსოლინის სახით. ისინი უპირისპირდებოდნენ ძველ ტრადიციულ მსოფლიო პოლიტიკას, ზურგი შეაქციეს საერთაშორისო სამართლის ნორმებს და მიწასთან გაასწორეს ადამიანთა უფლებები. ახალმა და გაცილებით მასშტაბიანმა ომმაც არ დააყოვნა და გაუგონარი და არნახული ტანჯვა-წვალება მოუტანა კაცობრიობას.

დავუბრუნდეთ ისევ დრექსლერის პუბლკაციას. ჩემს აზრებს, - წერს

ის, - მოქმედება მოჰყვა. თავს მშვიდად ვეღარ ვგრძნობდიო. უფრო მეტიც, გადავწყვიტე პოლიტიკაში ჩაბმა. მაგრამ როგორ? უსახსრებოდ, უსახელოდ და უპარტიოდ რა უნდა გამეკეთებინა? „მე ყველგან სიბნელეში დავეხეტებოდიო".

და თითქოსდა უფალმა ჩემი გაჭირვება შეისმინა — გერმანიაში დაარსდა სამამულო პარტია. ჰერცოგ იოჰან ალბრეხტისა და ადმირალ ტირპიცის მოწოდებამ - უფლება მიეცათ ეწარმოებინათ წყალქვეშა ომი, - ჩემზე დიდი შთაბეჭდილება დატოვა და ახალმა იმედმა გაიღვიძა. კერძოდ, რომ ჯერ კიდევ შესაძლებელი იყო ყველაფრის ჩვენს სასარგებლოდ შემობრუნება. ამასთანავეო, მე ჩემი მუშაკოლეგებისათვის უნდა მეჩვენებინა, რომ პირად კარიერას არ ვისახავდი მიზნად და ჩემი უპირველესი მიზანი იყო მათ კეთილდღეობაზე ფიქრი.

არანაკლები საზრუნავი გახლდათო ფულადი სახსრების გამონახვა, ურომლისოდაც საქმე უბრალო სურვილის იქით ვერ წავიდოდა. ბევრი ფიქრის შემდეგ გადავწყვიტე მიმემართა სამამულო პარტიის მიუნხენის განყოფილებისათვის, რათა დამერწმუნებინა ისინი ამ თვალსაზრისის აუცილებლობაში. ეს მათ მუშათა კლასის თვალში შეუქმნიდა მყარ პოზიციას.

„ყველა შესაძლებლობის შემთხვევაში, - წერს დრექსლერი, - მე მუშათა კლასის ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით ვხელმძღვანელობდი. აღვწერე რკინიგზელთა გაჭირვებული მდგომარეობა. არასოდეს დამიმალია ჩემი სოციალისტური მისწრაფებები. იმ პერიოდში, მიზნის მისაღწევად გარკვეული მუშაობაც კი გავწიეო მუშათა კლასისა და ბურჟუაზიის ინტერესთა დაახლოების მიზნით — ორთავეს საკეთილდღეოდ და სამშობლოს ასაყვავებლად".

მალე სამამულო პარტიის წინააღმდეგ დაიწყო პროპაგანდისტული კამპანია. იგი გამტყუნებული იქნა მსხვილ კაპიტალთან თანამშრომლობასა და მისი ინტერესების სამსახურისათვის. დრექსლერი ამ ბრალდებას კატეგორიულად უარყოფდა და ამტკიცებდა, რომ ყოველ შემთხვევაში პარტიის მიუნხენის განყოფილებაში მეტწილად იურისპრუდენციის, მეცნიერების, ხელოვნებისა და კულტურის სფეროთა წარმომადგენლები მოღვაწეობდნენ. ასე რომ, ყოვლგვარი ბრალდება ჩემს მიმართ — გამოყეყეჩებულებისა ან კიდევ „დაქირავებულობაში" სრულიად უსაფუძვლო ჩანდაო. მით უმეტეს, რომ მე არც ერთ მრეწველსა და ბანკირს არ ვიცნობდი და არავითარი საქმიანი კონტაქტი არ გამაჩნდაო. თან იმასაც დავამატებდიო, რომ განა ყველამ იცოდა ჩემი ეკონომიკური შესაძლებლობანი, რომელთა თაობაზე საუბარი არც მინდოდა სხვებთან და ეს მე არც მახასიათებდაო.

სამამულო პარტიაში დრექსლერს სამი თვე დაუყვია. თავისი

მოსაზრებების უკეთ წარმოჩენის მიზნით, შემდეგ გადაუწყვეტია მიუნხენში თავისუფალი მუშათა კომიტეტი ჩამოეყალიბებინა. მისი ამოცანა იქნებოდა მუშათა ყოფით და ეკონომიკურ მდგომარეობაზე ზრუნვა და მათი მხარდაჭერით „ქვეყნისათვის ხელსაყრელი, კარგი ზავისათვის" ბრძოლა. იდეას გამოეხმაურნენ, მაგრამ წევრობის სურვილი ნაკლებად იგრძნობოდაო. არადა, იდეების მომხრეებთა და თანამოაზრეთა სურვილი გახლდათ, შემოკრება ერთიანი სოციალისტური დროშის გარშემო, რომელზეც იქნებოდაო წარწერა: ბრძოლა სამხედრო მევახშეობასთან და მოგებასთან; ბრძოლა სპეკულიანტთა და მოგების მიზნით სურსათის შემსყიდველებთან და ბრძოლა ხალხის სხეულს ჩაფრენილი აფთრების წინააღმდეგ.

იდეასა და მიზნებს ყველა თუ არა, ბევრი იწონებდა, მაგრამ იდეა იდეად რჩებოდა. დრექსლერის გარშემო მხოლოდ უმნიშვნელო რაოდენობის ხალხი შეკრებილა. „ჩემს გარშემო მხოლოდ პატარა წრე შეიქმნა, რომელსაც არსებობის უნარიც კი ძლივს ჰქონდა". — წერს ავტორი.

მომდევნო თავში დრექსლერი საუბრობს გერმანიაში 1918 წლის საყოველთაო გაფიცვის შესახებ, რომელიც მისი აზრით საგარეო კაპიტალის დაფინანსებით განხორციელდა. ამ ავტორის შეხედულებით გაფიცვაში მნიშვნელოვანწილად მონაწილეობდა „რუს კომუნისტთა ოქროს კავალერია" - „ყვავს რა ჰქონდა, ბუს გაჰქონდაოს" პრინციპით. მას სჯერა, რომ ბრესტ-ლიტოვსკში საბჭოთა დელეგაციეს ხელმძღვანელი ლ. ტროცკი ხელოვნურად აჭიანურებდა მოლაპარაკებას და ამით ანტანტის სურვილებს ახორციელებდა.

ამასთანავე, დრექსლერი დარწმუნებულია, რომ იქ მოლაპარაკებებზე წამოყენებული პრინციპი - „უანექსიო და ურეპარაციო ზავის" თაობაზე — გერმანელთა ინიციატივა არისო, კერძოდ, მისი არმიის სასახელო სარდლობისო. მან არ იცის (ან საიდან უდნა სცოდნოდა), რომ იგი სწორედ იმ რუსი კომუნისტების დემაგოგიური ინიციატივა იყო (კერძოდ კი ვ. ლენინის), რომელთაც ის ასე გულმოდგინედ აქიაქებდა. და მეორე — გერმანიის მხარე ასეთ ნაბიჯს იმიტომ დგამდა, რომ მომავალში, საზაჯო მოლაპარაკებათა პროცესში მის მიმართაც მსგავსი ინიციატივა განხორციელებულიყო.

დრექსლერის შეხედულებით - „ტროცკის განზრახვანი სრულ თანხვედრაში იყო კაპიტალიზმის ანგლო-ებრაულ მიზნებთან, რომელსაც ყველა ვითარებაში უნდა შეეშალა ხელი გერმანიის გამარჯვებისათვის. მას შემდეგ, რაც გერმანიის დამარცხება და დამშევა შეუძლებელი აღმოჩნდა, უკანასკნელი იმედი შინაგანი არეულობის გამოწვევაზე კეთდებოდაო". ამასთან ერთად ტროცკის სურდა რევოლუციის

გამოწვევა დასავლეთის ქვეყნებში (ისე კი, გვინდა ჩვენმა რიგითმა მკითხველმა ისიც იცოდეს, რომ ლ. ტროცკი, ყველაფერ „სიკეთესთან" ერთად მსოფლიოში პერმანენტული რევოლუციის ერთ-ერთი ყველაზე აქტიური კატალიზატორთაგანი გახლდათ).

მსოფლიო მასონობასა და სიცრუის თემა გახლავთ შემდეგი თავის შინაარსი. დრექსლერის განცხადებით ავსტრიისა და გერმანიის მუშათა კლასის ლიდერები (სხვაგვარად სოციალ-დემოკრატიის ხელმძღვანელები) — ადლერები (ვიქტორი და ფრიდრიხი), ბაუერი, ელენ ბოგენი და სხვ. საერთაშორისო მასონური ლოჟების წევრები იყვნენ და მსხვილი კაპიტალის ინტერესებს ემსახურებოდნენ. ეს მათი მხარდაჭერის შედეგია მსოფლიოს სამასი მსხვილი ბანკირის სახელით გაკეთებული განცხადება, რომ „როდესაც ჩვენ ჩვენსავე ჯიბეებს დავხურავთ, მაშინ სამყაროს მამოძრავებელი მექანიზმი ჩერდებაო". დრექსლერის აზრით, პირიქით უნდა ხდებოდეს. კერძოდ, ყველა ბორბალი მაშინ უნდა გაჩერდეს, როდესაც პროლეტარიატს ეს უნდაო. საერთოდ კი, ყველაფერს ისა სჯობს, რომ ეს მექანიზმები გამუდმებით მუშაობდნენ ორთავე მხარისა და ქვეყნის ინტერესებში.

დრექსლერი ამასთან ერთად ცდილობს დაასაბუთოს მასონურ ლოჟებში გაერთიანებულ წევრთა სისხლის სამართლის დანაშაულის დონესთან გათანაბრებული საქმიანობა. აცხადებს, რომ ამის შესახებ მას აქვს წერილობითი ჩვენებები იქიდან გამოქცეულებისა, რომლებიც, სიცოცხლის რისკთან დაკავშირებული საფრთხის მიუხედავად ვერ აიტანდნენ მასში საქმიანობისას იმ გაუგონარი ღალატის სურათის დანახვას, რასაც ეს მასონური ლოჟები ჩადიან მუშათა კლასისა და კაცობრიობის წინააღმდეგ. „შორს წაგვიყვანდაო, ამ საქმის დაწვრილებითი წარმოდგენა რომ მინდოდეს".

„მე ჩემი ცხოვრების მიზნად დავისახე სხვებთან ერთად იმისათვის მუშაობა, რომ უშრომელი კაცობრიობა ამ მტრისაგან გამეთავისუფლებინაო... ჩემს ცხოვრებაში იყო დრო, როდესაც ამ საქმეს სიამოვნებითო შევწირავდი თავს. იმას, რომ შემეძლოს მუშათა კლასის დარწმუნება იმაში, თუ რამდენად არასასურველი და შეუძლებელია ჩვენს მტრებთან შეთანხმება". ავტორი დაბეჯითებით იმეორებს შეხედულებას, რომ რამდენიმე წლის წინ საერთაშორისო მასონობის პარიზის ლოჟამ გამოიტანა განაჩენი გერმანიის განადგურების თაობაზე და სწორედ ამ ლოჟიდან მოდიოდა შხამიანი ისრები ლოზუნგების ფორმით: „გერმანული ბარბაროსობა", „პრუსიული მილიტარიზმი", „ჩაგრული ერების გათავისუფლება" და ა.შ. აი, ასეთი მასონური ლოჟის მასალები გამოიყენაო ლოჟის საძმოს წევრმა მაძინიმ იტალიის დამპყრობელთა წინააღმდეგ ბრძოლაში. ეს და სხვა ლოზუნგი, განსაკუთრებით კი

რევოლუციის საგანძურიდან, მსოფლიო მასონობის იარაღია და რადგან მსოფლიო პრესის 90% მსოფლიო მასონობის სამსახურშია, ძალზე ადვილიაო ლოზუნგების სასურველ ჭრილში გავრცელება და მათთვის ქმედების ძალის შეძენა".

მომდევნო პარაგრაფი ებრაელსა და ებრაელობას ეხება. დრექსლერი გამანადგურებელი კრიტიკის ქვეშ აქცევს მათ და მუშათა კლასის მთელ უბედურებას მათი საქმიანობის ნაყოფად მიიჩნევს. ხალხი, რომელიც მსოფლიო მოსახლეობის მხოლოდ ერთ პროცენტს შეადგენს, სინამდვილეში ფლობს მათი სიმდიდრის ნახევარზე მეტს. ეცნობი ამ შხამიან სტრიქონებს და ისეთი წარმოდგენა გექმნება, თითქოს ჰიტლერის სტრიქონებს კითხულობდე.

ა. დრექსლერი თავის პუბლიკაციაში გარკვეულ ადგილს უთმობს ქ. ბრემენში დაარსებულ „გერმანელ მუშათა საზავო კომიტეტში" მისი გაწევრების მიზეზებს და აუცილებლობას. ამ კომიტეტის ანუ პარტიის თავმჯდომარეს ვ. ვაალს მისთვის უთხოვია თავისი პარტიის მიუნხენის ფილიალი დაეარსებინა. დრექსლერის განცხადების თანახმად ბრემენის ორგანიზაციაში თურმე დაახლოებით 300 ათასამდე წევრი ირიცხებოდა და იგი ბევრად უფრო მრავალრიცხოვანი ყოფილა ვიდრე თვით გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტია, რომელიც ქვეყანას ედგა სადავეში. ბრემენის კომიტეტს დაუარსებია საიმპერიო კომიტეტი, რომლის შემადგენლობაში ა. დრექსლერიც შეუყვანიათ. ეს აქტი განხორციელებულა სრულიად გერმანიის კონფერენციაზე, რომელსაც 70 დელეგატზე მეტი დასწრებია. რაც ყველაზე საინტერესო გახლავთ, კონფერენციის დელეგატებს მისალოცი დეპეშები დაუგზავნიათ კაიზერის, ჰინდენბურგისა და რაიხსკანცლერისათვის. ხომ საინტერესოა? რაღაცნაირად გასაგებია ამ უკანასკნელისადმი დეპეშის გაგზავნის სურვილი, თუნდაც ჰინდენბურგისათვის, რადგან მას მკვეთრად განსაზღვრული ნაციონალისტური მუხტი ჰქონდა, მაგრამ დეპეშის გაგზავნა იმპერატორისათვის და ისიც გადამდგარისათვის — სრულებით გაუგებარია, ისევე როგორც აღნიშნულ კონფერენციაზე მისი გამოსვლის შინაარსი.

მომდევნო თვეებში დრექსლერი ბევრს საუბრობს — ებრაელობის კავშირზე მუშათა კლასთან, ბოლშევიზმზე და ინტერნაციონალზე. ჩემი ბროშურის მიზანიაო მუშათა სიბნელეში სინათლის შუქის შეტანა და მათი ჩაბმა მათი ინტერესების გაუმჯობესებისათვის ბრძოლაშიო. რაც შეეხება ებრაელთა მიმართ მის დამოკიდებულებას, როგორც უკვე დავრწმუნდით იგი უკიდურესად ნეგატიურია და, შესაბამისად, ადვილი გასაგებია, თუ რის გამო მიაპყრო ყურადღება მის ბროშურას ჰიტლერმა, რომელმაც თურმე სულამოუთქმელად წაიკითხა იგი.

კარლ ჰარერი, პროფესიით ჟურნალისტი, გაერთიანებულ მუშათა პარტიის თავმჯდომარე იყო. მის შესახებ ძუნწი, პირდაპირ ვიტყოდით — თითქმის არაფრის მთქმელი ინფორმაცია გვაქვს. გულის გასაქარვებლად ჩვენ შეგვიძლია მხოლო ჰიტლერის ერთი გამონათქვამი მოვიშველიოთ - „მაინ კამპფიდან“: იგი იყოო „პატიოსანი და, ყოველგვარი ეჭვის გარეშე, ფართოდ განათლებული კაციო“.

მაგრამ, როგორც ჩანს, ჰარერს აკლდა საქმისათვის საჭირო ენთუზიაზმი. იმავე ჰიტლერის შეხედულებით ორატორობის ტალანტიც მოიკოჭლებდაო მასში, თუმცა ყოფილა მტკიცე ხასიათის და პრინციპული. ასე მაგალითად, როდესაც ჰიტლერმა გადაწყვიტა ფართომასშტაბიანი მიტინგი ჩაეტარებინა პარტიულ დონეზე, ჰარერი ამის წინააღმდეგ წასულა ა. დრექსლერთან ერთად, რამეთუ მიიჩნევდა, რომ ასეთ ღონისძიებას ბავარიაში და, კერძოდ, მიუნხენში ჩვეული აყალ-მაყალი და მუშტი-კრივი მოჰყვებოდა. მაგრამ, რაც კიდევ უფრო მისანიშნებელია, მას პრინციპულად არ მოსწონდა ჰიტლერის აულაგმავი ანტისემიტიზმი. ის მიიჩნევდაო, რომ საკითხისადმი ასეთი მიდგომა პარტიას ხალხთა მასებს ჩამოაშორებდა. ამიტომ ყოფილა, რომ 1920 წლის 20 თებერრვალს მიტინგის წინ, როდესაც მზადდებოდა მუშათა პარტიის ტრანსფორმაცია გნსმპ-დ, კარლ ჰარერმა დასტოვა თავმჯდომარის პოსტი და, საერთოდ, წავიდა პარტიიდან.[1]

ამის შემდეგ მასზე აღარაფერი თქმულა — არც კარგი და არც ცუდი. იგი მიწამ ჩაყლაპა თითქოს. ჩვენ მისი არც დაბადებისა და არც გარდაცვალების თარიღები არ ვიცით. თვით ძალზე პოპულარულ - „მესამე რაიხის ენციკლოედიაშიც“ კი არაფერია ნათქვამი მასზე.

მესამე ნომრად „ალტე კამფპერებს“ შორის ჩვენ მივიჩნევდით — **დიტრიხ ეკარტს**, - მწერალსა და შემოქმედს, ტერფიდან თხემამდე ნაციონალისტს, ჰიტლერის ერთ-ერთ მასწავლებელს და „პოპულარულ ვარსკვლავს“, როგოც მას იგი უწოდებდა. ეკარტი პროფესიით ჟურნალისტი იყო, პოლიტიკური პოზიციით — უკიდურესი ანტისემიტი და ყოველგვარი რევოლუციის შეურიგებელი ოპონენტი. იგი მრავალი ნაწარმოების ავტორი გახლდათ, როიმელთაგან ერთმა, პოემამ - „Peurio“ - უდიდესი აღიარება ჰპოვა, განსაკუთრებით ნაციონალისტთა რიგებში. საქმე იმაში გახლავთ, რომ მისი ერთი სტრიქონი - „გერმანიავ გაიღვიძე!“ („Deutschland Erwache!“) მთელი გერმანის ლოზუნგად იქცა, მსგავსად - „გერმანია, გერმანია ყველაფერზე მაღლა!“ ანტონ დრექსლერის მუშათა პარტიაში შესვლის შემდეგ (ჰიტლერზე ადრე, 1919 წლის გაზაფხულზე), ის მის ხელმძღვანელობაში მოექცა და პარტიის ყოველგვარ აქციაში

---

[1] Залесский, К. Вожди и военачальники третего рейха. Биографический энциклопедический словарь. М., 2000, 389

მონაწილეობდა, მათ შორის „ლუდხანის პუტჩშიც", რის გამო ცოტა ხანი საპატიმროში მოხვდა, მაგრამ მალე გაათავისუფლეს.

ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ჰიტლერი მას თავის მასწავლებლადაც კი მიიჩნევდათქო. საქმე იმაშია, რომ ეკარტი მას ურჩევდა წიგნებს, ასწავლიდა ჩაცმა-დახურვას, ქცევის წესებს, დაჰყავდა მიუნხენის მაღალ საზოგადოებაში და აცნობდა ხალხს, ეხმარებოდა მატერიალურადაც და ა.შ. ასე მაგალითად, როდესაც პარტიამ „ფოლკიშე ბეობახტერის" ყიდვა გადაწყვიტა, თანხის საკმაოდ დიდი ნაწილი ეკარტმა გაიღო. ამიტომ იყო, რომ ჰიტლერი მას აღმერთებდა. ალფრედ როზენბერგთან ერთად, ეკარტი მთელი ორი წლის განმავლობაში გაზეთის თანარედაქტორი გახლდათ.

ეკარტი ერთ-ერთი იმათგანი იყო (მსგავსად ბეხშტეინებისა — ცნობილი მუსიკალური ფირმის დამაარსებელებისა), რომლებმაც პირველთაგან ირწმუნეს და ინტუიციით მიენდვნენ ჰიტლერის — მომავალი პოლიტიკური ლიდერის ნიჭსა და ტალანტს და შესაბამისად ამოუდგნენ გვერდში, ისე, როგორც გამომცემელი — ჰუგო ბრუკმანი და მისი მეუღლე ელზა. ამიტომ იყო, რომ ეკარტი თითქმის მუდამ თან ახლდა ჰიტლერს კრებებსა და მიტინგებზე და უფართოებდა პარტიის სოციალურ ბაზას. ის მის შესახებ წერდა პანეგერიკებს გაზეთსა და ჟურნალებში — აქებდა და ადიდებდა მას, ორატორობაში მის უზადო ნიჭს, ორგანიზაციულ უნარს და ლამის ნათელმხილველობას. დიტრიხ ეკარტის ერთი ლექსი, რომლის სახელწოდება გახლავთ - „შტურმი" მალე საყოველთაოდ ცნობილი გახდა და ნაცისტ-მოიერიშეთა ერთ მთავარ სიმღერად იქცა. დ. ეკარტი ის კაცი გახლავთ, რომელმაც იწინასწარმეტყველა ჰიტლერის მოსვლა ხელისუფლების სათავეში. ერთ-ერთი მაღალი დონის თავყრილობის დროს მან იგი ასე წარუდგინა შეკრებილთ: „ბატონებო მე თქვენ წარმოგიდგენთ პიროვნებას, რომელიც სულ მალე, ალბათ, გახდებაო ჩვენი ქვეყნის უმაღლესი ხელისუფალი".

ზემოთ ჩვენ გაკვრით შევეხეთ ეკარტის ერთ-ერთ საინტერესო ნაწარმოებს - „ბოლშევიზმი მოსედან ლენინამდე". ეს არის ავტორის დიალოგი ანონიმურ რესპოდენტთან, რომელშიც მკითხველი ძალზე იოლად შეიცნობს ჰიტლერს. „ეკარტი, - მიუთითებს „მესამე რაიხის ენციკლოპედია" - თავის თანამოსაუბრეს მიაწერდა „აღმოჩენას", რომელიც იმაში გამოიხატებოდა, რომ ფარულ ძალად, რომელიც მიზეზი შეიქნა მსოფლიო ისტორიული წესრიგის დარღვევა-დანგრევისა — თურმე ებრალელები გამოდიან"... ეკარტის აზრით, ჰიტლერი პირველი ადამიანი აღმოჩნდა, რომელმაც გააცნობიერა, რომ ებრაელთა გასვლა ეგვიპტიდან განხორციელდა იმ მიზნით, რომ მოეხდინათ სისხლიანი რევოლუციური შტურმი არსებული ფეხდადგმული რეჟიმის წინააღმდეგ,

ხოლო მოსე სხვა არავინ იყო, თუ არა ბოლშევიზმის ლიდერი. ამ წიგნში გადმოცემულ ანტისემიტურ იდეებს, ჰიტლერი გამუდმებით იყენებდაო თავის გამოსვლებში".[1]

ეკარტი მთელი ოცი წლით იყო ჰიტლერზე უფროსი, ჯერ კიდევ ახალგაზრდობაში დაეწაფა ნარკოტიკებს და თავის დროზე ფსიქიატრიულ საავადმყოფოშიც კი მოხვდა. არც ალკოჰოლი სძულდა. ყველაფერმა ამან გატეხა ფიზიკურად და იგი 1923 წელს 55 წლის ასაკში გარდაიცვალა.

ნაციონალ-სოციალისტური მოძრაობის წინაშე დამსახურების თვალსაზრისით ალტე-კამპფერებს შორის მომდევნო ადგილს **გრეგორ შტრასერს** მივაკუთვნებდით, მიუხედავად ყველაფრისა ის დაახლოებით ჰიტლერის ასაკისა იყო (დაიბ. 1892 წელს) და, თუ არ ვცდებით ყველაზე ადრე მოიაზრებოდა ვითარცა ჰიტლერის მოადგილე და იყო კიდეც ასეთ თანამდებობაზე, ვიდრე მასსა და ჰიტლერს შორის საბოლოო განხეთქილება არ მოხდა 1932 წელს და შტრასერი არ წავიდა თავისი ყველა თანამდებობიდან, რომელსაც მოჰყვა მისი ტრაგიკული აღსასრული ე.წ. „გრძელი დანების ღამეს" - 1934 წლის 30 ივნისს.

გრეგორ შტრასერი წამოშობით ბავარიელი იყო, თუმცა არა მიუნხენიდან. იგი ქვემო ბავარიაში იყო დაბადებული, კერძოდ კი — გრაიზენფელდში. მონაწილეობდა პირველ მსოფლიო ომში, იყო კაპიტანი და დაჯილდოებული 1-ლი და მე-2 ხარისხის რკინის ჯვრებით. ომის დამთავრების შემდეგ ხელი მიჰყო ფარმაცევტობას და შეიძინა აფთეაქი, რომელიც გაჰყიდა 1924 წელს, რათა გნსმპ-სათვის შეეძინა გაზეთი „ბერლინერ არბაიტერ ცაიტუნგი". მისი რედაქტორი გახდა მისი უმცროსი ძმა - ოტტო, ავტორი წიგნისა - „ჰიტლერი და მე", რომელიც შემდეგ ჰიტლერის შეურიგებელი მტერი და ოპონენტი შეიქნა.

ნაციონალ-სოციალისტურ პარტიაში გრეგორი ჰიტლერზე გვიან შევიდა, კერძოდ, 1921 წლის თებერვაში, მაგრამ სწრაფად აღზევდა პარტიულ იერარქიაში. ის იყო აგრეთვე (1922 წლიდან) ბავარიის სა-ს რაზმების მეთაურიც. „ლუდხანის პუტჩის" დღეს მან საკმაოდ მრავალრიხცოვანი რაზმი შეკრიბა და ჰიტლერის დასახმარებლად გაემართა, მაგრამ დაიგვიანა და „პუტჩი" ჩახშობილი დახვდა. ამის მიუხედავად ისიც დააპატიმრეს, მაგრამ სულ მალე აირჩიეს ბავარიის ლანდტაგში, რის გამოც საპატიმროდან გამოვიდა.

ციხიდან გამოსულმა გრ. შტრასერმა სწრაფად შეცვალა ა. როზენბერგი პარტიის დროებითი ლიდერის პოსტზე და ჰიტლერის გათავისუფლებამდე ხელმძღვანელობდა გნსმპ-ას ბავარიის იატაკქვეშეთში. უფრო მეტიც, 1924 წლის საპარლამენტო არჩევნებში (ანუ რაიხსტაგის არჩევნებში) ინდივიდუალური გზით 12 ნაციონალ-

[1] ЭТР, 549-550

სოციალისტი, გავიდა დეპუტატად გერმანიის რაიხსტაგში. ამ საქმეში დიდი იყო შტრასერის დამსახურება: რაიხსტაგში ისიც გავიდა და არჩეულ იქნა გნსმპ-ის ფრაქციის ხელმძღვანელად, რაც უდაოდ დიდი წარმატება იყო.

ასეა თუ ისე, ჰიტლერის გათავისუფლებისა და მის მიერ გნსმპ-ის თავიდან შექმნის შემდეგ (როგორც ის თვითონ ამას უწოდებს), გრეგორ შტრასერმა ჯერ, კერძოდ 1926 წელს მიიღო პარტიული პროპაგანდის უფროსის პოსტი, ხოლო 1932 წელს გახდა გნსმპ-ის საორგანიზაციო განყოფილების უფროსი და ჰიტლერის მოადგილე, ისევე როგორც პარტიის ცენტრალური საკონტროლო კომისიის თავმჯდომარე.

ეს ყველაფერი ძალზე გასაკვირი იყო, რადგან მასსა და ჰიტლერს შორის ჯერ კიდევ 1925 წლიდან არსებობდა ყველასათვის დასანახი დაპირისპირება. საქმე იმაში გახლდათ, რომ ჯერ კიდევ ციხეში ყოფნისას შტრასერმა, მიუხედავად პარტიის აკრძალვისა, თითქმის მთელს გერმანიაში, განსაკუთრებით მის დედაქალაქსა და ჩრდიოეთ რაიონებში — ბერლინსა და საერთოდ პრუსიაში, რაინლენდში, ჰანოვერში, საქსონიასა და ა.შ. — ყველგან შექმნა პარტიული ორგანიზაციები და ერთი სიტყვით — ბავარიული ელემენტიდან ის გახადა საერთო-საქვეყნო ორგანიზაციად. ის გარემოება, რომ ჰიტლერსა და შტრასერს შორის დაპირისპირება უკვე 1925 წლიდან არსებობდა, დასტურდება იმით, რომ შტრასერი არ გამოცხადდა ჰიტლერის მიერ პარტიის განმეორებით დაარსების დღეს — 1925 წლის 27 თებერვალს მიუნხენში — პარტიულ კონფერენციაზე.

რა ხდებოდა? რა იყო მიზეზი მათი უთანხმოების? პარტიის წინამძღოლობა, რომლის ჭია გასჩენოდა გრ. შტრასერს. მან, ნათქვამია „მესამე რაიხის ენციკლოპედიაში", „გააჩაღა ენერგიული საქმიანობა, რათა ხელთ ეგდო ლიდერობა პარტიაში. ცდილობდა დაეკავებინა ჰიტლერის ადგილი. შტრასერი, რომელიც საკუთარ თავს ინტელიგენტად თვლიდა, თვითდარწმუნებული ვარაუდობდა, რომ ჰქონდა უნარი, გაცილებით მეტი შეეთვისებინა პარტიისათვის, ვიდრე ემოციურ და გაუწონასწორებელ უგვარო ავსტრიელს".[1]

მაგრამ, როგორც ირკვევა, საქმე მხოლოდ ლიდერობაში არ ყოფილა. იგი გაცილებით ნიაღისეულ პრიციპებში იყო ჩახლართული. გრეგორ შტრასერი და მისი ძმა ოტტო ნაციონალურ-სოციალისტურ მოძრაობაში რადიკალ-სოციალისტურ მოძრობას განეკუთვნებოდნენ და ჰიტლერისაგან მოითხოვდნენ სოციალისტური პრინციპების გაღრმავებას და, რაც მთავარია, მათ შეტანას პარტიულ დოკუმენტებში, ისევე როგორც მათ პრაქტიკულად აღსრულებას. სახელდობრ, ისინი

[1] ЭТР, 539.

პრინციპულად და მტკიცედ აყენებდნენ საკითხს არსებული პარტიული პროგრამის გადასინჯვის თაობაზე, რამეთუ მიიჩნევდნენ, რომ იგი საკმაოდ შორს იყო სოციალიზმის ძირეული იდეებისაგან და, რაც მთავარია, რასობრივ, სახელდობრ, მკაცრად გამოხატულ ანტისემიტურ პოზიციაზე იდგა.

არსებობდა კიდევ ერთი საკითხი, რომელმაც უთანხმოება და დაპირისპირება ჰიტლერსა და გრ. შტრასერსა შორის ბოლომდე მიიყვანა. საქმე იმაში მდგომარეობდა, რომ 1932 წლის ივლისის საპარლამენტო არჩევნებში ნაციონალ-სოციალისტებმა დიდი გამარჯვება მოიპოვეს და რაიხსტაგში 230 მანდატი მიიღეს. ამ გარემოებამ საშუალება მისცა ახალ კანცლერს კურტ ფონ შლაიხერს, რომელსაც დიდი სურვილი ჰქონდა ნაციონალ-სოციალისტური პარტიის რიგებში განხეთქილების შეეტანა, წინადადება მიეცა გრეგორ შტრასერისათვის, დაეკავებინა ვიცე-კანცლერისა და პრუსიის სახელმწიფო მდივნის თანამდებობები ერთდროულად. ფორმალურად ის იმ მოტივით ხელმძღვანელობდა, რომ წინა პალრამენტში გრ. შტრასერი ნაციონალ-სოციალისტთა ფრაქციის ხელმძღვანელი იყო.

ადრე ჰიტლერი ამის წინააღნდეგი არ იქნებოდა, რადგან გრ. შტრასერს დამსახურება ჰქონდა პარტიაში, მაგრამ იმჯერად — 1932 წელს - მათ შორის წარმოქნმილი დაპირისპირებების გამო ჰიტლერმა გადაწყვიტა აღნიშნულ პოსტებზე ჰერმან გერინგი დაენიშნა იმის მიუხედავად, რომ ამ უკანასკნელს „ლუდხანის პუტჩის" დროს მიღებული ჭრილობებისა და პოლიტიკური თავშესაფრის უცხოეთში ძიების გამო ქვეყანა მთელი 3-4 წელი ჰქონდა დატოვებული. შესაბამისად, იგი არც პოლიტიკურ ბატალიებში იღებდა მონაწილეობას შტრასერისაგან განსხვავებით, რომელმაც, სხვას რომ ყველაფერს თავი დავანებოთ, ნაციონალ-სოციალისტური პარტია ბავარიული სფეროდან საერთოგერმანულ ელმენტად აქცია.

ყველაფრიდან გამომდინარე, ჰიტლერმა შტრასერი გაამტყუნა პარტიულ ღალატსა და ლიდერობის ხელში ჩაგდების ცდაში, რასაც თითქოსდა შეეძლო პარტიის გათიშვა და, შესაბამისად მისი დასუსტება. შტრასერმა ბრალდება არ მიიღო და, პირიქით თვითონ გაამტყუნა ჰიტლერი ტენდენციურობასა და კარიერიზმში, რასაც სასტუმრო „კაიზერ ჰოფში" მოჰყვა დიდი აურ-ზაური და ერთმანეთზე წაწევ-წამოწევა. არადა, რომ მიეშვათ და მათ შორის იქვე მყოფი პარტაი-გენოსები არ ჩამდგარიყვნენ, გრ. შტრასერი ყვაჭიჭასავით გახეთქავდა შუაზე ჰიტლერს.

მუშტი-კრივამდე მისული დაპირისპირების შემდეგ შტრასერმა 1932 წლის 8 დეკემბერს დატოვა ყველა თავისი პარტიული თანამდებობა და

ცოლ-შვილითურთ იტალიაში გაემგზავრა დასასვენებლად. ჰიტლერმა ამით ისარგებლა და მის ნაცვლად წამოსწია რუდოლფ ჰესი, რომელიც გახდა ცენტრალური პარტიული კომისიის თავმჯდომარე და ერთადერთი მოადგილე ჰიტლერისა.

უკვე ნათქვამით არ დამთავრებულა ჰიტლერ-შტრასერის „ომი", როგორც უკვე მოგახსენეთ გრ. შტრასერი, რომელმაც გერმანია არ დატოვა თავისი უმცროსი ძმის — ოტტოს დაჟინებული თხოვნის მიუხედავად, მოკლეს 1934 წლის 30 ივნისს — საკანში ნასროლი ტყვიით. ეს შემთხვევით მოხდაო, თავს იმართლებდნენ მოგვიანებით ნაცისტები, მაგრამ ეს ხომ ნონსენსია, მით უფრო, რომ ჰიტლერის პოლიტიკური აღვირახსნილობისა და გულღვარძლიანობის სხვა ბევრი შემთხვევაც არის ცნობილი, როდესაც პოლიტიკურ ოპონენტებს ნაცისტები არამარტო გერმანიაში, არამედ მთელს მსოფლიოში უსწორებდნენ ანგარიშს. სწორედ ამით იყო გამოწვეული არც თუ იშვიათი შემთხვევები ცნობილ პირთა გერმანიდან გაქცევებისა (ფრიც ტისენი, ერნსტ ჰანფშტანგლი, ოტტო შტრასერი და სხვ.), თუ აღარაფერს ვიტყვით მეცნიერებისა და კულტურის სფეროს მუშაკების მასობრივ ემიგრაციაზე (ალბერტ აინშტაინი, მაქს ბორნი, ჰენრიხ გოლო, კრაუს და თომას მანები და კიდევ ბევრი, ძალიან ბევრი). მაგრამ მაინც ყველაზე მეტად ნიშანდობლივად მიგვაჩნია ქვეყნიდან დიდი გერმანელი კომპოზიტორისა და ჰიტლერის „მესიად" მიჩნეულ რიხარდ ვაგნერის ოჯახიდან, რომლებთანაც ჰიტლერი კვირაობით იდებდა ბინას — კომპოზიტორის სახელობის ფესტივალთა პროცესში ბაირეიტში, შვილიშვილის გაქცევა, რომელმაც შემდეგ მოთხარა და მიწასთან გაასწორა ჰიტლერი და ნაციზმი.

გრეგორ შტრასერზე საუბარს დავასრულებთ ინფორმაციით: მისი მკვლელობის შემდეგ, კარგა ხნის გასვლის მიუხედავად, 1969 წელს მაინის-ფრანკფურტში გამოსულა მისი წიგნი ჩვენთვის ცნობილი სათაურით - „ჩემი ბრძოლა", - იმ ბატალიათა თაობაზე, რომელის მან კაცობრიობისათვის დიდად საზიანოდ წააგო, თუმცა მანამდე თვითონვე დათმო. ნამდვილად დასანანია.

ოტტო შტრასერი, როგორც უკვე ითქვა, გრეგორის უმცროსი ძმა გახლდათ, მაგრამ მისგან განსხვავებით, გაცილებით პარამეტრული ნიჭიერებისა და რაც მთავარია, პოლიტიკური განათლების პატრონი, პარტიულ ლიტერატურაში ფართო ხედვით. ალბათ, ამით იყო გამოწვეული ის გარემოება, რომ თავის დროზე ჰიტლერი მას, ბალღი რომ მშობლებს ემუდარება ხოლმე, ისე სთხოვდა გვერდზე დადგომას. რა თანამდებობაც კი გინდა დამისახელე, შენთვის არაფერს დავიშურებო.

ოტტო თავდაპირველად სოციალ-დემოკრატიის პოზიციაზე იდგა და გაცილებით ახლოს ჰქონდა გულთან მიტანილი სოციალიზმი, ვიდრე

თუნდაც მის ძმას, რომ აღარაფერი ვთქვათ ჰიტლერსა და, საერთოდ, ნაციონალ-სოციალისტებზე. იგი „მუშურ“ პლათფორმაზეც ორთავე ფეხით იდგა და ამასვე მოითხოვდა ჰიტლერისგან. ეს, ალბათ, მისი შედარებით ახალგაზრდული ასაკით აიხსნება, რამეთუ მასზე უმცროსი იყო თითქმის ათი წლით, რაც იმჯერად ძალზე მნიშვნელოვანი იყო (დაბადებული იყო 1897 წელს).

თავისი ძმისებრ, და ალბათ, მისივე გავლენით, ოტტო ნაცისტურ პარტიაში იყო 1925-1930წწ., მაგრამ მათგან განსხვავებით მოითხოვდა მრეწველობის, ბანკებისა და მიწის ნაციონალიზაციას, რისთვისაც ფართოდ იყენებდა თავისი ძმის მიერ დაარსებული გაზეთის - „ბერლინერ არბაიტერ ცაიტუნგის“ ფურცლებს, რომლის რედაქტორი გახლდათ სრულიად ახალგაზრდა ასაკში. აღნიშნულ ორგანოს რედაქციის საქმიანობა იმდენად ხელისშემშლელი გახდა ჰიტლერისათვის, რომ იგი იძულებული შეიქნა მისგან მალულად შეესყიდა გაზეთის აქციები და შემდეგ მიეხურა. მის ნაცვლად ჰიტლერმა ფართოდ გაუხსნა გზა ი. გებელსის მიერ იმხანად დაარსებულ გაზეთს - „ანგრიფს“ („შტურმი“), რომელსაც რედაქტორობდა მისი ძმის მდივნობიდან ჰიტლერთან გადმობარგებული ი. გებელსი, რომელმაც ეს პოსტი გრეგორის ღალატის საფასურად მიიღო.

ოტტომ მალე დაადგინა ჰიტლერის მზაკვრობა და მაქინაციები და, როდესაც მასთან თავისი ძმის კონფლიქტს შეესწრო, გავიდა პარტიიდან და საკუთარი პარტია შექმნა სახელწოდებით - „ნაციონალ-სოციალისტთა რევოლუციური კავშირი“, რომელიც მალე გადაკეთდა - „შავ ფრონტად“. აქ მან ფრთები გაშალა და ნაცისტების მომაკვდინებელ კრიტიკას მიჰყო ხელი, ჰიტლერს უწოდებდა ნაძირალას, ფსიქოპატს, გლეხუჭასა და რევოლუციის მოღალატეს, ჰიმლერს - „შავ იეზუიტს“, ხოლო გებელსს, რომელიც ძმებს ყველაზე მეტად ეზიზღებოდათ - „ინტრიგან-ქონდრისკაცას“. არც ჰიტლერი რჩებოდა ვალში და ეძახდა მას - „სალონის ბოლშევიკს“, ხოლო მის მიმდევრებს - „სულელ დიქტრინიორებს და პოლიტიკურ ბოისკაუტებს“. მისი აზრით ისინი შეიქნენ „მსხვერპლი დემოკრატიისა და ლიბერალიზმის უმთავრესი ცოდვებისა“.

როდესაც ჰიტლერი ამის შემდეგ მალე რაიხსკანცლერი გახდა, გადაწყვიტა შტრასერების ლიკვიდაცია (რაც მისი ჩვეულება იყო). გრეგორი მან შეიწირა, მაგრამ ოტტოს ვერაფერი დააკლო, თუმცა მიზნის მიღწევისათვის არაფერი დაუშურებია. ოტტო ჯერ ჩეხოსლავაკიაში გაიქცა, იქიდან კი ინგლისის გზით კანადაში გადაბარგდა, რამეთუ ნაცისტებს საკმაოდ გრძელი ხელები ჰქონდათ.

საზღვარგარეთ მან ორი შესანიშნავი წიგნი გამოსცა - „ბართლომეს

ღამე გერმანიაში" (ციურიხი, 1935) და „ჰიტლერი და მე" (ლონდონი, 1940). ეს უკანასკნელი თარგმნილია რუსულად და საუცხოოდ იკითხება.

1955 წელს (! ათი წლის შემდეგ ნაციზმის ლიკვიდაციიდან) მას დაუბრუნეს გერმანიის მოქალაქეობა და ის დაბრუნდა სამშობლოში, რომელშიც თითქმის 20 წელიწადი იცხოვრა. გარდაიცვალა მიუნხენში 1974 წელს, 77 წლის ასაკში.

მომდევნო „ალტკამპფერად" გვსურს წარმოგიდგინოთ - **გოტფრიდ ფედერი**, ნაციონალ-სოციალისზმის ერთ-ერთი პირველი პროპაგანდისტი და თეორეტიკოსი. იგი ერთ-ერთი პირველთაგანი „მამა-დამფუძნებელია". თუ მკითხველი გაიხსენებს იმ დღეს, როდესაც ჰიტლერი პირველად მივიდა მუშათა პარტიის სხდომაზე, ლექციას დ. ეკარტის ნაცვლად სწორედ გ. ფედერი კითხულობდა. იმ დროისათვის მას თავისი ორგანიზაცია ჰყავდა - „გერმანული კავშირი იძულებითი შრომის უპირატესობათა მოსპობის მიზნით". თავის დროზე (1918 წ.) მან წარუმატებლად სცადა ბავარიის კომუნისტური ლიდერის — კურტ აისნერის დაინტერესება ამ იდეით. ფედერი ერთი ავტორთაგანი იყო — ჰიტლერთან, ეკარტთან და დრექსლერთან ერთად პარტიის 25 პუნქტიანი პროგრამისა. სწორედაც მასშია შეტანილი იძულებითი შრომის მოსპობის დაპირება, რომელიც ფედერის დამსახურებაა.

გ. ფედერი იყო ბევრი გერმანული გაზეთისა თუ ჟურნალის რედაქტორი. იგი პარტიის ხელისუფლებაში მოსვლამდე დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა და გავლენაც ჰქონდა ჰიტლერზე, მაგრამ ეს უკანასკნელი მას, განსხვავებით დ. ეკარტისაგან, თავის მასწავლებლად არ მიიჩნევდა, თუმც არც მისი იდეების სესხებისაგან იკავებდა თავს საჯარო გამოსვლებისას. ფედერის ეს გავლენა იგრძნობა მის წიგნშიც, თუმცა პირდაპირ ამის შესახებ იგი არსად მიუთითებს, გარდა იშვიათი შემთხვევებისა.

1924 წელს ფედერი რაიხსტაგში აირჩიეს, სადაც მან რამდენიმე საყურადღებო კანონპროექტი შეიტანა, კერძოდ: გაეყინათ ყველა მწარმოებლის შემოსავლის 4% და მოეხდინათ ებრაელ-მრეწველთა საწარმოების ნაციონალიზაცია. ფედერმა არც აგრარული სფერო დაივიწყა და წინადადება შეიტანა არარენტაბელურ მსხვილ სამფლობელოთა ხარჯზე შეექმნათ საგლეხო მეურნეობანი აღმოსავლეთით — გამომდინარე პრინციპიდან „ფერმა ფერმაზე". მან ასევე მოითხოვა ომის პერიოდის მოგებების ნაციონალიზაცია.

ეს უკვე ის დრო გახლდათ, როდესაც ჰიტლერი მკერდით მიარღვევდა გზას ხელისუფლებისაკენ. ამიტომ, მას საბოლოო არჩევანი უნდა გაეკეთებინა მსხვილ და წვრილ ბურჟუაზიულ გზებს შორის მუშათა კლასთან ერთად. ძნელი მისახვედრი არ იქნება მის მიერ

არჩეული ვარიანტი, რამაც შესამჩნევად გააცივა ჰიტლერ-ფედერის ურთიერთობები, რომელსაც მსხვილი მრეწველები და ფინანსისტები პირდაპირ გაურბოდნენ (ი. შახტი, ფ. ტისენი, გ. კრუპი და ა. შ.).

მაგრამ, ჰიტლერს თავისი ძველი ვალდებულებებიც ახსოვდა ფედერის მიმართ. ამიტომ, მისი სრული ჩამოცილება არ შეეძლო და, როდესაც რაიხსკანცლერი გახდა 1933 წელს, მან ფედერი ეკონომიკის მინისტრის მოადგილედ დანიშნა ალფრედ ჰუგენბერგთან (ნაციონალისტური პარტია). ამით მან ერთი გასროლით ორი კურდღელი მოკლა, რამეთუ ის დარწმუნებული იყო ამ უკანასკნელის მტკიცე ხასიათში.

თავის ახალ თანამდებობაზე ფედერმა ახალი სამიწადმოქმედო პროექტი წამოიწყო — რურბანის სახელწოდებით (რურალ=სოფლის და ურბან=ქალაქის), რომლის მიხედვით ფერმერები ქალაქების ირგვლივ უნდა გაერთიანებულიყვნენ დასახლებების ტიპზე. აღნიშნული გეგმა წაწყდა რაიხსნერშტანდის ანუ ფერმერთა ეროვნული ორგანიზაციის წინააღმდეგობას — ჩვენს სფეროში ნუ იჭრებითო. 1934 წლის ბოლოს ჰიტლერი იძულებული შეიქნა ფედერისაგან განთავისუფლებულიყო. მას დაუნიშნეს მაღალი ხელფასი და წინადადება მისცეს პირადი ცხოვრებით დაკავებულიყო.

ა. დრექსლერისა არ იყოს, ნაციონალ-სოციალისტური პარტიის ერთ-ერთი დამაარსებელთაგანი, ფაქტობრივად ქუჩაში დარჩა, თუმცა მატერიალურ სივიწროვეს არ განიცდიდა. მან კიდევ 7 წელიწადი იცხოვრა და თავისი სიცოცხლის უკანასკნელ პერიოდში, ო. შტრასერისა არ იყოს, მიაჩნდა, რომ მესამე რაიხი „რევოლუციის ღალატი" იყო, რასაც არ მალავდა. ჰიტლერმა მის მიმართ ერთი გამონაკლისი დაუშვა — არ შეუვიწროებია. იგი მოესწრო საბჭოთა კავშირზე თავდასხმას, რასაც, კომუნისტების მიმართ ანტიპატიის მიუხედავად, შეცდომად მიიჩნევდა. ამბობდა, ბისმარკი დაავიწყდათო. ის 1941 წლის სექტემბერში გარდაიცვალა 58 წლის ასაკში.

ჰერმან ესერი - ნაციონალ-სოციალისტური მოძრაობისა და პარტიის ერთი წამყვანი, „მამა-დამაარსებელთაგანი" და ამასთანავე, ოდიოზური ფიგურა გახლდათ: მთავარი ნაციონალ-დონ-ჟუანი და სოციალისტ-მექალთანე. პარტიის ხელმძღვანელი ორგანოები და ფიურერის კანცელარია გამუდმებით გამოტენილი იყო მასზე საჩივრებით. ერთ საქმეს ძლივს ჩააქრობდნენ, რომ ახალს უკვე თავი ჰქონდა ამოყოფილი. იგი და იულიუს შტრაიხერი უპირველესი ანტისემიტები იყვნენ, მგონი თვით ჰიტლერზე მეტადაც და ორთოდოქსულნი. სიზმარშიც კი ებრაელთა დედის გინებაში იყვნენ. ებრაელები იმდენად სძულდათ, რომ ჰიტლერი ერიდებოდა მათ მაღალ ხელმძღვანელ თანამდებობაზე დანიშვნას, ესაოდა საზოგადოებრივი პროტესტი არ გამოიწვიოსო.

1900 წელს დაბადებულმა ესერმა ომი მოიარა და შინ მკერდამშვენებული დაბრუნდა სოციალისტური იდეებით დატვირთული. იგი ჟურნალისტად იწყებს მუშაობას მიუნხენის ერთ-ერთ მემარცხენე მიმართულების გაზეთში, სადაც გაიცნო იქ სააგიტაციოდ მისული ა. დრექსლერი, დაუახლოვდა და მასთან ერთად გადაწყვიტა მუშათა პარტიული წრის დაარსება, რომელიც ნაციზმს და ანტისემიტიზმს დაეფუძნებოდა. მკითხველი ალბათ დაგვეთანხმება, რაც სრულიად აშკარაა, რომ ეს უნდა ყოფილიყო დაკვეთა გარკვეული პოლიტიკური ხელმძღვანელობისა და გააზრებული სახელმწიფო მიზნებისათვის, კერძოდ, ბავარიაში არსებული კომუნისტური ტენდენციების წინააღმდეგ. ბავარიის საბჭოთა რესპუბლიკის დუბლირება უკვა არარავის ინტერესში აღარ შედიოდა. უფრო მეტი: გარკვეულ კლესობრივ ზიზღსაც კი იწვევდა სამრეწველო-ფინანსურ წრეებში.

ზემოაღნიშნული ზნეობრივ-მორალური დეფექტის გარდა, მას აკლდა ინტელიგენტობა, იყო თავხედი და მეგალომანი — ხულიგნობამდე მისული ქცევის ნორმებით. ის ხანმოკლე „ვიზიტებით" ხშირი სტუმრი იყო ციხე-საპატიმროებისა, რომელთაგან თავის დაღწევა ჰიტლერის ანგარიშზე ხდებოდა. ამიტომ, ჰიტლერს უხდებოდა მისი ახლოს ყოლა, რათა მუდმივი კონტროლი განეხორციელებინა.

ნეგატიურ მომენტებთან ერთად ესერს ორატორობისა და აუდოტორიის მონუსხვის არაჩვეულებრივი ნიჭი ჰქონდა, ამ მხრივ იგი ლამის არ ჩამორჩებოდა ნაციონალ-სოციალისტური პარტიისა და მოძრაობის ყოჩებს ჰიტლერსა და ი. გებელსს. უმთავრესად ამის გამო აფასებდა მას ფიურერი.

იყო ერთი გარემოება, რომელის ჰ. ესერს სხვა ნაცისტ ლიდერთაგან გამოარჩევდა და თითქმის აყენებდა პარტიის თეორეტიკოს-იდეოლოგთა რანგში, კერძოდ, თუ გნებავთ იმავე ჰიტლერისა და მით უმეტეს გებელს-როზენბერგისა. ეს გახლავთ თეორიულ-პროპაგანდისტული ნიჭი და განათლება, რაც დასტურდება თუნდაც წლების განმავლობაში პარტიის წამყვან ორგანოთა მთავარი რედაქტორობით: სახელდობრ — 1920-1923 წწ. „ფოლკიშე ბაობახტერისა" (ე.ი. თითქმის სამი წლის განმავლოაში) და 1926-1932 წწ. - „ილუსტრირტერ ბეობახტერისა" (ანუ კიდევ ექვსი წლის მანძილზე), ე.ი. სულ ცხრა წლის განმავლობაში. სხვაგვარად ნაციონალ-სოციალისტური პარტიის მეოთხედსაუკუნოვანი ისტორიის პერიოდში ესერი ლამის ნახევარი დროის განმავლობაში ხელმძღვანელობდა იდეოლოგიური ფრონტის ერთ-ერთ მთავარ უბანს იმის გათვალისწინებითაც, რომ კიდევ დამატებით 1923-1925 წლებში, ამ თანამდებობაზე ი. გებელსის მოსვლამდე, საერთოდ გნსმპ-ის პროპაგანდისტული ლიდერი იყო.

ყოჩაღ ესერ! ჩვენ ყოველნაირად ვცადეთ ჰიტლერის ასეთ გადაწყვეტილებათა მოტივაცია, მაგრამ, ვერა და ვერაფერს მოვაღწიეთ, მიუხედავად ყოველგვარი მონდომებისა. ჩვენს ხელთ არსებული ლიტერატურიდან არამარტო არა ჩანს ესერის მიერ რომელიმე უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების ნიშანი, არამედ თვით საშუალო სკოლისა. ეს ბოლო საკითხი ეჭვს ქვეშ იმიტომ დადგა, რომ თვით ფიგურანტი 1900 წელს იყო დაბადებული, ხოლო I მსოფლიო ომი 1914 წელს დაიწყო, რომელშიც იგი დამთავრებამდე მონაწილეობდა, ე.ი. 1918 წლამდე. როდის უნდა მოესწრო ესერს თუნდაც სკოლის დამთავრება?... და თუ ეს ეჭვები საფუძველს არ არის მოკლებული, ასეთ შემთხვევაში ჰიტლერისა არ იყოს, საიდან მისი მომზადების ასეთი დონე? აღნიშნულ ჟურნალ-გაზეთის რედაქტორობა სკოლის გაზეთის რედაქტორობის ტოლფასოვანი ხომ არ არის? ამ თვალსაზრისით ერთადერთ გამონაკლისს წარმოადგენს „მესამე რაიხის ენციკლოპედიაში" „შემოგდებული" ფრაზა იმის თაობაზე, რომ ომიდან მობრუნებულ ესერს დაარსებული ჰქონდა რევოლუციურ სტუდენტთა კავშირი, მაგრამ ეს ხომ კერძო პირსაც შეეძლო გაეკეთებინა?

ჩვენ ზემოთ რაღაცნაირად შევეხეთ ესერის თავხედობასა და უკულტურობას. ეს შემთხვევით ნასროლი სიტყვები არ გახლავთ. ნახეთ ამის ილუსტრაცია. 1928 წელს მიუნხენში ჩავიდა გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი გუსტავ შტრეზემანი. მას იმ დროს უდიდესი გავლენა ჰქონდა გერმანიასა და, საერთოდ, ევროპაში. იმის გარდა, რომ იგი გერმანიის კანცლერიც იყო, შტრეზემანმა 1925 წელს, ლოკარნოს კონფერეციაზე მიაღწია იმას, რომ გერმანია მიიღეს ერთა ლიგაში.

მიუნხენში შტრზემანს განცხადება უნდა გაეკეთებია მთავრობის სახელით. და აი, ჰ. ესერი, შენობაში შევარდა რამდენიმე ასეული მოიერიშით SA-ს რიგებიდან და შეძახილით - „სიკვდილი ებრაელებს!" არ მისცა სიტყვის წარმოთქმის საშუალება (სტუმარი წარმოშობით ებრაელი გახლდათ). ამიტომ ამბობდა ჰიტლერი თავისი მეგობრის თაობაზე: „ჩემთვის ყოველთვის ცნობილი გახლდათ, რომ ესერი ყალთაბანდი იყო, მაგრამ გარკვეულ დრომდე მე იძულებული ვარ იგი გამოვიყენო, რამეთუ ეს გარდაუვალია... მე მას ვიყენებ როგორც ორატორს, რომელსაც შეუძლია ზეგავლენის მოხდენა პუბლიკის გარკვეუულ კატეგორიაზე. მაგრამ, მე არასოდეს ვანდობ მას პოლიტიკურ ძალაუფლებასო".[1]

ნათქვამის მიუხედავად ჰიტლერს მაინც მოუხდა კანოსში წასვლა. ესერი ჯერ იყო და ბავარიის ლანდტაგის წევრი გახდა იმავე 1928 წელს, ხოლო მომდევნო წელს შევიდა მიუნხენის საქალაქო საბჭოში. მისი ადმინისტრაციული წარმატებანი კიდევ უფრო ხილული გახდა

[1] ЭТР, 552

ხელისუფლებაში ნაციონალ-სოციალისტების მოსვლის შემდეგ. თავდაპირველად ის დაინიშნა ბავარიის ეკონომიკის მინისტრად, შემდეგ ბავარიის რაიხსკანცელარიის ხელმძღვანელად, მერე ბავარიის ლანდტაგის თავმჯდომარედ, ხოლო ცოტა მოგვიანებით, გერმანიის რაიხსტაგის წევრადაც აირჩიეს, რომლის ვიცე-თავმჯდომარე გახდა 1939 წლის 12 დეკემბერს.

ეს ის პერიოდია, როდესაც ესერმა მსოფლიოს ყურადღება მიიპყრო (სხვადასხვა ბანაკიდან, სხვადასხვა პოზიციიდან) თავისი გახმაურებული შოვინისტური და ანტისემიტური წიგნით - „მსოფლიოს ებრაული ჭირი", რომელშიც გადმოანთხია მთელი თავისი ზიზღი და სიძულვილი ამ შრომისმოყვარე ხალხის მიმართ (ვისაც ჩვენ ამ ნათქვამში ეჭვი ოდნავ ეპარება, ვთხოვთ, ინახულოს შრომითი თავდადების სასწაულები ისრაელში).

ისევე როგორც გოდფრიდის შემთხვევაში, ესერის კარიერამაც უკუსვლა იწყო მეორე მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ, იმის მიუხედავად, რომ ის აქა-იქ, მაღალ პარტიულ შეხვედრებზე კვლავაც ჩანდა და იწონებდა თავს ჰიტლერის წინაშე. იგი გააპანღურეს და დააცურეს ყველა პარტიულ-სახელმწიფოებრივი თანამდებობიდან. მაგრამ სამაგიეროდ, ეს ჭირი მისთვის ბოლოს და ბოლოს სასარგებლო აღმოჩნდა. შედარებით იოლად დაუძვრა სასამართლო ინსტანციებს და უკვე 1947 წელს ციხიდან გარეთ გამოვიდა.

ესერმა ამის შემდეგ კარგა ხანს იცოცხლა (1981 წლამდე, ანუ ორი ბოლო ციფრის კვალობაზე) და წიგნიც გამოსცა სახელწოდებით: „ადოლფ ჰირტლერი — დიდად საყვარელი კაცი".

ეს გახლავთ მისი თავხედური ბუნებისა და ქცევის ბოლო ემანაცია, თუმცა რ. ჰესისა არ იყოს, როგორც ირკვევა, სიკვდილამდე შეინარჩუნა თავისი ყოფილი პატრონის ერთგულება.

ნაციონალ-სოციალისტური პარტიის კიდევ ერთი თავზე ხელაღებული და ჩინოსანი კაცი გახლდათ **იულიუს შტრაიხერი**, ზედმეტსახელად „ნიურნბერგის ფიურერი". შეიძლება ადამიანმა წამოიდგინოს ჰიტლერზე და ესერზე კიდევ უფრო ღრმადმოძულე პიროვნება ებრაელებისა? აი, ასეთი პირუტყვი გახლდათ ეს ნიურნბერგელი მასწავლებელი (!?) — ნაძირალა და სალახანა.

„მესამე რაიხის ენციკლოპედიაში" ვკითხულობთ: „ყველგან დაატარებდა შოლტს, პატრონის გამომეტყველებით, უკმაყოფილო სახით დააბიჯებდა თავის ოკრუგში, და უდიდეს სიამოვნებას ჰგვრიდა ადამიანის ცემა მოწმეთა თანდასწრებით. ამის გამო მან შეიძინა უმართავი, ექსცენტრიული, უჯიათი კაცის რეპუტაცია".[1]

---

[1] ЭТР, 537

ჰიტლერზე ასაკით ოდნავ უფროსმა (დაბ. 1885 წ.), დღესაც გაურკვევლია რით მოიპოვა მასწავლებლობა. ომის დროს ჯარშიც იყო გაწვეული, მაგრამ, ისეთი ბრალდებით გამოაგდეს იქიდან, რაც იშვიათია ალბათ: „ჩამოერთვასო უფლება არმიაში ოდესმე სამსახურისა", თუმცა მანამდე მოასწრო რკინის ჯვრის I და II ხარისხის ორდენთა და უმცროსი ოფიცრის წოდების მიღება.

ომიდან მობრუნებულმა ისევ მასწავლებლობას მიჰყო ხელი, მაგრამ უცებ ტვინი შებრუნებია და პოლიტიკით დაინტერესებულა. 1919 წელს რაღაც ორგანიზაციაც კი დაუარსებია — შოვინისტური და ანტისემიტური გადახრებით. უფრო მეტი: იმავე მიმართულების საკუთარი გაზეთიც დაუარსებია. მისი სახელწოდება გახლდათ - „დერ შტურმერი". იმ პეროიდში, უკიდურესი ნაციონალიზმით შეპყრობილ გერმანიაში, რომელშიც ჩიტებივით ხოცავდნენ ებრაელ პოლიტიკურ მოღვაწეებს, შტრაიხერის გაზეთი მთელს ქვეყანაში სწრაფად ვრცელდებოდა.

აღნიშნულმა გარემოებამ პოპულარობა მოუტანა პარტიასა და ქვეყანაში. იგი გნსმპ-ში 1921 წელს შევიდა და უკვა 1925 წელს დაინიშნა (გებელსის კვალ) გაულაიტერად ფრანკონიაში — რეზიდენციით მის მშობლიურ ნიურნბერგში. ეს იყო მაღალი პოსტი პარტიაში, მაგრამ საინტერესო ის გალხდათ, რომ თავი მაინც არ დაუნებებია მასწავლებლობისათვის და თავის მოსწავლეთაგან მოითხოვდა შეძახილს: „ჰაილ ჰიტლერს".

1933 წლის მარტში შტრაიხერი რაიხსტაგში ტიურინგიიდან (?) აირჩიეს, ხოლო მომდევნო წელს მიანიჭეს სს-ის გრუპენფიუერერის ჩინი (გენერალ-ლეიტენანტის). მისი პათოლოგია ებრაელთა მიართ სულ უფრო და უფრო საშიშ ხასიათს იძენდა. 1933 წლის 1 აპრილი მან ებრაელთა წინააღმდეგ ბოიკოტის ეროვნულ დღედ გამოაცხადა და მთელს გერმანიას მიმართა, მომავალში ყოველთვის ამგვარად აღენიშნათ ეს დღე. „ათასობით წელი ებრაელები ითვლებოდნენ დამანგრეველ ხალხად, დაე ეს დღე საწყისი შეიქნას მათი ნგრევისაო".

ჰიტლერი ერთ ხანს სიამოვნებით შესცქეროდა ამ სცენას, მაგრამ, მოგეხსენებათ, დროთა განმავლობაში ისეთი დღეც დგება, როდესაც ჭუჭყიანი მასა საწინააღმდეგო მიმართულებით ჰპოულობს გზას. როგორც ამბობენ, სამყარო არც თუ კეთილ ადამიანთა გარეშე არსებობს და საყვედურების ზრდასთან ერთად შტრაიხერის მისამართით, ჰიტლერის დამოკიდებულებაც იცვლებოდა. თავდაპირველად ჰიტლერი ზეპირი საყვედურებით იფარგლებოდა, მაგრამ, ერთ მშვენიერ დღეს მან ვეტო დაადო — Redeverbot-ის ანუ საჯარო გამოსვლების აკრძალვის სახით, ხოლო მალე გერინგს დაევალა შტრაიხერის ცხოვრებისა და საქმიანობის შესწავლა. გამოძიებამ საშინელებანი გამოავლინა, რის

გამოც იგი ყველა თანამდებობიდან გაათავისუფლეს, თუმცა მას ვერც ამან უშველა. შტრაიხერი არც შემდეგ მოთვინიერებულა.

ამიტომ იყო, რომ მისსავე საკუთარ ქალაქში შეკრებილმა საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალმა მას ჩამოხრჩობა მიუსაჯა, რაც მან აღიქვა, როგორც „მსოფლიო ებრაელობის ტრიუმფი". 1946 წლის 16 ოქტომბერს, როცა სხვა მთავარ სამხედრო დამნაშავეებთან ერთად ადიოდა ეშაფოტზე, ჯერ დაიძახა - „Iurimfest" (ანუ „ებრაელთა ზეიმიო!"), ხოლო ბოლოს - „ჰაილ ჰიტლერ!"

„ალტკამფპერთა" რიგებიდან, რომელიც პარტიისა თუ სახელმწიფოს ხელმძღვანელთა შორის მოხვდნენ, კიდევ ერთი პიროვნება უნდა გამოვყოთ. მისი რეკვიზიტებია — **რობერტ ლეი** — რაიხსლაიტერი, შრომის ფრონტის ხელმძღვანელი და პარტიის საორგანიზაციო განყოფილების გამგე, რომელიც დიდხანს ედავებოდა რუდოლფ ჰესს პირველობას გნსმპ-ში, ვიდრე ბოლოს და ბოლოს პირველმა მათგანმა ბეჭებზე არ დასცა.

რობერტ ლეი — პარტიის ერთ-ერთი უძველესი წევრი გახლდათ, ამასთან ჰიტლერთან ძალზე დაახლოებული, რასაც ხელს უწყობდა მისი მეუღლის სილამაზე და სიახლოვე სახელმწიფოს მათაურთან. იგო „ბერგოფის" ხშირი სტუმარი გახლდათ და იყო მომენტი, როდესაც ევა ბრაუნი მის მიმართ ეჭვიანობდა. ფრაუ ლეი ამას არავითარ ანგარიშს არ უწევდა და შეგნებულად ხშირად ეჩურჩულებოდა ევას მომავალ ქმარს. ბოროტი ენები ამბობენ, რომ მათ შორის ინტიმამდე მისული ურთიერთობებიც არსებობდა.

რ. ლეი ერთხანს (ჰიტლერის ციხეში ჯდომის პერიოდში) ლიდერობისათვის იბრძოდა და მაშინ დაუპირისპირდა გრ. შტრასერს, მაგრამ მალე მოეგო გონს და ამ უკანასკნელის წინააღმდეგ ბრძოლაში ჰიტლერის მხარე დაიჭირა. ეს გარემოება მომავალმა ფიურერმა მას არ დაუვიწყა და მალულად, გამომდინარე ტაქტიკიდან - „გაჰყავი და იბატონე" - თითქოსდა მხარსაც კი უჭერდა რუდოლფ ჰესის წინააღმდეგ ბრძოლაში, თუმც ბოლოს უძულებული შეიქნა ამ უკანასკნელის გვერდით დამდგარიყო.

საქმე იმაში გახლდათ, რომ ლეის პარამეტრები ლიდერობას ვერ სწვდებოდა, ვერც ინტელექტუალურად და ვერც მორალურად. იგი გამოუსწორებელი ლოთი იყო, რაც დრო და დრო გაბმით სმაში (запой) გადადიოდა. ი. გებელსი მის ინტელექტუალურ პარამეტრებს დაცინვით ასე გამოხატავდა: „მისი გონი რომ შევაფასოთ, საკმარისია გავიხსენოთ, რომ იგი კურდღლების სპეციალისტი იყოო და როგორც მოსალოდნელი გახლდათ, ყველა მისმა ექსპერიმენტმა კრახი განიცადაო". ეს ირონია იყო, რამეთუ ლეის დამთავრებული ჰქონდა უნივერსიტეტი.

რ. ლეის მნიშვნელოვანი პოლიტიკურ-ადნიმისტრაციული წარ-მატებეტიც ჰქონდა. იგი პრუსიის ლანდტაგის წევრი გახდა 1928 წელს, ხოლო 1930-ში — რაიხსტაგისა. რამდენიმე წლის განმავლობაში რაინლენდის გაულეიტერიც გახლდათ (1925-1934), მაგრამ ყველაზე ყურადსაღებ წარმატებად უნდა მივიჩნიოთ მისი თავმჯდომარეობა პრუსიის საბჭოში. ამ თანამდებობაზე ყოფნისას შეეცადა მთელი ძალაუფლებისათვის ერთ ხელში მოეყარა თავი, მაგრამ „დაავიწყდა" გერინგის არსებობა, რომელიც ფლობდა პრუსიი მეთაურის პოსტს. მან ისე დაიქნია ლეი, რომ ჰიტლერმა ძლივს იხსნა, რომ დედამიწაზე დარჩენილიყო. მაშინ მან პუბლიცისტიკას მიჰყო ხელი და გამოაქვეყნა, ალბათ, ბოისკაუტთათვის განკუთვნილი წიგნი - „ჩვენ ყველანი ვეხმარებით ჰიტლერს". თუმცა არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ ლეი ნაცისტურ იერარქიაში იმ გამონაკლისთა რიცხვს ეკუთვნოდა, რომელსაც საუნივერსიტეტო კურსი მოსმენილი ჰქონდა იენის, ბონისა და მიუნსტერის უმაღლეს საგანმანათლებლო სკოლებში.

რ. ლეის პოლიტიკური აქტივობა შუა 30-იან წლებში კიდევ ერთი სფეროთი გამოიხატა - ნაციონალ-სოციალისტურ მოძრაობაში. ჰიტლერის დავალებით ის სათავეში ჩაუდგა პროფკავშირების წინააღმდეგ ბრძოლას და იგი მის საბოლოო ლიკვიდაციამდე მიიყვანა 1934 წლის ოქტომბერში, როდესაც ფიურერს გამოაცემინა კანონი — გერმანიის მუშათა ფრონტის (ე.წ. დაფ-ის) დაარსების შესახებ ამ კანონის საფუძვლად მან გამოაცხადა კლასობრივი ბრძოლის ლიკვიდაცია გერმანიაში. პროფკავშირების ნაცვლად ლეიმ შექმნა ორგანიზაცია — **„ძალა სიხარულის მეშვეობით"**, რომელსაც დაევალა მუშათა შრომისა და დასვენების მოწესრიგება: შვებულებები, დასვენებები, მკურნალობა და ა.შ. ამავე ჭრილში განიხილებოდა მუშათა კლასის სოციალური პრობლემების მოგვარებაც, მათ შორის „ფოლსვაგენის" საავტომობილო ქარხნის შექმნა, რომელსაც მუშებისთვის ხელმისაწვდომი მანქანები უნდა გამოეშვა გერმანიაში (ყოველ მუშას კვირაში 5 მარკის გადახდით საავტომობილო ფონდში ეძლეოდა მანქანის შეძენის შანსი). ეს ყველაფერი რ. ლეის დიდი გამარჯვება იყო.

ის პროფესიით იურისტი იყო და, ამიტომ, 1933 წელს, როგორც ეს პარტიულ-დიქტატორულ ქვეყნისათვის იყო დამახასიათებელი (მათ შორის საბჭოთა კავშირშირც), რ. ლეი სამართლის აკადემიის წევრიც გახდა.

მისი ეს „მიღწევები" მაინც იჩრდილებოდა მოქალაქეობრივი სახის დაგრადაციის შემთხვევებით, რომელშიც მთავრი ბრალი ალკოჰოლს მიუძღოდა. ბოლო ხანებში მან კატასტროფულად უმატა სმას, რამაც წარმოშვა კონფლიქტი მარტინ ბორმანთან, გნსმპ-ის ფაქტობრივ

ხელმძღვანელთან — რუდოლფ ჰესის ინგლისში გაფრენის შემდეგ.

ომის დამთავრებისას ლეი მოკავშირეებმა დააპატიმრეს და წაუყენეს ბრალდება სხვა მთავარი სამხედრო დამნაშავეების მსგავსად. იგი შეძრწუნებული იყო. „მე რა დაცვისათვის უნდა მოვემზადოო, - უკითხავს, - განა მე შემიძლია თავის დაცვა ყველა იმ დანაშაულისათვის, რომელთა შესახებ არაფერი ვიცოდი? ბარემ მიგვაყენეთ კედელთან და დაგვხვრიტეთ, თქვენ ხომ გამარჯვებულები ხართო".

ლეი, როგორც ძალზე ექსცეტრიული კაცი, აღარ დაელოდა მის მიმართ გამოსატანი განაჩენის წარდგინებას და თვითონვე ჩამოიხრჩო თავი მისსავე საკნის საპირფარეშოში წყლის ჩამოსარეცხ მოწყობილობაზე. ისე, კაცმა, რომ თქვას, რაღაც სინდისის ნატამალი შერჩენია: სიკვდილის წინ დაწერილ ბარათში აღუნიშნავს, რომ სირცხვილის გრძნობა ველარ აიტანა!..

„ალტკამფპერთა" შორის კიდევ იყვნენ სხვა, შედარებით „მეორეხარისხოვანი" აღმსრულებლები — კემპკა, შაუბი, გრაფი, მორისი (პარტიის ერთ-ერთი დამაარსებელი) და სხვანი, სულ 15-20 კაცი, მაგრამ მათ ხელმძღვანელი თანამდებობები არც რგებიათ, არც პარტიასა და არც სახელმწიფო ადმინისტრაციაში. ესაა დიდი ხელფასები ჰქონდათ და გარკვეული პრივილეგიებით სარგებლობდნენ, როგორც ძველი დამსახურების ხალხი, რომლებსაც „ლუდხანის პუტჩის" დროს დაღუპულ ნაცისტ „გმირებს" უტოლებდნენ.

ახლა გვსურს გადავიდეთ ჰიტლერის პირადი პარტიულ-სახელმწიფოებრივი ანტურაჟის მთავარი პერსონაჟის წარმოდგენაზე, რომელთა შორის **ჰერმან გერინგს** უდავოდ მიეკუთვნება პირველი ადგილი, თუმცა რუდოლფ ჰესი მიიჩნევდა, რომ ისიც იმავე რანგს მიეკუთვნებოდა, ისევე როგორც ხუმრობით არის სამხედრო გათვლა საქართველოშიო: „პირველი (მ...), პირველი, პირველი". ჰესი პირველობის თავის მოსაზრებას ასაბუთებდა გერინგთან ერთად, მაგრამ განსხვავებულ სფეროთა ხელმძღვანელობის პრინციპით. მას თავისი დიაგონალი ჰქონდა, მე კი ჩემი და მათ არასოდეს უხდებოდათო გადაკვეთა. ისინი თითქოსდა პარალელურ და ურთიერთშეუხებელ ორბიტაზე მოძრაობდნენ.

ჰერმან გერინგი საკმაოდ კოლორიტულ და ერთგვარად ოდიოზურ ფიგურას წარმოადგენდა. ჯერ კიდევ პირველი მსოფლიო ომის დროს მიიქცია მან ყურადღება, როგორც მამაცმა და გაბედულმა მფრინავმა, რომელიც მეთაური იყო არამარტო გერმანიაში, არამედ მსოფლიოში სახელგანთქმული ავიოესკადრელისა - „რიხტჰოფენის" სახელწოდებით. ალბათ, ამით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ მისი პორტრეტები ისევე იყიდებოდა, როგორც პოპულარული კინომსახიობებისა.

ჰერმან გერინგი ოდნავ უმცროსი იყო ჰიტლერზე. იგი 1893 წელს დაიბადა გერმანიის სამხრეთ-დასავლეთ აფრიკის (დღევანდელი ნამიბია) გენერალ-გუბერნატორის ოჯახში, რომელიც ბისმარკის ახლო მეგობარი და თანამოაზრე გახლდათ. მას დამთავრებული ჰქონდა ბონისა და ჰაიდელბერგის უნივერსიტეტთა კურსი. პირველი ცოლის ხელში ხუთი შვილი ჰყავდა, როდესაც იგი გარდაიცვალა, მეორე მეუღლედ მან ტიროლელი გერმანელი ქალბატონი შეირთო, რომელთანაც ერთად კუნძულ ჰაიტზე გამგზავრა, სადაც ასევე გუბერნატორად იქნა განწესებული. როდესაც ეს მეორე ცოლი ორსულად შეიქნა, მან იგი მოსამშობიარებლად ბავარიაში გაგზავნა, სადაც, როზენჰაიმში გაჩნდა კიდეც პატარა გერინგი.

როდესაც გერინგი წამოიზარდა, იქვე მიაბარეს სკოლაში. უჩვეულოდ ნიჭიერი ბავშვი, ასეთივე დონის უდისციპლინო გახლდათ. თითქმის ყველა აყალ-მაყალი სკოლაში, იტალიაში მუსოლინისა არ იყოს, მისგან მოდიოდა. როდესაც შვილში ასეთი მიდრეკილება დაინახა, მამამ გადაწყვიტა მისი კადეტთა სკოლაში გადაყვანა ქ. კარლსრუეში, საიდანაც, ოდნავ მოგვიანებით ბერლინის უმცროს ოფიცერთა სკოლაში განაწესა.

ამასობაში, სხვადასხვა სამხედრო სასწავლებელთა მკაცრმა დისციპლინამ თავისი გავლენა იქონია. გერინგი დაღვინდა, რაც დიდ ნიჭთან შეხამებული, ერთ-ერთ პირველ კურსანტად აქცევს. ამიტომ, იგი კმაყოფილებით მიიღეს პრინც ვილჰელმის პოლკში, მაგრამ მალე დაწყებულმა მსოფლიო ომმა მისი სიმპათიები გადახარა ავიაციისაკენ, რომელიც მაშინ ის-ის იყო იდგამდა ფეხს. 21 წლის ჰერმანი თავდაპირველად მზვერავ მფრინავად იხდიდა ვალს ქვეყნის წინაშე, მაგრამ მალე ავიაგამანადგურებელ ავიაციაში მოხვდა და პირველი ინგლისური თვითმფრინავიც კი ჩამოაგდო - „ჰანდლი პაიჯის" კლასისა, თუმც სულ მალე მას შემდეგ, თვითონაც მსხვერპლი შეიქნა ერთი ავიობრძოლისა და ჩამოაგდეს მტრის ტერიტორიაზე — დაჭრილი ბეჭსა და ფეხში.

განკურნებისთანავე ის გაიპარა ჰოსპიტლიდან და თავის საჰაერო ნაწილში დაბრუნებულმა ომის დამთავრებამდე მტრის კიდევ 20 თვითმფრინავი ჩამოაგდო, რაც იმხანად უდიდეს გმირობად ითვლებოდა. ამ წარმატებისათვის მას ჯერ იყო და უმაღლესი სამხედრო ჯილდო - „დამსახურების" ორდენი უბოძეს, მერე კი დანიშნეს გერმანიის №1-ლი ესკადრილიის მეთაურად, რომელიც ის-ის იყო 1918 წლის აპრილში გადაკეთდა „რიხტოფენის ესკადრილიად" მისი პირველი მეთაურის დაღუპვასთან დაკავშირებით. ასე რომ ჰერმან გერინგმა სათავე დაუდო გერმანელ მფრინავთა სასწაულებრივ გმირობის იმ

სახელოვან ტრადიციას, რომლებმაც მეორე მსოფლიო ომში მტრის 300 თვითმფრინავზე მეტი ჩამოაგდო (სახელდობრ: ერიხ ჰარტმანმა — 352, ერიხ ჩერჰარდ ბარკჰორნმა — 301 და კიდევ ათზე მეტმა — 200-200 თვითმფრინავზე მეტი), ხოლო ჰანს ურლიხ რუდელმა — 532 ტანკი მოსპო და ჩაძირა საბჭოთა უდიდესი კრეისერი - „მარატი".

როდესაც პირველი მსოფლიო ომი დამთავრდა, ვერსალის საზავო ხელშეკრულებით გერმანიას უნდა გადაეცა მთელი სამხედრო ავიაცია მოკავშირეებისათვის. ეს პირობა გერინგამ არ აღასრულა. თავისი ავიოესკადრილიის დაშლის წინ, რასაც წინ უძღოდა თვითმფრინავთა გადამალვა ტყიან მასივებში, ეკიპაჟთა გამოსამშვიდობებლ შეკრებაზე მან უაღრესად გულამაჩეყებელი გამოსვლა დაამთავრა უკიდურესად საყურადღებო და წინასწარმეტყველური სიტყვებით: „ჩვენ კიდევ დავბრუნდებით!"

მკითხველი დაგვეთანხმება, რომ ძნელი შესარიგებელი უნდა იყოს მორალურად დიდების ცადაჭრილი სივრციდან უსაქმურობის მიწიერ სიბრტყეზე დაშვება. დიდი ომის მონაწილე გმირი, რომლის მკერდს ამშვენებდა იმდროინდელი გერმანიის თითქმის ყველა უმაღლესი ორდენი („დამსახურებისათვის" უკვე აღნიშნა, ჰოჰენცოლერთა III ხარისხის, კარლ ფრიდრიხის, I ხარისხის რკინის ჯვრისა, ხმლებთან ერთად), ვერსალის ზავის დიდებისა და ვაიმარის რესპუბლიკის დაარსების შემდეგ, ფაქტობრივად უსაქმოდ იყო დარჩენილი. არსებობაც ხომ სჭირდებოდა? ამ მიზნით მან დაიწყო სხვადასხვა საჰაერო ატრაქციონში მონაწილეობა, რამაც იგი დანიასა და შვეციაში ჩაიყვანა. სტოკჰოლმში მან გაიცნო მდიდარი, მაგრამ გათხოვილი ქალი, რომელსაც ქვეყანა დაატოვებინა, გერმანიაში ჩაიყვანა და მასზე იქორწინა. მაგრამ ამ გადაწყვეტილებამ მას სულიერი სიმშვიდე ვერ შესძინა. ამიტომ მიუნხენის უნივერსიტეტში შევიდა და ისტორიის შესწავლა დაიწყო.

დაახლოებით ამ პერიოდში — 1922 წლის შემოდგომაზე მან შემთხვევით მოისმინა ჰიტლერის ერთ-ერთი გამოსვლა და ნაციზმითა და მისი ხელმძღვანელით დაავადდა. თავის მხრივ ჰიტლერს ჰაერივით ესაჭიროებოდა ომის ესოდენ სახელგანთქმული გმირები და მალე შესთავაზა მოიერიშე რაზმების (სა-ს) ხელმძღვანელობა. ამგვარ ურთიერთ დაინტერესებას გერინგის თანხმობა მოჰყვა და 1923 წლის იანვარში ის შეიქნა ე.წ. „მოიერიშეთა" მეთაური, რასაც მისი დაპირისპირება მოჰყვა მაიორ ერნსტ რემთან. თურმე თვალი ამ თანამდებობაზე მასაც ეჭირა.

იმავე წლის ნოემბერში (8-9 რიცხვებში) გაიმართა „ლუდხანის პუტჩი" და გერინგი ლამის დაიღუპა. მან ორი მძიმე ჭრილობა მიიღო მუცლის არეში და ერთგულმა ახლობლებმა ძლივს შეაფარეს ებრაელის — მაქს ბალენის - ოჯახს, საიდანაც ორიოდე კვირის შემდეგ იგი ინსბრუკში

(ავსტრია) გადაიყვანეს. მის მიმართ გაწეული დახმარება ბალენთა ოჯახს მოგვიანებით წამოწყებული ანტისემიტური რეპრესიების პერიოდში მადლიერებით დაუბრუნდება. გერინგი მათ ხელშეუხებლობის გარანტიით აღჭურავს, რაც საერთოდ ძალზე დამახასიათებელ თვისებად იქცევა გერინგის მხრივ სხვა შემთხვევებშიც. როგორც ზემოთაც ითქვა, იმის მიუხედავად, რომ ის გერმანიის ერთი ლიდერთაგანი და, ასე ვთქვათ, ნაცი №2 იყო, ჰიტლერის ბიოლოგიური სიძულვილს ებრაელთა მიმართ, არც თუ სავსებით იზიარებდა. ჩვენთვის ცნობილია მისი ახლობელი ებრაელების გადარჩენის სხვა შემთხვევებიც, რაც მას ადამიანობის ერთგვარ იერს სძენდა. ასე მაგალითად, 1943 წელს მას აცნობეს, რომ მისი პირველი ომის დროინდელი ფრონტელი მეგობარი — გვარად ლუთერი, მაგრამ ებრაელი, ჰამბურგის გესტაპომ დააპატიმრა. ის თვითონ ჩაფრინდა ჰამბურგში და პირადად ისხნა თანაფრონტელი.

შეგვიძლია დავასახელოთ სხვა შემთხვევებიც. მან დახმარების ხელი გაუწოდა ვიღაც სტომატოლოგ ებრაელს, რომელიც მის მეუღლეს მკურნალობდა. ერთხელ მასთან გამოცხადებულან გესტაპოელები და უცდიათ მისი დაყოლიება, რათა ებრაული წარმოშობის მისი შტაბის უფროსი დაეპატიმრებინათ. გერინგი სავარძლიდან წამომხტარა და სულ პანღურის კვრით გაუყრია ისინი თავის კაბინეტიდან შეძახილით: „თქვენ როგორ მიბედავთ ჩემი მარჯვენა ხელის მოკვეთას, როდესაც მე — ჰერმან გერინგი აქ ვიმყოფები და თვითონ ვწყვეტ, ვინ არის ებრაელი და ვინ არაო!" კუდამოძუებული გესტაპოელები თავქუდმოგლეჯილი გარბოდნენ და თურმე უკან იხედებოდნენ, უკან ხომ არ მოგვსდევსო ფეხდაფეხ.

„ლუდხანის პუტჩის" დღეებში მიღებული სერიოზულ ჭრილობებს გერინგი საზღვარგარეთ ოთხი წელიწადი მკურნალობდა, რასაც მნიშვნელოვანი თანხები დასჭირდა. მას მძიმე ოპერაციების გადატანა მოუხდა, რამაც ის დააახლოვა ნარკოტიკებს, რომელთა გავლენით იგი ფსიქიატრიულ მკურნალობის ქვეშ მოექცა და რამდენჯერმე შესატყვის საავადმყოფოშიც კი იწვა, მაგრამ ძლიერმა ფიზიკურმა აღნაგობამ თავი დააღწევინა გაჭირვებისაგან, თუმც სიმსუქნისკენ ჰქნა პირი და ხასიათიც შეეცვალა.

1927 წელს მას შეეხო გერმანიაში გამოსული ამნისტია და იგი მიუნხენში დაბრუნდა. თუ მკითხველი გაიხსენებს, ეს ის პეროიდია, როდესაც ჰიტლერი „კვლავ დააარსებს" (ეს მისი ტერმინი გახლდათ) ნაციონალურ-სოციალისტურ პარტიას და მომდევნო 1928 წელს მონაწილეობას მიაღებინებს მას რაიხსტაგის არჩევნებში. იმჯერად არჩეულ დეპუტატთა შორის იყო გერინგიც, რომელიც ასევე წარმატებით აირჩიეს საკანონმდებლო ორგანოში 1930 წელსაც. აქ მას

წილად ხვდა ფრაქციის ხელმძღვანელობა და საერთოდ დაიწყო მისი სვლა ოლიმპისაკენ. მალე იგი რაიხსტაგის თავმჯდომარეც შეიქნება. ამას დაემატება პრუსიის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეობაც, დაინიშნება ოთხწლიანი გეგმის ხელმძღვანელად, თავდაცვის საიმპერიო საბჭოს თავმჯდომარედ და მიეცემა ავიაციის მარშლის, ან უფრო ზუსტად რაიხსმარშლის წოდება, რომელიც იმჯერად ერთადერთი იყო იმპერიაში.

ეს ყველაფერი 1940 წლამდე მოხდა, მაგრამ ამავე წელს მისი თავდაღმართიც დაიწყო. ივლის-აგვისტოში მისმა საამაყო ლუფთვაფემ მარცხი განიცადა საჰაერო დუელში ინგლისის ავიაციასთან და ჰიტლერისათვის მიცემული მისი საქვეყნო დაპირება ბრიტანეთის კუნძულებზე დესანტის გადასხმაზე ფიქრი არ დაგჭირდებაო, ჩემო ფიურერ, ისე დავაჩოქებთ მას ჰაერიდან ბომბარდირებით — არ გამართლდა და ჰიტლერს მოუხდა სასწრაფოდ „გადართვა" „ბარბაროსის გეგმაზე" ანუ საბჭოთა კავშირზე თავდასასხმელ ოპერაციაზე, რომელიც ტრაგიკული შეიქნა მათთვის.

ამიტომ დაიწყო ჰიტლერმა გულის აყრა გერინგზე, რაც ყველაზე ადრე იმაში გამოიხატა, რომ, როდესაც 1942 წლის 8 თებერვალს რასტენბურგთან საავიაციო კატასტროფაში დაიღუპა შეიარაღების მინისტრი ფრიც ტოდტი, ჰიტლერმა მის ნაცვლად სასწრაფოდ დანიშნა მასთან სტუმრად მყოფი ალბერტ შპეერი, თუმცა იცოდა, რომ მისკენ თავისი პირადი მატარებლით მოექანებოდა ჰერმან გერინგი (ისიც აღმოსავლეთ პრუსიაში აღმოჩნდა იმ დღეს — თავის შტაბ-ბინაში, რომელის სულ რაღაც 100 კმ-ში იყო „ვოლფშანცედან"), რათა ჰიტლერისათვის ეთხოვა იქ დაენიშნა. და როდესაც გერინგმა მას თავისი მოსაზრება გააცნო — ამ თანამდებობაზე მე უნდა დავინიშნოო, ჰიტლერმა არცთუ ირონიის გარეშე მოახსენა: თქვენს წინაშე დგასო ამ დარგის ახალი მინისტრი, და მიუთითა შპეერზე!... ესეც თქვენ ჰერმან! არ გამოვიდა.

ერთი საინტერესო დეტალი: რამდენიმე ხნით ადრე, კერძოდ, ჯერ კიდევ 1931 წელს, მას გარდაეცვალა მისი დიდი სიყვარული — კარინ ფონ კანცოვი — შვედი ქალბატონი, რომელიც ტუბერკულიოზით იყო დაავადებული. (მისანიშნებელი ფაქტია — ჰიტლერის ერთადერთმა საყვარელმა ქალმა — გელი რაუბალმაც — თავი იმ საბედისწერო წელს მოიკლა. ორთავე ნაცისტი ლიდერი ერთსადა იმავე წელს „დაქვრივდა"). გარკვეული ხნით გლოვის შემდეგ, გერინგმა მეორე ცოლი შეირთო, რომელმაც შთამომავლობას დაუტოვა საკმაოდ საინტერესო მოგონებები თავის მეუღლეზე - „ჩემი ცხოვრება გერინგთან ერთად".[1] მისი სახელი

[1] Goering Emmy. My Life With Goering. L., 1972

და გვარია — ემა ზონემანი — ემა გერინგად „მონათლული“ გათხოვების შემგედ. მან 1973 წლამდე იცხოვრა თავის ქალიშვილ ედასთან ერთად და 80 წლის ასაკში გარდაიცვალა, მაგრამ ვერ აისრულა თავისი ცხოვრების ოცნება — დაკრძალულიყო თავის ქმართან ერთად, რადგან მისი საფლავი ყველასათვის უცნობია.

ომის ბოლო დღეებში, როდესაც გერინგი შეეცადა ხელისუფლების თავის ხელში აღებას იმ მოსაზრებით, რომ თითქოსდა ჰიტლერმა თავად გამოიკეტა თავი ბერლინის ბუნკერში და ველარ სწვდებოდა ქვეყანას საბჭოთა ჯარების ალყაში მოქცევის გამო და სურდა დაყრდნობოდა იმ ანდერძს, რომელიც 1939 წლის აგვისტოში დაიწერა და იგი ფიურერის მემკვიდრედ იყო გამოცხადებული, ჰიტლერმა იგი ყველა თანამდებობებიდან გაათავისუფლა და მისი დაპატიმრება და დახვრეტა ბრძანა — მის ზურგს უკან მოკავშირეებთან საერთო ენის გამონახვის მცდელობის გამო. მაგრამ ისე მოხდა, რომ ფიურერმა თავი უფრო ადრე მოიკლა, ხოლო გერინგი ამერიკელებს ჩაუვარდათ ხელთ. როდესაც გერინგს გაუგია ჰიტლერის თვითმკვლელობა, დაპატიმრების წინ ასე უთქვამს ცოლისათვის: „ის მკვდარია, ემა! ახლა უკვე მე ველარასდროს შევძლებ მის დარწმუნებას, რომ მე ბოლომდე მისი ერთგული ვიყავი“.

დაახლოებით იმავე დღეებში მან თავის ცოლს უთხრა, „შურს იმ დროის, როდესაც მთელი გერმანია მისი ძეგლებით დაიფარება, ხოლო ყოველ ოჯახში მისი პატარა ბიუსტი დაიდგმება“.

როდესაც ნიურნბერგის საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალმა მას სიკვდილით დასჯა მიუსაჯა ჩამოხრჩობით, გერინგმა თავი მოიწამლა. თავისი ფიურერივით სხვას არც მან აასრულებინა სურვილი. იგი მაშინ 52 წლის იყო მხოლოდ.

ფაშისტურ იერარქიაში რანგით შემდეგი უდავოდ **რუდოლფ ჰესია**. ეს ნომინაცია ჰიტლერის ომის წინა ხანის ანდერძითაც დასტურდება. მასთან დაკავშირებით მკითხველს შევახსენებთ ჩვენივე მონოგრაფიას - „ინგლისში ჰესის გაფრენის საიდუმლო“, რომელიც ორი წიგნისაგან შედგება და დაახლოებით 1.600 გვერდს მოიცავს.

შემდეგი ადგილი ნაცისტურ გერმანიის ხელისუფლებაში სრულიად „დამსახურებულად“ ეკუთვნის **იოზეფ პაულ გებელსს** (1897-1945), ჯოჯოხეთის მოციქულსა და რაიხის პირველ პროპაგანდისტს. გნსმპ-იის რიგებში შედარებით გვიან მოხვედრილს, გერმანიის მრავალი უნივერსიტეტის კურსმოსმენილ-ფილოსოფოსს, გერმანისტს, ისტორიკოსს და ლიტერატორს, ახალგაზრდობაშივე ხვდა წარმატება. მან 1921 წელს სადოქტორო დისერტაცია დაიცვა ებრაელი პროფესორის — ერიხ გუნდოლფის - მეცნიერ-ხელმძღვანელობით და მაღალი საზოგადოებისაკენ გზა სწრაფად გაიკვლია.

ომის ქარცეცხლში მას არ გაუვლია ფიზიკური ნაკლის გამო — ბავშვობიდანვე კოჭლი იყო, რის გამოც მას ზედმეტსახელად შეარქვეს - „პატარა წრუწუნა დოქტორი". ამასთან დაკავშირებით თავის ზურგსუკან მას ყოველთვის ესმოდა დამცინავი ქირქილი. ამან მასში წარმოშვა უკომპრომისო სიძულვილი ტანმრთელი არიელი ახალგაზრდების მიმართ. მეცნიერულ ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებულია სენტენცია, რომ ნაციონალურ-სოციალისტურ მოძრაობაში მან ჰიტლერის შემდეგ მომდევნო ადგილი დაისაკუთრაო. ჩვენი პირადი შეხედულებით კი, ვფიქრობთ, რომ ეს ჯერ კიდევ გადაუწყვეტელი უნდა ჩანდეს, თუ ვის ეკუთვნის ეს პირველი ადგილი. ვინც ახლოს იცნობს გებელსის ლიტერატურულ მემკვიდრეობას, ის იოლად გაიგებს ჩვენი დაეჭვების მიზეზს. ეს ჯოჯოხეთური ნიჭის კოჭლი პროპაგანდისტი და ჰიტლერზე არანაკლები ბრწყინვალე ორატორი, ჯერ კიდევ ბოლომდე არ არის შეფასებული. იგი „პირველ-პირველი" ადგილის პრეტენდენტია და არა „პირველ-მეორესი". გთხოვთ დააკვირდეთ: მან ჰიტლერთან ერთად მოიკლა თავი ბერლინის ბუნკერში, ამასთან იმავე გზას გაუყენა მეუღლე და, რაც მთავარია, ხუთი შვილი!!. მე-6 გადარჩა ჯარში ყოფნის გამო.

ასე რომ, ჩვენი შეფასებით, თუ ნაციონალურ-სოციალისტური მოძრაობის სული და გული ჰიტლერი იყო, მისი თავი და ტვინი გებელსი გახლდათ. ეს პატარა „ჩოლახა" კაცუნა (ანუ კოჭლი) ნაციზმის ვეებერთელა სვეტი იყო.

იოზეფ გებელსი გნსმპ-ში 1922 წელს შევიდა და იმთავითვე მის მემარცხენე-სოციალისტურ ფრთას მიემხრო. იმ დროის გერმანიაში არსებული პრაქტიკის ვითარებისას, როდესაც პოლიტიკის საკითხებზე გაუთავებელი დისკუსიები მიმდინარეობდა, ერთ-ერთი გამოსვლის დროს ბერლინში იგი შეამჩნია გრ. შტრასერმა და იქვე შესთავაზა თავის ბანაკში გადმოსვლა, თუნდაც ორმაგი ანაზღაურების საფასურად და მალე თავის მდივნად დანიშნა. შტრასერმა მას ანდო გაზეთის - **„ნს-ბრიფის"** სხვაგვარად („ნაციონალურ-სოციალიზმი — მოკლედ") რედაქტორობაც და ამით ფართო პოლიტიკურ შარაგზაზე გაიყვანა. იმ პერიოდში პარტიაში წამოწყებული შეხლა-შემოხლის პროცესში გებელსმა თავდაპირველად შტრასერების მხარე დაიკავა და თავის ერთ გამოსვლაში ისიც კი თქვა, რომ „ბურჟუა ადოლფ ჰიტლერი უნდა გაირიცხოს ნაციონალურ-სოციალისტურ პარტიიდანო!"

მაგრამ, არც თუ დიდი ხნის შემდეგ პოზიცია შეცვალა, იგრძნო, რომ ნიავი ჰიტლერისაკენ ჰქროდა და მის ბანაკში გადაბარგდა. ჰიტლერმა ძმების — შტრასერების ამ ღალატის საფასურად, მას ბერლინის გაულაიტერობა უბოძა. უფრო ღირებულად უნდა მივიჩნიოთ ის, რომ ძალზე დაიახლოვა და თავის შინაურ წრეში უკრა თავი. გებელსის

კარიერის აღმავლობასა და აღორძინებაში გადამწყვეტი როლი მაინც 1928-1932 წწ. საპარლამენტო არჩევნებში მისმა ენერგიულმა და, ვიტყოდით — პირდაპირ თავგამოდებილმა მონაწილეობამ ითამაშა. რუდოლფ ჰესთან ერთად ისინი შეადგენდნენ ნაციონალ-სოციალისტთა უძლეველ გუნდს, რომელიც სრული თავგანწირვით, სიცოცხლის საფასურადაც კი (მხედველობაში გვაქვს თვითმფრინავების გამოყენება საარჩევნო კამპანიათა პროცესში, როდესაც საჭიროებისას ისინი ამ საჰაერო ხომალდებს იყენებდნენ მოპირისპირე პარტიათა შეკრებებისა და მიტინგების დასაშლელად და უკან მოუხედავად გასაქცევად) მონაწილეობდნენ ამ პროცესში. ამიტომ იყო, რომ ხელისუფლებაში მოსვლისთანავე ჰიტლერმა იგი პროპაგანდისა და განათლების მინისტრად დანიშნა და ამით იგი ქვეყნის ნაცისტურ ხელმძღვანელობაში შეიყვანა.

იქნებ მკთხველს გაუჩნდეს ეჭვი - „ნამეტანი" ხომ არ მოუვიდაო ფიურერს. გებელსი პირამიდის მწვერვალზე თავის ასვლას წლების განმავლობაში ამზადებდა, თანაც უდიდესი მონდომებით და რუდუნებით. იგი ჰიტლერს აღიქვამდა „ლამის როგოც ღმერთს, ან ყოველ შემთხვევაში — წმ. იოანეს", ნათქვამია „მესამე რაიხის ენციკლოპედიაში". თავის ნაწერებსა და გამოსვლებში იგი მას ყოველ მეორე წინადადებაში აღმერთებდა. ლანსბერგის ციხეში ჩამწყვდეულ ჰიტლერს ის ასეთ დითირამბებს უმღეროდა: „ჯერ კიდევ მიუნხენის სასამართლომდე თქვენ ჩვენს წინაშე წარმოდექით ვითარცა ღმერთი. ის, რასაც თქვენ იქ წარმოთქვამდით — უდიდესი წარმოსახვა იყოო, რომელიც აღარ აჟღერებულა ბისმარკის შემდეგ. ღმერთმა გიბოძათ თქვენ სიტყვები, რათა გერმანიის სენი თუ ტკივილები დაგესახელებინათ. თქვენ ყველაზე უნმიშვნელოვანიდან დაიწყეთ, ვითარცა ჭეშმარიტმა ბელადმა დიდთაგან. და ისე, როგორც ყოველი ბელადი, თქვენ სულ უფრო და უფრო დიდებულ სახეს იღებდით, თქვენსავე მიერ წამოყენებული ამოცანების პროპორციულად".

იოზეფ პაულ გებელსი ის კაცი გახლდათ, რომელმაც ნაციონალ-სოციალისტური მოძრაობის ათი ცნება ჩამოაყალიბა, რომელიც საფუძვლად დაედო ნაცოსტურ იდეოლოგიას. აი, მათი შინაარსი:

1. შენი სამშობლოა — გერმანია. გიყვარდეს ყველაზე ძლიერ და უფრო მეტად საქმით, ვიდრე სიტყვით!

2. გერმანიის მტრები — შენი მტრებია. შეიძულე ისინი მთელი გულით!

3. ყოველი თანამემამულე, თუნდაც ყველაზე ღარიბი — ეს გერმანიის ნაწილია. გიყვარდეს იგი როგორც საკუთარი თავი!

4. მოითხოვე შენთვის მხოლო ვალდებულებები. მაშინ გერმანია

შეიძენს სამართლიანობას!

5. იამაყე გერმანიით! შენ სამშობლოთი უნდა ამაყობდე, რომლისთვისაც მილიონებმა გაიღეს საკუთარი სიცოცხლე!

6. ის ვინც გერმანიას შეურაცყოფს პირადად შენ და შენს წინაპრებს შეურაცყოფს. მიმართე შენი მუშტი მის წინააღმდეგ!

7. ურტყი არამზადას ყოველთვის! გახსოვდეს, თუ ვინმე გართმევს შენს უფლებებს, შენ გაქვს მისი მოსპობის უფლება!"

8. ნუ მოატყუებინებ თავს ებრაელებს. იყავი ფხიზლად „ბერლინერ ცაიტუნგთან" ერთად!

9. აღასრულე, რაც სირცხვილის გარეშე უნდა შესრულდეს, როდესაც საქმე ეხება ახალ გერმანიას!

10. გწამდეს მომავლის. მაშინ შენ გახდები გამარჯვებული.[1]

და ბოლოს მკითხველის ყურადღება გვინდა შევაჩეროთ ერთ ფაქტზე. როგორც ცნობილია, 1944 წლის 20 ივლისს იყო ჰიტლერზე ოფიცერთა თავდასხმის ფაქტი. როდესაც ბომბი აფეთქდა და ჰაერში აიტყორცნა ბევრი საგანი, პოლკოვნიკმა შტაუფენბერგმა, რომელმაც თავისი თვალით დაინახა ყველაფერი, მან ბერლინში დარეკა აეროდრომისაკენ მიმავალმა, გადასცა იქ, რომ ჰიტლერი მკვდარიაო და ითხოვა ოპერაცია „ვალკირიის" დაწყება, რომელიც გულისხმობდა რეჟიმის დამხობას.

ამის თაობაზე უკვე ვისაუბრეთ, მაგრამ ამჯერად უფრო გამონვლილვით ვუამბობთ მკითხველს.

შეთქმულთა გეგმის თანახმად, ბერლინის ცენტრისაკენ უნდა დაძრულიყო და დაიძრა კიდეც სატანკო ნაწილები. იმ დროისათვის „ვოლფშანცედან" დარეკეს და ბერლინის გაულაიტერს — იოზეფ გებელსს აცნობეს, რომ ჰიტლერი ცოცხალია. ეს გახლადათ ოპერაციის ჩავარდნის ერთ-ერთი მიზეზთაგანი. საქმე იმაში გახლდათ, რომ გეგმის თანახმად, აფეთქების შემთხვევაში, სატელეფონო და რადიო კავშირები ბერლინთან უნდა მოსპობილიყო, რაზეც პასუხისმგებლობა გენერალ ფეგელეინს ჰქონდა დაკისრებული. სამწუხაროდ მან ეს ვალდებულება არ ან ვერ აღასრულა, რამაც ჰიტლერის შტაბ-ბინას - „ვოლფშანცეს" სახით ბერლინთან დაკავშირების საშუალება მისცა.

მაშინ, გებელსი, სასწრაფოდ დაუკავშირად დედაქალაქის ცენტრისაკენ მომართულ სატანკო შენაერთის მეთაურს — მაიორ რემერს, იქვე მიანიჭა მას პოლკოვნიკის ჩინი და რადიო-ტელეფონით დააკავშირა ჰიტლერთან „ვოლფშანცეში". ხსენებული ოფიცერი რამდენიმე ხნით ადრე ჰიტლერს დაჯილდოებული ჰყავდა ორდენით, რომლის გადაცემისას რატომღაც მას გამოელაპარაკა კიდეც. ეს ხმა ოფიცერს ყურში დედის „იავნანასავით" ჩარჩენოდა, ახლა როდესაც

[1] ЭТР, 133.

ამ საეჭვო ვითარებაში თავისი ფიურერის ხმა გაიგონა, უმალ ირწმუნა გებელსის ნათქვამი, რომ ჰიტლერი ცოცოხალია. ამაში დარწმუნებულმა კი შემოაბრუნა ტანკები და სამთავრობო დაწესებულებათა ნაცვლად შეთქმულთა ადგილსამყოფებელები დაცხრილა.

შეთქმულთა მხარეებზე მყოფმა გენერალმა ფრიდრიხ ფრომმა, როდესაც დაინახა საქმე წაგებულიაო, თავის გადარჩენისა და კვალის დაფარვის მიზნით იქვე, თავისი რეზიდენციის ეზოში (ეს გახლდათ რეზერვის არმიის შტაბი) კედელზე მიაყენა შეთქმული ოფიცრები, რომელთა შორის აღმოჩნდა იმ წუთებში ჩასული პოლკოვნიკი შტაუფენბერგიც. აი, ასე, კიდევ ერთხელ ბედისწერის მფარველი ხელით ჰიტლერი გადარჩა სიკვდილს, ხოლო რეჟიმი ლიკვიდაციას.

დასასრულს ისიც გვინდა აღვნიშნოთ, რომ ჰიტლერს ბერლინში საბოლოოდ დარჩენის საქმეში გადამწყვეტი როლი ითამაშა გებელსის შტაგონებამ იმის თაობზე, რათა ფიურერი „იქ შეხვედროდა თავის დამაბრმავებელ მისტიკურ ღმერთთა მწუხრს, რომელსაც ეწოდებოდა Gotterdammerung-ი. მხოლოდ ამ გზითო, - არწმუნებდა ჰიტლერს გებელსი, - შეიძლებაო ლეგენდის შენარჩუნება დიდი ჰიტლერის შესახებ",[1] რომელსაც თითქოსდა კიდევ ჰქონდა გერმანიის გადარჩენის შესაძლებლობა, რამეთუ ომის დამამთავრებელ ეტაპზე იგი ვარაუდობდა განხეთქილებას მოკავშირეთა ბანაკში. და როდესაც მოულოდნელად მოვიდა ცნობა რუზველტის გარდაცვალების თაობაზე 1945 წლის 12 აპრილს, გებელსმა პირველმა შეატყობინა ჰიტლერს ეს ამბავი და ახარა, იქნებ ჩვენც გადავრჩეთო ფრიდრიხ II მსგავსად, რომელიც რუსეთ-ავსტრიის ჯარებთან ბრძოლაში, კუნერსდორფთან დამარცხების მიუხედავად, ბედისწერამ იხსნა რუსეთის იმპერატორის ტახტზე — პეტრე III-ის ასვლამ, რომელიც ფაქტობრივად გერმანელი იყო წარმოშობით — პრინცი კარლ პეტრე ულრიხი, იგი პეტრე პირველის ქალიშვილის ანას შვილი იყო და, შესაბამისად, პეტრე I-ის შვილიშვილი.

გებელსისაგან შუაღამისას გაღვიძებულმა ჰიტლერმა, რომელსაც თავდაპირველად გაუჭირდა საქმის არსში გარკვევა, შეტყობინება იმდენად სასიხარულოდ აღიქვა, რომ ნაწილობრივ ირწმუნა, შეიძლება მართლაც გავიმარჯვოთო. მაგრამ, მის სამწუხაროდ ნაადრევი და, რაც მთავარია, ამაო გამოდგა ეს სიხარული, თუმც ყველაფრის მიუხედავად, თავისი სიკვდილის წინ მან დიდად დაუფასა იმპერიის მთავარ პრორაგანდისტს ეს სამსახური და თავისი ანდერძით გებელსი ფაქტობრივად აღარარსებული იმპერიის რაისხკანცლერის თანამდებობაზე დანიშნა.

ჰიტლერის ანდერძს უკვე რაიხსკანცლერის (თუმც სულ ერთდღიანის) ამპლუაში, გებელსმა თავისი ანალოგი მიუზმანა. უნდა გენახათ, თუ

[1] ЭТР, 134

როგორ იგრიხებოდა და ინონებდა თავს ერთი დღის ხალიფა: პირველადო ჩემს სიციცხლეში ვერ ვასრულებ ჩემი ფიურერის ბრძანებას და სხვათა შორის ამასვე აკეთებენო ჩემი ცოლი და პაწია გოგონებიცო (!). გერმანიის უკეთესი მომავლისათვის მაგალითები მეტად არის საჭირო (გულისხმობს თავდადებას), ვიდრე ადამიანებიო. ამიტომ მე და ჩემი ცოლშვილი ფიურერის ერთგულებას უნდა შევეწიროთ და მის კვალს უნდა გავყვეთო, რამეთუ სხვა შემთხვევაში ჩვენი ცხოვრება მის სამსახურს აღარ შეეწირებაო.

ერთი ჭორი დასასრულს. ფაქტობრივად ამ მახინჯ კაცს მთელს გერმანიაში სილამაზით განთქმული ცოლი ჰყავდა. ამბობენ, რომ მასსა და ჰიტლერს შორის გარკვეული სიმპათიები არსებობდაო. ამ კოჭლ მელაძუას დაუთვლელი საყვარლები ჰყავდა. ხელოვან-შემოქმედთა შორის ასეთი აზრი იყო გავრცელებული, რომ ვინც მასთან არ დაწვებოდა, წარმატებას თვალს ვერ მოჰკრავდა. ბიჭი იყო ასეთი და იმიტომ. ერთი-ორჯერ კარგადაც მოხვედრია ყბაში ამასთან დაკავშირებით, მაგრამ გადაყლაპა. „ვისაც ციგაობა უყვარს, ციგის ტარებასაც უნდა შეურიგდესო", - ნათქვემია.

ასეთი გახლდათ აღწერილობით ი პორტრეტი ამ ბრწყინვალე ორატორისა და ჯოჯოხეთურად ნიჭიერი კაცის, ძლიერი პროპაგანდისტისა და დემაგოგის, რომელმაც ღრმა ხნული გაავლო ნაციონალ-სოციალისტურ მოძრაობაში.

ამჯერად ვისაუბრებთ №1 კაციჭამიაზე, ჰიტლერზე მეტ ჯალათზე, პირუტყვსა და ნაძირალა არაკაცზე, რომლის სახელის გახსენება რეინგარდ ჰაიდრიხის სახელთან ერთად შიშის ზარს ცემდა ყველას. ამ ავაზაკსა და სატრაპს — **ჰაინრიხ ჰიმლერი** ერქვა და, რაც ძალზე საყურადღებოა — მასწავლებლისა და გინმაზიის დირექტორის ოჯახში იყო დაბადებულ-აღზრდილი.

ჰიმლერმა დაამთავრა მიუნხენის სამხედრო სასწავლებელი, მაგრამ ომში არ ყოფილა (დაიბადა 1900 წელს). სასწავლებლის დამთავრების შემდეგ შევიდა ე.წ. „მოხალისეთა კორპუსში", თან სწავლობდა მიუნხენის ტექნიკური ინსტიტუტის სასოფლო-სამეურნეო ფაკულტეტზე. ადრე შევიდა გნსმპ-ში და მონაწილეობდა „ლუდხანის პუტჩში". გებელსის მსგავსად ერთხანს გრ. შტრასერის მდივანიც იყო. როგორც ჩანს, მისი მხარდაჭერით გახდა ბავარიის გაულაიტერი 1925 წელს. გებელსისა არ იყოს, გახლდათ ჰიტლერის ერთ-ერთ ფავორიტთაგანი. ეს მას ჰიმლერს დაავალა ჰიტლერმა პირველი საკონცენტრაციო ბანაკის შექმნა დახაუში, ხოლო შემდეგ მთელი ქსელისა, რომელიც, ალბათ, 30-მდე ერთეულს შეადგენდა და მათში მილიონობით ადამიანი დაიღუპა.

1929 წლის იანვარში ბევრისათვის მოულოდნელად დაინიშნა სს-ს

ხელმძღვანელად რაისხფიურერის წოდებით. აღნიშნულ თანამდებობაზე სხვა არავინ ყოფილა იმპერიაში. ჰიმლერმა სს-ი გადააქცია მე-20 საუკუნის ინკვიზიციურ ორდენად შუასაუკუნოებრივი ტრადიციებით. მან საგანგებო რიტუალები შემოიღო სს-ში შესვლის, ფორმისა და ჯილდოს მიღებისა და ქორწინებასთან დაკავშირებით. სს-ს უნდა სცოდნოდა უცხო ენა, ისტორია, ცხენისა და მანქანის ტარება, ცირვა, სროლა და ჰქონოდა ნორდიკული სახე და იერი. მას ასევე უნდა სცოდნოდა საოჯახო მეურნეობის წარმართვა და სადილის მომზადება.

საგანგებო წესები სუფევდა სს-ში დაქორწინების თუ საცოლის შერჩევის სფეროში. ჰიმლერი ჰიტლერთან შეთანხმებით განიხილავდა საკითხს — ომის შემდეგ სს-თათვის ორცოლიანობის პრაქტიკის შემოღებას ერის არიზაციის მიზნით.

სს-ის რაიხსფიურერად დანიშვნის შემდეგ მან დაითანხმა ჰიტლერი — სს-ის ჯარებისა და უშიშროების სამსახურის შექმნაზე (სდ), რომლის ხელმძღვანელად მან პირველად რ. ჰაიდრიხი შეარჩია, ხოლო მისი ე.წ. საიმპერიო უშიშროების სამმართველოს, ე.წ რსჰა-ს („რაიხსზიხერჰაიტაუპტშამტის") მეთაურად გადაყვანის შემდეგ სდ-ს ხელმძღვანელად ვალტერ შელენბერგი დაინიშნა.

1933 წელს ჰიმლერი სათავეში ჩაუყენეს აგრეთვე მიუნხენის პოლიციას, ხოლო 1934 წელს — პრუსიის გესტაპოს. ამით მისი აღმასვლა არ დამთავრებულა. 1936 წლის 17 ივნისის ბრძანებით ჰიმლერი დაინიშნა მთელი გერმანიის საპოლიციო სამსახურების ხელმძღვანელად. საინტერესო უნდა ჩანდეს, თუ როგორ მიიღო ჰიმლერის ეს უკანასკნელი დანიშვნა შინაგან საქმეთა მინიტრმა — ვილჰელმ ფრიკმა? ასეთი პარალელიზმის შემთხვევები სხვაც ბევრი იყო ნაცისტურ გერმანიაში და ჰიტლერის დუალისტური ხასიათით უნდა აისხნას. ალბათ, ნათქვამის შედეგი გახლდათ ფრიკის გადადგომა 1943 წელს, როდესაც ჰიმლერს შეუთავსეს - მისი პოსტიც (აღნიშნულის მიუხედავად, ფრიკმა მაინც ვერ აიცდინა თავიდან პასუხისმგებლობა ადრე ჩადენილი დანაშაულთათვის და 1946 წლის 16 ოქტომბერს ისიც ჩამოახრჩვეს).

როგორც ზემოთაც ითქვა, ჰიმლერი გახლდათ სს-ის ჯარების მთავარსარდალიც. მისმა არმიამ ომის წინ — 250 ათასს გადააჭარბა. მასთან ერთად ის რეზერვის არმიის მთავარსარდლადაც დაინიშნა 1944 წლის 20 ივლისს შეთქმულების ჩავარდნის შემდეგ, ხოლო ბერლინის დაცვის დღეებში ფრონტის სარდალიც კი გახდა, მაგრამ, რამდენადაც „ნიჭიერი" ჯალათი იყო, იმდენად უნიჭო სარდალი შეიქმნა.

რაიხის აგონიის დღეებში ბერლინიდან გაიქცა და შეეცადა მოლაპარაკებას საბჭოთა და ინგლისის მხედართმთავრობასთან, მაგრამ მათ იგი ახლოსაც კი არ გაიკარეს. როდესაც ჰიტლერს მისი ეს

მაქინაციები ყურთ ჩასწვდა, მან უმალ მოხსნა ის ყველა თანამდებობიდან და მისი დაპატიმრება ბრძანა. ამასობაში ჰიტლერმა თავი მოიკლა. მაშინ ჰიმლერი შეეცადა საერთო ენა გამოენახა დენიცთან, რომელიც ფიურერმა თავისი ანდერძით სახელმწიფოს მეთაურად დანიშნა. მისი შტაბ-ბინისაკენ მიმავალი ჰიმლერი შეიცნო ბრიტანეთის სამხედრო ადმინისტრაციამ და დააპატიმრა. როგორც კი მან იგრძნო, რომ შეიცვნეს, კბილებით გატეხა შხამიანი ამპულა, რომელიც ენის ქვეშ ედო და თავი მოიწამლა. ასე ძაღლურად დაამთვრა სოცოცხლე 45 წლის ასაკში.

ნაცისტურ გერმანიის იმპერიაში ყველაზე ოდიოზური ფიგურა ვფიქრობთ მაინც **მარტინ ბორმანია**, რომელიც ასევე გაურკვევლად გაჰქრა ომის შემდეგ, თუმცა ვიღაც-ვიღაცეები ამტკიცებდნენ, რომ მისი გვამი კანცელარიიდან არცთუ შორს ნახეს ჰიტლერის თვითმკვლელობის შემდეგ, ბერლინში. ეს ინფორმაცია ჩვენ არც თუ დიდად სარწმუნოდ მიგვაჩნია დიდი ალბათობის გამო, მაგრამ, რაც მთავარია, პირადად შევხვედრილვარ და მისაუბრია საბჭოთა გენერალთან, რომელმაც ქართული კონიაკის მიღების პროცესში ქ. იალტაში (ჩვენ ერთ სასტუმროში მეზობლად ვცხოვრობდით მე-2 მსოფლიო ომის დამთავრებიდან 40 წლისთავის აღსანიშნავ საერთაშორისო კონფერენციის დღეებში. მან საიდუმლოდ მიამბო, რომ მისმა სატანკო შენაერთმა ფიურერბუნკერიდან, მთავრობის საგანგებო დავალებით გაიყვანა ბორმანი ბერლინიდან). რომელ ინფორმაციას დავუჯეროთ? რომელი ვირწმუნოთ? ისევე როგორც გესტაპოს უფროსის — ჰაინრიხ მიულერის შემთხვევაში? ამის შესახებ ქვემოთ ვისაუბრებთ.

მხედრის შვილი, რომელსაც სკოლა არ ჰქონდა დამთავრებული ჯარში და ომში მისი დამთავრების პერიოდში მოხვდა. ომის დასასრულის შემდეგ ისევ თავის მშობლიურ მხარეში დაბრუნდა, კერძოდ, მეკლენბურგში და სოფლის მეურნეობას მიჰყო ხელი, მაგრამ მალე დაინტერესდა ნახევრად სამთავრობო ორგანიზაციით - „ნებაყოფლობითი კორპუსით“ და აქტიურ მონაწილეობას იღებდა მისი წევრების ტერორისტულ საქმიანობაში. ციხეშიც კი იჯდა საკუთარი მასწავლებლის — ვალტერ კადოვას მკვლელობაში მონაწილეობისათვის. ხომ სანიმუშო მოსწავლე ყოფილა?!

საპატიმროდან გამოსვლის შემდეგ ის შევიდა გნსმპ-ის რიგებში და მძიმე ხასიათის დრეიფით იწყო მის ხელმძღვანელობაში გასვლა-გაძვრომა. ის დასაწყისში დაინიშნა გნსმპ-იის ტიურინგიის ორგანიზაციის შეფად, ხოლო მალე დასახელებული მხარის გაულაიტერი გახდა — 1938 წელს. იმავდროულად იყო წევრი სს-ის ტიურინგიის შტაბისაც. მის დაწინაურებას დიდად შეუწყო ხელი — ჰერდა ბუხის ცოლად შერთვამ

1929 წელს. მისი სიმამრი რაიხსტაგის წევრი იყო. სხვათა შორის მათ ქორწილს ესწრებოდნენ ჰიტლერი და რ. ჰესი, რომლებიც დიდ პატივს მიაგებდნენ სარძლოს მამას. ჰიტლერი მათი პირველი შვილის ნათლიაც გახდა. ბავშვს ნათლიის სახელი დაარქვეს - რაღა თქმა უნდა.

ბორმანი არ დაკმაყოფილებულა მიღწეულით. 1930 წელს ჰიტლერმა იგი დანიშნა - „ჰიტლკასეს" - ფონდის უფროსად, რომელიც მისი რეკომენდაციით დაარსდა. მისი დანიშნულება იყო გნსმპ-იის იმ ნევრთა დახმარება, რომლების სხვადასხვა დროს დაშავდნენ კომუნისტების წინააღმდეგ ბრძოლებისას.

ბორმანის ადმინისტრაციული ესკალაცია გრძელდებოდა ნაცისტთა ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგაც. ის ჯერ რაიხსლაიტერად დაინიშნა, ხოლო მალე არჩეულ იქნა რაისხტაგში, რასაც მოჰყვა მისი დანიშვნა რუდოლფ ჰესის მოადგილედ გნსმპ-იის კანცელარიაში. პარალელურად ჰიტლერმა ის განაწესა — მისი სახელობის ფონდის („ადოლფ ჰიტლერის ფონდი") ხელმძღვანელად, რომელშიც ირიცხებოდა ვეებერთელა შემოსავალი — „მაინ კამპფის" რეალიზაციიდან, ისევე როგორც პარტ-საწევროთა შემოსავლის ნაწილი. ამ ფონდის შემოსავლის ხარჯზე შეისყიდა ბორნმა — სასტუმრო - „პომერანია" ბრაუნაუში, სადაც დაიბადა ჰიტლერი, მისი მშობლების სახლი ლეონდინგში და მთელი რიგი სახლები ბერხტესჰადენში - „ბერგჰოფის" კომპლექსისათის ობერზალცბურგში, მისი გაფართოების მიზნით, რომელთაც თავისი აგარაკიც მიაყოლა იქვე, გამომდინარე პრინციპიდან - „კაცს ფაცხა ენწოდა და ხელს მაინც მოვითბობო".

ამოდენა კარიერის მიღწევის შემდეგაც არ ცხრებოდა ბორმანი და წინსვლას კიდევ და კიდევ ლამობდა. ისტორიოგრფიაში დღესაც კამათია, მონაწილეობდა თუ არა იგი, თუნდაც რაღაცნაირად, ინგლისში რ. ჰესის, ანუ თავისი უშუალო უფროსის გაფრენაში. ეს კია, რომ შეუცდომლად ვარაუდობდა, მისიის ჩავარდნის შემთხვევაში (რომლის საშიშროება საკმაოდ დიდი იყო), მის ადგილზე თავად დაინიშნებოდა. იგი რომ შეუდარებელი ინტრიგანი იყო პოლიტიკურ თამაშებსა და ბრძოლაში — ეს საყოველთაოდ იყო ცნობილი.[1] თუ ეს უტყუარია, მაშინ ასეთი პიროვნება, განა დაიშურებდა თავს, ჰიტლერი დაერწმუნებინა — ერთადერთი ემისარი ამ საქმისათვის მხოლო ჰესი შეიძლება იქნესო? ვფიქრობთ, რომ არა. ჩვენი ღრმა რწმენით სწორედ ბორმანმა უბიძგა ჰიტლერსაც და ჰესსაც — ჰაუსჰოფერებთან ერთად. და აი შედეგიც: ჰესი ინგლისში დააპატიმრეს და მის ნაცვლად პარტიულ კანცელარიაში ბორმანი დაინიშნა, თუმცა ერთი გამონაკლისით — ჰიტლერმა თავისი მოადგილის თანამდებობა გააუქმა, რომელიც ადრე ჰესს ეკავა!.. თვით

[1] ЭТР, 84

ჰიტლერის მდივნობაც კი მას მხოლოდ 1943 წელს არგუნეს.

ომის უკანასკნელი 2-3 წლის განმავლობაში ბორმანის ძალაულფება და ავტორიტეტი უსაშველოდ გაიზარდა. თუ ადრე, ჰიტლერი არავითარ ქაღალდს არ აწერდა ხელს რ. ჰესის ხელმოწერის გარეშე, შემდეგში იგი ამასვე იმეორებდა ბორმანის ხელმოწერის აუცილებლობაზე. ბორმანმა თავისებური ბუნკერის კედელი აღმართა ჰიტლერის გარშემო და თავისი თანხმობის გარეშე მას არავის აკარებდა, თვით უმაღლესი ეშელონებიდანაც კი. ბუნებრივია, როგორც ეს ხშირად ხდება ანალოგიურ შემთხვევებში, მის წინააღმდეგ ყველა დაირაზმა - „ერიც და ბერიც". ბორმანი მხოლოდ ერთეულთა მიმართ უშვებდა გამოანკლისს, მაგალითად ა. შპეერისა და ჰიმლერის მისამართით. ალბათ, ამიტომ იყო, რომ ერთხელ იმავე ფიურერბუნკერის დერეფანში, მას გულმკერდში სტაცა ხელი გესტაპოს შეფმა — ჰაინრიხ მიულერმა და სულ დედისგინების აკომპანიმენტის ქვეშ დაემუქრა მას: თუ ჭკვიანად არ იქნები მე მოგივლიო შენ, ახლავე ვუბრძანებ ჩემს ბიჭებს (ე.ი. გესტაპოელებს) და ვირის აბანოში შეგაგდებო გამოუსვლელად!.. ბორმანის პასუხი მიულერის ამ გაბედულებაზე ჩვენთვის უცნობია. ფაქტი ერთია: ეს ამბავი ჰიტლერამდე არ მისულა.

ჰიტლერის თვითმკვლელობის შემდეგ ბორმანმა რამდენიმე კაცის დახმარებით კანცელარიის ეზოში გაატანინა ჰიტლერისა და უკვე მისი ცოლის - ევა ბრაუნის - ჯერ კიდევ თბილი გვამები და ჰიტლერისავე სიკვდილისწინა ბრძანებით დააწვევინა ისინი.

ამის შემდეგ ის და გებელსი რამდენჯერმე შეეცადნენ მანტიჰიტლერული კოალიციის მეთაურებთან, მაგრამ ამაოდ. ამას მოჰყვა ბორმანის გაუჩინარება. ათასგვარი მითქმა-მოთქმა — აქა ვნახეთ და იქაო (ჩრდილო იტალია, სამხრეთ ამერიკა, არგენტინა, ჩილე და ა. შ.) ზღაპრებს უფრო ჩამჰოგავს, ვიდრე სიმართლეს. 1973 წელს დასავლეთ გერმანიის სასამართლომ შეწყვიტა მისი ძიება, ბერლინში, ვაიდენჰამერის ხიდთან ნაპოვნი გვამის იდენტიფიკაციის შემდეგ.

ერთია საინტერესო: ჰიტლერმა, თავისი პოლიტიკური ანდერძის მიხედვით ბორმანის „ყველაზე ერთგულ თანამებრძოლად" გამოცხადების მიუხედავად, იგი არც სახელმწიფოს მეთაურად (ანუ პრეზიდენტად) და არც რაიხსკანცლერად არ დანიშნა. თავის „პოლიტიკურ ნებაში" ბორმანთან მიმართებით მან ჩაწერა: „ჩემი ანდერძის აღმსრულებლად მე ვნიშნავ ყველაზე ერთგულ თანამაბრძოლს პარტიის ხაზით მარტინ ბორმანსო". და მაინც, ბორმანი ცხადდებოდა მხოლოდ მინისტრად პარტიის ხაზით. ცოტა არ იყოს გაუგებარია, თუ რატომ? იქნებ ვინმემ სცადოს ამის ახსნა?

ერთი რამ ნათელია: თვით საკუთრივ ბორმანს, ჩვენს ხელთ არსებული

ინფორმაციით წარბიც კი არ შეუხრია ამასთან დაკავშირებით... ის უხმოდ გაუჩინარდა.

ბალტიისპირელი **ალფრედ როზენბერგი** ნაცისტური პარტიის ელიტას მიეკუთვნეობდა (სხვათა შორის სხვებიც იყვნენ ამ რეგიონიდან, ისევე როგორც საქართველოდანაც, კერძოდ — ჰერბერტ კაბე). ა. როზენბერგის შესახებ „მესამე რაიხის ენციკლოპედიაში" ვკითხულობთ: „მთავარი იდეოლოგი ნაციზმისა, ჰიტლერის მოადგილე „სულიერ და იდეოლოგიის საკითხებში, რაიხსმინისტრი ოკურიპებულ აღმოსავლეთ ტერიტორიათა საკითხებში". ჩვენ დავუმატებდით: ავტორი საკმაოდ გახმაურებული წიგნებისა: „გერმნიის საგარეო პოლიტიკის მომავალი გზა" (1927) და „XX საუკუნის მითი" (1929), რომელსაც ჩვენ ნაწილობრივ ვიცნობთ.

ა. როზენბერგი რეველში (ახლა ტალინი) იყო დაბადებული. სწავლა-განათლება რიგასა და მოსკოვში ჰქონდა მიღებული. დაამთავრა უმაღესი ტექნიკური სასწავლებელი. იყო ინჟინერ-მშენებელი.

გსსმპ-იის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ დაინიშნა მისი საგარეო პოლიტიკის სამმართველოს უფროსად. როგორც უკვე ითქვა, ბევრად ადრე როზენბერგი იყო გსსპმ-იის ოფიციალური გაზეთის „ფოლკიშე ბეობახტერის" რედაქტორი დიტრიხ ეკარატთან ერთად, ხოლო ამ უკანასკნელის გარდაცვალების შემდეგ (1923 წელს), მთელი რიგი წლების განმავლობაში ერთადერთი რედაქტორი, განსაკუთრებით „ახალ საწყისიდან", როდესაც ჰიტლერმა ფაქტობრივად მეორედ დააარსა პარტია „ლუდხანის პუტჩისა" და ლანსბერგის ციხიდან გამოსვლის შემდეგ.

როზენბერგს ეკუთვნოდა დაპყრობილი აღმოსავლეთის ტერიტორიების ადმინისტრაციული დანაწევრების გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა ხუთი საგუბერნატოროს შექმნას, რომლებიც ჰიტლერმა რაიხსკომისარიატებად გადააკეთა. პირველი გახლდათ - „ოსტლენდი" - ბალტისპირეთის ქვეყნები პლუს ბელორუსია, მეორე — უკრაინა, დონი, ვოლგისპირეთი, (მათ შორის გერმანელთა ავტონომიაც); **მესამე — კავკასია**; მეოთხე — საკუთრივ რუსეთი (ურალამდე თუ მას შემდეგაც) და მეხუთე — თურქესტანი. აი, ყველას ამათ რაიხსმინისტრად დაინიშნა როზენბერგი 1941 წელს, ივლისში. იგი თავისუფლად ფლობდა რუსულს და ვარაუდობდა, რომ მართვა არ გაუჭირდებოდა.

მაგრამ მის იმედებს გამართლება არ ეწერათ. რაიხსკომისრობის ნაცვლად, მან ნიურნბერგში ამოჰყო თავი, როგორც ერთ-ერთმა მთავარმა სამხედრო დამნაშავემ და სახრჩობელაზე დალია სული 1946 წლის ოქტომბერში.

იოაქიმ ფონ რიბენტროპი ნაცისტური იერარქიის ერთ-ერთი მთავარი

ოლიგარქი გახლდათ. იგი მოხალისედ წავიდა ომში და უფროსი ლეიტენანტის ჩინითა და I ხარისხის რკინის ჯვრით მკერდდამშვენებული დაბრუნდა შინ. ომის შემდეგ ერთხანს ბიზნეს ეწეოდა (ღვინით ვაჭრობდა), რომელიც მოგვიანებით გააფართოვა შამპანურის ბაზაზე. ეს მოხდა მას შემდეგ რაც ცოლად შეირთო მისი მსხვილი მწარმოებლის — ოტტო ჰენკელის ქალიშვილი. მამამ და სიმამრმა მათ უყიდა მდიდრული სახლი ბერლინის გარეუბანში, რომელიც გახდა ბევრი პოლიტიკური შეხვედრისა თუ დისკუსიის თავშეყრის ადგილი. მათ შორის ჰიტლერის კანცლერად დანიშვნის სამზედისთან დაკავშირებითაც.

გნსმპ-ში რიბენტროპი გვიან შევიდა, კერძოდ, 1932 წელს, მაგრამ სწრაფად იწყო სვლა პოლიტიკურ და დიპლომატიურ სარბიელზე. ასე მაგალითად, იგი ხელმძღვანელობდა გერმანიის დელეგაციას საზღვაო საკითხებზე ინგლისთან მოლაპარაკების პროცესში, იყო თავმჯდომარე ე.წ. „რიბენტროპის ბიუროსი", პარტიის სპეციალური ორგანოსი, იყო ელჩად ინგლისში და ავსტრიის ანშლუსის დღეებში დაინიშნა საგარეო საქმეთა მინისტრად — ბარონ ფონ ნოირატის ნაცვლად. უნდა ითქვას, რომ ბევრს მიაჩნდა მას დიპლომატიის სფეროში ბევრი რამ არასწორად ესმოდა და ხშირად ისეთი მცდარი დასკვნები გამოჰქონდა, რომლებმაც გერმანია საბედისწერო შეცდომამდე მიიყვანაო. სახელდობრ ცნობილია, რომ ურთიერთობის გაფუჭება ინგლისთან უშუალოდ მისი ბრალი იყო. ამას უმტკიცებდა რუდოლფ ჰესს მისი და საგარეო საქმეთა სამინისტროს მრჩეველი ალბრეხტ ჰაუსჰოფერი, - გენერალ და გეოპილიტიკოს — კარლ ჰაუსჰოფერის — უნიჭიერესი და უგანათლებულესი შვილი, რომელიც ლონდონში ე.ნ. „ჩატამ ჰაუზში",[1] დიდი უდიტორიის ნინაშე წარადგინეს, როგორც საუკუნის ერთ-ერთი გენიოსი. აი, ეს ჰაუსჰოფერი ჰესს უმტკიცებდა, რიბენტროპი იმდენად სძულთო ინგლისში, რომ მას დაცინვით ეძახიანო - „ჰერ ფონ ბრიკ ენდ დროპსო". ასეოდა ბატონი ფონ დამმტვრევი და გადამგდებიო.

იოაქიმ რიბენტროპის ყველაზე დიდ მიღწევად ჰიტლერი მიიჩნავდა მოსკოვში მის მიერ მოლოტოვთან ერთად ხელმწერილ თავდაუსხმელობის ფაქტს, რომელთან დაკავშირებით შთამომავლობას შემორჩა ერთი ისეთი ფოტოგრაფია, რომელშიც ფიურერი რიბენტროპის მოსკოვიდან დაბრუნებისას ისეთი აღფრთოვანებული ჩანს, რომ ლამის ყვირის სიხარულისაგან.

სხვათა შორის ეს ის ხელშეკრულება გახლდათ, რომლის დადებასთან დაკავშირებით კრემლში გამართულ ვახშამზე ი. სტალინმა სტუმარს მოურიდებლად უთხრა, რომ სრულიად დარწმუნებული ვარო თქვენ საბჭოთა კავშირს მასზე მელნის შეშრობამდე დაესხმებითო თავს. მაგრამ,

[1] ასე ეწოდება ლონდონში საერთაშორისო ურთიერთობათა სამეფო ინსტიტუტს.

სამართლიანობა მოითხოვს ისიც ითქვას, რომ, როდესაც 1941 წლის 22 ივნისს გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროში გამოძახებულ საბჭოთა ელჩს — ს. დეკანოზოვს გერმანიის მთვარობის ნოტა გადასცეს ომის გამოცხადების თაობაზე და იგი უმალ გასასვლელისკენ გაემართა, მას დაედევნა რიბენტროპი და სთხოვა, სტალინისათვის გადაეცა, რომ იგი ამის წინააღმდეგი იყო.

ყველაფერთან ერთად, რიბენტროპი არც ერთ ნაცისტ ლიდერს არ ჩამორჩებოდა ებრალეთა მიმართ სიძულვილში. სხვებთან ერთად ის აქტიურად მონაწილეობდა მთელ რიგ ანტისემიტურ ღონისძიებებში და, რაც მთავარია, არამარტო გერმანიაში (პოლონეთი, უნგრეთი). ის მოითხოვდა გერმანიის ტერიტორიაზე ჩამოგდებულ მოკავშირეთა მფრინავების ფიზიკურ ლიკვიდაციას.

ომის დამამთვრებელ ეტაპზე მან ყველაზე ადრე დაყნოსა დამარცხების საფრთხე. ამიტომ დასტოვა დედაქალაქი და ქალის ტანსაცმელში გამონყობილმა ჰამბურგში ამოჰყო თავი, მაგრამ 1945 წლის 14 ივნისს მას მიაკვლია ბრიტანეთის სამხედრო ადმინისტრაციამ და დააპატიმრა. ნიურნბერგის პროცესზე ბევრი იძახა: მე მხოლოდ ჰიტლერის ბრძანებებს ვასრულებდიო, მაგრამ, არც ის დაუმალავს: ჰიტლერი რომ გაცოცხლდეს და აქ გამოჩნდესო, მე ისევ მის მითითებებს შევასრულებო. იგი დანმაშავედ სცვნეს მის მიმართ წაყენებულ ყველა ბრალდებაში და სხვებთან ერთად ჩამოახრჩვეს 1946 წლის 16 ოქტომბერს.

ჰიტლერისა და ნაცისტური რაიხის პანორამა ვერ წამოიდგინება **ალბერტ შპეერის გარეშე**. მართალია, იგი არასოდეს მიეკუთვმებოდა ქვეყნის არც ტრიუმვირატს (ჰიტლერი-გერინგი-ჰესი) და არც მთავარ ხუთეულს (ტრიუმვირატს პლუს გებელსი და ჰიმლერი), მაგრამ არც ჭანჭიკი იყო ღერძისა, რომლის გარშემო ბრუნავდა ფაშისტური სახელმწიფო მანქანა. იგი უბრალოდ ალბერტ შპეერი იყო — ჰიტლერის უდიდესი ნდობითა და სიმპათიით აღჭურვილი კაცი, თავდაპირველად მისი არქიტექტორი, შემდეგ კი მის უახლოეს წრეში შესული პირი, რომლის გარეშე, ნახევრად ხუმრობით, რომ ვთქვათ, ის პურის საჭმელად არ ჯდებოდა. ისევე როგორც, ჰოფმანის მიმართ, ჰიტლერი, უმალ მოიკითხავდა შპეერი სად არისო. ხშირად, ძალზე ხშირად საღამოობით იჯდა მასთან ერთად და ლინცისა თუ ბერლინის, ნურნბერგისა თუ მიუნხენის და სხვა ქალაქების არქიტექიტორულ გეგმებს განიხილავდა. კულტურული, განათლებული, ინტელექტუალური, რაფინირებული ინტელიგენტი — შპეერი, ვფიქრობთ, მთელი იმპერიის სიმპათიას განახორციელებდა. „თვალში რომ ვინმეს ჩავრდნოდა, თითს რომ არ ამოისობდნენ“ - ისეთ ადამიანს.

ალბერტ შპეერი ის კაცი გახლდათ, რომელმაც, ხატოვნად რომ ვთქვათ, ცად ასტყორცნა რაიხისა და ნაციონალ-სოციალიზმის ვიზუალური ასახვა

ადამიანთა და მოქალაქეთა გონიერებაში. თუ გებელსის პროპაგანდის საყრდენი — რუპორი და პრესა გახლდათ, შპეერმა ადამიანური წარმოდგენის იმ გიგანტური პანორამის ტილო შექმნა, რომლის შთაბეჭდილების ქვეშ რადიკალურად შეიცვალა გერმანელთა ტვინი და მომავლის გააზრება. ვისაც კინოკადრებში მაინც უნახავს ნაცისტური პარტიის ყრილობები ნურნბერგში, იმ გრანდიოზულ-პანორამული შოუებითა და დემონსტრაციებით, რომლებშიც მონაწილეობდნენ ასეულ ათასობით — ვერმახტისა თუ სს-ის რაზმელები — ცადაზიდული სვასტიკიანი დროშებით, ტრანსპარანტებით, ბოლბორდებით, ლოზუნგებით, ღამის ილუმინაციებითა და შუქის პროექციებით, „ჰაილ ჰიტლერისა“ და „ზიგ ჰაილის“ სმენის წამღები შეძახილებით, უმალ დაგვეთანხმება, რომ მათი სცენარისტ-რეჟისორი ჯოჯოხეთური ნიჭისა და გაქანების პიროვნება უნდა ყოფილიყო. ამ სცენათა მნახველ და მით უმეტეს დამსწრეთა გონიდან წლობით არ ამოდიოდა და არ ქრებოდა იქ მიღებული შთაბეჭდილება.

ნაციონალ-სოციალიზმისა და პირადად ჰიტლერის ამ კულტის გიგანტომანიის ავტორი და განმხორციელებელი გახლდათ სწორედ ალბერტ შპეერი. როდესაც იგი ამ ინსცენირების აღსრულებით გადაიღალა და ომმა აღმოსავლეთში ერთობ დამაფიქრებელი ხასიათი მიიღო, ჰიტლერმა ის შეიარაღებისა და სამხედრო მრეწველობის მინისტრად დანიშნა, კატასტროფის დროს დაღუპულ ფრიც ტოდტის ნაცვლად — 1942 წლის თებერვალში, თუმცა იგი ამ დროს საკმაოდ სახელგანთქმული და აღიარებული კაცი იყო პარტიასა და ქვეყანაში. მართალია, შპეერი გნსმპ-ში დაგვიანებით შევიდა (თუ არ ვცდებით 1931 წელს), მაგრამ ჰიტლერმა, უმაღლესი შეფასება მისცა მის საქმიანობას და 1938 წელს პარტიის ოქროს სამკერდე ნიშნით დააჯილდოვა. „ჰიტლერი, - აღნიშნულია - „მესამე რაიხის ენციკლოპედიაში“, საათობით მიჯაჭვული იყო შპეერის მაკეტებსა და მონახაზებზეო“. და შემდეგ: განახორციელებდა რა ჰიტლერის გრანდიოზულ ჩანაფიქრებს, შპეერი დაუღალავად მუშაობდა: აპროექტებდა სახელმწიფო დაწესებულებებს, სტადიონებს, სასახლეებს, მონუმენტებს და მთელ რიგ ზექალაქებს მომავალი დიდი გერმანიისათვის. შპეერი ღიად გამოხატავდა დიდ აღფრთოვანებას თავისი პატრონის მიმართ“...

ალბერტ შპეერს უამრავი თანამდებობა ეჭირა მესამე რაიხის იერარქიაში: იყო გერმანიის შრომის ფრონტის განყოფილების გამგე, ჰიტლერის მოადგილის რ. ჰესის შტაბის წევრი. ტოდტის ორგანიზაციის დირექტორი, ცენტრალური საგეგმო კომისიის წევრი, წყლის რესურსებისა და ენერგეტიკის გენერალური ინსპექტორი, მთავარო პარტიულ-ტექნოლოგიური სამმართველოს უფროსი.

მაგრამ, ყველაფერთან ერთად შპეერი გახლდათ ძალზე გონიერი, დაკვირვებული და დამოუკიდებელი კაცი, თუკი ასეთუ შეიძლებოდა ყოფილიყო ჰიტლერის იმპერიაში. ბოროტი ენები იმასაც კი გაიძახიან, რომ მან იცოდაო თუ კავშირი ჰქონდაო 20 ივლისის შეთქმულებთან, მაგრამ ჩვენი აზრით ეს არ დასტურდება მისი მემუარებიდან. მას მართალია სცოდნია ოპერაცია „ვალკირიის" არსებობა, მაგრამ იმ კუთხით, რომ თითქოსდა ის იყო გერმანიის ტერიტორიის დასაცავი გეგმა მოკავშირეთა მხრივ მათი ჯარების ქვეყანაში დესანტირების შემთხვევაში. უფრო მეტიც. ნიურნბერგის პროცესზეც კი მას განუცხადებია: „მე მგონიაო, ჰიტლერს რომ ოდესმე მეგობარი ჰყოლოდა, ეს მეგობარი მე ვიქნებოდიო", თუმც არც იმის თქმას მორიდებია ჰიტლერისათვის, როგორც ერთადერთ კაცს მთელს რაიხში (სამხედროთაგან იგივე გაუმეორებია ფელდმარშალ ერვინ რომმელს მხოლოდ) უთქვამს რა მისთვის — ომი წაგებულია და უნდა ზომები მივიღოთ, რათა შევაჩეროთ სამრეწველო სანარმოთა უაზრო ნგრევაო. ერთია საინტერესო: ფელდმარშალ რომმელისაგან განსხვავებით, მას შპეერისათვის თავის მოკვლა არ შეუთავაზებია, უბრალოდ, გადაყლაპა ეს რემარკი(!).

ორიოდე სიტყვა მინდა მოვახსენო მკითხველს ალბერტ შპეერის გახმაურებული მემუარების შესახებ - **„შიგნით მესამე რაიხში**, ან უბრალოდ **„მოგონებები"**, როგორც მას რუსულ ვარიანტში ჰქვია. მას საუკუნის მემუარებს ეძახიან და მიჩნეულია („მესამე რაიხის ენციკლოპადიაში"), რომ „ყველა დროის ყველაზე გამორჩეული მემუარებია". ჩვენ იმ სენტენციას ვემხრობით, რომ ნამდვოლად გამოჩენილი მოგონებებია, მაგრამ ვერა და ვერ დავაყენებთ ჩერჩლს ან ჰაროლდ ნიკოლსონის ანალოგებზე წინ. თუნდაც ა. იდენის მემუარებზე წინ.

შპეერის კალამს ეკუთვნის აგრეთვე მემუარებზე არანაკლებ საინტერესო წიგნი: **„შპანდაუს საიდუმლო დღიურები"**, რომლის ღირებულება განუსაზღვრელია ისტორიოგრაფიისათვის.

შპეერთან დაკავშირებით გვსურს ერთ გარემოებასაც შევეხოთ. მართალია ნიურნბერგის სამხდერო ტრიბუნალის გადაწყვეტილებები „კასაციას" არ ექვემდებარება, მაგრამ მისი დადგენილება შპეერის მიმართ, არცთუ ბოლომდე მართებულად მიგვაჩნია: მას 20 წლის პატიმრობა მიუსაჯეს, მაშინ როდესაც, გერმანიის ჯერ წყალქვეშა ფლოტისა და შემდეგ მთელი საზღვაო ძალებისა და, ბოლოს სახელმწიფოს მეთაურად ჰიტლერის მიერ დანიშნულ ადმირალ დენიცს ზუსტად მისი ნახევარი - 10 წელი განუსაზღვრეს. ეს მართებული იყო? დენიცის სხვა ცოდვებს თავი რომ დავანებოთ, არსებული 820 წყალქვეშა ნავიდან დაიღუპა 781. გადათველეთ მათი ეკიპაჟების საერთო რაოდენობა, და ნახავთ რამდენი

ათასი ადამიანი გაისტუმრა მან ოკეანეთა და ზღვათა ფსკერზე. შპეერს კი ბრალად ედებოდა ნაციზმის სულიერი გამხნევება და უცხო შრომის გამოყენება გერმანიის სამხედრო მრეწველობაში, რისთვისაც მას უარეს შემთხვევაში მაქსიმუმ 5 წელი უნდა მიეღო, როგორც ამაში მას მისი ადვოკატი არწმუნებდა. ამიტომ იყო, როდესაც განაჩენი გამოუტანეს, შპეერმა პირველი რაც გააკეთა, ის იყო, რომ თავის ადვოკატს გადახედა – ესაო და სად არისო თქვენი დაარსება.

ამასთან ერთად, მთავარ სამხედრო დამნაშავეთა შორის შპეერი ერთადერთი გახლდათ ვინც აღიარა თავი დამნაშავედ და, რაც მთავარია გაკიცხა რეჟიმი მის მიერ ჩადენილი დანაშაულებებისათვის. უფრო მეტიც, გერმანიის ხელმძღვანელობაში ის გამონაკლისი იყო იმათგან, ვინც ბოლომდე ასრულებდა ჰიტლერის ბარბაროსულ ბრძანებებს, ყველაფერი დაენგრიათ და გაეპარტახებინათ, რაც მიწის ზემოთ იყო: ხიდები, გზები, ფაბრიკა-ქარხნები და ნაგებობებიც კი. სადაც კი ხელი მიუწვდებოდა შპეერმა ყველაფერი გადაარჩინა. ამას გამბედაობა არ უნდოდა გულღვარძლიან და დაუნდობელი ჰიტლერის ხელში? გაიხსენეთ თუ რისთვის დახვრიტა მან თავისი ქვისლი — გენერალი ფეგელეინი - თავისი „თვითმკვლელობის" წინა დღეს — რატომ წახვედიო ბუნკერიდან ჩემი ნებართვის გარეშე. შპეერი არც იმას შეწინააღმდეგებია, რომ გადარჩენილ შეთქმულ გენერლებს გაზის შეშვება გადაუწყვეტიათ ჰიტლერის ბუნკერში, თუმც განვითარებულმა მოვლენებმა მათი ეს ჩანაფიქრი შეუსრულებელი გახადა.

ერთი სიტყვით, ჩვენი ღრმა რწმენით, ალბერტ შპეერმა სულ მცირე 2-ჯერ მეტი დრო დაჰყო საპატიმროში. სხვა საქმე რომ ვერ გამოძებნა, მან სენსაციურა არაორდინალური გადაწყვეტილება მიიღო: აღწერა ფანჯრების წარმოქმნისა და სარგებლიანობის ისტორია(!..). შპანდაუდან 1966 წელს გამოსულმა, კიდევ 15 წელი იცხოვრა და 1981 წელს გარდაიცვალა 76 ნლის ასაკში.

ერნსტ რემის წარმოდგენის გარეშე ჰიტლერის გარემო არასრულყოფილი იქნება. შეიძლება უფრო სწორი იყოს მისი გვარი რიომად წავიკითხოთ ქართულში, რადგან უმლაუტით იწერება — Röhm an Rohm. იგი ერთი ყველაზე თავზეხელაღებული და გაბედული პირთაგანი იყო ნაცისტურ იერერარქიაში, მაგრამ მოგვაინებით ჰომოსექსუალიზმს მიჰყო ხელი, რამაც დაღუპა კიდეც.

ერნსტ რემი იყო ის, ვისი მითითებითაც აგოტატორ-ოფიცრად ქცეული ჰიტლერი ა. დრექსლერის მიერ დაარსებულ მუშათა პარტიაში გაიგზავნა სამეთვალყურეოდ. რემი მაშინ მიუნხენში განლაგებულ საარმიო კორპუსის პირველი ანუ საიდუმლო ნაწილის უფროსი გახლდათ. ჩასუქებული, დაკუნთული, ბრგე აღნაგობისა და ფეხებზე

მაგრად მდგომი აღვირახსნილ ქუჩის მოჩხუბარს უფრო მოგაგონებდათ, ვიდრე სახელმწიფო მოხელეს.

ომიდან საღ-სალამათად მობრუნებული სხვადასხვა ნახევრად-გასამხედროებულ ორგანიზაციაში წევრიანდება და, შესაბამისად, რამდენიმე პუტჩშიც მონაწილეობს, მათ შორის „ლუდხანის პუტჩშიც", რის გამო ციხეშიც ამოჰყოფს თავს. იმ დროს ის უკვე იყო წევრი — გნსმპ-იისა, მაგრამ მალე გათავისუფლდა და ბოლივიაში წავიდა არმიის ინსპექტორად და რეორგანიზატორად.

რამდენიმე ხნის შემდეგ, კერძოდ კი 1930 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ, იგი გერმანიაში დაბრუნდა ჰიტლერის თხოვნით და იმედოვნებდა სამხედრო მინისტრის თანამდებობის მიღებას, რაც ბოლოს და ბოლოს არ გამოვიდა. ამის ნაცვლად ჰიტლერმა მას არანაკლებ მნიშვნელობის (იმ დროს შეიძლება უფრო მეტიც, რამეთუ არმია ვაიმარის რესპუბლიკაში სრულიად იგნორირებული იყო — ვერსალის ხელისუფლების მოთხოვნების გათვალისწინებით) დავალება მისცა: დაეკომპლექტებინა მოიერიშე რაზმები ანუ იგივე „სა". 1931 წლის შუახანისათვის რემმა შექმნა გაუშტურმის 34 და „სა"-ს 10 რაზმი, რომელთა შემადგენლობა 400 ათას მებრძოლს ითვლიდა. ეს 4-ჯერ აღემატებოდა არმიას. „გრძელი დანების ღამეს" ანუ მისი სიკვდილის წინ „სა"-ს არმია უკვე 3 მლნ კაცს აღემატებოდა.

თავისი არმიის ასეთმა მასობრიობამ რემს საკუთარი პერსონის მიმართ უძლეველობის ილუზია შეუქმნა. შექნმილი ვითარების გამო„სა"-ს რიგებში დაიწყო უკმაყოფილება. „სა"-ს თავკაცობა თითს იშვერდა ახალი რევოლუციისაკენ. ამის შედეგი მკითხველისათვის უკვე ცნობილია. ერნსტ რემსა და კიდევ რამდენიმე ასეულ კაცს თავები წააცალეს.

ამჯერად გვინდა მკითხველს ვუამბოთ **ფრიც ტოდტის** შესახებ — ნაცისტური პარტიისა და სახელმწიფო აპარატის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული პიროვნებისა და ადმინისტრატორის თაობაზე, რომელიც ხელმძღვანელობდა „ტოდტის ორგანიზაციას". ჩვენ ზემოთ რამდენჯერმე ხაზგასმით აღვნიშნეთ, რომ ჰიტლერს მეგობარი ბოლომდე არასდროს ჰყოლია. თუკი მას მაინც შეიძლებიდა ჰყოლოდა, - როგორც ა. შპეერმა თქვა, - მაშინ ეს შეიძლება მე ვყოფილიყავიო, ასეთივე შეიძლებოდა ყოფილიყო რუდოლფ ჰესიც და ალბათ, ფრიც ტოდტიც.

ცნობილია, რომ არც ნაპოლეონს ჰყოლია გულდამწვარი ახლო მეგობარი. მაგრამ, როდესაც ესლინგთან ბრძოლაში სასიკვდილოდ დაიჭრა მისი მარშალი ჟან ლანი — ჰერცოგი მონტებელო — იენის, აუსტერლიცის და სხვა მრავალი დიდ ბრძოლათა გმირი, ნაპოლეონს პირველად (და შეძლება ერთადერთხელ) შეამჩნიეს ცრემლი თვალებზე.

ასევე ჰიტლერიც: ერთხელ მხოლოდ, 1941 წლის შემოდგომაზე, ჰუგო ბრუკმანის გარდაცვალებასთან დაკავშირებით სამძიმრის სათქმელად მის ქვრივთან — ელზა ბრუკმანთან — მისულმა ჰიტლერმა ცრემლი გადმოაგდო ფრიც ტოდტის სახელის ხსენებასთან დაკავშირებით (ისე როგორც ამაზე ცოტათი ადრე — რუდოლფ ჰესის ხსენების გამო ბენიტო მუსოლინთან შეხვედრისას ბრენერის უღელტეხილთან, რაც ცნობილი გახდა ამ უკანასკნელის სიძის — გალეაცო ჩიანოს მემუარებიდან).

ფრიც ტოდტი მსოფლიო ომის მონაწილე იყო. 1923 წელს იგი გახდა ნაცისტური პარტიის წევრი. 1931 წელს შტანდარტენფიური ანუ პოლკოვნიკი „სს"-ის ჯარებისა. ამ დროს იგი უკვე სამხედრო ობიექტების მშენებლობას ხელმძღვანელობს და მალე ავტობანებისა და რკინიგზის ხაზების მშენებლობის უფროსია მთელს გერმანიაში. ცოტა მოგვიანებით მას დაევალა ე.წ. დასავლეთის ყრილის მშენებლობის უფროსობა, რასაც მოჰყვა მისი დანიშვნა ოთხწლიანი გეგმის ხელმძღვანელის პოსტზე, როგორც ჩანს გერინგის ნაცვლად, ხოლო 1940 წელს ის დაინიშნა შეიარაღებისა და სამხედრო მრეწველობის მინისტრად, რომელსაც ედგა სათავეში 1942 წლის თებერვლამდე, სანამ არ მოხვდა ავიაკატასტროფაში და მოულოდნელად არ დაილუპა. ჰიტლერის ბრძანებით მას სახელმწიფო დაკრძალვა მოუწყვეს.

ორიოდე სიტყვა გვსურს ვთქვათ **ფრანც ფონ პაპენზე**. იგი ვიცე-კანცლერი გახლდათ ჰიტლერის პირველ კაბინეტში, მაგრამ იყო რაისხკანცლერიც — რამდენიმე თვით ადრე (1932 წლის ივლის-ნოემბერში). მსხვილი მიწათმფლობელის ოჯახის წარმომადგენელი, გენშტაბის ოფიცერი იყო ომამდე, ხოლო 1913-1915 წწ. სამხედრო ატაშე აშშ-ში, საიდანაც შპიონაჟის ბრალდებით გამოაძევეს. შემდეგ მოხვდა პრუსიის ლანდტაგში „ცენტრის" კათოლიკური პარტიის სიით.

ფონ პაპენი აქტიურად მონაწილეობდა ჰიტლერის ხელისუფლებაში მოსასვლელ მოლაპარაკებებში, შემდეგ კი ე.წ. „გრძელი დანების ღამის" მსხვერპლი სხვებთან ერთად იმიტომ არ გახდა, რომ მოასწრო გერინგთან თავის შეფარება და ამით სიცოცხლე შეინარჩუნა.

1934 წელს ის ელჩად გაიგზავნა ავსტრიაში და ყოველნაირად უწყობდა ხელს გერმანიასთან მის შეერთებას. ავსტრიის შემდეგ 1939 წელს ის თურქეთში დაინიშნა ელჩად და გერმანიის მხარეზე ომში მის ჩაბმას თავგამოდებით ცდილობდა, მაგრამ ვერა და ვერ შეძლო.

ომის დამამთავრებელ ეტაპზე, როდესაც რიბენტროპი ბერლინიდან გაიპარა, პაპენი დაბრუნდა გერმანიაში, მაგრამ დააპატიმრა შეერთებული შტატების სამხედრო ადმინისტრაციამ და როგორც სამხედრო დამნაშავე წარსდგა ნიურნბერგის ტრიბუნალის წინაშე, ყველასათვის მოულოდნელად მას არ დაუმტკიცდა სამხედრო ბრალდებულებანი და ის

გაათავისუფლეს, მაგრამ მალე, კერძოდ კი — 1947 წლის თებერვალში ის კვლავ დააპატიმრეს დენაციფიკაციის კომისიის დადგენილებით და 8 თვის პატიმრობა მიუსაჯეს.

იმავე წელს საპატიმროდან გამოსულმა კიდევ თითქმის 25 წელიწადი იცოცხლა და 90 წლის ასაკში 1969 წლის მაისში ბადენის მახლობლად გარდაიცვალა.

***

ამჯერად საუბარს განვაგრძობთ გერმანიის სადამსჯელო სისტემის სტრუქტურასა და მისი ანტურაჟის აღწერა-დახასიათებაზე. აქვე გვინდა ვთქვათ, რომ ალბათ, მთელს მსოფლიოში არსად გვსმენია მათი სრტუქტურულ კომპონენტთა ისეთი სიმრავლე, როგორც ეს გერმანიის სინამდვილეში იყო. ეს გახლდათ თვალთვალის, კონტროლის, საკონცენტრაციო ბანაკთა, დასჯისა და წამების ისეთი გაუგონარი და ადამიანთა გონებისათვის წარმოუდგენელი პირამიდა, რომლის ყველა საფეხურის მარტო ჩამოთვლა-გახსენება ცალკეულ ადამიანთ კი არადა, ინსტიტუტთა სტრუქტურებსაც გაუჭირდება. დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია: ეს იყო 50, 100 და შეიძლება მეტი ორგანო. ამიტომ ღრმად დარწმუნებული გახლავართ, რომ მთელი ამ სისხლისმსმელი იმპერიის საჭეთმპყრობელს — ჰაინრიხ ჰიმლერსაც კი გაუჭირდებოდა მათი სუბორდინაციული ჩამოთვლა-დასახელება.

ამიტომ, ამ ურთულეს და თითქმის გამოუვალ ლაბირინთიდან გამოსავლად ვერ მივიჩნევდით მათი სტრუქტურული გაერთიანების სიმბიოზთა აღწერას და, აქედან გამომდინარე, თვალს გავუსწორებდით თავდაპირველად „SA"-ს, შემდეგ SS-სა, RSHA-ს, და ბოლოს კი მისი უჯრედების — გესტაპოსა და „SD"-ს ანუ უშიშროების ორგანოებისა და მათი თავკაცების დახასიათებას.

მოიერიშე რაზმების მეთაურის — ერნსტ რემის — საქმიანობაზე ჩვენ უკვე ვისაუბრეთ ზემოთ. რაც შეეხება თვით „სა"-ს (SA), ჩვენ იგი მიგვაჩნია ჰიტლერის ერთ-ერთ დიდ გამოგონებად და, საერთოდ, ნაციონალ-სოციალისტური რევოლუციის გენერატორად. ეს მათ დაიპყრეს ქუჩა და შიშის ზარს ჰგვრიდნენ ამომრჩევლებს.

ეს მათ — SA – მოიყვანა ხელისუფლების სათავეში ნაციონალ-სოციალისტები და რაიხსკანცლერი გახადა ადოლფ ჰიტლერი. როდესაც მავრმა თავისი საქმე აღასრულა, შემდეგ შეიძლებოდა და გაუსწორდნენ კიდეც მის ხელმძღვანელობას.

ზემოთ ჩვენ აღვნიშნეთ, რომ SA-ს შემადგენლობა 1934 წლისათვის 3 მლნ წევრით განისაზღვრებოდაო, მაგრამ არსებობს ცნობაც (შროიდერთან თუ ო. დიტრიხთან), რომ მოგვიანებით ეს ციფრი 4-4,5 მლნ შეადგენდა.

თავისი ფუნქციონალური დატვირთვით — ვითარცა უშიშროების ორგანოს, უპირატესობას მაინც RSHA-ს მივაკუთვნებდით ანუ უშიშროების საიმპერიო სამმართველოს, რომლის საბოლოო ორგანიზაციული სტრუქტურა 7 სხვადასხვა განყოფილებას შეიცავდა, მათ შორის — გესტაპოსა და SD-საც. ეს იყო გიგანტური სადამსჯელო ქსელი, რომელიც უხილავი ობობასავით იყო ჩახლართული ქვეყნის ყველა კუნჭულში. თვით საზარელი და შიშის მომგვრელი კგბ-ც კი ჩრდილში მოექცა მასთან მიმართებაში.

ამ კაცთსატანჯველის პირამიდას სს-ის სამსახურის რაიხსფიურერმა — ჰაინრიხ ჰიმლერმა, სათავეში ჩაუყენა ნამდვილი ქვეწარმავალი და ნაძირალა — **რაინჰარდ ჰეიდრიხი**. დედამიწის ზურგზე უძნელესი მოსაძებნია მსგავსი ჯალათი და სატრაპი. ზემოთ ჩვენ სადღაც მივანიშნეთ, რომ როდესაც მან, ახალი სახლი შეიძინა ბერლინში იმავე ქუჩაზე, რომელზეც ცხოვრობდა სამხედერო დაზვევრვის ანუ აბვერის უფროსი — ადმირალი კანარისი და როგორც „მეზობელს" პირველ ვიზიტად ეწვია, რაც მასპინძელმა უმალ გააკეთა, ეს იყო, რომ სტუმრის წასვლისთანავე გამოიძახა თავისი სახლის მეურნე და უბრძანა ბერლინში სადმე სხვა სახლი მოეძებნა მისთვის.

ალბათ იგივე მოტივით ხელმძღვანელობდნენ ლონდონიდან თვითმფრინავით გადასხმული ჩეხი პატრიოტები, როდესაც ბოჰემიისა და მორავიის (ყოფილი ჩეხიის) პროტექტორის — ბარონ ფონ ნიორატის მოადგილედ პრაღაში დანიშნული ჰეიდრიხის მოკვლა გადაწყვტეს და აღასრულეს კიდეც 1942 წლის 27 მაისს, თუმც იგი მხოლოდ 4 ივნისს გარდაიცვალა.

ჰეიდრიხი იმ დროისათვის ჯერ კიდევ ახალგაზრდა იყო. ის-ის იყო 38 წელი შესრულებოდა და, რაც, ლამის განსაცვიფრებელია, უკვე მოესწრო ისეთი პოლიტიკური აღზევება, როგორიც იყო RSHA-ს შეფობა, ბოჰემიისა და მორავიის პროტექტორის მოადგილეობა და საკონცენტრაციო ბანაკების ქსელის ხელმძღვანელობა. თუმცა იმასაც გაიძახოდნენ, რომ პრაღაში მისი გადაყვანა ადმირალმა კანარისმა „ჩააწყოო". მაგრამ ჰიტლერი თითქოსდა მოუხვდაო ამ ინტრიგას და ჰეიდრიხი RSHA-ს მეთაურის პოსტზე შეთავსებით მაინც დატოვა.

ყველაზე გასაკვირი ისაა, რომ წარმოშვებით თუ მეტი არა, ნახევრად მაინც ებრაელი გახლდათ და დაიბადა კონსერვატორიის დირექტორის ოჯახში (ქ. გალში); თვითონაც საკმაოდ განათლებული მუსიკოსი იყო. მისი ქალაქგარე სახლიდან პრაღაში საათობით მოისმოდა ვიოლინოს სასიამოვნი ხმა, რომელზეც პროტექტორის მოადგილე უკრავდა. ამიტომაა მინიშნებული „მესამე რაიხის ენციკლოპედიაში", რომ „ჰეიდრიხმა ბრწყინვალე განათლება მიიღო, იყო უჩვეულოდ მუსიკალური და დიდებულად უკრავდა ვიოლინოზე".

პოლიტიკაში კონსერვატორიის დირექტორის შვილი ძალზე ადრე ჩაება. ჯერ კიდევ 14-15 წლის ყმაწვილი, 1918 წელს შევიდა ულტრანაციონელისტური ორგანიზაციის — პანგერმანული კავშირის ახალგაზრდულ სექციაში - „ახალგაზრდობის გერმანულ ეროვნულ კავშირში“, ხოლო ორი წლის შემდეგ კიდევ უფრო ნაციონალისტურ და აგრესიულ ორგანიზაციაში, რომლის სახლწოდება გახლდათ - „თავდაცვისა და შეტევის სახალხო გერმანული კავშირი“. ჩამონათვალი შეიძლება გაგრძელდეს.

1922 წელს ჰეიდრიხი საზღვაო ფლოტში მოხვდა, სადაც სწრაფი კარიერა გაიკეთა, მაგრამ 1931 წელს, რომელიღაც მაღალი ჩინის საზღვაო ოფიცრის ქალიშვილი შეაცდინა, რის გამოც ფლოტის დატოვება მოუწია. ჰეიდრიხი არ დაიბნა და მალე SS-ის შემადგენლობაში შევიდა, სადაც შემთხვევით მიიქცია ჰაინრიხ ჰიმლერის ყურადღება, რომელმაც იგი გესტაპოს მთავარი სამსახურის უფროსად განაწესა. მალე ის გადაიყვანეს საიდუმლო პოლიციისა (ზიპოს) და SD-ს (უშიშრიების სამსახური) უფროსად, გახდა სს-ის ობერგრუპენფიურერი (გენერალი), საკონცენტრაციო ბანაკების საიმპერიო კომისარი და ბოჰემიისა და მორავიის პროტექტორის (ფონ ნოირატის) მოადგილე. სიკვდილის წინ — 1942 წინ იანვარშიიის დანიშნეს ვანზეეს თათბირზე შექმნილი პროგრამის ხელმძღვანელად. იგი ითვალისწინებდა მთელი ევროპის ებრაელთა ლიკვიდაციას, მაგრამ მანამდე თვითონ მას მოუღეს ბოლო. აი, როგორ მოხდა ეს:

1942 წლის 27 მაისს ჰეიდრიხი ღია „მერსედესით“ გაემართა თავის ოფისში — გრანდჩანში, რომელიც ჩეხეთი მეფეთა ძველი სასახლე იყო. იგი პრაღის გარეუბანში ცხოვრობდა ცოლთან და ოთხ შვილთან ერთად. ქალბატონი ორსულად იყო მეხუთეზე, ჰეიდრიხმა სათითაოდ გადაკოცნა თითოეული მათგანი, ჩაჯდა თავის რუხ-მომწვანი მანქანაში და გაემართა სამსახურისაკენ.

გზაზე, მოსახვევში, რომელიც უერთდებოდა მოედნის მსგავს ტერიტორიას, თავს იყრიდა ტრამვაის სამი ხაზი. ამ ადგილზე განლაგდნენ ინგლისიდან გადმოსხმული ჩეხი პარაშუტისტები — კუბიში და გაბიჩეკი, ხოლო მესამე — ვალჩეკი მსხვერპლს მოსახვევთან ცალკე დარაჯობდა.

ჰაიდრიხის მანქანა, რომელსაც მისთვის საბედისწერო იმ დღეს რატომღაც დაცვა არ ახლდა, კირხმაიერის ქუჩით მიემართებოდა პარაშუტისტებისაკენ. „მერსედესის“ სანომრე ფარზე ნათლად იკითხებოდა ნიშნები — SS-3 (SS-1 ჰქოდა ჰიტლერის მანქანას, SS-2 — კი ჰიმლერისას. სხვაგვარად, SS-ის სამსახურში ჰაირიდრიხი მესამე კაცი იყო). საათის ისრები აჩვენებდა დროს — 10 საათსა და 31 წუთს.

ამ დროს ტრამვაის ვაგონი დაიძრა გაჩერებიდან და მოძრაობა დაიწყო კირხმაიერის პროსპექტისაკენ. თითქოსდა მისი დაწევის მიზნით. ადგილიდან მყისეულად მოწყდა გაბიჩეკი, გადააგდო ავტომატზე გადაფარებული ლაბადა და დააჭირა თითი ჩახმახს, რომლის ლულა მიმართული ჰქონდა მოახლოებული მანქანისაკენ. ოი საოცრებავ — ავტომატმა, რომელიც ინგლისური წარმოებისა იყო, უმტყუნა, მაგრამ იმავწამს გაისმა კუბიშის მიერ ნატყორცნი ყუმბარის გამაყრუებელი ხმა.

მუცლის არეში მძიმედ დაჭრილმა ჰეიდრიხმა დააძრო პარაბელუმი და კუბიშს დაედევნა, მაგრამ ძალა აღარ შესწევდა, გაესროლა და მალე დაეცა კიდეც ქვაფენილზე. მანქანის მძღოლი, რომელსაც ასევე მოესწო რევოლვერის დაძრობა, გადმოხტა „მერსედესიდან" და გაბიჩეკს დაედევნა, მაგრამ იგი ერთი წამით შეჩერდა, შემობრუნდა მისკენ და ორი ტყვია დაახალა მკერდში. თვითონ კი სირბილი განაგრძო, მოახოლებულ ტრამვაის შეახტა და გაუჩინარდა.

კუბიში, რომელსაც სახეზე სისხლი სდიოდა, მივარდა იქვე ბაღის კიდესთან გაჩერებულ თავის ველოსიპედს და მთელი ძალით გაჰქუსლა ადგილიდან. მესამე პატრიოტი — ვალჩიკი შეერია შექუჩებულ ხალხს და მალე ისიც გაქრა შემთხვევის ადგილიდან.

ქვაფენილზე დაგდებულ ჰეიდრიხს შიშით ვერავინ ეკარებოდა. ისევ მან იმარჯვა და ყველაზე ახლოს მდგომ მამაკაცს შესძახა: „Rufen Sie die Burgaß"[1] და გონება დაჰკარგა.

ჰეიდრიხი მთელი კვირა ებრძოდა სიკვდილს. მთელი გერმანიისა და ჩეხეთის წამყვანი ქირურგები იქნენ მობილიზებული ოპერაციისა და მკურნალობისათვის, მაგრამ ამაოდ. ჩეხეთის ფაქტობრივი პროტექტორი ერთი კვირის შემდეგ - 4 ივნისს გარდაიცვალა. მისი გვამი ბერლინში გადაასვენეს და არნახული ცერემონიით დაკრძალეს. ჰიტლერი საგანგებოს ჩაფრინდა რასტენბურგიდან. „მას ნამდვილად რკინის გული ჰქონდაო", - უთქვამს ფიურერს.

RSHA-ს განყოფილებათა უფროსები რანგითა და ჩინით თანატოლნი იყვნენ, მაგრამ მაინც მიგვაჩნია, რომ მე-4 განყოფილების, ანუ გესტაპოს უფროსი — **ჰაინრიხ მიულერი** — უფრო მეტად ცნობილი და ავადპოპულარული იყო. ჯერ მარტო სახელწოდება „გესტაპო", ანუ სახელმწიფო საიდუმლო პოლიტიკური პოლიცია, ჰგვრიდა შიშის ზარს ყველას. გასახსენებლად ის მაგალითიც კმარა, რომ, როდესაც მიულერმა ფიურერბუნკერში მკერდში სტაცა ბორმანს ხელი - „თუ ჭკვიანად არ იქნები დედას გიტირებო", - იმ ბორმანს, რომელსაც ყველა გაურბოდა მთელს გერმანიაში, მან ეს „გადაყლაპა".

---

[1] „შეატყობინეთ გრადში". იხ. D. Гамшик, И. Пражак. Бомба для Гейдриха. М., 1965, 141.

გესტაპოს შეფიც ბავარიელი გახლდათ ისევე, როგორც ნაცისტი ხელმძღვანელობის უმრავლესობა. იყო გლეხის ოჯახიდან იყო — ნაკლებ განათლებული, მაგრამ უჩვეულო შრომისმოყვარე და ჯიუტად მსწრაფი მიზნისაკენ. იგი ადრეც პოლიციაში ნამუშევარა და, რაც ძალზე საინტერესოა, საკმაოდ დაუღალავად ებრძოდა ნაციონალ-სოციალისტებს. სწორედ ამით აიხსნება ის გარემოება, რომ შემდეგ მას მთელი რიგი წლების განმავლობაში არ იღებდნენ გნსმპ-ში.

მაგრამ ჰიმლერმა ყური არ ათხოვა ამას და მალე დააწინაურა მიულერი. უფრო მეტი. მან ისეთი შევბნელი საქმეების აღსრულება დაავალა, რომელსაც, ალბათ, სხვა ნაკლებად შესძლებდა მთელს რაიხში (სახელდობრ, ბლომბერგ-ფრიჩის, გლაივიცის და, რაც ყველაზე ყურადსაღები ჩანდა — ე.წ. „წითელ კაპელის“).

მიულერს განსაკუთრებით დიდი ბრალი მოუძღოდა ებრაელთა აწიოკებაში. ის აქტიურად მოანწილეობდა ვანზეეს კონფერენციაში (20.01.42), რომელმაც ებრაელთა საბოლოო ლიკვიდაციის საკითხი განიხილა. მას საკონცენტრაციო ბანაკების საკუთარი ქსელი ჰქონდა შექმნილი (Judenfree), რომელშიც ებრაელთა ტანჯვა-წვალების განსაკუთრებული პროგრამა ხორციელდებოდა.

მიულერი ცვლიდა ხოლმე ჰეიდრიხს, როდესაც ეს უკანსკნელი ბერლინში არ იმყოფებოდა, განსაკუთრებით ბოჰემია-მორავიის პროტექტორის მოადგილედ მისი დანიშვნის შემდეგ. ეს იმიტომ ხდება, რომ მიულერი მოადგილეც გახდა ჰეიდრიხისა. როდესაც ის მოკლეს, ბუნებრივია, დაისვა საკითხი მისი შემცვლლელის შერჩევისა, მათ შორის, ბუნებრივია ბოჰემია-მორავიის პროტექტორის მოადგილის თანამდებობაზეც. ამ ადგილზე დაინიშნა სს-ის ობერგრუპენფიურერი — კურტ დალიუგე. რაც შეეხება RSHA-ს უფროსობას, ამ პოსტზე გაჭირდა კანდიდატის შერჩევა. იხილებოდა მიულერისა და ვალტერ შელენბერგის საკითხი — მე-4 და მე-6 განყოფილებათა უფროსების, მაგრამ არც ერთი მათგანი არ დაინიშნა. მიზეზი გახლდათ ჰიმლერის მოსაზრება, რომ მათი შემცვლელები მას არ მოეპოვებოდა. თანაც ჰიტლერს უხუმრია შელენბერგის მისამართით: „ცოტა აცადეთ ტუჩებზე ხსენის შეშრობა. სულ მთლად ბალღიაო (დაბადებული იყო 1910 წელს). ცოდვააო ჯერ“... ამიტომ იყო, რომ იმპერიის უშიშროების სამსახურის უფროსად ვენიდან გადმოიყვანეს სს-ის გრუპენფიურერი (გენერალ-ლეიტენენტი) ერნსტ კალტენბრუნერი, რომელიც კაციჭამიობაში და მიზანტროპიაში ბევრად არ ჩამოუვარდებოდა ჰეიდრიხს.

ომის დამამათავრებელ ეტაპზე ჰაინრიხ მიულერი მოულოდნელად გაუჩინარდა ფიურერბუნკერიდან. მის ასავალ-დასავალს ვერსად მიაგნეს. მოგვიანებით დაირხა ხმები, რომ იგი რუსებს ჩაბარდა და

თითქოსდა ვიღაც-ვიღაცეებს უნახავთ კიდეც საბჭოთა ბანაკებში. ამასვე ადასტურებს ვალტერ შელენბერგიც თავის ცნობილ მემუარებში. კერძოდ, თითქოსდა ე.წ. „წითელ კაპელას" საქმის ძიებისას გავიდაო საბჭოთა დაზვერვაზე და მათვე ჩაბარდაო კიდეც ტყვედ. და რომ, მოსკოვში, დონის მონასტრის გვერდით მდებარე სასაფლაოზე მისი საფლავიც არის წარწერით: „ჰაინრიხ მიულერი" - რეკვიზიტების მითითებით. იმასაც ამბობდნენ, რომ სამხრეთ ამერიკაში გადაიკარგაო, კერძოდ ჩილეში, სადაც თავს აფარებდაო ბორმანთან ერთად, რაც ჩვენ გამორიხცულად მიგვაჩნია.

და აი, სრული სენსაცია: 1995-1998 წლებში აშშ-ში, ხოლო 2000 წელს მოსკოვში გამოვიდა გრეგორ დუგლასის ორტომიანი წიგნი, ფაქტობრივად ჰენრიხ მიულერის მემუარები: **„დღიურები"** და **„შერჩევითი საუბრები"**,[1] რომელთა მიხედვით ირკვევა, რომ მათმა ავტორმა თავი აშშ-ს შეაფარა ომის შემდეგ და ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოს ექსპერტიც კი ყოფილა რუსეთის საკითხებში. ისიც დადასტურდა, რომ ის აშშ-ში 1948 წელს ჩასულა. მანამდე კი მალულად შვეიცარიაში ცხოვრობდა.

ვალტერ შელენბერგი ერთ-ერთი ყველაზე კოლორიტული და თუ ნაცისტურ იერარქიაში ასეთი შეიძლება ყოფილიყო — სიმპათიური პიროვნება გახლდათ მესამე რაიხში. ამასთან იმ მცირეთაგანი, რომელსაც მიღებული ჰქონდა იურიდიული განათლება. თუმცა ორი წელი სამედიცინო ფაკულტეტზეც სწავლობდა. იყო სრულიად ახალგაზრდა, უცხო ენების მცოდნე, უკიდურესად გაბედული და აშკარად დამოუკიდებელი, თითქოსდა გამიზნულად გაჩენილი იმ პოსტებისათვის, რომელიც ეკავა. RSHA-ს მე-6 განყოფილების — SD-ს (საიდუმლო უშიშროების სამსახური) ანუ იგივე — სს-ს სისტემის დაზვერვის განყოფილება — გესტაპოსთან ერთად ყველაზე მრისხანე დანესებულება იყო. მართალია, პირველისაგან განსხვავებით, SD-ს შემადგენლობა გაცილებით მცირერიცხოვანი იყო (გესტაპოში ოფიციალურად 25.000-ზე მეტი თანამშრომელი ირიცხებოდა, პლუს ერთი იმდენი დამსმენ-ინფომატორი), მაგრამ ამით მისი ხვედრითი წონა სრულებითაც არ იყო ნაკლები.

თეორიულად SD ექვემდებარებოდა შინაგან საქმეთა მინისტრს ვილჰელმ ფრიკს (თუმცა მისი ფაქტობრივი ხელმძღვანელი რ. ჰეიდრიხი გახლდათ), ხოლო გესტაპო ემორჩილებოდა გნსმპ-ის ხელმძღვანელობასა და პირადად რუდოლფ ჰესს.

SD-ს სააგენტოს სამსახური ხუთ კატეგორიას მოიცავდა: საიდუმლო აგენტურას, აგენტებს, ინფორმატორებს, მათ მოადგილეებსა და, ასე ვთქვათ — არასაიმედოთ.

---

[1] Дуглас Г. Шеф Гестапо Генрих Мюллер. „Дневники" და მისივე „Вербовочные беседы". М., 2000.

ყველა ინფორმაცია მიედონებოდა გესტაპოში, რომელიც იღებდა შესაბამის ზომებს. ასე მაგალითად, ავსტრიის ანშლუსის დღეებში SD-ს ინფორმაციით 67 ათასზე მეტი „სახელმწოფის მტერი" დაუპატიმრებიათ.

შელენბერგის დახასიათებისას ჩვენ ვიხმარეთ სიტყვა - „გაბედული". ეს მისი ერთი გამორჩეული თვისება იყო. ასე მაგალითად, ერთხელ მან ინგლისელი მზვერავების გამოტაცების ცდისას ჰოლანდიის საზღვარზე (ე.წ. ვენლოს ინციდენტი) უშუალო მონაწილეობა მიიღო ორმხრივ სროლაში.

მეორე და, ძალზე დამახასიათებელი მაგალითი: 1941 წელს შელენბერგი ესპანეთში გაიგზავნა — ედუარდ VIII მოტაცების მიზნით. გამგზავრების წინ ჰიტლერმა პირადად გააფრთხილა და კატეგორიულად აუკრძალა ყოველგვარ ურთიერთ სროლაში მონაწილეობა (უფრთხილდებოდა და იმიტომ!).

ვალტერ შელენბერგის ყველაზე დიდ წარმატება მაინც - „წითელ კაპელას" საქმის გახსნა იყო, რომელიც შემდეგ მიულერმა დაასრულა. შელენბერგის კალამს ეკუთვნის ძალზე საინტერესო მემუარები,[1] რომელშიც მსოფლიო ისტორიოგრაფიაში უსანტერესოესი დიალოგია მოცემული მასსა და გესტაპოს შეფს — ჰაინრიხ მიულერს შორის ჰიტლერისა და სტალინის — პიროვნებათა შედარების თვალსაზრისით და რომელიც, სხვათა შორის, ჩვენ ვერ ვიპოვეთ გამოჩენილი ინგლისელი ავტორის - ალან ბალოკის — გახმაურებულ მონოგრაფიაში - „ჰიტლერი და სტალინი".[2] შელენბერგი სტალინს დიდ უპირატესობას ანიჭებდა და მაღალ სახელმწიფო მოღვაწედ მიიჩნევდა.

და ბოლოს ნიურნბერგის სასამართლოს გადაწყვეტილებანი კიდევ ერთი უცნაური და, ბოლომდე აუხსნელი მომენტით ხასიათდება: SD კი ცვნეს დანაშაულებრივ ორგანიზაციად, მაგრამ მისი შეფი — ვალტერ შელენბერგი ეშაფოტზე არ აუყვანიათ. მას, თითქოსდა ავადმყოფობის მოტივით, შედარებით უმნიშვნელო სასჯელი მიაკუთვნეს და იგი 1952 წელს თავისი ბუნებრივი სიკვდილით გარდაიცვალა კიბის დაავადებისაგან 42 წლის ასაკში.

ამჯერად SS-ის სამსახურის კიდევ ერთი გორილას შესახებ ვისაუბრებთ. ის გახლავთ **ერნსტ კალტენბრუნერი**. ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ რ. ჰეიდრიხის ადგილზე დაინიშნა 1943 ნლის იანვარში. მანამდე ავსტრიაში მუშაობდა სხვადასხვა თანამდებობაზე, უმთავრესად პოლიციისა და სს-ის ხაზით. რამდენადაც გასაკვირი არ უნდა იყოს, ფლობდა სერიოზულ საბაზო განათლებას: სწავლობდა გრაცის

---

[1] Schellenberg Walter. Schellenberg. L.. 1965

[2] Баллок А. Гитлер и Сталин. М., 1994

უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებელში და ჰქონდა უმაღლესი იურიდიული განათლება, თან დამოუკიდებელი იურიდიული კანტორა ქ. ლინცში.

1932 წელს ის ერთდროულად შევიდა ნაციონალ-სოციალისტურ პარტიაში და შშ-ში, რომელშიც სულ მოკლე ხანში დააწინაურეს, მაგრამ მალე საპატიმროში მოხვდა 1934 წლის პუტჩთან დაკავშირებით, როდესაც ავსტრიელმა ნაცისტებმა სახელმწიფო გადატრიალება სცადეს გერმანელთა დახმარებით. პუტჩის პროცესში ამხედრებულმა ნაცისტებმა თავდაპირველად წარმატებას მიაღწიეს: დაიკავეს სახელმწიფო დაწესებულებების მთელი რიგი, მოჰკლეს კანცლერი ენგელბერტ დოლფუსი და თითქოსდა ახლოს იყვნენ მიზანთან, მაგრამ ბოლოს მარცხი იწვნიეს მუსოლინის პოზიციის გამო, რომელიც იმჯერად გერმანიის მხრივ ავსტრიის ანშლუსის წინააღმდეგ წავიდა.

მაგრამ, მოგვიანებით, პოლიტიკაში სიტუაცია შეიძლება ფლიუგერივით შეიცვალოს. სულ მალე, სახელდობრ 1936 წელს, გერმანია-იტალიის ურთიერთობანი რადიკალურად შეიცვალა: მათ შორის სამეგობრო და სამოკავშირო ხელშეკრულების დადებით (ე.წ. - „ღერძი“) იტალია შეუერთდა გერმანია-იაპონიის ანტიკომუნისტურ ფაქტს. წარმოშვა მილიტარისტული სამკუთხედი — ბერლინი-რომი-ტოკიო, რომლის საფუძველზე გერმანიას გზა გაეხსნა ავსტრიისაკენ. მანაც არ დააყოვნა და 1938 წლის მარტში განხორციელდა ავსტრიის ანშლუსი.

ამას მოჰყვა ზეის-ინკვარტის ნაცისტური ხელისუფლების შექმნა ავსტრიაში, რომელშიც ერნსტ კალტენბრუნერი ფაქტობრივად უშიშორების მინისტრად დაინიშნა. მისი თავდადებული ერთგულება გერმანიასა და სს-ადმი შეუმჩნეველი არ დარჩენია ჰაინრიხ ჰიმლერს, რომელმაც იგი სწრაფად დააწიანურა ავსტრიის სს-ში ჯერ ბრიგადენფიურერად (გენერლად), ხოლო მომდევნო წელს — გრუპენფიურერად (გენერალ-ლეიტენანტი). ამას 1941 წელს მოჰყვა მისი ავსტრიის პოლიციისა და სს-ის მეთაურად დავიშვნა, ხოლო 1943 წლის 30 იანვარს გერმანიის ზიპოსა (საიდუმლო პოლიცია) და RSHA-ს მეთაურად განწესება, რითაც ის სათავეში ჩაუდგა მთელს SS-ს.

არსებობს ასეთი ნახევრად იუმორისტული გამოთქმა - „შკაფის“ ოდენა კაციაო. ზუსტად ასეთი გარეგნობის კაცი იყო კალტენბრუნერი: ახმახი, ფართო მხარბეჭიანი, უზარმაზარი ხელებით, რომელთაც შეეძლოთ რკინის გაღუნვა. მას ბერლინში არ გააჩნდა ახლობლები და მით უმეტეს მეგობრები, რის გამოც იგი ყველასგან დაშორებით განმარტოებით ცხოვრობდა. როგორც ჩანს, ამ მიზეზით ის გამუდმებით სვამდა მაგარ სასმელებს და ჩაუქრობლად ეწეოდა თაბმაქოს. ამბობენ 80-100 სიგარეტსო დღეში, რის გამოც ხელის თითები სულ ერთიანად ჩაყავისფერებული ჰქონდა (ფრჩხილები განსაკუთრებით).

ბავშვობასა და ახალგაზრდობაში უჩვეულოდ და გაუთავებლად მოჩხუბარს სულ ერთიანდ ნაწიბურებითა და ნაიარებით ჰქონდა დაფარული სახე, მსგავსად ბენიტო მუსილინისა, რაც მასთან მოსაუბრეში არასასიამოვნო, ზიზღის შეგრძნებას იწვევდა. მით უმეტეს, რომ არა მარტო თითები, არამედ კბილებიც ყავისფრად უჩანდა ენის წვერთან ერთად.

განსაკუთრებით ისახელა თავი კალტენბრუნერმა 1944 წლის 20 ივლისის შეთქმულების მონაწილეთა წინააღმდეგ ჩატარებული გამოძიებისას. როგორც აფთარი ისე დაეძებდა იგი მათ რიგებს. როგორც იტყვიან, ქვესკნელშიც კი ჩაჰყვა მათ. რაც შეეხება მის სიძულვილს ებრაელებისადმი, ეს ენით გამოუთქმელი იყო. იგი ყველას პირზე ეწერა. და ყველაფერ ამას ჩადიოდა შედარებით ახალგაზრდა კაცი, თუკი მას შეიძლებოდა კაცი დარქმეოდა. კალტენბრუნერი იმხანად სულ ორმოციოდე წლისა იყო (დაბ. 1903 წელს). ისიც იმ მთავარ სამხედრო დანმაშავეთა რიცხვში მოხვდა, რომლებმაც სიცოცხცლე ეშაფოტზე დაამთავრეს ნიურნბერგის ციხეში.

ამჯერად მხედართმთავრებს გადავხედოთ. მკითხვლეს მოეხსენება, რომ ჰიტლერი ცდილობდა ნაპოლეონისათვის მიებაძა. მიაქციეთ ყურადღება როგორი თვალებით გასცქეროდა ის იმპერატორის სამარადჟამო საფლავს ინვალიდების სასახლეში — პარიზში: თითქოსდა მისგან პასუხს ელოდა კითხვაზე: შენ თუ მეო?[1]

ცნობილია, რომ ბონაპარტეს 26 მარშალი ჰყავდა, რომელთაც ძალზე ნომინალურად იცნობს ქართველი მკითხველი, რის გამოსწორებას ვფიქრობთ ჩვენ ახლო მომავალში. მისგან განსხვავებით იმპერატორი ვილჰელმ II სულ ხუთი ფელდმარშლით იბრძოდა პირველ მსოფლიო ომში. ჰიტლერმა სცადა საქმის „გამოსწორება", მაგრამ ნაპოლეონის წარჩინებულ მხედართმთავრთ მაინც ვერ დაეწია. ომამდე ჰიტლერმა მხოლოდ ერთ გენერალს მიანიჭა გენერალ-ფელდმარშლობა. იგი გახლდათ სამხედრო მინისტრი ფონ ბლომბერგი, რომელმაც ეს ჩინი მიოლო რაინის დემილიტარიზებული ზონის დაკავებისათვის 1936 წელს, თუმც, როგორც შემდგომში გაირკვა, 1938 წ. გერინგისათვისაც მიუნიჭებია ეს წოდება.

ვერნერ ფონ ბლომბერგი ჯერ კიდევ I მსოფლიო ომის შემდეგ იყო გენშტაბის ოფიცერი, ხოლო 1927-29 წლებში მისი მეთაური — ე.წ. საჯარისო შენაერთის სამმართველოს უფროსი (ვერსალის ხელშეკრულებით გერმანიას გაუუქმეს გენშტაბი). 1933 წელს იგი დაინიშნა რაიხსვერის მინისტრად და უმაღლეს მთავარსარდლად. ბლომბერგი ხელმძღვანელობდა რაისხვერის ვერმახტად გარდაქმნას.

[1] იხილეთ ჩვენს მიერ მონტაჟქმნილი ფოტო წიგნის ბოლოს.

მისი გეგმით იქნა ოკუპირებული რაინის დემილიტარიზებული ზონა, რისთვისაც მან ფელდმარშლობა მიიღო.

უმაღლესი მთავარსარდალი და სამხედრო მინისტრი სამხედრო წრეებში არც თუ დიდად უყვარდათ. მოგვიანებით ფელდმარშალს ფონ რუნშტედტს ასეთი აზრი გამოუთქვამს ბლომბერგის მისამართით: „ის ყოველთვის უცხო იყოო ჩვენს შორის. ბლომბერგი ნავარდობდაო სხვა ემპირიებში. იგი შტაინერის სკოლიდან ამოვიდა თეოსოფიური ყალიბის კაცად და სიმართლე რომ ითქვას, გამორჩევით არავის უყვარდაო".

ამიტომ უწოდებდნენ მას „გაბერილ ლომს". ბლომბერგს მისი კოლეგები ბრალს სდებდნენ გნსმპ-ის მიმართ ზედმეტად მლიქვნელობასა და, ასე ვთქვათ, მის წინაშე მიწაზე გართხმაში. მან საკმაოდ უხამსი პოზიცია დაიკავა „გრძელი დანების ღამის" საქმეში და ჩრდილი მიაყენა არმიის პრესტიჟს. უფრო მეტი. ჰიტლერმა სწორედ მასთან პირადი შეთანხმების საფუძველზე მოახერხა პრეზიდენტის პოსტის დაკავება. არმიისადმი იმ დღეებში დაშვებულ ბრძანებაში ბლომბერგი აცხადებდა: „ჩვენ მთელ ძალას მივმართავთ და თუ საჭირო შეიქმნება სიცოცხლესაც — ახალი გერმანიისადმი სამსახურისაკენ. ამ ახალი გერმანიის კარები ჩვენ გაგვიღო ფელდმარშალმა (ჰინდენბურგმა), რომლითაც მან აღასრულა ხალხის ნება, რომელიც წარმოშობილია მრავალსაუკუნოვანი გერმანული გამარჯვებებით. შევინახავთ მოგონებებს ამ გმირული პიროვნების შესახებ და მომავლისაკენ წავალთ გერმანელი ხალხის ფიურერის — ადოლფ ჰიტლერისადმი სრული რწმენით".

ჰიტლერი უღრმესად კმაყოფილი იყო ბლომბერგის ასეთი ჟესტით, მაგრამ მათ ურთიერთობებში მალე ისევ პოლიტიკა ჩაერია. 1937 წლის ივნისში გაკეთებულ მოხსენებაში ბლომბერგი მივიდა დასკვნამდე, რომ აგრესიული მილიტარისტული სამხედრო მიზნები გერმანიისათვის დიდად სასარგებლო არ უნდა ყოფილიყო, რაც პრინციპულად ენინააღმდეგებოდა ჰიტლერის გეგმებს. შავმა კატამ თავისი როლი წარმატებით შეასრულა.

ჰიტლერმა წონასწორობა დაკარგა და ჰაიდრიხსა და მიულერს დაავალა, მიეხედათ ბლომბერგისათვის. სასწრაფოდ შეითხზა ე.წ. ბლომბერგ-ფრიჩეს საქმე — ერთს ცოლის პროსტიტუცია დასწამეს, მეორეს — მამათმავლობა და ეს ორი მაღალი ჩინის ოფიცერი არმიიდან გააგდეს 1938 წლის თებერვალში. ამას მოჰყვა სამხედრო სამინისტროს გაუქმება, მის ნაცვლად შეიქმნა OKW და ჰიტლერი გამოაცხადეს უმაღლეს მთავარსარდლად.

1940 წლის 19 ივლისს, საფრანგეთზე მოპოვებული ბრწყინვალე გამარჯვების აღნიშვნის მიზნით ჰიტლერმა 12 მაღალი ჩინის სამხედრო პირი — ფრონტთა, არმიათა და მსხვილი სამხედრო შენაერთების

უფროსთაგან, გენერალ-ფელდმარშალთა რანგში აიყვანა და უმაღლესი ორდენებით დააჯილდოვა. აი, მათი გვარები:

ვალტერ ფონ ბრაუხიჩი
ვილჰელმ კაიტელი
ჰერდ ფონ რუნდშტედტი
ვალტერ ფონ რაიხენაუ
ფედორ ფონ ბოკი
ვილჰელმ ფონ ლეები
ვილჰელმ ფონ ლისტი
ჰიუნტერ ჰანს ფონ კლიუგე
ერვინ ფონ ვიცლებენი
ერჰარდ მილჰი
ალბერტ კესელრინგი
ჰუგო შპერლე

მომდევნო წლებში (1942-1945) ჰიტლერმა კიდევ თერთმეტ გენერალს მიაკუთვნა ეს წოდება:

ერიხ მანშტეინს
ფრიდრიხ ფონ პაულიუსს
ერნსტ ფონ ბუშს
ევალდ ფონ კლაისტს
მაქსიმილიან ფონ ვაიხსს
ვალტერ მოდელს
ფერდინანდ შერნერს
ვოლფრამ ფონ რიხტჰოფენს
ერვინ რომმელს
გეორ კარლ ფრიდრიხ ვილჰელმ ფონ კიუხლერს
რობერტ ფონ გრემს

ასე რომ, სულ გამოდის 23, ბლომბერგის ჩათვლით — 24, ხოლო გერინგისა (რაიხსმარშალი) და ჰიმლერისა (რაიხსფიურერი) დამატებით — 26, - ზუსტად იმდენივე, რამდენიც ნაპოლეონის მარშლები. მაგრამ, თუ ამ ციფრს დავუმატებთ კიდევ რამდენიმე ადმირალს — ერიხ რედერს, კარლ დენიცს, და, როგორც მინიმუმ კიდევ ორ-სამ კაცს — ფონ პუტკამერს, კანარისსა და ფონ ფრედებურგს — მათი რიცხვი ლამის 30 გახდება.

ჩვენ გადაწყვეტილი გვქონდა ფელდმარშალთა დახასიათება, მაგრამ შემდეგ გაგვიჩნდა აზრი, რომ ეს ზედმეტად გადატვირთავა წიგნს. თუმცა ზოგიერთ მოსაზრებას მაინც წარმოგიდგენთ.

დასახელებული მხედართმთავრებიდან ჰიტლერმა 10 ან რეზერვში გადაიყვანა ან კიდევ პენსიაზე გაუშვა. სამი მათგანი შეთქმულთა შორის

აღმოჩნდა რის გამო დაისაჯა. ყველა მხედართმთავარი ბუნებრივია თანაბარი ნიჭისა და უნარის ვერ იქნებოდა. ჩვენი შეხედულებით მათგან გამოვარჩევდით — ვალტერ ფონ ბრაუხიჩს, ჰერდ ფონ რუნდშტედტს, ფედორ ფონ ბოკს, განსაკუთრებით კი ერვინ რომმელსა და ერიხ მანშტეინს. ეს უკანასკნელი ყველაფერთან ერთად უდიდესი სტრატეგი და სამხედრო თეორეტიკოსი იყო.

დასახელებულთა გარდა მათ გვერდით იყვნენ აგრეთვე ძელზე სახელგანთქმული მაღალი ჩინის ოფიცრები — გენერალ-პოლკოვნიკი ლუდვიგ ბეკი, რომელიც, სხვათა შორის 1944 წლის 20 ივლისის შეთქმულთა მხრივ მოიაზრებოდა მომავალი ხელისუფლების ხელმძღვანელად; გენერალ-პოლკოვნიკი — ჰასო ფონ მანტეიფელი და, განსაკუთრებით გენერალ-პოლკოვნიკი — ჰანს ვალენტინ ჰუბე, უხელო გენერალი, რომელსაც ჰიტლერი მეორე მსოფლიო ომის ერთ-ერთ უდიდეს მხედართმთავრად თვლიდა. ორჯერ სიკვდილს გადარჩენილი, იგი ავიაკატასტროფაში დაიღუპა, როცა ჰიტლერისაკენ გზად მიმავალი სამხრეთ უკრაინის ფრონტის სარდლად უნდა დაენიშნათ.

ასევე არ შეიძლება საგანგებოდ არ აღინიშნოს გერმანიის სამხედრო საზღვაო ფლოტის ხელმძღვანელი პირები, ადმირლები — ერიხ რედერი და კარლ დენიცი, რომელიც დაახლოებით სამი კვირის განმავლობაში ჰიტლერის მემკვიდრე აღმოჩნდა სახელმწიფო მეთაურის პოსტზე[11]. ნიურნბერგის კიდევ ერთი პარადოქსი: გროსადმირალ ერიხ რედერს, რომელიც ჰიტლერთან უთანხმოების გამო 1943 წლის 6 იანვარს გადადგა ფლოტის მთავარსარდლობიდან, ნიურნბერგში მუდმივი პატიმრობა მიუსაჯეს, ხოლო ასევე გროსადმირალ — კარლ დენიცს რომელმაც შეცვალა რედერი, მაგრამ მანამდე წყალქვეშა ფლოტის მთავარსარდალი იყო — მხოლოდ 10 წელი. არის ამ ფაქტში რაიმე ლოგიკა?!. მთელი ომის განმავლობაში ის მეთაურობდა წყალქვეშა ფლოტს და ამ ფლოტმა ანტიჰიტლერული კოალიციის ასობით ათასი წყალწყვის ხომალდები ჩაძირა.

და ბოლოს ჩვენ მაინც გადავწყვიტეთ ჰიტლერის უახლოესი გენერალთა წარდგენა მისი უახლოესი თუ შიდა წრიდან. ისინი იყვნენ OKW-სა და OKH-ს ხელმძღვანელები, რომლებთანაც ჰიტლერი ყოველდღიურ ცხოვრებას იყოფდა, განსაკუთრებით პირველებთან. ესენი გახლდნენ ფელდმარშალი კაიტელი და გენერალ-პოლკოვნიკი იოდლი, რომელსაც არმიის ტვინს ეძახდნენ.

ვილჰელმ კაიტელი ფაქტობრივი ხელმძღვანელი იყო OKW-ის, რომელიც 1938 წელს დაარსდა სამხედრო სამინისტროს ლიკვიდაციასთან

---

[1] ამასთან დაკავშირებით იხილეთ კარლ დენიცის მემუარები: "Ten Years and TwenTy Days". N.-Y (n. d.).

დაკავშირებით, როდესაც ფელდმარშალი ბლომბერგი გადააყენეს და ჰიტლერი ჩაუდგა სათავეში შეიარაღებულ ძალებს — ვერმახტის უმაღლესი მთავარსარდლის სახელით (აქედან OKW ანუ — ვერმახტის უმაღლესი მთავარსარდლობა). კაიტელი ფორმალურად ითვლებოდა მისი შტაბის უფროსად.

იგი ასაკით ჰიტლერზე უფროსი იყო, დაბადებული 1882 წელს. მონაწილეობდა პირველ მსოფლიო ომში, სადაც დაიჭრა კიდეც. ჰოსპიტლიდან დაბრუნდა გენშტაბში ოფიცრად. იყო სხვადასხვა სამხედრო შენაერთთა მეთაური დივიზიის უფროსის დონეზე. საკმაოდ მფარველობდა თავდაცვის მინისტრი ვერნერ ფონ ბლომბერგი, რომლის შვილი დაქორწინებული იყო მის ქალიშვილზე. ამ გარემოებას ხელი არ შეუშლია კაიტელისათვის — ბლომბერგის მამხილებელი ფაქტები დაელაგებინა გერინგისათვის, რომელმაც ისინი ჰიტლერს გადასცა. ამ „დამსახურებისათვის" იგი OKW-ს მეთაურად გადაიყვანეს ამ ორგანოს შექმნისას.

ამ დროისათვის კაიტელი უკვე გენერალი იყო. მან OKW-ში სამი განყოფილება დააარსა — ოპერატიული (ხელმძღვანელი ალფრედ იოდლი), სადაზვერვო (ვილჰელმ კანარისი) და ეკონომიკური (გენერალი გეორგ თომასი). კაიტელს დიდი დამსახურება მიუძღოდა რაიხსვერის ნიადაგზე შექმნილი ვერმახტის საბოლოო სტრუქტურიზაციაში.

საფრანგეთზე გერმანიის გამარჯვების შემდეგ კაიტელმა ფელდმარშლობა მიიღო და ძალზე გაიმყარა არმიაში პოზიციები.

კაიტელი ერთხელ შეეცადა არმიის დამოუკიდებელი სახე შეენარჩუნებინა ჰიტლერის ტოტალიტარულ სახელმწიფოში და ერთ-ერთი უთანხმოებისას გადადგომაც კი დააპირა, მაგრამ ფიურერმა მას უხეშად ჩააგდებინა ენა. ამის შემდეგ კაიტელი იმდენად „წაუწვა" მას, რომ ოფიცრებმა „ლაკეიტელი" შეარქვეს, სიტყვიდან „ლაქია" გამომდინარე. ეს მისი, კაიტელის მეცადინეობით დააპატიმრეს დაახლოებით 7 ათასი ოფიცერი - „1944 წლის 20 ივლისის, შეთქმულებასთან" დაკავშირებით. მანვე, კაიტელმა ურჩია ჰიტლერს ფელდმარშალ ე. რომმელის დასჯის ფორმა.

კაიტელი უკან არ იხევდა ნაცისტთა საშინელებებში მონაწილეობისაგან — იყო ეს ებრაელთა გენოციდი, საბჭოთა კომისრების დახვრეტა, მოსახლეობის აწიოკება დაპყრობილ ტერიტორიებზე თუ სხვა. ამიტომ მიუსაჯა ნიურნბერგის ტრიბუნალმა მას ჩამოხრჩობა. კაიტელს უთხოვია, როგორც სამხედრო პირი — დამხვიტეთო, მაგრამ ამაოდ. მისი საბოლოო სიტყვები იყო - „გერმანია ყველაფერზე მაღლა".

პატიმრობის პერიოდში კაიტელმა დაწერა წიგნი საკმაოდ საინტერესო სათაურით: **„ფიქრები სიკვდილის წინ"**, რომელიც მოგვიანებით

რუსულადაც გამოიცა.

ვილჰელმ კაიტელი სხვა გერმანელ ფელდმარშლებისაგან განსხვავებით ისტორიაში იმით შევიდა, რომ ორ სხვა ოფიცერთან ერთად ხელი მოაწერა მეორე მსოფლიო ომში გერმანიის უსიტყვო კაპიტულაციის აქტს. ყვავი შავია, მაგრამ მაინც ფრინველია!

გენერალ-პოლკოვნიკს **ალფრედ იოდლს**, როგორც ითქვა, გერმანიის არმიის „ტვინის ტრესტს" უწოდებდნენ. ფრიად განათლებული, სერიოზული სამხედრო სტრატეგი და საკმაოდ დამოუკიდებელი პიროვნება, მუდამ მაღალი მსაჯულის სახეს ინარჩუნებდა, მაგრამ ფელდმარშლობამდე ვერ ამაღლდა, ისევე როგორც OKH-ის (სახმელეთო ჯარების უმაღლეს მთავარსარდლობა) ვერც ერთი გენშტაბის უფროსი. საოცარი ის გახლდათ, რომ მან ზეპირად იცოდა არამარტო ფრონტთა, არმიათა, კორპუსთა, დივიზიათა, ბრიგადების, პოლკებისა და ბატალიონთა უფროსების შემადგენლობა, არამედ, ვგონებ საერთოდ რიგითი ოფიცრებისაც. იოდლს მათი ვინაობის გასახსენებლად არ სჭირდებოდა არავითარ ქაღალდებში ჩახედვა.

ფორმალურად იოდლი OKW-ს ოპერატიული განყოფილების უფროსი გახლდათ, მაგრამ ფაქტობრივად მისი თავი და თავი იყო. ჰიტლერზე ფანატიკურად მინდობილი, იგი უსიტყვოდ ასრულებდა მის ბრძანებებს, თუმცა ერთხელ ისიც დაუპირისპირდა, როდესაც გამოესარჩლა გენერალ ფრანც ჰალდერსა და ფელდმარშალ ლისტს, რის გამო ჰიტლერმა გადაწყვიტა მისი შეცვლა ფონ პაულიუსით - სტალინგრადთან მებრძოლი მე-6 არმიის მთავარსარდლით, მაგრამ მისმა კრახმა ეს საქმე ჩაკლა.

იოდლი რომელიც იმ დოისთვის უკვე იყო არმიის გენერალი ანუ გენერალ-ობერსტი, დაუმორჩილებლობისათვის ერთგვარად, მაინც დასაჯეს და კავკასიის ფრონტზე გაგზავნეს „პროფილატიკის მიზნით", მაგრამ მალე ისევ დაბრუნეს OKW-ში, სადაც იგი ომის დამთავრებამდე იმყოფებოდა.

შეთქმულების დღეს — 1944 წლის 20 ინლისს ისიც „ვოლფშანცეში" იმყოფებოდა და გვარიანად დაშავდა, თუმც შედარებით იოლად გამოვიდა. ომის ბოლო დღეებში ის ბუნკერში იყო ჰიტლერთან ერთად. 7 მაისს მან ადმირალ გ. ფრიადერბურგთან ერთად ხელი მოაწერა კაპიტულაციის მოკავშირეთა წინაშე ქ. რაიმსში, რომლის შემდეგ შეუერთდა ადმირალ კ. დენიცის მთავრობას და მასთან ერთად წარსდგა ნიურნბერგის ტრიბუნალის წინაშე.

საერთაშორისო სასამართლოს მიმდინარეობის პროცესში იოდლმა უჩვეულო ყურადღება მიიპყრო თავისი პროფესიული და გამოზომილი პასუხებით. მან სცადა, თუმც წარუმატებლად, დაეცვა არმიის პრესტიჟი მისთვის პოლიტიკური ბრალდების მოხსნის გზით. არმია

თავის პროფესიულ ვალდებულებებს ასრულებდა და ამიტომ უნდა გათავისუფლდესო პოლიტიკური შეფასებებისაგან. მისი პასუხებით აღფრთოვანებული ალბერტ შპეერი აღნიშნავს თავის მემუარებში: „... იოდლის ზუსტმა და თავშეკავებულმა დაცვამ ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა. იქმნებოდა შეხედულება, რომ იგი ერთი მცირეთაგანი გახლდათ, ვინც სიტუაციის ზემოთ ამაღლდა". „მე კეთილსინდისიერად ვიცავდიო ჩემს მოვალეობას და ამიტომ, პასუხს ვერ ვაგებ პოლიტიკოსთა გადაწყვეტილებებისათვისო. რაც შეეხება ომს, მე მას ჩვეულებრივ ცხოვრებისეულ მოვლენად მივიჩნევ და მის წარმოებისათვის რომ ადამიანები დაესაჯათ, აქამდე ისტორიაში ცნობილ გმირთაგან აღარავინ შემოგრჩებოდათო". ისე გამოდიოდა, რომ იოდლი იცავდა ჰიტლერისეულ ომებს. მაგრამ მაინც ღირსების მქონე აქტად უნდა ჩაითვალოს მისი მოქმედება: მან ყოველი დანაშაული თავის პატრონს არ შეაწერა და არ შეეცადა ამით ხელი დაებანა. „მან (ჰიტლერმა) თავისი თავი დაიმარხა რაიხისა და თავისი იმედების ნანგრევებში. დაე, ვისაც სურვილი აქვს დასწყევლოს იგი ამისათვის, მე კი არ შემიძლიაო".

გენერალ-ობერსტი ალფრედ იოდლი სხვებთან ერთად ჩამოახრჩვეს 1946 წლის 16 ოქტომბერს. გვამი დაწვეს და ფერფლი მიმოფანტეს გერმანიის თავზე სადღაც, მაგრამ მისი მეორე ცოლი — ლუიზა ფონ ბენდა არ შეურიგდა განაჩენს და, ოი საოცრებავ — 1953 წელს — მან მიაღწია იმავე ნიურნბერგში თავისი ყოფილი მეუღლის საქმის გადახედვას და იოდლი გაამართლეს!.. ქალიც ამას ჰქვია! მაგრამ, ვინლა გაუცოცხლებდა ქმარს. თუმცა მკითხველს ვთხოვდით, ყურადღება მიექცია თვით ფაქტისათვის: როგორი პარადიგმებია ცხოვრებაში, როგორი ამპლიტუდები: ჩამოხრჩობიდან სრულ თავისუფლებამდე!

ადმირალი კანარისი როგორც უკვე ითქვა, გერმანიის სამხედრო დაზვერვას ანუ აბვერს ხელმძღვანელობდა. ჰიტლერზე ოდნავ უფროსი (დაბ. 1887 წ.), იგი მსხვილი სამრეწველო საწარმოს დირექტორის ოჯახში იყო დაბადებული. უკვე ახალგაზრდობიდან (1905 წ.) შევიდა ფლოტში და კრეისერ „დრეზდენზე" მსახურობდა, რომელიც ჩაუძირავს ანტანტის ფლოტს 1915 წელს და ჩილეში მოხვედრილა ინტერნირებული, მაგრამ ტყვეთა ბანაკიდან გაპარულა და კორდილიერთა მთაგრეხილით არგენტინაში გადასულა, საიდანაც რიდა რისასის სახელით გერმანიაში დაბრუნებულა.

1916 წელს კანარისი ესპანეთში შეუგზავნიათ საზღვაო-სადაზვერვო ინფორმაციის მოპოვების მიზნით, რომლისთვისაც თავი წარმატებით მოუბია. შემდეგ დაუნიშნავთ სხვადასხვა წყალქვეშა ნავების მეთაურად. 1919 წელს მონაწილეობდა რ. ლუქსენბურგისა და კ. ლიბკნეხტის მკვლელთა გასამართლებაში, რომელშიც ფაქტობრივად თვითონაც

მონაწილეობდა. 1920 წლიდან საადმირალოს უფროსი ინსპექტორი, ვერსალის საზავო ხელშეკრულებით აკრძალვის მიუხედავად, მონაწილეობდა - „შავი რაიხს-მარინეს" შექმნაში, რასაც შემდეგ აგრძელებდა იაპონიაშიც. ასეთსავე შავ საქმეს ხელმძღვანელობდა მაროკოშიც — კერძოდ, გერმანელ მფრინავთა მომზადებას. 1932 წლიდან სახაზო გემის - „სილეზიას" მეთაურია.

ნაციონალ-სიციალისტების ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ დაიწყო აბვერის ორგანიზაცია, რომლის ხელმძღვანელი მალე თვითონ გახდა. ჰიტლერის ყურადღება დაიმსახურა ესპანეთის სამოქალაქო ომის პროცესში, სადაც ფრანკოს დასახმარებლად რამდენჯერმე იმყოფებოდა კიდეც.

კანარისი მალე დარწმუნდა გერმანიის მიმართ ჰიტლერის პოლიტიკის დამღუპველობაში, ამიტომ, ბევრ რამეში არ ეთანხმებოდა და გვარიან წინააღმდეგობასაც უწევდა მის გეგმებს, კერძოდ, ბოჰემია-მორავიასა და პოლონეთში, ცდილობდა ჰიტლერის დარწმუნებას, რომ არასწორად აფასებდა საბჭოთა არმის სამხედრო ძლიერებას. მან სამხედრო გადატრიალების მოწყობაც კი სცადა, მაგრამ ბოლო მომენტში ოფიცრობამ მხარი არ აუბა. კანარიის გამორჩევით გაუმწვავდა ურთიერთობა „SS"-თან და რ. ჰეიდრიხთან.

მის ოპერაციათაგან ზოგი დიდადა წარმატებული იყო (მაგალითად ნორვეგიის), მაგრამ იყო სერიოზული ჩავარდნებიც, როგორც, მაგალითად - „შამილი" (კავკასიაში), „ვეფხვი" - ავღანეთ-ინდოეთის საზღვარზე, „კუნელი" - სამხრეთ აფრიკაში, თეირანის კონფერენციასთან დაკავშირებით და სხვ.

ყოველივე აღნიშნულის გამო კანარისის ავტორიტატმა ვარდნა დაიწყო და 1944 წ. თებერვალში ჰიტლერმა ის გაათავისუფლა თანამდებობიდან, თუმცა 1-ელ ივლისს იძულებული შეიქმნა OKW-ში დაენიშნა - სავაჭრო ეკონომიკის მიმართულებით. 20 ივლისის შეთქმულებასთან დაკავშირებით დააპატიმრეს, თუმცა დანაშაული ვერ დაუმტკიცეს. ამის მიუხედავად, მაინც ჩასვეს ფლოსენბურგის საკონცენტრაციო ბანაკში. იქ კი ჰიტლერის საწინააღმდეგო მემუარები უპოვეს, ხელახლა გაასამართლეს და ჩამოახრჩვეს.

რაც შეეხება შეიარაღებული ძალების მეორე მაღალ ორგანოს — OKH-ს მას ადრე (1938-დან) ჰყავდა მთავარსარდალი (ფელდმარშალი ბრაუხიჩი), მაგრამ მისი გადაყენების შემდეგ (1941 წლის დეკემბერში მოსკოვთან განცდილი მარცხის გამო), ჰიტლერმა თვითომ შეითვისა მისი თანამდებობა. OKH-ს შემდეგ მხოლოდ გენშტაბის მეთაურები ჰყავდა, რომლებიც თავისთავად საკმაოდ სახელგანთქმული გენერლები იყვნენ — გენერალ-პოლკოვნიკი ფრანც ჰალდერი, გენერალ-პოლკოვნიკი

ჰაინც გუდერიანი, გენერალ-პოლკოვნიკი კურტ ცაიტცლერი, ხოლო ომის დასასრულს — ფაქტობრივად გენერალი ვალტერ ვენკი.

ყველაფერთან ერთად ისიც გვინდა აღვნიშნოთ, რომ გენერალი ფრანც ჰალდერი, რომელიც დააპატიმრეს 1944 წლის 20 ივლისის შეთქმულებასთან დაკავშირებით, გადაურჩა დახვრეტას და ომის შემდეგ გამოაქვეყნა უაღრესად საინტერესო წიგნები: „ჰიტლერი, როგორც მხედართმთავარი" და, რაც უფრო მნიშვნელოვანია — მრავალტომიანი „სამხედრო დღიურები", რომელიც ისტორიოგრაფიისათვის მდიდარ დოკუმენტურ მასალას მოიცავს.

ჰიტლერის გარემოცვის გაცნობა შეუძლებელია მის სამხედრო ანტურაჟზე წარმოდგენის ქონების გარეშე. ისევე როგორც ნაპოლეონ ბონაპარტეს ყველაფერთან ერთად სამხედრო დიდება მისმა მხედრიონმაც შეუქმნა, ადოლფ ჰიტლერსაც უმშვენებდნენ გვერდს მისი ლეგიონერი გენერლები, ნაპოლეონის მარშლებივით აყვანილნი ფელდმარშალთა უმაღლეს სამხედრო ჩინში. ჰიტლერი, რომელიც ბევრ სფეროში ცდილობდა ნაპოლეონს მიმსგავსებოდა, სამხედრო საქმეშიც ჰბაძავდა მას. როგორც ცნობილია, ნაპოლეონს 26 ფელდმარშალი ჰყავდა თუ არ ვცდებით. ჰიტლერმაც დაახლოებით ეს რიცხვი აიღო თავის ორიენტირად. მაგრამ, თუ ყველა სახის სახეობას მივიღებთ მხედველობაში, რომელიც ფრანგი იმპერატორის დროს უბრალოდ არ არსებობდნენ (მაგალითისათვის ავიაცია), შეიძლება ჰიტლერის ფელდმარშალთა რაოდენობა უფრო მეტიც გამოვიდეს.

ყველა ფელდმარშალს თანაბრად ალბათ ვერ წარმოვადგენთ. მათი რიგი განიხილება დამსახურებასა და ჩვენი მათზე შეხედულებით, რომელიც გამომდინარეობს თვით ფელდმარშალთა რენომესა და აღიარებიდან.

დასასრულ ვიდრე სამხედრო უწყებათა ხელმძღვანელებზე საუბარს დავასრულებდეთ, გვინდა კიდევ ერთ მათგანზე გესაუბროთ. მისი სახელი და გვარია — ერიხ ფელგიბელი, ჩინი - გენერალ-პოლკნიკი, თანამდებობა — შეიარაღებული ძალებისა და გნსმპ-ის კავშირგაბმულობის უფროსი, რომელიც უშუალოდ ახორციელებდა ყოველგვარ სატელეფონო კონტაქტს ჰიტლერსა და სამხედროებს შორის. ჩვენი ღრმა რწმენით, იგი, მსგავსად ფ. ჰალდერისა, ჰიტლერის შეურიგებელი ოპონენტი, გახლდათ, მთავარი ფიგურანტი — შვეიცარიაში მოქმედი საბჭოთა აგენტურის ქსელის („დორა") ინფორმატორი. რომელმაც დიდწილად განსაზღვრა გერმანიის დამარცხება. სწორედ ამ მოსაზრებაზე დაყრდნობით ამტკიცებენ დასავლეთევროპელი ავტორები, რომ ომი მოგებული იქნაო... შვეიცარიაში.

აღნიშნული მოსაზრება ამაჟამად დიდი გამოძიების საგანია, მაგრამ

ჯერ-ჯერობით ბოლომდე არ არის მიყვანილი.[1] ჩვენს ეჭვებს ისიც აძლიერებს, რომ ე. ფელგიბელი აგვისტოს პირველ დეკადაში ჰიტლერმა პირველი დაახვრეტინა ფაქტობრივად ყოველგვარი გამოძიების გარეშე.

მაშ ასე, ბლომბერგი პირველი და უკანასკნელი ფელდმარშალი იყო ნაცისტური რეჟიმისა — მშვიდობიან დროს. შემდეგ მოდიან ომის დროინდელი კოლეგები მისი, რომელთა რიცხვმა ერთბაშად შეადგინა 12 — საფრანგეთზე გამარჯვების დღეებში. როგორც ითქვა, 1940 წლის 19 ივლისს ჰიტლერმა ერთად დაამტკიცა ისინი ფელდმარშლის რანგში რაიხსტაგის სხდომაზე, რომელთაც ავიაციის რაიხსმარშლის რანგში დაუმატა ჰერმან გერინგიც.

მათგან მე, ჩემი პირადი შეფასებით უპირველეს ყოვლისა გამოვყოფდი სამს: ესენი არიან ბრაუხიჩი, ფონ რუნშტედტი და ბოკი, რომელთაც მოგვიანებით დაემატნენ მანშტაინი და რომმელი. ისინი განეკუთვნებიან ასე ვთქვათ ელიტარულ წრეს სახელოვანი ფელდმარშლებისას.

და მაინც, Primus inter parez თვალსაზრისით („პირველს თანასწორთა შორის") მათ შორის პირველად დავასახელებდით **ვალტერ ფონ ბრაუხიჩს.** იგი უკვე 1938 წლის 4 თებერვლიდან, გენერალ ფრიჩის გადაყენების შემდეგ, OKH-ის ანუ სახმელეთო ჯარების მთავარსარდალია, რაც სამხედრო იერარქიით მთავარი იყო ჰიტლერისა და კაიტელის შემდეგ. როგორც უკვე მკითხველს მოეხსენება, ბლომბერგის გადაყენების შემდეგ ჰიტლერმა გააუქმა თავდაცვის მინისტრის პოსტი და მისი ფუქციები თავად შეითავსა, ვითარცა ფიურერმა და პრეზიდენტმა ქვეყნისა, ხოლო კაიტელი ასევე ფელდმარშლად ქცეული იმავე 19.07.40. მეთაურობდა OKW-ს ანუ ვერმახტს.

ვალტერ ბრაუხიჩი ასევე სამხედრო მოსამსახურის ოჯახიდან იყო. მამამისი — კავალერიის გენერალი გახლდათ. კ. ზალევსკის ენციკლოპედიურ ლექსიკონში მითითებულია, რომ იზრდებოდაო მეფის სასახლეში და იყოო — იმპერატორის პაჟი და პაჟთა კორპუსში ირიცხებოდაო.

ბრაუხიჩი მონაწილეობდა I მსოფლიო ომში. უკვე მაშინ ის გენშტაბის ოფიცერი იყო ოპერატიული განყოფილებისა. მისი სამხედრო კარიერა დაუბრკოლებლად მიიმართებოდა წინ. 1938 წელე ორი მეზობელი ქვეყნის თუ მათი ნაწილის შემოერთებისას (ავსტრია, სუდეტის ოლქი) ის უკვე OKH-ის მთავარსარდალი იყო, ხოლო 1939 წლის კამპანიების პროცესში — დანარჩენი ჩეხოსლავაკია და პოლონეთის დაპყრობა, - ის უკვე თითქმის დამოუკიდებელ სამხედრო გადაწყვეტილებებს ღებულობდა.

---

[1] Wildhager K.H. Erich Fellgiebel - Meister operatives Nachrichen-verbidungen. Hannover. 1990.

სხვათა შორის, ბრაუხიჩი დიდი პოლიტიკური დამოუკიდებლობით და სიმტკიცით არ ხასიათდებოდა. კერძოდ, თავდაპირველად საკმაოდ ანტიპატიით იყო ნაცისტების მისამართით, მაგრამ შემდეგ, ცოლთან გაყრისა და პირწავარდნილი ფაშისტის - შარლოტა რუფეს შერთვის შემდეგ, როგორც ჩანს მისი გავლენით ნაცისტებისკენ გადაიხარა, რაც გამოიხატა ჰიტლერის მოთხოვნის აღსრულებაში — ანტინაცისტებისაგან გაეწმინდა არმია, რომელიც გამოიხატა მომავალი ფელდმარშლების, იმჯერად გენერლების - ფონ ლეებისა და ფონ კლაისტის არმიიდან გაძევებაში სხვა თვალსაჩინო გენერლებთან ერთად (სახმელეთო ჯარების კადრების სამმართველოს უფროსი, გენერალი ფონ შველდერი, მე-12 სამხედრო ოკრუგის სარდალი გენერალი ფონ კრესენშტაინი, გენერლები ლუტცე, ლიზე და სხვ.), თუმც მათი ნაწილი მალე აღადგინეს არმიაში და უმაღლესი სამხედრო წოდებები მოიპოვეს (ვფიქრობთ სათანადო აღიარებათა შემდეგ).

საფრანგეთის კამპანიის პროცესში მისი ხელმძღვანელობით მომზადდა გეგმა - „ყვითელი", მაგრამ მანშტაინის „ჩასნორების" შემდეგ („ყვითელი გეგმის" მე-2 ვარიანტი), საფრანგეთის კამპანიაში აქტიური როლი აღარ უთამაშია. სამაგიეროდ, მისი საერთო ხელმძღვანელობით მისმა გენშტაბის უფროსმა - გენერალმა ფრანც ჰალდერმა მოამზადა - „ბარბაროსას გეგმა" - საბჭოთა კავშირზე თავდასხმის მიზნით - და, რომელიც დასაწყის ეტაპზე დიდი წარმატებით ხორციელდებოდა, მაგრამ მოსკოვისათვის ბრძოლის წაგების შემდეგ, დეკემბერში 1941 წლისა გადადგა თუ გადააყენეს ფაქტობრივად და ამის შემდეგ სამხედრო ოპერაციებში აღარ მოუღია მინაწილეობა, მით უმეტეს მხედველობასთან დაკავშირებული პრობლემების წარმოშობასთან დაკავშირებით, რომელმაც საბოლოოდ დააბრმავა კიდეც იგი 1948 წელს.

ცალკე საუბრის თემაა მისი დამოკიდებულება ე.წ. „გენერლების შეთქმულებასთან", რომელთანაც ცივად თუ „წაგრილო" დამოკიდებულებაში იმყოფებოდა. საქმე იმაში გახლავთ, რომ ბრაუხიჩი საწყის ეტაპზე, გენერალ-პოლკოვნიკ ბეკის ზეწოლით, რომელიც შეთქმულთა ერთ-ერთი ხელმძღვანელი იყო და მომავალ კანცლერად მოიაზრებოდა, თითქოსდა თანაუგრძნობდა შეთქმულებს, მაგრამ მოგვიანებით (ჩანს მეორე ცოლის გავლენით, რომელიც პირწავარდნილი ნაცისტი იყო) გვერდზე გადგა და თვით შეთქმულთა წარუმატებელი ცდის შემდეგ (შტაუფენბერგის თავდასხმა), მეორე დღესვე გამოვიდა პრესაში მათი დაგმობის სახით. უფრო მეტიც, თუ არ ვცდებით, გარკვეულ მოანწილეობას ღებულობდა აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებულ გამოძიებაში.

1945 წელს, გაზაფხულზე ბრაუხიჩი ინგლისელებს დანებდა,

რომლებთან ტყვეობაში გარდაიცვალა 1948 წელს თითქმის მთლიანად დაბრმავებული. დღესაც კი როდესაც მეორე მსოფლიო ომის სახელგანთქმულ გენერლებზე ჩამოვარდება საუბარი, პირველთა შორის გერმანელთაგან მას მოიხსენიებენ ყოველთვის მით უმეტეს, რომ „მოსკოვის ბრძოლის" წაგებაში მისი როლი უმნიშვენლოა: გადამწყვეტი შეტევის წინ ჰიტლერმა მას და ცენტრალური ფრონტის მთავარსარდალს, ფელდმარშალ ბოკს „წაართვა" და სხვა ფრონტებზე გადაისროლა ხუთიდან ოთხი სატანკო კორპუსი და სამი ქვეითი კორპუსი (!?.).

ამჯერად ჯერი ბოკზე დადგა, ანდა იქნებ რუნშტედტზე? იამვე კ. ზალევსკის ბიოგრაფიული ენციკლოპედიური ლექსიკონის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მეორე მსოფლიო ომის წინ ისინი ორთავე არმიის მაღალჩინოსან ოფიცერთა შუაგულში იმყოფებოდა, ანუ სხვაგვარად შეიარაღებული ძალების ცენტრალური ფიგურები იყვნენ — გენერალ-პოლკოვნიკისა და გენერალ-ობერსტების რანგით. ფონ ბოკზე კერძოდ ნათქვამია, რომ ის იყოო - „გერმანიის არმიის ერთ-ერთი უმაღლესი რანგის ოფიცერიო". საფრანგეთისა და საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ საომარი მოქმედებისას ბოკის არმიას ცენტრალური პოზიცია ეჭირა და ბრწყინვალედ ჩაატარა ბრძოლები ვიაზმასთან და ბრიანსკთან, ტყვედ იგდო ერთი მილიონზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი, რითაც გზა გაუხსნა თავის არმიას მოსკოვისაკენ.

ფედორ ფონ ბოკი პროფესიული სამხედრო პირის (გენერლის) ოჯახიდან იყო. იგი მონაწილეობდა პირველ მსოფლიო ომში. დაჯილდოებული იყო I და II ხარისხის რკინის ჯვრებით და ორდენით - „დამსახურებსათვის". ომის დამთავრებისას მონაწილეობდა დაზავების კომისიის მუშაობაში. მის შემდეგ დარჩა რაიხსვერში და სწრაფად მიიწევდა წინ სამხედრო კარიერის გზაზე, კერძოდ აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა ე.ნ. „შავი რაიხსვერის" შექმნაში და ვაიმარის რესპუბლიკის წინააღმდეგ მის ფარულ თუ ღია ბრძოლაში, რის გამო, 1932 წ. სასამართლოშიც კი ჰქონდა საქმე.

განმარტოებული და გულჩათხრობილი, უკიდურესად ამბიციური, სახელგანთქმული და პოპულარული პრუსიელი გენერლის — მორიც ფონ ბოკის შვილი — არმიაში არ უყვარდათ ქედმაღლობისა და სამსახურეობრივი მოვალეობისადმი პედანტური დამოკიდებლებების გამო, ჯერისკაცი, რომელსაც არც მეგობარი ჰყავდა, არც იუმორი ახასიათებდა და არც ოფიცრულ მხიარულ შეკრებებს ესწრებოდა. მაგრამ ყველაფერი დასახელებული ნაკლოვანებების კომპენსაციას ის ახდენდა უკიდურესად ნიჭიერი საქმიანობით ჯარში, განსაკუთრებით სამხედრო ოპერაციათა დროს, იყო ეს, როგორც ზემოთ უკვე ითქვა — ავსტრიასა თუ ჩეხოსლავაკიაში, პოლონეთსა თუ საფრანგეთში

და, რაც მთავარია — საბჭოთა კავშირში. აქ მან ლამის სასწაულები მოახდინა სატანკო ჯარების სარდლებთან გოთთან და გუდერიანთან ერთად და, ალბათ, მოსკოვსაც აიღებდა, რომ არ უხეში და სამხედრო აზროვნებას მოკლებული უმაღლესი მთავარსარდლის — ჰიტლერის — პირადი ჩარევა, როდესაც მან ფედორ ბოკს მისი საუკეთესო სატანკო და სახმელეთო ნაწილები ჩამოართვა და ლენინგრადისა და კიევისაკენ გადაისროლა. ამას კი მოჰყვა ბოკის დამარცხება მოსკოვთან. თავის მხრივ აღნიშნულმა მარცხმა ჰიტლერის გაცოფება და ბოკის გადაყენება გამოიწვია იმავე 1941 წლის დეკემბრის დასასრულს. ფორმალურად, ამისათვის მისი კუჭის წყლულის გაღიზიანება გამოიყენეს. ფედორ ბოკი ფელდმარშალ გიუნტერ ფონ კლიუგეთი შეცვალეს.

რამდენიმე ხნის შემდეგ აღმოსავლეთ უკრაინაში თუ ჩრდილოეთ კავკასის მისადგომებთან დაიჭრა და შემდეგ დაიღუპა ფელდმარშალი რეიხენაუ - „სამხრეთი ფრონტის მთავარსარდალი. მის ნაცვლად ბოკი დაინიშნა, რომელმაც კიდევ ერთხელ გაიბრწყინა იმ 1942 წლის ზაფხულში, განსაკუთრებით ხარკოვისათვის ბრძოლებში, სადაც მან მთელი მეორე მსოფლიო ომის დროის რეკორდი მოხსნა, თითქმის 700 ათასი რუსი თუ საბჭოთა ჯარისკაცისა და ოფიცრის დატყვევებით, თუმც ამ გარემოებამ იგი ვერ იხსნა ჰიტლერის მორიგი რისხვისაგან და მეორედ გათავისუფლებით მთავარსარდლის პოსტიდან — დონზე წარმოებულ ბრძოლის ნაგებისათვის, რომლის საბოლოო შედეგი გახლდათ საბჭოელთა გამარჯვება კავკასიის მისადგომებთან და, რაც მთავარია — სტალინგრადი!..

ფელდმარშალი ბოკი ჯერ კიდევ რეზერვში გადაიყვანეს, ხოლო შემდეგ საერთოდ გაათავისუფლეს და მას საომარ ოპერაციებში მოანწილეობა აღარ მიუღია. როდესაც ბერლინი დაეცა და გროსადმირალმა კარლ დენიცმა ჰიტლერისაგან მემკვიდრეობით მიიღო რაიხსკანცლერობა, ფელდმარშალმა ერიხ მანშტაინმა მას დეპეშით აცნობა ახალი პრემიერის სურვილი ბოკის მასთან გამოცხადების თაობაზე. 4 მაისს ფელდმარშალი ჰამბურგს გაემგზავრა მანქანით ცოლთან და ქალიშვილთან ერთად. გზად მიმავალთ ინგლისელი თვითმფრინავი დაედევნა და ტყვიამფრქვევის ცეცხლით დედაბუდიანად ამოხოცა ისინი მანქანაში. ასე დაამთავრა სიცოცხლე 65 წლის აღიარებულმა ოფიცერმა.

სხვა მაღალჩინოსან გენერალთაგან განსხვავებით, არაფერია ცნობილი 20 ივლისის შეთქმულებთან მისი მონაწილეობისა თუ გვერდზე დგომის თაობაზე. შეიძლება შეთქმულნი მას არ ენდობოდნენ მისი გამორჩეული განმარტებულობის გამო, თუმც ადრე, ხელისუფლებაში ნაცისტების მოსვლის წინახანაში ბოკი არც თუ დიდად სიმპათიით იყო ჰიტლერის მიმართ.

ახლა, მეორე, არანაკლებ სახელოვან მხედართმთავარზე — გენერალ-ფელდმარშალ **ჰერდ ფონ რუნშტედტზე** გვინდა მკითხველს ვესაუბროთ. იგი ბოკზე ადრე იყო გენერალ-ობერსტის ჩინით (1932 წლიდან, ხოლო ბოკი 1938 წლიდან).

ისევე როგორც ბოკი, რუნშტედტიც სამხედრო ოჯახიდან იყო და ასევე გენერლის შვილი იყო. მონაწილეობდა პირველ მსოფლიო ომში. დაჯილდოებული იყო რკინის I და II ხარისხის ჯვრებით და ჰოჰენცოლერთა სახლის ორდენით. ომის შემდეგ დარჩა რაიხსვერში და მალე გაიკვლია გზა გენერლობისაკენ.

იყო რა გენერალ-ობერსტი (ანუ ჩვენებურად არმიის გენერალი), 1934 წ. გადაეღობა ჰიტლერის ცდას დაენიშნა სახმელეთო ჯარების მთავარსარდლად გენერალი რაიხენაუ. იგივე გაიმეორა 1938 წელსაც. როგორც ქვეყნის პირველი სამხედრო პირი, თავგამოდებით ემხრობოდა არმიის მოტორიზაციის საქმეს. 1938 წელს გადადგა ბლომბერგ-ფრიჩეს საქმესთან დაკავშირებით, მაგრამ უკვე მომდევნო წლის მაისში დაბრუნდა არმიაში და დაინიშნა ჰიტლერის მრჩევლად პოლონეთთან მოსამზადებელი ომის საკითხებში, რომლის პროცესში მეთაურობდა მთავარ დამრტყმელ არმიას - „სამხრეთი“.

გენერალი რუნშტედტი წამყვანი იყო საფრანგეთის კამპანიაშიც. იგი სარდლობდა საარმიო ჯგუფს „A“ ანუ ცენტრს და ფონ ბოკის არმიასთან ერთად ზღვასთან მიამწყვდია ფრანგთა და ინგლისელთა ჯარები დიუნკერკთან, სადაც ჩაფრინდა ჰიტლერი და უბრძანა მას, შეეჩერებინა შეტევა მოკავშირეებზე, რომლითაც იხსნა ისინი კაპიტულაციისაგან და წარმოშვა ომის პირველი გაურკვევლობა.

იქედან მობრუნებულმა რუნშტენდტმა კურსი პარიზზე აიღო და პირველი შეაჭრა ფრანგთა დედაქალაქში, რომელიც ფაქტობრივად დაცლილი იყო იმ დროისთვის ხელისუფლების მიერ.

მართალია, რუნშტედტი წინააღმდეგი იყო რუსეთზე თავდასხმისა, მაგრამ, მისი ნების წინააღმდეგ იგი დაინიშნა საარმოი ჯგუფის - „სამხრეთის“ მთავარსარდლად, რომელსაც უნდა შეეტია უკრაინის მიმართულებით.[1] მისმა ჯარებმა არანაკლები გამარჯვებები მოიპოვეს მსგავსად ბოკისა, ასობით ათასობით (მილიონამდე) რუსი ჯარისკაცი და ოფიცრები დაატყვევეს და მთელი უკრაინა დაიკავეს ყირიმთან ერთად და დონეცკის ქვანახშირის აუზითურთ, რომლის შემდეგ რუნშტედტმა უაზროდ თუ უმიზნოდ ჩათვალა შემდგომი შეტევის განხორციელება და ჰიტლერმა იგი იმავ დღეს შეცვალა თავისი ფავორიტი ფელდმარშლით — ვალტერ ფონ რაიხენაუთი (რომელსაც წინა წლებში რუნშტენდტი 2-ჯერ

[1] სხვათა შორის ჩვენ მივიჩნევთ ფელდმარშალ ფონ ბოკის ერთგვარ ფორად თუ უპირატესობად, რომ სწორედ ის და არა რუნშტენდტი დაინიშნა ცენტრალური ფრონტის სარდლად საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომში.

გადაუდგა სახმელეთო ჯარების მთავარსარდლად მის დანიშვნას) და რომელიც შეინირა ამ თანამდებობამ, რამეთუ 17.01.42 ე.წ. თვენახევრის შემდეგ ამ დანიშვნიდან, - რაიხენაუ დაიღუპა ფრონტზე.

აღნიშნულის შემდეგ რუნშტედტი დასავლეთის ფრონტზე გადაიყვანს, სადაც მან რომმელისაგან განსხვავებით ვერ გამოიცნო „მეორე ფრონტის" გახსნის საქმე და მომდევნო წარუმატებლობის გამო შეცვალეს ფელდმარშალ — ვალტერ მოდელით. ომის დასასრულს იგი ამერიკელებმა დააპატიმრეს, მაგრამ 1948 წელს გაათავისუფლეს მძიმე ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, რომლიათაც ის გარდაიცვალა კიდეც მომდევნო წელს 74 წლის ასაკში.

მეორე მსოფლიო ომის უგამოჩინებულეს სამხედრო სტრატეგთა და მხედარმთავართა შორის ირიცხება **ერიჰ ფონ მანშტაინი**, რომელმაც ფელდმარშლობა ცოტა მოგვიანებით მიიღო (1942 წ.). მისი ნამდვილი გვარია ფრიდრიხ ფონ ლევინსკი. ის იყო შვილი არტილერიის გენერლის — ედუარდ ფონ ლევინსკის, - რომელიც ადრე გარდაიცვალა. მისი შვილი ერიჰი მემკვიდრედ აიყვანა მისმა უშვილო მეგობარმა — გენერალმა გეორგ ფონ მანშტეინმა, რომელმაც მას თავისი გვარი მიაკუთვნა. მანშტეინები მკვიდრი ბიძაშვილები იყვნენ პრეზიდენტ ჰინდენბურგის.

ერიხ მანშტაინი 1887 წელს დაიბადა. მან თავდაპირველად კადეტთა კორპუსი დაამთავრა, ხოლო მოგვიანებით (1914 წ.) — სამხედრო აკადემია. მონაწილეობდა პირველ მსოფლიო ომში. იყო გენშტაბის კაპიტანი და დაჯილდოებული რკინის ჯვრის I და II ხარისხის ორდენებით, ისევე როგორც ჰოჰენცოლერნების სახლის ორდენით.

1931 წელს მანშტაინი შეიყვანეს დელეგაციაში, რომელიც ანარმოებდა მოლაპარაკებას საბჭოთა კავშირში — სამხედრო თანამშრომლობის თაობაზე. ამის შემდეგ მან მოსამზადებელი კურსები გაიარა მოსკოვსა და ლენინგრადში, რომლის საფუძვლებზე თავისებური ექსპერტი შეიქნა რუსეთის შეიარაღებული ძალების საკითხში.

30-იან წლებში მანშტაინს სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობები ეკავა რაისხვერსა და ვერმახტში. მათ შორის 1935-1938 წლებში იყო OKH-ს ოპერატიული განყოფილების უფროსი და 1-ლი ობერკვარტირმაისტერი სახმელეთო ჯარების გენშტაბისა, რაც ფაქტობრივად უდრიდა გენშტაბის უფროსის მოადგილეობას.

პოლონეთის კამპანიის პროცესში მანშტაინი იმყოფებოდა გენერალ რუნშტენდის საარმიო ჯგუფის - „სამხრეთის" - შტაბის მეთაურის პოსტზე. 1940 წ. მისი გეგმით — ე.წ. „ყვითელი გეგმის" მე-2 ვარიანტის მიხედვით იქნა განხორციელებული შეტევა ინგლის-საფრანგეთის ჯარების წინააღმდეგ დასავლეთის ფრონტზე. ეს ვარიანტი „ყვითელი გეგმისა" გულისხმობდა საფრანგეთის ჯარებზე შეტევას

ცენტრალურ ფრონტზე — არდენის დაუცველი ტყის მიმართულებით, - განსხვავებით „ყვითელი გეგმის“ პირველი ვარიანტისაგან, რომელიც გულისხმობდა მარჯვენა ფლანგზე შეტევის მთავარი მიმართულების განხორციელებას — ძველი „შლიფენის გეგმის“ მიხედვით. გერმანიის გენშტაბი თავდაპირველად ეჭვის თვალით შეხვდა მანშტაინის ვარიანტს, მაგრამ, სამხედრო გათამაშების პროცესში ჰიტლერმა მხარი სწორედ მანშტაინის გეგმას დაუჭირა და აბა რაღა დააკავებდა მას. როგორც შემდეგ გაირკვა, ამ ვარიანტს სენსაციური წარმატება ხვდა წილად, თუნდაც იმიტომ, რომ მაჟინოს თავდაცვითი ხაზი ფრანგებისა არ ვრცელდებოდა არდენის ტყის პარამეტრზე და გერმანელთა ტანკები სრულიად მოულოდნელად აღმოჩნდნენ ფრანგთა განლაგების ზურგს უკან. ამიტომ მოხდა, რომ ფრანგებს ომი უკვე პირველსავე კვირას ჰქონდათ ფაქტობრივად წაგებული, რომელშიც უდიდესი წვლილი შეიტანა ერიხ მანშტაინმა.

ამიტომ ერთგვარ გაუგებრობას იწვევს ის გარემოება, რომ იგი არ მოხვდა იმ 12 ფელდმარშალთა რიცხვში, რომლებმაც ეს აღზევება მიიღეს საფრანგეთთან ომის დამთავრებისთანავე (19.07.40.). როგორც ჩანს, იმ დროისათვის ის მხოლოდ გენერალ-ლეიტენენტი იყო და ფელდმარშლობამდე კიდევ ერთი ჩინი აკლდა თუ არა ორი (გენერალ-პოლკოვნიკის და გენერალ-ობერსტისა), მაგრამ, ამ „ჩამორჩენას“[11] მანშტაინი მალე გაასწორებს და 1942 წლის 1-ელ ივლისს გენერალ-ფელდმარშალი გახდება.

ასეთი სწრაფი ნახტომი მანშტაინმა „ბარბაროსას“ პროცესში განახორციელა, როდესაც იგი 1941 წლის თებერვალში დაკომპლექტებული 56-ე სატანკო კორპუსს ჩაუდგა სათავეში, რომელშიც შედიოდნენ: მე-8 სატანკო, მე-3 მოტორიზებული, „სს“-ის მე-3 მოტორიზებული და 290-ე ქვეითი დივიზიები. სსრკ-ს წინააღმდეგ დაწყებულ ომში მისი კორპუსი შედიოდა გენერალ-პოლკოვნიკ ე. გიოპნერის მე-4 სატანკო ჯგუფში, რომლის შემადგენლობაში მისმა კორპუსმა არნახული გარღვევა განახორციელა და უკვა მე-5 დღეს რიგასთან გაიჭრა, ხოლო კიდევ რამდენიმე დღეში ლენინგრადს მიუახლოვდა (!). უფრო მეტიც. მისი ერთი შემზარავი სატანკო ჯგუფი თუ რგოლი ქალაქის გარეუბანშიც კი შეიჭრა პულკოვის ობსერვატორიის მიდამოებში და „თავზე დაადგა“ ტრამვაის ერთ-ერთი მარშრუტის ბოლო გაჩერებაზე მომლოდინე მგზავრებს. მართალია, ისინი იქვე გაბრუნდნენ უკან და გაუჩინარდნენ, მაგრამ თვით ფაქტი მრავლის მთქმელია!..

მალე მანშტაინი სამხრეთის ფრონტზე გადაისროლეს — მე-11

---

[1] საერთოდ ცნობილია, რომ გენშტაბის ოფიცრები ჩინს შედარებით „მდორედ“ ღებულობენ, ვიდრე მოქმედი არმიისა. ასე მაგალითად. OKW-ს გენშტაბის მეთაური გენერალ-პოლკოვნიკი ალფრედ იოდლი ვერა და ვერ ეღირსა ფელდმარშლობას.

არმიის მეთაურად, რომელზეც მან შეცვალა წინა დღეებში მოკლული გენერალი ფონ შობერტი (12.09.41.). ჰიტლერმა ორი ამოცანა დაუყენა გენერალს: ყირიმსა და დონის-როსტოვის დაკავება, რასაც მანშტაინმა წარმატებით გაართვა თავი, თუმც სევასტოპოლი მხოლოდ 1942 წლის 3 ივლისს დაიკავეს საბოლოოდ.

მანშტაინმა ძლივს მოასწრო როსტოვის დაკავება, როდესაც იგი გადაიყვანეს „ჩრდილოეთის" საარმოი ჯგუფის მთავრსარდლად, მაგრამ სულ მოკლე დროში მას ფრონტზე მოუკლეს შვილი — ჰერა ერიჰი. ამასთან დაკავშირებით იგი ბერლინში ჩავიდა დაკრძალვაზე და რამდენიმე კვირა დაჰყო იქ შვებულების ხარჯზე. სხვათა შორის დაკრძალვას ჰიტლერიც დაესწრო, რისთვისაც ის სპეციალურად ჩავიდა დედაქალაქში. ეს დაახლოებით ის დღეებია, როდესაც მწუხრში ჩავარდნილმა გენერალმა ფელდმარშლობა მიიღო.

აღნიშნული მოვლენებიდან არც თუ დიდი დროის გასვლის შემდეგ საბჭოთა არმიამ ალყაში მოაქცია გერმანელთა მე-6 არმია სტალინგრადთან, რომლის დახსნის მიზნით ჰიტლემა სასწრაფოდ შექმნა ახალი არმია - „დონის" სახელწოდებით, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ახლადგამომცხვარი ფელდმარშალი ჩაუყენეს. მანშტაინმა სასწრაფოდ შეიმუშავა გეგმა გენერალ პაულიუსის მე-6 არმიის გადასარჩენად, რომელსაც არ დაეთანხმა ჰიტლერი, რამეთუ მის მიხედვით თვით მე-6 არმიას უნდა განეხორციელებინა ალყის გარღვევა უკან დახევის წყალობით, რომელსაც უნდა შერწყმოდა მანშტაინის „დონის" არმიის შეტევა.

მანშტაინი თვითონ ჩაფრინდა ჰიტლერთან რასტენბურგში მისი დარწმუნების მიზნით, მაგრამ ამაოდ. როგორც სხვა შემთხვევების დროს, ამჯერადაც უარზე დადგა ფიურერი, რომელიც ტაქტიკურ მოსაზრებათა ვითარებაშიც კი დაუშვებლად მიიჩნევდა უკან დახევას ფრონტის გასწორების მიზნით. მთავარი კი ამ შემთხვევებში ის იყო, რომ მანშტაინი ერთადერთი იყო თითქმის მთელს გენერალიტეტში, რომელიც ჰიტლერს უბედავდა ანალოგიური თხოვნების წაყენებას. უფრო მეტიც, მან ფელდმარშალ კლიუგესთან ერთად, 1943 წლის სექტემბერში, კურსკ-ორიოლის ბრძოლის წაგების შემდეგ ჰიტლერს სთხოვა უმაღლესი მთავარსარდლობიდან წასვლა აღმოსავლეთის ფრონტის ერთი მთავარსარდლის ქვეშ გაერთიანების მიზნით, OKW-ს ლიკვიდაცია და ყველა ფრონტის გაერთიანება სახმელეთო ჯარების განკარგულების ქვეშ, რაზეც უარი მიიღო.

მიუხედავად აღნიშნულისა, ფელდმარშალ მაინშტაინის არმიებმა კიდევ ბევრ ბრძოლაში გამოიჩინეს თავი აღმოსავლეთის ფრონტზე, თუმც, საერთოდ, ეს ხდებოდა გერმანიის შეიარაღებული ძალების

საერთო უკან დახევის ფონზე, რაც შეუქცევადი შეიქნა დასახელებული ბრძოლის ნაგების შემდეგ. საბოლოო ჯამში მანშტაინის ჯარებმა ასობით ათასი საბჭოთა ჯარისკაცი და ოფიცერი აიყვანეს ტყვედ და გაანადგურეს და ხელთ იგდეს დიდძალი სამხედრო ტექნიკა. მარტო ტანკების სახით მათ 1.000-ზე მეტი ერთეული მოსპეს ან „ტყვედ" ნაასხეს.

ყოველივე ნათქვამის მიუხედავად 1943 წლის დასასრულს მანშტაინის პირადი ურთიერთობა ჰიტლერთან შესამჩნევად დაიძაბა. საქმე იმაში გახლდათ, რომ მან მომავალშიც გააგრძელა ულტიმატუმებთან მიახლოებული მოთხოვნების წაყენება ჰიტლერისათვის — თვით თავისი გადადგომის მუქარით, სახელდობრ, საჭირო უკანდახევებთან დაკავშირებით და სხვ. მათგან ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც იყო შეიარაღებული ძალების რეორგანიზაციის მოთხოვნა უმაღლესი მთავარსარდლობის სტრუქტურის შეცვლასთან ერთად. ჩვენი პირადი შეხედულებით მანშტაინს სურდა თვითონ დაეკავებინა აღმოსავლეთის ფრონტის მთავარსარდლის პოსტი დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების მიღების უფლებით.

როდესაც ჰიტლერმა ეს ირწმუნა, მან უმალ საჭიროდ ჩათვალა მისი თავიდან მოცილება. 1944 წლის მარტის დასასრულს მან ობერზალცბურგში გამოიძახა ფელდმარშალი, დააჯილდოვა იგი რაინდული ჯვრით მუხის ფოთლებით და ხმლებით, დაასაჩუქრა დიდი ფულადი თანხით და ბრწყინვალე მამულით გერმანიაში და... ყველაფერთან ერთად გაათავისუფლა სამხედრო უწყებიდან. „ასე ჩემო მანასეო, ხან ისე და ხან ასეო", უთქვამს ქართულ ანდაზას.

ამის შემდეგ მანშტაინმა თითქმის 30 წელი იცხოვრა. ომის დამთავრებისას ის ინგლისელებს ჩაუვარდა ხელთ. მათმა სამხედრო ტრიბუნალმა მას 18 წლის პატიმრობა მიუსაჯა ჰამბურგში, მაგრამ საზოგადოებრიობის პროტესტის გამო სასჯელი ჯერ 12 წლამდე შეამცირეს, ხოლო 1952 წლის 7 მაისს საერთოდ გაათავისუფლეს.

ფელდმარშალმა მანშტაინმა თავისი სიცოცხლის ბოლო წლები მოგონებების წერას დაუთმო, თუმც დასავლეთ გერმანიის არმიის — ბუნდესვერის — შექმნაშიც მონაწილეობდა მრჩევლის რანგში.

მანშტაინი გახლავთ ავტორი ორი გახმაურებული მონოგრაფიისა: **„დაკარგული გამარჯვებები"** და **„ჯარისკაცის ცხოვრებიდან"**, რომლებშიც იგი კედლებზე აკრავს ჰიტლერს და ყველაფერს მას აბრალებს. კ. ზასლაკის ენციკლოპედიურ ლექსიკონში ნათქვამია, რომ „სამხედრო ისტორიკოსთა და თანამშრომელთა უმრავლესობის აზრით, - მანშტაინი — იყო მე-2 მსოფლიო ომისდროინდელი გერმანული არმიის

ყველაზე ტალანტური მეთაური".[1]

დაახლოებით ანალოგიურ სიბრტყეში წარმოიდგინება გენერალ-ფელდმარშალი **ერვინ იოჰან იოგენ** რომმელიც. იგი გიმნაზიის დირექტორის შვილი გახლდათ. ადრე შევიდა არმიაში (1910 წ.) და მონაწილეობდა 1-ელ მსოფლიო ომში. იქ გამოჩენილ მამაცობისათვის დაჯილდოებული იყო რკინის ჯვრის I და II ხარისხის ორდენებით და გამორჩეული ორდენით - „პოურ ლე მერიტე", რომელიც, ნაცისტ ლიდერთა თუ გენერალთა შორის მხოლოდ გერინგს გააჩნდა თუ არ ვცდებით კიდევ.

ომებს შორის პერიოდში სხვადასხვა სამხედრო თანამდებობა ეკავა, მათ შორის სამხედრო აკადემიის მასწავლებლობაც, მაგრამ საყოველთაო ყურადღება მიიპყრო წიგნის გამოქვეყნებით, რომლის სახელწოდება იყო - „ქვეითი ჯარი შეტევაზე". პუბლიკაციამ ჰიტლერის მხრივ, დიდი ყურადრება მიიპყრო, რის გამოც იქვე დანიშნა იგი თავისი პირადი დაცვის ბატალიონის მეთაურად, ხოლო შვეიცარიაში წიგნი შეიქნა ქვეითი ჯარის დამხმარე სახელმძღვანელოდ.

სუდეტის კრიზისის დღეებში რომმელი გვერდით ედგა ჰიტლერს, როგორც თანმხლები ბატალიონის უფროსი, ხოლო პოლონეთის კამპანიის პროცესში წარმოადგენდა მისი საველე შტაბის კომენდატს. ორთავე შემთხვევაში რომმელს საშუალება ეძლეოდა ჰიტლერის გარემოცვაში ყოფნისა, რაც იყო შანსი მის თვალთახედვაში არსებობისა.

საფრანგეთთან ომის პროცესში უკვე გენერლის ჩინში რომმელი მეთაურობდა მე-7 სატანკო დივიზიას, რომელმაც გაანადგურა ფრანგთა ორი დივიზია და მოიგერია ინგლისელთა შემოტევა. ამ მოკლე დროის განმავლობაში მისმა დივიზიამ 100 ათასზე მეტი ტყვე აიყვანა (მათ შორის 5 ადმირალი და 17 გენერალი) და ხელთ იგდო: 458 ტანკი და ჯავშანმანქანა, 341 ქვემეხი და 15 თვითმფრინავი.[22] ყოველივე აღნიშნულის საფუძველზე ერვინ რომმელი შევიდა გერმანიის სამხედრო ელიტარულ წრეში და მიიღო მომდევნო მხედრული ჩინები — გენერალ-ლეიტენენტისა და გენერალ-პოლკოვნიკისა.

მალე საფრანგეთზე გამარჯვებიდან, კერძოდ კი — 06.02.41. — ჰიტლერმა მას მიანდო საომარ მოქმედებათა ურთულესი უბანი — ჩრდილო აფრიკა, სადაც კატასტროფამდე იყო მისული გერმანიის მთავარი მოკავშირის - იტალიის სამხედრო მანქანა, რის გამო ბენიტო მუსოლინიმ რამდენჯერმე სთხოვა დახმარება ჰიტლერს. ის გარემოება, რომ გერმანიის ფიურერმა — აფრიკაში გასაგზავნი სამხედრო ნაწილების უფროსის პოსტზე თავისი არჩავანი რომმელზე გააკეთა, თავისთავად

---

[1] Залесский.ук. соч., 266

[2] Там же, 344

მეტყველებს გენერლის აღიარებაზე, რამეთუ იქ, აფრიკის უდაბნოში არათუ პანლურნაცემი იტალიელები უნდა გადაერჩინათ, არამედ მთელი მსოფლიოს თვალში გამოჩენილიყო ნაცისტური გერმანიის სამხედრო პრესტიჟი, რომელიც უნდა ყოფილიყო არანაკლები ნაციონალ-სოციალიზმის სახელმწიფოებრივი წარმატებულობის.

სავარაუდოა, რომ ჰიტლერს ეს გადაწყვეტილება დაუფიქრებლად, ასე ვთქვათ, ჰაი-ჰარად არ მიუღია. ამაზე მეტყველებდეს უნდა ის გარემოება, რომ მან ამ საქმისათვის რომმელი მანამდე „მოამზადა", რაც იმაში გამოიხატებოდა, რომ 1942 წლის იანვარში მას მიანიჭა გენერალ-ობერსტის ანუ არმიის გენერლის ჩინი, რაც ესოდენ უჩვეულო ჩანდა შედარებით „მშვიდობიან" ვითარებაში, იმის გათვალისწინებით, რომ წინა სამხედრო ჩინი რომმელმა სულ რამდენიმე თვის წინ მიიღო — საფრანგეთის კამპანიის დამთავრების შემდეგ.

ასე და ამგვარად ახლადგამომცხვარი გენერალ-ობერსტი აფრიკაში აღმოჩნდა გერმანიის კორპუსის მეთაურის პოსტზე, რომელსაც დაუქვემდებარეს საკმაოდ შებერტყილი იტალიური ნაწილებიც. ასე გადაიქცა ჩრდილო აფრიკა თავისებურ „ედემის ბაღად" რომმელისათვის, სადაც ბოლომდე გაიფურჩქნა მისი სამხედრო ტალანტი და მას მხედრული სტრატეგიისათვის - „უდაბნოს მელა" შეარქვეს.

როგორც კი შექმნილ ვითარებას გაეცნო, იგი აღარ დაელოდა თავისი აფრიკული კორპუსის ბოლომდე შევსებას და ერთი თვის თავზე — 1941 წლის მარტში შეტევაზე გადავიდა ინგლისელთა წინააღმდეგ და ჯერ ბენგაზი დაიკავა, ხოლო მალე ტობრუკს შემოარტყა ალყა, რომლის გარნიზონისათვის უკვე შეერქმიათ - „ტობრუკის ვირთხების" სახელი. გააფთრებული ბრძოლების შემდეგ — 1942 წლის 21 ივნისს — გერმანელებმა დაიკავეს ტობრუკი, ხელთ იგდეს რა ტყვედ მთელი მისი დარჩენილი გარნიზონი — 33 ათასი კაცის რაოდენობით. ამის შემდეგ გზა ეგვიპტისაკენ გასხნილი იყო. უსაღზვროდ გახარებულმა ჰიტლერმა მეორე დღესვე უბოძა გენერალ-ფელდმარშლობა ამ სამხედრო „სასნაულის" გმირს — ერვინ რომმელს. მან ეს ჩინი დაახლოებით მანშტაინთან ერთად მიიღო, სულ ერთი კვირით დაასწრო რა მას.

ქაიროსა და ალექსანდრიისაკენ გზა კი გაიხსნა, მაგრამ რომმელის არმიებს საწვავი და საჭურველი შემოაკლდა, თუმც მასრა-მატრუხი მაინც დაიკავა, შეიჭრა რა ეგვიპტეში. მის დედაქალაქამდე ერთი „გადარბენა" რჩებოდა, მაგრამ ამ დროს მას ავადმყოფობამ შემოუტია და იძულებული შეიქნა ასეთ მძიმე ვითარებაში გერმანიაში წასულიყო სამკურნალოდ.

ამასობაში, უ. ჩერჩილმა, რომელიც იმ დროს ამერიკიდან ინგლისში მიფრინავდა რუზველტთან მორიგი მოლაპარაკების

შემდეგ, მოულოდნელი გადაწყვეტილება მიიღო ატლანტის ოკეანის თავზე — ეგვიპტეში ჩაფრენილიყო და იქ მყოფი მთავარსარდლობის რეორგანიზაცია მოეხდინა. მან მოხსნა იქაური მთავარსარდალი, გენერალი არჩიბალდ უევილი და მის ნაცვლად გენერალი — ჰაროლდ ალექსანდერი დააყენა, ხოლო მე-8 არმიის სარდლად დანიშნა გენერალი - ლორდი მონტგომერი, შემდეგში ორთავე ცნობილი ფელდმარშალი დიდი ბრიტანეთისა.

ჩერჩილის მიერ ჩატარებულმა „საკეისრო კვეთამ“ უჩვეულო ნაყოფი გამოიღო. სახელდობრ, უკვე ოქტომბრის თვეში, ახალდანიშნულმა ინგლისელმა გენერლებმა დიდი ბრძოლა მოუგეს „ღერძის სახელმწიფოთა“ აფრიკულ ძალებს ელ-ალამიანთან, რომელიც, საერთოდ ბრიტანელთა პირველი სარიოზული გამარჯვება იყო მონინააღმდეგეზე მეორე მსოფლიო ომის განმავლობაში.

გაბოროტებულმა ჰიტლერმა სასწრაფოდ დააბრუნა აფრიკაში თავისი „ყოჩი“ - გენერალი რომმელი, - რომელმაც კიდევ მოახერხა თავის გამოჩენა, მაგრამ მდგომარეობა სერთოდ ვეღარ იხსნა, მით უმეტეს რომ იქვე, ნოემბრის დამდეგს, ამერიკელემბა თავისი პირველი დიდი საზღვაო ოპერაცია განახორციელეს - „ოპერაცია ტორჩის“ - სახელწოდებით, როდესაც დესანტი გადასხეს მაროკოში და იქ „შემომატებულ“ ინგლისელებთან ერთად შეტევა წამოიწყეს აღმოსავლეთის მიმართულებით — ალჟირისაკენ.

რა რომ ჰიტლერმა იგრძნო რომმელის უძლურება — თვალი გაესწორებინა გაძლიერებული და უსაშველოდ გამრავლებული მეტოქისათვის, მით უმეტეს რუსეთში მისთვის შექმნილი სიტუაციის ვითარებაში, როდესაც მის არმიებს მძიმე პრობლემა შეექმნათ სტალინგრადთან და დონზე, როდესაც ვეღარ მარაგდებოდა ალყაში მოქცეული პაულიუსის მე-6 არმია, რამაც ზეგავლენა მოახდენა რომმელის აფრიკული არმიის მომარაგებაზეც, გამომდინარე პრინციპიდან - „своя рубаха ближе к телу“, მან მომდევნო 1943 ნლის მარტში ერვინ რომმელი გერმანიაში გაიწვია ტუნისიდან, თითქოსდა მკურნალობის მიზნით, თუმც დააჯილდოვა რაინდის ჯვრით — მუხის ფოთლებით, ხმლებით და ბრილიანტის თვლებით.

მალე, ერთგვარი მკურნალობის გავლის შემდეგ, რომმელი დაინიშნა საარმიო ჯგუფის - „ბ“-ს მთავარსარდლად, ცენტრით მიუნხენში, თუმც სულ მოკლე დროის განმავლობაში ის გადატანილ იქნა ჩრდილოეთ იტალიაში, ხოლო თვით ფელდმარშალი ჩრდილო-დასავლეთ ევროპის — დანია, ნიდერლანდები და ჩრდილო საფრანგეთის — საჯარისო ნაწილების მთავარსარდლად განაწესეს, რომლის პროცესში მან გამოიცნო მოკავშირეთა მხრივ მეორე ფრონტის გახსნის სავარაუდო

ადგილი ნორმანდიაში, რომელიც მასზე ადრე დაასახელა გენერალმა დე გოლმა — ინგლისში ამერიკის ელჩის — ჯ. უაინანტის შეკითხვაზე.

შესაბამისად თავისი გააზრებისა, რომმელმა დაიწყო ნორმანდიის გამაგრება, რაც გულისხმობდა ძლიერ ჯავშანსატანკო შენაერთების შექმნასაც. ამ მიზნით იგი ხშირად გადიოდა სავარაუდო ფრონტის ხაზზე, რომლის პროცესში ერთი ასეთი ინსპექტირებისას მისი მანქანა შემჩნეულ იქნა ინგლისელი მფრინავის მიერ (17.07.44), რომელმაც ტყვიამფრქვევით დაცხრილა იგი და მძიმედ დაჭრა ფელდმარშალი ხერხემლის არეში.

ვიდრე მანამდე, რომმელმა, რუნშტედტთან ერთად ორჯერ მიმართა ჰიტლერს — 17 და 29 ივნისს — შემდეგი წინააღმდეგობის გაწევის უაზრობის თაობაზე, მაგრამ ორივე შემთხვევაში კატეგორიული უარი და შეურაცხმყოფელი პასუხი მიიღო. მალე მას შემდეგ შტაუფენბერგის ბომბის აფეთქებაც მოხდა. საქმის გამოძიებისას რამელიღაც პატიმარმა მისი გვარიც დაასახელა შეთქმულთა შორის. ჰიტლერმა ამჯერად უკვე აღარ აპატია მას „ღალატი" და 14.10.44. ორი გენერალი მიუგზავნა თავის მოსაკლავად — ვ. ბურგდორფი და ე. მაიზელი. მათი ულტიმატუმის ქვეშ ფელდმარშალმა დაასრულა კიდეც სიცოცხლე - „ვაგნერშულეს" სამხედრო ჰოსპიტალში, ამდენი გამარჯვებისა და წარმატებათა შემდეგ. მავრს თავისი მოვალეობა უკვე აღსრულებული ჰქონდა. ისედაც განწირულ ჰიტლერს დახმარებისა და გვერდზე დგომის იმედი საბოლოოდ დაკარგული ჰქონდა. მას ხომ აღარაფრად მიაჩნდა წარსულში აღარავის დამსახურება. განა საყურადღებოდ არ უნდა ჩანდეს ის გარემოება, რომ მან თვითმკვლელობამდე არცერთი ძველი ფელდმარშალი აღარ შეინარჩუნა გვერდით, სამი თუ ოთხი მათგანი დასაჯა „20 ივლისის" შეთქმულებასთან დაკავშირებით და ომი „დაამთავრა" გენერალთა მომდევნო თუ ახალი თაობის მონაწილეობით (შერნერი, ფუნკი, შტაინერი და სხვ.).

დასასრულს, რომმელთან დაკავშირებით კიდევ რამდენიმე სიტყვა გვინდა ვთქვათ. ჯერ იყოდა მან საოცარი ამაჩუყებელი, თუმც მომაკვდინებელი სიტყვებით მომართა მასთან „სტუმრად" მისულ გენერლებს: „კეთილი, მე აღვასრულებ ჰიტლერის სურვილს და მოვიკლავ თავს, მაგრამ ვიდრე მანამდე მინდა გკითხოთ თუ რა სინდისით და რა მიზნებში ემსახურებით რეჟიმს — გერმანიის აგონიის გახანგრძლივების რეალობისას, როდესაც შინ თუ ფრონტზე უაზროდ იღუპება ამდენი ადამიანიო?"

გენერლები ენაჩავარდნილნი უსმენდნენ ფელდმარშლის შეგონებას.

და კიდევ ერთი: რომმელის დაკრძალვა უჩვეულო სამოქალაქო პატივის ვითარებაში ჩატარდა: პროცესიას ამშვენებდა ყველა დარჩენილი

(თუ გადარჩენილი) გენერალ-ფელდმარშალი. ისინი ამ აქტით არამარტო გარდაცვლილ კოლეგას აბარებდნენ მიწას, არამედ უფსკრულის პირას მდგომ ნაცისტურ რაიხსაც, თუმც ფელდმარშალმა რუნშტედტმა თავის გამოსამშვიდობებელ სიტყვაში მაინც სცადა შექმნილი უხერხულობის შელამაზება: „ულმობელმა ბედისწერამ გამოგვგლიჯა იგი ხელიდან. მისი გული ფიურერს განეკუთვნებოდაო."[1]

ხომ ასეთ შემთხვევაში იტყვიან - „ნეტარ არიან მორწმუნენიო".

ვიდრე ჰიტლერის უახლოეს ფელდმარშალთა გაცნობას დავამთავრებდეთ, გვინდა კიდევ ერთ მათგანზე გესაუბროთ შედარებით დანვრილებით, რამდენადაც მიგვაჩნია, რომ გენერალთაგან საერთოდ იგი ჰიტლერთან პირადად ყველაზე ახლოს იყო და მისი თანამოაზრე გახლდათ ჯერ კიდევ 1932 წლიდან. მისი რეკვიზიტია — ფელდმარშალი **ვალტერ ფონ რაიხენაუ**. ის თავისებური მოკავშირე გახლდათ გნსმპ-სა და რაიხსვერს შორის, ისევე როგორც ვერმახტისა მოგვიანებით.

ვალტერ რაიხენაუ 1884 წელს დაიბადა გენერლის თუ დიპლომატის ოჯახში (?)[2] ის ახალგაზრდა შესულა ჯარში (1902 წ.) შემდეგ დაუმთავრებია სამხედრო აკადემია და მიუღია ლეიტენენტის ჩინი. I მსოფლიო ომში მონაწილეობდა მისი დაწყებიდანვე. იგი მოხვედრილა ჰინდენბურგისა და ლუდენდორფის მიერ ბრწყინვალედ ჩატარებულ კამპანიაში მაზურის ტბებთან (აღმოსავლეთ პრუსია), სადაც ალყაშემორტყმული და განადგურებული იქნენ გენერლების — სამსონოვისა და რენენკამპფის რუსული არმიები, რომლის შემდეგ მისი მხედრული კარიერა სწრაფი ტემპით წასულა წინ, მით უმეტეს როდესაც ის მოხვედრილა მომავალი თავდაცვის მინისტრის — გენერალ ბლომბერგის სამხედრო ოკრუგში — ოფიცრად საარმოი შტაბში. ბლომბერგის სამხედრო მინისტრად დანიშვნის შემდეგ 1933 ნლის იანვარში რაიხენაუ გადაყვანილ იქნა სანიმისტროში ჯერ განყოფილების უფროსის მოადგილედ ხოლო სულ მალე — განყოფილების უფროსად, რომელსაც სამინისტროს სამმართველო ეწოდებოდა და მის (ანუ სამინისტროს) ცენტრალურ განყოფილებას წარმოადგენდა. მან ამ პოსტზე შეცვალა გენერალი ფონ ბრედოვი.

ამის შემდეგ რაიხენაუ, როგორც ჰიტლერთან დაახლოებული პირი, აქტიურ მონაწილეობას ღებულობს „გრძელი დანების ღამეში", ხოლო მომდევნო თვეში პრეზიდენტ ჰინდენბურგის გარდაცვალებისას, სამხედრო ფიცის ტექსტს უწერს ადოლფ ჰიტლერს. ამ უკანასკნელმა არ დაივიწყა რაიხენაუს ეს „დამსახურება" და უკვე 1935 წელს მიანიჭა მას

---

[1] ЭТР (მესამე რაიხის ენციკლოპედია), 415

[2] ЭТР იტყობინება დიპლომატისო (გვ. 399), ხოლო ზალესკის ბიოგრაფიულ-ენციკ-ლოპედიურ ლექსიკონში აღნიშნულია — გენერლის ოჯახში (გვ. 329).

გენერლობა და მალე სახმელეთო ძალების (OKH) გენშტაბის მეთაურს პოსტზეც კი წარადგინა, მაგრამ ამის წინააღმდეგი წავიდნე არმიის უფროსი ჩინები (რუნშტენდტი და ბოკი), რაც განმეორდა 1938 წელსაც. ეს ჩვენთვის უკვე ცნობილია.

ამის სამაგიეროდ, ჰიტლერმა ჯერ კორპუსის, ხოლო შემდეგ არმიის მეთაურად დანიშნა, რომლის რანგში იგი მონაწილეობდა ავსტრიის, სუდეტის ოლქისა და პოლონეთის კამპანიებში. ამ უკანასკნელის პროცესში, რაიხენაუს არმიამ დაიკავა და გაანადგურა ვარშავა. მისმა შენაერთებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს იქ — ებრალეთა ხოცვა-დარბევებში.

ამ დროისათვის რაიხენაუ უკვე გენერალ-პოლკოვნიკი შეიქნა და მის არმიას ერთ-ერთი წამყვანი როლი უნდა ეთამაშა საფრანგეთის კამპანიაში, მაგრამ გენერალ მანშტაინის „აბორტის" გამო, რომლითაც დარტყმის მთავარი აქცენტი ცენტრში იქნა გადატანილი, იგი შედარებით მეორეხარისხოვანი როლით დაკმაყოფილდა, თუმც ბელგია-ჰოლანდიის დაპყრობა-დამორჩილება მისი დამსახურება გახლდათ, რომლის შემდეგ მას „დიუნკერნის ნამცხვრის" ნაჭერიც კი ხვდა წილად, როდესაც მისი საარმიო ჯგუფი მარჯვენა ფლანგს უმაგრებდა რუნშტედტის არმიას.

ყველაფერი აღნიშნულისათვის, კამპანის დამთავრებისთანავე, ჰიტლერმა, 1940 წლის 19 ივლისს, სხვა კიდევ 11 გენერალთან ერთად რაიხენაუსაც უბოძა ფელდმარშლის წოდება. ალბათ ამ გარემოებით იყო გამონვეული ვითარება, როდესაც დაჯილდოების ცერემონიალზე დადგენილი „განრიგით" დაწყობის პროცესში, რომლის მიხედვით რაიხენაუ ფელდმარშალ რუნშტედტის გვერდით უნდა დამდგარიყო მასსა და ფელდმარშალ ბოკს შორის, მათზე განაწყენებულმა რაიხენაუმ კატეგორიული უარი განაცხადა მითითების შესრულებაზე და ფელდმარშალთა რიგის ბოლოში დადგა ჰიტლერისაგან საკმაოდ დაშორებით — ფელდმარშალთა მეორე ნაწილის დასასრულში (ფიურერი შუაში იდგა გერინგთან ერთად).

საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ წამოწყებულ ომში ის დასაწყისში არმიას მეთაურობდა „სამხრეთის" ფრონტზე (უკრაინაში), მაგრამ უკვე 1941 წლის დეკემბერში მან ფრონტის მთავარსარდლის პოსტი დაიკავა ფელდმარშალ ჰერდ რუნშტედტის გადაყენებასთან დაკავშირებით, რაც ჰიტლერის მიერ ჩაფიქრებულ გადაწყვეტილებას უნდა წარმოადგენდეს (!). რუნშტედტზე „შურისძიება" რაიხენაუს დიდხანს არ უზეიმია. დაახლოებით ერთი თვის თავზე, კერძოდ კი — 12 იანვარს (1942 წ.) მას ინფარქტი შეემთხვა. ლაიფციგში გადაყვანის პროცესში მის თვითმფრინავს ავარია მოუვიდა, რომლის დროს მას მძიმე ტრამვა მოუხდა თავის ქალის არეში, რომლის შედეგად იგი ლაიფციგის

კლინიკაში მიყვანამდე გარდაიცვალა. იმ დროისათვის მას 60 წელიც კი არ შესრულებოდა.

ფელდმარშალთა რიგი კიდევ საკმაოდ გრძელი გახლავთ. იგი თითქმის სამ ათეულს შეადგენს, რომელთა შორის არიან სხვა სახეობათა წარმომადგენლებიც (ფლოტი, ავიაცია), თუმც ისინი სხვა ტიტულებს ატარებდნენ (გროსადმირალთა და ავიაციის მარშალთა სახით). ვიდრე მათი წარჩინებული სეგმენტის გაცნობას შევუდგებოდეთ, გვსურს გენერალ-ფელდმარშალთა კიდევ ნაწილის წარმოდგენა: გიუნტერ ჰანს ფონ კლუგე, პაულ ლუდვიგ ევალდ ფონ კლაისტი, ვილჰელმ იოზეფ-ფრანც ფონ ლეები, ვალტერ მოდელი, ვილჰელმ ლისტი და ერვინ ფონ ვიცლებენი, რომლების ხვვადასხვა დროს იყვნენ არმიათა, საარმოი ჯგუფებისა და თვით ცალკეულ ფრონტთა მთავარსარდლები, რომლებმაც მე-2 მსოფლიო ომის მძიმე ტვირთი ატარეს, რისთვისაც სამაგალითოდ დაისაჯნენ, დაიხოცნენ რა რუსეთის ციხე-საპატიმროებში და კოლონიებში, ისევე როგორც მოკავშირეთა საპყრობილეებშიც.

ფლოტის ადმირალთაგან გამოვყოფდით ორ გროსადმირალს: **რედერსა** და **დენიცს**. ამ უკანასკნელის შესახებ, რომელიც ჰიტლერის თვითმკვლელობისა თუ გაუჩინარების შემდეგ მისი მემკვიდრე შეიქმნა სახელმწიფოს მეთაურის პოსტზე, ჩვენ მეტ-ნაკლებად ვისაუბრეთ ზემოთ. იგი მართალია ტირპიცი არ იყო მეორე, მაგრამ რედერთან ერთად ნაცისტური ფლოტის, გამორჩევით წყალქვეშასი, ერთ-ერთი მთავარი კარიატიდთაგანი გახლდათ. ამიტომ იყო, რომ გერმანიის სამხედრო-საზღვაო ფლოტის მთავარსარდლის პოსტზე სწორედ მან შეცვალა გროსადმირალი ერიხ რედერი და არა როლფ კარლსმა, გროსადმირალმა და რაიხის ფლოტის ერთ-ერთმა ყველაზე გავლენიანმა ადმირალმა, რომელიც რედერმა 1943 წელს დენიცთან ერთად დაასახელა თავისი შემცვლელის თანამდებობაზე.

ჰიტლერის ეს გადაწყვეტილება როლფ კარლსმა გააპროტესტა, პირდაპირ პირში მიახალა რა ფიურერს, რომ „თქვენ დენიცს ნიშნავთო თავგამოდებული ნაცისტობისათვისო“, რის გამოც განრისხებულმა ჰიტლერმა იგი სამხედრო უწყებიდან დაითხოვა. კარლსი მართალი იყო, რამეთუ იმ დროისათვის დენიცი მხოლოდ ადმირალი იყო, ხოლო კარლსი — გროსადმირალი. ამასთან ერთად იგი სახელმოხვეჭილი საზღვაო სტრატეგიც იყო: ნორვეგიის წარმატებული კამპანია სწორედ მან დააპროექტა და განახორციელა 1940 წ., რიმლითაც დიდი „ფორა“ შეუქმნა გერმახიის ფლოტს ინგლისელთა წინააღმდეგ.

რაც შეეხება გროსადმირალ **ერიხ რედერს**, იგი მართლაცდა მეორე ტირპიცი იყო, რომელსაც უდიდესი როლი მიუძღოდა სამხედრო-საზავო ფლოტის მშენებლობისა და განვითარების საქმეში. მკითხველს გვინდა

შევახსენოთ რედერის სამხედრო ხელმძღვანელობის განხორციელებული ოპერაციები: - 1939 წელს, „ბისმარკის", „გრაფ შპეესა" და სხვათა „თარეში" ატლანტის ოკეანეში, იგივე ნორვეგიის საზღვაო ოპერაცია და სხვა.

ერიხ რედერი გერმანიის სამხედრო ძლების ერთ-ერთი ყველაზე მხცოვანი ოფიცერი გახლდათ. იგი 1876 წელს იყო დაბადებული, დამთავრებული ჰქონდა ქ. კილის სამხედრო-საზღვაო სასწავლებელი და მეზღვაური უკვე 1895 წლიდან გახლდათ. უკვე 1897 წელს სახაზო ოფიცრად განწესდა ხომალდ „საქსონიაზე" საიდანაც ის მალე გადაიყვანეს სახაზო გემზე - „დოიჩლანდზე", რომელიც კაიზერის ძმის - პრინც ჰაინრიხის ფლანგმანი ყოფილა.

1905 წელს რედერი ამთავრებს სამხედრო-საზღვაო აკადემიას და რუსეთში მიემგზავრება რუსული ენის შესწავლის მიზნით (!). იქიდან მობრუნებული ჯერ საზღვაო ჟურნალებს - „ნაუტილუსსა" და „საზღვაო მიმოხილვას" რედაქტორობს, ხოლო მოგვიანებით ვილჰელმ II-ის იახტის შტურმანი ხდება.

I მსოფლიო ომში მონაწილეობს ცნობილ საზღვაო ბრძოლებში — დოგერ-ბანკთან (1915 წ.) და იუტლანდიისაში (1916 წ.), ხოლო 1918 წელს უკვე მსუბუქი კრეისერის - „კელნის" კაპიტანია. 1920 წელს მან მონაწილეობა მიიღო კაპის პუტჩში, რისთვისაც მკაცრად დასაჯეს და ლამის არმიიდან არ გაუშვეს. იგი გადაიყვანეს ფლოტის არქივში, სადაც რედერმა უჩვეულო მეცნიერული გამოკვლევები ჩაატარა საზღვაო სტრატეგიაში, მიიპყრო რა ყურადღება არა მარტო გერმანიაში, არამედ მის საზღვართა მიღმაც.

1923 წელს სამხედრო-საზღვაო ფლოტის ხელმძღვანელობამ ისევ წყალობის თვალით გადახედა რედერს და იგი საზღვაო ფლოტის სასწავლებელთა ინსპექტორად ინიშნება, ხოლო მომდევნო წელს — საკრეისერო ფლოტის მეთაურად. 1925 წელს რედერი სათავეში ჩაუყენეს ბალტიის ფლოტს, თუმც კაცმა რომ თქვას, სხვა ფლოტი გერმანიას არც კი ჰყავდა.

1927 წელს გერმანიაში გათამაშდა ე.წ. - „ლიმანის სკანდალი", რომელმაც გამოაშკარავა, რომ მიუხედავად ვერსალის საზავო ხელშეკრულების მკაცრი შეზღუდვებისა, გერმანიაში სამხედრო ფლოტის მშენებლობა ფარულად მაინც სწარმოებდა — შინ თუ ქვეყნის გარედ. ამას მოჰყვა დიდი რეორგანიზაცია ფლოტში და 01.10.28. იგი დაინიშნა სამხედრო-საზღვაო ხელმძღვანელობის მეთაურად, ხოლო კიდევ რამდენიმე წლის შემდეგ (1935 წ.) კი — სამხედრო-საზღვაო ფლოტის მთავარსარდლად, რომელზეც ის თითქმის რვა წელი იმყოფებოდა. მისი თავკაცობით ხდება გერმანიის სამხედრო ძალების გადაიარაღება,

როდესაც ომამდე მწყობრში იქნა ჩაყენებული სახაზო ხომალდები და კრეისერები, როგორც იყო - „ბისმრკი“, „ტირპიცი“, „გნეიზენაუ“, „შარნჰორსტი“, „ბლიუხერი“, „ჰიპერი“ და ა.შ.

ერიხ რედერმა ნაციონალ-სოციალისტების რეჟიმის პირობებშიც კი შეინარჩუნა პირადი დამოუკიდებლობა, იმის მიუხედავად, რომ იძულებული გახდა ნაცისტური პარტიის წევრი გამხდარიყო. ასე მაგალითად, ის იცავდა და მთავარსარდლობდა ებრაელ საზღვაო ოფიცრებს, ყოველნაირად ცდილობდა გესტაპოსა და „სს“-ის თანამშრომელთა ფლოტში მოხვედრის თავიდან აცილებას და სხვ. ბოლოს და ბოლოს ეს ცნობილი გახდა ჰიტლერისათვის, რომელსაც არაფრად მიაჩნდა წარსულის დამსახურება, რასაც და რაც მთავარია თან დაერთო რაიხის ორთავე სახის ფლოტის გაზრდილი დანაკარგები (მაგალითისათვის წყალქვეშა ფლოტმა მარტო ატლანტიკაში 820 ერთეულიდან 781 ხომალდი დაკარგა, 32 ათასი მეზღვაურითა და ოფიცრით — 39 ათასიდან),[1] ისე როგორც არ დაყრია ხეირი არც წყალზედა ფლოტს.

ყოველივე ნათქვამის შედეგი გახლდათ რედერის გათავისუფლება ფლოტის მთავარსარდლობიდან (30.01.43.), თუმც მას შეუთავსეს საკმაოდ საპატიო პოსტი სამხედრო-საზღვაო ფლოტის მთავარი ინსპექტორისა.

ომის დამთავრებისას ადმირალი და მისი ცოლი — საბჭოთა ჯარების ტყვეობაში მოხვდნენ. ნიურნბერგში რედერს მძიმე სასჯელი გამოუტანეს — მუდმივი პატიმრობის სახით და ის მას შპანდაუს საპყრობილეში იხდიდა სხვა მსჯავრდებულებთან ერთად.

1955 წელს რედერი გაათავისუფლეს სუსტი ფიზიკური მდგომარეობის გამო. იმ დროს იგი 80 წლისა ხდებოდა. ამის შემდეგ მან კიდევ თითქმის ხუთი წელი იცხოვრა და 1960 წლის დეკემბერში გარდაიცვალა 85 წლის ასაკში. მან შთამომავლობას საკმაოდ საინტერესო მოგონებები დაუტოვა - **„ჩემი ცხოვრების“** სახელწოდებით.

ამჯერად გვინდა რაიხის საჰაერო ფლოტს შევეხოთ, რომელმაც მე-2 მსოფლიო ომში უდიდესი აღიარება ჰპოვა და სერიოზულად განაპირობა გერმანიის შეიარაღებული ძალების გამარჯვებები განსაკუთრებით მის საწყის ეტაპზე, ვიდრე ანტიჰიტლერული კოალიციის სამხედრო მრეწველობამ ტექნიკურად და რაოდენობრივად არ დასჯაბნა იგი. ამის მიუხედავად მიგვაჩნია, რომ გერმანიის ავიაციამ მაინც მოგვცა კოლორიტული და დასამახსოვრებელი ფიგურანტები, როგორც ხელმძღვანელობაში, ასევე ერთპიროვნული ასების სახით.

ამ უკანასკნელებმა, როგორც ზემოთაც აღინიშნა სასწაულებრივი

---

[1] Залесский, ук. соч., 162

მამაცობა გამოიჩინეს: 94-მა მათგანმა ერიხ ჰარტმანით სათავეში (პირადად მას 352 თვითმფრინავი ჰყავდა ჩამოგდებული, რომელთაგან 78 მან მარტო 1944 წლის აგვისტოში ჩამოაგდო და მათგან 19-ორ დღეში — 23-24 აგვისტოს.) მოწინააღმდეგეთა თითქმის 14.000 ერთეული (უფრო ზუსტად 13.997) გაანადგურა, ხოლო მარტო ჰანს ულრიხ რუდელმა — 532 ტანკი მოსპო და ჩაძირა საბჭოთა მძიმე კრეისერი „მარატი", მოახდინა რა — 2.530 საბრძოლო გაფრენა. დაგვეთანხმებით, რომ ძალზე საყურადღებო სტატისტიკაა![1] გერმანიას შეეძლო ეამაყა თავისი საჰაერო გმირებით. მარტო ის რად ღირს, რომ როგორც ჰარტმანი, ასევე რუდელიც, ჩამოგდებილნი საბჭოთა მფრინავების მიერ და ტყვედ მოხვედრილნი, გაიპარნენ ტყვეობიდან და დაუბრუნდნენ თავიანთ ნანილებს. ამასთანავე, ჰარტმანმა მტრის (ამ შემთხვევაში საბჭოთა) ბოლო თვითმფრინავი გერმანიის თავზე ჩამოაგდო 1945 წლის 8 მაისს, ხოლო რუდელი მანამდე ერთი თვით ადრე კიდევ ჩამოაგდეს და მან მაშინ ცალი ფეხი დაკარგა.

ახლა ჩვენ უფრო მსხვილმასშტაბიან თემაზე უნდა გადავიდეთ, კერძოდ, საჰაერო ფლოტის ხელმძღვანელობის დახასიათებაზე. მესამე რაიხის საჰაერო ფლოტი ნაცისტების ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ იწყებს ფორმირებას და უკვე 1935 წლისათვის მასში რამდენიმე ათასი თვითმფრინავი ირიცხებოდა. შეიძლება ის ფაქტი გავიხსენოთ, რომ ინგლისის მინისტრების — ჯ. საიმონისა და ა. იდენის ჰიტლერთან ვიზიტისას მან ასე მიმართა ჩამოსულ სტუმრებს: „თქვენ უნდა იცოდეთო, რომ გერმანიას ერთად აღებული თქვენსა და საფრანგეთზე მეტი თვითმფრინავი გააჩნიაო". და აი, ამ ავიაციამ, პოლონეთისა და, განსაკუთრებით, საფრანგეთის კამპანიათა პროცესში საოცრებები მოახდინა — ლამის არ აყოფინებდა რა თავს სანგრებიდან მტრის ჯარისკაცებს.

ამიტომ იყო, რომ გამარჯვებისთანავე — 1940 წლის 19 ივლისს ეიფორიაში მყოფმა ჰიტლერმა აღზევებულ ფელდმარშალთა სიაში ოთხი ასი შეიყვანა: გერინგი, კესერლინგი, მილხი და შპერლე, 1942 წელს ეს წოდება მიანიჭა გეორგ კარლ ფრიდრიხ ვილჰელმ ფონ კიუხლერს, ხოლო ომის დასასრულს კიდევ ორი დაუმატა მათ რიგებს, მიუხედავად ავიაციით საერთოდ უკმაყოფილებისა — რიხტოფენი და გრემი, ლუფტვაფეს ბოლო მთავარსარდალი გერინგის გადაყენების შემდეგ.

დავიწყოთ **ალბერტ კესერლინგით**, ყველაზე უხუცესით საჰაერო ასებს შორის ფელდმარშალთაგან. იგი ბავარიაში იყო დაბადებული 1885 წელს. თავდაპირველად არტილერიაში მსახურობდა, ავიაციაში თუმც მანამდე დაამთავრა გენშტაბის ოფიცერთა კურსები თუ სკოლა.

---

[1] ЭГР. 289

ითვლებოდა ავტორიტეტული ოფიცერ-გენშტაბისტად. ამიტომ იყო, რომ რაიხის ლუფტვაფეს მშენებლობის დაწყებისას მან მიიქცია ყურადღება გენერალ ვალტერ ვეფერისა — მესამე რაიხის სამხედრო-საჰაერო კონცეფციის ავტორისა და მისი მთავარი არქიტექტორის. მან კესერლინგი თავის მოადგილედ გადაიყვანა ავიაციის გენშტაბში, ხოლო მომდევნო 1936 წელს თვითონ ვეფერის ავიაკატასტროფაში მოხვედრისა და დაღუპვის შემდეგ, კესერლინგი გარდაცვლილის ნაცვლად დაინიშნა ჩინის მომატებით.

როდესაც ავიაციის მთავარსარდლობა დაწესდა 1938 წელს, იგი დაინიშნა 1-ლი მთავარსარდლობის - „აღმოსავლეთის" მეთაურად, რომელიც მომდევნო წელს გადაკეთდა 1-ელ საჰაერო ფლოტად მისივე ხელმძღვანელობით.

ძნელი ჩამოსათვლელია კესერლინგის მონაწილეობის პუნქტები მეორე მსოფლიო ომის პროცესში. ფიგაროსავით იგი ყველგან ჩნდებოდა: პოლონეთში, საფრანგეთში, „საჰაერო ომში" ინგლისისათვის და საბჭოთა კავშირშიც, მაგრამ, მაინც მისი „პროფესიული მოღვაწეობის უმთავრეს ასპარეზად, სამხრეთ გერმანია, იტალია და ხმელთაშუა ზღვა რჩებოდა. რაც ყველაზე მეტად მისანიშნებელია კესერლინგის საჰაერო ფლოტი უზრუნველყოფდა ერვინ რომმელის ოპერაციებს ჩრდილო აფრიკაში, რომელსაც მთლად წარმატებულად ვერ ჩავთვლით პირველ პირთა (კესერლინგი-რომმელი) არაკორექტულობის გამო ერთმანეთს შორის, რამაც შესამჩნევი კვალი დაამჩნია გერმანელთა აფრიკული კამპანიის საბოლოო წარუმატებლობას. კესერლინგი ვერ უზრუნველყოფდა საჭირო საწვავის რაოდენობით და საომარი ტექნიკითა და საჭურვლით აფრიკულ კორპუსს, რომლის გამოსწორების მიზნით იგი მოითხოვდა ინგლისელთა სამოქმედო კუნძულის — მალტის დაკავებას და ამით საჰაერო კომუნიკაციის შემცირებას ერთჯერადად. სიტყვიერი დუელი ორ ფელდმარშალს შორის რომმელის სასარგებლოდ გადაწყდა ბოლოს, მაგრამ საქმეს უკვე ველარ ეშველა.

კესერლინგმა მხრები მაქსიმალურად იტალიის კამპანიის პროცესში გაშალა, როდესაც იგი იქ მოქმედი გერმანიის ჯარების მთავარსარდლად დანიშნეს მუსოლინის დაპატიმრების შემდეგ 1943 წლის ივლისში. მან სწარაფად დაიკავა რომი და სხვა საკვანძო პუნქტები, მაგრამ მოკავშირეთა გადასხდომის შემდეგ აფრიკიდან სიცილიასა და მალე მას შემდეგ თვით იტალიაში, მისი ჯარების იქ ყოფნა გართულდა, განსაკუთრებით მეორე ფრონტის „ფილიალის" გახსნის შემდეგ სამხრეთ საფრანგეთში, რომელთა მარჯვენა ფლანგმა საფრთხე შეუქმნა კესელრინგის არმიას ზურგიდან და რომელსაც უკვე იმ დროისათვის ეწოდებოდა საარმოი ჯგუფი - „C".

კესელრინგი საკმაოდ წინდახედული სახმელეთო გენერალიც გამოდგა, მაგრამ არაჩვაულებრივად სასტიკ საოკუპაციო პოლიტიკასაც ახორციელებდა ერთდროულად. ასე მაგალითად, 1944 წლის მარტში მისი ბრძანებებით 335 მძევალი დახვრიტეს იტალიელ პარტიზანთა გერმანულ პატრულზე თავდასხმასთან დაკავშირებით, რაც მოგვიანებით საფუძველი შეიქნა მისთვის დახვრეტის განაჩენის გამოტანისა ე.წ. „მცირე ნიურნბერგის" ტრიბუნალის მიერ, თუმც იგი ამ სასჯელს გადაურჩა უ. ჩერჩილის შუამდგომლობის გამო (!?). მაგრამ, თავისთავად, საინტერესო ის გახლავთ, რომ ასე ვთქვათ მოქმედ თუ საველე ფელდმარშალთაგან (გარდა ჰიტლერის ლაქია OKW-ს მეთაურის — ფელდმარშალ კაიტელისა), სასამართლომ მხოლოდ კესელრინგს მიუსაჯა სასიკვდილო დასჯა.

ომის დასასრულს, როდესაც 22 აპრილიდან საბჭოთა ჯარების წინააღმდეგ მომქმედი გერმანიის არმიების ფაქტობრივი მთავარსარდალი შეიქნა, იგი ამერიკელებს ჩაბარდა, რომლებმაც ის დახაუს საკონცენტრაციო ბანაკში გამოამწყვდიეს (!). მიუხედავად ზემოხსენებულ სასიკვდილო განაჩენისა, კესელრინგი გაათავისუფლეს 1952 წელს, რომლის შემდეგ აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა ყოველგვარ პრონაცისტურ რევანშისტულ საქმიანობაში.

ის გარდაიცვალა 1960 წელს — ბად-ნიუჰაიმში, - 75 წლის ასაკში. 1954 წელს გამოსცა წიგნი - **„ჯარისკაცის ჩანაწერები"**.

არანაკლებ საინტერესოა ასევე ავიაციის ფელდმარშალ — ერჰარდ მილხის — ბიოგრაფია. საინტერესო გახლავთ იგი, როგორც პროფესიული, ასევე მორალურ-ზნეობრივი თვალსაზრისით. პროფესიულით იმიტომ, რომ რაიხის საჰაერო ფლოტში ნაკლებად (თუკი საერთოდ) იყო ვინმე მასზე დამსახურებული პიროვნება, ხოლო მეორე პოზიციიდან იმიტომ, რომ მას დედა ებრაელი ჰყოლია, მაგრამ როდესაც გესტაპომ საქმე გაახმაურა, გერინგმა, როგორც ზემოთ ითქვა ჯერ გაჰყარა გასტაპოელები კაბინეტიდან, ხოლო შემდეგ შექმნა ყალბი დოკუმენტები მისი ქრისტიანობის შესახებ — ესაოდა თითქოსდა მისი ნამდვილი დედა ამ სარწმუნოების წარმომადგენელი იყო, ხოლო ებრაელი იყო მამამისის მეორე ცოლი.

მილხი დაბადებული იყო 1892 წელს, დამთავრებული ჰქონდა სამხედრო სკოლა, მონაწილეობდა I მსოფლიო ომში და მამაცობისათვის მიღებული ჰქომდა რამდენიმე ჯილდო. ომი დაამთავრა მფრინავ-კაპიტნის ჩინით. მომდევნო წლებში მუშაობდა ორთავე ამერიკაში (აშშ, ბრაზილია, არგენტინა), თანამშრომლობდა „იუნკერსის " ფორმასთან, ხოლო 1925 წლიდან იყო მისი მთავარი მმართველი. მომდევნო წელს დაენიშნა „ლუფტჰანზას" მთავარ აღმასრულებელ დირექტორად. იმ დღეიდან

მოყოლებული, გადაყენებამდე 1944 წლის ივნისში — თავგამოდებული ემსახურებოდა საჰაერო ფლოტის მშენებლობას სხვადასხვა თანამდებობებზე თვით გერინგის მოადგილეობამდე.

აღნიშნულ გარემოებას ხელი შეუწყო მისმა დაახლოებამ ნაცისტურ მოძრაობასთან, კერძოდ კი გერინგთან და ჰიტლერთან, რომელთაც იგი დიდი ფინანსებით ამარაგებდა — თავის თუ სხვა ფინანსისტთა ჯიბის ხარჯზე. ყოველივე ამის წყალობით მის ხელთ მოექცა მესამე რაიხის ავიოფლოტის მთელი მშენებლობის პროცესი.

1938 წელს მილხი უკვე გენერალ-ობერსტია ანუ არმიის გენერალი და ავიაციის უფროს ჩინოსან ოფიცერთა შორის ერთ-ერთია ალბერტ კესელრინგთან და ჰუგო შპერლესთან ერთად. ამიტომ იყო, რომ საფრანგეთის კამპანიის დამთავრების შემდეგ სამთავე ერთად გახდა გენერალ-ფელდმარშალი.

მილხი მონაწილეობდა ყველა საბრძოლო კამპანიაში — პოლონეთში, საფრანგეთსა თუ ინგლისისათვის წარმოებული „საჰაერო ომის" დროს. ამ უკანასკნელში ის ასრულებდა მე-3 საჰაერო ფლოტის მთავარსარდლის მოვალეობას. ასევე იბრძოდა აღმოსავლთის ფრონტზე. 1941-1944 წლებში იყო ლუფტვაფეს გენერალური დირექტორი.

მაგრამ 1943 წლის ბოლოდან მილჰს შეექმნა სიძნელეები. ჯერ იყოდა საბოლოო წამრმატება არ ხვდა წილად მის მიერ მხარდაჭერილ გამანადგურებელ — ბომბდამშენის - „მე-269" კონვეირზე დაყენებას, ხოლო შემდეგ ფაქტობრივმა ეფექტმა ვერ გადაფარა გერმანიის ხარჯები მათი წარმოებისათვის აუცილებელ ფერად ლითონებზე, რომელიც გერმანიას ძალზე ჭიჭოდ გააჩნდა. და ბოლოს, მასსა და შპეერს შორის კონფლიქტი წარმოიშვა — ავიაციის მშენებლობის — როგორც სამხედრო მრეწველობის სახეობაზე, რომელშიც ჰიტლერმა მხარი ამ უკანასკნელს დაუჭირა.

ამ გარემოებას დაერთო მილხის მოხვედრა ავტოკატასტროფაში, რომელსაც მოჰყვა მისი სხეულის სეროიზული ტრამვა. იგი ჯერ სამინისტროს სტატს-მდივნობიდან გაათავისუფლეს, ანუ გერინგის მოადგილეობიდან (21.06.44.), ხოლო შემდეგ გენერალური ინსპექტორობიდან და რეზერვში გადაიყვაეს (08.01.45.)

1945 წლის 4 მაისს მილხი დააპატიმრეს ინგლისელებმა მიზერჰაგენის ციხეკოშკში და ჩასვეს დახაუს საკონცენტრაციო ბანაკში. ნიურნბერგის მთავარ პროცესზე გამოძახებული იყო მოწმის სახით, ხოლო გაასამართლა ამერიკის ტრიბუნალმა და მუდმივი პატომრობა მიუსაჯა, თუმც შპანდაუს პატიმართათვის არ მიუერთებიათ.

1951 წელს მას სასჯელი შეუცვალეს 15 წლის პატიმრობით, ხოლო 1955-ში საერთოდ გაათავისუფლეს. გარდაიცვალა 1972 წელს, 80 წლის ასაკში.

ჰუგო შპერლე გერმანიის ავიაციის ერთ-ერთი ასთაგანი იყო, მისი მფრინავი გენერალ-ფელდმარშალი, რომლის ქვეშ ჩვენ ვგულისხმობთ, არც თუ იშვიათად საბრძოლო საჰაერო ოპერაციებში მის უშუალო მონაწილეობას. ასე მაგალითად, ჰიტლერის მოადგილის — როდოლფ ჰესის — ინგლისში გაფრების დღეს — 10.05.41. — შპერლე, ჰიტლერის უშუალო დავალებით ხელმძღვანელობდა ლონდონის ყველაზე უმძიმეს დაბომბვას მთელი ომის განმავლობაში, რაც ერთხელ კიდევ ადასტურებს ჩვენს მოსაზრებას აღნიშნული გაფრენის ჰიტლერის დავალებით შესრულებაზე.[1]

ჰუგო შპერლე დაიბადა 1885 წელს ლუდვიგსბურგში, ლუდის მწარმოებლის ოჯახში. არმიაში 1903 წელს შევიდა. დასაწყისში ქვეით ჯარში მსახურობდა, შემდეგ ავიაციაში. გამოიცვალა ძალზე ბევრი ადგილი. ქვეით ჯარშიც დაბრუნდა (იყო პოლკის მეთაური), შემდეგ ისევ ავიაციაში გადაბარგდა, ხოლო 1934 წლიდან საბოლოოდ დაფუძნდა ავიაციაში.

მან „სახელი გაითქვა" ესპანეთის სამოქალაქო ომის პროცესში, იყო რა გერმენული ავიოლეგიონის - „კონდორის" - პირველი მათაური, - რომელიც ეხმარებოდა ამბოხებულ ფრანსისკო ფრანკოს. ესპანეთის ქალაქების — კატრახენისა (სამხედრ-საზღვაო ბაზა) და გერნიკეს მშვიდობიანი მოსახლეობის ერთიანი დაბომბვა-განადგურება შპერლეს „დამსახურებაა", რომელმაც მსოფლიო საზოგადოებრიობის აღშფოთება გამოიწვია. სწორედ ამ ბარბაროსულ აქტს უძღვნა თავისი ცნობილი ტილო - „ჰერნიკა" - გამოჩანილმა ფრანგმა მხატვარმა — პაბლო პიკასომ.

მაგრამ მაშინ ჰუგო შპერლე „ეროვნულ გმირად" დაბრუნდა სამშობლოში, რის გამოც ჰიტლერმა მას 1937 წლის ნოემბერში ავიაციის გენერლობა უბოძა. ამასთან ერთად იგი დაინიშნა მე-3 საჰაერო ფლოტის სარდლად, გაუთანაბრდა რა სამსახურებრივად კესელრინგსა და მილჰს. დასახელებულ თანამდებობაზე შპერლე თავისი სამხედრო კარიერის დასასრულამდე იყო (19.08.44.), როდესაც ჰიტლერმა იგი გააგდო არმიიდან, მაგრამ მანამდე, შპერლეს ავიოფლოტი აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა პოლონეთისა და საფრანგეთის კამპანიებში, იცავდა რა ჰაერიდან ფონ ლეებისა და ფონ რუნშტედტის საარმოი ჯგუფებს, რისთვისაც მან რაინდის ჯვარიც დაიმსახურა ფერლდმარშლობასთან ერთად.

ჰუგო შპერლეს მონაწილეობა არ მიუღია რუსეთის წინააღმდეგ წარმოებულ ომში. მისი, როგორც მესამე საჰაეორ ფლოტის მთავარსარდლის შტაბ-ბინა პარიზში გახლდათ, სადაც ის დროის

[1] იხილეთ ჩვენი ნაშორმი - „ინგლისში ჰესის გაფრენის საიდუმლო", თბ., 1903-05.

მნიშვნელოვან ნაწილს კაფე-ბარებში ატარებდა, გერინგის მიბაძვით ეწეოდა რა მდიდრულ, მაღალსალონურ ცხოვრებას, რის გამოც ის დიდ ვალებში მოექცა, რომელიც ისევ ჰიტლერმა დაუფარა (გაუგზავნა 50 ათასი მარკა). მაშინაც კი ის პარიზში არ აღმოჩნდა და ისვენებდა პატარა საკურორტო ქალაქ ბიარიცში — ატლანტიკის სანაპიროზე, - ესპანეთის საზღვარზე, სამხრეთ-დასავლეთ საფრანგეთში. უზარმაზარი ტანისა და თავყბის პატრონი, ფელდმარშალ რაიხენაუსა და რსჰას უფროსს, გენერალ კალტენბრუნერთან ერთად, მთელს ვერმახტში გამოირჩეოდა თავისი აღნაგობით, რის გამოც ჰიტლერი, მას, მათთან ერთად, - „ჩემს მხეცთანაირ გენერალთ" უწოდებდა (იქნებ ქართულად „გორილანაირი" ჯობდეს).

სადღაც 1942-1943 წლების საზღვარზე ჰიტლერის დამოკიდებულება შპერლეს მიმართ თანდათან ფუჭდება, საქმე იმაში იყოო, რომ მე-3 საჰაერო ფლოტმა, რომლის საბრძოლო ობიექტი ინგლისი გახლდათ, საბოლოოდ იწყო საჰაერო ომის წაგება ბრიტანეთსათვის — ე.წ. „ადლერანგრიფი". შპერლე თავს იმით იმართლებდა, რომ ფიურერი არ დაეთანხმა მის გეგმას — უმთავრეს სამოზნედ მტრის ავიაგამანადგურებელი ფლოტი მიეჩნიათ, რომელმაც თანდათან სძლია „მესერშმიტთა" ესკადრილიებს, რომელთაც უნდა დაეცვათ ბომბდამშენები, მიმავალნი ინგლისისაკენ.

განსაკუთრებული უთანხმოება ჰიტლერს შპერლესთან მოუვიდა 1943 წლის მარტში, როდესაც მისმა ფლოტმა ვერა დ ავერ მოახერხა ლონდონის დაბომბვა, რაც ჰიტლერის პირადი ბრძანებით უნდა განხორციელებულიყო ინგლისელთა მიერ ბერლინის მასირებული დაბომბვის საპასუხოდ და რასაც, მომდევნო წლის ივნისში დაემატა მეორე ფრონტის გახსნა ნორმანდიაში. ისე აღმოჩნდა, რომ ფელდმარშალი, რომელიც პასუხისმგებლობას ატარებდა საფრანგეთის საჰაერო სივრცეზე, იმჯერადაც დასასვენებლად იყო საზღვაო კურორტზე. განრისხებულმა ჰიტლერმა 19 აგვისტოს (1944) შპერლე გაათავისუფლა მე-3 საჰაერო ფლოტის მთავარსარდლობიდან და რეზერვში გადაიყვანა, ხოლო მის ადგილზე გენერალი ოტტო დისლოპი დანიშნა.

1945 წლის 1 მაისს იგი ტყვედ ჩაუვარდა ამერიკელებს, რომლებმაც გაასამართლეს, მაგრამ 1948 წელს გამოუშვეს, გაიარა დენიფიკაცია და მიუნხენში დასახლდა. გარდაიცვალა 1953 წელს 68 წლის ასაკში.

ვიდრე ავიაციის ფელდმარშლებზე საუბარს დავამთავრებდე გვინდა კიდევ ერთ მათგანზე შევჩერდეთ მოკლედ. მისი სახელი და გვარია რობერტ რიტერ ფონ გრემი — ჰიტლერის ერთ-ერთი ყველაზე ძველი მეგობარი და ბოლო ფელდმარშალი გერმანიის რაიხისა (25.04.45.).

გრემი ჯერ კიდევ 20-იან წლებში, ჰიტლერის ციხიდან გამოსვლისა და

საპარლამენტო ბატალიების პროცესში დაატარებდა მას თვითმფრინავით ქალაქიდან ქალაქში მთელი რიგი თვეების მანძილზე. ამ გარემოებამ ისინი ძალზე დააახლოვა ერთმანეთს და ურთიერთვალდებული გახადა. მას შემდეგ ჰიტლერი მას დიდ პატივს მიაგებდა.

იგი ბაირეითში დაიბადა, ვაგნერის სამშობლოში, - 1892 წელს. მონაწილეობდა 1-ელ მსოფლიო ომში, როგორც მფრინავ-გამანადგურებელი და ჩამოგდებული ჰყავდა 30-მდე თვითმფრინავი ანტანტის ჯარებისა. დაჯილდოებული იყო ორდენით - „Pour le Merite".

ომის შედეგ საჩვენებელ ფრენებს ატარებდა ე. უდეტთან ერთად, - შემდეგში ავიაციის გენერალ-პოლკოვნიკისა და ლუფტვაფეს ერთ-ერთი დამაარსებელთან. ერთხენს ჩინეთშიც კი იყო სამხედრო მრჩევლად, სადაც მონაწილეობდა გენერალ ჩან კაი-შის ავიაციის მშენებლობაში.

ნაცისტების ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ და ლუფტვაფეს შექმნისთანავე, გერინგმა ის დანიშნა 1-ელ ესკადრილიის უფროსად, რომელიც ავიოგმირის რიხტჰოფენის სახელს ატარებდა. შემდგომ იყო ავიაციის სამინისტროს პირადი შემადგენლობის უფროსი, მონაწილეობდა საფრანგეთისა და ინგლისისათვის ბრძოლის ბატალიებში, ხოლო მოგვიანებით (23.02.43.) აღმოსავლეთის ფრონტზე დაინიშნა მთავარსარდლად ავიაციის სფეროში. იქ მან, გენერალ-ობერსტის ჩინში არა მარტო დიდი გამჭრიახობა გამოიჩინა, როგორც მხედართმთავარმა, არამედ პირადი გმირობის უჩვეულო მაგალითებიც მისცა. იგი ჰიტლერმა რაინდის ორდენით დააჯილდოვა მუხის ფოთლებითა და ხმლებით.

გრემის ცხოვრებაში ყველაზე მნიშვნელოვანი სცენა გათამაშდა მესამე რაიხის აგონიის დღეებში. 24.04.45. იგი ბერხტესჰადენიდან გამოიძახა ჰიტლერმა. ურთულესი საშიშროების ვითარებაში, როდესაც ბერლინის ცენტრში უკვე ბრძოლები იყო და რაიხსკანცელარიისაკენ თითქმის ყველა გზა იყო გადაჭრილი საბჭოთა ჯარების მიერ, გრემმა და მთელს გერმანიაში ცნობილმა მფრინავმა ქალმა, ნაციზმისა და ჰიტლერის ფანატიკოსმა — ჰანა რაიტშმა — მხოლოდ კინოში წარმოსადგენ ვითარებაში გაარღვიეს საბჭოთა საზენიტო არტილერიის ცეცხლის ხაზი და ზედ რაიხსკანცელარიასთან მდებარე მაგისტრალზე დასვეს საწვრთნელი თვითმფრინავი - „არადო-60".

მანამდე მათ გზაში 2-ჯერ გამოიცვალეს თვითმფრინავი. ამასთანავე გრემი, რომელიც მართავდა თვითმფრინავს ფეხში დაიჭრა საბჭოთა ქვემეხის აფეთქებისას და გზაში შეცვალა იგი საჭესთან ჰანა რაიტშმა, რომლის სიმამაცემ და უჩვეულო გამჭრიახობამ იხსნა თვითმფრინავი და მისი მგზავრებიც.

ჰიტლერთან უჩვეულო დავიდარაბით მიღწეულმა გრემმა მისგან გაიგო, რომ მას გაეთავისუფლებინა გერინგი ადრე დაკავებული ყველა

თანამდებობიდან, როგორც ქვეყნის მოღალატე და მის ნაცვლად ლუფტვაფეს მთავარსარდლად იგი — რობერტ რიტერ ფონ გრემი — დანიშნა, - უბოძა რა მას გენერალ-ფელდმარშლის ჩინი, რომლის სამხედრო ფორმას ახლადგამომცხვარი და რაიხის ბოლო უმაღლესი ჩინოსანი დაახლოებით მხოლოდ ერთ თვეს ატარებდა.

ფიურერბუნკერიდან და, საერთოდ ბერლინიდან, გრემი მაინც გაფრინდა დენიცთან ფლესბურგში და 23.05.45. მთელ ახალ მთავრობასთან ერთად იქნა დაპატიმრებული და გადაყვანილი ზალცბურგში, სადაც მან მეორე დღეს თავი მოიკლა ციხეში. იგი მაშინ 53 წლისა იყო.

ვამთავრებთ რა საუბარს ჰიტლერთან მეტნაკლებად დაახლოებული პირების შესახებ, გვინდა ძალზე მოკლედ შევეხოთ კიდევ 2-3 მაღალ ოფიცერს, რომელთაგან ორთან — გენერალ-პოლკოვნიკებთან ალფრედ იოდლთან და ჰაინ გუდერიანთან მისი დამოკიდებულება ასე ვთქვათ ლოვ-ჰეიტე-ის ზღვარზე არსებობდა. ორთავე გენშტაბის მეთაური გახლდათ ერთი — OKW-ს, ხოლო მეორე —OKH-ს, ყოველდღიურად მასთან ერთად ინაწილებდა ჭირ-ვარამს, მაგრამ, მიუხედავად ყოველივესა, ჰიტლერმა არც ერთ მათგანს არ აღირსა გენერალ-ფელდმარშლობა. ამას ისიც გვინდა დავამატოთ, რომ გუდერიანმა მთელს სამყაროში გაითქვა სახელი ჯერ კიდევ ომამდე (1937 წ.) გამოცემული წიგნით (მეთოდური სახელმძღვანელოთი) - **„ტანკებო! წინ!“**, ისევე როგორც ომის შემდგომ გამოქვეყნებული მემუარებით - **„ჯარისკაცის მოგონებები“**.

რაც შეეხება მესამეს, იგი გახლდათ გენერალ-პოლკოვნიკი ჰანს ვალენტინ ჰუბე, ერთადერთი უხელო ოფიცერი მთელს ვერმახტში. უჩვეულოდ გაბედული და თავგანწირული გენერალი, რომელმაც ჰიტლერის ყურადღება ჯერ კიდევ 1935 წლიდან მიიიპყრო, როდესაც ის „ოლიმპიური სოფლის“ კომენდატად დაინიშნა. მრავალ, ძალზე მრავალ ბრძოლაში გამოცდილი ჰუბე გერმანიის არმიაში უბადლო ოსტატად ითვლებოდა — ალყებიდან გამოსვლისა. იგი იმდენად სახელგანთქმული შეიქნა, რომ სტალინგრადთან ალყაში მოქცეულმა კატეგორიული უარი განაცხადა ჰიტლერის მიერ პირადად მისთვის გაგზავნილი თვითმფრინავით თავისი კორპუსის დატოვებაზე. მაშინ ჰიტლერმა თავისი პირადი მცველები გაგზავნა მეორედ მასთან, რომლებმაც ძალით გამოიყვანეს ის ტყვეობიდან. უდიდესი მამაცობისა და აღიარების გამო ჰიტლერმა იგი რაინდის უმაღლესი ორდენით — მუხის ფოთლებით, ხმლებით და ბრილიანტებით დააჯილდოვა.

ჰანს ჰუბე საავიაციო კატასტროფაში დაიღუპა — 21.04.44, - ბერხტესჰადენის მახლობლად, როდესაც ჰიტლერთან მიემართებოდა - „სამხრეთ უკრაინის“ საარმიო ჯგუფის მთავარსარდლად დასანიშნად.

როგოც ზემოთაც მივანიშნეთ, ის, ჰიტლერის აზრით, მე-2 მსოფლიო ომის ერთი უდიდესი მხედართმთავართაგანი იყო.

თავი XV

ჰიტლერი და ქალები

ახლა ასევე მოკლედ ჰიტლერისა და ქალების შესახებ. ზემოთ, გზა და გზა ჩვენ ვისაუბრეთ ჰიტლერის დამოკიდებულებაზე მანდილოსანთა მიმართ. საკმაოდ ვისაუბრეთ მის პირველ სიყვარულზე ქ. ლინცში. ვთქვით ისიც, რომ მას სიცოცხლეში არავინ ჰყვარებია ისე, როგორს თავისი ნახევრადდის შვილი —გელი (ანგელა) რაუბალი, რომლის თვითმკვლელობამ კინაღამ თვით ჰიტლერის თვითმკვლელობა არ გამოიწვია და რომ, საერთოდ, იგი მოჯადოებული იყო ლამაზი მანდილოსნებით, უყვარდა მათ წრეში და გვერდით ყოფნა, ხოლო აზარტში ჩავარდნილს ლამის სერენადა უმღერია ზოგიერთი მათგანისათვის მიუნხენის ქუჩებში, მუხლებზე დამდგარს (გავიხსენოთ ზემოთაღწერილი ეპიზოდი ერნსტ ჰაფშტანგლის ცოლის მისამართით).

და მაინც, რამდენადაც ჩვენ მივაკვლიეთ, თავის სიცოცხლეში მისი უმთავრესი გატაცების ქალები იყვნენ: აღნიშნული მანდილოსანი, გებელსის ცოლი მაგდა, ჩეხი მსახიობი — გრეტლ სლეზაკი, ინგლისელი ლორდის - რედსდეილის ქალიშვილი იუნიტი ვალკირი მიტფორდი, რობერტ ლეის ცოლი, კინორეჟისორი ლენი რიფენშტალი და გამორჩევით რუსი მწერლის — ანტონ ჩეხოვის ქალიშვილი — ოლგა ჩეხოვა, რომელზეც ბევრჯერ „დააქორწილეს“ ჰიტლერი და რომელსაც წერილებით ულოცავდნენ ხოლმე და თხოვდნენ „ბედნიერი ამყოფეთო იგი, რამეთუ ის ღირსიაო ამის“. რა იცოდა ჰიტლერმა, რომ ეს მისი სიმპათია — კგბ-ს კრეატურა და მიგზავნილი მსახიობი ქალი იყო, რომელიც ომის შემდეგ ლენინის ორდენით დააჯილდოვა საბჭოთა მთავრობამ. მაგრამ სერიოზულად ჰიტლერს არც ერთ მათგანთან არ ჰქონია რომანი და მით უმეტეს სექსუალური სიახლოვე. როგორც უკვე ითქვა, საქმე არასოდეს წასულა ხვევნა-კოცნისა და ხელის ფათურის იქეთ, როგორც ეს ასევე იყო ევა ბრაუნის შემთხვევაში.

ეს უკანასკნელი ჰიტლერის თვალსაწიერში გელი რაუბალის სიკვდილის შემდეგ „მოხვდა“.[1] თავის პირად ფოტოგრაფთან — ჰ. ჰოფმანთან თითქოსდა შემთხვევით მისულს, მის სალონში „შემთხვევით“ წარუდგინეს

[1] ბრჭყალებში იმიტომ, რომ ჩვენი შეხედულებით ჰიტლერთან ევა ბრაუნის შეხვედრა შემთხვევითი არ იყო და ორგანიზებული იყო მისი პირადი ფოტოგრაფის — ჰაინრიხ ჰოფმანის — მიერ, როგორც ამას სხვა შემთხვევაში წარუმატებლად აკეთებდა ი. გებელსი.

ახალგაზრდა სიმპათიური ქალიშვილი, რომელიც ევა ბრაუნი აღმოჩნდა. იგი წარმოადგენდა საკმაოდ მიმზიდველ, მაგრამ (არა ლამაზს, როგოც დროგამოშვებით ამას მნახველები თუ მიმომხილველები აღწერდნენ), მოხდენილი აღნაგობისა და გამომეტყველების ქალწულს, რომელსაც აშკარად სპორტული მიდრეკილებები გააჩნდა. ის გატაცებული იყო ცურვით, ტანვარჯიშით და ალპინიზმით, უყვარდა ევროპული ცეკვები და მხატვრული რომანების კითხვა, იყო კომუნიკაბელური და გატაცებული სალონური შეკრებებითა და საღამოებით, რომელთაც ხშირად აწყობდა ბერგჰოფში (ბერხსტენჰადენში), განსაკუთრებით ომის წლებში, როდესაც მარტო ცხოვრობდა იქ თვეების განმავლობაში.

ცნობილია, რომ ჰიტლერი დიდხანს არ აჩენდა მას და ყოველნაირად მალავდა მასთან თავის რომანს, გამორჩევით რჩეული სტუმრების გამოჩენისას. ევა იძულებული ხდებოდა სხვა ოთახში „გახიზნულიყო", თუმც ძალზე უფრთხილდებოდა, უკრძალავდა მანქანის ჩქარ ტარებას (პოლიციეს ბრძანება ჰქონდა მიღებული გაეჩერებინათ მისი ავტომობილი ასეთის შემჩნევის შემთხვევაში), მატერიალურად დამოუკიდებელი გახადა იგი და სახლიც კი უყიდა მიუნხენის ცენტრში.

ჰიტლერს ყოველნაირად აწყობდა რომანი ასეთ ქალთან. „ღმერთმა ნუ ქნასო, რომ ჩემი ცოლი პოლიტიკაში ერეოდესო".ევასაც ეს უნდოდა. ასე რომ, იქმნებოდა იდილიური გარემოება: „ფერი ფერს და მადლი ღმერთსო".

რაიხის ენციკლოპედიაში ნათქვამია: „ევა ბრაუნი წარმატებით მოხვდა ჰიტლერისეული ბერგჰოფის ალპიურ გარემოში. ის მასში შეყვანილ იქნა, ვითარცა ფიურერის საყვარელი, მაგრამ უცვლელად განზე იმყოფებოდა — დუმილის კედლით განცალკევებული. მოსამსახურეს აკრძალული ჰქონდა მასთან გასაუბრება, გარდაუვალი გამონაკლისის გარდა. თუმც ევა ბრაუნი უახლოეს გარემოცვას განეკუთვნებოდა, მაგრამ მას თავის აპარტამენტებში მიაბრძანებდნენ ყოველთვის, როდესაც საპატიო სტუმრები გამოჩნდებოდნენ. გერმანიაში ძალზე ცოტამ იცოდა მისი არსებობა. ჰიტლერს აკრძალული ჰქონდა მისთვის ბერლინში გამოჩენა. მხოლოდ ბოლო ორი წლის განმავლობაში გადაუხვია ჰიტლერმა თავის ამ აკრძალვას. ომის პროცესში, როდესაც ფიურერი ხანგრძლივად იმყოფებოდა თავის ერთ რომელიმე შტაბ-ბინაში, ევა ბრაუნი ბერგჰოფში იმყოფებოდა განცალკევებული, კითხულობდა, დაკავებული იყო სპორტით, სწერდა წერილებს, აწარმოებდა დღიურს და მოწყენილი იყო. მისი ხვედრი იყო დამწუხრებული ლოდინი თავისი პატრონისა. ასეთ გარემოში მისი ტანჯვა-წვალება იმდენად ნმიშვნელოვანი იყო, რომ მან რამდენჯერმე სცადა თავის მოკვლაო".[1]

მესამე რაიხის აგონიის დღეებში ევა ბრაუნი ბერლინში ჩავიდა

[1] ЭТР, 89

15.04.45. მტკიცე გადაწყვეტილებით — აღარ დაეტოვებინა ჰიტლერი მარტოდ. როგორც შემდეგ გაირკვა, მას სხვა მიზანიც ჰქონია: როგორმე დაეთანხმებინა ჰიტლერი ცოლ-ქმრულ ხელმოწერაზე. ის კი ჯიუტობდა და სცდილობდა მის უკან გაბრუნებას ბერგჰოფში. ბოლო ევამ გატეხა ადოლფის სიკერპე და 29.04.45 — მათ ხელი მოაწერეს. უფსკრულის პირას მდგომი ქვეყნის პირველი ლედის მხოლოდ ერთი დღე მიეცა უფლება მისთვის ეწოდებინათ - „ფრაუ ჰიტლერი".

მეორე დღეს — 30.40.45 — მათ ორთავემ თავი მოიკლა თუ მოიწამლა. აქამდე ცნობილი იყო გამოთქმა: „მეფე ერთი დღითო", მას შემდეგ კი გავრცელდა ფრაზა - „პირველი ქალბატონი ერთი დღით".

ჩვენ გაგვაჩნია ძალზე ნაკლებად ცნობილი - „დღიურები" თუ მემუარები ევა ბრაუნისა,[1] მაგრამ ისინი იმდენად იუნტერესო და უაზროა (მსგავსად მისი ცხოვრებისა), რომ შეუძლებლად მივიჩნიეთ მათი გამოყენება (გვაპატიოს აწგარდაცვლილმა!). თუმც შეიძლება ერთი პასაჟი მაინც მოგვეტანა „დღიურების" პირველივე გვერდიდან: „მე მშვიდობით მივაღწიე 23 წელს, მაგრამ ვარ თუ არა ბედნიერი — ეს სხვა საკითხიაო"... მე არაფერს წარმოვადგენო. ბავშვი რომ მყოლოდა მაინც, ასეთი მარტოხელა არ ვიქნებოდიო. მაგრამ ეჭვს გარეშეა, ამის მოთხოვნა ძალზე ბევრიაო".[2]

ეს სტრიქონები 1936 წლის 6 თებერვალს ეკუთვნის, მათი გაცნობის მესამე წელს, ხოლო თუ ასე იყო თავში, ბოლოში როგორღა იქნებოდა? მით უმეტეს, რომ უკვე მომდევნო ფურცელზე აღნიშნულია, რომ „უიმედოდ უბედური ვარო". უფრო მეტი. 27 მაისს მას წერილი გაუგზავნია ჰიტლერისათვის, ხოლო 28-ში პასუხის მიუღებლობის გამო, ევას უამრავი უძილობის საწინააღმდეგო აბი მიუღია და ლამის წერილი არ წაუღია იმ ქვეყანას. გონებადაკარგულს შემთხვევით შესწრებია მისი უმცროსი და — ილზე, - რომელსაც სასწრაფოდ გამიუძახებია ექიმი და გადაურჩენიათ სიკვდილისაგან.

რაც შეეხება უფროსი ასაკის მეგობარ ქალბატონებს: ფრაუ ელენა ბეხშტაინს, ფრაუ ილზე ბრუკმანს, კომპოზიტორ ვაგნერის რძალს — ვინიფრედ ვაგნერს და კიდევ ორ-სამ მანდილოსანს, ისინი მფარველობდნენ და მეტწილ ზრუნავდნენ ჰიტლერზე, ვიდრე მამაკაცად მიიჩნევდნენ მას, თუმც ვინიფრედ ვაგნერზეც იყო ხმები დარხეული - ცოლად მიჰყვაბაო მას, მით უმეტეს, რომ ის ხუთი წლით უმცროსი იყო მასზე.

საერთოდ, ნაცისტურ გერმანიაში ჰიტლერის მისამართით რამდენიმე კულტი არსებობდა, რომელთაგან გამოცალკევებულია ორი: პიროვნების

---

[1] Hitler's Letters and Notes. Compiled and With Commentary by Werner Master. Translated from German by Arnold Pomerans. N.-Y., 1974, 366-374.

[2] Ib., 366

ან ფიურერის კულტი და ჰიტლერის, როგოც მამაკაცის კულტი. მათი ზღვარი თითქოსდა სქესობრივ საზღვარზე გადის. პირველი უმთავრესად, ვიმეორებთ უმთავრესად (!) მამაკაცებზე გადის, თუმც მათ რიგებში უამრავი მანდილოსანიც იკვეთებოდა (მაგალითისათვის — მფრინავი ქალის ჰანა რაიტშის, ან თუ გნებავთ საკონცენტრაციო ბანაკთა სადისტის, პირწავარდნილი ნაცისტისა და ულამაზესი ქალის — ირმა გრეზეს სახით, რომელსაც შერქმეული ჰქონდა - „სიკვდილის ანგელოზის" სახელი, ისევე როგორც - „ქერათმიანი ურჩხულისა"). მათ ზოგადი სახელი ჰქონდათ - „Fuehrer-Korps" ანუ „ბელადის კორპუსი", ეს გახლდათ უზარმაზარი არმია — სხვადასხვა რანგის პარტიული და სახელმწიფო ფუნქციონერებისა, რომლებიც წარმოადგენდნენ ჰიტლერის პროფესიულ თაყვანისმცემლებს, რომელთა საქმიანობა ხორცილდებოდა სხვადასხვა რანგისა თუ ჩინის ქვემდებარე ფიურერთა და მათ ხელქვეითთა მიერ.

ნაცისტური პროპაგანდა გამუდმებით შთააგანებდა გერმანელ მოსახლეობას, რომ მისი ბელადი — ადოლფ ჰიტლერი ღვთისგან იყო მოვლენილი და განახორციელბდა ზეციურ პიროვნებას — უჩვეულოდ ნებისყოფიანს, გართულებებისა და ადამიანური სისუსტეების გარეშე, დაბეჯითებით შინაბერას, ეულს, ვეგეტარიანს, ანტიალკოჰოლისტს, შეუბოჭავს მეგობრული თუ სამიჯნურო ვალდებულებებისგან, ბავშვების და ცხოველების გასაკვირად მოყვარულს, თავმდაბალსა და საქმიანს, ერისა და ქვეყნის სამსახურზე მთლიანად მინდობილს, კაცს, რომელმაც გააღვიძა, გამოაფხიზლა და ფეხზე დააყენა მიძინებული გერმანია, დაამსხვრია ვერსალის შეურაცხმყოფელი არტახები და ძველი ღირსება დაუბრუნა მას. „ჩვენ ვხვდებით მოწმენი უდიდესი სასწაულისა ისტორიაში, გაჰყვიროდა გებელსი. ჩვენ გავიგონეთ მისი ხმა, როდესაც მთელს გერმანიას ეძინა. მისი წყალობით ჩვენ გადავიქეცით ერად. მისმა ნებამ ჩვენ მამული დაგვიბრუნა. ამიტომაც არისო, რომ მთელს ჩვენს ცოხვრებას ფიურერს ვუძღვნითო... ის ერთდაერთია, რომელიც არასოდეს ცდება. იგი ყოველთვის მართალია. საოცარია, რამდენად დიდია ფიურერი თავის უბრალოებაში, და რამდენად უბრალოა თავისსავე დიდებაშიო. ის ყველა ჩვენგანზე მაღლა დგას. იგი, ვითარცა მოკაშკაშე ვარსკვლავი, ჩვენს თავს ზემოთაა ყოველთვის".[1]

პანეგერიკებს ჰიტლერს მისი სხვა პალადინებიც უმღეროდნენ. გერმანიის შრომის ფრონტის ზელმძღვანელი, გამოუფხიზლებელი ლოთი — რობერტ ლეი — აცხადებდა, რომ ადოლფ ჰიტლერი ჩვენ თვითონ ბატონმა უფლმა გამოგვიგზავნაო",[2] ხოლო რუდოლფ ჰესი იქამდე მივიდა, რომ ღვთის დაბადებას შეადარა ჰიტლერის გაჩენა: „... და აი,

[1] ЭТР. 486

[2] Там же.

ბრაუნაუში დაიბადაო ჩვილი... რასაც ის აკეთებს — გარდაუვალია, - რაც არ იქმნება მისგან — ასევე აუცილებელია, - ის ყველაფერს აღწევს. ეჭვს გარეშეა, იგი ღმერთმა გამოგვიგზავნაო".[1]

უფრო მეტი და ამჯერად ჭეშმარიტად გასაოცარი: ტანსაცმელი მთლიანად შემოიხიეს ეკლესიის მსახურებმა - „უფალი განხორციელდა არა იესო ქრისტეში, არამედ ადოლდ ჰიტლერშიო".[2] (ღმერთო დაგვიფარე მსაგავსი მკრეხელობისაგან!).

მეორე კულტი, როგორც ზემოთაც ითქვა ეს იყო ჰიტლერის, როგორც მამაკაცის კულტი, რომლის წყაროს ქალბატონები შეადგენდნენ. „ჰიტლერისადმი თაყვნაისცემის კულტი, ნათქვამია „მესამე რაიხის ენციკლოპედიაში", მოგვაგონებდნენ პარანოის სიმპტომებს. როდესაც ნიურნბერგის პარტიული ყრილობის დროს ღრუბლებიდან მზე გამოანათებდა, ბრბო აღფრთოვანებას ვერ მალავდა და გაჰყვიროდა: „ფიურერის ამინდიაო!" გერმანელი ქაბატონები ჰიტლერს მიესალმებოდნენ ვითარცა ადონისს; ადამიანთა თავებს ზემოთ გაისმოდა შეძახილები: „შესანიშნავი ადოლფი!" იგი ათასობით წერილებს ღებულობდა ქალებისაგან, რომელთაც გააჩნდათ სურვილი ბავშვი გასჩენოდათ მისგან. ჰიტლერის კულტმა იმდენად შეაღწია ქალაბატონთა შეგნებაში, რომ მათ გული მისდიოდათ აღფრთოვანებისგან მის გვერდით მოხვედრისას. როდესაც გაზეთებმა სურათი მოათავსეს ჰიტლერის მსახიობი ქალის - ოლგა ჩეხოვას - ხელზე ამბორის თაობაზე, გამოხმაურება უჩვეულო იყო. მსახიობი ტომრობით ღებულობდა წერილებს: „რა ბედნიერებაა იმის გაგება, რომ თქვენ ჰიტლერზე თხოვდებითო!" „გააბედნიერეთ იგი — მან ეს დაიმსახურაო!" ვიღაც აღფრთოვანებული იმასაც კი ამტკიცებდა სეროიზულად, რომ რომ მის ძაღლს შეუძლია წარმოთქვას სიტყვები: „ადოლფ ჰიტლერიო", რამეთუ მის პანია ცხოველურ გონსაც კი შეუძლია ფიურერის დიდების შეცნობაო".[3]

იყო შემთხვევები, როდესაც ახალგაზრდა გოგონები პირდაპირ გზაზე უწვებოდნენ ჰიტლერის ავტომანქანას — მისი გაცნობის მიზნით. ევა ბრაუნის გარდა თვითმკვლელობის სხვა ცდებიც იყო სერიოზულ მანდილოსანთა მხრივ. ასე მაგალითად, როგორც დადის ხმები, რობერტ ლეის მეუღლემ თავი ჰიტლერის მიმართ წარუმატებელი სიყვარულის გამო მოიკლა. უნიტა მიტფორდმა — ლორდ რედსდეილის ქალიშვილმა, - ორი ტყვია დაიხალა თავში გაწბილებულმა, თუმც გადარჩა, მაგრამ ინვალიდად იქცა; მაგდა გებელსი, რომელმაც რვა შვილი შობა (მათგან ექვსი გებელსისაგან) სხვადასხვა დროს, ასევე იუმედოდ იყო შეყვარებული ჰიტლერზე და, მართალია, ფიურერბუნკერში მოიწამლა

[1] Там же
[2] Там же.
[3] Там же, 487

თავი მეუღლესთან ერთად, კიდევ დასადგენია რისთვის ჩაიდინა ეს: თავისი ხუთი მოწამლული შვილის გამო (ეს თავისთავად), ქმრისა თუ ჰიტლერისათვის, რომელიც წინა დღეს გამოემშვიდობა მას საგანგებოდ, ცალკე ოთახში, თუ ყველაფრის ერთად გამო.

მსგავსი შემთხვევების თუ თავგადასავლების მოთხრობა კიდევ შეიძლებოდა, მაგრამ ეს შორს წაგვიყვანდა, თუმც ერთი გამონაკლისი მაინც გვინდა დავუშვათ. იგი ერნსტ ჰაფშტანგლის ცოლს შეეხება — ულამაზეს მანდილოსანს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ის დაშორდა თავის ქმარს და თავის სამშობლოში წავიდა — ამერიკაში. მაგრამ, არ გვიცდია ამ მიზეზის ახსნა. ჩვენი მტკიცე რწმენით ამის საფუძველი ჰიტლერში იყო. როგორც ჩანს ეს ზვიადი ქალბატონი დაუწვა მას, მაგრამ იმედგაცრუებული დარჩა: ჰიტლერი მხოლოდ მოფერებით შემოიფარგლა. ეს იქედანაც ირკვევა, რომ მან თავის ქმარს ამცნო — იგი იმპოტენტიაო!

რატომ ხდებოდა ეს ყველაფერი? როგორ მოაჯადოვა ავსტრიელმა ეფრეიტორმა გულამაყი გერმანიის მანდილოსანთა მთელი სამყარო? თუ კარგად დავაკვირდებით, ეს ყოველივე იოლი ასახსნელია: ისევე როგორც ეს ხშირად ხდება დიქტატორულ ქვეყნებში (გაიხსენეთ იტალია, ბენიტო მუსოლინი და კლარა პეტაჩი), იქ არსებული ტოტალიტარული რეჟიმები შიშს წარმოშობენ ადანმიანებში, რაც პირველ რიგში ქალებში აისახება, ხოლო შიში, და ეს ჩვენ ქართველებმა კარგად ვიცით ჩვენი დიდი მგოსანისაგან, - „შეიქმნს სიყვარულსო". მით უმეტეს, რომ მთელ ქვეყანაში, მხედველობაში გვაქვს ნაცისტური გერმანია — ჰიტლერის პორტრეტები, ფოტოგრაფიები, პლაკატები, ლოზუნგები თუ მოწოდებები — ყოველი ფეხის ნაბიჯზე შემოგხვდებოდათ: ქუჩებში, გადასასვლელებზე, შენობებზე თუ რკინიგზაზე, მეტროში, ტრამვაიზე, სკოლებსა და მათ სასწავლო ოთახებში, უნივერსიტეტებში, დაწესებულებებზე, ბაზრებში, მაღაზიებში — ერთი სიტყვით, სადაც კი ადამიანს ამის წარმოადგენა შეუძლია. დაახლოებით ისე როგორც ეს ცნობილმა გერმანელმა მწერალმა — ლიონ ფეიხტვანგერმა — მოსკოვში ყოფნისას საბჭოთა დიქტატორს — იოსებ სტალინს — უთხრა მოსკოვის დათვალიერების შემდეგ, რომ არ მეგონა, რომ რომელიმე ქვეყანა გერმანიას შეეჯიბრებოდა ბელადის პორტრეტთა ექსპოზიციების სიმრავლითო (!).

სადაც კი ადამიანს ფეხი არ უნდა დაედგა გერმანიაში, მას ზემოდან დასცქრეოდა ჰიტლერის პორტრეტი. როდესაც ოჯახში ჩვილი გაჩნდებოდა მას პირველად მშობლების სახელთა ნაცვლად - „ჰაილ ჰიტლერს" აძახებინებდნენ. გერმანული ანბანის წიგნებსა და საკოლო სახელმძღვანელოთა ყდებზე მისი პორტრეტები იყო გამოსახული, მარკები

იბეჭდებოდა მისი სურათებით, ახალდაქორწინებულთ მის ბიბლიას ჩუქნიდნენ - „ჩემი ბრძოლის“ სახით; ქუჩებსა თუ დაწესებულებებში ნაცნობ-მეგობრები, თვით უცნობებიც ერთმანეთისა და მით უმეტეს სამხედრო პირნი და პოლიციელები - ერთმანეთს ასწრებდნენ „ჰაილ ჰიტლერის“ შეძახილს. საუნივერსიტეტო აუდიტორიებსა თუ სასკოლო ოთახებში შესული ლექტორ-მასწავლებლები და პროფესორები იმასვე გაიძახოდნენ.

ცნობილია კურიოზებიც. ბუკინჰემის სასახლეში პირველ მიღებაზე აკრედიტაციის სიგელების გადაცემისას გერმანიის ახალმა ელჩმა, შემდეგში საგარეო საქმეთა მინისტრმა — იოაქიმ რიბენტროპმა მეფესთან მიახლოებისას ფაშისტური სალამი მისცა მას და შესძახა: „ჰაილ ჰიტლერო!“ გვერდზე გასულ ელჩს უთხრეს შემდეგ: ეს გერმანია არ არისო.

დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი დევიდ ლოიდ-ჯორჯი გერმანიაში ვიზიტისას იმდენად გავარჯიშდა „ჰაილ ჰიტლერის“ ძახილში, (მით უმეტეს რომ გახარებულმა ჰიტლერმა იგი ნაცისტური პარტიის ყრილობაზეც კი მიიწვია ნიურნბერგში და გვერდით დაისვა), რომ ლონდონში დაბრუნებისას თვითმფრინავიდან გადმოსულმა ინერციით შესძახა - „ჰაილ ჰიტლერო!“ და თან მარჯვენა ხელი ზემოთ აღმართა...

ეს კიდევ ყველაფერი არ გახლდათ. ომისწინა „ანშლუსებმა“ და ექსპანსია-ოკუპაციებმა და კიდევ უფრო მეტად თვით ომმა — ჰიტლერის ახალი კულტი წარმოშვა — როგორც ყველა დროისა და ეპოქის შეუდარებელი მხედართმთავრისა, - რომელსაც არასოდეს უწვნია მარცხი, გააჩნდა უჩინებულესი და არნახული, გაუგონარი სტრატეგია, გადაუჭარბებლად მიჩნეული ჰანიბალისეულად და ნაპოლეონისეულად, თუ არ კიდევ უფრო მეტად და მაღლად. მისმა განსაცვიფრებელმა წარმატებებმა ომის საწყისს ეტაპზე, განსაკუთრებით საფრანგეთის ძლევამოსილი ლაშქრობის შემდეგ, აღტაცებაში მოიყვანა თვით ყველაზე მეტად სკეპტიკოსი და „ურწმუნო თომა“ პროფესიული კადრის გერმანელი გენერლები, რომელთაც არა სჯეროდათ მისი სამხედრო ნიჭის და ზურგს უკან დასცინოდნენ კიდეც მას. ნახეთ რა მოუვაო მას პირველსავე ბრძოლაშიო. ზოგმა მათგანმა შემთხვევითობით ახსნა საფრანგეთზე (პლუს ინგლისელებზეც) გამარჯვება და ის მეტოქის სისუსტით სცადეს აეხსნათ, მაგრამ როდესაც გერმანია თავს დაესხა საბჭოთა კავშირს და პირველსავე თვეებში სასწაულებრივი გამარჯვებები მოიპოვა „რუსულ კოლოსზე“, როდესაც გაანადგურა და ტყვედ წაასხა მრავალმილიონიანი მისი არმიები (ბრიანსკთან, ვიაზმასთან, ხარკოვთან და ა.შ.), უკვე თითქმის ყველამ უკლებლივ ირწუმუნა ჰიტლერის

სამხედრო გენია და ენა ჩაუვარდა მის ყოველ მავანს. ბევრი, თუ ყველა არა, იგონებდა მის შეგონებებს კაიტელისა და იოდლის მისამართით საფრანგეთზე გამარჯვების დღეებში — კომპიენის ტყეში გამოთქმულს — საბჭოთა კავშირის მიმართ: „ნახეთ თუ იგივე არ განმეორდესო რუსეთში!" მაშინ ყველა ფიმიამს ეწეოდა მისდამი და სჯეროდათ ი. გებელსის ცნობილი ფრაზა: „ჰიტლერი ეს გამარჯვებააო". თვით აქა-იქ, სამხედრო წრეებში არსებულ შეთქმულებს ხასიათი გაუფუჭდათ და მათი სხვადასხვაგვარი მუქარები ფიურერის მისამართით ლამის გაქარწყლდა და ნოლამდე დავიდა.

ნაპოლეონისა და ლენინის შესახებ შეთხზული მითების მსგავსად (ბონაპარტე რომ დაიბადა ბურბონთა სასახლეში ბუხარი ჩაქრაო, ხოლო ლენინზე ამბობდნენ — მისი გაჩენისას ზამთრის სასახლეში სანთლები გადმოცვინდაო კედლის შანდლებიდან), ჰიტლერის შესახებაც გაჩნდა სახასიათო ლეგენდები: მას ტყვია არ ეკარებაო, მის წინააღმდეგ აფეთქებული ბომბები მიზანს ვერ აღწევენო; დრეზდენის ცნობილი დაბომბვისას დანგრეული ერთ-ერთი სახლის ის კედელი, რომელზეც მისი სურათი ეკიდა, - გადარჩაო და ა.შ. ჰიტლერს ზეციურ ქმნილებად ასაღებდნენ და ბოლომდე არა სჯეროდათ მისი სიკვდილი იმის მიუხედავად, რომ რუსეთის მინდვრებზე წაგებული ბრძოლების შემდეგ (მოსკოვთან, სტალინგრადთან და კურსკ-ორიოლთან) საკმაოდ შეირყა მისი იმიჯი. ამიტომ იყო, რომ, ყველაფრის მიუხედავად, მასზე მინდობილი გერმანია სულ რაღაც სასწაულს ელოდა ფორტუნის შემობრუნებამდე, სჯეროდა გებელსის მიერ დაპირებული „შურისძიების იარაღის". ხომ გაგოგინია ჩვენო მკითხველო: „წყალწაღებული ხავსს ეკიდებოდაო".

და ბოლოს მაინც, საბოლოოდ დარწმუნებულებმა ჰიტლერის სიკვდილში, ვეშაპთა მასობრივი თვითმკვლელობის შემთხვევათა მსგავსად, თავადაც იგივე გზას მიმართეს: ასობით, თუ არა ათასობით ფანატიკოსმა, გამოწველვით სამხედროთა, მათგან ფელდმარშალთა რიგებიდანაც, მიაკითხა მიქელ-ანგელოზს წერილის გასატანებლად საიქიოში.

ეს არ ყოფილა ისეთი მასშტაბური შემთხვევა, როდესაც იაპონელთა პოლკები თუ არა, ბატალიონები მაინც, მასობრივად გადაეშვნენ ოკეანის ქარაფებში შორეული აღმოსავლეთის ერთ-ერთი კუძულის მთის მწვერვალებიდან, იქ ამერიკელთა დესანტის გადასხდომის შემდეგ, მაგრამ, მაინც ძალზე ტიპიური აქცია გახლდათ. როგორც ცხადი შეიქნა განათლებულ გერმანიაშიც კი ფესვები გაუბამს ფანატიზმს.

დაბოლოს ჰიტლერის ბოლო დღეების თაობაზე. მის თაყვანისმცემლებმა მას რიჰარდ ვაგნერის ოპერას მაგალითზე - „ღმერთთა მწუხრი" შეარქვეს. როგორც ზემოთაც ითქვა, აღნიშნულ საკითხზე რამდენიმე

ნაშრომი არსებობს ძალზე ჩახედული ავტორებისა, სახედობრ — ჰ.რ. თრევორ-როპერის, ჯ. ტოლანდისა და თვით ფიურერბუნკერის ტრაგედიის მონაწილის — გერჰარდ ბოლდტის - კავშირგაბმულობის კაპიტნისა და გენშტაბის უფროსის თანაშემწის. აღნიშნულ წიგნებში თითქმის დოკუმენტური სიზუსტით არის აღწერილი მესამე რაიხის აგონია.

ფიურერბუნკერი ძველი რაიხსკანცელარიის ქვეშ მდებარეობდა — 17-18 მეტრის სიღრმეზე, რომელსაც ზევით ბეტონის საცავი იფარავდა. იგი ორი სართულისაგან შედგებოდა: ზედა სართულზე 6-6 ოთახი იყო ორთავე მხარეს: სასადილო, სამზარეულო და სხვა სათავსოები; ქვემოთ კი ჰიტლერის, გებელსისა და დ-რ ლუდვიგ შტუმპფეგერის ოთახები იყო, საძინებელ ოთახებთან ერთად — სულ 17 ერთეული, მათ შორის დაცვის ოთახებიც.

ფიურერბუნკერში ჰიტლერი საბოლოოდ და გაუსვლელად 15 მარტიდან დასახლდა. დაცვის გარდა, იქ, ასევე თითქმის მუდმივად, 40-მდე პიროვნება იმყოფებოდა (42 უფრო ზუსტად), ისევე როგორც მოსამსახურე პერსონალი. ჩვენს „ნაცნობთაგან" ისინი იყვნენ: არტურ აქსმანი — რაიხსიუგენდლაიტერი, ჰანს ბაუერი — ჰიტლერის პირადი მფრინავი, მარტინ ბორმანი — ჰიტლერის თანაშემწე, ევა ბრაუნი, ვილჰელმ ბურგდორფი — ჰიტლერის ადიუტანტი ვერმახტის ხაზით, გენერალი ჰელმუტ ვაიდგლინგი — ბერლინის კომენდანტი, იოზეფ გებელსი — განათლებისა და პროპაგანდის მინისტრყ, მისი ცოლი — მაგდა, ოტტო გიუნშე — ჰიტლერის განუყრელი ადიუტანტი, ერიხ კემპკა — პირადი მძღოლი, გენერალი კრებსი — შტაბის მეთაური, ჰერდა კრისტეანი — პირადი მდივანი, ჰაინც იუნგე — პირადი კამერდინერი, ფრეილეინი მანციელი — პირადი მზარეული, ჰაინრიხ მიულერი — გესტაპოს უფროსი, იოჰან როტერჰუბერი — უშიშროების სამსახურის მეთაური, ჰერმან ფეგელაინი — ქვისლი, სს-ის გრუპენფიურერი, ჰერტრუდა იუნგე — მდივანი და კიდევ რამდენიმე ადამიანი.

1945 წლის აპრილის ბოლო დეკადაში, უფრო ზუსტად 20-25 აპრილს ბუნკერს სტუმრობდნენ: ადმირალი დენიცი, ალბერტ შპეერი, ფელდმარშლები — შერნერი და გრაიმი, ჰანა რაიტში, რიბენტროპი, კაიტელი და იოდლი.

ასე რომ, სულ ფიურერბუნკერში 200-300 კაცი იყო დაცვითურთ და მოსამსახურეებითურთ. ეზოსა და მეორე შენობაში დაცვის კიდევ ორი ბატალიონი იყო. ერთ ხანს ჰიტლერი კიდევ იძლეოდა ბრძანებებს, ელანდებოდა რა რომელიღაც არმიები არ არსებული და იმედოვნებდა ბერლინისა და თავის გადარჩენას, მაგრამ ყოველდღიურად იფიტებოდა, ფეხებს ძლივს მიათრევდა, ხელები უკანკალებდა და ფაქტობრივად

— კამერდინერი და ადიუტანტები დაატარებდნენ იღლიებში კმლავებამოდებული. იგი ყოველდღიურად იფიტებოდა ყველას შესამჩნევად და მოგვაგონებდა ოკეანეში მისი ფსკერისკენ მიმავალ თუ ჩაძირებად ხომალდს.

მან თავისი დაბადების უკანასკნელი — 56-ე — წლის აღმნიშვნელი დღეც კი უფერულად, ვიტყოდით — მსუბუქად ჩაატარა და ერთ-ერთ ბოლო თათბირზე მთელი სიძულვილი და უკმაყოფილება გადმოანთხია, ჩავარდა რა გაბოროტებულ ემანაციაში, ყვიროდა, რომ მას ყველამ უღალატა, რომ იგი გარემოცულია მოღალატეებით, გამცემლებით, ლაჩრებით და სულმდაბლებით. ბოლოს, როგორც ჩანს ირწმუნა დამარცხება და აღსასრული, შეურიგდა სრულ კოლაპსსა და კატასტროფას და თვალებში ჩახედა თავისსა და მესამე რაიხის დასასრულს:

„მევხედავ, რომ ყველაფერი დაიკარგა, განაცხადა მან თვითმკვლელობის წინა დღეებში. მე ბერლინში ვრჩები, აქ — რაიხსკანცელარიაში შევხვდები სიკვდილს. ამით ყველაზე უკეთ მოვემსახურები გერმანელ ხალხს. შემდეგომი წინააღმდეგობის გაგრძელება უაზრობაა... წადით, მომცილდით, დაიკარგენით! თავს გაქცევით უშველეთ. გაემართეთ გერმანიის სამხრეთისაკენ. მე ბერლინში ვრჩები. ახლა უკვე ყველაფერი სულერთია“.[1]

ამის გამგონე მისი პალადინები აფორიაქებულან. აღარ იცოდნენ რა მოემოქმედათ. ფელდმარშალ ვილჰელმ კაიტელს უბრძანებია: „ჩვენ ვერ დაგტოვებთო თქვენ. მე შემრცხვებაო ცოლისა და ბავშვების თვალებში ჩახედვაო, თუ თქვენ მიგატოვებთო“.

სულ მთლად მოისაწყლა თავი მარტინ ბორმანმა: „პირველად ჩემს სიცოცხლეში არ დაგემორჩილებით. მე არსად წავალო!“

ბოლო ხანს განაწყენებულ ოიდლასც უთქვამს (ჰიტლერმა კი მას შეცვლა დაუპირა) ჰიტლერის გულის მოსალბობი სიტყვები: „მე ამ თაგვის სოროში ვერ დავრჩები. ჩვენ — ჯარისკაცები ვართ. მოგვეცით საარმოი ჯგუფი და გვიბრძანეთ იქ ბრძოლა, სადაც კიდევ არისო ამის შესაძლებლობა“.

ყველაფერი ამის ხმები რომ გერინგს დასწვდა, მან 25 აპრილს დეპეშა გამოუგზავნა ჰიტლერს ბერხტესჰადენიდან: „ჩემო ფიურერ! ბერლინის ციხე-სიმაგრეში დარჩენის თქვენი გადაწყვეტილების საფუძველზე, თანახმა იქნებოდით თქვენ თუ არა, რომ მე დაუყონებლივ მიმეღო ჩემს თავზე — რაიხსზე საერთო ხელმძღვანელობა — ქვეყნის შიგნით და მის გარეთ სრული თავისუფლების პირობებში, თქვენი მოადგილის რანგში, შესაბამისად 1941 წლის 29 ივნისის თქვენივე გადაწყვეტილებისა? თუ

[1] ЭТР, 435

დღეს, საღამოს 10 საათამდე მე არ მივიღებ პასუხს, მე ასეთ შემთხვევაში, თავისთავად გასაგებად მივიჩნევ, რომ თქვენ დაკარგეთო მოქმედების თავისუფლება და რომ წარმოიქნა პირობები თქვენი ბრძანებულების ძალაში შესვლის თაობაზე.

მე ასევე ვიმოქმედებ ჩვენი ქვეყნის უმაღლეს ინტერესებში, ისევე როგორც ჩვენი ხალხისა. თქვენთვის ცნობილია თუ როგორ გრძნობებს ვატარებ თქვენს მიმართ ჩემი ცხოვრების ამ უმნიშვნელოვანეს საათზე. მე სიტყვები არ მყოფნის რათა ბოლომდე გამოვხატო ჩემი თავი.

გფარავდეთ ღმერთი და წარმატებები თქვენ — ყველაფრისადა მიუხედავად. თქვენი ერთგული ჰერმან გერინგი".[1]

მისი ეს წერილი ჰიტლერმა აღიქვა ვითარცა ღალატი, რასაც ადასტურებს გერჰარდ ბოლდტი თავის მოგონებებში - „ჰიტლერი. ბოლო ათი დღე."[2] იმასაც მიანიშნებს ხაზგასმით, რომ იგი — მარტინ ბორმანმა შეკმაზაო. ამას დაერთო შეტყობინება, რომ იმავე გზას დაადგაო ჰ. ჰიმლერიც: მილაპარაკებების გზებს ეძიებდა მოკავშირეებთანო. ამ გარემოებამ მთლად გადარია ჰიტლერი. მან ორთავე გადააყენა ყველა მათ მიერ დაკავებული თანამდებობიდან და ბრძანა გერინგის დაპატიმრება და დახვრეტა. ეს მაშინ, როდესაც, გ. ბოლდტის ცნობით, რამდენიმე დღით ადრე თვითონვე უბრძანა მას ბერხტესჰადენში წასულიყო და იქედან ეხელმძვანელებინა ლუფტვაფესათვის, რომელთანაც კავშირი ბერლინიდან პრაქტიკულად გაწყვეტილი იყო.

გერინგმა ჰიტლერის მუქარა თავიდან აიცდინა, მაგრამ თავი ვერ დააღწია სახრჩობელას მარწუხების გადაწყვეტილებას ნიურნბერგში, თუმც დაასწრო შურისძიებას და თავი მოიწამლა სასჯელაღსრულებმდე რამდენიმე საათით ადრე — 15.10.46. მისი ვარაუდი, რომ მომავალ გერმანიაში ყოველ ოჯახში დაიდგმება ჩემი პატარა ბიუსტებიო, საფუძველს მიკლებული აღმოჩნდა.

29 აპრილს ევა ბრაუნმა მიაღწია თავის საწადელს: მან გაარღვია ჰიტლერის ჩინური კედელი და მისი ცოლი შეიქნა, თუმც მხოლოდ ერთი დღით: ფრაუ ჰიტლერმა და თვით ჰიტლერმა მეორე დღეს — 30 აპრილს დასტოვეს მიწიერი სამყარო და ზეციურში გაემართნენ. იმავე გზას დაადგნენ იოზეფ და მაგდა გებელსები, რომელთაც ამავესათვის გაიმეტეს თავიანთი ხუთი შვილი.

გამარჯვებული კაცობრიობა ჯოჯოხეთზე გამარჯვებას ზეიმობდა.

ჩვენს ფიგურანტს თვითმკვლელობამდე ორი ისტორიული დოკუმენტი შეუქმნია: პოლიტიკური ანდერძი და უკანასკნელი ნება. ისინი ჰიტლერმა თავის მდივანს, ფრაუ ჰერტრუდა იუნგეს უკარნახა.

---

[1] Ibidem.

[2] Больдт Г. Гитлер. Последные десять дней. М., 2008, 208-209.

პირველი მათგანი — ანდერძის სახით — ორი ნაწილისაგან შედგებოდა. პირველ მათგანში ჰიტლერი ასაბუთებდა, რომ მას განზრახული არ ჰქონდა ომის გაჩაღება 1939 წელს და მის დაწყებას „საერთაშორისო ებრაელობას" აბრალებდა; ხოლო მეორეში იგი აცხადებდა პარტიიდან მოღალატეთა გარიცხვის მიზეზებს, რომელთა შორის სახელდებოდნენ გერინგი და ჰიმლერი. ქვეყნის პრეზიდენტად და უმაღლეს მთავარსარდლად დასახელებული იქნა გროსადმირალი კარლ დენიცი, ხოლო ჰ. ჰიმლერის ნაცვლად „სს"-ის რაიხსფიურერად და გერმანიის პოლიციის უფროსად დაინიშნა გაულაიტერი — კარლ ჰანკე; შინაგან საქმეთა მინისტრად კი გაულაიტერი პაულ გისლერი.

რაც შეეხება მეორე დოკუმენტს — ჰიტლერის საბოლოო ნებას — იგი, ისევე როგორც მისი ბონაპარტისეული ანალოგი, ასე ვთქვათ მემკვიდრეობითი ხასიათის მითითებებს შეიცავს ჰიტლერისას. მასში პირველად (და საბოლოოდაც) არის გამოცხადებული, რომ იგი ქორწინდებოდა თავის ერთგულ და წლების მანძილზე უახლოეს მანდილოსანზე, თუმც ევა ბრაუნის პიროვნება დოკუმენტში არ არის მოხსენიებული. ის კი ნათქვამია, რომ ის თავისი ნებით ისრულებს სიცოცხლეს მასთან ერთად, ვითარცა მისი ცოლი. „ეს დაგვაჯილდოვებსო ჩვენ ყველაფრისათვის, რასაც მოკლებული ვიყავითო ორთავე, ჩემი სამსახურის გამო ჩემი ხალხის საკეთილდღეოდ.

მთელს თავის ქონებას ჰიტლერი პარტიას უტოვებდა(!?), ხოლო მისი დაშლის შემთხვევაში — სახელმწიფოს. რაც შეეხებოდა მის მხატვრულ გალერეას, ის მას მშობლიურ ქალაქ ლინცის გალერეის საკუთრებად აცხადებდა. ჰიტლერი არც თავის და-ძმას ივიწყებდა და, რაც უცნაურად საინტერესოა — თავის სიდედრს(!?)

და ბოლოს არც თავის ძაღლივით ერთგულ თანაშემწეს ივიწყებდა — მარტინ ბორმანის სახით, რომლის მიმართ ნათქვამია შემდეგნაირად - „ჩემი ყველაზე ერთგული თანამებრძოლი პარტიის ხაზით". ის ინიშნებოდა მის სურვილთა აღმასრულებლად („моим душеприказчиком"). — სრულიად განუსაზღვრელი უფლებებით.

დასასრულს განცხადებულია, რომ „ჩემი ცოლი და მე, კრახის თუ კაპიტულაციის თავიდან არიდების მიზნით — სიკვდილს ვირჩევთო. ჩვენ გვინდაო, რომ ჩვენი ნარჩენები დაუყონებლივ იქნასო დამწვარი..." (როგორც ჩანს ჰიტლერს გაგებული ჰქონდა მოკავშირეთა შეთანხმება ბერლინის საბჭოთა ჯარების მიერ აღების თაობაზე და როგორც ისტორიის საკმაოდ მცოდნეს ეშინოდა წარსულის მაგალითის გამეორების — კავკასიის მთიელთა ბელადის შამილის დატყვევებისა და დიდი გალიით მთელს რუსეთში ჩამოტარების თაობაზე. მით უმეტეს მას სახეზე ჰქონდა ახალი შემთხვევა: მოსკოვის ქუჩებში სტალინის

ბრძანებით ტყვე გერმანელ ჯარისკაცთა და ოფიცერთა ჩამოტარებისა — გენერლებითურთ (!).

ასეთი გახლდათ ფინალი ჰიტლერის „ათასწლეული რაიხისა". თორმეტი წლის თავზე ისიც და მისი ფანტაზიის ნაყოფი მოუბრუნებლად შთაინთქნენ და გაუჩინარდნენ დილის ნისლის მსგავსად.

სწორედ ასეთ დასასრულზეა ნათქვამი: Finita la commedia!

P.S. (იქნებ მინაწერი სჯობდეს?) სრულიად გაუგებარი ხდება — საიდან გაჩნდა ვერსია — გებელსის პრემიერ-მინისტრად დანიშვნის თაობაზე, რომლის შესახებ თითქოსდა ბორმანს უცნობებია მემკვიდრე-პრეზიდენტის — კარლ დენიცისათვის? ზემოთხსენებულ არც ერთ დოკუმენტში ამაზე არაფერია ნათქვამი, ერთი სიტყვაც კი, თუმც გებელსის შესახებ არის საუბარი ბორმანთან ერთად!.. პირიქით, ანდერძში ნათქვამია, რომ მათ, თავიანთ ცოლებთან ერთად სიკვდილი უნდათო ჩემთან ერთად, რომელსაც მე ვეწინააღმდეგებიო...

დასკვნები

სახელგანთქმულმა ერნსტ ნოლტემ ერთხელ შენიშნა, რომ „ჰიტლერი ტალახიდან ამოვიდა და ევროპის ბატონ-პატრონი შეიქნაო".[1] დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია, ფაქტი კი ჯიუტია. ამ დიდ ავტორს ერთი რამ ავიწყდება: ეს ვითარება მარტო ჰიტლერს არ ეხებოდა. ევროპის მფლობელები არ გამხდარან, მაგრამ მასზე ნაკლები „ევროპელები" არც სტალინი და არც მუსოლინი ყოფილან. ისინიც ხომ ისეთივე „ტალახიდან" იყვნენ ამოსულები და, შეიძლება, უფრო „სიღრმისეულიდანაც" კი (იგულისხმება რა მათი უფრო დაბალი სოციალური წარმოშობა).

ასე რომ, ვფიქრობთ, ეს გარემოება ომის შემდგომი გარევოლუციონერებული საერთო არამდგრადი პოლიტიკური სიტუაციის გავლენის შედეგი იყო. კონტინენტური ევროპის შუაგულში საიმპერატორო ტახტების მსხვრევამ (გერმანია, ავსტრია-უნგრეთი, რუსეთი) ისეთივე სოციალ-პოლიტიკური „შავი ხვრელი წარმოშვა", როგორც ეს კოსმოსურ სივრცეში ხდება ხოლმე. ხოლო მათი ამოვსებისას იმავე ფიქრის დრო და საშუალება აღარ იყო, თუ ვინ ახდენდა ამას და რა მონდომებით. მთავარი იყო უპირველესად თუნდაც მარტივი წონასწორობის აღდგენა.

ამასთანავე, ამ გარემოებას, ერთი შენიშვნაც გვინდა მივადევნოთ. იმავე თემაზე დაწერილი წიგნის ავტორი რომ ჩვენ ვყოფილიყავით, მასში წარმოდგენილი სამი კომპონენტის შემადგენლობაში ერთ-ერთად

[1] Нольте Э. Фашизм и его эпоху. Новосибирск, 2001, 304.

ჩვენ საბჭოთა კავშირს განვიხილავდით ფრანგული ფაშიზმის ნაცვლად, თუნდაც იმიტომ, რომ ის ხელისუფლებაში არასდროს მოსულა და წიგნს ვუწოდებდით არა - „ფაშიზმს თავის ეპოქაში", არამედ ისე როგორც ეს საკითხი ინგლისელებმა გადაწყვიტეს: „სამსახეობა ფაშიზმისა".

და მაინც, რამ გახადა შესაძლებელი ეს საერთო ევროპული ჭირი თუ მომაკვდინებელი ინფექცია? რამ მოუტანა მას წარმატება? რამდენიც არ უნდა ვეძიოთ სუბიექტური მიზეზები, მათ ერთი და იგივე მნიშვნელობის ობიექტური ტენდენცია უნდა ახასიათებდეს — რევოლუცია (რუსეთი, გერმანია) ანდა წინარევოლუციური სიტუაცია, როგორც იტალიაში.

სამთავე აღნიშნულ ქვეყანას სოციალიზმითა და კომუნიზმით დამფრთხალი რევოლუციისადმი შიში ამოძრავებდა. მართალია, რუსეთში, მისი ჩამორჩენილობის გამო, მოვლენები ერთგვარად თავისებურად განვითარდა, მაგრამ გერმანიასა და იტალიაში, ბურჟუაზია იმდენად იყო დამფრთხალი, რომ მზად აღმოჩნდა უკანასკნელ ნაძირალას გაჰყოლოდა, ოღონდ ქვეყანა ეხსნა მომაკვდინებელ საფრთხისაგან. სხვაგვარად როგორ შეიძლება აიხსნას ის გარემოება, რომ წამყვანმა ბურჟუა-კაპიტალისტებმა — კირდორფის, შტინესის, ტისენისა და სხვათა სახით გვერდით მოისვეს ტალახიდან ამოსული ქუჩის მაწანწალა, სახელმწიფო ორგანიზაციის საკითხებზე ესაუბრებოდნენ და ჯიბეებს ფულით უტენიდნენ: ოღონდ გვიშველე და გადაგვარჩინეო. ამის დასამტკიცებლად მანდამაინც შორს წასვლა არ დაგვჭირდება. **ფრიც ტისენის წიგნი - „მე ვაფინანსებდი ჰიტლერს"** - იქნებოდა სავსებით საკმარისი.

გერმანიის შემთხვევაში იყო კიდევ ერთი დამამძი,ებელი გარემოება: წაგებული ომი და არტახების მომგვრელი ვერსალის ზავი, რომელმაც ისე გაკოჭა გერმანელი ხალხი, როგორც ძველად ჩვილს აკრავდნენ აკვანს. სწორედ მსგავს შემთხვევათა მიმართებაში ამბობდა კ. მარქსი, რომ გამარჯვებულმა მხარემ საზავო მოლაპარაკება პროსტიტუციად არ უნდა აქციოსო. გერმანელი ხალხი სრულ სასოწარკვეთილებაში ჩავარდა, რამაც უჩვეულოდ ნოყიერი ნიადაგი შეუქმნა ჰიტლერსა და მის ნაციონალ-სოციალიზმს. ხოლო სასოწარკვეთილობასა და აბსოლუტურ უიმედობაში მოხვედრილი ხალხი, როგორც ერთ ჟურნალისტს თუ პოლიტიკოსს უთქვამს, - შესატყვისს გადაწყვეტილებებს ღებულობს. გერმანიის მიმართ ვერსალში განხორციელებულ უსამართლობას ქვეყანამ ანალოგიური ავანტიურით უპასუხა. ამ გარემოებამ წარმოშვა ჰიტლერომანია შეძახილებით: „ჰაილ ჰიტლერ!" და „ზიგ ჰაილ!", ხოლო გერმანია ჰიტლერიზმით დაავადდა.

ჰიტლერის ხელისუფლებაში მოსვლას კიდევ ერთმა მძიმე გარემოებამ შეუწყო ხელი. ეს გახლდათ 1929-1932 წწ. მსოფლიო ეკონომმიკური

კრიზისი. მან იმდენად მომაკვდინებლად მოიცვა ბურჟუაზიული წრეები, რომ მათ გერმანიისათვის ვეღარ მოიცალეს. მით უმეტეს, რომ გერმანიის კომპარტია დამაფრთხობლად ითბობდა ხელს ამ საქმეზე. ხომ გასხოვთ, ჩემო ძვირფასო მკითხველო — მათმა მხერდამჭერთა რიცხვმა ლამის 5 მლნ-ს მიაღწია!.. ამიტომ უნდა ამბობდეს ი. ფესტი, რომ **„ფაშიზმი — ანტიმარქსიზმიაო“**[1], რომ „ბოლშევიზმის გამოწვევის გარეშე არავითარი ფაშიზმი არ არსებობსო“[2] და რომ „უდიდესი შიში“ წარმოშობილი იყო ხელისუფლებაში ბოლშევიკების მოსვლით“.[3] მაგრამ ეს ტენდენცია ილუზია აღმოჩნდა, რომლის შესახებ უთქვამს ბენიტო მუსოლინს: „მე და ჰიტლერი ილუზიაში მოვექეცით, როგორც მთვარეულთა ორეულიო“. აქედან გამომდინარე ასკვნის ავტორი, საქმე ეხება არა იმდენად არანორმალურობას ჩვეულებრივი გაგებით, რამდენადაც პოლიტიკური ცხოვრების ტრადიციული ნორმებიდან გადახვევას“. ასე რომ, ეს იყოო - „მსოფლიო ომებისა და რევოლუციის საუკუნე“, და „დიქტატორთა ეპოქა“.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებითაც კი თითქმის წარმოუდგენელია ჰიტლერის მიერ შექმნილი იმპერიის შემაძრწუნებელი პერიმეტრი, ისევე როგორც სტალინისა. მაგრამ, თუ სტალინს მემკვიდრეობით ერგო თავისის უდიდესი ნაწილი, ჰიტლერმა იგი პირველი აგურიდან ააგო. ჩვენ ვცადეთ მისი კონტურების პერიმეტრული ათვლა მისი კონტურების უკიდურესი აღზევების პერიოდში და ძნელი წარმოსადგენი ციფრი მივიღეთ — 7-8 მლნ კვადრატული კილომეტრი.

ეს საოცრება, ბუნებრივია, წარმოშობს უამრავ კითხვას: რამ გახადა იგი შესაძლებელი? რატომ არავინ აღუდგა წინ ნაცისტების მისვლას ხელისუფლებაში? ათობით, ათასობით წიგნისა და გამოკვლევების მიუხედავად ჯერ კიდევ რატომ არის ბინდით მოსილი ჰიტლერიზმის წარმოშობა? რატომ იყო დაავადებული ჰოტლერით ამდენი მოლიონი გერმანელი? და კიდევ და კიდევ ბევრი ასეთი რატომ? და ბოლოს: რატომ უპასუხეს აშშ-ში ემიგრირებულ რუს მწერალს ლევ ნავროზოვს (ვფიქრობთ, რათა იგი ქართველია, ნავროზაშვილი უნდა იყოს) ამერიკაში ომის შემდეგ გადასახლებულმა გერმანელმა ემიგრანტებმა, რომ ეს იყოო უბედნიერესი დრო ჩვენს ცხოვრებაში“, „რამდენადაც ჭკვიანი არ უნდა იყოთო, თქვენ ამას ვერ გაიგებთ, იმიტომ, რომ გერმანელად არ იყავითო დაბადებული“ და ბოლოს - „ეს ყველაფერი საკუთარი თვალით უნდა გენახათო“. მართლა ღვთისაგან მოვლენილი მოციქული ხომ არ იყო ეს ავსტრიელი მაწანწალა, რომელიც საქვეყნოდ აცხადებდა, რომ „უდიდეს გერმანელად დარჩებოდა ისტორიაში“?..

---

[1] Фест И.I, 7-8

[2] Там же, 9

[3] Там же, 15

ანალიზს დავიწყებდით ჰიტლერის წარმოშობიდან. ჩვენს ხელთ არსებული დოკუმენტური მასალებიდან, ზოგი ავტორის მოსაზრების გათვალისწინებითა და თვით ჰიტლერის დაეჭვებიდან გამომდინარე — აბსოლუტურად დარწმუნებული გახლავართ, რომ რაღაც პროცენტით (ნახევრიდან მოყოლებული მესამედით თუ არა მეოთხედით მაინც) ჰიტლერი ებრაელი უნდა იყოს. საფუძველი: თქმულება მამამისის ებრაული წარმოშობის თაობაზე, საყოველთაოდ დადასტურებული ინფორმაცია მისი მშობლების პირველი თუ არა, მეორე ხაზის მკვიდრ ბიძაშვილ-მამიდაშვილობაზე, რომ დედამისი თავის მომავალ მეუღლეს ადრე ბიძიას ეძახდა მათთან ოჯახში ცხოვრებისას (ე.ი. მითხოვებამდე), რომ ხუთი დედმამიშვილიდან, მხოლოდ ადოლფი და პაულა გადარჩნენ, რომ ჰიტლერმა ავსტრიის ანშლუსის შემდეგ სამხედრო პოლიგონად აქცია თავისი წინაპრების ადგილსამყოფელი ზემო ავსტრიაში და, ბოლოს, რატომ ჩაატარებინა ფარული გამოკვლევა თავის ადვოკატს — ჰანს ფრანკს თავისი არაებრაული წარმოშობის თაობაზე და შემდეგ რაიხსტაგის წევრი რატომ გახადა იგი? უფრო მეტი, რ. ჰეიდრიხის მკვლელობის შემდეგ რატომ ითხოვდა ესოდენ დაჟინებით შეგულიანებული ჰ. ფრანკი — მე უნდა დამნიშნოთო მის ნაცვლადო და არ იკმარა პოლონეთის გენერალ-გუბერნატორობა?..

ასე რომ, თუ ყველაფერი არა, რაღაც ნაწილი ხომ მართალი უნდა იყოს? ჰო, მართლა, კიდევ ერთი უტყუარი მტკიცებულება უნდა შეგახსენოთ. მის დისწულთან — გელი რაუბალთან ურთიერთობაც. ძნელი სავარაუდოა მათი სქესობრივი ურთიერთობა (თუმცა ჩვენ გვაქვს ცნობა ასეთ შესაძლებლობაზე), მაგრამ ის ხომ ფაქტია, რომ ჰიტლერს ის გაგიჟებით უყვარდა და მის თხოვას ვარაუდობდა (გავიხსენოთ პირადი მდივნის კრისტა შრიოდერის მონათხრობი). სხვათა შორის კ. შრიოდერი იმასაც გვამცნობს, რომ გელიმ თავი მოიკლაო ბიძამისის ჯიბეში ე. ბრაუნის წერილის პოვნის გამო. თუ ეს ასეა, მაშინ გელისაც ჰყვარებია ბიძა.

და ბოლოს: ჰიტლერმა თავი ვერ მოიკლა, მაგრამ გავიხსენოთ მისი უმძიმესი განცდები და თვითგვემა ორი-სამი კვირის განმავლობაში. ამასთან შავი პერანგი დიდი ხნის განმავლობაში არ გაუხდია და ვენაში ყოფნისას აუცილებლად მოინახულებდა მის საფლავს. მაშინაც კი, ვიდრე კანცლერი გახდებოდა, საგანგებოდ სთხოვდა ნებართვას ავსტრიის მთავრობას.

ბუნებრივია, ისმება კითხვა: მიუხედავად კათოლიკური ნათესაური თხოვება-გათხოვებისა, განა შესაძლებელია, მესამე თაობის წარმომადგენელთა ასეთ ქორწინებრივი და მით უმეტეს სქესობრივი აქტები. ბიძა-დისშვილის აქტს რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, კათოლიკური

სარწმუნოებაც არ უშვებს. და მერე - თუ ეჭვი არ გეპარება, შენს წარმოშობას რატომ ირკვევ?.. ასე რომ, ჰიტლერის წილადობრივი ებრაელობა ისევე არ უნდა იწვევდეს დაეჭვებას, როგორც რაინჰარდ ჰეიდრიხისა, რომლის მიმართ ძველად მხოლოდ ვარაუდები იყო გამოთქმული, რაც საბოლოოდ ომის შემდგომ დადასტურდა.

ასე რომ, ანტისემიტიზმისა და რასობრივი კულტის მიუხედავად, რომელიც ფუნდამენტურად იყო დანერგილი ნაცისტურ გერმანიაში, ფაშისტური ხელმძღვანელობა არც თუ იშვიათად ხუჭავდა თვალს ამა თუ იმ მოხელის არარასობრივ ანკი შერეულ წარმოშობაზე, თუკი ის ვიღაც პიროვნება მათთვის და მათი მოძრაობისათვის გადაუდებლად საჭიროდ იყო მიჩნეული. მსგავსი შემთხვევები ზემოთაც ბევრი იქნა მოტანილი (ჰაუსჰოფერები, და სხვ.).

ისტორიკოსთა წრეებში ამჟამადაც კი მიმდინარეობს დავა იმასთან დაკავშირებით, თუ როდის და სად შეიქნა ჰიტლერი რასისტად. ასე მაგალითად, გვიდო კნოპი ასაბუთებს, რომ ჰიტლერმა ეს პოზიციები ლინცში შეიძინა და არა ვენაში,[1] თუმცა კაცმა რომ თქვას, განა ამას აქვს ასეთი პრინციპული მნიშვნელობა? გვესმის, რომ ასეთი რამ კაცმა გაარჩიოს საგნისა თუ ნივთის ვთქვათ მე-5 ავენიუზე თუ მე-3-ზე ყიდვისას ნიუ-იორკში, იმიტომ რომ, ეს დაკავშირებულია პრესტიჟთან თუ რენომესთან, მაგრამ, იგი მთავარი არ გახლავთ იმ შემთხვევაში, თუ სად გახდაო ანტისემიტი და რასისტი. მაგრამ თუ ამ შეკითხვას მაინც პრინციპულს გავხდით, მით უფორ ვერ დავეთანხმებით გ. კნოპს, რომ ჰიტლერმა ეს პოზიცია ლინცში შეიძინა. ამას იმიტომ მოგახსენებთ, რომ თვით ეს უკანასკნელი ამბობს, რომ ჯერ კიდევ ლინცში მე ებრაელი არც კი ვიცოდიო ვინ იყო. მახსენდებაო, „რომ ერთხელ სკოლაში სწორედ ებრაელ ამხანაგს გამოვექომაგეო"... ასე რომ, რჩება ვენა, სადაც, პოლიტიკით დაინტერესებულმა ჰიტლერმა პარლამენტის სხდომების მოსმენა დაიწყო და დროგამოშვებით საათობით უცქერდა ქალაქის ქუჩებში სოციალ-დემოკრატიის მიერ ორგანიზებულ მუშათა დემონსტრაციებს. ხოლო, რამდენადაც სოციალ-დემოკრატთა ლიდერები მეტწილად ებრაელები იყვნენ ეროვნებით, აქედან დაიბადა შეურიგებელი სიძულვილი მათი, ვითარცა „ნოემბრის კრიმინალთა" მიმართ, როგორც იგი მათ გამუდმებით ეძახდა.

გამოჩენილი ქართველი ავტორი — მიხეილ კვესელავა წერს თავის გენიალურ - „ას ერგასის დღეებში": „...ჰიტლერის „კარის ბიოგრაფებიც" გამოცანად თვლიდნენ ამ „იდუმალებით მოსილი" პიროვნების გამოჩენას პოლიტიკურ არენაზე. მართალია ომის დროს და ნიურნბერგის პროცესზე სულ გაშიშვლდა ჰიტლერის საშინელი მიზნები და საქმეები,

[1] Кнопп Гвидо. Адольф Гитлер. Психологический Портрет М., 2006. 337.

მაგრამ მის პიროვნებას მაინც არ მოშორდა „იდუმალების" აჩრდილი. ჰიტლერი დღესაც ისეთივე გამოცანაა, როგორიც მაშინ. ჩანს, ვერც მისი თანამებრძოლები გაერკვნენ ამ „კურიოზულ საოცრებაში. ადრეც და შემდეგაც ისინი სულ ერთმანეთის საწინააღმდეგო აზრებს გამოთქვამდნენ მათი კერპის შესახებ".

მართალია, ეს შეხედულება გამოთქმულია თითქმის ნახევარი საუკუნის წინათ, მაგრამ ვითარება ამ შემაძრწუნებელი სატანისა და დემონის მიმართ არც ამჟამად შეცვლილა. მისი მისტიური პორტრეტი დღესაც ნისლოვანი ამინდის გარემოში შექმნილ ნატურმორტს მოგვაგონებს. გაურკვევლობა ჰიტლერის პიროვნების მისამართით, საკითხის პარადოქსულობის მიუხედავად დღესაც ძალაში რჩება. არადა ზემოხსენებული ავტორის — გვიდო კნოპის განცხადებით, ჰიტლერის შესახებ დაახლოებით 120 ათასი წიგნია გამოსული — როგორც მეცნიერული, ასევე სამეცნიერო-პოპულარული ხასიათისა.

თვით მის წიგნში - „ადოლფ ჰიტლერი" -, რომელიც გერმანიაში 1995 წელს, რუსულად კი — 2006 წელს არის გამოცემული, ფიურერის შესახებ ასეთი კრებსითი ხასიათის დახასიათებაა მოცემული:

„დადგა დრო შედეგების შეჯამებისა...ისტორიაში ჯერ არასდროს ყოფილა პოლიტიკოსი, რომელსაც ერთსა და იმავე დროს ეგრერიგ აფასებდნენ და ესოდენი ჟინით სძულდეთ. არც ერთი დიდი ევროპელი პოლიტიკოსი არ ყოფილა ოდესმე ასეთი წარუმატებელი. ყველა მის მოქმედებას შებრუნებული შედეგი მოჰყვა. მას ეწადა ევროპის მხსნელი გამხდარიყო, სინამდვილეში მის მწვალებლად გადაიქცა. უფრო მეტი: პრაქტიკულად მისი ჯალათი შეიქნა.

მართალია დღეს გერმანია თავისუფალი და ერთიანიაო, მაგრამ, განა ჰიტლერისგანაა გათავისუფლებული... არა და არა! ჩვენ კიდევ ვერ გავთავისუფლდით მისგან. წარმოშობით ავსტრიელი, მთელს მსოფლიოში ცნობილ გერმანელად ქცეული, ის ყველგან, როგორც ადრეც — ფრანც ბეკენბაუერის, ჰელმუტ კოლისა ან ბორის ბეკერის[1] გვერდითაა.

მხოლოდ ახლა, მრავალი ათწლეულის გავლის შემდეგ გაითავისაო საბოლოოდ კაცობრიობამ, რომ მისი ბოროტგანზრახული დანაშაული არამარტო მსოფლიო ომის გაჩაღებაში გამოიხატება, არამედ ადამიანთა თვალებისათვის მიუწვდომელ საშინელებებში. ათობით მილიონ „თავისებრ" ქნმილებეთადა საზარელი ჯოჯოხეთური ტანჯვა-წვალების გზით ლიკვიდაცია და მათი გენოციდი უფრო მძიმე ბრალდებად უნდა იქნეს მიჩნეული, ვიდრე მარტო მისი აგრესიული აქციები.

ჰიტლერის პირქუში მემკვიდრეობა გვავიწროვებს ჩვენ, - განაგრძობს ზემოხსენებული გვიდო კნოპი, - გერმანელებს და თითქმის ხელიდან

[1] -4 ცნობილი გერმანელები — ფეხბურთელი, პოლიტიკოსი და ჩოგბურთელი.

გვაცლის ჩვენი თავის რწმენას. როგორ შეიძლება ჩვენს თავში რწმენა, როცა თვითონვე ავირჩიეთ იგი? როგორ შეიძლებოდაო ჩვენს თავში რწმენა, თუ მას ასეთი აღტაცებით ვხვდებოდით? როგორ შეიძლებოდა ჩვენს თავში რწმენა, თუკი მას კვალში მივყვებოდით, როდესაც თავისი ომი წამოიწყო? როგორ შეიძლება ჩვენს თავში რწმენა, თუ ჩვენ დავუშვით ოსვენციმი?

და მაინც, ყველაფრის მიუხედავად, რაც უფრო მეტი ვიცით ჰიტლერის შესახებ, მით უფრო ძნელი ხდება მისი გაგება, უფრო მეტად გვიძვრება იგი ხელიდან. ჰიტლერის შესახებ უკანასკნელი 50 წლის განმავლობაში შეკრებილ კონკრეტულ მონაცემებსა და მის სიღრმისეულ გაგებას შორის მაინც ვეებერთლა უფსკრულია.

ნათქვამის მიუხედავად, ჰიტლერის „ნამოღვაწარის" შედეგები უპირველეს ყოვლისა გერმანიაში უნდა შეფასდეს მაინც. და თუმც თავისუფალი არჩევნების პროცესში გერმანელებს უმრავლესობა მისთვის არასდროს მიუციათ, მაინც ჩვენვე მივიყვანეთო ხელისუფლების სათავეში. ამიტომ, ჩვენ არავინ გაგვათავისუფლებს პასუხისმგებლობისაგან, რომ ჯეროვნად ვერ შევაფასეთო დემონი და ვერ გავთავისუფლდით მისგან მანამდე, ვიდრე საქმე არ მივიდა მილიონთა განადგურებამდე.

ჰიტლერი, - გ. კნოპის აზრით, შეუცნობელი პირია, კერძო პირი, დიქტატორი, დამპყრობელი და დამნაშავე, რაც მთავარია, არავის ძალუძდა მასზე ყალბი წარმოდგენის უგულვებელყოფა და მისი ჭეშმარიტი წარმოდგენა უკეთ, ვიდრე თვითონვე მას. მიუხედავად 2.000-ზე მეტი ინტერვიუსა, რომელიც მან განსხვავებული ასაკის გერმანელებს მისცა, მის პიროვნებას მაინც ყადაღა ადევს.

იმავდროულად, სახიფათოაო ჰიტლერზე წერა, ვინც ასეთ ცდუნებას აჰყვება, გამუდმებით ელის თავის მართლება. მას გაამტყუნებენ ჰიტლერის მისამართით მუდმივ ნოსტალგიაში. თავდაპირველად იგი ისტორიამ შექმნა, მაგრამ შემდეგ, მოგვიანებით თვითონ იყო ისტორიის ავტორი. მესამე რაიხი უაზრობა იქნებოდა მის გარეშე, რამეთუ თავად იყო მისი არქიტექტორი, - ბოროტების, შიშის, მისწრაფებებისა და იმედების მდენარეთა შეერთება. ჰიტლერის გარეშე მთელი ეს ბნელეთი გაქრებოდაო.

მას არაფერი მოერგებოდა ისე, ვიდრე იაკობ ბურკჰარდტის სენტენცია იმის თაობაზე, რომ „ხანდახან ისტორიას უყვარს ერთ ადამიანზე კონცენტრირება და მას მაშინ მთელი სამყარო ფეხქვეშ მოექცევაო". ამასვე იმეორებსო იოაქიმ ფესტიც: „ჰიტლერის სახით პიროვნებამ კიდევ ერთი გამოავლინაო თავისი უხეში ზემოქმედება ისტორიულ პროცესზე..." თქვენ წარმოიდგინეთო — რუდოლფ აგუშტაინიც: „ჰიტლერი უკანასკნელი მოჰიკანია იმათგან, ვინც განახორციელა ისტორიაზე თავდასხმა".

ჰიტლერმა აღფთოვანება შეიძლება იმაში გამოიწვიოს, ვინც ან არაფერი, ანდა ცოტა იცის მის შესახებ. საუკეთესო საშუალება „ჰიტლერიზმის" ინფექციით დაავადების წინააღმდეგ, ჰიტლერის თაობაზე ჩვენი ცოდნაა. თვით იგიაო საუკეთესო თერაპია. ამ პიროვნების პირადი ცხოვრება ნაკლებ მნიშვნელოვანი და მწირი იყოო. მას არაფერი გააჩნდა ისეთი, რაც ადამიანის თავის ცხოვრებას ქმნის და აკეთილშობილებს: განათლება, მეგობრობა, სიყვარული თუ ქორწინება. ის საოცრად ბევრს კითხულობდა — უბრალოდ სანსლავდა წიგნებს, განსაკუთრებით სამხედრო სფეროში, მაგრამ ყველაფერს, რომელიც არ შეეფერებოდა მის სამყაროსეულ შემეცნებას, უბრალოდ არ ამჩნევდა. იგი თანდაყოლილი მეგალომანი ანუ საკუთარ თავზე შეყვარებული კაცი იყოო. ის, რაც მას აინტერესებდა, მხოლოდ ასეთს შეიძლებოდა ჰქონოდა რაღაც მნიშვნელობა.

ჰიტლერის საქციელი განისაზღვრებოდაო აბსოლუტურად ხავსმოდებული წინასწარ განზრახულობით და იმავდროულად ხასიათის არამდგრადობით. მას არ გააჩნდა სხვებთან კონსტრუქციული დიალოგის ნიჭი. შეპასუხებას ის თავდაპირველად ძნელად, მაგრამ მაინც იტანდა, ხოლო ცხოვრების ბოლოს სრულებით ვეღარ ეგუებოდა. ფოტოსურათებზე ხშირად ნახავდით ბავშვებთან, ახალგაზრდებთან ანკი ძაღლებთან, მაგრამ ყველა ისინი დათრგუნულნი ჩანდნენ. ყველაზე მეტად მას უყვარდა საუბარი: მდივნებთან (შეგვიძლია გავიხსენოთ კრისტა შრიოდერის მონაყოლი - „ჩაის სმაზე კიბის ქვეშ", სადაც ჰიტლერი სისტემატურად მიირთმევდა ჩაის თავის მდივნებთან ერთად - „კიბის ქვეშ"), მძღოლებთან და ადიუტანტებთან. მისი ხასიათი ძალზე ადრე ჩამოყალიბდა და უცვლელი დარჩა სამუდამოდ, თითქოსდა გაიყინა. მას სძულდა ყველაფერი ახალი, არ უყვარდა ნაირსახეობა. ამის დასტურია დაჟინებული ერთგვაროვანი ჩაცმულობა. იგი ასევე ერთი და იგივეს ჭამდა თითქმის მუდამ. თავისი საყვარლებისგანაც ითხოვდა, რომ ყოველთვის ერთნაირად გამოწყობილიყვნენ. ბერხტესგადენში, ბუხართან, გამუდმებით ერთსა და იმავე ამბავს უყვებოდა ყველას.

ქალებს ის აუბედურებდა (გავიხსენოთ გელი რაუბალი). არც ერთ მათგანს არ სცემდა პატივს (გარდა, შეიძლება ერნსტ ჰანფშტანგლის ცოლისა). ზოგიერთმა მათგანმა თავიც კი მოიკლა (იგივე გელი რაუბალმა, რობერტ ლეის მეუღლემ; იგივე სცადა ლორდ მიტფორდის ქალიშვილმა და ევა ბრაუნმა, რომელმაც ორჯერ მოიწამლა თავი). იგი უყვარდათ (გაგიჟებითაც), მაგრამ თვითონ სიყვარული არ შეეძლო (გარდა, ალბათ, გელი რაუბალისა და, შეიძლება ჰაფშტანგლის მეუღლისაც). ის უბედური კი არ იყო, სძულდა ბედნიერება. მას უყვარდა სრულიად მორჩილი ქალები, მაგრამ ერნსტ ჰაფშტანგლის მტკიცებით (უფრო

სწორად მისი ცოლისა) — უბრალოდ იმპოტენტი გახლდათ. ერთი საყვარლის განცხადებით, საქმე ხელის ფათურის იქეთ არ მიდიოდა. ევა ბრაუნიც იგივეს ამბობდა: უბედური ვარო. მაგრამ, გვინდა ქართველმა მკითხველმა ისიც იცოდეს, ქალებთან დროგამოშვებით უცნაურობამდე მუსული რომანტიკული ქცევებიც ახასიათებდა. შეგახსენებთ ერთხელ მიუნხენში, კანცლერობამდე ცალ ფეხზე დაიჩოქა პირდაპირ ქუჩაში და სიყვარული შეჰფიცა ერნსტ ჰაფშტანგლის მეუღლეს ქმრის თანდასწრებით!..

ჰიტლერს შიშს ჰგვრიდა ვინმესადმი გულის გადახსნა. მისი გაგებით ვინმესთვის თავის შებოჭვა მისთვის საკუთარი თავის რაღაც ნაწილის დათმობას მოასწავებდა. „მარადჟამს სტილიზებური ნიღაბი, ყოველთვის გაცვეთილი პოზა, - წერს გვიდო კნოპი, - გახლავთ ის, რაც გეცემათ თვალში მის ადრინდელ ფოტოებზე, რომელსაც მისი პირადი ფოტოგრაფი ჰოფმანი იღებდა. ჰიტლერს არ შეეძლო ცხოვრებით დატკბობა, იგი არ ეწეოდა თამბაქოს, არ სვამდა, არ შეეძლო მოდუნება. სიამოვნებას უმთავრესად ხალხთან კონტაქტისას იღებდა. ჭეშმარიტად უბედური დემონი გახლდათ“.

მაგრამ, ავტორის შეხედულებით, იგი არ იმსახურებდა შებრალებას. იყო ავადმყოფური ნაძირალა, რომელმაც მთელი ერი „მოიხმარა“ თავისი წარუმატებლობის გადასაფარავად. ბუნებაში ყველაფერი ურთიერთკავშირშია. ეგოცენტრული მტარვალი ომის ბოლო წლებში ხმის ბოლო ჩახლეჩამდე უყვიროდა თავის გენერლებს, რომლებსაც ბრალს დებდა სამხედრო წარუმატებლობებში, რომელთა გამომწვევი ყოველთვის თავად იყო. მან მხედრული უწყებიდან გააძევა თითქმის ყველა თავისი ძველი სახელგანთქმული ფელდმარშალი (ყოველ შემთხვევაში 12 მათგანი ჩვენთვის ცნობილია), რომლებმაც შეუქმნეს და გაუთქვეს სახელი გერმანიის სამხედრო დიდებას (ბრაუხიჩი, მანშტაინი, რუნშტედტი, ბოკი, კლიუგე, რომმელი და ა.შ.). ეს იმიტომ ხდებოდაო უმთავრესად, რომ ჰიტლერის ფენომენს საფუძვლად არ გააჩნდა არანაირი გერმანული ტრადიცია. გენერალი ლუდვიგ ბეკი, რომელიც ცდილობდა მის დამხობას, ამბობდა, რომ ადამიანს საერთოდ არ გააჩნიაო სამშობლო, ხოლო გოლო მანი აცხადებდა, რომ ეს კაცი „არსაიდან“ მოვიდაო („неоткуда“).

გვიდო კნოპზე არანაკლებ შემზარავ სურათს ჰიტლერის თაობაზე წარმოგვიდგენს უკვე ნაცნობი ოტტო დიტრიხი. იგი ხაზგასმით აღნიშნავს ჰიტლერის „ორ სახეობას“ და ამისათვის იყენებს გოეთეს გახმაურებულ გამოთქმას - „ორი სული ცხოვრობს ჩემში“ („Zwei Seele wohnen in mein Brust“).

ჰიტლერის „ორგვარი სახე“ (ein doppeltes Gesicht), ჰქონდაო. იგი თავის

თავში აერთიანებდა ხალხის სამსახურსა და მოქმედების საშინელებას (Ungeheuerlichkeit), გენიალობის ნიშნებსა და დემონურ სიშმაგეს (Besessenheit), შემოქმედებით ინტელექტსა და ბრმა უუნარობას (blinde Unfahigkeit) ნაზ გრძნობებსა და ყინულისებრ გულგრილობას... ჰიტლერი საზარელ საკონცენტრაციო ბანაკებსაც ქმნიდა და იადონებსაც უვლიდა, უყვარდა ცხოველები და მუსრს ავლებდა ადამიანებს, თავაზიანიც(?) იყო და უხეშიც, სენტიმენტალურიცა და შეუბრალებელიც. იგი აღტაცებით შესცქეროდა ხელოვნების ნიმუშებს და იმავე დროს უმოწყალოდ ულეტდა ქალებსა და ბავშვებს, დიდსა და პატარებს.

ამგვარი ორსულოვნება (doppelgeistigket), - განაგრძობს დიტრიხი — მისი ბედისწერაც იყო და დანაშაულიც. მან გააღმერთა თავისი ხალხი და მანვე დაღუპა იგი. ჰიტლერმა იცოდაო უმთავრესის დანახვა, ჰქონდა გასაოცარი მეხსიერება, დაუშრეტელი ფანტაზია, ციკლოპური ნებისყოფა, წარმოსახვის არაჩვეულებრივი ძალა, გადაწყვეტილებეთა გაბედულება. ეს უნარი ზოგჯერ გენიალობას აღწევდა. სამაგიეროდ ასევე ძლიერი იყო მისი ცდუნებანი: რასიული თეორია, რელიგიის დათრგუნვა, მორალის ყოველგვარი კანონის უარყოფა, სულიერი პრიმიტიულობა, წარმოუდგენელი სიბრმავე და უუნარობა სახელმწიფოებრივი საკითხის გადაწყვეტილებაში.

ჰიტლერი, - დაასკვნის დიტრიხი, -გაგებულ უნდა იქნეს თავისი პოპულარობითა და შინაგანი წინააღმდეგობებით, თორემ ისე ჩვეულებრივი ბუნებრივი საზომებით მისი წარმოდგენა არ შეიძლებაო.

არანაკლები სიმძიმის სენტენციებს გამოთქვამდნენ იმდროინდელი ცნობილი გერმანელები. „ასეთი შემზარავი ადამიანი ისტორიას არ ახსოვსო", - წერს ფრიც ფონ პაპენი. „ჩვენი ფიურერი ყოველთვის ავადმყოფი კაცი იყოო", - კვერს უკრავს მას ფელდმარშალი კაიტელი, ხოლო მომაკვდინებელ ლახვარს სცემს გენერალ-პოლკოვნიკი ჰაინც გუდერიანი: „მასში დემონმა თანდათან სძლია გენიოსსო!"

მაგრამ, მკითხველს ვთხოვ დააკვირდეს — ყოველ სენტენციაში იკვეთება ჰიტლერის განდიდების ტენდენცია. მათ ავიწყდებათ დიდ რუსი პოეტის ალექსანდრ პუშკინის სიტყვები: „გენიოსი და უკეთურება ორი შეუთავსებელი საგანია". „ეს მარტივი ჭეშმარიტება, - წერს მ. კვესელავა, ავიწყდება ყველას, ვინც ბოროტმოქმედთ, მკვლელებსა და დესპოტებს გენიოსის დაფნის გვირგვინს სთავაზობს. უფრო მოკრძალებულნი კი უკან დასახევ გზას იტოვებენ და წერენ, - „ჰიტლერი გენიოსი იყო, მაგრამ არა ჭკვიანიო", თანაც დასძენენ: „ჭკუა გენიოსისთვის საჭიროაო". უფრო მეტიც, - განაგრძობს ავტორი „... ზოგს არც ის ეუხერხულება, მას „შეშლილი" ან „უჭკუო გენიოსი" უწოდოსო".

დაახლოებით მსგავსი საუბრები იყო თეირანშიც. როგორღაც, ერთ-

ერთი შესვენებისას ანტიჰიტლერული კოალიციის ხელმძღვანელთა შორისაც ჩამოვარდნილა საუბარი ამ თემაზე. ზუსტად არ გვახსოვს ორთაგან ერთ-ერთ ლიდერს უთქვამს, რომ „ჰიტლერს ნიჭი არ გააჩნიაო". აქ საუბარში სტალინი ჩართულა და განუცხადებია, - „ჰიტლერს ნიჭი არ აკლია, მაგრამ უჭკუო არისო". დასტურის ნიშნად რუზველტს ღიმილით გადაუხედავს მარშალისათვის და თანხმობა გამოუთქვამს. მკითხველმა თავად განსაჯოს, ვინ უფრო მართალია — კვესელავა თუ სტალინი.

ჰიტლერის პირადი ექიმები, იმავე მ. კვესელავას აზრით, იმას ამტკიცებდნენ, რომ მათი ფიურერი ისტერიის მძიმე ფორმით იყო დაავადებული. ვინც მის ავადმყოფობას სწორი დიაგნოზი დაუსვა — პარკინსონის სენი სჭირსო, - მაშინვე გააქრესო. ისტერიას კი ვერაფერი მოუხერხეს, რადგან ყველა ხედავდა ლაპარაკის დროს რომ დორბლი მოდიოდა და ტუჩებს წამდაუწუმ ცხვირსახოცით იწმენდდა. უფრო მეტიცო. იმასაც ამბობდნენ, ასეთი ისტერიული ლაპარაკით იქარვებდაო ეპილეფსიის შეტევებს. ხედავდნენ კიდეც, ისტერიის დროს იატაკზე რომ ეცემოდა და, გერინგის სიტყვებით რომ ვთქვათ, - „ხალიჩას სძოვდა". მისი მეხოტბენი ამას იმით „ხსნიდნენ", - თითქოს იგი „ზეშთაგონებულად შეშლილი" ანუ „შმაგი გენიოსი" იყო... ზებუნებრივის რაღაც ღვთაებრივი ძალით შეპყრობილი.

მ. კვესელავას შეხედულებით კი ჰიტლერის „ღვთაებრივი ეპილეფსია" უფრო ომის ღმერთის — არესის - სიშმაგეს ჰგავდა. ქადაგების დროს ის ცოფსა ჰყრიდა, წარამარა მუშტებს იქნევდა, ფეხებს იატაკზე აბრახუნებდა, თვალები სულ გადმოცვენაზე ჰქონდა და სახეზედაც ხვითქი გასდიოდაო. მერე ექსტაზში რომ შევიდოდა, საყელოს ჩამოიგლეჯდა და ისეთი შემზარავი ხმით გაჰკიოდა, რომ მსმენელები გაოგნებულები შეჰყურებდნენ ან მასთან ერთად შმაგობდნენ და მართლაც შეშლილებივით ღრიალებდნენ: „ჰაილ ჰიტლერ!", მაგრამ დარბაზის თუ მიტინგის ნახევარი ამაში სხვა აზრს ხედავდაო, - წერს ავტორი. საქმე იმაში ყოფილა, რომ მახვილის სხვა მარცვალზე გადატანით და ინტონაციის შეცვლით სხვაფერდებოდაო შინაარსი: „გაუმარჯოს" ან „დიდება" ჰიტლერის ნავცლად ვღებულობთო - „განკურნეთ ჰიტლერი!".

ჰიტლერის საოცრად ცხოვრებისეული სურათი წარმოადგინა ნიურნბერგის პროცესზე ინგლისელმა ბრალმდებელმა შოუკროსმა, როცა გაიმეორა სენეკას ნათქვამი: „კალიგულას სული გაგრძელდა ისტორიაში და ჩვენს საუკუნეს მოევლინა, როგორც ადოლფ ჰიტლერი. ბუნებამ კალიგულა იმიტომ შექმნა, რომ ეჩვენებინა, სანამდე შეიძლება მივიდეს უსაზღვრო გახრწნილება და ძალაუფლების ერთიანობა".

„... და აი, ამ დროიდან დღემდე, - წერს მ. კვესელავა, - მოდიან

დიდი თუ პატარა კალიგულები, რომელნიც იმ ავბედითი რომაელი იმპერატორის პოზაში დგანან და სულს უხუთავენ კაცობრიობას". მათი გამოცნობა ყოველ ადამიანს შეუძლია ყოველ ეპოქაში, როგორც კი წარმოისახებიან ისინი. ამ ავადსახსენებელმა იმპერატორმა (ახ. წ.ა. 12-41 წწ.), რომელმაც სულ 29 წელი იცოცხლა და 25 წლის ასაკში გახდა იმპერატორი იულიუს-კლავდიუსთა გვარიდან, სულ ოთხი წელინადი იმეფა მხოლოდ, მაგრამ იმდენი ბოროტებისა და სისაძაგლის ჩადენა მოასწრო, რომ მთელი სენატი და პირადი გვარდია პრეტორიელებისა აიმხედრა და კიდეც გაუგონარი ჯოჯხეთური სიკვდილით ჩააძალეს. ამ უკანასკნელებმა იმდენჯერ ჩასცხეს მას ხანჯალი, რამდენის ძნელად შეიძლება კაცმა წარმოიდგინოს სიკვდილამდე ადამიანის მისაყვანად და იგი, მომაკდავი, მაგრამ მაინც ცოცხალი, იმ მომენტში მკვლელებს პასუხობდა შეძახილებით: „მე ცოცხალი ვარ!", „მე ისევ ცოცხალი ვარ", „მე მაინც ცოცხალი ვარ!", და ბოლოს „ისტორიაში, კალიგულა, ისტორიაშიო!".

„ეს ძახილი დღემდე ანათემად მოსდევს კაცობრიობას", - აცხადებს მ. კვესელავა. — სწორედ ამიტომ გაიძახოდა სასოწარკვეთით კალიგულას აღმზრდელი ტიბერიუსი: „მე ვზრდი მორიელს საკუთარი თავისა და ქვეყნის დასაღუპადო". მიუხედავად საშინელებათა გრანდიოზულობისა, კალიგულა ქვეყნიერების დაღუპვას ვერ შესწვდა, მაგრამ ტიბერიუსს კი ბოლო მოუღო, თანაც საკუთარი ხელით.

არაამქვეყნიური მისტიკის ძიებისას ნაცისტები სიმბოლიკას გადაეყარნენ და მათგან ყველაზე გამორჩეული მაინც სვასტიკა მიიჩნიეს, თუმცა ისიც მათზე ადრე სხვებსაც ჰქონდათ გამოძებნილი და, საერთოდ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ეს უძველესი ნაცისტების ტერმინოლოგიით არიული სიმბოლო, ტიბეტიდან და ინდოეთიდან მოყოლებული სხვა ქვეყნებსა თუ ხალხებსაც გააჩნდათ. იგი ნაპოვნია: ტიბეტში, ტრანსილვანიაში, ჩინეთში, ტროას ნანგრევებში, იაპონიაში და, თქვენ წარმოიდგინეთ ჩვენშიც კი — საქართველოშიც — უძველეს 5-6 ათასი წლის წინანდელ ნასახლარებსა და სასაფლაოებში. „ქრისტეანული ჯვარი, - მიანიშნებს ნაცისტთა იდეოლოგი ალფრედ როზენბერგი, - რელიგიური სიმბოლოა, ხოლო სვასტიკა — რასიულ-პოლიტიკური ბრძოლის ნიშანი. ამით ყველასათვის ნათლადაა გამოთქმული განსხვავება ამ ორ განტოლებას შორისო".

თუ ადამიანი სვასტიკას მოძრაობაში მოიყვანს იგი წრეს წარმოგვიქმნის, რომელიც მზის სიმბოლოს წარმოადგენს, ხოლო მზე ყოველთვის წარმოიდგინებოდა ვითარცა მარადიულობის სიმბოლო. ამიტომ აქციეს ნაცისტებმა სვასტიკა თავიანთ სიმბოლოდ და ეს თავიანთი ემბლემა მათი ეროვნული დროშის აუცილებელ ელემენტად აღიქვეს: თავად ქსოვილი

— წითელი ფერის, შუაში - თეთრი რგოლი და შავი სვასტიკა. წითელ ფერში, - უთქვამს ჰიტლერს, - ჩვენ ვგულისხმობთ საკუთარი მოძრაობის სოციალურ შინაარს ანუ სოციალიზმს, თეთრში — ნაციონალურს, სვასტიკაში კი — არიული რასის გამარჯვების სიმბოლოს. აღნიშნულ სამფეროვან სიმბოლიკას სვასტიკითურთ ნაცისტები მარცხენა ხელის სამკლაურზეც ატარებდნენ, კერძოდ, - სდ-ს წევრები და მოძრაობის ხელმძღვანელები, მათ შორის ჰიტლერიც.

სიმბოლიკითა და მისტიკით გატაცება ნაციონალ-სოციალისტური მოძრაობის ხელმძღვანელთა „მეორე პროფესია" გახლდათ. „გერინგი, - წერს მ. კვესელავა, - რიუგენიის მაგიურ ძიებებს მეთაურობდა, ჰიმლერი შავ ორდენსა და ჰიმალაის მთებში დაეძებდა არიული რასის შორეულ წინაპრებს, გებელსი ექსპედიციებს გზავნიდა გრაალის საძებნელად, „ეგვიპტელი მოგვი" ჰესი ჰოროსკოპების ჩვენებას მიჰყვებოდა ინგლისში, როზენბერგი „ფილოსოფიური ქვის" მოპოვებას ცდილობდა ან XX საუკუნის მითებს თხზავდაო".

„სწავლულთა" მთელი არმია, - განაგრძობს ავტორი, - იღწვოდა ესერის შავი ორდენის ორმოცდაათამდე სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში, სადაც „დაბალი რასების" ჟლეტისა და ებრაელთა „რიტუალური მსხვერპლშეწირვის" პრობლემების გარდა ამგვარ უწყინარ მაგიურ-სიმბოლურ თემებსაც ამუშავებდნენ: „ჯვრისა და ვარდის ძმობა", „არფის ურყოფის სიმბოლური მნიშვნელობა იულსტერის მუსიკაში", „გოთური კოშკების ოკულტური საფუძვლები" და სხვ. იქვე სწავლობდნენ ტიბეტიდან ჩამოყვანილი „არიული ცნებებისა" და „არიული ფუტკრების" გენეალოგიას"...

განსახილველი ეპოქის პარადოქსი, - წერს შემდეგ მ. კვესელავა ის არის, რომ ჰიტლერმა დაარწმუნა გერმანელი ხალხის დიდი ნაწილი, თითქოსდა იგი განგების მიერ მინიჭებული უნარით ფლობდა სხვებისათვის სრულიად ხელმიუწვდომელ საიდუმლოებებს და შეეძლო თავისი „ღვთაებრივი მეობის" გამოვლინებით ეხსნა ხალხი განსაცდელისაგან. ამიტომაც მიანიჭეს მას „დიადი მოგვის" ტიტული და თან როგორც „განგების მიერ ხელდასმულ ბელადს, განდგომილთა საიდუმლო სახელი „კიმბოლო" შეარქვეს. ისიც დაიჯერეს, რომ მან ინტუიტური წარმოშობის ზებუნებრივი ძალით შეძლო გაეხსნა იზიდას საიდუმლოება და გაეგო: რა იყო, რა არის და რა იქნება".

ამიტომაც იყო, რომ ჰიტლერის მიმდევარი ეპისკოპოსი ლუდვიგ მიულერი სრული თავგამოდებით ქადაგებდა თურმე — ღმერთი ჰიტლერში განივთიერდაო, განგებამ ქრისტე აღამაღლა ცათა შინა, ჰიტლერი კი თავის ღვთიურ წარმომადგენლად განასახიერაო ამ ქვეყნად. პირველი ღვთაებრივ სასუფეველს ჰქმნისო ზეცაში, მეორე — საღვთო

იმპერიას დედამიწაზეო. ეს „ხაკისფერი ეპისკოპოსი“ უფრო შორსაც წავიდა და ჰიტლერის მშობელი დედა — მარიამ II ღვთისმშობლად გამოაცხადა თურმე. „მისი განკარგულებით, - წერს მ. კვესელავა, - გერმანულ ეკლესიებში ჯვარცმული ქრისტეს გამოსახულებების გვერდით ჰიტლერის პორტრეტები დაჰკიდესო ყველგან. ყოველივე ამის მიზანი კი ხალხში მესიანიზმის სულისკვეთების გამოწვევა, ადამიანთა ფანატიკური ეგზალტაცია და მისტიკურ ტრანსში ჩაგდება იყო.

ამგვარი თეოსოფიური იდეები, - ამთავრებს აზრს მ. კვესელავა, - ფართოდ იყოო გავრცელებული წინარე საუკუნის 20-30-იან წლებში. ერთნი მას პიროვნების განვითარებისა და გაკეთილშობილებისათვის იყენებდნენ, ხოლო მეორენი — ზეკაცობისა და რასიული უთანასწორობის ავბედითი თეორიის საქადაგებლად. ამიტომ წერდაო რაუშნინგი:

„არსებითად ყოველ გერმანელს ცალი ფეხი ატლანტაში უდგას. იქ ეძებს იგი უკეთეს ბედსა და მემკვიდრეობას. ეს გერმანული ორგვარობა, თვითგაყოფის უნარი — იცხოვროს რეალურ სამყაროში და თან გადავარდეს წარმოსახულ ქვეყანაში, განსაკუთრებით ნათლად ჩანს ჰიტლერის პიროვნებაში. აქ არისო მისი მაგიური სოციალიზმის გასაღები... ჰიტლერის პოლიტიკური გეგმების გაგება მხოლოდ მაშინ შეიძლება, თუ გვეცოდინება ყოველივე ამის მიღმა დამალული მიზნები და მხედველობაში მივიღებთ ნაცისტურ რწმენას — სამყაროსთან ადამიანის მაგიური ურთიერთობის შესახებ.

ეს იმიტომო, - ასკვნის შემდეგ, - რომ „ნაციზმი წარმოიშვა იმპერიალისტური ეპოქის წაინააღმდეგიბებით და არა რელიგიურ-მაგიურ მოძღვრებათა რესტავრაციით. ერთი საფუძველი იყო, მეორე — საშუალება, თუმცა უგულვებელყოფილი არც ერთი უნდა იქნეს და არც მეორე“.

სავარაუდოდ ამ მიზეზთა გამო მოხდა, რომ „ნიურნბერგის დარბაზში ერთმანეთის პირისპირ დადგნენ სრულიად განსხვავებული სამყაროსა და ცივილიზაციის წარმომადგენელნი, რომლებიც სულ სხვადასხვა ენაზე ლაპარაკობდნენ. ამიტომაც ითქვა, რომ მათ შორის ნამდვილი დიალოგი არც შემდგარა.

სწორედ ამით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ სამხედრო ტრიბუნალის დარბაზი ფაქტობრივად ორ ნაწილად იყო გაყოფილი. ერთნი, კერძოდ კი ბრალდებულნი და მეორენი — ბრალმდებლები, ისევე როგორც იმავე აუდიტორიის უმრავლესობა — ერთ ენაზე და კატეგორიებით საუბრობდა, მეორენი კი განსხვავებულზე მთლიანად. საქმე იქამდე მივიდა, რომ ბრალდებულმა რუდოლფ ჰესმა — თუ №2 არა №3 მაინც ნაცისტმა — ბრალი დასდო ტრიბუნალს — თქვენ ჩვენი გასამართლების იურიდიული უფლება არ გაგაჩნიათო. ჩვენ გერმანული

კანონების კანონების მიხედვით უნდა გავსამართლდეთო და გერმანელი მოსამართლეების მიერო. ეს იმიტომო, რომ ჩვენი გონიერება თქვენგან განსხვავებულ პრინციპებს ემყარებაო: „ერთი ხალხი — ერთი ფიურერი, ერთი სახელმწიფო — ერთი პარტია, ერთი ეკლესია — ერთი ღმერთიო".

ვფიქრობთ ისე გამოდის ნაცისტთა მხრიდან, რომ ის საზარელი დანაშაულობები, რომლებიც მათ ჩაიდინეს, - ხალხს მოუხდენია და არა მათ — ჰიტლერელებს. აქედან გამომდინარე, ხომ გენოისთა კუთვნილებაა ჩვენი დიდი, უდიდესი მწერლის — ვაჟა ფშაველას — სენტენცია:

„მართალია, განათლებამ, ცივილიზაციას რომ ვეძახით, სწორედ საკვირველი მოქმედება გამოიჩინა სხვადასხვა ასპარეზზე, ხოლო ზნეობისა... კი რა მოგახსენოთ. არაო, მეტყვიან ზნეობრივადაც წინ წავიდაო კაცობრიობაო. შეიძლება, არც ამაზე აგიხირდებით, ხოლო მე ვიტყოდი, არ შეიძლება მოკვდეს ლამაზი არსი ჩვენი კაცობროიბისაო", ანუ სხვაგვარად ადამიანური და საზოგადოებრივი ზნეობა , რომელსაც ერის ღირსებას ვეძახით სხვა შემთხვევაში.

საინტერესი კი ის გახლავთ, რომ მისი ეროვნული შელახვის ცდა დაინახა ნიურნბერგში სადისტთა ჯოგის იმ მწემსთავართაგანმა ერთმა, რომელიც და რომლებიც სულ ცოტა ხნით ადრე თვითონ ესოდენ უზნეოდ ფეხქვეშ სთელავდნენ მილიონობით, თუ არა ათობით მილიონი ადამიანის ღირსებებსა და ღირებულებებს. და განა მარტო მათ, არამედ ამ ადამიანთა სიცოცხლესაც კი. ეს გარემოება ჩვენ გვაგონებს ერთ დიდებულ პაროდიას, რომელიც ასე უზადოდ და მაღალმატვრული გემოვნებით წარმოგვიდგინა ქართული სიტყვის ისეთმა ბრწვინვალე ხელოვანმა როგორც გახლავთ მიხეილ კვესელავა. თავის ცნობილ ტრილოგიაში - „ასერგასის დღე" - იგი რაღაცნაირ დაპირისპირებას ადხენს სიკეთესა და ბოროტებას შორის. ამ მიზნით ის იშველიებს ისევ და ისევ გერმანელთა გენიოსთაგან ერთს, რომლის სახელია — იოჰან ვოლფგანგ გოეთე, - რომელმაც ოდესმე კაცობრიობის საშინელი სამსჯასვროს წინაშე წარსდგომა უწინასწარმეტყველა თავის ხალხს. იგი შეშფოთებული ყოფილა თავის თანამემამულეთა ზოგიერთი დამახასიათებელი ნიშნით, როცა საშიშორებას უქმნიდა არამარტო მათ საკუთარ თავს, არამედ, რაც მთავრია - სხვა ერებს. კერძოდ, საუბარი ყოფილა: „ჭეშმარიტების მომხიბლაობის გაუგებრობაზე", „გულისამრევ არაზომიერებაზე" (N.B! ხომ არ გვახსენებს რაიმე პარარელს ჩვენს ჩვევებთან), პატროიტიზმის ცნების გაიგივებასთან სხვა ხალხების რბევასა და სისასტიკესთან, „ჭკუანაკლებ ვიგინდარების" აყოლაზე, „ქვენა ინსტიქტების კარნახსა" და ზეწოლაზე და ა.შ.

ამიტომ იყო, რომ გოეთე შეშინებული ყოფილა თავისი ხალხის გაერთიანების შესაძლებლობით და გაძლიერების სურვილით, რადგან ამას აუცილებლად მოჰყვებაო სისხლისმღვრელი ომები და ველური თარეში მეზობელ სახელმწიფოებში. აი აქ, მ. კვესელავ, გოეთეს „ფაუსტის" ერთ-ერთ მთავარ პერსონაჟს — მეფისტოფელს - ათქმევინებს „საზარელ სიახლეს" არსებობისას. უკვე იმჟამად მას დაუნახავს, რომ ადამიანებმა გაუსწრეს ბოროტებასა და მის უარყოფაში. ეს იმდენად ამაზრზენი სჩანდა, რომ მან ირწმუნა, - ჯოჯოხეთის სულები მათთან შედარებით ანგელოზებს ჰგვანანო. თუ ისინი ისურვებენ სატანის ხილვას, ამქვეყნად იპოვნიდნენ მასზე უარესს. ან ჯოჯოხეთის სული რაში სჭირდებათ, როცა სულის ფასი სულ მთლად დაეცა დედამინაზეო. იგი ჩაიხრჩოვო რიცხვში, ერთი მოკვდა მრავალში. ბოროტებაც გაიხრწნა და გაიაფდაო. თვით ცოდვაც ხელმისაწვდომი გახდა ყველასათვის და ჩვეულებად იქცაო.

- უწინ კი ბოროტება ასეთი ლამაზი იყოო, სინანულით იგონებსო მეფისტოფელი. ახლა კი იგი ისე საზიზღარია, რომ ჯოჯოხეთსაც ბილწავს თავისი ამაზრზენი უბრალოებით და ყოველდღიურობითო. ამიტომაც არისო, რომ აღარც ადამიანები საჭორიებენ ბოროტ სულთა ჩარევას. ისინი თვითონაც ადვილად პოულობენ გზას ჯოჯოხეთისკენო.

- თქვენ წარმოიდგინეთო, აღარც ბოროტ სულს მიაგებენ რაიმე პატივს, რადგან თვით ცდუნება უკვე აღარ იწვევს მათში მძლავრ და ამაღგზნებელ ემოციებს, მონანიებასა და სინდისის ქენჯნას. ცოდვასაც ისე უბრალოდ სჩადიან, რომ არც არის ცოდვა. ამიტომ, ცდუნებაც კი კარგავს ძალას მათ მიმართ. უკვე აღარცაა საჭირო ათასგვარი მახის დაგება და მოტყუება: ადამიანები ამის გარეც ჰპოულობენ სულის ნაწყმენდის საშუალებას და თვითონვე ჰქმნიან თავიანთ ჯოჯოხეთს. მათ არც იმ ჯოჯოხეთის ეშინიათო, სადღაც ქვესკნელში რომ ეგულებათ, რადგან ამქვეყნად უარესს ხედავენ და ეჩვევიანო.

- შეშინდაო მეფისტოფელი, - აცხადებს ავტორი. ეს თუ ასეაო, მაშინ ჯოჯოხეთის სულებმა რა უნდა აკეთონო. ხომ შეიძლება ისინი უმუშევარნი დარჩნენო?.. ამბობს დაუფარავი ირონიით იგი.

- ისემც მომხდარა, ამქვეყნად, ჯოჯოხეთის მოციქული მოსულა, მაგრამ სამუშაო ვერ უშოვია, რადგან ადამიანები უკეთ ართმევენ თავს ყოველგვარ ბოროტებას. მერე მეფისტოფელმა აზრის სისწრაფით შემოიარა, რაც კი საკონცენტრაციო ბანაკები იყო და ადამიანთა წამებისა და დამცირების ისეთი საშინელებები ნახა, რომ მართლაც დარწმუნდაო ჯოჯოხეთის ჩამორჩენილობაში ამქვეყნიურ ცხოვრებასთან შედარებით. ის მიხვდა კიდეც: ბოროტი სულები სწორედ წამებისა და დამცირების ახალი ფორმების მოგონებაში რომ ჩამორჩენოდნენ ადამიანებს.

უსინდისობისა და კაციჭამიობის ასეთი საზერელი სურათი იქმნებოდაო მაშინდელ გერმანიაში. ქვეყანა, რომელიც თვით ინგლისელთა აღიარებით უნდა მესაჭედ უნდა ყოფილიყო ევროპაში, რისხვადაცემულობის ხანაში იმყოფებოდა. ომი, ბოროტება და მეზობელ ხალხთა აწიოკება საკუთარი ნაცუმცირესობის გაწყვეტასთან ერთად, გერმანული სახელმწიფოს ტრადიციად და ჩვევად იქცა. ჯერ კიდევ ბისმარკს უთქვამსო ამასთან დაკავშირებით: ყოველ საუკუნეში იყოო ერთი დიდი გერმანული ომი მაინცო მე-16-დან მოყოლებული, რომელიც ჩვენი ქვეყნის საათს სწორად მომართავდაო ხოლმე მომავალი საუკუნისათვისო.

სწორედ ასეთი „ეროვნული ტენდენციის" წინააღმდეგ უთქვამს დიდი სინანულით იგივე გოეთეს, რომ გერმანელები უნდა გაანაწილონ, გაფანტონ მთელ მსოფლიოში როგორც ებრაელები, რათა ხალხთა საკეთილდღეოდ გამოავლინონ ყოველივე კარგი, რაც მათშიაო მოცემული. ჩვენის მხრივ დავამატებდით, რომ მათში კი ბევრი, ძალზე ბევრია მოცემული. ის კარგი იყო, უდავოდ კარგი, რომ ნიურნბერგში მაინც განაცხადა ვილჰელმ კაიტელმა - „მე მრცხვენიაო, რომ გერმანელი ვარ", მაგრამ განა იქვე არ განაცხადა ჰიტლერის დესპოტმა ადვოკატმა და რაიხსლაიტერმა, პოლონეთის ჯალათმა რაიხსკომისარმა — ჰანს ფრანკმა - „ჩვენ გერმანელები ყველანი მძარცველები ვართო. ნუ დაგავიწყდებათო, რომ გერმანული ლიტერატურა შილერის „ყაჩაღებით" იწყებაო... გერმანლი ხალხი ჰიტლერს გაჰყვა გაშმაგებული აღტაცებით, რომლის მსგავსი თქვენ არასოდეს გინახავთ. ეს იყო სიგიჟე, სიმთვრალე... ახალ კი... (ველარაფერს ვიტყვიო, - წერს მ. კვესელავა, - ქაღალდიც კი გაწითლდება სირხვილისაგან)...

„განა ჩვენ არ ვიცითო, რომ ეს გაშმაგებაც იყო, სიგიჟეც, სიმთვრალეც... თუ გნებავთ მეტიც... რაღაც ამაზრზენი პაროქსიდული აღტკინება ჰიტლერით, რაც თავბურდახვეულ ადამიანს სიგიჟის მიღმაც ამოქმედებდაო. მათი დიდი ნაწილი პანურგის ჯოგივით (Mountons de Panurge) მიჰყვაოდა თავის ლიდერს უფსკრულში... მე ახლაც თვალწინ მიდგასო ეკრანებზე ნანახი სურათები, თუ როგორ ხვდებოდა აღფრთოვანებული ბრბო თავის ფიურერს. ყველა ხელს მისკენ იშვერდა, ცდილობდა თითით მაინც შეხებოდა „განგების მიერ ამქვეყნად მოვლენილ ღმერთს. ეს, ჯოჯოხეთში მაცხოვრის შესვლას გავდა მიქელ-ანჯელოს გენიით უკვდავყოფილსო..." ჰ. ფრანკის სიტყვებით, სწორედ ამაში იყო ჰიტლერის ძლევამოსილების საიდუმლოება.

და იქვე, იმავე გვერდზე, ავტორს მოჰყავს საილუსტრაციო მაგალითი იმისა, თუ ერთხელ, ვიღაც ახალგაზრდა ყმაწვილი კაცი, როგორ დაუწვა გზაზე ჰირტლერის მანქანას, რომლის შეჩერება ძლივს მოუხერხებია მძღოლს. ფიურერის შეკითხვაზე: რას და რა რატომ აკეთებო ამას? ბიჭი

წამომხტარა ზეზე, ჯერ ნაცისტური სალამი აღუმართავს შეძახილით - „ჰაილ ჰირტლერ!", მერე კი წაროუთქვამს: „მე მინდა თავი შემოგწიროთ, ჩემო ფიურერ! გადაიარეთო ჩემს სხეულზე!" „აჰა ნიმუში სიბრმავისა და ფანატიზმის... ეს ცნობილ იაპონურ კამიკაძეობაზე უფრო მეტია. „ჰიტლერს მაშინ, რა თქმა უნდა, ეს არ გაუკეთებიაო, მაგრამ შემდეგ კი მართლაც გადაიარა მილიონობით ადამიანთა გვამებზეო", მიანიშნებს მ. კვესელავა. მათ შორის საკუთრივ გერმანელებზეც.

ჩვენ აქ არ გვინდა თავი ავარიდოთ კიდევ ერთი გენიალური გერმანელის, ნობელის პრემიის ლაურეატის (1929), მწერლისა და საზოგადო მოღვაწის - თომას მანის ერთ საზეიმო გამოსვლას, რომელიც მას ემიგრაციაში ყოფნისას გაუკეთებია ომის დასასრულს. მიუხედავად მისი მოცულობისა, ჩვენ გვსურს მისი შინაარსის გაცნობა ქართველი მკითხველისათვის, რამეთუ იმდენად შთამბეჭდავად მიგვაჩნია იგი. უცხოური ლიტერატურის სპეციალისტთათვის ნაცნობია თ. მანის ლიტერატურული ტალანტი, მაგრამ, ამჯერად გვინდა წარმოგიდგინოთ მისი ფილოსოფიური-შემეცნებითი და პოლიტიკური ვერტიკალი, რომელიც შეიძლება ჯეროვნად არ იყოს გააზრებული თუნდაც სპეციალისტათვისაც, როგორც ჩვენთვისაც აქამდე (ჩვენ ამ შემთხვევაში ვსარგებლობთ მ. კვესელავასეული ვარიანტით).

ემიგრაციაში ყოფნისას მოხუცი მწერალი (იგი მაშინ 70 წლისა ყოფილა) სან-ფრანცისკოში ნაცხოვრება. იგი ვაშინგტონში მიუწვევიათ გერმანიასა და, კერძოდ, მის კულტურაზე სასაუბროდ. მანისათვის არჩევანი მიუციათ: ან გერმანულად ესაუბრა თარჯიმნითურთ, ანდა უბრალოდ ინგლისურად. მას ეს უკანასკნელი აურჩევია, რადგან იმჯერად უკვე ამერიკის მოქალაქე ყოფილა (ემიგრაციაში 1933 წლიდან იყო), თუმც ავტორის სიტყვებით რომ ვთქვათ, - „განგების მიერ მისთვის განკუთვნილ ადგილად დედამიწაზე" - გერმანია მიაჩნდაო.

შეიძლება გულისნუხილის გამო, ანდა მაშინ ლექციის ჩაგდების მიზნით, ვიღაცას დაუძახებია დარბაზიდან: „სადღააო გერმანული კულტურა!" მწერალი ერთი კი შეცბუნებულა, მაგრამ უმალ იქვე უპასუხნია: „სადაც მე ვარ, გერმანული კულტურაც იქ არისო" და მშვიდად დაუწყია საუბარი.

მიუხედავად ჩემი ასაკისაო, ისე მეჩვენება, რომ სიცოცხლე მოქსოვილია იმავე მასალისაგან, რისგანაც იქსოვება სიზმარი. ეს ძნელად დასაჯერებელიაო. ისე მეჩვენებაო, თითქოს სიზმარში ვიყო... კაცი, რომელიც გერმანელად დაიბადა, ძალაუნებურად დაკავშირებულიაო გერმანულ ბედთან და გერმანულ დანაშაულთან, ხოლო სიმართლე, რაც მან უნდა თქვას თავისი ხალხის (და არა მარტო მის) წინაშე, მიღწეულიაო თვითშეცნობის გზით.

შემდეგ თ. მანმა ანალიზი გაუკეთა „გერმანული სტიქიის წინააღმდეგობრივ ხასიათს“, მის „ეროვნულ გაუცხოებას სამყაროსაგან“ და „რაღაც გამოცანისებურად იდუმალ დემონიზმს, რომელმაც საბედისწერო კატასტროფამდე მიიყვანა მისი ხალხი და სრული განადგურება გამიინვია ქვეყნისა.

მომხსენებელი სრული გულახდილობით საუბრობდა იმის თაობაზე, რომ სურდა ეგრძნობინებინა ამერიკელთათვის - „გერმანული ეროვნული ხასიათის ეს იდუმალი კავშირი დემონიზმთან, ან ალბათ უფრო სწორად, აღნიშნული კავშირის წარმოქმნის მიზეზები. ხომ გასაკვირი, თუ არ გასაოცარი უნდა იყოს ის გარემოება, რომ ამის „ჩამდენი“ იყო ერი, რომლის წარმომადგენელთა რაოდენობა ჯერ მარტო ფილოსოფიაში, მსოფლიო საგანძურის ალბათ ნახევარზე ბევრად მეტს შეადგენდა, ისევე როგორც კომპოზიტორებისა და მწერლებისა — ახალ დროში. და თუ გნებავთ სხვა სფეორებიც თუ დარგებიც აიღეთ მეცნიერებისა, ხელოვნებისა და, საერთოდ, ადამიანთა ყოფისა.

მანის შეხედულებით, - წერს ავტორი, - გოეთეს „ღვთაებრივი ადამიანის — ფაუსტის – მამაცური მისწრაფება, რომ შეიცნოს ყველაფერი, მიდის მაგიასთან ანუ ეშმაკთან. ხოლო იქ, სადაც ინტელექტის „ქედმაღლობა ერწყმის სულიერ დამყაყებულობასა და „არათავისუფლებას“... აუცილებლად ჩნდება დემონი. ამიტომ ლუთერისა და გოეთეს ეშმაკი (მეფისტოფელი) უაღრესად გერმანელი პერსონაჟია, რომელიც უარყოფსო სულიერი ნეტარების შესაძლებლობას, რათა ფლობდეს სამყაროს საგანძურს და ბრძანებლობდეს მასზე. ამაშიაო გერმანელთა აზრით, თავისუფლების არსი. მაგრამ ხალხს, რომელიც თვითონ არა არის თავისუფალი, უფლება როდი აქვსო სხვის თავისუფლებაზე ილაპარაკოს. ამის გამო ნაციონალ-სიცოალისტთა მოძღვრება თუ კონცეფცია მისი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის თითქოსდა ხასიათობაზე, თავისთავად უაზროაო, მით უმეტესო, რომ თავისუფლების გერმანული გაგება ყოველთვის გარეშე სამყაროს წინააღმდეგ იყო მიმართული. ამაში ის გულისხმობსო უფლებას იყოს გერმანელი, მხოლოდ გერმანელი და სხვა არაფერი. სამწუხაროდ, სწორედ ამის შედეგიაო, რომ თავისუფლების გერმანული იდეა ანტიევროპული ხასიათისაა და უდრის ბარბაროსობასო.[1]

უბედურება კი ის გახლავთო, განაგრძობდაო იმჯერად თ. მანი, რომ სულიერი და პოლიტიკური თავისუფლების ერთმანეთისადმი დაპირისპირებამ გამორიცხა შესაძლებლობა პოლიტიკური ელემენტის შეტანისა გერმანულად გაგებული კულტურის ფარგლებში, ხოლო

1 რამდენად დასანანია, რომ ვერც თ. მანი და ვერც მ. კვესელავა ვერ მოესწრნენ დროს, როდესაც ყველაფერი დიამეტრალურად შეიცვალა და გერმანია გადაიქცა ევროგაერთიანებისა და ევროთავისუფლების ერთ-ერთ წამყვან სახელმწიფოდ.

გერმანული კულტურის პოლიტიკურმა უნებისყოფობამ და დემოკრატიის უგულვებლყოფამ შური იმით იძია, რომ გერმანული სული ტოტალური სახელმწიფოებრიობის მსხვერპლად აქცია, რამაც წაართვა მას არა მარტო სამოქალაქო, არამედ ზნეობრივი თავისუფლებაც.

მომხსენებლის შეხედულებით, განაგრძობს ავტორი, ამით იყოო გამოწვეული „პოლიტიკური ვაკუუმი გერმანიის სულიერ ცხოვრებაში". გერმანელი უარს ამბობსო აღიაროს პოლიტიკა ჰუმანიზმის შემადგენელ ნაწილად, რითაც ის ფაქტობრივად ხელს უწყობსო ტერორის, უხეში ძალადობისა და ბარბაროსობის ისეთ დამკვიდრებას ზნეობის სფეროში, რომლის მსგავსი მანამ არასოდეს უხილავს კაცობრიობას. ეს ედოო საფუძვლად ნაციონალ-სოციალისტთა ანარქისტულ, ტოტალურ რევოლუციას, რაც თავის მხრივ ანგრევდა დასავლეთის ცივილიზაციას უფრო მეტად, ვიდრე ჰუნების შემოსევა შორეულ წარსულშიო.

„ - იმის გამო, ითქვა შემდეგ მოხსენებაში, რომ გერმანული ხასიათი ზურგს აქცევს პოლიტიკას (თუმც ჩვენ გვგონია, რომ სწორედ პირიქით იყო) და ვერ ეგუებოდა მას, ამ ქვეყნის ყველა რევოლუცია - (1525, 1813, 1848, 1918 წლებისა) უშედეგო იყოო. საქმე ის არის, რომ გერმანელი პოლიტიკაში ხედავს მხოლოდ სიცრუეს, მკვლელობასა და ძალადობას და თუ პატივმოყვარეობის გამო მაინც მიმართავს მას, კიდევაც ცდილობს მის გამოყენებასო. გერმანელ პოლიტიკოსს აუცილებლად მიაჩნია ისე მოიქცეს, რომ კაცობრიობას სული შეუხუთოს. ეს მიაჩნია მას პოლიტიკადო. მისი აზრით, პოლიტიკა ბოროტების განსახიერებაა და ეძლევა რა მას, იქვე იქცევა ეშმაკად, დემონად.

- „ამის მოწმენი ჩვენ თვიონ გავხდითო, - განაგრძობდაო თომას მანი, - და შემაძრწუნებელ დანაშაულს რაც ჩადენილ იქნაო, ვერავითარი ფსიქოლოგია ვერ გაამართლებსო. გერმანელებმა თავად მისცეს ნება, რომ გაეხრწნათ ისინი და მათთვის დამახასიათებელი კოსმოპოლიტიზმი მიემართათ ევროპაში ჰეგემონიისა და თვით მსოფლიო ბატონობის იდეისაკენ. ამის გამო მათი კოსმოპოლიტიზმი სრულიად საწინააღმდეგო მოვლენაში — ნაციონალიზმსა და იმპერიალიზმში გადაიზარდა. ნაციონალიზმმა კი, თავის მხრივ, რასიული მისტერიის სახე მიიღო და შემზარავ დანაშაულებათა ფორმაში გამოვლინდა, რითაც გონებას — ემოცია, მისტიკური ექსტაზი თუ დიონისური სიშმაგე დაუპირისპირდა და გერმანია, რომელიც ოდესღაც სათავეში ედგა მსოფლიოს სულიერ განვითერებას, უკვე დიად ღირებულებებს კი არ ქმნიდა, არამედ მხოლოდ ძლიერი იყო. იგი დაეშვა დაბლა, ძალიან დაბლა, დაეშვა ჰიტლერის დონემდე, რითაც გერმანული სული, სული გადაგვარდა ბარბაროსობად, რასიულ სიგიჟედ, მკვლელობის ჟინად და მოვიდა ეროვნული კატასტროფის საზარელ დასასრულამდე, გაუგონარ

ფიზიკურ და ფსიქიკურ დამბლამდე.

„... თომას მანი ამაზე რომ ლაპარაკობდა, სახეზე მკვდრის ფერი ედოო და ხელები უცახცახებდაო, მოგვითხრობს მ. კვესელავა. იგი უზომოდ განიცდიდაო თავისი ერის იმ საშინელ კატასტროფას... და თითქოს თავის საკუთარ დანაშაულსაც აღიარებდაო:"

„ - არ არსებობსო ორი გერმანია, - კეთილი და ბოროტი, - უთქვამს დასასრულს დიდ მწერალს ამერიკელთათვის. არის მხოლოდ ერთი, რომლის საუკეთესო თვისებები დემონურ ძალთა გავლენით გადაიქცა ბოროტების განსახიერებად. ბოროტი გერმანია — სწორედ ეს არის (იმავდროულად) კეთილი გერმანიაც, რომელიც მცდარი გზით წავიდა, უბედურებას ეწია და, საშინელ დანაშაულში ჩათრეული, კატასტროფის წინაშე დადგა. ამიტომ, თუ კაცი გერმანელადაა დაბადებული, არ შეუძლია პირწმინდად გაემიჯნოს ისტორიული დანაშაული დამძიმებულ ბოროტ გერმანიას და თქვასო: „მე, კეთილი, სათნო, სამართლიანი გერმანია ვარ, შეხედეთ, რა თოვლივით თეთრი ტანისამოსი მაცვია, ბოროტ გერმანიას კი თქვენ გმობთ დასაგლეჯადო..."

თომას მანი შეჩერებულა, თვალი გადაუვლია ამაყად დარბაზისათვის და მაჟორულ ტონში უთქვამს დასასრულს: „ყველაფერი ეს ცოცხლობს ჩემში, მე ის გამოვცადეო!.. შუბლზე ჭირის ოფლი მოუწმენდია და მარჯვენა ხელი აუწევია ცახცახით ზემოთ (მაგრამ არა წინ!) და დაუმთავრებია გამოსვლა.

პროფესორ და მწერალ მ. კვესელავას აზრით, ამაში კი ცდებოდაო თომას მანი. ომის შემდგომმა გერმანიამ მალე, ფანტასტიკურად მოკლე დროში მოიშუშა ჭრილობა, ამოვიდა არნახული სიღრმის ტალახიდან და არაგაგონილი სიმკვირცხლითა და მონდომებით, საშური შრომითა და შეუპოვრობით ვერტიკალამდე აღიდგინა თავისი ზოგადსაკაცობრიო რენომე და ეროვნული თავმოყვარეობა. და ისევ და ისევ თომან მანს უთქვამს ოდნავ მოვიანებით:

„ - ბოროტება ჩვენ ისეთი ურიცხვი საზიზღრობით წარმოგვიდგა, რომ ერთბაშად აგვეხილა თვალები სიკეთის დიდი უბრალოებით სავსე სილამაზეზეო. ახლა კი ისევ ვბედავთ წარმოვთქვათ ისეთი სიტყვები, როგორიცაა **თავისუფლება, ჭეშმარიტება, სამართალიო.**"

აღარც პოლიტიკა ეჩვენებათ ბოროტებად მას შემდეგ გერმანელებს. მათ ქვეყანაში აღარც რიხარდ დემელები იბადებოდნენ, რომელიც ნატრულობდა - „ნეტავ ვიჯდე ყოველ ტყვიაში, რომელიც ფრანგს მოხვდებაო გულში". ევროპისა და მსოფიოს ამ ორი დიდი ხალხის ურთიერთგაგებისა და დამეგობრების ისტორიულ მისიას სათავე დაუდეს მათმავე უგამოჩინებულესმა შვილებმა და პოლიტიკოსებმა — შარლ დე გოლისა და კონრად ადენაუერის — სახით, რომელთა

პირადი დაახლოება და სიმპათიები გადაიქცა გრანიტულ სიმბოლოდ მათი ხალხების დაძმობილების საქმეში.

დასასრულს მკითხველს მადლობას მოვახსენებ მოთმონებისათვის, მაგრამ, ყველაფრის მიუხედავად, ჩემთვის, როგოც ადამიანისა და ავტორისათვის, დღემდე გაუგებარია ჰიტლერის საბოლოო გადაწყვეტილება — კარლ დენიცის თავის მემკვიდრედ დანიშვნის თაობაზე, რომლის შესახებ მას ადრე სავარაუდოდაც კი არაფერი მსგავსი არ წამოსცდენია, მით უმეტეს, რომ ბუნკერშიც კი გვერდით ჰყავდა გებელსი და ბორმანი, ხოლო ალბერტ შპეერი, რომელსაც იგი ესოდენ დიდ ანგარიშს უწევდა, თუ არ მეგობრობდა, დენიცის მსგავსად და უფრო საშიშ გარემოში ესტუმრა მას ბუნკერში და დაჯინებით თხოვა ბერლინის ერთად დატოვება, მოიხადა რა ადამიანური ვალი მის წინაშე — მისდამი გამოვლენილი სიკეთის გამო. ამიტომ არის ალბათ ნათქვამი: „უფალო შეუცნობადია შენი გზებიო" - გადაწყვეტილების მნიშვნელობით.

დანართი 1

უინსტონ ჩერჩილი

ჰიტლერი და მისი არჩევანი[1]

შეუძლებელია შექმნა სწორი აზრი საზოგადო მოღვაწეზე, როგორიც ადოლფ ჰიტლერი გახლდათ, ისე რომ არ მიმოიხილო მის მიერ განვლილი საზოგადოებრივი და პირადი გზა. თუმცა არც ერთ შემდგომ პოლიტიკურ მოვლენეთა განვითარებას არ ძალუძს გადაფაროს მის მიერ გადადგმული მცდარი ნაბიჯები. ისტორიაში უხვად მოიძებნება ადამიანები, რომელთაც მართვის სადავეები თავიანთი მკაცრი, დაუნდობელი და სასტიკი მეთოდებით იპყრეს ხელთ, და მაინც, მიუხედავა ამისა, ისინი იმ დიდ მოღვაწეებად ითვლებიან, რომლებმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს კაციბრიობის ისტორიის განვითარებაში. სწორედ ასეთ იდიოზურ ადამიანთა რიგს მიეკუთვნება ადოლფ ჰიტლერი.

ჩვენ ვერ ვიტყვით ჰიტლერი იქნება თუ არა ის ადამიანი, რომელიც კიდევ ერთხელ დაატეხს მსოფლიოს ომს, რომელიც სამუდამოდ დაღუპავს ცივილიზაციას, თუ ჩაიწერება ისტორიაში როგორც ადამიანი, რომელმაც აღადგინა დიდებული გერმანელი ერის სულიერი პატივი და სიმშვიდე და ის ახალი სიძლიერით დააბრუნა ევროპული ოჯახის მონინავე რიგებში. ისტორია კი საჯაროდ იტყვის მომავლის ამ საიდუმლოების შესახებ. საკმარისია ვთქვათ, რომ ამ დროისათვის ორივე ეს ვარაუდი ჯერ კიდევ ღიაა განსჯისათვის თუნდაც იმიტომ, რომ ეს ისტორია არ დასრულებულა და მისი ყველაზე მნიშვნელოვანი თავები აწი უნდა დაიწეროს. ჩვენ გვაიძულებენ განვიხილოთ მისი მოღვაწეობა და კრედოს ბნელი მხარეები, ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ და ვიქონიოთ იმედი, რომ არსებობს ნათელი ალტერნატივაც.

ა. ჰიტლერი იმ მრისხანე, მაგრამ ნაღვლიანი რასის შვილი გახლდათ, რომელმაც ომში უდიდესი მარცხი განიცადა. ის იყო ადამიანი, ვინც გერმანელების შემეცნებიდან სასოწარკვეთა განდევნა, სანაცვლოდ კი შურისმაძიებელი სული შთაბერა. მაშინაც კი როცა გერმანიის შიშის მგვრელი ჯარები, რომელთაც მანამდე ნახევარი ევროპა დაეპყროთ, უკვე ყოველ ფრონტზე უკან იხევდა და საომარი მოქმედებების შეწყვეტას მოითხოვდა, მაშინაც კი როცა პრუსიელთა სიამაყე და ნებისყოფა დაეცა და ფრონტის ხაზს მიღმა რევოლუცია მძვინვარებდა, როცა ეს იმპერიული მთავრობა, რომელიც იმ საშინელი 50 თვის მანძილზე

[1] სტატია ამოღებულია უ. ჩერჩილის წიგნიდან: Great Contemporaries Fontana Books, 212-220. სტატია დაწერილია 1935 წელს.

ერთნაირად გვრიდა ყველა ერს შიშის ზარს, ახლა ასე სამარცხვინოდ დაეცა და თავისი ერთგული ქვეშევრდომები დაუცველი დატოვა უმონყალოდ დაჭრილ და გამარჯვებული მოკავშირეების პირისპირ. სწორედ ამ დროს გამოჩნდა ის ეფრეიტორი, ყოფილი ავსტრიელი, არ შემდგარი მხატვარი და „მალიარი" თუ მღებავი, რომელმაც შეძლო გერმანიის ადრინდელი დიდების დაბრუნება.

მან მოახერხა რამდენიმე წელიწადში აეღორძინებინა გერმანია და ის ევროპის ყველაზე ძლევამოსილ პოზიციაზე დააყენებინა. მან არამარტო აღადგინა მისი ქვეყანა, არამედ სრულიად შეცვალა იმ დიდი ომის შედეგები. სერ ჯონ საიმონმა ბერლინში განაცხადა, რომ როგორც საგარეო საქმეთა მინისტრი ის ვერ გამოარჩევდა გამარჯვებულებს დამარცხებულებისაგან. ასეთი სხვაობა ჯერ კიდევ არსებობს, თუმცა დამარცხებულები დამპყრობლების ადგილს იკავებენ, ხოლო ეს უკანასკნელები კი მარცხდებიან. როდესაც სათავეში ჰიტლერი მოვიდა, გერმანია მოკავშირეთა წინაშე უძლური და გათელილი ღაფავდა სულს. შესაძლოა, ის ჭვრეტდა იმ დღეს, როდესაც ერთ დღეს გერმანიის ფეხქვეშ მთელი ევროპა გაითელებოდა.

ჰიტლერის წარმატება და მისი როგორც პოლიტიკური ძალის გადარჩენა ომის შემდეგ, განსაკუთრებით კი ბოლო სამი წლის განმავლობაში, შეუძლებელი იქნებოდა რომ არა საფრანგეთისა და ბრიტანეთის მთავრობათა უმოქმედობა და არაკეთილგონიერება. არანაირი გულწრფელი მცდელობა არ ყოფილა მოლაპარაკებისა გერმანიის სხვადასხვა ზომიერ მთავრობასთან, რომელიც საპარლამენტო სისტემის ქვეშ არსებობდა. დიდი ხნის განმავლობაში ფრანგები საშინლად ცდებოდნენ, როცა გერმანიისგან დიდ კონპენსაციას ითხოვდნენ ომის ხარჯებისა და ზარალის საზღაურად. ზარალის ანაზღაურებას არა მარტო ფრანგები, არამედ ბრიტანელებიც მოითხოვდნენ. 1923 წელს საფრანგეთის ჯარებმა მოახდინეს რურის (Ruhr) რეოკუპაცია, რათა ისინი მისი უსაფუძვლო მოთხოვნებისადმი დაემორჩილებია. თავდაპირველი მოთხოვნების მეათედიც რომ მიეღოთ, შიგა-მოკავშირეთა საბჭო, რომელსაც სათავეში ნიჭიერი ამერიკელი ედგა, წლების მანძილზე აკონტროლებდა გერმანიის შიდა ფინანსურ მდგომარეობას და ამგვარად ანახლებდა დამარცხებული ერის გონებაში უკიდურეს სასონარკვეთას. სინამდვილეში კი მათ არაფერი მომატებიათ ამ შეუთანხმებლობის საფასურად, რადგან, მართალია დაახლოებით ერთი მილიონი ფუნტის ღირებულების ქონება იქნა ამოღებული გერმანიიდან, თავის მხრივ ამერიკამ და მეტნაკლებად დიდმა ბრიტანეთმა გერმანიას ორ მილიარდზე მეტი ასესხა მის ასაშენებლად და ინდუსტრიის და ცხოვრების სტანდარტის ასაღორძინებლად, თუმცა ფაქტობრივად ის

დღითიდღე კარგავდა ამ ფულს, ისე რომ შედეგი არსად ჩანდა. ამის გამო თანდათან მატულობდა აღშფოთება და გაღიზიანება. თავის მხრივ, ჰიტლერი ცდილობდა გაეღვიძებია ის აგრესია, რომელიც მოკავშირეთა ჩარევის გამო არსებობდა.

მე ყოველთვის ვფიქრობდი, რომ დამარცხებულთა უკმაყოფილების გაღვივებას წინ უნდა უსწრებდეს გამარჯვებულთა განიარაღება. ძალიან ცოტა რამ გაკეთდა ვერსალისა და ტრიანონის მოლაპარაკებათა გამოსასწორებლად. ჰიტლერს შეეძლო გამუდმებით მიეთითებინა თუ როგორი რასობრივი უსამართლობით მოექცა ევროპა გერმანიას ტერიტორიული მოწყობის პროცესში. ეს უსამართლობა კი ხელს უწყობდა იმ ცეცხლის დანთებას, რაც ასე გამალებით აგიზგიზდა მასში. ამავდროულად ინგლისელი და მათი ოკანისმილმა მოკავშირეები ყოველ ღონეს ხმრობდნენ, რათა განიარაღების პროცესი უფრო ხმაურიანი და თვალშისაცემი გაეხადათ. წლიდან წლამდე განიარაღების კომისია უამრავ პროექტს იკვლევდა, რათა მოკავშირეთა შეიარაღება შემცირებულიყო. თუმცა მათ შორის ბრიტანეთის გარდა არც ერთი ქვეყანა პატიოსნად არ მისდევდა ამ კურსს. ამერიკა ერთის მხრივ განიარაღებას ქადაგებდა, მეორეს მხრივ კი, განაგრძობდა თავისი ჯარის საზღვაო და საჰაერო ძალების განვითარებას. საფრანგეთმა კი მას შედეგ რაც ამერიკისგან დაპირებული გარანტია ვერ მიიღო და რომელიც, გერმანიისა და მისი უზარმაზარი სამხედრო მოსახლეობის წინაშე იდგა, თანდათან გაზარდა თავდაცვა საშიში ზონის ზემოთ. იტალიამ კი, სხვადასვა მიზეზით გააძლიერა შეიარაღება. მხოლოდ ინგლისმა შეამცირა დაცვა როგორც სახმელეთო, ასევე საზღვაო.

ამასობაში გერმანელებმა, ბრიუნინგის მთავრობის მეთაურობით, თავიანთი დიდი გეგმის განხორციელება დაიწყეს. საჰაერო სპორტი და კომერციული ავიაცია მხოლოდ ნიღაბი იყო, რომლის მიღმაც უზარმაზარი ორგანიზაცია იდგა, რომლის მიზანიც საჰაერო ომისათვის მზადება იყო. გენერალური შტაბი, რომლის არსებობასაც ვერსალის ხელშეკრულება კრძალავდა, წლიდან წლამდე იზრდებოდა ინდუსტრიის სახელმწიფო მმართველობის ნიღბის ქვეშ. გერმანიის ყველა ფაბრიკა მზად იყო საომარი პროდუქციის საწარმოებლად. ეს სამზადისი, მიუხედავად სათუთი შენიღბვისა, ცნობილი იყო საფრანგეთისა და დიდი ბრიტანეთის მთავრობებისათვის. მაგრამ მათ არ შეეძლოთ მოეწოდებინათ ამ მზადების შეწყვეტა და არც ხელშეკრულების გადახედვა შეეძლოთ. პირველი უფრო ადვილი და უსაფრთხო იქნებოდა, 1931 წლამდე მაინც, მაგრამ იმ დროს ბ-ნი მაკდონალდი და მისი კოლეგები თავს იმშვიდებდნენ მაღალფარდოვანი, პატეტური სიტყვებით მშვიდობაზე, სინამდვილეში კი არასწორ ინფორმაციას აწვდიდნენ კუნძულის მოსახლეობას. 1932

წ-ს ბრიტანეთის მთავრობამ უდიდესი ზეწოლა მოახდინა საფრანგეთზე, რათა მისი შეიარაღებული ძალები შეემცირებინა. ამასთანავე ფრანგებმა იცოდნენ, რომ გერმანია ომისათვის ემზადებოდა. მე გავნმარტე და სააშკარაოზე გამოვიტანე ამ პროცესის არაკეთილგონივრულობა, ხოლო ბოლოს, ყველაფერი, რაც განიარაღების კონფერენციიდან მივიღეთ, გერმანიის შეიარაღების შედეგი იყო. მაშინ როცა ევროპაში ესოდენ დიდი მნიშვნელობის ცვლილებელი ხდებოდა, კაპრალი ჰიტლერი გერმანიის გულის მოსაგებად ბრძოლას იწყებდა. შეუძლებელია, ამ გაბედული, დაჟინებული და უდიდესი სიმძლავრის ბრძოლის ისტორიამ აღფრთოვანება არ განგაცდევინოთ. ის და მისი მზარდი ლეგიონები არ ეპუებოდნენ არავითარ წინააღმდეგობას, რაც მათ სავალი გზაზე ელობებოდათ, რათა ამით კიდევ ერთხელ დაემტკიცებიათ ქვეყნის სიყვარული. მათ შეეძლოთ გაეწირათ საკუთარი სიცოცხლეც და გაემეტებიათ თავინთი ოპონენტები ამ სიყვარულის სახელით. ამ ისტორიის მთავარი მომენტები კარგად არის ცნობილი: ბობოქარი შეხვედრები, დახვრეტები მიუნხენში, ჰიტლერის დაპატიმრება, უამრავი დაჭერები და სასამართლო პროცესები, კონფლოქტი ჰინდენბურგთან, მისი საარჩევნო კამპანია, ფონ პაპენის განდგომა, მოგვიანებით მისი შეპყრობა და საბოლოოდ ბრიუნინგის დეზერტირობა — ყოველივე ეს იმ დაუმორჩილებლობის მარშის ნაწილს წაროადგენდა, რომელსაც წარმოშობით ავსტრიელი კაპრალი მიუძღოდა მსოფლიოში თითქმის 70 მილიონიანი ყველაზე განვითარებად, მტკიცე და მეომარ გერმანელ ხალხთან ერთად.

ჰიტლერი გერმანიის უმაღლესი ძალაუფლების სათავეში, როგორც ნაციონალისტური მოძრაობის მეთაური მოვიდა, რომელმაც მანამდე არსებული ყველა გერმანული სახელმწიფო და სამეფო გააერთიანა. ამასთანავე ნაციზმი ავიწროვებდა და თუ საჭიროდ თვლიდა ანადგურებდა კიდეც ყველა სხვა პარტიას. ამავდროულად მან შეიტყო, რომ არსებობდა გერმანიის მრეწველობისა და ავიაციის საიდუმლო ორგანიზაცია, რომელიც გერმანიიდან ცენტრალურმა მთავრობამ დააარსა და რომელიც ფაქტობრივად მზად იყო ოპერაციებში გამოსაყენებლად. აქამდე ვერავინ გაბედა ამ ნაბიჯის გადადგმა, იმის შიშით რომ მოკავშირეები ჩაერეოდნენ და ყველაფერს ჩანასახშივე ჩაკლავდნენ. მაგრამ ჰიტლერი ხომ სულ სხვა იყო, მას ძალადობა და ვნება ამოძრავებდა და მის გარშემოც მასავით შეუბრალებელი ადამიანები შეკრებილიყვნენ. შესაძლოა მაშინ, როცა ის არსებულ კონსტიტუციურ მთავრობას აძევებდა, ჯერ კიდევ ვერ ათვითცნობიერებდა, თუ რაოდენ შემზადებული იყო ნიადაგი მისი ამ ქმედებისათვის. უფრო

მეტიც, მას არასოდეს შესაფერისად არ აუღიარებია ის წვლილი, რაც მის წარმატებაში მიუძღოდათ.

ფაქტია, რომ ერთადერთი რაც მას და გერინგს უნდა გაეკეთებიათ, იყო გზის გახსნა ჯერ არნახული, საიდუმლო შეიარაღების გრანდიოზული პროცესისათვის. ის დიდი ხნის მანძილზე აცხადებდა, რომ მისი ძალაუფლებაში მოსვლის შემთხვევაში ის გერმანიისთვის გააკეთებდა ორ რამეს, რაც მანამდე არავის გაუკეთებია. პირველი, ის გერმანიას ევროპული სტანდარტების სათავეში აიყვანდა; მეორე, ის გაუმკლავდებოდა ყოვლისმომცველ უმუშევრობას. მისმა მეთოდებმა მართლაც გაამართლეს. გერმანიას ძველი დიდების დასაბრუნებლად შეიარაღება სჭირდებოდა, ხოლო ხალხი კი იარაღის ქარხნებსა და საბრძოლო სამზადისში დასაქმებით საბოლოოდ გათავისუფლდებოდა უმუშევრობის წყევლისაგან. ამგვარად, 1933 წლიდან მოყოლებული გერმანიის მთელი ენერგია ომისთვის სამზადისს ხმარდებოდა. ეს ხდებოდა არა მხოლოდ იარაღის ქარხნებში, ბარაკებში, საავიაციო მოედნებზე, არამედ სკოლებში, კოლეჯებში და საბავშვო ბაღებშიც კი, სადაც ფართოდ გამოიყენებოდა სახელმწიფო პროპაგანდის რესურსები. მთელი ერი ემზადებოდა მომავალი ომისათვის.

მხოლოდ 1935 წელს გახდა ცნობილი უდარდელი და წინდაუხედავი მსოფლიოსთვის ამ სამზადისის სრული საფრთხის შესახებ, როცა ჰიტლერი აღარ მალავდა თუ რას უქადდა მსოფლიოს და ყველას გასაგონად ააგუგუნა იარაღის ქარხნები, შეუჩერებლად აგებდა აეროდრომებს, მისი წყალქვეშა ნავები იწვრთნებოდნენ ბალტიის ზღვაში და მისი ფეხოსანი არტილერია თამამდ კვეთდა ქვეყანას ერთი თავიდან მეორე ბოლომდე.

სრულებით არ არის უცნაური, რომ ყველას სურდა შეეტყო „სიმართლე ჰიტლერის შესახებ", თუ რას აპირებდა ის, მის ხელთ არსებული უზარმაზარი ძალაუფლებით, რომელიც დღითი დღე ძლიერდებოდა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, თუ ჩვენ აქამდე არსებულით უნდა ვიმსჯელოთ, მაშინ მართლაც არსებობდა შეშფოთების საბაბი. აქამდე, ჰიტლერის ტრიუმფალურ კარიერას განაპირობებდა, არა მხოლოდ გერმანიის უზომო და ვნებიანი სიყვარული, არამედ ის უზომო სიძულვილი, რომელიც ასე ფიტავდა ყველას სულიერებას. ფრანგების სიძულვილი ყველაზე ძლიერი იყო, თუმცა ჰიტლერის „Mein kampf"-იც ღირს იმად, რომ დავრწმუნდეთ, რომ არსებობდა სხვა ერებიც ვის წინააღმდეგაც შეიძლება მიმართულიყო შეიარაღებული გერმანიის რისხვა.

შიგა რეპრესიები კიდევ უფრო სულისშემძვრელი იყო. ებრაელები,

რომლებმაც თავიანთი მოღალატეობრივი და პაციფისტური გავლენით დიდად შეუწყვეს ხელი დიდი ომის დროს გერმანიის დამარცხებას, იმავდროულად კომუნიზმის და სხვა დამღუპველი დოქტრინების სულისჩამდგმელებად მიიჩნეოდნენ. მაშასადამე, გერმანელი ებრაელები, რომელთა სათვისტომო რამოდენიმე ასობით ათასს ითვლიდა, უნდა განეძარცვათ ძალაუფლებისაგან, განედევნათ საზოგადოებრივ-პოლიტიკური პოზიციებიდან, წაერთმიათ სიტყვით გამოსვლის უფლება და გამოეცხადებინათ ოდიოზურ ერად. მეოცე საუკუნემ არა მხოლოდ ასეთი სასტიკი დოქტრინების გავრცელება იხილა, არამედ მათი არანაკლები სისასტიკით განხორციელებაც, როგორც მთავრობის, ასევე მოსახლეობის მხრიდან. ვერც წარსული ღვაწლი, ვერც პატრიოტიზმი, გერმანიისთვის მიღებული ჭრილობებიც კი ვერ დაიფარავდა მათ, ვისი ერთადერთი დანაშაულიც ის იყო, რომ ამ ქვეყანას ებრაელებად მოევლინენ. იდევნებოდა ყველა, დიდი თუ პატარა, მსოფლიო მასშტაბის მეცნიერი, მწერალი, კომპოზიტორი თუ პატარა, საბრალო სკოლის მოსწავლე ებრაელი ბავშვი.

ასეთივე დევნა დაატყდა თავს ყველა ტიპის სოციალისტსა და კომუნისტს. პროფკავშირები და ლიბერალურები ინტელიგენცია თანაბრად განიცდიდა ამ რეპრესიებს. სახელმწიფოს მისამართით მცირედი კრიტიკაც კი, სახელმწიფო ღალატად ფასდებოდა. გულანთებული ნაცისტების მიერ მოწყობილი ე.წ. სახალხო სასამართლოები დღითიდღე ავიწროვებდა და დევნიდა იუსტიციის სასამართლოებს. პარალელურად ვითარდებოდა გერმანიის შეიარაღება და საკონცენტრაციო ბანაკები. ათასობით გერმანელს აიძულებდნენ დამორჩილებოდნენ ტოტალურ გერმანიას. ებრაელების სიძულვილმა თანდათან რელიგიურ, კერძოდ ქრისტიანულ ნიადაგზე აღმოცენებულ კონფლიქტს შეუწყო ხელი. იდევნებოდნენ როგორც კათოლიკე მღვდლები, ასევე პროტესტანტი პასტორები, მათ ადგილს კი წარმართული გერმანული ღმერთები იკავებდნენ.

ვინ იყო ის სასტიკი ადამიანი ვინც ესოდენ დიდი ბოროტება დაატეხა თავს მსოფლიოს?! ვინ გაულო კარი ამ ბოროტებას?! იყო თუ არა ის დღესაც ისევე სამშობლოს სიყვარულით გულანთებული, როგორც ოდესღაც?! დიდი ერის სათავეშო მდგომი, ისევ ისე განიცდიდა ზიზღსა და ანტაგონიზმს, თუ წარმატებით თავბრუდასხმული უკვე სხვა საზომებით ზომავდა?! ეს ის შეკითხვებია, რომელიც ყველას გონებაში ტრიალებდა. ყველა, ვინც მას პირისპირ შეხვედრია, აღიარებდა მის კომპეტენტურობას, განათლებულობას, მომხიბვლელ ღიმილს და პიროვნულ მაგნიტიზმს. ცოტა თუ უძლებდა მის ქარიზმატულ ხიბლს. მაგრამ ეს მარტო არ იყო წარმატების შედეგი. ის თავისი ცხოვრების ყოველ ეტაპზე ერთნაირად ხიბლავდა ადამიანებს.

დროდადრო ის სიტყვით მომართავდა იმ ერებს, რომელთაც ერთობ მოკრძალებული წარმოდგენა ქონდათ გერმანიის პროცენტზე და რომელთა გადარწმუნებაც მან ასე წარმატებით მოახერხა. მხოლოდ დრო აჩვენებს მტყუანსა და მართალს. სანამ დროის ულმობელი ბორბალი დატრიალდებოდა, მანამ თოფების, ზარბაზნების, ტანკების, ტყვიების, ვაზნების, საჰაერო ბომბების, მომწამვლელი გაზის ცილინდრების, საომარი თვითმფრინავების, წყალქვეშა ნავების ხმაური აყრუებდა ომის სამზადისში მყოფ გერმანიას.

(ჩერჩილის წინარე სტატია დაწერილია სადღაც 1936-1937 წწ. ზღვარზე, ე.ი. ჰიტლერის ფართო აგრესიული პოლიტიკის წამოწყების დასაწყისში, მაშინ, როდესაც მან ის-ის იყო დაიბრუნა ზაარის ოლქი და რაინის დემილიტარიზებული ზონა. მთავარი და ფართომასშტაბიანი სამხედრო-პოლიტიკური აქციები ჯერ კიდევ წინ იყო. ამიტომ ტოვებს სტატია დაუმთავრებლის შთაბეჭდილებას.).

გრიგოლ რობაქიძე

ადოლფ ჰიტლერი

უცხოელი მწერლის თვალით

გერმანულიდან თარგმნა

და კომენტარები გაუკეთა

დალი ფანჯიკიძემ

ბ-ნ გრიგოლ რობაქიძის ბროშურის დანართად შეტანა ჩვენს მონოგრაფიაში შეთანხმებულია გერმანულიდან ქართულად მის მთარგმნელთან და კომენტატორთან - ქ-ნ დალი ფანჯიკიძესთან, რისთვისაც მას უღრმეს მადლობას ვუხდი.

ავტორი

მისი უამრავი ფოტო მინახავს, მაგრამ ყოველ მათგანზე იგი სხვადასხვანაირია. შეიძლება იფიქრო, მისი შინაგანი მზერა ობიექტივს გაურბისო. ეს „შორეული სახის" უტყუარი ნიშანია. ჩემს ყურადღებას იპყრობს ფოტო, სადაც ის ჰინდენბურგთან ერთად არის გადაღებული: დიდი სარდალი, ოთხმოცს გადაცილებული ჭარმაგი კაცი, ჯერ კიდევ კლდესავით დგას, ოღონდ მოკლებულია ყოველგვარ იდუმალებას. იგი აქ იმყოფება, ესაა და ეს. მაშინ როცა ჰიტლერი, მოკრძალებით გულზე ხელებგადაჭდობილი და გარინდული, ოდნავ შესაგრძნობი აურის საფარველში გახვეული, უსასრულოდ იზრდება და სიშორისკენ მიისწრაფვის. ვინ იცის, იქნებ მისი სახე გამუდმებით ასხივებს ისეთ შინაგან ძალას, რომ დაუნდობელი, მოურიდებელი კამერა უძლურია თვალწამით შეაჩეროს და ფირზე აღბეჭდოს იგი.

დაფარული არ გაცხადდების, მაგრამ მაინც ღირს შეეცადო გამოიცნო იგი. ძალზე დამახასიათებელია ის ფოტო, სადაც იგი ბატონ რიბენტროპს, ლონდონში მაშინდელ ელჩს, ფლოტის თაობაზე მიღებული კონვენციისთვის მადლობას უხდის: სერიოზული და შეწუხებული სახე აქვს, ბატონი რიბენტროპი გასხივოსნებულია და ის სხივი ფიურერის შინაგანი შუქისგან მოედინება. დიახ, მისი სახე აშკარად განსახოვნდება იმ ადამიანში, ვისაც იგი იმ წუთში ესაუბრება. იგი ხშირად ჩნდება მოზარდების წრეში და მათი აღფრთოვანებული სახეებიც მისი შუქითაა გაცისკროვნებული.

მას ჟამიდან ჟამზე კვირის ახალ ამბებში ვუყურებ ხოლმე. აქ მისი სახე უფრო უშუალო და მეტყველი ჩანს. მარშალ გერინგის ქორწილზე გადაღებული ფილმი კი ლამის სიმბოლურად წარმოგვიდგენს. იგი ყველასთან ახლოს დგას, განსაკუთრებით კი ახალდაქორწინებულ წყვილთან და მაინც ჩანს, რომ სადღაც სხვაგანაა, მასთან შეუძლებელია მიახლოება. ისეთი გრძნობა გიჩნდებათ, თითქოს ზეიმზე ვინმე უცხო შემოსულა, მაშინვე ყველასთვის ახლობელი გამხდარა და მაინც ჩანს, რომ თანამებრძოლები და მეგობრები, ანუ მისი ახლობლები, ამ სიშორეს ყველაზე უფრო მწვავედ სწორედ მის სიახლოვეს გრძნობენ.

ერთხელ იგი — თუკი უფლება მაქვს ჩემი სუბიექტური განცდა სატყვიერად გამოვხატო — შემოქმედებით, სულიერ სიბრტყეზე აღვიქვი, იქ, სადაც ირეალური ლამის რეალურს ესაზღვრება. ამიტომაც ვბედავ ვთქვა: ვერც ერთი მხატვარი ვერ შეძლებდა მისი შინასახე სრულიად გამოეხმო და პორტრეტში გაეხორციელებინა. იქნებ ვინმე ხეზე მკვეთელს ხვდომოდა წილად ეს ბედნიერება, მაგრამ მაშინ პორტრეტს მისი მუქლურჯი და თან შუქიანი თვალები დააკლდებოდა, მის შინაგან

სამყაროს თავის თავში ფარულად რომ დაატარებენ. ამ თვალების მკაცრი მზერის წინაშე გაცამტვერდება ყოველივე ყალბი და ცრუ.

მისი მიხრა-მოხრა თავის სწორუპოვრობის გამოა თვალშისაცემი. აი იგი კიბეზე ჩამოდის. კიბის ძირში მედიდურად ჩერდება, საგნებს ზემოდან დასცქერის და შორს ისე იყურება, თითქოს უეცრად რაღაც საფრთხე იყნოსაო; შედმდეგ თავს ხრის, ოდნავ მკაცრად, გრძელი, ღონიერი ნაბიჯით განაგრძობს გზას. ხელებს იქნევს, გრძელ, ენერგიულ ხელებს, რომლებიც მის მტკიცე ნაბიჯს ფრთას ასხამენ. აქ მისი ყოველი მოძრაობა პლასტიურად დასრულებული ჩანს.

ხმა იდუმალი

მისი ყოველი გამოსვლა ერთადერთი და განუმეორებელია. ათასობით ადამიანი მასთან უშუალო შეხვედრას ელოდება, მილიონობით კი რადიოგადაცემის მოლოდინში გაქვავებულან. აბრიალებული ტალღა ტალღაზე მოგორავს და აღტკინებისგან გუგუნებს. ტანი უგრძნობთ: იგი მოდის, იგი უკვე ახლოსაა. შუქშობილის მოლოდინში ყოველი ხმის გაგონებაზე უტოკავთ ფესვები. უსაშველოდ მოდიდებულან ტალღები. აქ მარტო აღარავინაა" „ყოველი მხარე ძმაა და ყოველი მზერა დაია შენი". („გრაალის მცველნი"). ტალღისგან ატაცებული ბედნიერი მსმენელი ჰაერში ნანაობს: იგი ერთდროულად ნადავლიც არის და ნადავლის მომპოვებელიც. და აი, ფიურერიც აქ არის. ქარბორბალასავით ეხვევა გარს შეძახილი: „ჰაილ! ჰაილ! ჰაილ!" აბობოქრებული ზღვის ზედაპირი მშვიდდება. ნელ-ნელა იკეცებიან ჩამცხრალი ტალღები. არსაიდან არ ისმის ხმა, ყველა ჩაწყნარებულია, მხოლოდ გულები ძგერენ ძალუმად, მოლოდინით ანთებულნი. და აი, გაისმის დაბალი ხმა, მკაცრიც და მოსიყვარულეც, და სუნთქვაშეკრულთ ესმით ნაცნობი სიტყვები: „გერმანელო მამაკაცებო და ქალებო!" რამდენიმე ჟესტი და ორატორი ჭეშმარიტად ღვთიური გზნებით საქმეზე გადადის.

ამ დაბალ ხმას მილიონობით ადამიანთან ერთად მეც გულმხურვალედ ვუსმენ. დროგამოშვებით სიტყვებს თავს ვანებებ, მხოლოდ შინაგან ენას ვაყურადებ და უცნაურ ხილვას ვეღარ ვეშვები. ორი მილიონი მიცვალებული წევს ქანცგაწყვეტილ მინაზე, შვიდნახევარ მილიონს ჯერ კიდევ სისხლი სდის. დიდ გერმანულ არმიას იარაღი დაუხრია. პირქუშ, უმთვარო ღამეში არაამქვეყნიური სიჩუმე ისადგურებს. უეცრად შორიდან მოისმის ხმა, ნაღვლიანი და ტკივილიანი, მაგრამ თავგანწირვითა და სასიცოცხლო ენერგიით აღსავსე. სიჩუმეში გამაოგნებლად გაისმის ეს ხმა, ნუთუ ეს მითად ქცეული უცნობი ჯარისკაცის ხმაა? სიჩუმეში გამაოგნებლად გაისმის ეს ხმა და ამავე დროს გულის სიღრმეში ყველას

ჰგონია, თითქოს თავად ლაპარაკობდეს.

ადოლფ ჰიტლერის სიტყვების უკან მუდამ ვგრძნობ ამ ხმის გამოძახილს. იგი ისე სულისშემძვრელად ლაპარაკობს, რომ ხანდახან აღარც კი მჯერა, ეს ხმა ერთი ცალკეული ადამიანის ხმა შეიძლება იყოს თუ არა. აი ჭეშმარიტად სად ცნაურდება გერმანული თვითობა.

იქნებ ეს თვითობა მეტაფორულად არის გასააზრებელი?

იგავები

ყოველი მცენარე მხოლოდ დროის ერთ რომელიმე მონაკვეთშია საცნაური: მორჩობაში, ყლორტობაში ან სიმწიფეში, მაგრამ ვიაიდან იგი თავის თავში ატარებს მისი ნებისმიერი ნაწილიდან მთელის აღდგენის შესაძლებლობას, ამიტომაც სჭვრეტს მთლიანობაში მას გოეთეს თვალი: წინ, მორჩიდან ყლორტამდე და უკან — ყლორტიდან მორჩამდე. და ბოლოს ჩვენს წინაშე მატერიალურ-იმატერიალურად ფარფატებს თვით თაურმცენარე (ისევე როგორც ბავშვის სახეში შეიცნობა დედისა ან მამის სახე).

თაურმცენარე მცენარის ყოველ ფაზაში თვლემს. მართალია, ზრდის პროცესში, მაგრამ ერთჯერადად მთლიანობაშიც. იგი ხალხის ყოფიერების ხატში სრულყოფილ შესატყვისს პოულობს. ასე ხალხის თაურუჯრედზეც, ანუ დვრიტაზეც შეიძლებოდა გველაპარაკა. მე სხვა არავინ მეგულება, ხალხის დვრიტას ჰიტლერივით რომ ჩასწვდომოდეს.

უფრო ნათლად: ჩემი მშობლიური ქვეყნის ნებისმიერ გლეხს რომ ვკითხო, რა მოსდის ყურძენს სიმწიფეში შესვლისას, მყისვე მივიღებ პასუხს: მტევანში თვალი ჩავიდაო. ხოლო თვალში მზე იგულისხმება. ნუთუ მას გოეთეს ღრმა აზრი აქვს გაგონილი? „ვისაც მზიური არა აქვს თვალი, მას მზის დანახვაც არ შეუძლია". ცხადია, არა. მაშ საიდან უწყის ეს საიდუმლო? საიდან ეს ცოდნა მას თავის მშობლიურ ენასთან ერთად ეძლევა, სადაც „მზეს" და „მზარას" ერთი და იგივე ფუძე აქვს. მაინც ვინ მიხვდა ამას? ჯერ ერთი იმას, რომ მზე კოსმიური თვალია, რომლის სხივებშიც შიგნიდან გამოსჩანს რაღაც და მეორე: ეს თვალი რომ დადის მტევანში, რათა იგი სიმწიფემდე და სისავსემდე მიიყვანოს? კი მაგრამ, მაინც ვის შექმნა ეს საკვირველი ხატი? ალბათ, ვინმე უსახელომ წინარე დროში ჩვენამდე დაბადებულმა, რომლის ხედვაც თაობიდან თაობას გადაეცემოდა? არა. აქ არც „მანამდე" და არც „მას შემდეგ" არ გამოგვადგება, ვინაიდან, ყოველ ცალკეულ ადამიანს თავისი ენა წინ დაუხვდება. მისი თაურხატისგან უკვე ქმნილი დასაბამიდან ასეა — ყოველ ცალკეულ ადამიანში, იქნება იგი იმჟამად მცოცხლები, დიდი

ხნის გარდაცვლილი, თუ სულაც მყოფადში მომსვლელი, არის რაღაც წინასწარმოცემული, რაიც მასში მორჩის სახითაა ჩაკირული და მარადჟამს ცოცხლობს. ეს რაღაც — ცოცხალი არსების რომელიღაც სახეობაა, გაუხლეჩავი და ერთიანი — ენის მედიუმში მსოფლიო სახის ჭეშმარიტ ძალად გვევლინება. ხალხი თუ რაიმემ შეძრა, იქნება ეს დამარცხების ტკივილი, თუ რაიმე აღმაფრთოვანებელი ექსტაზი, მაშინ თითოეულმა ადამიანმა თუნდაც წამის ერთი ნაწილაკის განმავლობაში საკუთარ თავში ლამის პიროვნულად უნდა შეიგრძნოს ის რაღაც, როგორც თავისი საკუთარი თაურუჯრედი. ფესვების ამდაგვარი შეგრძნება ზოგჯერ ისე შორს მიდის, რომ ვინმე კურთხეული პიროვნება საკუთარ თავს ხალხის იდენტურად აღიქვამს: მაშინ იგი თავგანწირვისათვის შინაგანი მზაობის წყალობით ხალხის თვითობაში აღმოჩნდება ჩაზრდილი და შესაბამისად, ხალხიც მასში ხორცშესხმულ ხატს დაინახავს.

იქნებ ესეც მეტაფორაა? დავაკვირდეთ პაგანინის ვიოლინოს. მასში საიდუმლოდ შემონახულნი თვლემენ ის მუსიკალური ტალღები, გენიალური მევიოლინე მის სიმებს რომ გამოაცემინებდა. დამათრობელმა რხევებმა ისე გააკეთილშობილეს უსულო ხე — ალბათ მასში ახალი ნუჟრებიც კი წარმოშვეს — საკმარისი იყო ვინმე ხელგაუწაფავ მევიოლინეს დაეკრა, რომ შეიძლებოდა უხეშად დაზიანებულიყო მერქნის ნატიფი ქსოვილი. და თუკი ხეს ძალუძს, თუნდაც წმინდა ფიზიკური თვალსაზრისით განიცადოს ასეთი სახეცვლილება, მაშინ განა ხალხისათვის თავშეწირულ ადამიანს არ ხელეწიფებოდა ხალხის ჯანსაღი უჯრედები თავის წიაღში მიეღო და დაეუნჯებინა?

ჰიტლერის ფენომენი აქ ძევს და სხვაგან არსად.

გადამწყვეტი წამი

წარმოგვიდგენია: 1919 წელს გერმანიას ვერსალის დიქტატს უწესებენ. შეძრწუნებული გერმანელი ხალხი თავის ისტორიის ერთ წამში გარინდულა — დროის ეს მონაკვეთი ვარსკვლავთა თვალწამს ჰგავს. ყოველი გერმანელი, კაცი თუ ქალი, ყრმა თუ მოხუცი, ფენისა და რანგის მიუხედავად, გულის სიღრმეში მხოლოდ ერთს გრძნობს: იგი გერმანელია. შიგნით, სიღრმეში, ჭრილობიდან სისხლი მოწვეთავს, ხალხის თვითმყოფადობა საფრთხეშია. მთელ ქვეყანას ერთადერთი ტალღა გადაუვლის: ტკივილის ტალღა. მეტ-ნაკლებად მას ყველა ატაცებული ჰყავს, ყოველი მათგანი თავის უნარისა და ძალის პირობაზე მისი მატარებელი ხდება. სისხლი მოწვეთავს ჭრილობიდან და თან გამაჯანსაღებელ ძალებს შობს. ტალღა ყველას სხეულში აღწევს, მის

ზვირთებში ყველა ერთია — იგი კაციდან კაცზე გადადის, თითქმის იმ ერთს დაეძებდეს, რომელიც შეძლებს ატაროს და ერთ მუშტად შეკრას იგი და ჰოი მიქცევ-მოქცევის საიდუმლოვ, დავანებულო მთელსა და ერთეულს შორის: ტალღა პოულობს მას, გულით ნანატრსა და ნაოცნებარს და აი იგი რჩეული, მისი მიმღები და შემოქმედი ხდება.

არსებობს ერთი დიდი მიტინგის ფოტო, 1914 წელს ომის გამოცხადების დღეს გადაღებული. ათასობით ადამიანი, სუნთქვა შეკრული და შეშფოთებული უგდებს ყურს ჭექა-ქუხილის მოახლოებას. მასის შუაგულში მშვიდად დგას ერთი კაცი. სახე მოლოდინისგან დაძაბვია — მას ამორ ფატი[1] აძლევს დაბრკოლების გადამლახავ ნაბისყოფის ძალას. სახემოღუშული ფიქრებში ჩაძირულა, მაგრამ ჩანს, რომ მის თვალს არაფერი გამოეპარება. დგას მტკიცედ: სრულ მზადყოფნაში. იგია ის, ვისშიც ამ ტალღამ ჰპოვა თავისი იდეების მატარებელი. გერმანულ სამყაროში ამ წუთში დაიწყო ახალი ერა.

ისტორიამ შემდგომ გაამჟღავნა უსახელო გმირის სახელი: ადოლფ ჰიტლერი.

ზემოთ ერთი გამოთქმა გამოვიყენე: თავგანწირვა და შინაგანი მზაობა. მე მომისმენია ჰიტლერის ხმა — ხან ნაღვლიანი, ხან მუქარიანი, ხან გამამხნევებელი და აღმაფრთოვანებელი — და მის უკან ყოველთვის ის მზაობა მიგრძვნია. ეს თავგანწირვის სიმამაცე როდია, ეს გარდაქმნის სიმამაცე გახლავთ: ეს ცეცხლის გენიაა. მაგალითად აქ ერთ ლეგენდას მოვიხმობ.

ერთ ხეზე ასეთ ლეგენდას ყვებოდნენ: ვინც მისთვის ცეცხლის წაკიდებას გაბედავდა, იგი ცეცხლში იხილავდა ჭეშმარიტებას, ოღონდ სიგიჟისა და მყისიერი სიკვდილის ფასად. და აი ერთი, ჭეშმარიტების შეცნობის სურვილით გულანთებული კაცი, ბედავს ლეგენდარული ხისთვის ცეცხლის წაკიდებას. იგი ხშირად მიდის ხოლმე ამ ხესთან და მზად არის კაჟის კენჭებით სავსე პეშვით გააჩაღოს ცეცხლი, მაგრამ შიშით მარჯვენა უჩერდება. ერთხელ დაღლილ-დაქანცული ხმელ ფოთლებში წამოწვება, ჩიბუხს გააბოლებს და სულ მალე ძილი მოერევა. უეცრად ნამწვის სუნს იკრავს: ეტყობა ჩიბუხიდან ერთი ნაპერწკალი შეუმჩნევლად გადმოვარდნილა. მიმოიხედავს და სიხარული შეიპყრობს: აი ახლა კი ეზიარება ჭეშმარიტებას, ისე რომ არც გონი წაერთმევა და არც სიკვდილი სუნთქვას შეიგრძნობს — ცეცხლი ხომ მისდაუნებურად გაჩაღდა! მაგრამ იმწამსვე მაინც აიტანს შიში და ალის ჩასაქრობად ხეს მივარდება. ხელებს გამალებით ამოძრავებს, დემონურად ყვირის და ღმუის, თითქოს უნდა ამოთქვას: არა, არა, ეს არ მოხდება! ბოლოს, როგოც იქნა, აქრობს ცეცხლს და ხელებდათუთქული გარბის.

---

[1] ლათ. საბედისწერო სიყვარული (მთარგმნ.)

იგი გარბის: მას სიმამაცე არ ეყო შეეცნო ჭეშმარიტება, რაიც, თუ გნებავთ, ამ ქვეყნად ყოფნის სიმამაცეც გახლავთ. ამ სიმამაცის გარეშე კი არც დაფარული შეიცნობა და არც ისტორიული საქმენი ხდება. ლუთერი წაუკიდებდა იმ ხეს ცეცხლს, ფრიდრიხ ნიცშეც და ნაპოლეონის ყოველი დიადი წამიც მუდამ იმ ცეცხლის ალში დგებოდა ხოლმე. დღევანდელი წინამძღოლები, ვინც კი თავიანთ ხალხში დაწინაურებულა, ყველა როგორც ერთი, ამ ცეცხლის გენიითაა გულანთებული. მუსოლინის, amor fati — სგან მუშტად შეკრულს, აქვს გადამწყვეტი იერიშის წამონყების გამბედაობა, ხოლო ადოლფ ჰიტლერი ამ სიმამაცით უჩვეულოდ, ნერვის უკანასკნელ ძაფამდეა შეპყრობილი. ერთ მაგალითს მოვიყვან.

„1932 წლის 8 აპრილს გერმანიას ისეთი ავდარი დაატყდა თავს, ყოველგვარ წარმოდგენას რომ აღემატება. შავი ღრუბლებიდან სეტყვამ წამოუშინა. ნიაღვარმა წალეკა ბაღები და ველ-მინდვრები. მღვრიე, ქაფიანმა წყალმა დატბორა გზები და ლიანდაგები, გრიგალმა ფესვიანად ამოგლიჯა საუკუნოვანი უზარმაზარი ხეები. ამ დროს ჩვენ მანქანით მანჰაიმის აეროდრომისაკენ მივემართებით. ვინ გაბედავდა გამძვინვარებული სტიქიისათვის მიენდო თვითმფრიანვი — გერმანულმა ლუფტჰანზამ შეაჩერა ყველა რეისი. აეროდრომზე კი, კოკისპირულ ნვიმაში მჭიდრო რიგებად დგანან ჩვენი მომხრეების ყველაზე შეუდრეკელი რაზმები. მათ უნდათ აქ იყონ, უნდათ საკუთარი თვალით ოხილონ, ასეთ ავდარში ფიურერი როგორ მიენდობა თვითმფრინავს. ფიურერი ბრძანებს დაუყონებლივ აიღონ სტარტი. ჩვენთვის უნდა შესრულდეს დღის განრიგი, რადგან დასავლეთ გერმანიაში ასეულ ათასობით ადამიანი გველოდება. თვითმფრინავი ანგარიდან გამოჰყავთ. მონტიორებისა და სპეცრაზმელების კუნთმაგარი ხელები ძალღონის არაადამიანური დაძაბვის ფასად ახერხებენ ბილიკზე თვითმფრინავის დაკავებას, რომ ქარიშხალმა არ აიტაცოს და არ დაამსხვრიოს იგი. მოტორების ორღანი ახმიანებულია. პილოტი უჩინარი ხელით ორღანისტივით ცვლის რეგისტრებს და ხან უკლებს და ხან უმატებს გუგუნს. მოტორები უკვე გახურებულია, სანამ ასაფრენ ბილიკს გაუთავისუფლდებდნენ, მოთოკილი ძალით მოუთმენლად ძიგძაგებს ჩვენი ჰიპოგრიფი.[1] ერთი ყალყზე შედგომა და ჩვენი ძვირფასი ბედაური უკვე მწვანე მინდორზე მიჰქრის. რამდენიმე თამამი ნახტომი, უკანასკნელი მინიერი შეხება მიწასთან, ჩვენ უკვე ჰაერში ვართ და ჯადოქრის მოთუხთუხე ქვაბში ვიძირებით. ამას ფრენა აღარ ჰქვია. ესაა ბზრიალ-ტრიალი, რომელიც დღემდე უშორესი სიზმარივით გვაგონდება. ჩვენ ხან გრიგალს მოვექეცით თავზე, ხან ღრუბლების ნაფლეთებს მივაპობთ, უხილავი გრიგალი ხან სიღრმეში ჩაგვიტანს, ხან კი გვეჩვენება, თითქოს შორეული ამწე

[1] ბერძ. ცხენისტანიანი ფრთიანი მითიური ცხოველი, პოეტური პეგასის წინამორბელი.

ზევით ვერტიკალურად გვეწეოდეს. და მაინც, უსაფრთხოების საოცარი შეგრძნება ღვივის ჩვენში სტიქიის ამ ბობოქრობის ჟამს. ფიურერის ამბსოლუტური სიმშვიდე ყველას გვედება". (ოტო დითრიხი: „ღამით, ჰიტლერთან ერთად".)

ადოლფ ჰიტლერი ისე შეუპოვრად მოქმედებს, რომ გიჩნდება შეგრძნება: ურჩხულიც რომ გადაუდგეს წინ, არ შეუშინდება. დიახ, გჯერა, რომ იმ ურჩხულს დაამარცხებს. იგი მიმართავს ხალხს, მტკიცედ და გაბედულად და საკუთარ თავსა და სხვებს შორის მიჯნას ველარ გრძნობს: თავისი ქვეყნის პულსი მაშინვე ფეთქავს. იგი კვლავ და კვლავ იყენებს პირის ნაცვალსახელს „მე", ოღონდ „მე" ამ შემთხვევაში ხალხის ზეპიროვნულ თვითობას ნიშნავს. ამ დროს მისი ფოლადივით სიტყვა უზარმაზარ ძალას ასხივებს, უფრო მეტიც — იგი ქმედით ძალად გადაიქცევა. მისი გამჭრიახი გონება ჯერ აშრობილ საიდუმლოს წვდება და ლაღი ჩირაღდანმტყორცნელის დარად ბრმა ბედისწერას ათვინიერებს. სიტყვის ბოლოს მისი დიონისური ფრთების მოქნევა იმ მფრინავის ფრენას ჰგავს, ოკეანეს რომ გადაუფრინა და ახლა მის მოლოდინში გარინდული ხალხის წინ ძლევამოსილად ეშვება მიწაზე.

პირველცოდნაში ჩახედვა

იგი ბედისწერას ათვინიერებს და ბედისწერაც მის მხარესაა. აქ ცნაურდება ის რაღაც, რაც ჭეშმარიტად ისტორიულ პიროვნებას მასისაგან გამოარჩევს. ესაა იმ შინაგანი გაორების დაძლევის ნიჭი, რაც ადამიანის არსში ღრმადაა ჩაკირული. აქ ჩემი წიგნის „გრაალის მცველნის" გმირს თავად გიორგის ვალაპარაკებ:

„დაცემამდე ადამი კადმონი ღმერთისგან განუყოფელი იყო, მხოლოდ დაცემის შემდეგ შეიცნო მან იგი, როგორც თავისი საპირისპირო რამ. აქამდე იგი საგნებს შიგნიდან გარეთ ხედავდა, ახლა კი მათ ისე აღიქვამდა, როგორც მის პირისპირ მდგომთ. იმ კითხვას, როგორ შევიმეცნო ის, რაც მე თვითონ არ ვარ, რაზეც საუკუნეების მანძილზე თავს იმტვრევდნენ მოაზროვნენი, დაცემამდე ადამი საერთოდ ვერ გაიგებდა, ვინაიდან იგი სხვას აღიქვამდა, როგოც თავის განსაკუთრებულ მეს. ყოფიერების გარშემო მოპოვებული ცოდნა უკვე აღარ არის თვითყოფიერება. კაცობრიობამ დაკარგა ყოფიერებაში არსებული განუყოფლობა და დღეს ეს განუყოფლობა მხოლოდ ცხოველშია შემორჩენილი. აი საიდუმლო ეს არის. ახლა ხომ გესმით, რატომ გვჯობნის ცხოველები ღონით? ახლა თქვენთვის ხომ ნათელია, რატომ ვაღმერთებთ ცხოველებს? შემდეგ: „სხვათა შორის, ცხოველს არ გააჩნია თვითობა, ანუ ღვთაებრიობის

ნიშანი. მას არ გააჩნია მე, სამაგიეროდ ღვთიური ყოფიერების მთლიანობა აქვს შენარჩუნებული. ცხოველი გარესამყაროს ზუსტად ისევე აღიქვამს, როგორც ჩვენი თვალი აღიქვამს სინათლის ზღვას: იგი „საგნებს“ ვერ არჩევს. თვალს რომ სინათლის ზღვა საგნის სახით ედგეს წინ, მყისვე დაკარგავდა ხედვის უნარს და ეს ცოდვით დაცემის მსგავსი რამ იქნებოდა. ცხოველის მეხსიერების სამყარო მისი ქმედების სამყაროცაა. ჩვენს მეხსიერებაში ძევს ნებისმიერი არსების ხატი, თუნდაც იგი შორს იყოს ჩვენგან. ცხოველს წარმოსახვის უნარი არ გააჩნია, სამაგიეროდ იგი უშუალო შეხებისას სავსებით ხატოვნად ჭვრეტს საგანს, იგი თავის საპირისპიროს საგნით იმსჭვალება. აქედან მოდის მისი უზარმაზარი მაგია. ნადირი გამოჩენისთანავე ცვლის თავის გარშემო ატმოსფეროს. ამგარად, ცხოველი ღვთიურად მთლიანია, ყოფიერებაში მას არ გააჩნია შუალედური სივრცე. ადამი კადმონი ალბათ ერთდიულადაც ცხოველიც არის და ადამიანიც, ღვთიურ საშოში განუყოფელი. მას შედეგ მისტირის ადამიანი თავის დაკარგულ ნახევარს — ცხოველს. აქედან გამომდინარე, გასაგებია მითიურ ადამიანს რატომ ესახებოდა ცხოველი წმინდანად: პირველმდგენად, ტოტემად. ტყუილად როდი გამოუსახავთ ბაბელსა და ზუმერს, უშუალო პირველცოდნის ქომაგებს, კოსმიური წრე-ბრუნვა ცხოველების ნიშნებით. კურო, მერწყული, თხის რქა, ვერძი, ლომი, ღრიანკალი — ყველა ეს ცხოველი, რეალურადაც და ირეალურადაც, ადამი კადმონის სხვადასვა თვისებას განასახიერებს.

ასე და ამგვარად, ამ გადმოცემაზე შეიძლება ითქვას: იგი ძველი აღთქმის შესაბამისი გადმოცემისაგან ძირფესვიანად განსხვავდება.

КАІРОСІО

თუკი ვინმე მთლიანად და უყოყმანოდ გაიზიარებს თავისი ხალხის ბედს, მაშინ მას მიეცემა ნიჭი და უნარი ფარულად შეამოკლოს გამყოფი შუალედი, ანუ სივრცე ყოფიერების ირგვლივ არსებულ ცოდნასა და თვით ყოფიერებას შორის. მაშინ მასში, თავად გიორგის აზრი რომ მოვიშველიოთ, წმინდა ცხოველის ძალები გაბატონდებიან და ამიერიდან იგი მთლიანად და განუყოფლად იმოქმედებს ხოლმე. იგი თანდათან მოიპოვებს ყოფიერების იმ წყალობას, რასაც ძველი ბერძნები „კაიროსს“ ეძახდნენ, ანუ მოიპოვებს უნარს ქმედებისას იპოვოს გადამწყვეტი წამი. ცხოველებთან კოსმიურად დამეგობრებულ ადამიანებს მშვენივრად შეუძლიათ შეიგრძნონ იგი. საკმარისია მონადირემ თავის ძაღლთან ურთიერთობისას ინსტიქტურად შეიგრძნოს ღვთიურ-პიროვნული „შენ“, რომ ცხოველი მას მყისვე ინსტიქტის რწმენას მიანიჭებს. მაგალითად,

აქ დიდ როლს თამაშობს სიახლოვე კატასთან, ამ საარელ ცხოველთან, რომლის მეოცნებე კრუტუნში ყრუდ და წყნარად მოისმის კოსმოსის შორეული სუნთქვა, იმ პირობით, რომ მისი შემზარაობა ვინმეს წილხვედრი გახდება.

რაც უფრო ვიწროა ის შუალედი, მით უფრო ძლიერია კაიროსი. ქემალ ათათურქის ცხოვრება ამ თვალსაზრისით ფანტასტიკას ესაზღვრება. იგი თითქმის ყოველთვის გამოუვალ მდგომარეობაში ვარდება, სადაც გარემოებანი დაახლოებით 90:10-ზეა მის საწინააღმდეგოდ მიმართული და აი იგი მოვლენებში მოულოდნელად, შესაფერ წამს ჩაერთვება და სახიფათო ზონაში ბედისწერას უმალვე თავის სასარგებლოდ შემოატრიალებს ხოლმე. მუსოლინის არსებაში მოქმედ კაიროსს აქვს რაღაც მეტეორის ნამსხვრევი ცეცხლისებრი. თვალს თუ მივადევნებთ აბისინიის ომის ყოველდღიურ მსვლელობას, დავინახავთ, როგორ ვიწროვდება დუჩეში ის შუალედი და მისი ყოველი ღონისძიების კვალდაკვალ როგორ იზრდებოდა კაიროსი. ამ სივრცეს თავის ატომგულში შემოკლების ნაცვლად თუნდაც ერთი წამით უკან რომ დაეხია, ერთი ხელის დაკვრით წაგებული აღმოჩნდებოდა აბისინიური ლაშქრობა, რომელიც ფარულად თვით მის მიერ იყო ინსპირირებულიც და წარმართულიც.

ადოლფ ჰიტლერს ეს უნარი განსაკუთრებით უხვად აქვს მომადლებული. იგი შორეული სიღრმეებიდანაა ხესავით ამოზრდილი, დედამიწის ცეცხლით გავარვარებული, ნაყოფიერ სინათლის სხივად გარდაქმნილი. ჯერ იყო ისტორიული კრება 1920 წლის 24 თებერვალს, მიუნხენის ლუდსახარშის დარბაზში; წარმოდგენილ იქნა ჩამოყალიბების პროცესში მყოფი მოვლენის მონახაზი, რომელშიც ადოლფ ჰიტლერმა, და სხვებმა როგორც მისმა თანამებრძოლებმა მსოფლიოისტორიული ამოცანის შესასრულებლად ერთმანეთი აღმოაჩინეს; შემდეგ, 1930 წელს მოგებული არჩევნები; შემდეგ, 1933 წელს ძალაუფლების ხელში აღება; შემდეგ, საყოველთაო სამხედრო ვალდებულების შემოღება, კენჭისყრა ზაარის მხარეში; გერმანიის ჯარების შესვლა ოკუპირებულ რაინის მხარეში; შემდეგ, ავსტრიის შემომტკიცება — ამ უმაგალითო ისტორიული სვლის თითოეული ეტაპი კაიროსის ნიშნის ქვეშ მიმდინარეობს.

ამ ნიჭის გამოვლინების ბრწყინვალე მაგალითად, რაც ფიურერს თავის სტიქიად ექცა, უეჭველად რჩება სუდეტების გათავისუფლება... ჯერ იყო 1939 წლის თებერვალში, შორეული წარსულიდან მომდინარე გამოძახილივით მკაცრი და მშვიდი გაფრთხილება ჩეხოსლავაკიისადმი. შემდეგ აშკარა, დაუფარავი, კატეგორიული მომართვა პარტიის ყრილობაზე ნიურნბერგში, რომელმაც სუნთქვა შეუკრა მსოფლიოს, შემდეგ ყრუ პაუზა, მოწინააღმდეგისათვის დასაფიქრებელად მიცემული,

შემდეგ კი, 26 სექტემბერს, სპორტის სასახლეში წარმოთქმული ისტორიული სიტყვა.

საოცარია ეს სიტყვა, აქამდე არასოდეს ყოფილა მისი სიტყვა არქიტექტონიკურად ასე ოსტატურად და ძლიერად შეკრული. ეს იყო საბოლოო გადაწყვეტილებისათვის მზადყოფნის ნიშანი, ამავე დროს კი არასოდეს ყოფილა მისი სიტყვა ღრმააზროვანი პაუზებით ასე დატვირთული და დაძაბული — თითოეულ სიტყვაში იგრძნობოდა, რომ მას უნდოდა თავიდან აეცილებინა ომი. ჭექა-ქუხილით ჯერ არდაძრული, მაგრამ პირმოქუშული, უკვე იმუქრება და გამალებით იკრებს ძალას. ამ დროს ჩემბერლენის უეცარი გამგზავრება მიუნხენში და შეხვედრა ფიურერთან ბერხტესგადენში. მსოფლიომ შვებით ამოისუნთქა. შემდეგ ხანმოკლე პაუზა. ამასობაში ხელახლა მატულობს მღელვარება. ჩემბერლენის ხელმეორე გაფრენა და თათბირი გოდესბერგში. შემდეგ კვლავ პაუზა, კიდევ უფრო ხანმოკლე და კიდევ უფრო საშიში. საკმარისია ერთი მისხალი დაემატოს სასწორის პინას, რომ ჭექა-ქუხილი აიწყვეტს. კაცობრიობა გაქვავებულა ძრწოლასა და ლოცვაში. და მოულოდნელად ოთხი სახელმწიფო მოღვაწის თავყრილობა მიუნხენში: ჰიტლერი, მუსოლინი, ჩემბერლენი და დალადიე. მშვიდობა და მასთან ერთად მსოფლიოც გადარჩენილია. დროის ამ სუნთქვის შემკვრელი დრამატიზმით აღსავსე მონაკვეთში ჩანდა, რომ განუწყვეტლივ მოქმედებდა ფიურერის კაიროსის სხივი.

მე კი გადამწყვეტი მაინც სპორტის სასახლეში წარმოთქმული ის სიტყვა მგონია. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ფიურერის ყოველი სიტყვა მომწიფებული ქმედებაა; ასე იყო ამჯერადაც. ეს იყო სამართლიანობისათვის საბრძოლო მზადყოფნაც და ომის თავიდან აცილების სურვილიც. განა არ შეიძლებოდა ამას დაქსასულობა გამოეწვის? 99 შემთხვევაში კი, მაგრამ ფიურერის შემთხვევაში ამან სხვაგვარად იმოქმედა. აქ ცნაურდება მისი ერთი განსაკუთრებული თვისება. — იგი „გულის ადამიანია". ერთხელ ჰიუსტონ სტიუარტ ჩემბერლენმა აღნიშნა: „გამოჩენილი პიროვნებები შეიძლება ორ ჯგუფად დავყოთ, იმისდამიხედვით, მათში თავი გადასწონის, თუ გული. ჰიტლერს მე უყოყმანოდ გულის ადამიანებს მივაკუთვნებდი... ცენტრალური მამოძრავებელი ორგანო, ქურა, სადაც სისხლი აღინთება, სადაც მისი აზრები იჭედება, გულია. სხვა პოლიტიკოსებისაგან იგი ამით განსხვავდება". დიახ, ჰიტლერი გულის ადამიანია, ოღონდ არა მოდუნებული გულისა: იგი იმავე დროს პასუხისმგებლობით აღსავსე ადამიანიც გახლავთ. მის დასახასითებლად ჰბაგავადგიტას სიტყვები უფრო გამოდგებოდა: „საკუთარ თავს რომ ჩავუკვირდები, წმინდა გულს ვპოულობ და წინ ათასობით, ათიათასობით ადამიანიც რომ გადამოდგეს,

არ შევეპუები". ვინც შეძლო საბედისწერო გადაწყვეტილების მიღების წინ მოვალეობის სიმკაცრე და გულის სინაზე უფრო მაღალ ორგანოში, ანუ თავდადებული პასუხისმგებლობის ორგანოში ჰარმონიულად და გულითადად შეეუღლებინა, იმას სასწაულის მოხდენა ძალუძს. და ჰიტლერმა მოახდინა კიდეც ეს სასწაული: სამართლიანობისათვის მისმა ბრძოლამ ინგლისსა და საფრანგეთში გამოაღვიძა კეთილგონიერება და მიუნხენში დაბადებული მსოფლიოისტორიული ხელშეკრულება ამიტომაცაა კურთხეული ნაყოფის დარი. ფიურერის კაიროსში ეს სრულიად განსაკუთრებული გახლდათ.

მან ერთხელ უკვე სავსებით გასაგებად ჩამოაყალიბა დებულება: „სულიერი ტიპის, დიდი, მართლა მსოფლიოს მომცველი რევოლუციების მოფიქრება და განხორციელება მხოლო ერთეულების ტიტანური ბრძოლის შედეგია და არა კოალიციების ძალისხმევისა" („ჩემი ბრძოლა") იგი ამჯერადაც ზემოხსენებული ბრძნული გამონათქვამის ერთგული დარჩა. გადამწყვეტი ქმედების ძალა ერთეულების ხელშია. „ყოველ კაცს უდგანან გვერდით მრჩევლები, მაგრამ გადაწყვეტილებას ის ერთი კაცი იღებს", იმავე წიგნში ამბობს იგი და ეს ნათქვამი პირველ დებულებას სავსებით ესადაგება. მის გვერდითაც დგანან მრჩევლები, მისი ერთგული თანამებრძოლნი, მაგრამ გადაწყვეტილებას მარტო ის იღებს. „Allein". ამ სიტყვას ლექსიკონი ასე განმარტავს: „მარტო, ერთადერთი, მარტოდმარტო, მხოლოდ, ოღონდ". მაგრამ მე ვიცი, რომ ზოგჯერ სიტყვა ძირითადთან ერთად სხვა მნიშვნალობასაც შეიცავს. „All" კოსმოსს, სამყაროს ნიშანს და ვინ იცის, იქნებ „Allein" კოსმოსთან გაერთიანებულს ნიშნავდეს? ვინაიდან: კოსმოსთან რომ გაერთიანდე, ყველას და ყოველივეს უნდა განერიდო. არც ერთი მისი თანამედროვე არ ხმარობს არ სიტყვის სხვა მნიშვნელობებს, როგორიცაა „მხოლოდ" და „ოღონდ" ისე ხშირად, როგორც ჰიტლერი. ვითომ უბრალო შემთხვევითობაა? ალბათ აქ ქვეცნობიერად მოქმედებს, რაც ზემოხსენებულ მინიშნებასთან ახლოს დგას. დიახ, იგი გადაწყვეტილებების მიღებისას მარტოა, კოსმოსთანაა გაერთიანებული, ამ სიტყვის პირველი ნაწილი კი მისი ხალხის პივრველმდგენთან ამყარებს კონტაქტს. ეს არის ტაოს მსგავსი მდგომარეობა[1], რომლის ახსნასაც მიახლოებით მაინც შეძლებს რაინერ მარია რილკეს მთელი ლირიკულ სამყაროში ალბათ საუკეთესო სტრიქონები, ოღონდ იმ პირობით, თუ ღმერთის ნაცვლად, რომელსაც ეს სტრიქონები ეძღვნება, მითიურ წინაპარს ჩავსვამდით:

... მე მეგობრები ისე დამშორდნენ,
ოდნავღა მესმის სიცილი მათი;

[1] (ჩინ) ტაო. გ'სა, წ'ედიმა, სრულყოფილი არსებობა ჩინურ ფილოსოფიაში

შენ კი ბუდიდან გადმოვარდნილხარ
ყვითელბრჭყალება, საცოდავი, დიდთვალა ბარტყი.
ჩემი ხელები შენთვის ფართოა,
ჩემს ხელებში ხომ ჩაიკარგები.
ამიტომ ვიღებ თითით წყაროს წყალს
და მივაყურებ, იმ წვეთს როგორ დაეწაფები
და ვიგრძნობ უმალ, შიშით ორივეს
აგვიძგერდება მყისვე გულები.

პირველმდგენი

იდიმალებითაა მოცული ის რაღაც, რომელიც ნებისმიერი ხალხის თაურხატის სახით ვლინდება. ესაა პირველმდგენი, სიცოცხლის მქმნელი: ოღონდ არა მოდგმისა თუ ჯიშის შექმნის გაგებით. იგი ჩვენთაგანი არ არის, მაგრამ მაინც ყოველ ჩვენგანში ცოცხლობს. იგი ზებიოლოგიური ბუნებისაა და შინაგანი სილიერ-ხორციელი არსებობის შუაგულიდან მომდინარეობს. ეს ზეთსაპიროვნული ინდივიდუალობაა, მაგრამ მითიურ ადამიანს იგი კონკრეტული პიროვნების სახით შეიძლება გამოეცხადოს.

ქართველები ჩვენი ხალხის პირველმდგენს სახელსაც კი ვარქმევთ, კარდჰუს, ბერძნულ ყაიდაზე — ქართლოსს. მცხეთაში, თბილისის მახლობლად, სადაც ოდესღაც მზეს განდობილნი საკულტო სალოცავებს აგებდნენ, რათა მედიტაციისას გამოეყენებინათ ამ ადგილის უჩვეულო გამოსხივება, იქ, სადაც მეოთხე საუკუნის დამდეგს წმინდა ქალწულმა ნინომ ვაზის ნასხლევისგან საკუთარი თმით შეკრული ჯვრით გვაზიარა ქრისტიანობას, გადმოცემის თანახმად გვეგულებოდა კარდჰუს წმინდა საფლავი. ყოველ წელს იმართებოდა მისი დატირება, ოღონდ ამაში ალბათ არ იგულისხმებოდა პირველმდგენის ჭეშმარიტი სიკვდილი. მაშ რა იგულისხმებოდა? იმ ხალხის ცნობიერებაში, რომელშიც აუხსნელი მიზეზების გამო პირველმდგენის ძალებს კარგა ხანია ჭკნობა შეჰპარვოდა, ფესვებს მწარე შიში ღრღნიდა, რომ თვით პირველმდგენი, როგორც ღვთაებრივი შესაქმეს თაურხატი, უკვალოდ გამქრალიყო. მაგალითად, ლანგებარდები, როგოც ხალხი, დიდი ხანია გადაშენებულია, მაგრამ ხმელთაშუა ზღვის ნაპირას მაინც გადაეყრებით ხოლმე ვინმეს, ვის სახეშიც რასიულად შეიცნობა მისი ლანგებარდული წარმომავლობა. ამრიგად, კარდჰუს იმიტომ დასტიროდნენ, რომ ქვეშეცნეულად გრძნობდნენ: პირველმდგენის გარეშე ხალხს ხალხი აღარ ჰქვია. ეს შეიძლება იყოს ადამიანების ჯგრო, მაგრამ მას არ ექნება არსი. მე

ვიცი, კავკასიაში ბინადრობს ერთი ხალხის ნაშთი, სახელად უდები, რომელთაგან სამი-ოთხი სოფელიღაა შემორჩენილი. ერთი შეხედვით ისინი სხვა ხალხებივით, ჩვეულებრივად ცხოვრობენ, მაგრამ კარგად თუ ჩავუკვირდებით, მივხვდებით, რომ მათი სათუთი მყუდროება მეტაფიზიკური სიკვდილის მოახლოების მაუწყებელია. ყველა ნიშანი მოწმობს, რომ იდუმალებით მოცული მიზეზების გამო მათ თაურხატს ნამდვილობა აქვს დაკარგული.

ნათელმხილველური ნიჭით დაჯილდოებული ბევრი მხატვარი ჭვრეტს ადამიანის სახეში მის რასიულ ხატს. ერთმა უცნობმა ოსტატმა უტა ფონ რაუმბურგის პორტრეტში სრულყოფილი პლასტიურობით გამოსახა გერმანული ტომების ნაშიერი პირველქმნილი ქალი. გრაფინია უტას სახეში ცოცხლად არის განსახეულებული ჩრდილოელი ევას თაურხატი, ოღონდ იგი ცოდვით დაცემით არ არის დამძიმებული. ისეთი შეგრძნება გეუფლებათ, თითქოს ეს მზესთან მთელი არსებით წილნაყარი ქალი თავის წიაღში ფარული შინაგანი მგზნებარებით თვით მზის ნაყოფს დაატარებდეს. შეუდარებელია მის მშვენიერ ყელთან მომდგარ მოსასხამზე გამოსახული უბინო ნაოჭი: გზნების ამოსაცნობი ნიშანი, ოღონდ ისეთი გზნებისა, რომელიც მარად წმინდა რჩება და არასოდეს გახდება „ბიწიერი". იგი შორეთში ჩაკარგულივით ნანაობს ჩვენს თვალწინ და თან ისე ახლოსაა, რომ გიჩნდება შთაბეჭდილება: იგი რომელიმე შუასაუკუნებრივი ქალაქის ნებისმიერ კუთხეში შეიძლება შემოგეფეთოს.

ყოველი ცალკეული ადამიანი როგორღაც თავისი ხალხის თაურხატთან შემაკრთობელი იდუმალებითაა დაკავშირებული. ყოველი გენიოსი ქვეცნობიერად კიდევ უფრო მეტად ინარჩუნებს თავისი რასის პირველმდგენელთან ფარულ კონტაქტს და მისი გამოვლენის ფორმა იმ პირველმდგენითაა დაღდასმული. ამ კონტაქტის გარეშე წარმოუდგენელია შემოქმედებითი აქტი. ისტორია ამ წესით თითქმის ვერცერთ გამონაკლისს ვერ დაგვიდასტურებს.

მაშინ ამერიკასა და ამერიკანიზმზე რაღა უნდა ვთქვათ? შემაცბუნებელი კითხვაა, რომელიც თითქოს მთელ ამ კონცეფციას აცამტვერებს. ამერიკა მე მართლაც ახალ სამყაროდ მესახება, რომელსაც პირველმდგენის ძალების ზემოთ მოყვენილი მიმოხილვა ერთი შეხედვით თითქოს არ ესადაგება. ამ დროს გვახსენდება ამერიკის მთელი კულტურული ცხოვრების ატომიზირება, ყოფიერების შეუკავშირელობა და ინდივიდუალიზმის ბატონობა. ყველაფერ ამას აკლია ერთიანი თაურხატი, ვინაიდან იგი დასაბამიდან არ მომდინარეობს. ჩვენ აქ ვაწყდებით ისეთ განვითარებას, რომელსაც შეეძლო ხალხადქცევის პროცესამდე ახლებურად მივეყვანეთ. აქ შეძლებისდაგვარად შემდეგი

მოსაზრება შეიძლება გამოიკვეთოს. ის, რაც მითიურ ადამიანისთვის პირველმდგენია, ამერიკელს სამყაროს ფიზიკურ უწყვეტობად ევლინება. ცხოვრების ტექნიზაციას შეეძლო სიცოცხლის წარმოშობის სხვა ხედვამდეც მივეყვანეთ. მაგალითად, ატლანტიკის ოკეანის თავზე მყოფმა მფრინავმა შეიძლება უსასრულო სამყაროში ერთი წამით მზის მოლეკულად იგრძნოს თავი. მაშინ ამ შეგრძნებაში პირველმდგენი გამოვლინდებოდა. თუკი ვინმეს წილად ერგება ბედნიერება და ამგვარად შეიმეცნოს თავისი თვითობა, მაშინ იგი, როგორც მისტიკოსი, უფრო დიდი და ღრმა იქნება, ვიდრე სხვა ვინმე, კაკლის ჩეროში წამოწოლილი წყნარ მედიტაციას რომ მისცემია და ნირვანის მეშვეობით შედის უსასრულობაში. მართალია, ეს ცდა უსაშველოდ ძნელია, მაგრამ სამაგიეროდ რა წყალობასა და ბედნიერებას ეზიარებოდა მისი მაძიებელი! ამაზე სიტყვეს აღარ გავაგრძელებთ. პირველმდგენსა და ცალკეულ პიროვნებას შორის გამუდმებით მოქმედებს დრამატიზმით აღსავსე დაძაბულობა. ნაბისმიერი პოეტი, ვინც კი პასუხისმგებლობით ეკიდება თავის დანიშნულებას, ამას თავის შემოქმედებით შრომაში ნათლად გრძობს. იგი ცდილობს შექმნას რაღაც ახალი, ანუ სიტყვებისა და ხატების სამყაროში ხელახლა წამოიწყო საქმე, მაგრამ თუ წამოწყება პირველსაწყისის ერთგული არ იქნა, მაშინ შემოქმედებაში თვითნებობა აღზევდება, რამაც შეიძლება მანერულობა შვას, თორემ ჭეშმარიტი სტილის შექმნა გაუჭირდება. გოეთეს კლაისტის არ სწამდა, ოღონდ იმიტომ კი არა, რომ თვითონ „ოლიმპიელად“ იყო დაბადებული. იგი თავის თავში გრძნობდა კლაისტს, რომელიც უნდა დაეძლია. არაფრის არ ეშინოდა ისე, როგოც თვითნებობისა . კლაისტის შემთხვევაში თვითნებობა, მისი აზრით, ფრძნობათა აღრევაში ვლინდებოდა, რასაც თვითონ გამუდმებით უნდა გამკლავებოდა. ასე ამაღლდა იგი საკუთარ თავზე, რათა საწყისთა საწყისთან კონფლიქტი არ მოსვლოდა.

მზეგრძელი იყოს ის, ვისაც ხელეწიფება ჰარმონიაში ამყოფოს საწყისსა და პირველსაწყისს შორის არსებული იდუმალი ცეზურა. ვაი მას, ვინც ეს ვერ შეძლო: იგი საბოლოოდ არარად გადაიქცევა.

მაგრამ ვინ გადაურჩება პირველმდგენთან შინაგან ბრძოლას, ისე რომ განადგურების საფრთხის წინაშე არ აღმოჩნდეს? ო, ადამიანის ყოფიერების საიდუმლოვ — ასეთებიც არსებობენ: ისინი ან სამყაროს უარმყოფელები არიან — იგულისხმებიან ასკეტები — ან სამყაროს დამაქცევლები.

აქ მივადექი ადოლფ ჰიტლერის ფენომენის ცენტრალურ პუნქტს. ფრანგი მწერალი ალფონს დე შატობრიანი თავის წიგნში ახალ გერმანიაზე ჰიტლერს „le home nouveau“-ს უწოდებს. დიახ, ჰიტლერი მართლაც ახალი ადამიანია, უფრო ზუსტად: ადამიანის ახალი ხატი. მის სტიქიაში მარად სასიკეთო ინტერფერენციის სახით შემოქმედებითად

იძვრის ცალკეულ ადამიანსა და პირველმდგენს შორის დაძაბულობის შემქმნელი ცეზურა.

ცოტა რამ რასიულობაზე

ყოველ დიდ შემოქმედს თავისი მსოფლხატი შემოაქვს — სიტყვაში, ნახატში თუ საქმეში გამოვლენილი. ადოლფ ჰიტლერის მსოფლხატი ასეთია: ხალხის მთლიანობა მისი რასითაა განპირობებული. ადრეული კულტურებისათვის, რომლებსაც უცდიათ ყოფიერებაში შეენარჩუნებინათ საკრალურობა, ცნობილი იყო ეს იდეა. ჩვენში, საქართველოში, ეს იდეა ენაშიც კი ცნაურდება, ქართველს ვინმეს შეურაცხოფა თუ უნდა, „შე უჯიშოო", ეტყვის, რაიც „რასის არმქონეს" ნიშნავს, ხოლო უძლიერესი ქართული წყევლა ასეთია: „შენი ჯიში ამოვარდაო".[1]

ჩვენს საუკუნეში რასიული სიწმინდის პირველცოდნა უკვალოდაა გამქრალი. ვინმე თუ შეეცდება იკვლიოს რასის შემადგენელი კომპონენტები, ყოველი მხრიდან შემოუძახებენ: იგი თავს ნებას აძლევს ადამიანსაც ისეთი კრიტერიუმები მიუყენოს, რითაც ძაღლის ან ცხენის წმინდასისხლიანობის ხარისხს ადგენენ ხოლმეო. ცხადია, ადამიანი არც ძაღლია და არც ცხენი. იგი გონიც არის და როგორც გონიერის არსება ქმნის პროცესშია ჩართული: იგი იქმნება, „ქმნა" კი მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, თუკი ადამიანი ყოფიერების ერთ-ერთი მცნების მიხედვით ყალიბდება: „იქმენ ის, რაც ხარ".

„ვითარცა იმ დღეს, შენ ამქვეყნად რომ მოგავლინა,
იმ დღეს პლანეტებს მზე უძღვნიდა გულითად სალამს,
მას შედეგ კვლავაც იფურჩქნები, როგორც
წესია, რომელმაც შენი დაბადება განაპირობა.
სხვა გზა არა გვაქვს, საკუთარ თავს ვერ გაექცევი,
ეს უკვე უთქვამთ სიბილებს[2]" და წინასწარმეტყველთ,
ხოლო იმ ფორმას, რომ ცოცხლობსდა რომ ვითარდება,
ვერც დრო შემუსრავს და ვერც ძალა გაანადგურებს".

ამას აცხადებს გოეთე, ჩემი აზრით, უკანასკნელი საუკუნეების უდიდესი განდობილთაგანი. „საკუთარ თავს ვერ გაექცევი" - ეს გამონათქვამი გოეთეს სხვა მცნებას: „მოკვდი და იქმენ" არ ეწინააღმდეგება. ადამიანი ერთდროულად მონაცემიც არის და ამოცანაც, იგი ღვთიური მონახაზია, რომელიც თანდათან ყალიბდება. როგორც „მო-

[1] ტექსტში ეს სიტყვები ლათინური შრიფტით ქართულადაა ჩართული (მთაგრმნ.)
[2] ბერძნულ მითოლოგიაში წინასწარმეტყველი ქალები (მთარგნმ.)

ნაცემი“ იგი გარკვეული თვისებითაა აღჭურვილი. სახიერად ღმერთის კანონის მიეხდვით არის შექმნილი, ხოლო როგორც „ამოცანა“, იგი თავ-ის თავს განახორციელებს, ანუ საკუთარ თავს თვითონვე აყალიბებს. ეს გოეთეზე უკეთ დასავლეთში არავინ უწყოდა. „ხოლო ის ფორ-მა, რომ ცოცხლობს და რომ ვითარდება“, ყოფიერების ის მთლიანობაა, ადამიანის პიროვნებად ქცევას რომ განაპირობებს.

ასეთივე მთლიანობად სხვა წარმონაქმნთა შორის შეიძლებოდა რასაც მიგვაჩნია და ვინაიდან ქმნადობის სამყაროში მთელი ადამიანია ჩართული, ამიტომ რასის იდეაში სისხლთან ერთად გონიც მონაწილეობს. ბარონი იულიუს ევოლა თავის მნიშვნელოვან, მაგრამ სხვათა შორის, შეუმზადებელი მკითხველისათვის საშიშ წიგნში ამბობს, კულტურები და რასები „სისხლის გავლით“ კი არა „სისხლის გაყოლებით“ უნდა შევისწავლოთო. მარჯვედ მიგნებული, ზუსტი ნათქვემია.

ზედმინევნით დამახასიათებელია ერთი რამ: ვერც ერთი ცხენის მცოდნე ისე დაწვრილებით ვერ აგიწერთ ინგლისური დოღის ცხენს, როგორც ევროპელი მწერალი აღწერს ხოლმე თავისი გმირის გარეგნულ ნიშნებს, მაგრამ ნებისმიერი მათგანი რასიული თეორიის მიმდევრად რომ ჩაგეთვალათ, უეჭველად აღშფოთდებოდა.

ამ საკითხს სერიოზული მოდგომა სჭირდება. ფლობერმა თქვა ერთხელ: მისტიკოსი გავხდებოდი, ლათინი რომ არ ვყოფილიყავიო. დოსტოევსკი რუსეთის გარეშე წარმოუდგენელია და ორივენი, როგორც მოაზროვნეები, უნივერსალურნი არიან. ეს სამყაროს მრავალფეროვნებით აიხსნება. ღმერთი ბუნება ასეთია: ღმერთი ერთსახოვანიც არის და ორსახოვანიც. გერმანული ენა ცდილობს ეს ერთ სიტყვაში ხელშესახებად აგვიხსნას: მაგალითად, „Zweig“ არის ის, რაც ერთისგან მეორის სახით იშვა: Zweig უდრის ორს, ხოლო Zweig ორად განტოტვილს, ანუ ტოტს ნიშნავს.

როგორ წარმოიშობა ერთიდან მრავალი, ეს ჯერ კიდევ შეუცნობელია, მაგრამ ასე თუ ისე გასაგები გახლავთ. დიდი მოაზროვნე პლატონი როცა ამ საიდუმლოს შეეჩეხებოდა, გადმოცემის თანახმად, ლოცვად დგებოდა ხოლმე. იგი მშვენივრად ხვდებოდა, რასთანაც ჰქონდა საქმე. ამბის სახით კი იგი ყოველწამს გვეძლევა. ბერძენი ქალი პირმშოს ცეცხლზე აწრთობს, რათა იგი მოუწყვლადი გახადოს. ეს ჩვილი აქილევსია. ის ადგილი, სადაც იგი დედას ხელებით ეჭირა, ანუ ქუსლი, დაუცველი დარჩა. მიწიერსა და ღვთიურს შორის ჯერ კიდევ არსებობს დაძაბულობა. გერმანთა გმირი ზიფრიდი დრაკონის სისხლში განიბანება და მოუწყვლედი ხდება, ოღონდ ბანაობისას ზიგფრიდს ფოთოლი დაეცემა და სწორედ იმ ადგილხე მიაყენებენ სასიკვდილო ჭრილობას. ამბავი ვითომ სხვადასხვაა, მაგრამ ფაბულა ერთნაირია.

დიახ, ყოფიერება დასაბამიდან ერთია, მაგრამ იგი მრავალფეროვნად ვითარდება. ერთი მარცხნიდან მარჯვნივ წერს, მეორე მარჯვნიდან მარცხნივ, მესამე ზემოდან ქვემოთ, იაპონელი ჰარაკირს იკეთებს, ეგვიპტელი მუმიფიცირებას ამჯობინებს. ერთი სიტყვით, მრავალფეროვნება ყველაფერში მჟღავნდება.

ისაა სწორედ მარადი ერთი,
მრავალი სახით რომ გველინება.
გოეთე

სასარგებლო, იქნებოდა დავკვირვებოდით, ზოგიერთი მწერლის უცხო, უკვე ნაშლილი წარმომავლობა თავისი სისხლით როგორ მსჭვალავს და აჯერებს, უფრო მეტიც, მისი შემოქმედების რიტმულ სვლებსა და შუქ-ჩრდილებს როგორ კვებავს. ამის დასტურად საკმარისია გავიხსენოთ პუშკინი და პრუსტი. თუ ეს ასეა, მაშინ გასაოცარიც აღარ არის, ადრეულ კულტურებში რასა განმსაზღვრელ ელემენტად რომ ითვლებოდა.

ახალ ეპოქაში იგი ლამის არასერიოზულ „თეორიად" იქცა. ადოლფ ჰიტლერმა ხელახლა შთაბერა რასას ძალა, რათა გერმანელების ხალხად ქცევა დაეჩქარებინა. ამიტომაც გახდა იგი დედამიწის ძალების გამომაფხიზლებელი.

საიდუმლო კანონი

ყოველი დროის განდობილებმა უწყოდნენ სისხლის, „ამ სრულიად განსაკუთრებული სითხის" საიდუმლო. თუკი რიტუალური მსხვერპლშეწირვის მეოხებით ვინმეს წილად ხვდომია აემოქმედებინა პირველღვთიური ენერგიები, მაშინ იგი იმ თვისებას შეიძენდა, კოსმიურში წვდომის უნარს რომ ეძახიან. ასე მოგვითხრობს გადმოცემა. ეს თვისება ეთერული ტიპის სუბტილური ნივთიერების მეოხებით მომდევნო თაობებზე მემკვიდრეობით გადადის და გონის ამოცდილებას თავის თავში ნაკვალევის სახით ინახავს. „გადადის რა ტრანსცენდენტური მემკვიდრეობის გზით, იგი(თვისება) რასის საკუთრება ხდება, რომელსაც ინიციაციის რიტუალი თანდათანობით, სათითოოდ გამოაცოცხლებს და კვლავ ქმედითად აქცევს".(ევოლა).

აქ დასაბუთებულია როგოც უძველესი არისტოკრატიის ფენომენი, ასევე სისხლის გამოყვანის არსიც.

აქ ნათლად ჩანს, რომ სისხლი და გონი ურთიერთზემოქმედებას განიცდიან. გონი ჩამოყალიბებისთვის სისხლში დაეძებს ყლორტის გამომღებ პლაზმას, სისხლი კი გონს, როგოც შემოქმედებით ალმაფრენას,

ისე ნატრულობს.

ახლა კი წარმოვიდგინოთ, რომ ეს აღმაფრენა კეთილშობილთა კასტამ უგულვებელჰყოს. რა მოხდებოდა მაშინ? რა და, არისტოკრატია თანდათან გადაგვარების უტყუარ ნიშნებს გამოავლენდა. ინდოეთში ქადაგებდნენ, მსხვერპლშენირვაში სიცრუე თუ გაერია, მაშინ მას ძალა დაეკარგებაო. ბოლოს და ბოლოს ეს იმას ნიშნავს, რომ თვით მსხვერპლის შემწირველი აღმოჩნდება საფრთხეში. ირანულ ზეპირსიტყვიერებაში ეს აზრი ხატოვნადაა გადგმოცემული: როცა ლეგენდარულმა მზის ხელმწიფემ, ჯიმამ, ტყუილების თქმა დაიწყო, იმწამსვე ჩამოშორდა შარავანდედი, „ჰვარენო", ღვთაებრივი თვითობის მისტიკური სხივი. გვახსენდება, ტახტის ერთ მემკვიდრეს ნელ-ნელა როგორ უქრება თვალებში სხივი. მას შესისხლხორცებული არ აქვს ხელმწიფობის საკრალური მისია და გადაგვარებისკენ თვალდათვალ ამიტომაც მიემართება. აი, ასეთი გახლავთ გონი, მაგრამ მეორე მხრივ, თუკი სისხლის საიდუმლო აღმოჩნდება პატივაყრილი? მაშინ გონიც ზუსტად იქნება განწირული გადაგვარებისათვის.

ეს კანონი ისევე ვრცელდება ცალკეულ ადამიანებზე, როგორც რასებზე, ხალხებზე, კულტურებსა და ენებზე.

დედამიწის ძალები

თანამედროვე მსოფლიო სწორედ იმიტომ იტანჯებოდა, რომ ამ კანონს თავისას ჯეროვნად აღარ მიუზღავს. რა არის თუნდაც კრიზისის მიზეზი, თუ არა დედამიწის ძალების უგულებელყოფა? ქრისტეს ფენომენი არის ანტიკური მცდელობა იქცე ღმერთის ძის ნაწილად, ეს ხდება შემოქმედებითი რწმენის, ანუ ადამიანის მთელი არსების ღვთაებრივი აღმაფრენის შედეგად, მაშინ როცა ღვთის წყალობა უკუდინების სახით მისკენ მიემართება. ამ აღმაფრენის მისაღწევად აუცილებელია ადამიანი დედამიწის ძალებით იყოს ნასაზრდოები, თორემ უამისოდ რწმენა მხოლოდ ფუტურო სარწმუნოებად გადაიქცევა. აქ მართებული იქნება თავად გიორგის, გრაალის მცველის სიტყვები მოვიშველიოთ: „რწმენა სარწმუნოებაზე აღმატებული რამ არის. ნივთს თუ შევიმეცნებ, იგი ჩემთვის ჯერ კიდევ საგნად რჩება. თუ რაიმე ვიწამე, მაშინ იგი მე აღარ მიპირისპირდება. შეყვარებულისადმი სატრფო მისი საპირისპირო რა არის: იგი მისთვის ის განუმეორებელი სახეა, რომელშიც იგი საკუთარ თავს პოულობს. სამყარო უძლურია ნივთიერად აღიქვას შეყვარებულთა შორის თავისთავად აღმოცენებული სინამდვილე, მაგრამ იგი მაინც არსებობს და მოქმედებს. სხვისთვის იგი არ არსებობს, მაგრამ თვითობის

შიგნიდან დანახული, იგი უნამდვილესი სინამდვილე გახლავთ. სიყვარული რომ ქრება, შეყვარებულებს შორის სიცარიელე ისადგურებს: ახლა ისინი შემაშფოთლად გაუცხოებულნი, საგნებივით დგანან ერთმანეთის პირისპირ. მორწმუნეც ასევე იქმნის თავის საკუთარ სიანამდვილეს". და კიდევ: „ღმერთი რაიმეს წარმოადგენს თუ არა, მაშინვე ჩნდება რაღაც. ქმნადობის ეს ძალაა რწმენის საიდუმლო. აქ მხოლოდ სარწმუნოება ვერას გიშველის... თანამედროვე კაცობრიობა მხოლოდ ამ რწმენის ქმედითი ძალის ნაკლებობით იტანჯება. იგი სახარებაში აღწერილ იმ კაცს ჰგავს, ოდესღაც მაცხოვარს რომ შემოღაღადა: „მრწამს უფალო, შემეწიე ურწმუნოებასა ჩემსა". და კიდევ: „ჩვენ მაშინ ვკარგავთ რწმენას, როცა დედამიწას, მარადიულ დედას წავბილწავთ, რამეთუ ქმნის ძალას მხოლოდ და მხოლოდ ის გვანიჭებს... ჩვენ საუკუნეების მანძილზე ან პატივს არ მივაგებდით ან ვებრძოდით მიწას. უკეთეს შემთხვევაში ვიტანდით მას. ჩვენ დაუფიქრებლად, მკრეხელურად ვბილწავთ magna mater[1]-ს და აი, ვიგემეთ კიდეც მწარე ნაყოფი — ღმერთის ძეობისათვის ჩლუნგები და უვარგისნი აღმოვჩნდით... სიტყვა ხორცად იქცა — ეს საიდუმლო იგავადღა შემოგვრჩენია. იქ დედამიწა ხომ ლოგოსის საშოდ არის მიჩნეული! დედამიწის საშო თუ უბრალო მატერიად აღვიქვით, მაშინ მყისვე გაქრება ადამიანში ლოგოსის ძალები. გონი დაკარგავს ყლორტის გამომღებ სიმკვრივეს. იგი, ასე ვთქვათ, ფუყე და გადაგვარებულ რაციოდ გადაიქცევა, რომელიც უძლურია წარმოშვას რწმენის აქტი".

„დედამიწაში" აქ მოიაზრება თავის თავში ჩაკეტილი სიცოცხლის ერთეულები: რასა, ხალხი, სისხლი, მიწა. დედამინა გონის კოსმიური პლაზმაა. ჩვენს თავში ამ პლაზმის ზრდას ხელი თუ არ შევუწყვეთ, მაშინ გონი თანდათან რაციონალიზირდება, ხოლო რაციის თვალით დანახული ქრისტეს ამბავი უბრალო მონაჩმახი იქნება და სხვა არაფერი. როცა ლოგოსი ლოგიკად გადაიქცევა, მაშინ რწმენის გარდამქმნელი ძალის საქმე წასულია.

ადოლფ ჰიტლერის მსოფლხედვის შინაგან მიმართებას ქრისტიანულთან — თავისთავად უზარმაზარ პრობლემას - ცხადია აქ ვერ შევეხებით და ვერც განვიხილავთ. ერთი რამ კი შეიძლება ახლავე ვთქვათ: დედამიწის ძალების გამოღვიძებას შეიძლებოდა ქრისტიანობის განახლებისათვის ოდესმე დიდი სამსახური გაეწია. ამაში ეჭვის შეტანა კი ნამდვილად შეუძლებელი გახლავთ.

---

[1] ლათ. დიდი დედა (მთარგმნ.)

ქმედების ნიჭი

ასე დგას ადოლფ ჰიტლერი ქმნადობის სამყაროში — კონკრეტულ შემთხვევაში გერმანელების ხალხადქცევის პროცესში — როგორც დედამინის ძალების გამღვიძებელი. ამ საქმეში იგი ქმედების ისტორიული ნიჭითაა გამორჩეული. ერთ მაგალითს მოვიყვან.

აქა-იქ გაიგონებთ, ჰიტლერის „ჩემი ბრძოლა" ხელის შემშლელი ფაქტორია საფრანგეთიდან ურთიერთობის მოგვარების საქმეშიო. რამდენიმე წლის წინ, პირისპირ საუბარში ფრანგმა მწერალმა ბერნარ დე ჟუვენელმა ფიურერს მიმართა: „მართალია, ფრანგები სიხარულით ვისმენთ ჩვენს სამშვიდობო განცხადებებს, მაგრამ სამაგიეროდ სხვა, ნაკლებ გამამხნევებელი ამბებით შეშფოთებულნი ვართ. მაგალითად, თქვენს წიგნში „ჩემი ბრძოლა" საფრანგეთზე ბევრი ცუდი რამ გაქვთ ნათქვამი. ეს წიგნი კი გერმანიაში ერთგვარ პოლიტიკურ ბიბლიად არის ქცეული. იგი იყიდება ისე, რომ არც ერთი მომდევნო გამოცემის იმ ნაწილში, რომელიც საფრანგეთს ეხება, არავითარი შესწორება არ არის შეტანილი".

ფიურერმა პასუხად ბრძანა: „ამ წიგნს რომ ვწერდი, მაშინ ციხეში ვიჯექი. ეს ის დრო იყო, როცა საფრანგეთის ჯარებმა რურის ოლქი დაიკავეს. ეს გახლდათ ჩვენს ქვეყნებს შორის დიდი დაძაბულობის პერიოდი. დიახ, ჩვენ მტრები ვიყავით და მე, როგორც წესი და რიგია, ჩემი ქვეყნის მხარე მეჭირა, ისევე როგორც ოთხნახევარი წლის განმავლობაში ჩემი ქვეყნის დასაცავად სანგრებში ვიდექი და თქვენს წინააღმდეგ ვიბრძოდი. საკუთარი თავი შემძულდებოდა, კონფლიქტის დროს გერმანელად რომ არ მეგრძნო თავი, მაგრამ დღეს, კონფლიქტის მიზეზი აღარ არსებობს. თქვენ გნებავთ ჩემი წიგნი მწერალივით ვასწორო, თავისი წიგნის გადამუშავებულ ვარიანტს რომ გამოსცემს ხოლმე, მაგრამ მე მწერალი არ გახლავართ: მე პოლიტიკოსი ვარ. შესწორებები მე ჩემს საგარეო პოლიტიკაში შემაქვს, რომელიც დღეს ჩვენს ურთიერთგაგებაზეა დამყარებული. თუ გერმანია-საფრანგეთის დაახლოება გამომივა, მაშინ ეს ღირსეული შესწორება იქნება. შესწორება მე ისტორიის დიდ წიგნში შემაქვს".

ჟამიდან ჟამზე უცხოელებისაგან ამ პასუხის შეფასება მომისმენია: მარჯვე პასუხიაო, ამბობენ და ალბათ საფრანგეთშიც ასე შეაფასეს იგი. ვითომ მხოლოდ მარჯვე? ის ქვეყანა, სადაც სენ ლუი, ჟანა დ'არკი, ბლეზ პასკალი, მართალია, სხვა თანმიმდევრობით დალაგებულნი, მაგრამ მაინც როგორც მარად ნაყოფიერი ძალები, ხალხის შემოქმედებით უჯრედებს ასხივოსნებენ, ანუ იდუმალი საფრანგეთი, ფიურერის ერთჯერად გამონათქვამს სხვაგვარად გაიგებდა. ასე ის ადამიანი ლაპარაკობს, რომელიც ისტორიას კი არ წერს, ისტორიას ქმნის.

ცეცხლოვანი სასმელი

ერთი ქართული ნანარმოები მოგვითხრობს: მე-18 საუკუნის დასასრულს, მონებად გასაყიდად სამეგრელოდან ორი ბიჭუნა გაიტაცეს. საქართველოს კუთხეში ეს საზიზღარი ვაჭრობა ჯერ კიდევ არ იყო აღმოფხვრილი. ისინი ერთხანს ერთად ცხოვრობდნენ, მაგრამ შედეგ ერთმანეთს დააშორეს და აი, 1798 წელს, ეგვიპტეში ნაპოლეონის ლაშქრობისას ერთი მათგანი დიდი მხედართმთავრის არმიაში აღმოჩნდა, მეორე კი ლომგული მამლუქების ბანაკში. პირამიდებთან გამართულ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში ერთი მათგანი ბრძოლის ველზე ეცემა. სასიკვდილოდ დაკოდილს ერთი სიტყვა აღმოხდება: „ნენა“, დედის საალერსი სახელი, ერთადერთი მშობლიური ენისა, რომელიც დაწნეხილი სულის სიღრმეში ჰქონდა შემორჩენილი. როგორც დაუნანევრებელი ბგერებისაგან შემდგარი გმინვა, ისე განიბნა მისი ხმა კოსმოსურ სივრცეში. განა ვინმეს შეეძლო გონმიხდილის ხმა გაეგონა? მაგრამ არის ერთი კაცი, ვინც ამ ხმას გაიგონებს: მისი ოდინდელი მეგობარი. მის გულშიც მშობლიური ენის ეს სიტყვაა შემორჩენილი. თავზარდაცემულს ესმის სულთმობრძავის ხრიალი. ტკივილი უორმაგდება, როცა მიხვდება, რომ მისი ბედის მოზიარე ხელჩართულ ბრძოლაში საკუთარი ხმლით განუგმირავს. მაშინ კი სასოწარკვეთილი ყვირილი აღმოხდება და მის ყვირილში ნუთისოფელთან გამოთხოვების გმინვა თვით ნუთისოფლის წყევლა-კრულვად გადაიქცევა.

ვისაც ეს ყვირილი ძარღვს არ შეუტოკებს, იგი სიტყვა „სამშობლოს“, ფიურერის მიერ ნარმოთქმულს, ვერასოდეს გაიგებს. ადოლფ ჰიტლერმა ამ საკვირველ სიტყვას ჭეშმარიტად დაუბრუნა თავისი პირველი აზრი. სამშობლო — აი, რა არის მისი ცეცხლოვანი სასმელი.

იგი მკაფიოდ გამოკვეთს სამშობლოს ცნებას და მისი მეოხებით თვითონაც ვითარდება. ისევე როგორც მისი სახე ირეკლება ხოლმე მასთან მოსაუბრის სახეში, ასევე ხელშესახებად ცნაურდება გერმანიის მზის წნულში მისი არსი. ამბად ყვებიან: ერთი ახალგაზრდა კაცი მეგობარს საჩუქარს უძღვნის, მეგობარს კი თავის მხრივ სამაგიერო საჩუქარი აქვს მომზადებული. ორივე ერთდროულად ხსნის პაკეტს და გაოცებულნი ხედავენ: ერთმანეთისთვის ფიურერის პორტრეტები მიუძღვნიათ. კიდევ ერთი სიურპრიზი ისაა, რომ სურათებზე ორივეს წაუწერია: „ფიურერისადმი ერთგულების ნიშნად“. სხვა ამბავსაც ჰყვებიან: ერთ მოხუც მანდილოსანს საგანგებოდ გამოუკითხავს რა ჯიშის ვარდი ჰყვავის აპრილში. იმ ჯიშის ვარდი თავის ბაღში დაურგავს და ყოველი წლის 20 აპრილს, ფიურერის დაბადების დღეს, მოწიწებით თავდახრილი, მლოცველივით დგას მის წინაშე. გამიგონია: ერთი

ყმაწვილი გოგონებს გაუბრაზებიათ, მასაც ერთ-ერთის ცემა დაუპირებია, მაგრამ უეცრად მიმხვდარა, რომ ეს სწორედ ის გოგონაა, ერთხელ ფიურერმა რომ გადაუსვა ქერა თავზე ხელი და თვალის დახამხამებაში გახსენებია, ხელის გადასმისთანავე იმ გოგონას შარავანდედივით რომ დასდგომოდა ნათელი და მარჯვენა მოსდუნებია. კიდევ ერთ ამბავს გავისხენებ. ერთი ქალი აგვიწერს ჰიტლერთან შეხედრის ამბავს: თავიდან მხოლოდ ვუყურებდი ფიურერს, მაგრამ როგოც კი ლაპარაკი დაიწყო და ხელები აამოძრავა, იგი საოცრებად გადაიქცაო. ეს სიტყვები ბავშვური გენიალობის ნიმუშუ გახლავთ! (გეორგ შოტი: „სახალხო წიგნი ჰიტლერზე".) ერთი ახალგაზრდა კაცისათვის უკითხავთ, როგორ ეზიარე ნაციონალ-სიცოალიზმსო. მას მოკლე პასუხი გაუცია: ფიურერის დანახვისთანავე გამიჩნდა გრძნობა, იგი ჩვეულებრივ ადამიანზე აღმატებული იყოო. კიდევ ერთი პატარა ამბავი: ერთი უცხოელი ბერლინიდან იენაში მიემგზავრება, მასტან ერთად კუპეში ერთი ქალი და მისი ხუთი-ექვსი წლის გოგონა ზის. გაიბმება უბრალო საუბარი. ქალი შეამჩნევს, რომ მისი თანამგზავრი დამწუხრებულია და ეკითხება, რა შეგემთხვათო. იგიც უყვება, ახლახან, თბილისში, როგორ დახვრიტეს მისი მეგობრები, მისი სამშობლოს მზეკაცები, რომლებიც მისთვის ძმებზე მეტი იყვნენ. შეწუხებული ქალი დუმს, მისი გოგონა კი კაცს უცნაური სახით დიდხანს, სარიოზულად უყურებს, მერე კონვერტიდან სათუთად იღებს რამდენიმე ღია ბარათს და დამწუხრებულ კაცს ათვალიერებინებს. „აი ფიურერის სახლი", ჩურჩულებს იგი სიყვარულით სავსე ხმით, „აი თვითონ ფიურერი". გულაჩუყებული კაცი გოგონას სამოთხისებურ სიახლოვეს შეისუნთქავს და შეუცდომლად გრძნობს, რომ ბავშვი ამ სურათებით შეუმჩნევლად მის ნუგეშისცემას ლამობს. არასოდეს დაავიწყდება გოგონას გულთბილი სახე, თუმცა მისთვის სახელიც კი არ უკითხავს. ასე ჯობიაო, ფიქრობდა შემდეგ: ჭეშმარიტი შეხვედრა, რომელშიც რაღაც ღმერთთან სიახლოვისებური ურევია, ჩვეულებრივი „ნაცნობობით" ვერ დამთავრდება. ის კაცი, ვისაც ეს ამბავი შეემთხვა, ამ სტრიქონების ავტორი გახლავთ.

და ასე შემდეგ, და ასე შემდეგ.

აი, ასე, უმცირეს დეტალებში მჟღავნდება ფიურერის ზემოქმედების ძალა. იგი ხალხის ენერგიებს განასხეულებს და მისი პიროვნული არსიც იმ ენერგიებით იკვებება. იგი ამას საკუთარი სულის სიღრმეში გრძნობს. 1936 წლის 29 მარტს წარმოთქმულ წინასაარჩევნო სიტყვაში მან გულიდან ამოხეთქილი სიტყვები თქვა: სამი წლის მანძილზე მე ვაძლევდი გერმანელ ხალხს ძალას, ახლა ველოდები გერმანელმა ხალხმა თავის მხრივ მე მომცეს ძალა, მე ერს რწმენა განვუმტკიცე, ახლა ვიმედოვნებ ერი მე განმიმტკიცებს რწმენასო.

ღრმააზროვანი, შუქმფინარე სიტყვებია. მხოლოდ მას, ვინც თავისი სულის იდუმალ სიღრმეში დაძაბულობის ფასად უზრუნველყოფს პიროვნული თვითობისა და მთელის ნების ფასად ნაყოფიერ ურთიერთზემოქმედებას, მხოლოდ მას ძალუძს ბედნიერების მომნიჭებელი ღვთიური ურუანტელით ატანილმა მიადევნოს თვალი ამ ენერგიების მიქცევ-მოქცევას.

წინასაარჩევნო უკანასკნელი სიტყვა ადოლფ ჰიტლერმა 28 მარტს, კიოლნში წარმოთქვა. „ისეთი შეგრძნება დაგეუფლებოდათ, - ამბობს მისი თანამებრძოლი დოქტორი გებელსი, - თითქოს გერმანია ყველა ფენის, პროფესიისა და კონფესიის მომცველ დიდ ღვთის სახლად გადაქცეულიყოს, სადაც მათი მფარველი ყოვლადძლიერის მაღალი საკურთხევლის წინაშე ნებისა და საქმის დამადასტურებელი სიგელის მოსაპოვებლად იღწვოდა ამ მომავალისათვის, რომელიც ჯერ კიდევ გაურკვევლად და ბუნდოვნად იდო ჩვენს თვალთა წიანშე". როცა მიმართვა გერმანელი ხალხისათვის დასრულდა, ფიურერი კიოლნიდან გაემგზავრა. დოქტირ გებელსი განაგრძობს: „ვაგზლებზე, სადაც კი რამდენიმე წუთით შევჩერდით, ხალხის ტევა არ იყო. ისინი ეტყობა, გულის კარნახს აჰყვნენ და კიდევ ერთხელ განადიდებდნენ იმ ადამიანს, ვისმა ხმამაც ისინი აქ მოიყვანა. ის კი მდუმარედ იჯდა თავის კუპეში, ფანჯარასთან, თავის ქვეყანაში, თავის ხალხში გამავალ გზას მიუყვებოდა და იმ წუთებში ალბათ არ ტოვებდა ბედნიერების განცდა, თავისი ერის გულში ღრმად და მყუდროდ რომ იყო ჩაბუდებული". ზუსტი ნათქვამია!

ზოგჯერ ერთი ჭის წყალს მთლიანად გამოფიტულ მიწაზე მიუშვებენ ხოლმე, მერე ამომშრალი ჭა ერთხანს ჩაფლულია ნეტარ მყუდროებაში, მაგრამ მისი სიღრმიდან მაინც ჟინიანად მოიკვლევს გზას წყლის ნაკადი — საქართველოში ამას წყაროსთვალს ეძახიან — და ჭის წიაღი ნელ-ნელა უხმაუროდ ივსება. ეტყობა, მაშინ სიმშვიდეში ჩაძირული მდუმარე ჰიტლერი გრძნობდა მასში იმ ჭასავით როგორ მოედინებოდა ხალხის ძალები.

ჭა იფან იგდრაზილის შორიახლოს

ადოლფ ჰიტლერმა შექმნა დიდი გერმანია; იგია მისი სუვერენული დამაარსებელი. მართალია, მისი მოღვაწეობა ჯერაც არ გასრულებულა, მაგრამ ისტორიამ მისი სახელი უკვე ამოტვიფრა მითიურ რუნებში. ამის გახსენებაზე გონებაში უნებლიეთ ამომიტივტივდა ერთი ჩრდილოური მითი:

გამიგონია ხარობს სადღაც ერთი იფანი
იგდრაზილია სახელი მისი.
ტანაშოლტილ ხეს მუდამ ადგას ნათელი ნისლი.
იქიდან მოდი თურმე ცვარ-ნამი,
დაბლა ხეობებს რომ ეფინება.
თვითო იფანი მარადმწვანეა,
ურდის[1] ჭის ახლოს ამონაზარდი.

კვლავაც საკვირვლად ჰყვავის მსოფლიო ხე. მის ახლომახლო ჭები არ დაშრეტილან. ორი ფრინველი, ორი გედი ბუდობს იმ ურდოს ჭაში. მათი მედიდური, მელანქოლური ცურვა უსაშველოდ ნაზი ფშვინვით ავსებს კოსმიურ სიჩუმეს. იფნის კენწეროში ირმები სახლობენ. მათი კრიალა თვალებიდან გაცხადებული ყოფიერების პირველმზერა გამოკრთის. დაკუნტრუშებენ ეს ღვთისშვილები და შენს სმენას ფოთლების შარაშური აჯადოებს.

„იქიდან მოდის თურმე ცვარ-ნამი,
დაბლა ხეობებს რომ ეფინება“.

იმ იფნის შტამომავლები არიან; თეოდორიხ დიდი, დითრიხ ბერნელად წოდებული, ოტო I, გერმანელი ერის წმინდა იმპერიის შემქმნელი, ფრიდრიხ II ფონ ჰოჰენშტაუფენი.

ეს ხე ადოლფ ჰიტლერის საგვარტომოც გახლავთ. მისი მაცოცხლებელი ძალა იმ ჭიდან მოედინება, მსოფლიო იფანს რომ ასაზრდოებს.

მთარგმნელისაგან

გრიგოლ რობაქიძის გამონათქვამი, რომ მწერლის უცხო თუნდაც წაშლილი წარმომავლობა თავის სისხლით მსჭვალავს, უფრო მეტიც, კვებავს მისი შემოქმედების რიტმულ სვლებსა და შუქ-ჩრდილებს, უპირველეს ყოვლისა მასზე ვრცელდება.

გრ. რობაქიძე სრულყოფილად ფლობდა გერმანულ ენას. ამას მოწმობს მისი გერმანულენოვანი შემოქმედება, მაგრამ მის ცნობიერებაზე მაინც

[1] ურდი — ბედისწერის ქალღმერთი (მთარგმნ.)

მოქმედებს ის „პირველმდგენი", რომელიც ტექსტში ჩართულ ქართულ მაგალითებთან, ლეგენდებსა და გადმოცემებთან, ცალკეულ ქართულ სიტყვებისა და გამოთქმების ეტიმოლოგიასთან ერთად ტექსტის რიტმულ სვლებსა და შუქ-ჩრდილებშიც შეიცნობა. ეს გერმანულ-ქართული ლექსიკურ-ინტონაციური ნაზავი ქმნის გრ, რობაქიძის სტილს, რომელსაც გერმანელი მწერლები თუ გამომცემლები თავის დროზე ახალსა და უჩვეულოს უწოდებდნენ, ჩვენთვის კი ეს სტილი ქართულ ფესვებთან მისი ღრმა კავშირის გამოვლინებაა.

ამასთან არ შეიძლება არ აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ გრ. რობაქიძის ქართული ესეისტიკა თავის მხრივ გერმანული ენის მძლავრ ზეგავლენას განიცდის. უფრო მეტიც, მწერლის ექსპერიმენტები ქართულში გერმანული ხატებისა და სიტყვათქმნადობის დამკვიდრების მცდელობადაც კი აღიქმება. განსაკუთრებით ეს ითქმის გერმანულ პრეფიქსზე „ურ-", რომელიც სიტყვას სიძველის, პირველქმნილობის სემას მატებს. აქედან მოდის გრ. რობაქიძისეული „თაურ-" პრეფიქსი, როგორიცაა თაურხატი, თაურმოვლენა, თაურმცენარე, თაურუჯრედი და სხვ. ასევე გერმენული ენის სტრუქტურებითაა ნაკარნახევი სიტყვები: თვალწამი, მზიურშობილი, მზეოსგან განფენილი, პირველმდგენი, მზეკაცი და სხვ.

მე შევეცადე თარგმანში გამომეყენებინა გროგოლ რობაქიძისეული ლექსიკა, რითმული სვლები და შუქ-ჩრდილები, რაც სტილის ადეკვატურობის მაღალი ხარისხის საწინდარი უნდა ყოფილიყო.

P.S. ბროშურაზე გამოცემის წელი არ არის მითითებული. თვით გრ. რობაქიძე ამის თაობაზე წერს: „ომის პირველ წლებში ორი პატარა წიგნი გამოვეცი: „ჰიტლერი" და „მუსოლინი". აქვე დავძენ: არც პირველია ნაცისტური და არც მეორეა ფაშისტური, ამ თემებს მე განსაკუთრებული სულიერი თვალთახედვით ვუყურებდი". (იხ. წერილები ნიკოს კაზანძაკისს. ჟურნ. „ლიტერატურა და ხელოვნება" 1,2006).

დალი ფანჯიკიძე

ჰერბერტ ბაკე – სოფლის მეურნეობისა და სასურსათო მომარაგების მინისტრი, რაიხსბაუერფიურერი

ჰერბერტ ბაკე (Backe)

ჰიტლერის პოლიტიკური ბიოგრაფიის კვლევის პროცესში დადგინდა, რომ მისი მთავრობის შემადგენლობაში, ისევე როგორც მისი მემკვიდრის — გროსადმირალ კარლ დენიცისა, - სასურსათო მომარაგებისა და სოფლის მეურნეობის მინისტრად ირიცხებოდა საქართველოში, კერძოდ ბათუმში, დაბადებული და შემდეგ თბილისის რუსული გიმნაზიის კურსდამთავრებული — ჰერბერტ ბაკე — დაბადებული 01.05.1895 წელს.

სკოლა მას 1914 წელს დაუმთავრებია, მაგრამ იმავე წელს დაწყებულ პირველ მსოფლიო ომთან დაკავშირებით მისი ინტერნირება მოუხდენიათ, როგორც გერმანელის. ოქტომბრის რევოლუციისა და რუსეთის იმპერიის დაშლის წყალობით ბაკე გათავისუფლებულა ციხიდან და საზღვარგარეთ (გერმანიაში) წასულა. ის სწავლობდა გეტინგენის უნივერსიტეტში, რომლის დამთავრების შემდეგ რეფერენტად დაუწყია მუშაობა რუსეთის საკითხებში.

1921 წელს ის გამხდარა „SA“ წევრი, ხოლო 1925 წლის 1 თებერვალს შესულა ნაციონალ-სოციალისტურ მუშათა პარტიაში (გნსმპ). 1932 წელს ბაკე გამხდარა პრუსიის ლანდტაგის წევრი გნსმპ-დან. როგორც ბევრ სხვას, მასაც ჰქონია კერძო ბიზნესი აგრარულ სფეროში. იგი ყოფილა დიდი მამულის მოიჯარადე ჰანოვერში.

1933 წლის 1 სექტემბრიდან იგი გამხდარა მოადგილე, ხოლო 1935 წლის 21 ივნისიდან — უფროსი — სს-ის ეროვნებისა და დასახლების სამმართველოსი. 01.09.33. ამის პარალელურად დაინიშნა სოფლის მეურნეობისა და სურსათ-სანოვაგის სამინისტროს სტატს-მდივნად.

1936 წელს ბაკე დანიშნეს ოთხწლიანი გეგმის მთავარი სამმართველოს სურსათ-სანოვაგისა და სოფლის მეურნეობის საკითხთა უფროსად.

ფაშისტურ გერმანიის საბჭოთა კავშირზე თავდასხმის შემდეგ იგი გახდა სპეცშტაბის — „ოლდენბურგი“ რწმუნებული სსრკ-ს ტერიტორიაზე.

1942 წლის 23 მაისს ბაკე დაინიშნა — სურსათ-სანოვაგისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს საიმპერიო მინისტრის მოადგილის მოვალეობის შემსრულებლად, ხოლო 1944 წლის 1 აპრილს — დაიკავა მინისტრის პოსტი. იმავდროულად მან შეცვალა ვ. დარე — გლეხობის საიმპერიო ფიურერის — **რაიხსბაუერფიურერის** თანამდებობაზე.

როგორც სპეციალისტი საბჭოთა კავშირის საქმეებში, ბაკე

ითვლებოდა აღმოსავლეთ ტერიტორიების გერმანიზაციის მთავარ გამტარებლად.

როდესაც ჰიტლერმა თავი მოიკლა 1945 წლის 30 აპრილს, მის მიერ დატოვებული პოლიტიკური ანდერძის მიხედვით გერმანიის პრეზიდენტად დაინიშნა გროსადმირალი კარლ დენიცი, რომელმაც ომში გამარჯვებული ქვეყნების კოალიციის ხელმძღვანელობასთან მოლაპარაკების იმედით ახალი მთავრობა შეადგინა. მასში ჰიტლერის დროინდელ მინისტრთაგან მხოლოდ ორი-სამი კაცი შედიოდა. მათ შორის ერთი გახლდათ ჰერბერტ ბაკე.

მაგრამ დენიცის იმედები არ გამართლდა. 1945 წლის 23 მაისს ბაკე დააპატიმრეს დენიცის მთელ მთავრობასთან ერთად, მაგრამ ის არ მოხვდა ნიურნბერგთა მთავარ დამნაშავეთა სიაში, თუმც არც ციხიდან გაუთავისუფლებიათ.

1947 წლის 7 აპრილს ჰ. ბაკემ თავი ჩამოიხრჩო თავის საკანში, რაც საკმაოდ მოულოდნელი ჩანს. საინტერესოა, თუ რა ჰქონდა ასეთი ჩადენილი სოფლის მეურნეობისა და სასურსათო მომარაგების უფროსს?..

ფოტო ილუსტრაციები



ჰიტლერი ნაპოლეონის საფლავზე ინვალიდების სასახლეში, პარიზში
(ფოტო-მონტაჟი ავტორის)

პიტლერი და რობერტ ლეის ულამაზესი მეუღლე

ჰიტლერი და ცოლ-ქმარი გებელსები



ჰიტლერის კაბინეტის მისასვლელი

ჰიტლერი ბავშვებთან

ჰიტლერი ბეჭზე ფრინველით

ჰიტლერი, ჰესი და გებელსი - ცოდვილი ტრიუმვირატი

ჰიტლერი, გერინგი და გებელსი



ჰიტლერი და ოლღა ჩეხოვა

ჰიტლერი სტუმრად ვაგნერებთან



ჰიტლერი და კინორეჟისორი ლენი რიფენშტალი

ჰიტლერი, ლენი რიფენშტალი და გებელსი ობერზალცბერგში

ლაკრილი ლედი მიტფორდი გაღაპყაკეთ თვითმფრინაკეში ლონდონაში გასაფრენათ

ევა ბრაუნის ერთი ფოტო

ევა ბრაუნი თავის მეგობართან ობერზალცბერგში

ჰიტლერი ევა ბრაუნის მეგობარ ქალთან ბავშვითურთ

ჰიტლერი, გენერალიტეტთან ერთად

ჰიტლერი და გენერალიტეტი



ჰიტლერი და ევა ბრაუნი ბერხტესგადენში

ჰიტლერი, რიბენტროპი და ბორმანი რასტენბურგის ტყეში

მარტინ ბორმანის ოჯახი

ჰიტლერი და ბურგომისტრი გერდელერი

გერინგის სხვადასხვა ფოტოები

ჰიტლერი, ჩემბერლენი და იდენი

რასტენბურგის ტყეში: ჰიტლერი, კაიტელი და პოლკოვნიკი შტაუფენბერგი



შტაუფენბერგის ბომბის აფეთქების შედეგი

ჰიტლერი და მუსოლინი



სტალინის პოტრეტი შესრულებული გერმანელი ტყვეების მიერ

ჰიტლერი და ესპანელი გენერალისიმუსი ფრანკო

ჰიტლერი და ევა ბრაუნი

1939 წლის 23 აგვისტოს თაედაუსხმელობის პაქტის ხელმოწერის პროცესი:
სტალინი, მოლოტოვი და რიბენტროპი



კომპიენის ტყეში საფრანგეთის კაპიტულაციის ხელმოწერის დროს:
ჰიტლერი და გენერალიტეტი
უკან კადრში რკინიგზის ცნობილი ვაგონი, რომელშიც იქნა ხელმოწერილი კაპიტულაციის
ორი პაქტი

ფელდმარშალ პაულიუსის სტალილგრადთან ტყვედ ჩაბარების ფოტო

გერმანიის კაპიტულაციის პაქტის ხელმონერის ფოტო.
წინა კადრში ფელდმარშალი კაიტელი.

გადაეცა ასაწყობად 10.02.2010 წ.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 20.03.2010 წ.
ქაღალდის ფორმატი 60X84 1/16
ნაბეჭდი ფორმათა რაოდენობა 22.5 ფ.
ტირაჟი 300